თსუ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

# ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა

თბილისი 2015 Tbilisi

## შინაარსი


შესავალი ..... 5

ქსნის ხეობის ისტორიულ-ეთნოლოგიური მიმოხილვა ..... 9

ქსნის ხეობისა და საერისთავოს მოკლე ისტორია ..... 9

ოსების გამოჩენა და დამკვიდრება ქსნის ხეობაში ..... 13

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და ქსნის ხეობის შეყვანა მის „ეთნოგრაფიულ" (?) საზღვრებში ..... 30

საისტორიო მწერლობა ეთნოცენტრისტული სტერეოტიპების ინსპირატორი ..... 51

რუსული გეოპოლიტიკური პარადიგმა და ქართული „სეპარატისტული რეგიონები" ..... 51

საქართველოში ოსთა ავტოქთონობის საკითხი, როგორც ეთნოპოლიტიკური დაპირისპირების წყარო ..... 59

კონფლიქტის ინსპირირების კულტურულ-ისტორიული ასპექტები ..... 74

ქართულ-ოსური ურთიერთობის თავისებურებანი ახალგორის რაიონში ..... 88

ახალგორის რაიონი ქართულ-ოსური კონფლიქტის კონტექსტში ..... 88

ქართულ-ოსური ანტაგონიზმი – მითი თუ რეალობა? ..... 98

გაორებული ცხოვრება, ორმაგი სტანდარტი და ახალგორელები დილემის წინაშე ..... 106

რელიგია ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის მიჯნაზე ..... 114

განათლებისა და ჯანდაცვის პრობლემები 2008 წლის ომის შემდეგ ქსნის ხეობის მოსახლეობაში ..... 125

სასწავლო პროცესი ოკუპირებულ ახალგორსა და ადგილნაცვალ მოსახლეობაში ..... 125

ჯანმრთელობის პრობლემები ქსნის ხეობაში დარჩენილ და იქიდან დევნილ მოსახლეობაში ..... 141

2008 წლის რუსულ-ქართული ომი და სამეურნეო ყოფის თავისებურებები ახალგორის რაიონში ..... 151

ტრადიციული სამეურნეო ურთიერთობა და მისი განვითარების დინამიკა 2008 წლის კონფლიქტამდე ..... 145

სამეურნეო ყოფის ტარნსფორმაცია ახალგორის მოსახლეობაში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ..... 163

ახალგორიდან დევნილი მოსახელობის სოციალური განწყობები, ნდობა და მომავლის იმედი ..... 177

დასკვნა ..... 189

Резюме ..... 201

## შესავალი

მონოგრაფია "ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა" ამავე სახელწოდების პროექტის განხორციელების შედეგად დაიწერა. ნაშრომი ქართველთა და ოსთა 2008 წლის აგვისტოს ომისშემდგომ ურთიერთობებს ეხება; იმ ომისა, რომელმაც უმძიმესი კვალი დატოვა საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელმაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს სახლ-კარი და მამული დააკარგვინა და საკუთარ სახელმწიფოში დევნილად აქცია. ომის შედეგად ცხინვალის, ჯავისა და ზნაურის რაიონები ფაქტობრივად მთლიანად დაიცალა ეთნიკური ქართველებისაგან. ჩვენი კვლევის ობიექტად ახალგორის რაიონის არჩევა იმანაც განაპირობა, რომ ქსნის ხეობაში ქართველთა გარკვეული რაოდენობა ჯერ კიდევ ცხოვრობს. ნაშრომი ოკუპირებული ახალგორის რაიონის ქართველთა და ოსთა ურთიერთობის ეთნოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა მიჯნაზე შესწავლის პირველი მცდელობაა. ის ძირითადად ემყარება პროექტის მონაწილეთა მიერ დე ფაქტო საზღვრის ორივე მხარეს მოპოვებულ საველე მასალებს, სპეციალური ლიტერატურის, მედია და ინტერნეტ მონაცემებს. პროექტის მიმდინარეობის 2 წლის განმავლობაში (2013.04.-2015.04) მისი მონაწილეები იმ ტრანსფორმაციების მოწმენი გახდნენ, რაც ახალგორის რაიონის ქართველებისა და ოსების ტრადიციულად არსებულმა ურთიერთობებმა ქართულ-ოსური/რუსული კონფლიქტის კონტექსტში განიცადა.

ქართულ-ოსურ ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს და იგი ბევრ აღმართ-დაღმართს ითვლის. საუკუნეების მანძილზე ამ ხალხებს შორის ტრადიციულად არსებობდა მჭიდრო სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები, შუღლიც ჰქონდათ და მეგობრობაც, გატანაც და გაუტანლობაც; თუმცა, ბოლო ხანებში განვითარებულმა მოვლენებმა, რომელიც უშუალოდ დაუკავშირდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემას, მათ ურთიერთობას რადიკალურად შეუცვალა მიმართულება და მისი დადებითი პერსპექტივა ეჭვქვეშ დააყენა.

ახალგორის რაიონი ყოველთვის გამოირჩეოდა ქართულ–ოსური მოსახლეობის ინტეგრაციის მაღალი მაჩვენებლით, რაც ძირითადად გამოწვეული იყო რაიონის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში ქართველების დიდი უპირატესობით. ომამდე ახალგორში დაახლოებით 7 000-მდე ადამიანი ცხოვრობდა, რომელთა უმრავლესობა ეთნიკური ქართველი იყო. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ხეობა დატოვა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა. დღეს რაიონში მუდმივად ათასამდე ქართველი ცხოვრობს. ეს მიგრაცია კავშირში არ ყოფილა ეთნიკურ იდენტობასთან - რაიონიდან გამოსულებსა და ადგილზე დარჩენილთა შორის არიან ქართველებიცა და ოსებიც. საქართველოს ხელისუფლებამ დევნილთა ეს კონტინგენტი ძირითადად კომპაქტურად ჩაასახლა შიდა ქართლში, მათთვის სპეციალურად აშენებულ დასახლებებში – წეროვანში, წილკანში და ფრეზეთში.

ომის შემდეგ ახალგორის რაიონი, ე.წ. დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დაქვემდებარებაში გადავიდა. ცხინვალის მთავრობა იმთავითვე შეუდგა ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული სივრციდან მისი ჩამოცილების გეგმის ეტაპობრივად განხორციელებას. ეს პროცესი რაიონისათვის სახელის შეცვლით

დაიწყო (ახალგორს საბჭოთაკავშირისდროინდელი სახელწოდება - ლენინგორი დაუბრუნეს) და მრავალგვარი პოლიტიკური,ეკონომიკური,სოციალური,სამხედრო თუ სხვა ხასიათის შეზღუდვებისა და აქციების ფორმით გაგრძელდა. დაიწყო ახალგორი-ცხინვალის გზის მშენებლობა,რათა უზრუნველეყოთ რეგიონის ცხინვალთან კავშირი. ამ გზის გაყვანის უპირველესი მიზანი თბილისთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა და ქართული ეკონომიკური კავშირების ოსურ/რუსულით ჩანაცვლება იყო. ახალგორი-ცხინვალის გზის გაყვანამ არ მარტო ცენტრის მიერ რეგიონის კონტროლის გაადვილებას შეუწყო ხელი, არამედ ეკონომიკური დამოკიდებულების ვექტორი გორი-თბილისიდან თანდათან ცხინვალისკენ გადასწია. თავდაპირველად ახალგორელი ოსებით დაკომპლექტებული ადმინისტრაცია, მათი ქართული ორიენტაციის საბაბით, მალე ცხინვალიდან მოყვანილი კადრებით ჩაანაცვლეს, ახალგორის ქართველი მოსახლეობის ნაწილს 1990-იანი წლების შემდეგ მიღებული "უკანონო" საცხოვრებელი ფართები და მიწის ნაკვეთები ჩამოართვეს, იმავე პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთში წასული ეთნიკური ოსების ჩასასახლებლად და ა.შ. დე ფაქტო ოსური ადმინისტრაციის მხრიდან დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები და თანდათანობით გართულდა დევნილის სტატუსის მქონე ახალგორელების რეგიონში გადაადგილების პირობები.

ახალგორის რაიონში დარჩენილი მოსახლეობა იძულებულია, ორმაგი სტანდარტით იცხოვროს,რაც შესაბამისად აისახება მათ ფსიქოლოგიურ განწყობებზე და მოლოდინებზე. ადამიანები იძულებული არიან,დაემორჩილონ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის იურისდიქციას, ამასთანავე, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თავს ქართული სახელმწიფოს მოქალაქედ თვლის. ეს ფაქტორი თავს იჩენს განათლების სისტემაშიც. რეგიონის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა ერთი მხრივ, ქართული და მეორე მხრივ, ოსურ-რუსული საგანმანათლებლო პოლიტიკის გავლენას განიცდის. გარდა ამისა, ცხინვალის ხელისუფლებამ დაიწყო ცალკეული ჰუმანიტარული აქციების განხორციელება,რაც გამოიხატება მოსახლეობის მატერიალურ და ფინანსურ დახმარებაში და რაც ოსურ-რუსული ერთობლივი პოლიტიკის ნაწილია.

შექმნილი ვითარების გამო პროექტის მიზანი იყო ახალ სოციალურ- პოლიტიკურ კონიუნქტურაში ქართულ-ოსური ურთიერთობის განვითარების ტენდენციების კვლევა. პროექტში დასახული მიზნის მისაღწევად კომპლექსურად (ისტორიულ-ეთნოლოგიური და ფსიქოლოგიური კუთხით) შესწავლილ იქნა ახალგორის რაიონის ქართველი და ოსი ეთნოსის წარმომადგენელთა ურთიერთობის დინამიკა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ყოფის პრიზმში, ახალგორში დარჩენილ და რაიონიდან დევნილთა დასახლების სტრუქტურა, სოციალური და სამეურნეო ყოფა,განათლებისა და ჯანდაცვის სფეროები, ინტერეთნიკური კონტაქტები, ინტერკულტურული კომუნიკაციის თავისებურებები, ურთიერთმოქმედების საერთო ველი, სტერეოტიპები, რომლებიც წარმართავენ ინტერეთნიკურ სოციალურ ურთიერთობებს და დაპირისპირებებს, ჯგუფების ფსიქოლოგიური სპეციფიკა, ეთნიკური დაძაბულობის ფსიქოლოგიური წანამძღვრები, ცვლილებები ჯგუფთაშორისი ურთიერთობის ტრადიციულ ფორმებში და კონფლიქტისშემდგომი დამოკიდებულებები. გამოვლენილ იქნა საკვლევ ჯგუფთა ეთნიკური სტერეოტიპები და სოციალური დისტანციები, ქართველთა და ოსთა ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკა, ტრადიციული კულტურის როლი ამ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების



საქმეში; გაირკვა, თუ როგორი დამოკიდებულებაა ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ, რუსების და რუსეთის მიმართ თვითოეულ ამ ჯგუფში; როგორია მათი მოლოდინი და შემდგომი პერსპექტივა.

საველე ეთნოგრაფილული მასალის მოძიება მოხდა უშუალო დაკვირვების როგორც ღია, ისე ფარული მეთოდის საშუალებით, ჩაღრმავებული ინტერვიუს და პირისპირ გამოკითხვის მეთოდზე დაყრდნობით. ღია დაკვირვების მეთოდს ძირითადად ვიყენებდით ადგილნაცვალი მოსახლეობის შესწავლის პროცესში. ხოლო ფარული დაკვირვების მეთოდს მივმართავდით ოკუპირებული ახალგორის რაიონში მუშაობისას პასიური ჩართულობის პრინციპით, რომლის რეალიზება მოხდა ჩვენი ადგილობრივი კოორდინატორის და ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაადგილების უფლების მქონე მკვლევარის მეშვეობით, ვიყენებდით პირად და პირდაპირ კონტაქტებს. მოცემული კვლევისათვის სპეციალურად შეიქმნა კითხვარი, რომელშიც ორიგინალურ კითხვებთან ერთად გათვალისწინებულ იქნა მთელ რიგი სტანდარტული ინსტრუმენტები, რომლებიც ეხება პიროვნებას და მის გარემოსთან დამოკიდებულებების კვლევას და გაანალიზებას.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა 7 მივლინება, აქედან 3 ახალგორიდან დევნილთა კომპაქტური დასახლების ადგილებში (წეროვანი,წილკანი,ფრეზეთი) და 4 ახალგორის რაიონში. მოძიებული მასალა დამუშავდა შედარებითი (კომპარატივისტული) მეთოდით, ამ მეთოდის ორი ძირითადი – ტიპოლოგიური და ისტორიულ-დიფუზიური ხერხის გამოყენებით.

კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა რაიონში ახალგორის ოკუპაციის შემდეგ არსებული რეალური ვითარების წარმოჩენა. გამოვლინდა ქართველთა და ოსთა ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკა და ის ცვლილებები რაც ამ ხალხთა ტრადიციულმა ურთიერთობებმა განიცადა აღნიშნულ პერიოდში, რაც, შესაბამისად, პირობითი საზღვრის ორივე მხარეს ინტერკულტურული კომუნიკაციის პერსპექტივას განაპირობებს. გამოიკვეთა ინტერეთნიკური სტაბილური და დაბალანსებული ურთიერთობების მარეგულირებელი ასპექტები, ინტერკულტურული კავშირების როლი ამ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების საქმეში.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, არა მარტო თეორიული თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკულითაც, რათა შემუშავდეს ქართველი მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამაგრების და ოსურ-ქართული პოზიტიური ურთიერთობის განვითარების მართებული სტრატეგია, სწორად განისაზღვროს ქართულ-ოსური ეთნიკური სეგმენტების დაახლოების მექანიზმები და შეიქმნას თეორიული ბაზა ჯგუფთაშორისი ლოიალობის პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად. პროექტის შედეგების გათვალისწინება საშუალებას მისცემს როგორც თეორეტიკოსებს, ისე პრაქტიკოსებს მასზე დაყრდნობით შემუშავდეს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამომავლო სტრატეგია.

წინამდებარე მონოგრაფია შესრულდა ავტორთა კოლექტივივს მიერ:
ნათია ჯალაბაძე, რედაქტორი, შესავალი და მესამე თავი – **ქართულ-ოსური ურთიერთობის თავისებურებანი ახალგორის რაიონში;**
მედიკო ბურდული – **ქსნის ხეობის ისტორიულ-ეთნოლოგიური მიმოხილვა**
მედიკო ბურდული, ლალი მღებრიშვილი – **განათლებისა და ჯანდაცვის**

**პრობლემა 2008 წლის შემდეგ ქსნის ხეობაში (ახალგორში) დარჩენილ და ადგილნაცვალ მოსახლეობაში**

ლავრენტი ჯანიაშვილი – **საისტორიო მწერლობა ეთნოცენტრისტული სტერეოტიპების ინსპირატორი** და **2008 წლის რუსულ-ქართული ომი და სამეურნეო ყოფის თავისებურებები ახალგორის რაიონში**

ეკატერინე ფირცხალავა – **ახალგორის რაიონიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური განწყობები, ნდობა და მომავლის იმედი**

დასკვნაზე და რეზიუმეზე იმუშავეს ნ.ჯალაბაძემ, მ. ბურდულმა, ლ.ჯანიაშვილმა.
რეზიუმეს თარგმანი შესრულდა რ. ციხელაშვილის მიერ.
წინამდებარე პუბლიკაციებში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.



მ. ბურდული

## ქსნის ხეობის ისტორიულ-ეთნოლოგიური მიმოხილვა

### I. ქსნის ხეობისა და საერისთავოს მოკლე ისტორია

ქსნის ხეობა მდინარე ქსნისა და მისი შენაკადების ჭურთულას, ალეურას, ცხრაძულას,დადიანურას და ცხავატურას ხევებისაგან შედგება. ხეობას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება არაგვის ხეობა, დასავლეთიდან ლეხურას ხეობა, ჩრდილოეთიდან ჟამურ-ლომისას ქედი, სამხრეთიდან მდინარე მტკვარი. ქსნის სათავე სამი ხეობის–ჭურთის, ჟამურ-ქარჩოხისა და ცხრაძმისაგან შედგება. ვახუშტის აღწერით: ,,ხოლო მდინარე კსანი სდის და გამოსდის ქნოღოს ჟამურის საშუალს კავკასს. ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს ქვევით სამÃრით, გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკვარს'' (ვახუშტი 1973: 68).

მდინარე ქსანი სათავეს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებიდან იღებს, ზღვის დონიდან 2914 მეტრზე მდებარე ყელის ტბიდან. მდინარე ჯერ სამხრეთისაკენ მიემართება,ჟამურთან უხვევს აღმოსავლეთით,შემდეგ ქარჩოხთან კვლავ სამხრეთისაკენ ბრუნდება. მდინარის სიგრძე 90 კმ-ია.

ქსნის ხეობა, შიდა ქართლის ტერიტორიას მიეკუთვნება და ესაზღვრება: ჩრდილოეთით – კავკასიონის მთები, აღმოსავლეთით – არაგვის ხეობა, სამხრეთით – მდ. მტკვარი. დასავლეთით მდინარე ლეხურა და მდინარეების მეჯუდისა და პატარა ლიახვის სათავეები (ღუნაშვილი 2007:6).

ქსნის ხეობა საქართველოს ხეობათა შორის ერთ–ერთი უძველესი კულტურული კერაა, მისი სამეურნეო და კულტურული დაწინაურება ადრეული საუკუნეებიდან დაიწყო, შუა საუკუნეებში კი ძლიერ საერისთავოდ ჩამოყალიბდა. ქსნის საერისთავოს მმართველობა განვითარებულ ეკონომიკურ საფუძველს ემყარებოდა. ხეობის ხევთა დასახლებები ოდითგანვე მჭიდრო დასახლებით ყოფილა წარმოდგენილი.

,,შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა,რომ ახალგორში ადამიანი საცხოვრებლად დამკვიდრებულა ჯერ კიდევ ახალი ქვის (ნეოლითი) ხანაში, დაახლოებით 10-12 ათასი წლის წინათ''(ქსე 1983:170).

ადმინისტრაციულად ქსნის ხეობა შედიოდა ქართლის საერისთავოში და მას განაგებდნენ ადგილობრივი ხელისუფალნი: მამასახლისები, რომელნიც უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდნენ (მაკალათია 1968: 11).

,,საფიქრებელია, რომ ცხრაზმის ხეობასა და ქსნის დანარჩენ ხეობებშიაც ქართლის გამგებელს ჰყავდა ხევისუფალნი (ხევისბერები). ასეთი ხევისუფალნი აქ უნდა ყოფილიყვნენ ლარგვისში, სადაც ქსნის შენაკადები თავს იყრიან, აგრეთვე ქსანზედაც, ქვენიფნევში – ამას მოწმობს ლარგვისში დღემდე შემონახული სათავადოსათვის დამახასიათებელი ფეოდალური ანსამბლი და ქვენიფნევის ნანგრევები, რომელსაც ახლა ქვემო იფნევს უწოდებენ'' (მაკალათია 1968: 15-26).

ძვ. წ. IVს ბოლო – III ს-ის დასაწყისი ქსნის ხეობაში იქმნება ორი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – ცხრაძმის საერისთავო და ქსნის ხევი,

რომელნიც შიდა ქართლის სასპასპეტს შემადგენლობაში შედიოდნენ (ღუნაშვილი 2007:4;6).

ქსნის სათავიდან ჩრდილოეთით გადადიოდა ადგილობრივი მნიშვნელობის საცალფეხო ბილიკები: ქსნის ხეობა ლომისის გადასასვლელით თრუსოს და არაგვის ხეობას უკავშირდება, ასევე ლომის-ოხირის გადმოსასვლელით არაგვის ხეობიდან გადმოდიოდა გზაბილიკი ქარჩოხის ხეობაში და სხვ. (მაკალათია 1968: 10).

უძველეს ცნობას ქსნის ხეობის შესახებ ვხვდებით ლეონტი მროველთან. (ალექსანდრე მაკედონელმა) „ამით ყოველთა ციხე-ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტიკად მებრძოლნი და განუყო ლაშქარი თÂისი და ყოველთა ამათ ციხე-ქალაქთა გარემოადგინა, თÂით დადგა მცხეთას. და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუემოთ და თÂით დადგა ქსანსა ზედა, ადგილსა, რომელსა ჰქვიან ნასტაკისი" (ქართლის ცხოვრება 1955:18).

ქსნის ხეობის პოლიტიკურ სტრატეგიული მნიშვნელობა ძლიერდება VIII–X საუკუნეებში. ამ პერიოდში ხეობის დასაცავად შენდება წირქვალის ციხე, ქსნის მარჯვენა სანაპიროზე. ქსნის სათავე ბერ-ციხეთი გაამაგრეს ჟამურის ხეობაში; ცხრაძმის ხეობა გაამაგრეს უკანაუბნის ციხით; ჭურთის ხეობა ციხე წინკიბეთი და სხვ. (მაკალათია 1968:12). ამავე პერიოდშია აშენებული წირქვალისა და კაბენის (ყანჩავეთის) ტაძრები, რომლებშიც საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ.

„IX საუკუნისათვის ქართლის აზნაურებს შორის აღზევდებიან ყანჩაელები, რაზეც მეტყველებს მეჯუდის ხეობის სოფელ ბიეთში ჩატარებული დიდი მშენებლობა და სამშენებლო წარწერა" (Меписашвили 1963: 44-45).

წარწერაში იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა. ჯ. გვასალია თვლის, რომ ეს უნდა იყოს ქსნის ერისთავი. ამ დროს ცხრაძმისხევი ქსნის ხევისადმია ადმინისტრაციულად დამორჩილებული. (გვასალია 1970: 131).

6. ბერძენიშვილი ქსნის ხეობის დაწინაურების საბუთად თვლის VIII–IX საუკუნეების საკულტო ნაგებობების სიმრავლეს (გრუა, კაბენი, არმაზი,....);

„ქსოვრისი.. აქ იყვნენ რატიშვილები, მათი საყმოა ყანჩაეთიც. ქსნის ხეობა უფრო სოფელმრავალია არაგვისაზე... ახალგორს ფართე ჭალა ახლავს. ეს იყო მისი უპირატესობა სხვა სოფლებთან. წირქოლი თავისი ციხით და VIII–IX საუკუნის ეკლესიით. აქვე ახლოს არის გრუა. ეს ორი ციხე დიდი მნიშვნელობისა ჩანს სწორედ ამ ხანაში. შეიძლება სწორედ ყანჩაელი აზნაურები იყვნენ აქ ხევისუფალნი და ამ ციხისთავნი..."( ბერძენიშვილი 1990:422-423).

კაბენი.. „სოფელ ყანჩაეთს არის ეს მონასტერი, შესანიშნავი ეკლესიაა: VIII–IX საუკუნის ჯვარი, შემდეგ შეკეთებული თითქოს X საუკუნეში, შემდეგ XIII–XIV საუკუნეში კვლავ აშენებული. პირველად, ალბად, სოფლის (თუ ხევისუფლის) მიერ? შემდეგ უეჭველია ქსნის ხევისუფლის მიერ (აზნაურ ყანჩაელების მიერ? ყანჩაელის შვილი იყო სამთავისის მაშენებელი ილარიონ..)" (ბერძენიშვილი 1990: 424).

XIII ს-დე ქსნის ხეობა ქართლის საერისთავოში შედიოდა, ამის შესახებ ცნობა ვახუშტის დაუცავს: „შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხვა, ქსნისა სხვა". (ვახუშტი 1973:84) ჯ. გვასალიას მიხედვით აქ „თამარ მეფე" უნდა განასახიერებდეს



მონღოლებამდელ ერთიან საქართველოს. (გვასალია 1983:63)

ქსნის საერისთავოში: „ მე–13 ს–ის მეორე ნახევრიდან ვადასტურებთ ქსნის (უფრო ზუსტად ცხრაძმისხევის) ერისთავს, რომელიც პოლიტიკურად მემკვიდრე უნდა იყოს ადრეფეოდალური ხანის ცხრაძმისხევის ხელისუფლისა. წყაროების ერთობლივი ჩვენებით, ამ დროს ცხრაძმისხევის ერისთავებად ქვენიფნეველები არიან. მაგრამ არაა ერთობა მათი ქსანზე დამკვიდრების დროის შესახებ". (გვასალია 1983: 63).

ქვენიფნევი თავისი ხელსაყრელი მდებარეობის წყალობით კონტროლს უწევდა ქსანზე გამავალ მაგისტრალს და ხეობის ზედა ნაწილის დაცვის ორგანიზაციის საკითხს წყვეტდა. (გვასალია 1983: 66).

მე–13 ს–ის დასასრულისათვის ცხრაძმის ერისთავები საგრძნობლად აფართოებენ მამულებს. დავით მე–8 დროს მათ სამფლობელოში შედის ცხრაძმა, ჟამური, ჭურთა, ქვენიფნევი, ქარჩოხი, ქოლოთი, ისროლი. (გვასალია 1983:67) მე–14 ს–ის დასაწყისში კი მეფე ვახტანგ III შალვა ქვენიფნეველს ერთგული სამსახურისათვის უწყალობა ვრცელი ტერიტორია: თრუსო, ღუდა გაგასძენი, მლეთა, არაÃვეთი, Ãანდო, ყანჩაეთი, აბაზისძეთა მამული, ძაგნაკორანი, დიღუამი, გავაზი, აწერისხევი, ბეÃუშე (გვასალია 1983:68). შალვა ქვენიფნეველის საერისთავო გადაჭიმული იყო არაგვის ნაპირებიდან ლიახვამდე.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ასპარეზად იქცა ქსნის ხეობა, განსაკუთრებით კახეთსა და ქართლს შორის. აშოტ კურაპალატისა და გრიგოლ კახთა მთავარს შორის გამართულ ბრძოლაზე ქართველი მემატიანე წერს: „მას ჟამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშველა თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისამან, რომელ იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა. მოვიდა გრიგილ კახეთით და გრიგოლს უშველეს მთიულთა და წანართა და ამირამ ტფილელმა, და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, და დაიპყრეს ქვეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან, და დაიპყრა აშოტ კლარჯეთიდან ვიდრე ქსნამდე" (ქართლის ცხოვრება I 1955: 252-253.)

ქსნის ხეობისათვის ბრძოლა ქართლსა და კახეთს შორის შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა, მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართლისა და კახეთის მმართველები, განსაკუთრებით კი წირქვალის ციხეს. ხშირად ქსნის ნაპირზე იმართებოდა შინა ფეოდალური ომები.

აღსანიშნავია, რომ თამარის მეფობის დროს მთიელთა განდგომისას ქსნის ხეობელებს მასში მონაწილეობა არ მიუღიათ. განდგომილი მთიელების დასამორჩილებლად გაგზავნილი ლაშქარი ივანე ათაბაგის ხელმძღვანელობით ცხავატისა და ცხრაზმის ხევით გადავიდა ლომისაზე და ისე ჩავიდა არაგვის ხეობაში. მემატიანეს თქმით: „... განვიდეს მათ შორის ცხავატსა და ცხრაზმის ხევთა, რომელ არს ლომისა" (ქართლის ცხოვრებაI 1955: 305.)

„XIV საუკუნის დასაწყისისათვის ქსნის ერისთავების საზღვარი ბარის ზოლში ჯერ კიდევ არ ჩამოდიოდა და იქაური სანახები აბაზისძეებს ეკუთვნოდათ" (გვრიტიშვილი 1955: 69)

ამ პერიოდისათვის ქსნის საერისთავოს საზღვრები ასეთია: აღმოსავლეთით ქსნის საერისთავოს არაგვის საერისთავოსაგან გამოჰყოფდა ლომის-ალევის ქედი, ლოწობნის მთები, ჯვარისუბანი; შემდეგ ხაზი გადიოდა დელკანზე, სარბიელზე, ნაგომევზე, კოდისწყაროზე, ილტოზასა და ოძისზე.

სამხრეთ-დასავლეთით საამილახვროსთან სასაზღვარო ხაზი დაახლოებით ასეთია: თეზიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ლამისყანა, ახმაჯი, ბოლი (ორი უკანასკნელი ამილახვრებს ეკუთვნოდა), ერედა, ყანჩავეთი, ზახორი, რეხა, მეჯვრისხევი, ახალუბანი, ფლავისმანი, კარალეთი, ტყვიავი.

დასავლეთის საზღვარი მიემართებოდა ტყვიავიდან პატარა ლიახვისაკენ და ფალავანდიშვილების სამფლობელოსა და ე.წ. სავახტანგომდე აღწევდა, ჩრდილოეთით საერისთავო დვალეთსა და თრუსოს ესაზღვრებოდა (გვრიტიშვილი 1955: 71).

XV საუკუნიდან ქსნის საერისთავო ჩამოყალიბდა სათავადოსათვის დამახასიათებელი ციხე-დარბაზით, საძვალეთი, ვრცელი სამფლობელოთი და ყმა-მამულით. ლარგვისის მონასტერში დაიწერა „ძეგლი ერისთავთა", როგორც ვარაუდობენ ავგაროზ ბანდაის ძის მიერ, ერისთავ ვირშელ მესამის სიცოცხლეში (1348-1400)

ქვენიფნევიდან რეზიდენციის ახალგორში გადმოტანას ისტორიკოსები XVI–XVII საუკუნეების მიჯნას უკავშირებენ. გვიან შუასაუკუნეების ხანაში მთელი ქვეყანა სათავადოებით დაიფარა. ქსნის საერისთავო ერთ–ერთი ასეთი სათავადო იყო, რომელსაც სამხრეთ–დასავლეთით საამილახვრო ესაზღვრებოდა, სამხრეთით სამუხრანბატონო (XVI საუკუნის 20–იანი წლებიდან), ხოლო აღმოსავლეთით არაგვის საერისთავო (გვასალია 1983: 73).

ვახუშტის სიტყვით: „ოძისამდე არს მუხრანისა, ოძის ჩრდილოთ კერძოთ – ქსნის ხევისა" (ვახუშტი 1973: 63). სასაზღვრო სოფელი სამუხრანბატონოსა და ქსნის საერისთავოს შორის იყო ქსოვრისი. ვახუშტის რუკაზე ქსოვრისი აღვიშნულია როგორც აზნაურის რეზიდენცია. ვახუშტის შემდეგ საზღვარმა რამდენადმე ქვევით ჩამოიწია.

სამუხრანბატონოს დამაარსებლის, ბაგრატის მოთხოვნით მის მორჩილებაში უნდა ყოფილიყვნენ არაგვისა და ქსნის ხევნი, ხევ-მთიულეთითურთ: „თვისსა მორჩილებასა ქვეშე, რომელ არს მიერითგან ერთ სასპასპეტოდ ანუ სადროშოთ" (ქართლის ცხოვრება II 350,433,488).

ვახუშტის მიხედვით პირველი მუხრან ბატონი ხელმძღვანელობდა სადროშოს, რომელიც აერთიანებდა ქსნისა და არაგვის საერისთავოებს.

XV საუკუნის ბოლოს მდინარე ქსნის მთელ სიგრძეზე წარმოიქმნა ორი საკმაოდ ძლიერი სათავადო: ქსნის საერისთავო და სამუხრანბატონო. ქსნის საერისთავოს ამით საშუალება მოესპო გაეზარდა თავისი სამფლობელო სამხრეთის მიმართულებით და ასევე დასავლეთის მიმართულებითაც, საიდანაც საამილახვრო ესაზღვრებოდა. სამაგიეროდ გაიზარდა ჩრდილოეთის მიმართულებით, მათ შეძლეს ქსნის მოსაზღვრე მდინარეების – ლეხურას, მეჯუდისა და პატარა ლიახვის სათავეებთან მდებარე ტერიტორიის დაუფლება, დაეუფლნენ ყველა იმ გზა-ბილიკს, რომელიც აქედან ჩრდილო მხარეზე გადადიოდა. რეზიდენციაც ლარგვის-ქვენიფნევიდან ახალგორში



გადმოიტანეს, რომელიც პატარა სავაჭრო ქალაქი იყო. ძველ წყაროებში ახალგორი „მცირე ქალაქად" მოიხსენიება. XVII საუკუნის 40-იან წლებში ქსნის ერისთავები ახალგორში იშენებენ სასახლეს და საერისთავოს ცენტრი ლარგვისი-ქვენიფნევიდან გადმოაქვთ ახალგორში (ღუნაშვილი 2007: 309). ამგვარად ახალგორი XVI–XVIII საუკუნეებში ქსნის საერისთავოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი გახდა. საგვარეულო სამარხი გადაიტანეს იკორთაში (მეჯუდას ხეობა), ძველმა ცენტრმა (ლარგვისმა) კი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის სტატუსი შეინარჩუნა.

ქსნის უკანასკნელი ერისთავი გიორგი ყულარაღასი განუდგა ერეკლე II-ს, მეფემ დაამარცხა განდგომილი ერისთავი, ჩამოართვა ერისთაობა და ქსნის ხეობა მიუბოძა თავის ძეს გიორგის, ხოლო ლიახვი – იულონს. ერეკლემ ქსნის საერისთავო გააუქმა 1777 წელს, ქართლ–კახეთის რუსეთთან შეერთებისას 1801წ. 27 იანვარს ბატონიშვილებმა ერისთავს დაუბრუნეს ქსნის ხეობა.

## II. ოსების გამოჩენა და დამკვიდრება ქსნის ხეობაში

ქსნის ხეობა საქართველოს იმ კუთხეთა რიცხვში შედის, სადაც ჩრდილო კავკასიის მთიანი რეგიონებიდან სამხრეთ კავკასიის მთიანეთში ოსთა მიგრაცია იწყება. ვახუშტი ბაგრატიონი, გერმანელი მეცნიერ-მოგზაური გიულდენშტედტი, ასევე XIX–XX საუკუნის ქართველი და არაქართველი მკვლევარები საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან ქსნის ხეობის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ. ამ მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია წარმოვადგინოთ ქსნის ხეობაში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილების დინამიკა. მკვლევართა თუ მოგზაურთა დაკვირვებით მდინარე ქსნისა და მისი შენაკადების დაბლა ზოლში ძირითადად ქართული სოფლები იყო, ხევების ზედა ზოლში XVIII საუკუნისათვის ოსებიც მოსახლეობდნენ (ვახუშტი 1973:360; გიულდენშტედტი 1962:95).

ვახუშტის მიხედვით „ხოლო მოსვლასა თათართასა ჩინგიზ ყაენთაგან, და უმეტეს ბათოს და ორხანისაგან მოისრნენ და მოოხრდნენ ქალაქნი და შენობანი მათნი, და მეფობა ოვსთა იქმნა მთავრობად, და შემოილტვოდნენ ოვსნი ამ კავკასიათა შინა, და უმეტეს უდაბნო იქმნენ, ვითარცა არს დღეს ჩერქეზი და კვალად შემდგომად მოსვლისა ლანგ თემურისა და აღებისა კონსტანტინეპოლისა, ემძლავრნენ ოვსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლანგთემურის ელნი მაჰმადიანნი, და შემოილტვოდნენ კავკასიასა შინა, და დაიპყრეს კავკასთა ნათესავნი, რომელ არიან დუალნი, და ოსეთს მიერით ეწოდა ჩერქეზი ანუ ყაბარდი და ამისთვის განირყუნა და იქმნა მრავალ სამთავროდ" (ბაგრატიონი 1973: 634).

ვახუშტი მე–18 საუკუნის პირველი მეოთხედის ოსეთის საზღვრებს მთლიანად კავკასიის მაღალმთიან ზოლში ათავსებს. „ხოლო აწინდელისა ამის ოვსეთისა საზღვარი არს: აღმოსავლეთით თრუსოსა და ხევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამÃრიდან ჩრდილოდ, და დასწყდების Ãევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე, ვიდრე ხეთაძე–ჩერქეზის მთამდე; სამÃრით მზღვრის კავკასი, ხევის ყელიდან წასული დასავლეთად, რომელ არს ბრუცსაბმელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა–დიგორ–ბასიანს შორისი კავკასნი; ხოლო ჩრდილოთ ჩერქეზსა და მათ შორის მთა მაღალი, და ჩერქეზის კერძოდ ტყიანი და ოსეთის კერძოდ უტყეო, არამედ ღელეებთა შინა მცირე ტყიანი;

და დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭასა და ჟღელეს შორისი, მერმე ბასიანსა და სუანეთს შორისი" (ბაგრატიონი 1973: 634).

გიულდენშტედტის აღწერის მიხედვითაც: ოსები ცხოვრობენ ბევრ ოსურ მხარეებში, რომლებიც არიან მთებში და ემორჩილებიან ქართველ მეფეს ან თავადებს და [ცხოვრობენ] თავისთვის და არა ქართველებს შორის (გიულდენშტედტი 1962: 187).

„ოსური მხარეა ვანათი. ქციას ჟამურსა და ლომისას ზევით, ყველა ქსანს ზემოთ, ემორჩილებიან ქართლის მეფეს და ქართლის თავადებს. ამ მხარეებიდან ოსთაგან [დასახლებულია]; ცხრაზმა ანდა ცხრაზმულა". (გიულდენშტედტი 1962:274-275).

გიულდენშტედტი მოგზაურობის დროს აღწერს შემხვედრ სოფლებს და მაცხოვრებელთა ეთნიკურ იდენტობას. 1772 წლის 30 ივნისს იგი გასულა ახალგორიდან ქსნის აღმოსავლეთი ნაპირის პარალელურად. ერთი საათის შემდეგ მისულა სოფ. იკოთში, როგორც წერს ქსნის აღმოსავლეთ მხარეზე დაუნახავს სოფ. იელდვა (?) და მოზრდილ მაღლობზე – ციხე წირქოლი, აქედან მეოთხედი საათის სავალზე სოფ. ორინტაში {ალბათ კორინთა} მისულა, როგორც წერს აქედან რამდენიმე ვერსით მაღლა უნდა იყოს სოფელი ალევი და მის ზემოთ ოსური მხარე საფერშეთი, ხოლო კორინთას პირდაპირ ზევით სოფ. ქურთა ქსნის დასავლეთ ნაპირზე, ერთი საათის შემდეგ მისულა სოფ. საძეგურამდე. აქედან ერთი საათის შემდეგ გაუვლია ძველი სასახლე ქვენი იფნე {ქვენიფნევი} ქსნის დასავლეთ მხარეზე, აქედან მეოთხედი საათის შემდეგ მისულა სოფ. საქორეთში, კიდევ მეოთხედი საათის შემდეგ ხის ხიდით გადასულა ქსანზე და მისულა ლარგვის ციხეში ანდა მონასტერში „ლარგვის ციხე ანდა მონასტერი მდებარეობს ქსნის მარჯვენა ნაპირზე მდინარე ჭურთას {ქსანთან] შეერთების ადგილას. დაახლოებით 1 ვერსის ზემოთ ერთვის ქსანს აღმოსავლეთის მხრიდან მდ. ქარჩოხი, რომელიც, როგორც ამბობენ მდ. ცხრაზმიდან 10 ვერსით მაღლა გამოდის. ყველა ამ მდინარეზე მდებარეობენ პატარა ქართული სოფლები, მათ სათავეებისაკენ კი არიან ოსური სოფლები. (გიულდენშტედტი 1962: 95–97).

ჰაკსტჰაუზენი, რომელმაც იმოგზაურა ოსებით დასახლებულ ქართლის ტერიტორიაზე, აღნიშნავდა, რომ ოსებს მეტად ძუნწი ცნობები მოეპოვებათ მათი ჩამომავლობის, გადმოსახლებისა და ისტორიის შესახებ. ამბობდნენ, რომ მათ წინათ სხვა ქვეყანა ეჭირათ, რომ ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან, კავკასიონის მთავარი ქედის გადმოლახვით, რომ წინათ ცხოვრობდნენ ქვეყანაში, რომელიც ახლა ჩერქეზებს უკავიათ, ისინი იქიდან გამოდევნეს სხვა ხალხებმა და დასახლდნენ „ახლანდელ ოსეთში" (სონღულაშვილი 2009: 59).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ ხეობას ერეკლე მეფის შთამომავლები მართავდნენ. იოანე ბაგრატიონს ქსნის ხეობაში ეკუთვნოდა ოსებით დასახლებული სოფლები: საფაშეთი; ოსებით დასახლებული უსახელო სოფელი იფნევს ზემოთ, ჩამონათვალში სოფელ ცხრაწყაროს მომდევნო სოფელი. ქართული სოფლის ჭურთის შემდეგ იოანე ახსენებს ოსების რვა სოფელს ჭურთის ხეობაში, ასევე ოსების სოფელ ძაბოეთს. აღწერის თანახმად, ქსნის ხეობაში ცხოვრობდნენ ე.წ. მუჯუხის ოსები, რომლებიც მიწერილი იყვნენ ცხრაძმის ხეობას; ოსები მიწერილი იყვნენ აგრეთვე ქარჩოხის ხეობას.



ჟამურის ხეობა მოიცავდა 9 სოფელს, რომელთა მოსახლეობაც მთლიანად ოსური იყო. ოსებითვე იყო დასახლებული ასევე ექვსი სოფელი მაღრან-დვალეთის ქსნის ნაწილში.

ქსნის სოფლების ნაწილი ეკუთვნოდა მეფისწულ ბაგრატს, რომელთა შორის ოსური მხოლოდ ერთი უსახელო სოფელი იყო (Ткавашвили 2010:277).

ქსნის საერისთავოს იმ ნაწილში კი, რომელიც უფლისწულ იულონს ეკუთვნოდა, არც ერთი ოსური სოფელი არ იყო. (Ткавашвили 2010: 277).

მოკლედ შევეხებით ქსნის ხეობაში, უფრო ზუსტად მის ზემო წელში, (ახალგორის რაიონში), ოსების ჩამოსახლებასთან დაკავშირებულ თეორიებს.

ისტორიულად საქართველოში ყოველთვის ჰქონდა ადგილი მთიანი ქვეყნებისათვის დამახასიათებელ, როგორც სხვადასხვა მიზეზებით (ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვ.) განპირობებულ შიდამიგრაციულ პროცესებს, ასევე მეზობელი ქვეყნებიდან, უცხო ეთნოსთა შემოსახლებას. „დღევანდელი (და ისტორიული საქართველოს) მოსახლეობის სიჭრელე, მოზაიკურობა სწორედ გარემიგრაციული პროცესებით არის განპირობებული. ვგულისხმობთ, როგორც ქვეყნის გარედან საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე უცხო ერთეულთა შემოსახლების, ისე ქართველთა მშობლიური ქვეყნიდან აყრა-გადასახლებისა და განთესვის ფაქტებს" (თოფჩიშვილი 2005:219). XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები სახლდებიან ჯეჯორისა და ქსნის ხეობის (ჟამურის) სათავეებთან. ჟამურში ისინი გადმოსახლდნენ როგორც ჩრდილო კავკასიის მთიანი რეგიონიდან, ისე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ზონიდან, კუდაროში კი ძირითადად დვალეთიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები პირველად დასახლდნენ დიდი ლიახვის, შემდეგ პატარა ლიახვისა და ქსნის სათავესთან (ჟამური) (Топчишвиди 2011: 83).

განსხვავებული შეხედულებები აქვთ ოს ავტორებს, რომლებიც ქსნის ხეობაში ოსთა ჩამოსახლების თარიღად ადრეულ შუასაუკუნეებს ასახელებენ: „თანამედროვე ლენინგორის რაიონში ოსური დასახლებები გაჩნდა ადრე შუასაუკუნეებიდან, ჯავის რაიონიდან (დიდი ლიახვის სათავეებიდან), თავდაპირველად ქსნის და შემდეგ ლეხურის ხეობაში გაჩნდა ოსური თემები: ქსნის სათავეებთან, ჟამურში (ჭურთაში), კარცუხში (ადრინდელი ქარჩოხი)-ქსნის შუაწელზე, ალევში ქსნის აღმოსავლეთით..". (Котаева 2011: 54)

კავკასიის მთებიდან უცხო ეთნოსის ჩამოსახლების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად მოსახლეობის შინაგანი გადაჯგუფება მიაჩნია ვახუშტი ბატონიშვილს: „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამა ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრონეთა მათგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან" (ბაგრატიონი 1973: 363-364).

ქსნის ხეობის მოსახლეობის მოძრაობა, როგორც ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემები მოწმობენ, ძირითადად მთიდან ბარისაკენ მიიმართებოდა. აღნიშნულ პრობლემას შეეხო აკად. გ. ჩიტაია, რომელიც წერდა, რომ პროცესი მთიდან ბარში ეთნიკური გადაჯგუფებისა უკანასკნელ ხანამდე გაგრძელებულა, რაც ახალგორის მაგალითზე განიხილა: სოფ. ჟამურიდან – ახალგორში, ხოლო ახალგორიდან ქანდაში; ლომისიდან – იფნევში (ხალიბეგაანში), ხოლო იფნევიდან წირქვალში და ა.შ. (ჩიტაია

2001:392–393).

ზემოთ აღინიშნა, თუ როგორ მიმდინარეობდა ქართველთა ნამოსახლარზე ოსების დამკვიდრება. შევეცდები ეს პროცესი ჩემ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ერთი სოფლის, კონკრეტულად სოფ. ახმაჯის, მაგალითზე წარმოვადგინო. ამ მასალების მიხედვით ოლქის შექმნის შემდეგაც 40-50-იან წლებამდე სოფ. ახმაჯი დუშეთის რ-ნში შედიოდა. ამის შესახებ 1938 წლის ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალებში აკად. გ. ჩიტაიაც წერს, რომ სოფ. ახმაჯი/ახმაჯა, ოძისთან ერთად ეკუთვნოდა დუშეთის რაიონს (ჩიტაია, 2001: 398).

ამ სოფლის ისტორია ტიპური მაგალითია იმისა, თუ როგორ იქცა წმინდა ქართული სოფელი შერეულ სოფლად, იგი XX საუკუნის 50-იან წლებამდე 45–50 კომლიანი პატარა ქართული სოფელი იყო, სადაც ცხოვრობდნენ: მაჭარაშვილები; ბერიანიძეები; ხუციშვილები; ბუთხუზები; ბურდულები; კობოურები; კობაძეები; ლიჩელი (ერთი ოჯახი); შიუკაშვილები; ჩაბოშვილები; გაგიშვილები; თოგოშვილები (გაქართველებული); ღუნაშვილი (ერთი ოჯახი). ახმაჯში ოსების გეგმაზომიერი ჩამოსახლება გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო, როცა ის ახალგორის რაიონს შეუერთდა. მაღალმთიანი ოსური სოფლებიდან (ორხევი, ბედოიანი, ხუბაანი, გოჭიანი) ჩამოასახლეს – გუცაევები, კაძილოვები, თუაევები, ბედოევები, მუზაევები, ხუბაევები. აღსანიშნავია, რომ ოსების ჩამოსახლების შემდეგ სოფელი დატოვა ქართული მოსახლეობის დიდმა ნაწილმა. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ დატოვა სოფელი ქართული მოსახლეობის ნაწილმა? ერთ-ერთი მიზეზი ის იყო რომ სოფელში სამოსახლო ადგილების სიმცირის გამო ქართველებს აღარ ჰქონდათ ოჯახის გაყოფის საშუალება, განაყარ ოჯახს აღარ აძლევდნენ სამოსახლოს. რა თქმა უნდა თავდაპირველად ჩამოსახლებულ და დამხვდურ მოსახლეობას შორის წარმოიშვა უკმაყოფილება, რადგან ქართველების მამაპაპეულ ნაფუძვრებში უცხო ეთნოსის წარმომადგენლები სახლდებოდნენ, მათ კი ამის საშუალებას აღარ აძლევდნენ. (აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩაატარეს ნაკვეთების ხელახალი გადაზომვები და, თუ ვინმეს ოცდახუთ მეასედზე მეტი ჰქონდა ჩამოაჭრეს და ისიც ჩამოსახლებულებს დაურიგეს). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაცლილი ოსური სოფლების ტერიტორიები სოფლის კოლმეურნეობის სახნავ-სათიბებს შეუერთდა, მაგრამ ეს გლეხებისთვის დიდი შეღავათი არ იყო. დროთა განმავლობაში პირველი უკმაყოფილება და წინააღმდეგობები სამეზობლო ურთიერთობით შეიცვალა. 80-იანი წლებიდან დაიწყო უკვე ქართულ-ოსური ოჯახების შექმნა, ქართველები და ოსები დანათესავდნენ მოყვრობითა და ნათელმირონობით და თითქოს ყველაფერი დალაგდა. სიტუაცია შეიცვალა 90-იანი წლებიდან, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა. საბედნიეროდ სეპარატისტების იდეების გამზიარებელი როგორც ზოგადად ქსნის ხეობაში, ისე სოფელ ახმაჯშიც მაშინ ძალიან ცოტა 2–3 კაცი აღმოჩნდა, რის გამოც ახალგორის რაიონის ოლქიდან გამოყოფის შემდეგ მხოლოდ ორმა ოჯახმა დატოვა სოფელი და გადასახლდა ალანიაში. მათ თავიანთი სახლები გაყიდეს და ისე წავიდნენ, 2008 წლის შემდეგ კი დაიბრუნეს ეს სახლები უკან სრულიად უფასოდ. სახლების ყოფილ პატრონებს კი დღეს ახალგორში შესვლის საშუალება აღარ აქვთ.

მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს „ახალი საცხოვრებელი გარემო გადასახლებულთა ყოფა-ცხოვრებაზე, წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე, როგორია სამეურნეო-მატერიალური და სოციალურ-კულტურული ადაპტაციის შინაარსი და დონე" (თოფჩიშვილი 1984:122). ვინაიდან ქსნის ხეობაში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ისტორიულად ძირითადად ქართული იყო, ჩამოსახლებული ოსური მოსახლეობა ითვისებდა ქართული ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელ თვისებებს, ენას, ზნე-ჩვეულებებს.

ისტორიკოს დ. გვრიტიშვილის მიხედვით, ქსნის ხეობის სათავეში ოსთა მასიური გამოჩენა XIII–XIV სს-ში დაწყებულა (გვრიტიშვილი 1955:57). უფრო ადრე კი ქსნის ხეობის სათავეებთან დვალურ მოსახლეობას უცხოვრია, რომლებიც ოსთა მოძალების კვალდაკვალ ხეობას დაბლა ჩამოჰყოლია, ადგილზე დარჩენილები კი მოსულებს შეერწყა და გაოსდა. ისტორიული წყაროები ქსნის ხეობის სათავეებთან გამოყოფენ მოსახლეობის ორ ფენას: ცხრაძმელები და დვალები. „ძეგლი ერისთავთას" მიხედვით, თრუსოს ხეობიდან მოყოლებული ბეხუშის მთის გაყოლება ცხრაძმისხეველთა და დვალთა შორის ზოლად ჩანს.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ოსთა ჩამოსახლების თარიღის შესახებ არ ეთანხმებიან სხვა მკვლევრები: ეთნოლოგ რ. თოფჩიშვილის აზრით, XIII–XIV საუკუნეებში ალან-ოსები ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთის მცხოვრებნი და, ბუნებრივია, არც სამხრეთ კავკასიის მთიანეთში ექნებოდათ ფეხი მოკიდებული. ოსების საბოლოო განდევნა ჩრდილო კავკასიის დაბლობი რაიონებიდან XV ს-ის დასაწყისიდან მიმდინარეობს. XV საუკუნეშივე იწყება ქართული პროვინციის, დვალეთის, კოლონიზაცია; იგი გრძელდებოდა მთელი XVI საუკუნე და XVII საუკუნეში დვალეთში დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციით მთავრდება, ნაწილი კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლდა (Топчишвили 2006: 5-7). ასევე მას დაუსაბუთებლად მიაჩნია ზოგიერთი ავტორის მოსაზრება, თითქოს ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში XVII–XVIII საუკუნეში განსახლდნენ, ის თვლის რომ ბარის ზონაში ოსების ჩამოსახლება XIX საუკუნიდან იწყება (Топчишвили 2011:84).

ეთნოლოგ ვ. ითონიშვილის მიხედვითაც: „ოსებმა XV–XVII სს-ში მაინც მოახერხეს საქართველოს მონაპირე მთის კუთხის – დვალეთის პირიქითა ნაწილის („ბუდე დვალეთის") ეთნოგრაფიული აბსბორცია და იქ მეჩხრად შემორჩენილ პირიქითელ დვალთა ნაშთების ასიმილაცია, რის შემდეგაც საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში კვლავაც დარჩენილი აღნიშნული მხარე „თუალგომის" სახელწოდებით ოსეთის ქვეყნის ერთ-ერთ თემად იქცა" (ითონიშვილი 1995: 12).

საქართველოში ოსთა ჩამოსახლებას სხვა ფაქტორებიც განაპირობებდ, კერძოდ, ცნობილია, რომ ქართველი მეფეები ხელს უწყობდნენ უცხო ეთნოსთა წარმომადგენლების ჩამოსახლებას საქართველოში, რასაც გამუდმებული ომებით გამოწვეული მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია განაპირობებდა. ოსთა ჩამოსახლებას საქართველოში XVII საუკუნის დამდეგიდან უკვე ყმების შოვნით დაინტერესებული ფეოდალები უწყობენ ხელს. აღნიშნულის შესახებ ვ. ითონიშვილი წერს: „XVII ს-ის დამდეგიდან იწყება ოს-ირონთა მშვიდობიანი და მნიშვნელოვანწილად ყმათა მომრავლებაში („ოსების შოვნაში") დაინტერესებული ქართული ფეოდალური წრეებისაგან სანქციონირებული გადმოსახლება ცენტრალური საქართველოს ჩრდილოეთი სექტორის მაღალმთიან ხეობებში" (ითონიშვილი 1995: 13), ანუ „ქსნის, არაგვის, რაჭის საერისთავოების,

აგრეთვე სამაჩაბლოსა და საწერეთლოს კუთვნილი ტერიტორიები ოსთა კომპაქტური დასახლებებით მოიფინა. XVIII ს-ის II ნახევრისათვის ოს მოახალშენეთა საერთო რაოდენობამ 5000-მდე კომლი შეადგინა. ასე ჩამოყალიბდა საქართველოს ძველთაძველ მიწა-წყალზე ე.წ. სამხრეთელ ოსთა ეთნიკური მასივი,რომელიც ქართულ წერილობით წყაროებში ,,პირაქეთი ოსების'', ,,აქათის მთის ოსების'', ან ,,არაგვის, ქსნის, ლიახვის და სამაჩაბლოს ოსების'' სახელწოდებით არის ცნობილი'' (ითონიშვილი 1995:13).

ზოგადად XVIII საუკუნის შუახანები მიიჩნევა ქართლში ოსთა მნიშვნელოვანი ჩამოსახლების ხანად. ამ პერიოდში ოს მოახალშენეთა რაოდენობამ უკვე 5000-დე კომლი შეადგინა (ღუნაშვილი 2007:79).

ეთნოგრაფი გ. ჩიქოვანი იმერეთში ოსთა ჩამოსახლების შესახებ წერს: ,,მდინარე ყვირილას სათავეების ტერიტორია ქართველებისაგან დაცლილი იყო (მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისი) და მემამულისათვის (აბაშიძე) სრულიად შემოუსავლიანი. ამ დანაკლისის ასანაზღაურებლად ,,აბაშიძეებმა ოსები ჩამოასახლეს მითითებულ ტერიტორიაზე. ამ ეტაპზე ოსები ხიზნების კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ...ოსებმა ამ ეტაპზე ოთხი სოფელი დააარსეს'' (ჩიქოვანი 2004:230-231).

დღევანდელი გადასახედიდან ქართველი მემამულეების ეს ქმედება მოწონებას ნამდვილად არ იმსახურებს: ,,ქართველი მემამულენიც სამშობლოს მიწაწყლისადმი დაუფიქრებელი დამოკიდებულებით ხშირად ხელს უწყობდნენ სხვა ტომელებზე მის გასხვისებას. გროშის ფასად ნაყიდ ქართულ მიწებზე დასახლებულ გადამთიელთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების მფლობელის პრეტენზია უჩნდებოდათ'' (სონღულაშვილი 2009:56).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XV საუკუნიდან ქსნის ხეობის ზედა წელში ოსური მოსახლეობა მკვიდრდება,ჯერ თრუსოს ხეობის ზედა წელში,ხოლო შემდეგ თანდათან დაბლა ეშვება, მაგრამ მას მაინცდამაინც აქტიური ხასიათი არ ჰქონია. 1774-1781 წლებში ქსნის საერისთავოს აღწერის მიხედვით (ჯავახიშვილი 1967:183-205), ოსების დამკვიდრების ადგილებშიც ძირითადი მოსახლეობა ისევ ქართველები არიან. თრუსოს, ქსნისა და ლიახვის ხეობის დვალები ვახუშტის დროს ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ (ჯალაბაძე 1975: 12). იქ, სადაც ოსეთის შესახებ არის საუბარი, რომლის საზღვარი დაახლოებით დღევანდელ ჩრდილო ოსეთს ეფარდება,აღნიშნულია, ,,ენა აქუსთ ძველი დვალური და აწ უბნობენ ოსურსა, ვინაიდგან ჩერქესთა ენა სხვა არსო'' (ვახუშტი 1973:639).

მონღოლების მოძალებით კავკასიონის ცენტრალურ რაიონებში შემოდევნილი ოსური მოსახლეობა,შემდგომ საუკუნეებში თანდათან ეშვება ბარისაკენ. ს. მაკალათიამ ზახორის (ახალგორის რ-ნი, სოფელი ლეხურას ხეობაში) შესწავლის მაგალითზე დაადგინა, რომ ზახორში, სადაც ახლა ქართველობა აღარ ცხოვრობს, ოსები მხოლოდ XVIII ს-ის ბოლოს გამოჩენილან (მაკალათია 1964:47). ქსნის ხეობის ქვედა სოფლებში ოსური მოსახლეობის ჩამოსვლა XIX საუკუნის მთელ მანძილზე მიმდინარეობდა, რაც დღემდე გრძელდება (ჯალაბაძე 1975:14).

ქსნის ხეობის ძირითადი და ძირძველი მოსახლეობის, ქართველების, განსახლება ხდებოდა ქარჩოხის ზედა წელიდან ქვემოთ, ცხრაძმურას და ჭურთის ხევიდან ქვემოთ



და ასევე ქსნის სხვა პატარა ხევების ჩათვლით. ქარჩოხის ზედა წელზე ჟამურის მიდამოებში და ცალკეული ხევების სათავეებში მოსახლეობდა დვალური მოდგმის ხალხი. XV საუკუნეებიდან ქსნის ზედა წელის ხეობის მიდამოებში ოსეთიდან შემოსული მოსახლეობა ჩნდება, რომელიც ადვილად მკვიდრდება დვალებთან ერთად და მიმდინარეობს მოსული მოსახლეობის დაფენება.

ეთნოლოგი გ. ჯალაბაძე ქსნის ხეობის ეთნიკურ სურათს აგვიწერს: ,,ქსნის ეთნიკური შემადგენლობა ისტორიულ ხანაში ასე წარმოგვიდგება: ძირითადი და ძირძველი მოსახლეობაა ქართველები, რომელთა განსახლება მოდიოდა ქარჩოხის ზედა წელიდან ქვემოთ, ცხრაძმურას და ჭურთის ხევიდან ქვემოთ და ასევე ქსნის სხვა პატარა ხევების ჩათვლით. ქარჩოხის ზედა წელზე ჟამურის მიდამოებში და ცალკეული ხევების სათავეებში მოსახლეობდა დვალური მოდგმის ხალხი. XIII–XIV საუკუნეებიდან ქსნის ზედა წელის ხეობის მიდამოებში ოსეთიდან შემოსული მოსახლეობა ჩნდება, რომელიც ადვილად ემკვიდრება დვალებთან ერთად და მიმდინარეობს მოსული მოსახლეობის დაფენება. ახალგორში ქსნის ერისთავთა რეზიდენციის შექმნასთან ერთად იქმნება ქალაქური ტიპის დასახლება, რომლის მცხოვრებთა კონტინგენტში XVII ს-ის II ნახევრიდან სომხებიც გვევლინებიან'' (ჯალაბაძე 1975: 14).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია დაწვრილებით განვიხილოთ ქსნის ხეობის ეთნიკური სურათი მთელი მისი ისტორიის მანძილზე, რადგან როგორც ქვემოთ დავინახავთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის დროს მისი ორგანიზატორები (როგორც ოსი, ისე ქართველი ბოლშევიკები) ხელმძღვანელობდნენ ,,ეთნოგრაფიული'' მონაცემებით. ( აქ ,,ეთნოგრაფიული'' ეთნიკურობას ნიშნავს მ.ბ.)

1770 წლის აღწერის მიხედვით, ქსნის საერისთავოში (რომელიც დიდად აღემატებოდა ქსნის ხეობის ფარგლებს) ყოფილა 2000 კომლამდე ოსი (დოლიძე, 1965:420). 1970 წლისათვის ქსნის ხეობის ლენინგორის რაიონის ფარგლებში 4300-მდე ოსი მცხოვრებია,რაც 800 კომლამდე მოდის (ჯალაბაძე 1975:2-20). აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ეხება მთელ ახალგორის რაიონს, რომელშიც ლეხურის ხეობის ოსური სოფლებიც შედის. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ქსნის ხეობის (ახალგორის რ-ნი) მოსახლეობა დაწყებული 1926 წლიდან კლებულობს. 1926 წელს მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 21,6 კაცს შეადგენდა, 1965 წლისათვის ეს რიცხვი 18,1 კაცზე ჩამოვიდა (კვერენჩხილაძე 1968:72). 1960 წელს ახალგორის (მაშინდელი ლენინგორი) მოსახლეობა შეადგენდა 16755 კაცს,1965 წელს 16078, ხოლო 1966 წელს 15832 კაცს (ჯალაბაძე 1975:22). დ. გვრიტიშვილი, ერეკლე მეორის აღწერის საფუძველზე, ქსნის საერისთავოში დაახლოებით 15 106 ოსს ანგარიშობს (გვრიტიშვილი 1955: 84)

ეთნოლოგი რ. თოფჩიშვილი მიიჩნევს, რომ გვრიტიშვილის მიერ მოტანილი სტატისტიკური მონაცემები, ზუსტი არ უნდა იყოს, რადგან თუ ,,1833 წლის სტატისტიკური მონაცემებით ოსების საერთო რაოდენობა საქართველოში არ აღემატებოდა 19.324 ადამიანს (Топчишвили 2011. 130), ქსნის საერისთავოში ზემოდასახელებული რაოდენობა გადაჭარბებული ჩანს.

მიუხედავად ზემოთ მოტანილი სტატისტიკური მონაცემებისა, ოსი ისტორიკოსები მიზანმიმართულად ზრდიან ოსთა რაოდენობას საქართველოში; თოგოშვილის მიხედვით,

1770 წლის 5 აპრილის ქართლ–კახეთის მოსახლეობის აღწერის შემაჯამებელი ნუსხაში .. ოსები 5460 კომლს შეადგენენ,ე.ი. დაახლოებით 30000 ოსი ცხოვრობდა საქართველოში. თოგოშვილისავე ვარაუდით ეს რიცხვი ზუსტი არაა და ოსთა რაოდენობა უფრო მეტი უნდა ყოფილიყო (თოგოშვილი 1983:20).

1802 წლის მონაცემებით ჯავის ოსები შეადგენდნენ – 20000,პატარა ლიახვის, მეჯუდის, ქსნის და არაგვის ოსებისა – 15000 სულს (თოგოშვილი. 1983:21). თოგოშვილს მოაქვს ვ. აბაევის მონაცემები სამხრეთელ ოსთა რიცხობრივი ზრდის შესახებ, რომელიც ასე გამოიყურება: 1818წ–30000 სული, 1832წ. – 31000, 1865წ – 40000 (თოგოშვილი 1983:23).

ოსებით დასახლებული რაიონების დემოგრაფიული სურათის ერთ-ერთი პირველი დოკუმენტია 1802 წ. თებერვალ-მარტში სამხედრო ექსპედიციასთან დაკავშირებული დოკუმენტი, რომელიც განხორციელდა: არაგვის, დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, მეჯუდის,ფცისა და ფრონეს ხეობაში. ამ სამხედრო კომპანიის მიზანი იყო ჩამოთვლილი ხეობების მაღალმთიან ზონებში მცხოვრები ოსების დამორჩილება,რაც აღკვეთდა მათ თავდასხმებს ქართულ სოფლებზე და უზრუნველყოფდა ამ ადგილებში რუსული მმართველობის დამკვიდრებას. ინტერესს იწვევდა ასევე ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის დამაკავშირებელი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი როკის უღელტეხილიც, ამ ექსპედიციის, რომლის ხელმძღვანელი იყო სიმონოვიჩი, მიზანი იყო აგრეთვე, რომ მთის მოსახლეობას მიეღო რუსეთის იმპერატორის მორჩილების ფიცი (Ткавашвили 2010:278).

ქართულ სოფლებზე ოსების თავდასხმები ისტორიულად დადასტურებული ფაქტია. ოსიანობის ასალაგმავად და ქვეყანაში ნორმალიზაციის მიზნით სამეფო ხელისუფლება რადიკალურ ზომებს მიმართავდა. მეფე ერეკლეს 1774 წლის 6 ივნისით დათარიღებულია საბუთი Приказ Ираклия арагвским осетинам в связи с совершенными преступлениями явиться для примирения и выдачи заложников. ეს და სხვა ერეკლესდროინდელი ანალოგიური ბრძანებები ცხადყოფს,რომ ჩატარებული ღონისძიებების მიუხედავად „ოსები კვლავაც არ ღალატობენ თავიანთი ცხოვრების წესს და ქართველთა დაყაჩაღებით ითბობდნენ ხელს. ამ საქმიანობით უმთავრესად მუყაითობდნენ საქართველოში დამკვიდრებული ოსები, რომლებიც ქურდობდნენ, ადამიანებს ატყვევებდნენ და ჩერქეზეთში ყიდდნენ". იმდენად რთულად იყო საქმე,რომ მეფე ერეკლე შემწეობას რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს პოტიომკინს თხოვდა (ითონიშვილი 2008: 129).

„განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში სიმონოვიჩის ექსპედიციასთან დაკავშირებული ტერმინები: ასე მაგ: „ქართველი ოსები", „ძველთაგანვე საქართველოს ქვეშევრდომი ოსები" და ა.შ. ეს კი ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, რომელსაც ნათელი შეაქვს მუდმივ გაუთავებელ კამათში აღნიშნული ტერიტორიების პოლიტიკური კუთვნილების შესახებ (Ткавашвили 2010:280). აღნიშნულ დოკუმენტშივე მოიპოვება ფასეულ ინფორმაცია ისტორიული დვალეთის შესახებ. რუსი ჩინოვნიკების ცნობების მიხედვით დვალეთის ხეობები: ნარა, ზახა და ა.შ. არის ქართლ-კახეთის სამეფოს სამფლობელოები (Ткавашвили 2010:280).

სიმონოვიჩის ექსპედიციის დოკუმენტებში, რუსეთის ოფიციალურ საბუთებში, საქართველოში მცხოვრები ოსების დემოგრაფიის შესახებ ნათლად წერია, რომ



ექსპედიციის დროს 1802 წელს, ოსების საერთო რაოდენობა ფცის, დიდი და პატარა ლიახვის, არაგვისა და ქსნის ხეობაში არ აღემატებოდა 35 000 კაცს (Ткавашвили 2010: 2 80). თუმცა ავტორს ეს ციფრიც გადაჭარბებული ჰგონია.

1839 წლის მონაცემებით: ჭურთის ხეობაში ცხოვრობდა 240 ოსური ოჯახი – (240x7= 1680); ჟამურის ხეობაში კი 150 ოჯახი, - (150x7=1050) (Ткавашвили 2010:288).

უნდა ითქვას,რომ საქართველოში,ყოველთვის ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები. მრავალეთნიკურ ქვეყნებში კი ერთა შორის ურთიერთობის საკითხის მოგვარება, ეროვნული პოლიტიკა და ეროვნული ინტეგრაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნული უმცირესობების მდგომარეობასაც და ზოგადად ქვეყნის სტაბილურობასაც. ქართველი ადამიანი ყოველთვის ამაყობდა თავისი ტოლერანტული ბუნებით და არც თუ უსაფუძვლოდ, ვინაიდან საქართველოს ისტორიაში ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება არ მომხდარა. შეიძლება ითქვას, რომ ეთნოსთა შორის ურთიერთობები, მათ შორის ოსებთან, ჩვენს ქვეყანაში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თანდათან უარესდებოდა. ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მოახერხა ოსების ქართველებისაგან გაუცხოება.

„არ შეიძლება ითქვას, რომ ოსთა ჩამოსახლებას საქართველოს ტერიტორიაზე მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა. ოსები ძალით იკაფავდნენ გზას, როგორც დვალეთის, ისე შიდა ქართლის მთიანეთში. ისტორიული დოკუმენტები მეტყველებს, რომ ოსების თავდასხმებისგან შეწუხებული ქართული სოფლის მოსახლეობა ტოვებდა წინაპართა მიწას და სახლდებოდა ბარში. მტრის გამუდმებულმა თავდასხმებმა, შიდა ქართლის როგორც მთიანეთი,ისე ვაკის რეგიონები დემოგრაფიული კატასტროფის საშიშროების წინაშე დააყენა" (Топчишвили 2011: 85).

როგორც ეთნოლოგი ვახტანგ ითონიშვილი წერდა: ქართველი და ოსი ხალხების „ხანგრძლივი და ფრიად ინტენსიური ურთიერთობის ობიექტური კვლევა ნიადაგ გულისხმობს ყურადღების გამახვილებას აღნიშნული ურთიერთობის როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ მხარეებზე, რაც დღესდღეობით უკიდურესად გამწვავებული „ეთნოკონფლიქტის" მექანიზმში სრულფასოვანი გარკვევისა და ოსთა უპრეცედენტო ტერიტორიული პრეტენზიების მოტივების სკრუპულოზური გამოვლენის აუცილებელ პირობას წარმოადგენს" (ითონიშვილი 1995:38).

საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ოსებისათვის შექმნილმა ავტონომიურმა ოლქმა (ოლქის შექმნის სამართლიანობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი) კი ოსებს ახალი ამბიციები გაუჩინა. ავტონომიური ოლქის პასუხისმგებელი მუშაკები ხელს უწყობდნენ რუსული ენის პოზიციების გაძლიერებას ქართული ენის ხარჯზე, ავტონომიური ოლქის ოსურ სკოლებში კონსტიტუციით აღიარებული საქართველოს სახელმწიფო ენა არ ისწავლებოდა. ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე მსჯელობისას გასათვალისწინებელი ფაქტორია ის, რომ ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტი არის ეთნოსის ან ეთნიკური ჯგუფის „სახელით" მიმდინარე დავა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ცხოვრების, მისი ფლობის და მართვის უფლების გამო. მთელ ეთნიკურ ჯგუფს ან მის უმრავლესობას არასოდეს უჩნდება ტერიტორიული პრეტენზიები. მოთხოვნებს როგორც წესი წამოაჩენებს პოლიტიკური ელიტა, პოლიტიკური პარტიები, მათი ლიდერები ინტელიგენცია და სხვა. (მელიქიშვილი

2006:83-84). ამდენად ეთნიკური ჯგუფის სახელით ტერიტორიული პრეტენზიების წინ წამოწევა სულაც არ ნიშნავს იმას რომ მთელი ეთნოსი უცხადებს სოლიდარობას ამგვარ მოთხოვნებს. ამის ნათელი მაგალითი იყო კონფლიქტის დასაწყისში (XX ს–ის 90-იანი წლები) ქსნის ხეობის ოსური მოსახლეობის უმრავლესობის შეხედულებები და განწყობა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეროვნული მოძრაობის რადიკალურად განწყობილი ნაწილი ახერხებს მოსახლეობის უმრავლესობის ჩაბმას ეთნოკონფლიქტში. მართალია ქსნის ხეობის ოსური მოსახლეობა იარაღით არ იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ, მათი უმრავლესობა თავდაპირველად არ მიესალმებოდა მომხდარს, მაგრამ სამწუხაროდ დღეს განწყობა თანდათან იცვლება.

იმისათვის, რომ გავიგოთ ის საშიშროება, რაც ქართულ-ოსურ ურთიერთობას ემუქრება (მხედველობაში მაქვს ქსნის ხეობის მოსახლეობა) აუცილებელია გავეცნოთ ოსი ისტორიკოსების ნაშრომებსა და თანამედროვე ოსურ მასმედიის მონაცემებს. ქართულ-ოსური კონფლიქტის გაღვივებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ოსი ისტორიკოსების ნაშრომებმა შეასრულა, სადაც ისტორიული ფაქტები დამახინჯებულადაა წარმოდგენილი; მათი თქმით საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე შიდა ქართლი ოსთა განსახლების ოდინდელი არეალი ყოფილა; რომ თურმე ვახტანგ გორგასლის დროსაც არსებობდა „სამხრეთ ოსეთი და ეს ტერიტორია მერე ქართველმა მეფეებმა და ფეოდალებმა მიითვისეს", რომ „ამ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ოსთა ეთნოგენეზი" და ა.შ. და ა.შ.

ზოგიერთი ოსი ისტორიკოსი ისე შორს მიდის, რომ ყოველგვარი ისტორიული დასაბუთების გარეშე აცხადებს, რომ ეს მოხდა ხუთი ათასი წლის წინ მარკ ბლიევისთვის ადრე შუა საუკუნეების ქართლის (იბერიის) სამეფო ქართულ-ოსური კონფედერაციაა (Топчишвили 2006; თოფჩიშვილი 2012: 48-49). „არანაირი საფუძველი არა აქვს მოსაზრებას, თითქოს ოსები საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. არც ერთი ისტორიული წყარო, დოკუმენტი, არც არქეოლოგიური მასალა არ ადასტურებს საქართველოში ოსების მიგრაციას ჩვენს წ.აღ-დე, ისევე როგორც არც ჰუნების შემოსევას IV ს-ში ჩვენი წ.აღ-ით გამოუწვევია ალან-ოსების მიგრაცია საქართველოში. აღნიშნულ პერიოდში ისინი დონისა და აზოვისპირა სტეპებიდან გადმოსახლდნენ შედარებით სამხრეთში, ჩრდილო კავკასიის მთისწინა ზოლში" (Топчишвиди 2011:1-82).

ოს ისტორიკოსებს ასეთი ამბიციისა და სხვისი მიწების მისაკუთრებაში ძლიერი მფარველი უწყობს ხელს. რისი ნათელი დადასტურებაა 2004 წელს რუსეთის დუმისა და მაღალი სახელმწიფო პირების განცხადებები, რომელთა მიხედვითაც, თურმე, რუსეთმა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი 1774 წელს ერთად შეიერთა და, სამხრეთ ოსეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი არც ყოფილა.

ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი მოუწოდებდა მშობლიურ ხალხს, რომ არ ჰყოლოდა სეპარატისტთა პროვოკაციულ გამოხტომებს და ავანტიურისტულ თეზას „ორი ოსეთის" გაერთიანების შესახებ, იგი წერდა: „კავკასიონის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოს და ოსეთს შორის და ყოველგვარ ცდას ამ საზღვრის წაშლისა, მოჰყვება ჰერმანენტული კონფლიქტური ვითარება ქართველებსა და ოსებს შორის. იმისათვის, რომ ტრადიციული მეგობრობის კალაპოტში ჩავაყენოთ ორი ხალხის ურთიერთობა, უნდა მოვსპოთ ლაპარაკი სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან



გამოყოფაზე. საქართველოს არც ერთი მთავრობა ამ აზრს არასოდეს დაეთანხმება და მართალიც იქნება, იმიტომ რომ ეს იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ვისაც სამხრეთ ოსელთა და ქართველთა შორის მშვიდობა უნდა მან სამუდამოდ უნდა უარყოს სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთთან შეერთების იდეა. ვისაც საქართველოსა და რუსეთს შორის მშვიდობა სურს, ასევე უნდა თქვას უარი ამ იდეაზე, ასეთია რეალობა". (აბაევი 1992)

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების გაანალიზება შეუძლებელია, თუ ღრმად არ გავეცანით XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. როგორ და რა დამსახურებისათვის „გამოჭრა" საბჭოთა ხელისუფლებამ (ბოლშევიკებმა), საქართველოში ოსებისათვის ე.წ. „ეთნოგრაფიულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორია", და ყველა საერთაშორისო წესის დარღვევით შექმნა „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი. ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, ოსებს დაუფასა ის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელსაც ისინი ეწეოდნენ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და დაჯილდოვდნენ შიდა ქართლში ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით, თორემ ასეთი ავტონომიური წარმონაქმნის ფორმირებისათვის არც ისტორიული, არც სამართლებრივი და არც დემოგრაფიული საფუძველი არ არსებობდა. როგორც ცნობილია, „არ არსებობს პრეცედენტი, რომ რომელიმე ქვეყანას, მის ტერიტორიაზე მცხოვრებ არადომინანტი მოსახლეობისათვის, რომელსაც ისტორიული სამშობლო სხვაგან აქვს, შეექმნას სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი (Джапаридзе 2010:384).

ყველა დროში და ყველა ქვეყანაში ავტონომია ეძლევა იმ ხალხს, რომელიც მოცემული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობაა, მაგრამ სხვადასხვა ისტორიული მოვლენების გამო სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდება, მაგრამ „რაკი ოსები შიდა ქართლის მკვიდრი მოსახლეობა არ არის, მათთვის ამ ტერიტორიაზე ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭება ქართველი ხალხის სუვერენული უფლების დარღვევა იყო. ოსებისათვის ავტონომიის მინიჭება იურიდიულად წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის დაკანონებას"(სონღულაშვილი 2009:116.).

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევი მიზეზი, როგორც ცნობილია დაკავშირებულია ქართულ-ოსურ დაპირისპირებასთან, (ოსებისა და რუსეთის სახელმწიფოს ინტერესთა დამთხვევასთან) რაც გამოწვეულია ოსი სეპარატისტებისა და მათი მფარველების მიერ საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციასა და ისტორიული შიდა ქართლის მიტაცების მცდელობასთან, რომელიც სათავეს XIX საუკუნიდან იღებს, იგი რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებასა და ახალი ტერმინების, ჯერ „სამხრეთელი ოსების" და შემდეგ „სამხრეთ ოსეთის" თანდათანობითი დამკვიდრებიდან იწყება.

ტერმინის – „სამხრეთ ოსეთის" დამკვიდრების მიმართულებით პირველი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებლად და მთავარსარდლად დანიშნულ – გენერალ კნორინგის მიერ, მან რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ 1802 წლის 26 მარტის პატაკში დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ოსებით დასახლებულ მთიან რეგიონებს უწოდა „ოსეთი". კრონინგის მიბაძვით სხვა რუსი მოხელეებიც იყენებენ ამ ტერმინს და თანდათან ზრდიან მის საზღვრებს,

მას უმატებენ ქსნის, მეჯუდას, ლეხურას და ფცის ხეობების მთიან მონაკვეთებსაც. მაგრამ აღნიშნული ტერმინის გვერდით 1802-1837 წლების რუსულ დოკუმენტებშივე ფიქსირდება ასევე: „საქართველოს ოსეთი", „საქართველოს ოსები", „ქართლის ოსები", „ჩრდილოეთ ქართლის ოსები", „იმერეთის ოსები". (სონღულაშვილი 2009:86-87.).

1830 წლიდან ჩნდება ოპოზიციური ტოპონიმიური წყვილი –„Южная Осетия", და „ Северная Осетия". ისტორიკოსი ა. სონღულაშვილი თვლის, რომ ანონიმი ავტორი გაზეთ „Тифлиские ведомости-ში დაბეჭდილ პუბლიკაციებში ამ ტერმინს საკუთარი ინიციატივით ხმარობდა (სონღულაშვილი 2009:87). ოფიციალურ მიმოწერაში ეს ტერმინები ჯერ დამკვიდრებული არ ჩანს, ასე მაგ. 1830 წელს გრაფი პასკევიჩი სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვს წერდა: „ოსი ტომის დაშოშმინებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიე მცირე სამხედრო ოპერაციის ჩატარება. ეს ექსპედიცია მიმართული იქნა კავკასიის მთიანეთის სამხრეთით მდებარე ჩრდილოეთ ქართლის ოსების წინააღმდეგ" (ითონიშვილი 2002:193-200).

ამის შემდეგ ეს ტერმინი ძალზე იშვიათად გვხვდება მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. იმ დროს,როგორც პროფესორი პფაფი აღნიშნავდა,ჯერ კიდევ „ყველა ამიერკავკასიელ ოსს ახსოვს,რომ გადმოსახლდა ჩრდილოეთიდან",ხოლო აკადემიკოსი ნ. დუბროვინი კი მიუთითებს: „მცირემიწიანობის გამო ოსების ნაწილი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოსახლდნენ... დაიკავეს რა დიდი და მცირე ლიახვის, ქსნისა და მისი შენაკადების ხეობები, ოსები გახდნენ თავად ერისთავებისა და მაჩაბლების ყმები. ეს გადმოსახლებულები შეადგენენ სწორედ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას" (კვირიკაშვილი 2010).

იურიდიულად ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" დაკანონებული იქნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის აპრილის დეკრეტით №2; რომლის თანახმად საქართველოს უძველესი პროვინცია ყოველგვარი ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამოცხადდა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად" (Лекишвили 2008:248).

რადგან კარგად იციან ტოპონიმიური სახელების მნიშვნელობა, ქართული გეოგრაფიული სახელების გადარქმევა და ოსური სახელების დარქმევის ტრადიცია დღესაც გრძელდება. დღეს ახალგორში რამდენიმე სოფელს უკვე შეუცვალეს სახელი. ასე მაგ; სანამ ახალგორში შევალთ არის სოფელი მოსბრუნი,მას ჯერ დაარქვეს – Мосабрун, შემდეგ რაზდახან (Раздахан); ნაგომევსაც შეუცვალეს სახელი – ტიდჟიტა (Тыджыта); ჟამურს – ძიმირ (Дзимыр); ქარჩოხს – კარცუხ (Карцух); ალევს – Алеу;

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ,თუ საიდან და როდის შემოსახლდნენ ოსები საქართველოში, სამწუხაროა რომ ისედაც ცხადი ჭეშმარიტების დამტკიცება გვიწევს.

1992 წლის 3 მარტს ვაშინგტონში, რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" სააქტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ბჭობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობაზე. განხილულ საკითხთაგან ერთერთი ცენტრალური იყო სიტუაცია კავკასიაში. ცნობილმა სოვეტოლოგმა, პროფესორმა ვიქსმანმა, ინტერვიუში „სამხრეთ ოსეთის" საკითხის განაცხადა განაცხადა: „ეჭვი არ არის, რომ ქართველებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სამხრეთ ოსეთის პრობლემა. ეს



საქართველოა. ოსებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი მონღოლ-თათართა კავკასიაში ყოფნისას. ქართველებმა შეიფარეს ოსები. ჩემთვის,– ამბობს ამერიკელი ექსპერტი,ნახსენებ საკითხთა შორის ყველაზე ბუნდოვანია სამხრეთ ოსეთის პრობლემა. საერთოდ ისმის კითხვა: რატომ გაჩნდა ეს პრობლემა? არაფერია იმაზე ნათელი,რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოა. (კვირიკაშვილი 2010).

ქართველი ისტორიკოსებისთვისაც არ არის საკამათო,რომ „ოსები საქართველოში ჩრდილოეთიდან ჩამოვიდნენ. საუკუნეთა მანძილზე ოსთა მასა თანდათანობით იკავებდა ქართულ მიწებს და ალაგ-ალაგ ოსთა კომპაქტურ დასახლებებს ქმნიდა. საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა ჩამოსახლების თეზისი საკამათო არ უნდა იყოს. კამათი შეიძლება მხოლოდ იმაზე, თუ პირველად როდის, რომელ საუკუნეში და რა რაოდენობით დაიკავეს ოსებმა ქართული მიწები" (თოიძე 1991:7).

თანამედროვე კონფლიქტი XX ს-ის 90-იან წლებში დაიწყო როდესაც ოსი მოსახლეობის ერთმა ნაწილმას სკკპ ცეკას მაშინდელ გენერალურ მდივანს გაუგზავნა ცილისმწამებლური წერილი ქართველებისაგან ოსების, მათი კულტურისა და ენის შევიწროების შესახებ. ეს მაშინ, როდესაც ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" ყველა პირობა იყო შექმნილი ოსების კულტურისა და ენის განვითარებისათვის. 1988 წელს ცხინვალში პირველი მასობრივი ანტიქართული დემონსტრაცია მოეწყო „ადამონ ნიხასი"-ს ხელმძღვანელობით.

სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული პოლიტიკური პროცესები გეგმაზომიერად წარიმართა. 1990 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ; ნოემბერში სამხრეთ ოსეთი საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო დეკემბერში სეპარატისტებმა სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელით სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ", სადაც ნათქვამი იყო „გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს დადგენილება ავტონომიური ოლქის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად" გარდაქმნის შესახებ... როგორც ვხედავთ ამ დადგენილებით ავტონომიური ოლქის სტატუსს არ შეხებიან, მაგრამ ოსი სეპარატისტების დაუმორჩილებლობას და ძირგამომთხრელ საქმიანობას მოჰყვა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამხრე ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ" და 1990 წლის 11 დეკემბერის დადგენილება „ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ"

( გურული 203:229).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ცხინვალში ანტიქართული გამოსვლების პარალელურად, ქსნის ხეობაში, ახალგორშიც ტარდება ქართველი მოსახლეობის ხალხმრავალი, პერმანენტული მიტინგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან გამოყოფისა და უშუალოდ, ცალკე რაიონად ჩამოყალიბების მოთხოვნით. 1992 წლიდან ახალგორის რაიონი ცალკე მუნიციპალიტეტედ ჩამოყალიბდა. 1995 წლიდან 2007 წლამდე ახალგორის მუნიციპალიტეტი შედიოდა მცხეთა მთიანეთის სამხარეო

ადმინისტრაციაში.

1989 წელს „ოსეთის მშრომელების" და „ადამონ ნიხასის" მიმართვაში წამოყენებული იყო მოთხოვნა „ორი ოსეთის" გაერთიანების შესახებ. მოთხოვნა იგივეა რაც იყო XX ს-ის 20-იან წლებში, მაშინაც დაიძაბა ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა და დაიღვარა სისხლი, მაგრამ ეს ქართველების ინიციატივით არ მომხდარა. პირველი სისხლიანი შეტაკება მოხდა 1918 წლის მარტში, ეს აჯანყება ქართულმა სახალხო გვარდიამ ჩაახშო.

1918 წლის 2 აგვისტოს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა გრიგოლ ვეშაპელმა მოიყვანა იმ პერიოდის ქართულ პრესაში დაბეჭდილი ქართველი მწერლის (დედით ოსის) ია ეკალაძის სტატია რომლის შინაარსი დღესაც აქტუალურია, ამიტომ მოვიყვან მცირე ამონარიდს: „როდესაც საქართველოს მიწა-წყალზე, ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებს ჩვენში სამადლოდ ჩამოსახლებულ ოსებს მათი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ეს არამც თუ უმადურობაა, არამედ დიდი უსამართლობაც, რომელიც დაიწყო ოცი-ოცდაათი წლის წინათ. ინიციატორებად შეიქმნენ ჯერ რუსის მოხელეები, ცნობილი ვოსტორგოვის მეთაურობით, და მერე ოსის ნასწავლი ახალგაზრდობა, რომელიც გამოიზარდა რუსის სკოლებში, როგორც რუსეთის სტიპენდიანტები. ვოსტორგოვმა და ამ ახალგაზრდებმა მოწამლეს საქართველოს ოსების მასა და ეს შხამი არ გადაერეცხებათ გულიდან იქამდე, ვიდრე თავისუფალი საქართველო არ ალაგმავს ხალხის მტრებს და არ დაანახვებს საქართველოს ოსებს მათ შეცდომებს...." (თოიძე 1991:28) იქვე გრიგოლ ვეშაპელი აღნიშნავს, რომ „საქართველოში არიან მხოლოდ ოსები და არა ოსეთი, საქართველოში შეიძლება ოსებზე ლაპარაკი და არა ოსეთზე."

არეულობა გრძელდებოდა 1919 წელსაც, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო ბოლშევიკებისაგან შედგებოდა და იგი არ ცნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას.

როგორც ავღნიშნეთ, მოთხოვნა („ორი ოსეთის" გაერთიანების შესახებ) აქტიურად განიხილებოდა XX ს-ის 20-იან წლებშიც, განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, რა თქმა უნდა ეს იყო გარედან ინსპირირებული; აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქართველი ბოლშევიკების „დამსახურებაც". ზოგიერთ ეროვნულ უმცირესობასთან საქართველოს მთავრობის გართულებულ ურთიერთობებს მოხერხებულად იყენებდნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას აღუთქვამდნენ ეროვნულ უმცირესობებს მთავრობასთან ბრძოლაში, გამარჯვებისა და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ავტონომიასაც ჰპირდებოდნენ. აღნიშნული საქმიანობისათვის ბოლშევიკები ეფექტურად იყენებდნენ საქართველოში შექმნილ ე.წ. „ეროვნულ საბჭოებს", რომელთა შორის ძირგამომთხრელი საქმიანობით გამოირჩეოდა ოსების ეროვნული საბჭო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაპირისპირება იყო ქართველ და ოს ბოლშევიკებს შორისაც.

ოსი ბოლშევიკები პარტიის წესდების გვერდის ავლით უშუალოდ უკავშირდებოდნენ მოსკოვის ცენტრალურ ხელისუფლებას და მოითხოვდნენ რუსეთთან შეერთებას. ამ მხრივ აღსანიშნავია „სერგო ორჯონიკიძის არქივში აღმოჩენილი, 1920 წლის 2 ივნისით დათარიღებული, ოსი კომუნისტების მემორანდუმი, რომელშიც საკმაოდ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მათი პოზიცია: 1. სამხრეთ ოსეთი არის საბჭოთა



რუსეთის დაუმარცხებელი ნაწილი; 2. სამხრეთ ოსეთი შედის საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში უშუალოდ, საერთო საფუძველზე; 3. რუსეთის შემადგენლობაში შესვლას არა უშუალოდ, არამედ საქართველოს, ან რომელიმე სხვა რესპუბლიკის მეშვეობით, თუნდაც ის საბჭოთა იყოს, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ" (დაუშვილი 2012:263-2640).

როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევარი ა. დაუშვილი აღნიშნავს: „ამ დოკუმენტს არავითარი იურიდიული ძალა არც მაშინ ჰქონდა და არც დღეს აქვს, მაგრამ დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები ოს კომუნისტების ერთ ჯგუფს დიდხანს გაჰყვა და აშკარად თუ ფარულად მასში გამოთქმული ანტიქართული შეხედულებების რეალიზაციას მუდამ ცდილობდნენ" (დაუშვილი 2012:264).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით შემოსულ რუსულ შენაერთებს „1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასული ოსთა შეიარაღებული რაზმები შემოჰყვნენ წითელ არმიას. მათი რევანშისტული მიზნები მალე გაცხადდა ქართული სოფლების და ცხინვალის მოსახლეობის დარბევით" (თოიძე 1991:48).

საინტერესოა, ზოგიერთი ოსი ისტორიკოსის მოსაზრებების ცვლილება „„დროის შესაფერისად". ასე მაგალითად, გ. თოგოშვილის მიხედვით ვახუშტის ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებაში დაცულია ძვირფასი ცნობები ოსთა განსახლების, მათი საცხოვრებელი ტერიტორიის ფიზიკურ გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ეთნოპოლიტიკური დახასიათების შესახებ (თოგოშვილი 1977: 29-30).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ვახუშტი XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ოსეთის საზღვრებს მთლიანად კავკასიის მაღალმთიან ზოლში ათავსებს. როგორც ეთნოლოგი ვ. ითონიშვილი წერს: „საბედნიეროდ, ვახუშტის ჩვენებებთან უნისონში „ოსეთს" ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ქვეყნად ცალსახად წარმოაჩენენ XVIII ს-ის და XIX ს-ის დამდეგის რუსული წერილობითი და კარტოგრაფიული მასალებიც" (ითონიშვილი 1995:29.).

ვახუშტის ცნობებზე დაყრდნობით გ. თოგოშვილი ასკვნის რომ „XIII საუკუნის 40-იანი წლებისათვის „კავკასიათა შინათა" ოსთა მასობრივი შეღწევის ფაქტი დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს", თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ვახუშტის სიმძიმის ცენტრი მეორე ეტაპზე გადააქვს, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგან ჩრდილო კავკასიის ველის რაიონებიდან მათ გამოდევნას ამ რაიონებში ადიღეური ტომის – ყაბარდოელების დამკვიდრება მოჰყვა, რამაც ამ რაიონებში დაბრუნების პერსპექტივა გამოაცალა ოსებს (თოგოშვილი 1977: 130), აგრეთვე „ჩვენ ვიცით, რომ კავკასიის მთებში მონღოლთაგან დევნილი ოსები დიდ მასებად გადმოდიოდნენ ქართლის ბარში და აქ დამკვიდრებას ცდილობდნენ. მაგრამ ვახუშტის ცნობით, გიორგი ბრწყინვალემ ისინი ქართლის ბარის რაიონებიდან განდევნა...ხოლო რათა მომავალში ქართლში მშვიდობიანობა არ დაერღვიათ, გადმოსავალი გზები თვით დაიპყრა" (თოგოშვილი 1977: 13–14).

თუმცა იგივე ავტორი (თოგოშვილი მ.ბ.) ნაშრომში „ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობა (1801-1921), გვერდს უვლის ისტორიულ რეალობას და „სამხრეთ ოსეთი" მას მიაჩნია ქართლის სამეფოში შემავალ ტერიტორიულ ერთეულად, „სამხრეთ ოსეთი

როგორც ქართლში შემავალი ტერიტორიული ერთეული მასთან ერთად რუსეთის ნაწილად იქცა. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ სამხრეთ ოსეთში რუსული მმართველობა დამყარდა" (თოგოშვილი 1969:5). იგი შიდა ქართლს ოსეთს უწოდებს, 1983 წელს ცხინვალში გამოცემულ მის წიგნს, სადაც საქართველოში მცხოვრები ოსების ზრდის დინამიკაზეა საუბარი, აწერია „ოსეთის მოსახლეობა".

ცნობილია, რომ „ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა შვიდი ქართული სათავადო სახლის (სამაჩაბლოს, ქსნის საერისთავოს, რაჭის საერისთავოს, საწერეთლოს, საამილახვროს, საფალავანდიშვილოს, საფავლენიშვილოს და ე.წ. სავახტანგოს) კუთვნილი მიწაწყლის ხარჯზე" (ითონიშვილი 1995:23).

ამრიგად, XV საუკუნიდან საქართველოში, შიდა ქართლის ჩრდილოეთ განაპირა ხეობებში შემოსახლებული ოსები, რომლებიც დასახლდნენ ზემოაღნიშნულ სათავადოების მიწებზე როგორც ხიზნები,ზოგიერთი თანამედროვე ოსი ისტორიკოსებისა და მათი მხარდამჭერი რუსი პოლიტიკოსების მიხედვით ყოფილან „ოდითგანვე" საქართველოს ტერიტორიაზე აბორიგენი მოსახლეობა და მათ აქვთ თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება. ბუნებრივია ასეთი უფლება ყველა ეთნოსს აქვს მაგრამ საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე, სხვა შემთხვევაში კომპაქტურად დასახლებულ უცხო ეთნოსებს აქვთ მხოლოდ კულტურული ავტონომიის უფლება, ასეთია საერთაშორისო გამოცდილება.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს თავიანთი ეროვნების ბატონი არ ჰყოლიათ. არსებობს მოსაზრება, რომ „..ამ ორი ერის ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტს გარკვეულ დაღს მაინც ასვამდა საზოგადოებაში სოციალურ-კლასობრივი ადგილების ასეთი განაწილება: გლეხი – ოსი, მემამულე – ქართველი (ცხადია იგულისხმება ოსებით დასახლებული შიდა ქართლის რაიონები). ე.ი. ოს გლეხს ქართველი და მემამულე ადეკვატურ ცნებებად წარმოესახებოდა. მაგრამ ამაში ქართველთა დადანაშაულება საერთოდ აბსურდულია. ქართველ თავადებს ხომ ოსები თავიანთ მამულებში ძალით არ დაუსახლებიათ. ეს ურთიერთობა ხომ თავად ოსებმა აირჩიეს.."(თოიძე 1991: 8).

ის, რომ ოსებს თავიანთი ეროვნების ბატონები არ ჰყავდათ, მათი ჩამოსახლების გვიანდელ პერიოდზე მეტყველებს. როგორც ეთნოლოგი რ. თოფჩიშვილი წერს: „ოსები რომ დიდი ხნის ჩამოსახლებულები არ იყვნენ შიდა ქართლის მთიანეთში, ამის დამადასტურებელია მათი სოციალური მდგომარეობა. XIX საუკუნის მოსახლეობის აღწერის დავთრებში დიდი ლიახვის ხეობაში მოსახლე ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ხიზნებადაა ჩაწერილი. ხიზანი კი, როგორც ქართული საისტორიო წყაროებითა და სათანადო გამოკვლევებით ცნობილია, საკუთარ სამკვიდრებლიდან აყრილი და სხვაგან თავშეფარებული გლეხია" (თოფჩიშვილი 2012: 31).

ცნობილია ისიც, რომ ოსთა წინაპრებმა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში დასახლებამდე მიგრაციის რთული და ხანგრძლივი გზა გაიარეს. შუა აზიიდან მიგრირებულნი ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ ჯერ აზოვის ზღვასა და ვოლგას შორის გადაჭიმულ ვრცელ ტერიტორიაზე, მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის IV ს-ის 70-იანი წლებიდან ჩამოაღწიეს მათ ჩრდილოეთ კავკასიის ბარსა და მთისწინა ადგილებში (თოფჩიშვილი 2005:182-183).



საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკამ და ტოტალური რეჟიმის კრიზისმა XX საუკუნის ბოლოს გაამწვავა „ერთიან ძმურ ოჯახში" მცხოვრებ ერთა შორის ურთიერთობა და დასაბამი მისცა სეპარატიზმს. გაჩნდა კონფლიქტური კერები. ცნობილია, რომ ასეთი კერები უმთავრესად ჩნდება სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლში,იქ სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენლები და უფრო ადვილად იჩენს თავს სეპარატისტული მოძრაობა. საქართველოს სასაზღვრო ზოლი ამ მხრივ მეტად პრობლემატურია და ბუნებრივია საქართველოშიც, გარე თუ შიდა მტრების ხელშეწყობით, გაჩნდა ასეთი „ცხელი წერტილები"– სეპარატისტული რეგიონები, სადაც ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე აფხაზურ-ქართულ და ქართულ-ოსურ, დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, რომელიც ქვეყნის გარედან იყო ინსპირირებული. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, რუსეთმა ეს ორი რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. სამწუხაროა, რომ ქართულმა სახელმწიფომ ვერ აიცილა თავიდან ეს დამღუპველი ომი, რის შემდეგაც კიდევ უფრო გაიზარდა დაკარგული ტერიტორიები და საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად ქცეული მოსახლეობის რაოდენობა. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად გავლებული პირობითი საზღვრის, დღეს უკვე მავთულხლართების, სხვადასხვა მხარეს დარჩნენ ოჯახის წევრები და ახლობლები.

საქართველოში ოსების ჩამოსახლების ერთ-ერთი მიზეზი როგორც უკვე აღვნიშნეთ იყო გამუდმებული ბრძოლების შედეგად ქართველთაგან დაცლილი სოფლები. მთიანი ქვეყნისათვის დამახასიათებელი შიდამიგრაციული პროცესები საქართველოში მთელი მისი ისტორიის მანძილზე გრძელდებოდა და დღესაც გრძელდება. თავად ოსებიც არ ცხოვრობენ დღეს საქართველოში ჩამოსახლებისას დაკავებულ თავდაპირველ ტერიტორიაზე და მთელ საქართველოში არიან განსახლებული. ქართველების მიერ სახლ-კარის მიტოვების საშიში ტენდენცია მთელი სისრულით 2008 წლის ომის შემდგომმა განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა. საბოლოოდ რა შედეგი მოჰყვება საქართველოს მთავრობის, ჩემი აზრით, სრულიად გაუაზრებელ ქმედებას, ვგულისხმობ ახალგორის რაიონიდან (სადაც საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობდა) მოსახლეობის გამოყვანას და მათთვის ახალი კომპაქტური დასახლებების შექმნას, ძნელი სათქმელია. დღეისთვის კი ქსნის ხეობაში (ახალგორის რ-ნი) ეთნიკური თანაფარდობა, სადაც ყოველთვის, ისტორიის ყოველ მონაკვეთზე ქართველები სჭარბობდნენ, ქართველების მხოლოდ მცირე რაოდენობაა დარჩენილი. ერთერთი მიზეზი ისიცაა, რომ ქართული მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი 2008 წლის შემდეგ სრულიად დაუცველი აღმოჩნდა. რადგან საქართველოში ჩაწერის ინსტიტუტი ბოლო წლებში აღარ მოქმედებდა,და ამიტომ მშობლების გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობის მისაღებად აღარ იყო აუცილებელი მშობლების ბინაში ჩაწერა, დღეს მათ უფლებებს მემკვიდრეობაზე არ ცნობს არც ქართული სახელმწიფო (ჯერჯერობით ასეა ეს გამოვლინდა ე.წ. კოტეჯების განაწილების დროსაც – „თქვენ ხომ თავშესაფარი არ დაგიკარგავთო"), და არც „ოსური" მთავრობა, – ასეთი კატეგორიის ხალხისათვის პერმანენტულად აძნელებდა ახალგორში შესვლას, დღესდღეობით კი თითქმის შეუძლებელია, - არ აძლევენ ე. წ. ფორმა №9. ქსნის ხეობაში დარჩენილი მცირერიცხოვანი ქართველებისათვისაც გაძნელდა ცხოვრება. ძირითადად უფროსი თაობაა დარჩენილი, (გარდა მასწავლებლებისა და ექიმებისა). დღეს უკვე ის ადამიანებიც, ვისაც ახალგორში აქვს ჩაწერა, მაგრამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუდმივად არ ცხოვრობდნენ იქ, ან როგორც

საოკუპაციო ხელისუფლება აღნიშნავს „საქართველოში მუშაობენ" და მხოლოდ დასვენების დღეებში შედიოდნენ ახალგორში ახალ ცნობებს (შესასვლელ საშვს) აღარ აძლევენ. ქართველების გამოსვლას ხეობიდან კარგად იყენებენ ეთნიკური სურათის ძირფესვიანად შესაცვლელად. აქვე აღვნიშნავ, რომ ახალგორზე მეტ ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ სხვა რაიონებში ქართული მოსახლეობა საერთოდ აღარ დარჩა. ბუნებრივია, საქართველოში მცხოვრებ ყველა პიროვნებას, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად უნდა ჰქონდეს უზრუნველყოფილი ყველა პირობა, მაგრამ მათ რიცხვში ქართველებიც უნდა შედიოდეს, ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" მცხოვრები ქართველები სულ ცდილობდნენ მოეპოვებინათ არა ზედმეტი, არამეთ ოსებისდარი უფლებები, მაგრამ უშედეგოდ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობის მთელ მანძილზე აქ ყოველთვის ირღვეოდა ქართველთა უფლებები, რაც მუდმივი დაძაბულობის წყაროს წარმოადგენდა.

სამწუხაროდ შეიცვალა თვით ქართველი დევნილების განწყობაც, კომპაქტურად დასახლებული ადგილებიდან საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე ყველა აღარც კი ფიქრობს. გამოკითხულ რესპოდენტებს თუ ასაკობრივად დავაჯგუფებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: უფროსი თაობიდან (პაპა-ბებია) ყველა დაბრუნდება; საშუალო თაობიდან (მშობლები) მუდმივ მაცხოვრებლად ნახევარზე ცოტა მეტი; ახალგაზრდებიდან კი ძალიან ცოტა. ასეთი განწყობა საქართველოს სახელმწიფოსთვის ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალებას ნამდვილად ვერ იძლევა.

საგანგაშო სიგნალია ახლახან (2015 წლის მარტი) რუსეთის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი - „სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ", რომელმაც, არც მეტი არც ნაკლები რუსი სამხედროების ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" დამკვიდრებას უნდა შეუწყოს ხელი. ამ დოკუმენტის მიხედვით, თუ რუსი სამხედროები გადაწყვეტენ სამხრეთ ოსეთში დასახლებას მათ ყველანაირად შეუწყობენ ხელს.

### III. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და ქსნის ხეობის შეყვანა მის „ეთნოგრაფიულ" (?) საზღვრებში

ქართველ ისტორიკოსებსა და ეთნოლოგებს, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, არა ერთ ნაშრომში აქვთ მხილებული და სათანადოდ შეფასებული ოსი ისტორიკოსების მიერ ისტორიული ფაქტების გაყალბება და ასევე „სამხრეთ ოსეთის" შექმნასთან დაკავშირებული მოვლენები.

ამჯერად ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის"ავტონომიური ოლქის შექმნასთან დაკავშირებულ საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული დოკუმენტების დანართებზე: 1. 1921 წლის 6-8 სექტემბრის სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის, პარტკომისა და პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების ერთობლივი სხდომის დადგენილების მოკლე განმარტებითი ბარათი და 2. 1927-1928 წწ. საქართველოს ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის პროექტის დანართი, რომელიც „სამხრეთ ოსეთის ეთნოგრაფიულ საზღვრებს" ეხება.

„ეთნოგრაფიულ"-ში ავტორები გულისხმობენ „ეთნიკურობას" (მ.ბ.), ე.ი „ეთნოგრაფიულ საზღვრებ-ში", ეთნიკური ნიშნით სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოს წარმოქმნაზეა საუბარი. ჩნობილია, რომ ასეთი სახელმწიფოები ამა თუ იმ ეთნოსის



ისტორიულად კუთვნილ ტერიტორიაზე იქმნება, სადაც ამ ერის ეთნოგენეზი მიმდინარეობს, ხოლო „ოსთა ანუ მათი წინაპარი ალანების ეთნოგენეზი საქართველოდან საკმაოდ შორს – შუა აზიის ტერიტორიაზე მოხდა. თუმცა მათ მუდმივი განსახლების არეალი არ ჰქონიათ; ისინი ჯერ შუა აზიის ტერიტორიაზე, შემდეგ კი ევრაზიის სტეპებში მომთაბარეობდნენ, კავკასიელებად კი საკმაოდ გვიან, IV–V საუკუნეებში იქცნენ, მაგრამ არა მთიელ კავკასიელებად, არამედ ველის მკვიდრებად" (თოფჩიშვილი 2012: 51-52), „საბჭოთა საისტორიო ენციკლოპედიაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ II–IX საუკუნეებში ალანები ჩრდილოეთ კავკასიის ველებში, ქვემო დონსა და სამხრეთ ურალს შორის მომთაბარეობდნენ (თოფჩიშვილი 2012:54).

მომთაბარეობას არც ოსი ავტორები უარყოფენ; მაგ: კულუმბეგოვი წერს: „თუ კარგად დავაკვირდებით ოსთა ისტორიას, შევამჩნევთ, რომ ჩვენი წინაპრები არც თუ ისე ესწრაფოდნენ თავიანთ მიწაზე დამკვიდრებას. თავიდან ალბათ იმიტომ, რომ სკვითურ-სარმატული სამყარო მისდევდა მომთაბარე ცხოვრებას. ამასთან ამა თუ იმ ტერიტორიაზე დაფუძნება დაკავშირებული იყო იმ რესურსებთან, რომლის მოცემაც მას შეეძლო...შემდეგ თანდათან განვითარდა მიწაზე დამაგრების ეპოქა, მაგრამ არც იგი ზღუდავდა ნაციონალურ საზღვრებს... თუმცა ძალზე მცირე გვაქვს საკუთრივ ნაციონალური ტერიტორია, ამიტომ მიწების შემოერთება და შენარჩუნება ჩვენი ხალხისათვის უნდა იქცეს უმთავრეს ნაციონალურ იდეად". იგი განაგრძობს, რადგან „ნაციონალური ტერიტორიების გაფართოება დამახასიათებელია ყველა ნაციისთვის, .... ამიტომ ოსები ამ საქმეში არც პირველები იქნებიან და არც უკანასკნელნი" (Кулумбегов 2011). იქვე სტატიის ავტორი ოსებს საქართველოს ტერიტორიების ხარჯზე „ნაციონალური საზღვრების" გაფართოებისკენს მოუწოდებს, სადაც ხდებოდა თურმე „ოსი ხალხის ისტორიის ჩამოყალიბება", მართალია, „ოსთა წინაპრები კავკასიიდან ინგლისამდე და აფრიკამდე ტერიტორიებზე იყვნენ განსახლებული", მაგრამ ოსების ეთნოგენეზი მაინცდამაინც საქართველოში მომხდარა?! როგორც ისტორია გვასწავლის ნაციონალური საზღვრების გაფართოება ომის გარეშე არსად არ მომხდარა, ამიტომ ვფიქრობთ რომ ზემოხსენებული ავტორი პირდაპირ მოუწოდებს თანამოძმეებს ომისკენ. აღნიშნულ სტატიაში იგი პირდაპირ ასახელებს საქართველოსთვის წასართმევ რეგიონებს.

პირველ (ოსების მიერ შედგენილ) დოკუმენტში –1921 წლის 6-8 სექტემბრის სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის, პარტკომისა და პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების ერთობლივი სხდომის დადგენილების მოკლე განმარტებითი ბარათი ზედმიწევნით ზუსტად არის გადმოცემული მიერ სამხრეთ ოსეთის ოლქის შექმნისთვის წარმოებული ბრძოლა, ხოლო მეორე (ქართველების) დოკუმენტის – 1927-1928წწ. საქართველოს ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის პროექტის დანართიდან ვიგებთ რა გაყალბებს ჰქონია ადგილი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის „ეთნოგრაფიული" საზღვრების დადგენისას.

სანამ უშუალოდ დოკუმენტების დანართებს შევეხებით მიზანშეწონილად მიმაჩნია დავუბრუნდე XX ს-ის 20-იანი წლებში საქართველოში შექმნილ რეალობას და წარმოვადგინო ისტორიკოსთა თვალსაზრისი „სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის" შექმნასთან დაკავშირებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან დაიძაბა

ვითარება საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან, ოსებით დასახლებულ რეგიონებში. ოსების ეთნოკრატიის ერთი ჯგუფი თავიდანვე უარყოფითად შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ძალიან მალე დაიბადა რუსებთან შეერთების, ჩრდილოეთ ოსებთან პოლიტიკური გაერთიანების სურვილი, რასაც ხელს უწყობდა ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებში ბოლშევიკური განწყობილება და სხვისი ქონების დაუფლების სურვილი (დაუშვილი 2012: 260).

საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევარები ერთხმად აღნიშნავენ, რომ 1917 წელს საქართველოში შექმნილი ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის'' ეროვნული საბჭო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას ისახავდა მიზნად. მიუხედავად ოსების ეროვნული საბჭოს მიმართ სხვადასხვა დროს გაკეთებული შემრიგებლური განცხადებებისა 1919 წლის ივნისში საქართველოს ხელისუფლება იძულებული იყო ეღიარებინა: ,,სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ .... მოინდომა ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რომელმაც ადგილობრივ ცხოვრებაში ისევ არევ-დარევა შეიტანა და ამით ფართო ნიადაგი მოუმზადა ძარცვა გლეჯას''( დაუშვილი 2012: 249). ,,1917 წლის 15-17 დეკემბერს ქ. ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეორე ყრილობა, რომელმაც აირჩია ,,სამხრეთ ოსეთის'' ეროვნული საბჭო... ყრილობამ იმსჯელა სამხრეთ ოსეთისათვის ფართო თვითმმართველობის მინიჭების თაობაზე და დაადგინა, რომ იქ ჩამოყალიბებულიყო საერობო-ადმინისტრაციული ერთეული. ყრილობის ეს გადაწყვეტილება 1918 წლის 4 იანვარს აცნობეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს და მოსთხოვეს ამიერიდან ყველა საკითხზე რომელის ოს ერს ეხება ჩვენ მოგვმართეთო'' (თოიძე 1991: 16).

ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები თვლიდნენ, რომ ეროვნული (ნაციონალური) საბჭოების შექმნა ეროვნული საკითხის მოწესრიგების აპრობირებული და საუკეთესო ფორმა იყო. საქართველოში შეიქმნა სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის ეროვნული საბჭოები, რომლებიც იდეაში უნდა ყოფილიყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ,,საკუთარი ერის'' წარმომადგენლები, უნდა ეზრუნათ საკუთარი ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა საკითხების გადაწყვეტისთვის. მაგრამ ,,ნაციონალურმა საბჭოებმა'' ძალიან მალე შეუქმნეს პრობლემები საქართველოს ხელისუფლებას (დაუშვილი 2012:246–248).

1918 წლის ოქტომბერში გაზეთი ერთობა წერდა: ,,ისინი (ე.ი ,,ეროვნული საბჭოები''-ა.დ.) თავისი ერის კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესების სამსახურით როდი კმაყოფილდებიან. მათ გადაწყვიტეს როგორც საშინაო,ისე საგარეო საქმეებში თავისი ეროვნების წარმომადგენლობა იკისრონ'' (დაუშვილი 2012:248)

1919 წლის მეორე ნახევრისთვის საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების ,,ეროვნული საბჭოები'' გადაიქცნენ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის გამწვავების მნიშვნელოვან ფაქტორად (დაუშვილი 2012:249).

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა რომ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციული ერთეული მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა, ჩვეულებრივ საუბარსა თუ ოფიციალურ დოკუმენტებში შიდა ქართლის ტერიტორიას სამხრეთ ოსეთად მოიხსენიებდნენ არა მარტო სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს სახელწოდებაში, არამედ სხვა დაწესებულებების, კერძოდ, თვით საქართველოს ეროვნული საბჭოს მიმართვებშიც ( თოიძე 1991: 19-20).



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსი სეპარატისტები იმთავითვე დაადგნენ საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან კონფრონტაციის გზას. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ჯავის რეგიონში მცხოვრები ოსები. უკვე 1918 წელს ოსების ერთმა ჯგუფმა შეძლო ოსების ნაწილის აყოლიება და ბოლშევიკური ლოზუნგით აჯანყება მოაწყეს. ისინი რუსეთის დახმარებით აპირებდნენ ისტორიული შიდა ქართლის (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) შეერთებას ჩრდილოეთ ოსეთთან, ე.ი. ფაქტობრივად რუსეთთან. ,, ოსი სეპარატისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ისინი აწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებებსაც. 1918 წელს საქართველოს სახალხო გვარდიამ და ქართულმა ჯარმა შეძლო ოსთა სეპარატისტული ამბოხების ჩახშობა შიდა ქართლში. შიდა ქართლის ოსთა სეპარატისტულ მოძრაობას 1918-1920 წლებში ფულითა და შეიარაღებით ეხმარებოდა ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა. ოსი სეპარატისტების მოძრაობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1920 წლიდან. 1920 წლის 6 მაისს სამხრეთ ოსეთის რევკომმა, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითების თანახმად, მიიღო დადგენილება ჯერჯერობით მხოლოდ როკის რაიონში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შესახებ. იმავე დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ სამხრეთ ოსეთი (ისტორიული შიდა ქართლი), უერთდებოდა რუსეთს, რის შესახებაც საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინათ საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები (გურული 2003: 68).

შიდა ქართლში დაწყებული აჯანყების პროცესში ოსმა სეპარატისტებმა მასიურად დახოცეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სახალხო გვარდიის მებრძოლები, გაუსწორდნენ თბილისიდან ჩასულ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამის საპასუხოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შიდა ქართლში ოს სეპარატისტთა წინააღმდეგ გაგზავნა სახალხო გვარდიისა და რეგულარული ჯარის ნაწილები. მართალია, საბჭოთა რუსეთი აშკარად ვერ ერეოდა შიდა ქართლში დაწყებულ შეიარაღებულ გამოსვლებში, მაგრამ ოსი სეპარატისტები შეიარაღებას ჩრდილო კავკასიაში განლაგებული საბჭოთა რუსეთის ჯარებისგან (კავკასიის ფრონტიდან) იღებდნენ. შიდა ქართლში აგზავნიდნენ სამხედრო ინსტრუქტორებსა და სპეციალისტებს (გურული 2003: 69).

,,მთელი ობიექტურობით უნდა ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის აჯანყების ბოლშევიკ ხელმძღვანელთა მიზანი იყო სამხრეთ ოსეთის ეროვნული თვითგამორკვევა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რუსეთთან შეერთება. უფრო მეტი, სამხრეთ ოსეთს ისინი უკვე საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ ''(თოიძე 1991: 8).

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ 1920 წლის 17 მარტს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა საქართველოს მთავრობას გამოუგზავნა საპროტესტო ნოტა, რომელშიც გამოთქმული იყო შეშფოთება შიდა ქართლში ჯარის შეყვანასთან დაკავშირებით, და მას სხვის საქმეში ჩარევად აფასებდა. ,,ოსებს უნდა ჰქონოდა ისეთი ხელისუფლება, როგორიც ოსებს სურდათ'' (გურული 2003: 69)

რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის, ჩიჩერინის ეს ნოტა (იმ ნაწილში რომელიც სამხრეთ ოსეთს ეხება) არის საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევა.

იგი დაიწერა არაუადრეს 1920 წლის 17 მაისისა, ამ დროს მოწერილია (1920 წ. 7 მაისი) სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთსა საქართველოსოს შორის, რომლის მიხედვითაც სამხრეთ ოსეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაწილად არის აღიარებული.

აქ აუცილებლად უნდა მოვიყვანოთ საქართველოს საგარეო საქმთა მინისტრის ე. გეგეჭკორის პასუხის ნაწილი ,, საქართველოს მთავრობა უკიდურესად შეშფოთებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს განზრახვაზე იარღით ჩაახშოს საბჭოთა რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთში. ჩემს მოვალეობად ვთვლი შეგახსენოთ, რომ საქართველოს საზღვრებში არ არის სამხრეთ ოსეთი, არამედ საქართველოში მყოფი ოსური დასახლებები მდებარეობენ არასადავო ტერიტორიაზე ტფილისის გუბერნიის ძველი საზღვრის სამხრეთით,იმ სასაზღვრო ხაზის სამხრეთით, რომელიც დადგენილია საქართველოსა და რუსეთს შორის.” (თოიძე 1991: 35).

მნიშვნელოვანია, რომ ,,დღეს, როდესაც მავანნი ცდილობენ დემოკრატიული საქართველოს პერიოდში ოსების წინააღმდეგ ჩატარებული სამხედრო ოპერაციები წარმოადგინონ,როგორც ,,გენოციდი” - მათ უნდა აღიარონ,რომ ეს იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ანარქიისა და ბოლშევიკური ილუზიების წინააღმდეგ მიმართული სრულიად კანონიერი მოქმედება” (დაუშვილი 2012: 262).

1920 წლის 28 მაისს ოსმა სეპარატისტებმა მიიღეს ე.წ. ,,მშრომელი სამხრეთ ოსეთის მემორანდუმი”, რომელიც მოსკოვში გააგზავნეს და სადაც აღნიშნული იყო, რომ სამხრეთ ოსეთი (შიდა ქართლი?), რუსეთის განუყოფელი ნაწილი იყო და უშუალოდ უნდა შესულიყო საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში, ხოლო საქართველო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით უნდა შეერთებოდა რუსეთს. ეს რა თქმა უნდა სრულად გამოხატავდა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოზიციას და ცხადია საიდანაც იღებდნენ მითითებებს (გურული 2003: 69). ეს აჯანყებაც საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ 1920 წლის ზაფხულში ჩაახშო.

უნდა აღინიშნოს,რომ იმ დროს საქართველოში მცხოვრები ყველა ოსის ,,ოცნება” არ იყო, (და არც დღეს არის) საქართველოსგან გამოყოფა. ამის კარგი მაგალითია გაზეთ ,,ერთობაში” დაწერილი ოსი ეროვნების მოქალაქის წერილი,,,ვინ არ იცის,რომ ჩვენ ოსები საუკუნეების განმავლობაში ქართველ გლეხობასთან ერთად ერთ ტაფაში ვიწვოდით... თუ ეს ასეა, რა მოსაზრებით ფიქრობენ ის არამკითხე პოლიტიკოსები, რომ ოსები უნდა გამოეყონ საქართველოს... ასეთ საქმეს ხელს უწყობენ ერთი მუჭა ხალხი” (დაუშვილი 2012: 262.).

თბილისში მცხოვრები ოსების განწყობას გამოხატავდა 1919 წლის 26 თებერვალს გაიმართულ თბილისელ ოს მუშათა კრება (დაესწრო ასამდე კაცი), მომხსენებელმა გაგლოევმა თქვა: ,,...ერთადერთი სწორი გზა ოსეთის დემოკრატიის წინაშე არის თავისუფალი საქართველო, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ოსეთი” (თოიძე 1991: 30).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, კვლავ დადგა ,,სამხრეთ ოსეთისათვის” ავტონომიის მინიჭების საკითხი,რომელიც არც ისე ადვილი გადასაწყვეტი აღმოჩნდა, როგორც ეს ქართველ ბოლშევიკებს ეგონათ, რადგან



სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის მოთხოვნები ზღვარგადასული იყო თვით კომუნისთებისთვისაც. ოსებს არ აკმაყოფილებდათ ნებისმიერი ავტონომიური (ოლქის, ან თუნდაც რესპუბლიკის) სტატუსი და სურდათ შექმნილიყო სრულიად დამოუკიდებელი ,,სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა”, ქართველ ბოლშევიკებს უნდა გაეთვალისწინებინათ ასევე ქართველი მოსახლეობის პროტესტიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც იმ დროს ფართო ხასიათი მიიღო.

დავუბრუნდეთ ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ დოკუმენტთა დანართებს (სტილი დაცულია). ოსების მიერ შედგენილი დოკუმენტი. 1921 წლის 6-8 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის რევოლუციურმა კომიტეტმა და სამხრეთ ოსეთის კომუნისტური (ბოლშევიკური) ორგანიზაციის კომიტეტმა მიიღეს შემდეგი დადგენილება: 1) მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესბუბლიკის შექმნა ცენტრით ცხინვალში; 2) სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ნებაყოფლობით შედის საქართველოსთან ფედერაციულ კავშირში. ამავე დადგენილების მიხედვით სამხრეთ ოსეთში მრავალი ქართული სოფელი უნდა შესულიყო გორის,დუშეთისა და შორაპნის მაზრებიდან,ასევე რაჭიდან. (სცია ფ.№281-ან .№2 საქ. №3 ფ.162)

დადგენილებაზე დართულ განმარტებით ბარათში, ზემოთ ნახსენები კომიტეტების წევრები საქართველოს ამ ნაწილში მიმდინარე რევოლუციურ ბრძოლებს წარმოაჩენენ, როგორც ოსი ხალხის ბრძოლას ,,მჩაგვრელი”, და მათი ,,ტერიტორიების დამპყრობ ქართველების წინააღმდეგ”, ხაზს უსვამენ თავიანთ დამსახურებას საქართველოში რევოლუციის გამარჯვებაში, რის გამოც ,,იმსახურებენ” დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნით დაჯილდოებას. კერძოდ ნათქვამია; ,,პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების თანამონაწილეობით გამართული სამხრეთ-ოსეთის რევკომისა და პარტიული კომიტეტის ერთობლივი სხდომის დადგენილების წარმოდგენილ მოკლე განმარტებით ბარათს ერთობლივი სხდომა მიიჩნევს აუცილებლად იმ ობიექტური მიზეზების გასაშუქებლად, რომლებიც გვკარნახობენ სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის აუცილებლობას.”

საინტერესოა განვიხილოთ,როგორ არის განმარტებით ბარათში ,,დასაბუთებული” ტერიტორიული პრეტენზიების მართებულობა, იგი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება.

1. სამხრეთ – ოსეთის გეოგრაფიული მდებარეობა და მოსახლეობის რაოდენობა.

,,ოსებს ამიერკავკასიაში უჭირავთ ცენტრალური კავკასიონის ქედის სმხრეთი კალთების უწყვეტი ზოლი შემდეგ საზღვრებში: დასავლეთით მთა ველოანთა 7.234 მ. სიმაღლეზე; აღმოსავლეთით სოფ. კობი, სამხრეთით ცხინვალი და ჩრდილოეთით კავკასიონის მთავარი ქედი. ე.ი. ოსების საცხოვრებელი გარემო ერთიანი გეოგრაფიული რეგიონია.

1917 წლის მონაცემებით ოსების რაოდენობა აღნიშნულ საზღვრებში შეადგენს ორივე სქესის 70.500 სულს, თუ ამ რიცხვს დავუმატებთ შერეული მოსახლეობის 22600 სულს, რომლებიც უნდა შევიდნენ ჩამოსაყალიბებელი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, გაერთიანებული სხდომის მიერ განსაზღვრულ საზღვრებში, მაშინ მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენს 93100 სულს. მცირემიწიანობის გამო სამხრეთ-ოსეთის მშრომელი მოსახლეობის

მნიშვნელოვანი მასა გადასახლდა და დამკვიდრდა:

ა) თრიალეთის მთებში (გორის მაზრა) დაახლოებით 20000 სული;

ბ) კახეთში – თიანეთის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში დაახლოებით 15000 სული;

გ) თეთრი წყაროსა და მანგლისის რაიონებში (თბილისის მაზრა) 2000 სულზე მეტი;

ც) გორისა და დუშეთის მაზრების 30-ზე მეტ სოფელში გარდა შერეული მოსახლეობის სოფლებისა.

მოსახლეობის 3/4 მეტი ცხოვრობს მთებში და მხოლოდ დანარჩენ ნაწილს უკავია მთისწინეთი და ვაკე ადგილები". (ფ.№281-ან .№2 საქ. №3 ფურც.162)

აღნიშნულ დანართში როგორც ვხედავთ,საერთოდ არ არის ნახსენები ქართველთა რაოდენობა შერეულ ქართულ-ოსური სოფლების მოსახლეობაში.

როგორც დოკუმენტშია ნათქვამი ოსები ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარდა ცხოვრობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ამ შიდამიგრაციის მიზეზი სხვადასხვაა, ერთი უმთავრესი მიზეზი და ისტორიული სიმართლე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამუდმებული ბრძოლები საქართველოს მოსახლეობას ამცირებდა, დაცლილ ქართულ სოფლებს კი სხვა ეთნოსები, შიდა ქართლის მთიანეთს კი ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული ოსები, იკავებდნენ.

ეთნოგრაფი გ. ჩიქოვანი იმერეთში ოსთა ჩამოსახლების რამდენიმე მიზეზზე ამახვილებს ყურადღებას:

1. მდინარე ყვირილას სათავეების ტერიტორია ქართველებისაგან დაცლილი იყო (მე–18 საუკ ბოლოს და მე–19 საუკუნის დასაწყისი) და მემამულისათვის (აბაშიძე) სრულიად შემოუსავლიანი. ამ დანაკლისის ასანაზღაურებლად „აბაშიძეებმა ოსები ჩამოასახლეს მითითებულ ტერიტორიაზე. ამ ეტაპზე ოსები ხიზნების კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ..... ამ ეტაპზე ოსებმა ოთხი სოფელი დაარსეს..";

2. აბაშიძეები მიწას ჩუქნიან ოსებს;

3. დროთა განმავლობაში ოსთა ინკორპორირება ხდება ქართულ სოფლებშიც სხვადასხვა მიზეზით, მაგ. უშვილო დედისძმა დისშვილებს ჩუქნის თავის საკუთრებას, მეორე – ჩასიძების შემთხვევაში;

4. მე–20 საუკუნის დასაწყისიდან მდ. ყვირილას ზემო წელზე ოსური მოსახლეობის ზრდა გამოწვეულია ქართველი მოსახლეობის მიერ მიწების გაყიდვით. (ჩიქოვანი 2004: 230-231).

ასეთივე სურათია ქსნის ხეობაშიც: „..ადგილობრივ მოსახლეობისაგან დაცლილ ქსნის საერისთავოში ოსთა ჩამოსახლება ეტაპობრივად მიმდინარეობდა. შანშემ (ქსნის ერისთავი მ.ბ.) ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილ ჟამურის ხეობასა და საფერშეთში XVIII ს-ის 30-იან წლებში, ჩამოასახლა გაოსებული დვალები, ხოლო



შემდგომ ლიახვის ხეობაში" (ღუნაშვილი 2007: 276).

საქართველოს სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას. უძველესი დროიდან XIX ს-დე ჩვენი ქვეყნის სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა ჩრდილო კავკასიის ქვეყნებთან, მათ შორის ოსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას. „ოსებთან მშვიდობიანი გარიგება სახიერდებოდა ოსების მიგრაციასთან დაკავშირებითაც. შეთანხმება ფორმდებოდა წერილობით, რაც ოსეთიდან გადმოსახლების მსურველთ ავალდებულებდა განსაზღვრული პირობების აღსრულებას. შეთანხმებაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა ყველა იმ მოსალოდნელი რეციდივის აღკვეთას, რაც დაკავშირებული იყო ადამიანის მკვლელობასთან დატყვევებასთან თუ ტყვეთა გაყიდვასთან. ეს იმიტომ, რომ ოსთა მხრიდან ქართველთა რბევა-აწიოკების მრავალი შემთხვევა იყო ცნობილი და ახალმოსახლეთა მხრიდან მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორებულიყო. ქართველი თავადებიც რომ დაზღვეული ყოფილიყვნენ მათ მამულში დასახლებულ ოსთაგან მოსალოდნელი ღალატისაგან, საგარანტიო საბუთი წერილობით უნდა გაფორმებულიყო" (ითონიშვილი 2008: 126.).

მაგრამ როგორც ჩანს ქართული მოსახლეობის რაოდენობის შემცირება XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის, ოსებისაგან სადაოდ გამხდარ ტერიტორიაზე მაინც იმ დონის არ იყო, რომ ოსების რაოდენობაზე ნაკლები ყოფილიყო. ამიტომ ოლქის შექმნის დროს მიმართავდნენ აღწერის სტატისტიკური მონაცემების გაყალბებას. მოსახლეობის რაოდენობასა და 1917 წლის აღწერის მონაცემების მიზანმიმართულ გაყალბებას ამხელს ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები მეორე დოკუმენტის, – 1927-1928წწ. საქართველოს ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის დანართი, – დანართი „სამხრეთ ოსეთის ეთნოგრაფიული საზღვრები".

კერძოდ, 1927-28 წლებში მიმდინარე ახალ ადმინისტრაციულ დარაიონებასთან დაკავშირებულ დოკუმენტში (284, ფ.1. 598) ვკითხულობთ, რომ 1917 წელს ჩატარებული აღწერის კომისიის თავმჯდომარე დუშეთის მაზრაში ყოფილა ჯიოევი, რომელმაც აღწერის დროს დაუშვა მთელი რიგი „შეცდომები", და ამ „შეცდომების" გამო (აღწერის მიხედვით ოსური მოსახლეობა სჭარბობდა ქართულს) ქსნის ხეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს შეუერთეს. პროექტი ითვალისწინებდა ამ შეცდომის (დანაშაულის?!) გამოსწორებას და პროექტის დანართში დასაბუთებულია ქსნის ხეობის სამხრეთ ოსეთის ოლქიდან გამოყოფისა და დუშეთის მაზრასთან მიერთების მართებულობა.

დოკუმენტის დანართში ერთი ხეობის, ქსნის ხეობის მაგალითზე ნაჩვენებია აღწერის დროს მიზანმიმართულად დაშვებული „შეცდომები" ოსი ხალხის რაოდენობის გაზრდისა და ქართველი მოსახლეობის შემცირების მიზნით. ვფიქრობთ მეტი დამაჯერებლობისათვის საჭიროა მოვიხმოთ დოკუმენტის ამონარიდი,

„ეს სექტორი, ქსნის ხეობა, ვიდრე ჩამოყალიბდებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, შედიოდა დუშეთის მაზრაში. 1922 წელს იგი გამოყოფილი იქნა დუშეთიდან და შეერთებული იქნა სამხრეთ-ოსეთთან ეთნოგრაფიული პრინციპის მიხედვით.

საზღვრის ხაზის გატარებისას დუშეთის მაზრის ამ რაიონში საფუძვლად დაედვა

1917 წლის აღწერა, როგორც ყველაზე უახლესი სტატისტიკური ოფიციალური წყარო, რომელიც ამ დროს არსებობდა, მაგრამ როგორც ირკვევა, 1917 წლის აღწერის ცნობები ქსნის ხეობის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ არ ყოფილა სწორი.

1917 წლის აღწერა შემდეგნაირ ცნობებს შეიცავს ამ სექტორის მოსახლეობის შესახებ. სულ ქსნის ხეობაში /ე.ი. ახალგორის და მონასტრის თემებში/ (ახალგორის რაიონში იყო მესამე თემიც–ლეხურის, რომელშიც ოსებით დასახლებული სოფლები შედიოდა მ.ბ.) აქ ნაჩვენებია მოსახლეობა 10.745 სული ორივე სქესისა, რომელიც ეროვნულის შემადგენლობით ამნაირად ნაწილდება. (ფ.№282,№1 საქ.№599 ფურც.71)

ეროვნულობა: ოსები – 6.187 (ორივე სქესისა) -57,6%; ქართველები – 3.991 – 37,%; სომხები – 567 -5,3%.

რასაკვირველია კომისიას, რომელიც არკვევდა სამხრეთ-ოსეთის საზღვრებს, არ ჰქონდა საშუალება შეედარებინა თვითეული ცალკე სოფლის მოსახლეობა; რაკი ოფიციალური სტატისტიკური ცნობები 1917 წლის აღწერისა ადასტურებდა, რომ ქსნის ხეობაში მოსახლეობის უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ (57,6%), ამის გამო საზღვრების გამტარებელმა კომისიამ შესაძლოდ დაინახა ამ სექტორის სამხრეთ-ოსეთთან გაერთიანება.

1917 წლის აღწერა, როგორც შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, საერთოდ კარგად იყო ჩატარებული (კერძოდ, სოფლის მეურნეობის დარგების გამოკვლევისათვის, ეს აღწერა საუკეთესო წყაროდ უნდა ჩაითვალოს თავისი სისრულით), და კომისიას რასაკვირველია ჰქონდა საბაბი სრულის ნდობით მოჰკიდებოდა მას. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ეს აღწერა დუშეთის მაზრის ზოგიერთი სექტორის შესახებ აშკარად ყალბ ცნობებს შეიცავს, დამახინჯებულად წარმოგვიდგენს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას.

რით იყო ეს გამოწვეული, ადგილი ჰქონდა აქ წინასწარ განზრახულ ფალსიფიკაციას, თუ ეს უბრალო შეცდომაა, ყოველ შემთხვევაში ამისი ბრალი ედება იმ პირს, რომელიც ადგილობრივ უშუალოდ ხელმძღვანელობდა დუშეთის მაზრაში აღწერის ჩატარებას 1917 წელს. (ფ.№282, №1 საქ.№599 ფურც.72)

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ, განვიხილოთ, თუ როგორია რეალურად ქსნის ხეობის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა.

ყველა არსებული სტატისტიკური მასალები ადასტურებენ, რომ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ქსნის ხეობაში მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ერთი და იგივე იყო: მოსახლეობის უმრავლესობას აქ შეადგენდნენ ქართველები, უმცირესობას ოსები. – ასეთივე არის მოსახლეობის შემადგენლობა აქ დღესაც; ორმა აღწერამ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს იყო ჩატარებული, სახელდობრ 1923 წლის აღწერამ, და 1926 წლის საკავშირო აღწერამ, განმეორებით დაადასტურა ეს ფაქტი.

ამ აღწერათა ცნობების თანახმად, მოსახლეობა ქსნის ხეობისა /მონასტრის და ახალგორის თემებისა/-შემდეგია: (ფ.№282, №1 საქ.№599 ფურც.73)

1923 წლის აღწერით: ქართველები – 7400; 59.4%; ოსები – 4491; 36,1%; სომხები – 559; 4,5%. სულ 12450 (ორივე სქესის)

ხოლო უკანასკნელი 1926 წლის აღწერა ასეთს სურათს წარმოადგენს: - ქართველები–8249; 58,1%; ოსები–5393;37,9%; სომხები – 483;3,4%; დანარჩენნი -88; 0,6%, სულ 14213.

ამრიგად როგორც 1923, ისე 1926 წლის აღწერის თანახმად ოსური მოსახლეობა არ სჭარბობს 36-38%. ქართველები შეადგენენ 58-59%.

საჭიროა ამასთან ერთად აღვნიშნოთ, ეს რიცხვები ეხება მთელ ქსნის ხეობას, ხოლო თუ გამოვაკლებთ იმ კუთხეებს, რომლებიც უშუალოდ ოსეთს ეკვრის, და სადაც უმთავრესად მოსახლეობენ ოსები, დანარჩენ ნაწილში (იგულისხმება ქსნის ხეობა მ.ბ.) ქართველები შეადგენენ 80%-დე

ასეთია რეალურად ქსნის ხეობის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა. (ფ.№282, №1 საქ.№599 ფურც.74)

– ასეთ პირობებში, რასაკვირველია, უფრო მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ქსნის ხეობის გაერთიანება ქართულ რაიონთან, როგორიც არის დუშეთის პროვინცია"

დანართს ახლავს შენიშვნა სადაც დეტალურად არის აღწერილი აღმწერის მიერ მიზანმიმართული გაყალბების ფაქტები, კერძოდ: როგორც ირკვევა, აღმწერელი შემდეგნაირად მოქცეულა: დუშეთის მაზრის იმ ნაწილში, რომელიც სამხრეთ-ოსეთის საზღვარზე მდებარეობს, აღმწერელს შეუტანია აღწერაში მხოლოდ უფრო ცნობილი ქართული სოფლები, რომელიც ბარის საზღვარზე მდებარეობენ, ხოლო დანარჩენი ქართული სოფლები მთიანი რაიონისა აღუწერელი დაუტოვებია. ამავე დროს არც ერთი ოსური სოფელი მთიანი რაიონისა გამოტოვებული არაა /ისეთებიც კი, სადაც სულ რამდენიმე კომლი მოსახლეობს/, და ზოგჯერ ოსურ სოფლებში მოსახლეობის რიცხვი გადაჭარბებითაც არის ნაჩვენები.

აღწერას ადგილობრივ ხელმძღვანელობდა, როგორც ირკვევა, ვინმე ნ. ჯიოევი.

ტფილისში არსებულს აღწერის ცენტრალურ სტატისტიკურ ბიუროს რასაკვირველია არ ჰქონდა საშუალება სრული კონტროლის გაწევისა, მაგრამ ნაწილობრივ ეს დეფექტი 1917 წელსაც იქნა აღმოჩენილი. ასე მაგალითად, 1917 წელს მასალების დამუშავების დროს გამოირკვა, რომ აღწერაში არ იყო შეტანილი კობი-ყაზბეგის რაიონის ქართული სოფლების მეტი ნაწილი; ამიტომ სტატისტიკური ბიურო იძულებული გახდა საკმაო დაგვიანებით ხელახლა ჩაეტარებინა აღწერა კობი-ყაზბეგის რაიონისა 1917 წლის შემოდგომაზე.

რაც შეეხება ქსნის ხეობას, აქ დეფექტები არ იქნა შემჩნეული იმის გამო, რომ ეს კუთხე საერთოდ ნაკლებ არის ცნობილი. მას გარდა დეფექტების შემჩნევას აძნელებდა ის გარემოება, რომ ქსნის ხეობის აღწერაში მაინც იყო შეტანილი ერთი ნაწილი ქართული სოფლებისა, რომლებიც ბარის საზღვარზე მდებარეობენ; ხოლო რაც შეეხება მთის რაიონის ნაკლებ ცნობილ სოფლებს, აქ დეფექტების აღმოჩენა რასაკვირველია არც ისე ადვილი იყო." (ფ.№282, №1 საქ.№599 ფურც.73).

რატომღაც, როცა ლაპარაკია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის გადაცემული ქართული სოფლების რაოდენობაზე, აღნიშნავენ ქართულ ქალაქ

ცხინვალსა და მის გარშემო მდებარე 40 ქართულ სოფელს, მაგრამ მათ რიცხვში არ არის მითითებული ქსნის ხეობის ქართული სოფლები, თუმცა აქ უნდა ვისაუბროთ არა მხოლოდ ცალკეულ ქართულ სოფლებზე, არამედ მთლიანად ქართულ ხეობაზე, სადაც ქართველი მოსახლეობის წილი 80% იყო.

როგორც დავინახეთ ჩვენს მიერ განხილული ორი დოკუმენტის მონაცემები მოსახლეობის „ეთნოგრაფიული" შემადგენლობის შესახებ რადიკალურად განსხვავებულია. სახეზეა აშკარა მიზანმიმართული გაყალბება. მაგრამ საკითხავია, როცა აღმოჩნდა გამოტოვებული ქართული სოფლები კობი-ყაზბეგის მიმართულებით რატომ არ დადგა მთლიანი აღწერის მონაცემები ეჭვქვეშ, ან ოლქის შექმნის დროს 1922 წელს რატომ აღარ გადაამოწმეს ეს ე.წ. „ეთნოგრაფიული საზღვრები".

დოკუმენტში, გარდა მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობისა მოტანილია სხვა მნიშვნელოვანი მონაცემებიც, რომელიც ადასტურებს ქსნის ხეობის დუშეთის მაზრასთან მიერთების აუცილებლობასა და სამართლიანობას, ესენია: მანძილები ქსნის ხეობიდან ცხინვალამდე და დუშეთამდე; ურთიერთობის პირობები (საურთიერთო ენა); მეურნეობა და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენის აზრით ამ ჩამონათვალში არის შემდეგი, კომისია ასკვნის, რომ: „..ყოფა-ცხოვრების პირობებითაც ქსნის ხეობის მოსახლეობა დაკავშირებულია დუშეთთან. მოსახლეობა როგორც დუშეთის მხარეში, ისე ქსნის ხეობაში, ეკუთვნიან ერთსა და იმავე მთიელთა ეთნოგრაფიულ ჯგუფს, რომლებიც ენათესავებიან ერთმანეთს (ფ.№282, №1 საქ.№599 ფურც.75) ზნე-ჩვეულებით, ყოფა-ცხოვრების ხასიათით, და სხვა.

ყველა აქ აღნიშნულ გარემოებათა გამო, გაერთიანება ქსნის ხეობისა დუშეთის პროვინციასთან მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს." (ფ.№282, №1 საქ.№599 ფურც.76).

სამწუხაროდ, ეს მართებული დასკვნები საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ყურად არ იღო.

1921 წლის 23 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა შემადგენლობა კომისიისა,რომელსაც უნდა დაედგინა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები, და საქართველოს რევკომს წინადადება მისცა კომისიაში შეეყვანა კაკაბაძე, შოტი, ჯატიევი და გაგლოევი (თოიძე. 1991: 68).

კომისიამ გადაწყვიტა შექმნილიყო არა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ან ავტონომიური რესპუბლიკა, არამედ ავტონომიური ოლქი. ცხინვალის რაიონის (ქართული სოფლების) კომუნისტებმა (კომუნისტურ უჯრედთა კრებამ) მხარი დაუჭირა და სამართლიანად ჩათვალა საქართველოს ცეკას გადაწყვეტილება ცხინვალისა და 40 ქართული სოფლის ავტონომიური ოლქის საზღვრებში მოქცევა. მაგრამ ქართული მოსახლეობის აზრი განსხვავდებოდა ოფიციოზის პოზიციისგან.. ქართულ სოფლებში, ტარდებოდა კრებები და მონაწილეები ხელმოწერებით აპროტესტებდნენ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ მმართველობაში მოსალოდნელ გადასვლას (თოიძე 1991: 69.)

აქ არ შეიძლება არ მოვიტანოთ ოლქის შექმნის დროს ქსნის ხეობისა და ყველა იმ ქართული სოფლების მცხოვრებთა საპროტესტო კრებებზე მიღებული დადგენილებები, რომლითაც სთხოვდნენ ხელისუფლებას არ შეეერთებინათ „სამხრეთ



ოსეთის" ოლქისათვის.

230 კაცი აწერდა ხელს სოფლების დვანის, ნულისა და ავნევის მცხოვრებთა ერთობლივ განცხადებას. საჭიროდ მიმაჩნია მოვიტანო დღევანდელ მკითხველთან ქართველი მოსახლეობის ეს გულისტკივილი, რომელიც დღეს საქართველოს საერთო ტრაგედიად იქცა: „... ვინაიდან ქ. ცხინვალი ითვლებოდა და ითვლება კიდეც, როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, აგრეთვე მის გარშემორტყმული ქართველებით დასახლებული სოფლებით, ქართლის შუაგულ კუთხედ. ამისთვის განმეორებით დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა ანგარიშს გაუწევს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებას და მოსალოდნელ ჩვენ და ოსებს შორის ეროვნული შუღლის თავიდან ასაცილებლად ქ. ცხინვალი თავისი რაიონით დასტოვოს სს რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფარგლებში (თოიძე 1991: 70).

კიდევ რამდენიმე ამონაწერი ქართული სოფლების მცხოვრებთა საერთო კრებების ოქმებიდან:

„.. რისთვის უნდა ვიყოთ მოქცეული ოსეთის ფარგლებში ეროვნებათა თვითგამორკვევის აღსასრულებლად. მით უმეტეს, რომ მათი ენა ჩვენთვის სრულიად გაუგებარია და უცხო, მხოლოდ რაც შეეხება ეროვნებათა უმრავლესობას, მთელი ეს ჩრდილოეთი მხარე რაიონისა, მცირე გამონაკლისით, დასახლებულია ქართულ ენაზე მოსაუბრე, მემკვიდრე ქართველებით" (სოფ. ძარწემი, 1921 წლის 25 დეკემბერი) (თოიძე 1991: 70)

თუ ჩვენს მოთხოვნაზე უარს გვეტყვით „..მთავრობამ მაშინ მოგვცეს ბინა და დაგვასახლოს შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდებოდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენ ძველად განთქმულ გულგმირულ ჩვეულებას" (სოფ. ქორდი, 1925 წლის 25 დეკემბერი)

„..ჩვენ მუდამჟამს გვქონდა და ეხლაც გვაქვს ოსებთან ძმური, მეგობრული, ნათესაური კავშირგანწყობილება. ეხლაც გულახდილად ვაცხადებთ, რომ მათთან, ოსებთან, ჩვენ მტრობა-ქიშპობას არ გავწევთ. ქართველებმა იცხოვრონ თავიანთ ფარგლებში, ჰქონდეთ განსაზღვრული მიწები, ჰყავდეთ თავიანთი მოსამსახურე, მოსამართლე. ოსებმა კიდევ თავიანთ ფარგლებში განაგონ თავიანთი საქმე ისე, როგორც თვითონა სურთ. ეს ორი ეროვნება თავიანთ საზღვრებს ნუ გადავლენ (სოფ. ტირძნისი, 1921 წლის 26 დეკემბერი) (თოიძე 1991: 70-71).

„....ვატანთ რა ამ დადგენილებას ჩვენს წარმომადგენლებს, იმედს გამოვთქვამთ, მთავრობა ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას შეიწყნარებს და თავზე არ მოგვახვევს იმას, რაც ხალხს არ სურს" (სოფლები ზემო ნიქოზი, ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ქვემო ხვითი. 1921 წლის 27 დეკემბერი) (თოიძე 1991: 71). მაგრამ არ შეიწყნარეს!

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სწავლობდა შიდა ქართლში შექმნილ მდგომარეობას. მაშინდელი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ბესო კვირკველიას მოხსენებითი ბარათის შემდეგ რჩება შთაბეჭდილება, რომ მას ზედმიწევნით დაწვრილებით აქვს შესწავლილი საკითხი, იგი 1921 წლის 27 სექტემბერს მოხსენებით ბარათს უგზავნის საქართველოს სსრ რევოლუციურ კომიტეტს, სადაც ათნიშნულია, რომ: „სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფა **სამაზრო ერთეულის უფლებებით** (ხაზი

ჩვენია) გეოგრაფიული და ეკონომიური მოსაზრებებით, საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლებლად მიაჩნია.

სამხრეთ ოსეთი როგორც მთლიანი გეოგრაფიული ერთეული არ არსებობს. არის მხოლოდ ოსებით დასახლებული ცალკეული რაიონები, რომელთაც ურთიერთშორის არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც ეკონომიურად,არც გეოგრაფიულად...''(თოიძე 1991:71). მოხსენებით ბარათში ყურადღება გამახვილებულია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის პროცენტულ მაჩვენებელზე, სადაც ჩანს, რომ ოსური მოსახლეობა ქართველებს სჭარბობს მხოლოდ მდინარე ფრონის სათავეებში, ყორნისისა და წუნარის რაიონებში, სადაც ოსთა რაოდენობა 88% უდრიდა, ლიახვის ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ სოფ. კეხვამდე. ამ სოფლის სამხრეთით მხოლოდ ქართველებით დასახლებული სოფლები იყო, სადაც ოსთა რიცხვი 15% არ აღემატებოდა (თოიძე 1991: 72.).

და ასკვნის: ,,.. ოსების მიერ დასახლებული რაიონები მოკლებული არიან გეოგრაფიულ მთლიანობას და შეადგენენ გეოგრაფიულად და ეკონომიურად სრულიად სხვადასხვა პროვინციების ნაწილებს, ასეთი ჩამონაჭრებიდან ხელოვნურად შემდგარ ადმინისტრაციულ ერთეულის შექმნა განუხორციელებლად უნდა ჩაითვალოს ტოპოგრაფიული პირობების გამო..''(თოიძე 1991: 73.).

1922 წლის იანვარში სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატს გადასცეს ქ. ცხინვალში მცხოვრებ ქართველთა, სომეხთა და ებრაელთა საერთო კრების დადგენილება, ,,რომლითაც ისინი მოითხოვდნენ ცხინვალისა და მისი რაიონის კვლავ ისტორიულ საზღვრებში დარჩენას'' (თოიძე 1991: 76).

როგორც ჩანს ქართველი მოსახლეობა მოსალოდნელ საფრთხეს გრძნობდა და ოლქის სტატუსს დეკრეტის გამოქვეყნებამდე აპროტესტებდა, პროტესტი არც დეკრეტის გამოცხადების შემდეგ შეწყვეტილა.

ამ საპროტესტო აქციებმა მცირე შედეგი მაინც გამოიღო და ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის'' ,,ეთნოგრაფიული საზღვრები'' ოდნავ დაპატარავდა (ჩასავალისა–რაჭა, და კობის რაიონის–დუშეთის მაზრა გამოაკლდა)

საგულისხმოა,რომ ქართველი მოსახლეობის აზრს ოსური მოსახლეობის ნაწილიც იზიარებდა. 1922 წლის 21 მარტს გორის სამაზრო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილება სსრ შინაგან საქმეთა კომისარიატს აცნობებდა: ,,ბევრია იმისთანა მაგალითები,რომ სხვადასხვა რაიონში მცხოვრები ოსები აცხადებენ სურვილს, რათა ისინი ჩამოვაშოროთ ოსეთის რევკომს,რადგან მათ სურთ ქართველებთან ერთად ცხოვრება, რადგან მათ, ოსებს ქართველებთან გასაყოფი არა აქვთ და თუ ვინმე ამას მოითხოვს, ე.ი. ოსების ცალკე ყოფნას, ყოველივე ეს სიცრუეა ან რაიმე მოსაზრებით დაინტერესებულიაო'' (თოიძე 1991: 77)

არც ქართველების პროტესტს და არც ოსური მოსახლეობის ნაწილის თხოვნას არანაირი გავლენა არ მოუხდენია სსრ ცეკას გადაწყვეტილებაზე. მათ მაინც სამხრეთ ოსეთის მესვეურთა მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

დეკრეტის გამოცხადების შემდეგაც არ ჩამცხრალა გორისა და სხვა მაზრების იმ ქართველი მოსახლეობის პროტესტი, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ოლქს მიაკუთვნეს.



კვლავ იგზავნებოდა საჩივრები საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ინსტანციებში. ჩვენ ყველა საჩივარს ვერ შევეხებით ბუნებრივია, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია ქსნის ხეობის მაცხოვრებელთა საჩივარზე შევჩერდეთ:

ქსნის თემი (დუშეთის მაზრა) შუამდგომლობს (დადგენილებითა/წ 21 ოქტ. მიღებულით): ,,გამოგვეცხადა რა, რომ ქსნის თემი გადადის სამხრეთ-ოსეთზე, ჩვენ ეს ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია: ა) ცხინვალი დაშორებულია ჩვენის თემიდან 50 ვერსით მეტზე და ამ სიშორეზე სიარული საჩივრებისა თუ სხვადასხვა საქმისა გამო შეუძლებელია, რადგან მოითხოვს მუშა კაცისაგან მოცდენას წასვლა-წამოსვლაში არა ნაკლებ 3-4 დღისა, რაიც დამღუპველი იქნება ჩვენთვის სიარული, მაშინ, როდესაც დუშეთი ჩვენზეა 18 ვერსის მანძილზე... რაც უნდა გვიჭირდეს, ჩვენ ცხინვალში ვერ ვივლით და ბევრი უსამართლობა და ჩვენი გაჭირვება დარჩება მთავრობას გაუგებარი. ძლიერ მნიშვნელოვანია ის, რომ მეზობელ სოფლებთან, რომლებიც მდებარეობენ დუშეთისაკენ, გვაქვს ახლო დამოკიდებულება მამულისა და სხვა საქმეებისა გამო და ამასთან საქმის მოსაგვარებლად უნდა ვიაროთ დუშეთს და ისინი კი თუ ჩვენზე საჩივარი ექნებათ, - ცხინვალს. ამნაირად სულ აგვეწეწება საქმე, ამიტომ ვთხოვთ მთავრობას მიგვაწეროს ისევ დუშეთს და აგვაცდინოს მრავალი გაჭირვება,უსიამოვნება.... ამგვარად, ქართველი მოსახლეობა გორის მაზრისა დაჟინებით, კატეგორიულად ერთსადაიმავეს ითხოვს, არაერთხელ, სხვადსხვა დროს, სხვადასხვა სახით (წერილობით თუ პირადად დეპუტაციის საშუალებით) ერთსადაიმავე სურვილს გამოთქვამს ოთხჯერ – არ დაუმორჩილონ იგი ოსურ ხელისუფლებას'' (თოიძე 1991:85);

აქ არ შეიძლება დღევანდელ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე არ გავამახვილოთ ყურადღება. ზემოთ მოტანილ დოკუმენტში ნათლად ჩანს,რომ ყველაფრის მიუხედავად, ქართველთა რაოდენობა ბევრად ჭარბობდა ოსებისას და ამიტომ მიმართავდნენ ოსები ფალსიფიკაციას და როგორია დღევანდელი ეთნიკური თანაფარდობა შიდა ქართლში, ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთ-ში''?! შეიძლება ითქვას რომ კატასტროფული, დღეს ოსებს გაყალბება აღარ დასჭირდებათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2008 წლის ომის შედეგები დემოგრაფიული თვალსაზრისით კატასტროფულია როგორც ზოგადად შიდა ქართლის, ისე ქსნის ხეობისთვისაც. დღეისთვის ქსნის ხეობაში (ახალგორის რ-ნი) ეთნიკური თანაფარდობა, სადაც ისტორიის ყოველ მონაკვეთზე ყოველთვის ქართველები ჭარბობდნენ, ქართველების მხოლოდ მცირე რაოდენობაა დარჩენილი.

ზემოთ ნახსენებ 1921 წლის 6-8 სექტემბრის სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის კომუნისტური (ბოლშევიკური) ორგანიზაციის კომიტეტის დადგენილებაში განხილულია ე.წ. სამხრეთ ოსეთის ისტორიულ-სოციალური განვითარებაც,სადაც აღნიშნულია რომ ოსების სოციალური განვითარების ჩამორჩენილობა ქართველების ბრალია: რადგან ,,1917 წლის რევოლუციამ სამხრეთ-ოსეთს მოუსწრო სამეურნეო ურთიერთობათა ნახევრად ფეოდალური ფორმების აღმოფხვრის პერიოდში. ეს ფორმები იყო არა თვითგანვითარების პროდუქტი,არამედ საქართველოს მიერ გარედან თავსმოხვეული 1852 წელს. მართალია მე-19 საუკუნის დასაწყისში სამხრეთ-ოსეთში ჩრდილოეთიდან, სადაც ფეოდალიზმი მკვიდრდება ყაბარდოს/დიგორის, ყუბანის/ გავლენით, იწყება სოციალური ორგანიზაციების ნიშნების შეღწევა, მაგრამ ისინი არ ვითარდება, ვინაიდან სამხრეთი განკერძოებულია ჩრდილოეთისაგან, მხოლოდ მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოს თავადობამ რუსეთის ცარიზმის მხარდაჭერით,გატეხა რა სამხრეთელი ოსების,ლატაკების,

მედგარი წინააღმდეგობა ჩააყენა ისინი თავის მორჩილებაში. გვაროვნული წყობა ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი. თუმცა 1917 წლის რევოლუციის დასაწყისისათვის გვაროვნული წყობა საბოლოოდ მოიშალა. ბატონყმური წყობილების განმტკიცების მომენტიდან ფულის სისტემა შედის თავისი გავლენის სფეროში. უფრო გვიან საშოვარზე გასვლა და მასების პროლეტარიზაცია ხდება გაძლიერებული ტემპით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სამხრეთ ოსეთში გარდამავალი პერიოდის სოციალისტური მეურნეობა თავისი გავლენის ორბიტაში ითრევს მშრომელებს".

შემდეგ ნაწილში – „სამხრეთ-ოსეთის ღატაკთა რევოლუციური ბრძოლის ისტორია", ხაზს უსვამენ თავიანთ დიდ წვლილს და დამსახურებას საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში: სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა მასების რევოლუციური ბრძოლის ისტორია ძირითადად არის გლეხების ბრძოლა მემამულეთა ჩაგვრის წინააღმდეგ, ბრძოლა მიწისათვის და მართვის საბჭოთა სისიტემისათვის. ვინაიდან იგრძნობოდა ნაციონალური ჩაგვრაც (მეფის მთავრობისა და განსაკუთრებით მენშევიკური მთავრობისაგან) რევოლუციური ბრძოლის მოტივებს ერწყმოდა ნაციონალური განთავისუფლების მოტივიც. 1905-1906 წლების მოძრაობა სამხრეთ ოსეთში იყო მემამულეთა ხროვის წინააღმდეგ გამოსვლები, რომელიც რეაქციის წლებში სასტიკად იქნა ჩახშობილი. ამის შემდეგ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე დგება შედარებით წყნარი პერიოდი. დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ ღარიბთა მიძინებული რევოლუციური ძალები კვლავ აქტიურდებიან.. .. ღრმა საზოგადოებრივ-კლასობრივ დაყოფაზე ლაპარაკიც კი არ იყო, რადგან მოძრაობა ატარებდა ნაციონალური განთავისუფლების ხასიათს, ხოლო კულაკური ელემენტი თამაშობდა აქტიურ როლს. (ფ.№281-ან №2-საქ. №3 ფურც.162).

1921 წლის 6-8 სექტემბერს გამართულმა სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა, რომ შექმნილიყო „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ცენტრით ცხინვალში".

აღნიშნული მოთხოვნა იმდენად კურიოზული იყო (იმჟამად ოსების ისტორიულ სამშობლოში – ჩრდილოეთ კავკასიაში ოსების არავითარი ავტონომია არ არსებობდა), რომ რკპ(ბ) ცეკას კავბიურომაც კი შეუძლებლად ჩათვალა მისი დაკმაყოფილება (ნათმელაძე, დაუშვილი 2004: 44).

1921 წლის 31 ოქტომბერს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცეკას კავკასიის ბიურომ განიხილა სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხი. ოსი სეპარატისტების მოთხოვნები შეიკვეცა. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო:

1) მიეცეს სამხრეთ ოსეთს ავტონომიური ოლქის სტატუსი; 2) მიეცეს წინა-დადება საქართველოს რევკომს სამხრეთ ოსეთის რევკომთან ერთად განსაზღვროს სამხრეთ ოსეთის ოლქის საზღვრები. ამ დადგენილებით არ გამოცხადებულა ცხინვალი ოლქის დედაქალაქად. 1921 წლის 17 ნოემბერს საქართველოს კპ(ბ) ცეკამ ცხინვალი გამოაცხადა ოლქის დედაქალაქად.

1922 წლის 20 აპრილს ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მაინც შეიქმნა ცენტრით ცხინვალში, სადაც ამ დროისთვის



ოსები ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 13,5% შეადგენდნენ, (20000 ქართველი, 1100 ოსი), გარდა ამისა ოლქს გადაეცა ცხინვალის გარშემო მდებარე 40 ქართული სოფელი და ქსნის ხეობა სადაც მოსახლეობის 80% ქართველი იყო.

ამასგარდა, საბჭოთა ხელისუფლებამ ოსების ახალი დასახლებები შექმნა შიდა ქართლში, მცირემიწიანი ოსი გლეხობა საბჭოთა მთავრობამ ტირიფონის ბარაქიან ველზე გადმოასახლა და შეუქმნა ცხოვრების ხელსაყრელი პირობები. (ნათმელაძე, დაუშვილი 204:112)

საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის ოლქის შექმნა ხელოვნური და უკანონო იყო, რადგან: „1) შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებს ისტორიული სამშობლო სხვაგან აქვთ; 2) საქართველოს ტერიტორიაზე (შიდა ქართლი) ოსთა ისეთი რაოდენობა არ ცხოვრობდა, რომ ოსურ მოსახლეობას ავტონომიის მოთხოვნის უფლება ჰქონოდა; 3) საო-ს სრულიად უკანონოდ მიაკუთვნეს ქ. ცხინვალი და ქართული სოფლები" (გურული 2003 : 114).

ყველა დამპყრობელი ეძებს და „პოულობს" თავიანთი იმპერიული ზრახვების, დაპყრობითი ომების „გამამართლებელ" მიზეზებს. ამ მხრივ რუსეთის სახელმწიფო ძველიც და თანამედროვეც სამაგალითოა. „ისტორიის ფალსიფიცირების მეთოდი საბჭოთა ხელისუფლებამ მეტწილად მეფის რუსეთისგან მემკვიდრეობით მიიღო. 1987 წლის აპრილში მოსკოვში გამართულ ისტორიკოსთა და მწერალთა სამეცნიერო კონფერენციაზე ი. აფანასიევმა აღნიშნა, რომ „არ არის მსოფლიოში ისეთი ფალსიფიცირებული ისტორიის მქონე ქვეყანა, როგორიც ჩვენია. საბჭოთა რეჟიმს ისტორია სჭირდებოდა არა მეცნიერებად, არამედ პროპაგანდის მსახურად, რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულთა გასამართლებლად (ჯანელიძე 2013:263).

ტრადიციას არც დღევანდელი რუსეთის უმაღლესი ხელისუფალნი ღალატობენ, ასე მაგ. „1990 წლის 1 სექტემბერს მოსკოვში საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულება დაიდო.. ..სადაც ელცინმა განაცხადა: „მთელი თავიანთი ერთობლივი ისტორიის მანძილზე.... რუსეთსა და საქართველოს არასოდეს უომიათ ერთმანეთთან, არ ჰქონიათ დავა საზღვრების გამო, არაფერი ჰქონიათ გასაყოფი" (ჯანელიძე 2013:263-264).

2008 წლის 28 აგვისტოს პუტინმა „სი-ენ-ენ"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.. ყველა კავკასიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი თავის დროზე რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შევიდა. მათგან პირველი იყო ოსეთი, რომელიც თითქოს XVIII საუკუნეში ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი ერთ სახელმწიფოს შეადგენდა და იგი რუსეთს 1745-1747 წლებში შეუერთდა (ჯანელიძე 2013: 266).

2004 წლის 10 ივლისს, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირომ თავის პლენარულ სხდომაზე მიიღო განცხადება, რომელშიც საგანგებოდ ჩაწერა: ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შევიდა 1774 წელს, როგორც ერთიანი ოსეთი, და არა როგორც სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთი (ჯანელიძე 2013:272). როგორც ჩანს რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ და პრეზიდენტმა ოსეთის რუსეთთან შეერთების თარიღი ვერ შეათანხმეს.

გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ რუსეთის ოფიციოზმა ან

ისტორიკოსებმა  არ იციან ისტორიული სინამდვილე და ოსი ისტორიკოსების მიერ არიან „მოტყუებულნი". საბჭოთა პერიოდის  ენციკლოპედიების მონაცემებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის, „ოსეთი" როგორც ერთიანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული ან გეოგრაფიული ცნება,არსად მოიხსენიება; ლაპარაკია, ერთის მხრივ,ყაბარდოელთა ქვეშევრდომ ოსურ საზოგადოებაზე ჩრდილოეთ კავკასიაში და, მეორეს მხრივ, კავკასიის სამხრეთ კალთებზე არსებულ ოსურ დასახლებებზე, რომლებიც ქართველ ფეოდალებს ექვემდებარებოდნენ; მაგრამ მათ „ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია,როგორც გეოპოლიტიკური სტრატეგიის ნაწილი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ჰყავთ აყვანილი" (ჯანელიძე 2013:265).

არც „რუსი და ოსი ისტორიკოსების ნ. კიპრიანინა, მ. ბლიევი და ვ. დეგოევი თავიანთ ერთობლივ მონოგრაფიაში არაფერს ამბობენ ერთიან ოსეთზე (ჯანელიძე 2013:275)

სხვა რომ არაფერი  იყოს დარჩენილი ისტორიიდან საკმარისი იქნებოდა სიმართლის დასადგენად 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული რუკები, რომლებიც რუსეთის სახელმწიფო არქივშია დაცული.  „ამ რუკებზე საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიის ქედის გასწვრივ გადის, ისე რომ შიდა ქართლის ტერიტორია ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაშია დაფიქსირებული" (ჯანელიძე 2013. 276.).

და ბოლოს ის,რომ ქსნის ხეობა საქართველოა (და მთელი ე.წ. სამხრეთ ოსეთიც) დღევანდელმა საოკუპაციო ჯარის პირადმა შემადგენლობამაც კარგად იცის, რის დასტურადაც გამოდგება რუს ჯარისკაცთან (ოკუპანტთან) ჩემი საუბარი. როდესაც სასაზღვრო გამშვებ პუნქტან მივედი (საოკუპაციო რეჟიმის გამკაცრებამდე, როცა ჯერ კიდევ გვიშვებდნენ  საკუთარ სახლებში), და მონაცემებს იწერდა, მკითხა, ოსი ხარო? „ოსი არა  ვარ და არც ეს სოფელი და არც ეს ხეობა ოსეთი არ არის"-მეთქი, ვუთხარი,  „ვიციო"– მიპასუხა. იციან, რა თქმა უნდა, ყველაფერი იციან მაგრამ?.....

ყველა სახის ისტორიული (ქართული თუ უცხოური) წყაროები ცხადყოფენ,რომ ქსნის ხეობას და იქ ჩამოყალიბებულ საერისთავოს, საქართველოს სახელმწიფოსათვის ყოველთვის განსაკუთრებული პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი არაფრით გამოირჩეოდა სხვა ქართული სათავადოსაგან  და ყოველთვის აქტიურად იყო ჩაბმული ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში.

ოსების ჩრდილო კავკასიიდან შემოსახლება საკამათო დღეს არავისთვის არ არის, ოსთა გამოჩენას ქსნის ხეობის ზედა ზოლში ადგილი ჰქონია არაუადრეს XV საუკუნისა, XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები სახლდებიან ჯეჯორისა და ქსნის ხეობის (ჟამურის) სათავეებთან. შემდეგ საუკუნეებში ხდება ხეობის ქვედა ზოლში ჩამოსახლებაც.

ხელოვნურად დანერგილმა ტერმინებმა, ჯერ „ოსეთის" და შემდეგ „სამხრეთ ოსეთის",დიდი თავსატეხი გაუჩინა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას 1918-1921 წლებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ,კი ბოლშევიკებმა



დაარღვიეს საქართველოს ტერიტორიული  მთლიანობა და ოსებს ისტორიულ შიდა ქართლში შეუქმნეს სახელმწიფო.  როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა  არასამართლებრივი და უკანონო იყო.

ოლქის შექმნის დროს ხელმძღვანელობდნენ ე.წ. ეთნოგრაფიული//ეთნიკური მონაცემებით, რაც ამ შემთხვევაში ქართველებისა და ოსების განსახლების არეალის ტოლფასი უნდა ყოფილიყო. ქსნის ხეობა 1922 წლამდე (ოლქის შექმნამდე) დუშეთის მაზრაში შედიოდა. 1917 წლის აღწერისას, მაზრაში აღწერის კომისიის თავმჯდომარე იყო ჯიოევი, მიზანმიმართულად იქნა გამოტოვებული მთელი რიგი ქართული სოფლებისა, როგორც არაგვის ისე ქსნის ხეობაში. საბედნიეროდ არაგვის ხეობაში დაშვებული „შეცდომები" მალე გამოვლინდა, ხოლო ქსნის ხეობის აღწერის მონაცემებს მაშინ სათანადო ყურადღება არ (თუ ვერ) მიაქციეს, რის გამოც ქსნის ხეობა ოლქის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

ოს სეპარატისთებს რომ ავტონომიური ოლქის სტატუსი და საქართველოსათვის წართმეული ტერიტორიები არ აკმაყოფილებთ,კარგად გამოჩნდა 1989 წელს „ადამონ ნიხასის" მიერ ორგანიზებულ, ცხინვალში მიმდინარე ანტიქართულ გამოსვლებში და ლოზუნგებში, სადაც  კვლავ დაფიქსირდა XX ს-ის 20-იანი წლების ლოზუნგი, „ორი ოსეთის" გაერთიანებისა და დამოუკიდებელ რესპუბლიკად ჩამოყალიბების მოთხოვნა.

ცხინვალში ანტიქართული გამოსვლების პარალელურად, ქსნის ხეობაშიც ტარდებოდა ქართველი მოსახლეობის პერმანენტული მიტინგები ოლქიდან გამოყოფისა და ცალკე მუნიციპალიტეტად ჩამოყალიბების მოთხოვნით. 1922 წლისაგან განსხვავებით ამჯერად ხალხის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და 1992 წლიდან ახალგორის რაიონი ცალკე მუნიციპალიტეტად ჩამოყალიბდა. 2008 წლის ომამდე იგი მცხეთა მთიანეთის გუბერნიაში შედიოდა.

2008 წლის ომის შემდეგ, ვინაიდან საოკუპაციო რეჟიმის პირობები არ იძლევა იქ ღირსეული ცხოვრების საშუალებას, ქსნის ხეობაში მუდმივმაცხოვრებლად ქართველების მხოლოდ მცირე რაოდენობაა დარჩენილი; ხოლო დევნილი მოსახლეობის უმრავლესობას ცხინვალის მარიონეტული მთავრობა საკუთარ სახლებში შესვლას თანდათანობით  უზღუდავს.

**გამოყენებული ლიტერატურა :**


1. მაკალათია ს., ქსნის ხეობა, თბ. 1968.
2. მაკალათია ს., ლეხურის ხეობა,  თბ.1964.
3. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ.I. თბ. 1962.
4. გვასალია ჯ.,– აღმოსავლეთ საქართველოს  ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ. 1983.
5. გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის  კრებული, II, 1967.
6. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან,  თბ. 1955.

7. ჩიტაია გ., 1938 წლის ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიცია (მოკლე ანგარიში), „შრომები", ტ.III, თბ. 2001.

8. თოგოშვილი გ., ხაბალაშვილი ი. ოსეთის მოსახლეობა, ცხინვალი 1983.

9. თოგოშვილი გ., ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა თბ., 1969.

10. თოგოშვილი გ., ვახუშტი ბატონიშვილი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბ., 1977;

11. ბატონიშვილი ვახუშტი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

12. ჩიქოვანი გ., „მიწის ნასყიდობის აქტები ზემო იმერეთის ოსების საოჯახო არქივიდან", კრბ. ისტორიულ–ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 2004.

13. ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 2007.

14. ითონიშვილი ვ., ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995.

15. ითონიშვილი ვ., ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002.

16. ითონიშვილი ვ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, 2008.

17. ურული ვ., საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბ., 2003.

18. ნათმელაძე მ, დაუშვილი ა., საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004.

19. ჯანელიძე ო., ისტორიის აქტუალიზაცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პოსტსაბჭოთა პერიოდში, ჟურნ, „ანალები",№9. თბ.,2013.

20. დაუშვილი ა.,საეროვნებათაშორისო ურთიერთობის საკითხისათვის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. „ანალები",№8, 2012.

21. თოფჩიშვილი რ., ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, 2005.

22. თოფჩიშვილი რ.,მოსახლეობის შიდამიგრაციული პროცესების მნიშვნელობისათვის საქართველოს ისტორიაში

23. თოფჩიშვილი რ., ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.

24. თოფჩიშვილი რ., როდის დასახლდნენ ოსები საქართველოში, ჟურნალი „ისტორიანი", 20012, №3 (15).

25. თოფჩიშვილი, რ., „მთის ჩამოწოლა" შიდა ქართლში, როდის დასახლდნენ ოსები საქართველოში, ჟურნალი, „ისტორიანი", № 4 (16), თბ.,2012.31.).

26. თოფჩიშვილი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII–XX სს. (ფშავ-ხევსურეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), თბ., 1984.

27. თოფჩიშვილი რ.,„ეთნოსთა შორის ურთიერთობები. ონფლიქტები თანამედროვე საქართველოში", საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია., თბ., 2010.



28. თოფჩიშვილი რ., ოსთა ეთნოგენეზის შესახებ,, კრბ; კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIV,2012;

29. Топчишвили Р., Грузино-осетинские этноисторические очеркиб Кутаисиб 2006.

30. Топчишвили Р., История миграции Осетин в Грузию, Кавказоведческие исследования, Тб., 2011.

31. Топчишвили Р., Об осетинское мифологеме истории и кража истории, Кавказоведческие исследования, Тб., 2011.

32. თოიძე ლ., როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991;

33. Джапаридзе О., Как создавадась Юго-Осетинская автономная область (новые архивные материады), Некоторые вопросы истории осетин Шида Картлиб Тб., 2010.

34. Ткавашвили М., Некоторые вопросы миграции Осетин на Кавказе и российские официальные документы начала XIX века о демографическом положении живущих в Грузии Осетин, сб. Некоторие вопросы истории осетин Шида КартлиТб., 2010.

35. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.

36. ჯალაბაძე გ., ქსნის ხეობის მოსახლეობა, კრბ. „ქსნის ხეობა", თბ., 1975.

37. კვერენჩხილაძე რ., სამხრეთ ოსეთი, 1968.

38. მელიქიშვილი ლ., კონფლიქტის ანთროპოლოგია, (ეთნიკური ასპექტები), თბ., 2006.

39. Кулумбегов Р., Время собирать камни, газета „Республика" №41-42 (571-572, июль 2011 г.

40. დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, II, 1965.

41. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, I, 1967.

42. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.6. 1983.

43. სსცია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ..№281-ან .№2 საქ. №3;

43. სსცია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ.№282, №1 საქ.№599;

44. Котаева М., Ленингорский район: политические характеристики, экономика, пограничные проблемы., Грузино-Осетинский конфликт: в поисках мира. Сборник статей югоосетинских авторов, 2011.

45. Меписашвили Р., Полупещерный памятник IX в.сел. Биети, ქართული

ხელოვნება, 6-A., 1963.,).

46. Лекишвили С., Когда возник терьит ,,Южная Осетия сб. ,,Осетинский вопрос»

47. სონღულაშვილი ა. ,,სამხრეთ ოსეთი'' საქართველოში?!, თბ., 2009.

48. კვირიკაშვილი ვ., როდის და ვისთვის შეიქმნა ტერმინი ,,სამხრეთ ოსეთი'', 2010, Expertclub.ge/portal/…default.aspx

49. აბაევი ვ., გაზ. ,,თბილისი'', 1992. 23 იანვარი.

51. ბურდული მ., 2008-2014 წლების საველე ეთნოგრაფიული მასალა (ქსნის ხეობაში: ახალგორი; ახმაჯი; ბოლი; ერედა. დევნილთა კომპაქტური დასახლებები: წეროვანი; წილკანი; ფრეზეთი).





ლავრენტი ჯანიაშვილი

## საისტორიო მწერლობა – ეთნოცენტრისტული სტერეოტიპების ინსპირატორი

ნებისმიერმა ფრანგმა მოწაფემ იცის, რომ ფონტენუასთან ბრძოლის წინ საფრანგეთის გვარდიის მეთაური, ბატონი დ'ანტეროში, დაცვის გარეშე გაემართა ინგლისელთა შესახვედრად, ქუდი მოიხადა და შესძახა: ,,ბატონო ინგლისელებო პირველებმა თქვენ ისროლეთ!''

ნებისმიერმა ინგლისელმა მოსწავლემ იცის, რომ ინგლისის გვარდიის მეთაური, მილორდ ჰეი, ფრანგებს მიუახლოვდა, ქუდი მოიხადა და დაიძახა: ,,ბატონო ფრანგებო, პირველებმა თქვენ ისროლეთ!''

პიერ დანინოსი

### I. რუსული გეოპოლიტიკური პარადიგმა და ქართული ,,სეპარატისტული რეგიონები"

ქართულ-ოსური/რუსული კონფლიქტი მრავალშრიანი მოვლენაა. ამ კონფლიქტის ინსპირირებაში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ ეთოკულტურული ასპექტების გვერდით, ზეგავლენა აქვს თითოეული მხარის პრეტენზიას, დაიბრუნოს მისთვის ისტორიულად მინიჭებული ადგილი. ამრიგად, მეცნიერთა ნაწილს საშუალება ეძლევა კონიუნქტურის შესატყვისი გეოპოლიტიკური დაკვეთა შეასრულოს და ამა თუ იმ ხალხის ისტორიული როლის გაზვიადებით ზემოქმედება მოახდინოს ეთნოცენტრისტულ განწყობებზე.

მე-20 საუკუნეში მსოფლიოში გააქტიურებულმა გლობალურმა პროცესებმა ახალი კონცეპტუალური პარადიგმების გამოძებნის აუცილებლობა განაპირობა. ,,,,,,ფაშისტური და პოსტფაშისტური, კომუნისტური და პოსტკომუნისტური კატაკლიზმები; ტრადიციული, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული რეალიების დინამიკა; მასშტაბური კრიზისები აიძულებდა პოლიტოლოგებს, სოციო-პოლიტიკურ სისტემებისათვის მოეფიქრებინათ იდეოლოგიური ბაზისი, რომელიც, ერთი მხრივ, კონკრეტული პოლიტიკური მიზნების შესრულებას შეუწყობდა ხელს, მეორე მხრივ კი, სასურველი სოციოკულტურული გარემოს ფორმირებას, კონფლიქტების მართვას და ,,დიდი" თუ ,,მცირე" ხალხების ეროვნულ მობილიზაციასა და კონცენტრაციას.

მსოფლიოში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური და სოციოკულტურული პროცესები თავისებურად აისახებოდა ე.წ. რუსული გავლენის სფეროში მოქცეულ ქვეყნებზე, რომელშიც საქართველოც შედიოდა. ცარისტული რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენებულმა საბჭოთა სახელმწიფომ და მისმა ძირითადმა სამართალმემკვიდრემ, რუსეთის ფედერაციამ, მემკვიდრეობით მიიღეს იმპერიის ხალხთა სრული ასიმილაციის ამოცანა. ერთეროვნული, რუსული (საბჭოთა ხალხის = რუსების) სახელმწიფოს

შექმნისათვის კომუნიზმის ქადაგება და ხალხთა ძმობა-თანასწორობის იდეა საკმარისი არ იყო. სოციალისტური ჰუმანიზმის ლოზუნგით აღჭურვილი კრემლი ფართოდ იყენებდა ორმაგ სტანდარტს და ინტენსიურად აფართოებდა სამფლობელოს. რუსეთი გამოცხადდა პროგრესის ძირითად წყაროდ „ისტორიულად ჩამორჩენილი აზიისა და კავკასიისათვის“. ამ პირობებში გადამწყვეტი როლი დაეკისრა რუსეთის ისტორიას და კულტურას. რუსეთის (საბჭოთა კავშირის ხალხთა) ისტორია აუცილებელ სასწავლო საგნად იქცა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. რუსეთის ისტორიის შუქზე უნდა განხილულიყო მცირე აზიის, ბალტიისპირეთისა თუ კავკასიის ხალხთა ისტორიის ცალკეული მოვლენები. შესაბამისად, ხელი ეწყობოდა კულტურულ უნიფიკაციას რუსიფიკაციის ნიშნით.

ხსენებული ვითარება, რა თქმა უნდა, აძლიერებდა „ნაციონალისტური“[1] ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა სურვილს წინ წამოეწიათ თავიანთი ხალხის კულტურულ-ისტორიული ღირებულებანი. უცხოურ სამეცნიერო წრეებში გავრცელებული იყო მიდგომა,რომ საბჭოთა საზოგადოებრივი მოდელის ძირითადი არსი მდგომარეობდა რუსულისა და არარუსულის დაპირისპირებაში. ცენტრის ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო რუსიფიკაციის განხორციელებისაკენ, რასაც პერიფერია თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივი ენისა და ეთნიკური კულტურის განვითარების გზით (შნილერმანი 2003:10). სინამდვილეში, პერიფერიებში ყოველთვის არსებობდა რუსიფიკაციის მომხრე ძალა, როგორც ნაციონალურ ინტელიგენციაში, ისე იმ ეთნიკურ ერთობებში, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკურ მოწყობაში უფრო დაბალი იერაქია (ავტონომიური ,რესპუბლიკა,ავტონომიური ოლქი) ეკავა. ამ უკანასკნელთ, ცენტრი საკუთარი მიზნების განხორციელებაში ბუნებრივ მოკავშირედ მოიაზრებდა და მათთან რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებაც უფრო უადვილდებოდა. ამ გზაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ე.წ. მცირე ხალხებისათვის (მაგ. აფხაზებისა და ოსებისათვის) არსით რუსული და ფორმით „ნაციონალური“ სახელმწიფოებრივი, კულტურული და სხვა სახის ატრიბუტების მიცემას. იქმნებოდა ილუზია, რომ საკავშირო ცენტრი რესპუბლიკურზე მეტად ცდილობადა ეთნიკურ ავტონომიებში ადგილობრივი პოლიტიკური და კულტურული ინსტიტუტების განვითარებას. თუმცა, საბჭოთა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში საქმეთა წარმოება და უმაღლესი განათლების სისტემა ძირითადად რუსული იყო.

მდგომარეობა შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ახალ ეპოქას კომუნისტური იდეოლოგიის კრახისა და ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრების გამო, ფრენსის ფუკუიამამ ისტორიის დასასრული უწოდა (ფუკუიამა 1992). გაჩნდა პერსპექტივა, რომ დიდი სახელმწიფოების ინტერესთა პრიორიტეტულობა და შესაბამისად, სერიოზული კონფლიქტები წარსულს ჩაბარდებოდა. თუმცა გაირკვა, რომ კონფლიქტები არც ახალი მსოფლიოსათვის არ არის უცხო. მალე ჰიპოთეზა ერთპოლუსიანი მსოფლიოს არსებობის შესახებ ეჭვქვეშ დადგა. საბჭოთა კავშირის ადგილზე პრეტენზია განაცხადა რუსეთმა. გაჩნდა შესაბამისი გეოპოლიტიკური თეორიაც,რომელიც აპრიორულად იღებს ორპოლუსიანი მსოფლიოს არსებობას,სადაც დაპირისპირება გარდაუვალია. ზოგადი გეოპოლიტიკური სურათიდან გამომდინარე, ამ მოვლენებში კავკასიასაც გარკვეულ როლს ანიჭებენ. პოტენციურ კავკასიურ ომში ერთმანეთს უპირისპირდება ორი მეტოქე, ევრაზიული და ატლანტიკური პოლუსი

1 ასე უწოდებენ თანამედროვე რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ისტორიკოსებს



(დუგინი 1999).

ატლანტისტების (ცენტრით ვაშინგტონი) მიერ გაცხადებული მიზანი – „ახალი წესრიგის“ დამყარებაა. ამ ტერმინის უკან ანალიტიკოსთა ნაწილი მსოფლიოზე ბატონობის შენიღბულ სურვილს ხედავს, რისთვისაც საჭირო გახდა „ძველი წესრიგის“ ტოტალურ ქაოსამდე მიყვანა, მისი საძირკვლის დანგრევა, შემადგენელ ნაწილებად დაშლა, ატომიზირება და „ახალი წესრიგის“ მშენებლობისთვის საჭირო ნედლეულად ქცევა. ათვლის წერტილს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ინიციატივით წამოწყებული ძველ სამყაროსთან კონფლიქტი წარმოადგენს. ამ კონფლიქტის პოლუსებს აერთიანებს ორი გეოსტრატეგიული ღერძი: (1) ვაშინგტონი - ტოკიოს ღერძი,რომელიც ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების საზღვაო სივრცეს აკავშირებს; (2) მოსკოვი-თეირანის ღერძი,რომელიც ევრაზიის სახმელეთო სივრცეს აერთიანებს. ამ ორი ღერძის გადაკვეთის წერტილია - კავკასია (ნუხაევი 2003: 120).

ევრაზიული პარადიგმის ავტორი, ა. დუგინი,მიიჩნევს,რომ პოლუსების ირგვლივ სხვადასხვა ფაქტორების გავლენით გაერთიანებული ქვეყნები მომავალში ალიანსებს შექმნიან. ევრაზიულ ალიანსში იგი მოიაზრებს რუსეთის ირგვლივ შეკრებილი მეტ-ნაკლებად აქტიურ სახელმწიფოებს:ბელორუსს,სომხეთს,სერბეთს,უკრაინას,ტაჯიკეთს, ყირგიზეთს, ასევე ირანს, ინდოეთს, ჩინეთს და საბერძნეთსაც. ამ დაპირისპირებაში ჩაბმული აღმოჩნდა საქართველოც,რომელიც განსხვავებული რელიგიური სპეციფიკისა და შესაბამისი გეოპოლიტიკური ორიენტაციის მქონე ქვეყნების და ხალხების გარემოცვაში იმყოფება. დუგინის თანახმად, ამგვარ სიტუაციაში საქართველოსთვის, რომლისთვისაც მართლმადიდებლობა გეოპოლიტიკური იდენტურობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტორად რჩება, ევრაზიული ალიანსი ბუნებრივი მოკავშირეა, თუმცა ამ ეტაპზე ეს მხოლოდ ევრაზიული კონცეფციის მიმდევართა სურვილად რჩება.

თანამედროვე მსოფლიო პროცესებს საფუძვლად უძევს არაერთგვროვანი მექანიზმები,გლობალური ინტეგრაციის და ლოკალური ავტონომიის (გლოკალიზაციის) ფაქტორები, ამიტომ დუგინისეული პარადიგმა ხანდახან სავარაუდო მოკავშირეებთან ინტერესთა კონფლიქტში შედის, რეალობაში რთულად ინერგება და ზოგჯერ ამ სახელმწიფოებში სეპარატისტული მოძრაობების წაქეზებასა და ღია საომარ მოქმედებებში გამოიხატება. სწორედ ასეთ ადგილს წარმოადგენს სეპარატისტული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“, რომელშიც ამჟამად ჩვენი საკვლევი ახალგორის რაიონიც შედის. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. „სახელმწიფოები“ რუსულ ნაციონალურ პოლიტიკაში ახალ ფენომენს წარმოადგენს, რომელთა აღიარებითაც მოსკოვმა ერთგვარი რუბიკონი გადალახა და მსოფლიო სხვა რადიკალური ქმედებებისათვის შეამზადა.[2]

ბოლო საუკუნენახევრის განმავლობაში რუსეთის ჰეგემონობის არეალში ჩატარებული მასშტაბური იდეოლოგიური ექსპერიმენტები, რომელიც კომუნიზმის კრახით დასრულდა, გარკვეულად აისახა რუსულ საზოგადოებრივ აზრზე და მას ნაწილობრივ აბსურდული ფორმა მისცა. მაგ. სიტყვა „ფაშიზმი“ დღევანდელი რუსული გაგებით აღნიშნავს არა იდეოლოგიას, არამედ ორიენტაციას. ფაშისტებს ეძახიან იმ ადამიანებს, რომლებიც რუსი ნაციონალისტების გაგებით თანამედროვე

2 რუსეთის სახელმწიფოს ნაციონალურ პოლიტიკის არსს ვ. ტიშკოვი განსაზღვრავს, როგორც რუსული სახელმწიფოსა და საზოგადოების ნაციონალური (სახელმწიფოებრივი) ინტერესების უზრუნველყოფას საშინაო და საგარეო არენაზე /ტიშკოვი, 2003/.

რუსული ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგნი არიან. როგორც ცნობილი რეჟისორი ა. ნეკრასოვი აღნიშნავს ფაშისტებს უწოდებენ პროდასავლელ ლიბერალებს, აწ გარდაცვლილი ბორის ნემცოვის ჩათვლით. სსრკს-ს დაშლის შემდეგ წარმოქმნილი იდეოლოგიური ვაკუუმი დასავლურ დემოკრატიულ ფასეულობებს უნდა შეევსო, მაგრამ ამ ფასეულობების დისკრედიტაცია რუსულ საზოგადოებაში მოახდინა გასული საუკუნის 90-იან წლებში განხორციელებული პრივატიზაციის შემდეგ წარმოქმნილმა ეკონომიკურმა ოლიგარქიამ. მართალია, მზარდი ეკონომიკური აქტივობის ფონზე, ერთხანს ამ სიცარიელეს მომხმარებლური იდეოლოგია ავსებდა, მაგრამ 2008 წლის ძვრების შემდეგ მკაფიოდ გამოიკვეთა ახალი ნაციონალური იდეოლოგია. იგი ნაციონალურ მობილიზაციას უცხოეთიდან მომდინარე საფრთხეების აფიშირებით ცდილობს,თუმცა საფუძველში დიდებული წარსულის ნოსტალგიის,ოლიგარქებისადმი პრეტენზიის, წვრილბურჟუაზიული მატერიალიზმის და ქსენოფობიის ნაზავი უძევს (ნეკრასოვი 2015).

რუსული ინტელექტუალური ელიტა ორმაგი სტანდარტებით უდგება ე.წ. ეთნიკური ჯგუფების უფლებებს რუსეთსა და დასავლურ სამყაროსთან დაახლოების მსურველ მეზობელ ქვეყნებში. მაგ. ვ. ტიშკოვის აზრით, რუსეთის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები კონვენციის სუბიექტები ვერ იქნებიან. ისინი სტატისტიკური უმცირესობები არიან,მაგრამ ადგილებზე უმრავლესობას წარმოადგენენ, აქვთ მმართველობის ორგანოები. არსებულ სიტუაციაში დაცვას საჭიროებენ ასეთ ადგილებში ფაქტობრივ უმცირესობაში მყოფი რუსები (ტიშკოვი 2002). სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებაა რუსულ საზოგადოებაში უკრაინასა და საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში და ყირიმსა და არმოსავლეთ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებში, რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. როგორც ა. ნეკრასოვი წერს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ რუსეთში, თქვენ ნახავთ უსაზღვრო ეროვნულ სიამაყეს. დასავლეთისაგან გატარებული ეკონომიური სანქციების მიერ მიყენებული ზარალის მიუხედავად, რუსები მხარს უჭერენ კრემლს (ნეკრასოვი 2015).

ცნობილია, რომ ნაციონალისტური იდეოლოგიები გადამწყვეტ როლს თამაშობენ როგორც კონფლიქტისა და დაპირისპირების ინსპირირებაში,ასევე მათ დარეგულირებაში (სმითი 2004:21-22). რუსული პოლიტიკა ამის ტიპურ ნიმუშად გვევლინება. ქვეყნის შიგნით რუსული ნაციონალური კონცეფციის ძირითად მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ეთნიკური იდენტობის მქონე მოქალაქეთა საერთო რუსულ სახელმწიფოში ინტეგრაცია. ძირითადი აქცენტი ამ დროს კეთდება არა ამ ადამიანთა ეთნოკულტურული თავისებურებების შენარჩუნებაზე, არამედ მათ სრულ ასიმილაციაზე. მიაჩნიათ, რომ ეს სტრატეგია თავად არარუსი მოქალაქეების ინტერესებში შედის, რომელთაც სურთ, რომ მათმა შვილებმა რუსულად უაქცენტოდ ისაუბრონ, უშეცდომოდ წერონ თხზულებები და კარგი განათლება მიიღონ. ობიექტურად კი, ამგვარი ,,ინტეგრაციის'' ხელისშემშლელი უამრავი ფაქტორი არსებობს; ცალკეული ეთნიკური ერთეულების მისწრაფებამ თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, შეიძლება უკიდურესი ფორმებიც მიიღოს (შეიარაღებული გამოსვლები, რელიგიური დაპირისპირებები და ა.შ.). რუსეთი რჩება ქვეყნად, სადაც ძალზე ინტენსიურია შრომითი მიგრაცია. შესაბამისად, საკმაოდ მაღალია ეთნიკურ დიასპორათა აქტივობის ხარისხი, რაც ისტორიულ სამშობლოსთან ეთნიკური და რელიგიური კავშირების შენარჩუნებისაკენ სწრაფვაშიც გამოიხატება. ყოველივე ეს, შეუსაბამობაში მოდის რუსეთის ნაციონალური პოლიტიკის მიზნებთან.



,,ქვეყნის დიასპორიზაცია უნდა შეჩერდეს. სახელმწიფოს მოქალაქეები არ შეიძლება დიასპორად ითვლებოდნენ, სხვაგვარად დიასპორას უნდა მიეწეროს სახელმწიფოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი'' – წერს ვ. ტიშკოვი (ტიშკოვი, 2003).

რუსული საგარეო პოლიტიკა პირიქით, ცალკეული პოსტსაბჭოური სახელმწიფოების რეგიონებში სეპარატისტული მოძრაობების აქტიურ მხარდაჭერასა და კონფლიქტის ინსპირირებაში გამოიხატება. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ა. დუგინმა ღიად განაცხადა,რომ რუსეთი არ აპირებს ყველა სეპარატისტული რეგიონის აღიარებას,არამედ მხარს დაუჭერს მხოლოდ მათ,რომელთაც გეოპოლიტიკურ ასპექტში საკუთარ მოკავშირედ და აშშ-ს მოწინააღმდეგედ მიიჩნევს. იმავდროულად, პოლიტოლოგმა გააკეთა ძალზე რეალისტური პროგნოზი, როგორი სცენარით განვითარდებოდა მოვლენები პოსტსაბჭოურ ქვეყნებში (მაგ უკრაინაში) ნატოსთან და აშშ-სთან დაახლოების შემთხვევაში (დუგინი 2008).

საქართველოსთვის, თავის მხრივ, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება რუსული ჰეგემონიისგან თავის დაღწევის, მისი ინტერესების დაბალანსების და აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთეხეებისაგან თავდაცვის ალტერნატივას წარმოადგენს,რასაც ხელს უწყობს ,,ცივილიზაციური'' და პოლიტიკური ფაქტორებიც (მაისაია 2003: 188-189).

ამდენად, ე.წ. სეპარატისტულ რეგიონებს ორივე მხარის სტარტეგიული მიზნების მიღწევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა, მოქმედების თავისუფლების თვალსაზრისით, საქართველო ბევრად შეზღუდულია, რადგან უკვე გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთმა შეძლო ამ რეგიონების ფაქტიური მოწყვეტა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სივრციდან, რაც 2008 წლის ომის შემდეგ ღია ოკუპაციით და ანექსიით დაასრულა. მოსკოვმა ვითარების შელამაზების მიზნით, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, ხოლო საკუთარი ქმედება აქ მცხოვრები აფხაზი და ოსი ხალხის დახმარების აქტად მონათლა. შექმნილი ვითარება თავად რუსული ინტერესებისათვის იქცა დილემად, გაჩნდა უამრავი გადაუჭრელი წინააღმდეგობა, მათ შორის:

- რუსეთი ე.წ. მცირე ხალხების თვითგამორკვევის უფლებისათვის იბრძვის საქართველოში მაშინ, როდესაც საკუთარ საზღვრებში დაუნდობლად ახშობს ამგვარ გამოვლინებებს;
- ერთ შემთხვევაში (საქართველოში, უკრაინაში, მოლდოვაში) მხარს უჭერს სეპარატიზმს, ხოლო სხვა შემთხვევაში (მაგ. ყაზახეთში, სომხეთში და ა.შ) აღიარებს სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს, რა თქმა უნდა, უნდობლობას იწვევს მის მოკავშირეებში;
- ე.წ. დამოუკიდებელ, თუნდაც მარიონეტული სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის არ არსებობს ბაზა (ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური);
- ახალი სტატუს-ქვოს გავლენა გრძელვადიან პერსპექტივაზე გაუთვლელია და ზუსტად არავინ იცის,როგორ შეიძლება ეს ყოველივე აისახოს,თუნდაც,რუსეთის საშინაო ვითარებაზე.

იმავდროულად, გაჩნდა შექმნილი სიტუაციის გამართლებისათვის არგუმენტების მოძიების საჭიროება. პირველ რიგში, უნდა დასაბუთებულიყო, რომ აფხაზური და

სამხრეთ ოსური სახელმწიფოების შექმნისათვის არსებობდა ისტორიული და სოციალ-კულტურული ბაზისი, რადგან ნაციასახელმწიფოს ფორმირება გარკვეული წინაპირობების გარეშე წარმოუდგენელია. ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნაციებსა და ეთნიკურ ერთობებს[3] შორის განსხვავება, ერთი შეხედვით, არც თუ ისე მკაფიოა. ე. სმითი ნაციას განსაზღვრავს, როგორც ადამიანთა ერთობას, რომელსაც აქვს თვითდასახელება, უჭირავს სამშობლო ტერიტორია, გააჩნია საერთო მითები და საზიარო ისტორია, ასევე, საჯარო კულტურა, ერთიანი ეკონომიკა და ყველა წევრისათვის საერთო უფლება-მოვალეობანი. ხოლო „ეთნიეს" უწოდებს ადამიანთა თვითდასახელების მქონე ერთობას, რომელიც დაკავშირებულია სამშობლო მიწასთან, აქვს საერთო მითები წინაპართა შესახებ, საზიარო მახსოვრობა, კულტურის ერთი ან მეტი საზიარო ელემენტი და გარკვეული სახის სოლიდარობა ელიტის შიგნით მაინც (სმითი ე. 2004: 36). ამ ფორმულირებიდან აშკარაა, რაოდენ მნიშვნელოვანია ოფიციალური ისტორიული მეცნიერების და პროფესიული კულტურის როლი ნაციის ფორმირების პროცესში.

დადგენილია, რომ კულტურათაშორის ინტერაქციის მართვის საშუალებით შესაძლებელია, შეიცვალოს ინტერკულტურული სენსიტიურობა, ანუ ინდივიდის უნარი, მიიღოს განსხვავებული ენისა და კულტურის მქონე ადამიანების მსოფლხედვა, გაითავისოს ის და შეძლოს მათთან ეფექტური კომუნიკაცია (წერეთელი 2015: 8), რაც საშუალებას იძლევა, ხელოვნურად მოხდეს ჯგუფის ერთი ნაციონალური კულტურისაგან დისტანცირება და სხვასთან დაახლოება. მაგ. ქართულიდან რუსულისაკენ. ამგვარ მექანიზმებს საკმაოდ ეფექტურად იყენებდა რუსეთი ჯერ კიდევ ცარიზმის ეპოქაში, რასაც კარგად გრძნობდა მაშინდელი ქართველობა. „ოსებს უქმნიან ლიტერატურას და მფარველობას უწევენ მათ 60 წლის განმავლობაში, რომ ოლსტერი მოგვიმზადონ" – წერდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალის „კლდის" რედაქტორი ირ. გაბაშვილი (საითიძე 2005: 275). ამასთანავე, მნიშვნელოვანელობა ენიჭება სხვა ასპექტებსაც – ცალკე ინდივიდის შესწავლას მისი ხასიათით, ტემპერამენტით, ფიზიკური მონაცემებით, ფსიქიკური წყობით, რაც საბოლოოდ ერთად აღებული ამა თუ იმ ხალხის აზროვნების, შემოქმედების, პოტენციალურ შესაძლებლობებს ასახავს და აქედან გამომდინარე, მათი ქცევის პროგნოზირების საშუალებას იძლევა. ამ ტიპის კვლევებს რუსეთი ფართოდ იყენებს თავისი გეოსტრატეგიული გათვლების განსახორციელებლად (ყიფიანი 2005: 67).

ეთნიკურობის განსაზღვრისას შეიძლება გამოვიყენოთ ტრადიციული (პრიმორდიალური), ან ინოვაციური კონსტრუქციული მიდგომა. პრიმორდიალური მიდგომის თანახმად, ეთნიკურობა ავტომატურად აღმოცენდება ისეთი ობიექტური მახასიათებლების საფუძველზე როგორიცაა: ენა, გარეგნული ფიზიკური ნიშნები, რელიგია, ტრადიციული და ყოფითი კულტურის თავისებურებანი. კონსტრუქციული მიდგომით კი აქცენტი კეთდება ადამიანების მიერ არსებული რეალობის აქტიურ შემოქმედებით ინტერპრეტაციაზე. ამ თვალსაზრისით, ობიექტიური მახასიათებლები წარმოადგენენ მხოლოდ ინტერპრეტაციის ნედლეულს. ერთი და იგივე ობიექტურ საფუძველს ადამიანებმა შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა მიანიჭონ, მიმდინარე ინტერესების და კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. აქცენტი ხან ენაზე გააკეთონ, ხან რელიგიაზე, ხან კი კულტურულ თავისებურებებზე (შნილერმანი 2003: 11-12). ამ მიდგომით ეთნიკურობის განსაზღვრაში კულტურის კომპონენტების როლი

3 ზოგი მკვლევარ მაგ. ე. სმითი ამ ტიპის ერთობებების აღსანიშნავად იყენებს ტერმინს – ეთნიე



განსხვავებულად წარმოჩინდა. ეს უმნიშვნელოვანესი ნიშანი განიხილება, არა როგორც პირველადი ან განმსაზღვრელი, არამედ როგორც ეთნიკური ორგანიზაციის შედეგი (ბართი 2006: 13).

არსებობს მოსაზრება, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთნიკური თვითშემეცნების ანუ თვითიდენტიფიკაციის საკითხებს ენიჭება. რაც უფრო მაღალია კონსოლიდაციის ხარისხი, უფრო მეტია ეთნიკური თვითშემეცნება. იგი მნიშვნელოვან განმსაზღვრელს წარმოადგენს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეთნიკური კუთვნილების გამოხატვა შეზღუდული არ არის (ჯუსოევი, 2004).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ისტორიული მეცნიერება დიდ როლს თამაშობს ეთნიკური თვითშეგნების ჩამოყალიბებაზე. ღია კონფლიქტების დროს კი ეთნიკური კონსოლიდაციის მიზნით ხშირად იყენებენ ცალკეული ისტორიული ფაქტების ჰიპერბოლიზაციას, ზოგჯერ კი გაყალბებასაც არ ერიდებიან. ხანდახან პოლიტიკური მოღვაწეებიც უბიძგებენ ისტორიკოსებს ფსევდომეცნიერული არგუმენტების ფაბრიკაციით ემსახურონ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას (შნილერმანი 2003: 13). ამ ბოლო ხანებში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ისტორიული ხასიათის ნაშრომთა ერთი ნაწილი კავკასიოლოგიაში ასწლეულობით გაბატონებულ დებულებათა ახლებულად ინტერპრეტაციის მცდელობას წარმოადგენს. ეს დებულებები ხშირად ოდიოზური პოლიტიკური ქმედების არგუმენტაციისათვის გამოიყენება. ამგვარ ხერხს ხშირად მიმართავს რუსეთის პრეზიდენტი. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამერიკული ტელეკომპანია CNN – ისათვის მიცემულ ინტერვიუში ვ. პუტინმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა ფსევდოისტორიული ჰიპოთეზა, რომელითაც საქართველოში რუსული აგრესია ისტორიული სამართლიანობის აღდგენად წარმოაჩინა. ამ შემთხვევაში, იგი იმ ტიპის ფალსიფიცირებულ ნარატივს ეყრდნობა, რომელის დადასტურებაც ისტორიული წყაროებით შეუძლებელია. 1. კავკასიური სახელმწიფო წარმონაქმნები, სხვადსხვა დროს, თავისი ნებით შევიდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. პირველი – 1745-1747 წლებში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ოსეთი. მაშინ ეს იყო ერთიანი სახელმწიფო ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი. 2. მე-19 საუკუნის შუა ხანებში მიიღეს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთი თბილისის გუბერნიისათვის გადაეცათ, თუმცა ერთიან სახელმწიფოში ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა. 3. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერია დაიშალა, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ოსეთმა კი რუსეთის შემადგენლობაში დარჩენა ისურვა, 1918 წელს ამის გამო საქართველომ იქ ჩაატარა ძალიან სასტიკი სადამსჯელო ოპერაცია, რაც 1921 წელს კიდევ ერთხელ გაიმეორა. 5. როდესაც საბჭოთა კავშირი ჩამოყალიბდა სტალინმა ეს ტერიტორია საბოლოოდ დაუქვემდებარა საქართველოს; ცნობილია, რომ იგი ქართველი იყო. ამრიგად, ვინც ამტკიცებს, რომ ეს ტერიტორია საქართველოს მიეკუთვნებოდა – სტალინისტია, სტალინის გადაწყვეტილებას იცავს (პუტინი 2008). ისტორიული წყაროების მოშველიება არაა საჭირო პუტინისეული დებულებების აბსურდულობის დასამტკიცებლად, ამისათვის მათში არსებული წინააღმდეგობებიც საკმარისია (ლორთქიფანიძე, მუსხელიშვილი 2010: 10-15). ზემოხსენებული თეზისები ოს და რუს ისტორიკოსთა იმ ნაშრომებს ემყარება, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ოსი ხალხის ეთნიკური თვითშეგნების ამაღლება და კონსოლიდაცია ისტორიული ინსინუაციების საშუალებით მოახერხოს.

არსებობს ისტორიული სინამდვილის დამახინჯების სხვა გზებიც: ისტორიკოსს

შეუძლია გვერდი აუაროს უხერხულ ფაქტებს ან გაკვრით შეჩერდეს მათზე, დიდი როლი მიანიჭოს მეორეხარისხოვან ცნობებს, უფრო მნიშვნელოვანს კი ყურადღებაც არ მიაქციოს, გამოიყენოს არაერთმნიშვნელოვანი ტერმინები, რაც მოვლენათა აღქმას გაართულებს და ა.შ. (შნილერმანი 2003: 13).

შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენით მიმდინარეობს საბჭოთა პერიოდში რუსულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თავად რუსოფილური შეხედულებების რევიზიაც. ეჭვქვეშ დგება მრავალი დებულება, რომელიც რუსული სახელმწიფოს ჰეგემონობისა და რუსი ხალხის რჩეულობა-პროგრესულობის ისტორიულ საფუძვლად იყო მიჩნეული (ვერშაგინი 2015; ჩესლავსკი 2015).

ფსევდოისტორიულ არგუმენტებზე დამყარებული ოსური ეთნოცენტრისტული კონცეფციები სულ უფრო ცნობილი ხდება მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის. უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურებაც – რიგი (ოსური და აფხაზური) დებულებებისა რუსეთის აკადემიური წრეების ნაწილობრივი მხარდაჭერით სარგებლობს, რუსულ ენაზე გამოიცემა და ხშირად რუსეთის გამომცემლობებში. ცალკეული, აშკარად ფსევდომეცნიერული ნაშრომის (მაგ. Чочиев А. Р., Нарты-арии и арийская идеология, М., Акалис, 1996 г.; Чочиев А.Р., Нарты-арии и арийская идеология, Кн. 2, М., Акалис, 2000) კრიტიკის ფუნქცია იმავე რუსულ აკადემურ წრეებს აქვთ თავის თავზე აღებული. ამრიგად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ობიექტურნი არიან ხსენებული პრობლემატიკის განხილვისას, წარმოჩინდებიან „მიუკერძოებელ" მხარედ, კისრულობენ არბიტრის ფუნქციას და საშუალება ეძლევათ კავკასიური პრობლემები მათთვის სასურველ ჭრილში წარმოაჩინონ. ქართველი მეცნიერების მცდელობა, წინ აღუდგნენ სიცრუის მანქანას, ნაკლებად წარმატებულია. ქართული ისტორიული მეცნიერების აქილევსის ქუსლად ბოლო ხანებამდე რჩება ის, რომ ნაშრომთა ტირაჟირება შეზღუდულია, ხოლო მათი უცხო ენებზე თარგმნა და გავრცელება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ვერ ხერხდება. გარკვეული აქტივობა, რომელიც ამ მიმართულებით შეინიშნება მხოლოდ ავტორთა ან ცალკეული პირების ინიციატივებს ემყარება. ამის მიუხედავად, მოხერხდა რამდენიმე საინტერესო გამოკვლევისა და კრებულის რუსულ ენაზე თარგმნა და მათი ერთი ნაწილის ინტერნეტში განთავსება (Осетинский вопрос, (Сб). Тб 1994; Топчишвили Р, Грузино-осетинские этноисторические очерки, Тб. 2006; Топчишвили Р, Об осетинской мифологеме истории, Тб. 2005; Некоторые вопрсы истории Шида Картли, (Сб), Тб. 2010.). ცალკეული უზუსტობებისაგან არც ქართველი ავტორები არიან დაზღვეული, მაგრამ უდავოა, რომ ისინი, გარკვეულ საისტორიო ტრადიციებს ეყრდნობიან და მოვლენათა ანალიზს ისტორიული წყაროებისა და ლოგიკური არგუმენტების მეშვეობით ცდილობენ.

თანამედროვე ოსი ავტორების ნაშრომების თემატიკა, საქართველოსთან დაკავშირებით, ძირითადად კონცენტრირებულია სამი მიზნის მისაღწევად – ოსი ხალხის ავტოქთონობის დასამტკიცებლად მათი ეთნოგენეზის არეალში შიდა ქართლის ტერიტორიის მოქცევა; ოსურ-ქართული ურთიერთობის განხილვა სოციალურ პრიზმაში, იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი ფეოდალები შეუბრალებლად აწიოკებდნენ და ჩაგრავდნენ ოს გლეხებს; ოსი ხალხის ისტორიული და ბუნებრივი მისწრაფება გაერთიანდეს რუსულ სოციოპოლიტიკურ სისტემაში. ეს პრობლემატიკა თავისებურად აისახა ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. ქართველი ავტორები იკვლევენ



ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიას, ოსიანობას და ხიზნობას, ოსების გამცემლურ ქმედებებს საქართველოსათვის კრიზისულ პერიოდში პირველი რესპუბლიკის (1918-21) და გასული საუკუნის 90-იან წლებში.

ამრიგად, პერსპექტივა, რომ დიდი სახელმწიფოების ინტერესთა პრიორიტეტულობა და შესაბამისად, სერიოზული კონფლიქტები წარსულს ჩაბარდებოდა, 2008 წლის მოვლენების შემდეგ საბოლოოდ დასამარდა. მოსკოვმა საკუთარი აგრესიის შელამაზების მიზნით აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, ხოლო საკუთარი ქმედება აქ მცხოვრები აფხაზი და ოსი ხალხის დახმარების აქტად მონათლა, მაგრამ შექმნილი ვითარება მრავალასპექტიან წინააღმდეგობრივ დილემად იქცა. რუსულ ნაციონალურ პოლიტიკაში ეს აღიარება ახალ ფენომენს წარმოადგენს, მოსკოვმა ერთგვარი რუბიკონი გადალახა და მსოფლიო მომავალში სხვა რადიკალური ქმედებებისათვის შეამზადა. ერთგვარი ცვლილება განიცადა ევრაზიულმა პარადიგმამაც, სავარაუდო მოკავშირეებთან ინტერესთა აშკარა კონფლიქტის გამო იგი რეალობაში წინააღმდეგობრივად ინერგება და ამ სახელმწიფოებში სეპარატისტული მოძრაობების წაქეზებასა და ღია საომარ მოქმედებებში გამოიხატება.

როგორც ითქვა, რუსული ინტელექტუალური ელიტა ორმაგი სტანდარტებით უდგება ეთნიკური ჯგუფების უფლებებს რუსეთსა და დასავლეთთან დაახლოების მსურველ მეზობელ ქვეყნებში. რუსული ნაციონალური კონცეფციის ძირითად მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ეთნიკური იდენტობის მქონე მოქალაქეთა საერთო რუსულ სახელმწიფოში ინტეგრაცია. რუსული საგარეო პოლიტიკა, პირიქით, ცალკეული პოსტსაბჭოური სახელმწიფოების რეგიონებში სეპარატისტული მოძრაობების აქტიურ მხარდაჭერი და კონფლიქტის ინსპირატორია. საქართველოსათვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება რჩება რუსული და აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთხეებისაგან თავდაცვის ალტერნატივად, რასაც ხელს უწყობს „ცივილიზაციური" და პოლიტიკური ფაქტორებიც.

პოლიტიკური რადიკალიზმის გამართლება ხშირად ისტორიული ფაქტების გაყალბებით ხდება. იმავდროულად ისტორიული ინსინუაციების გზით ეთნოცენტრისტული განწყობების გაღვივება ეთნიკური მობილიზაციის და კონსოლიდაციის საშუალებად ითვლება. ამიტომ კონფლიქტში მონაწილე მხარეები ხშირად მიმართავენ ნეგატიური ეპიზოდების ტირაჟირებას ურთიერთობის ისტორიიდან, ზოგი მეცნიერი კი ფალსიფიკაციასაც არ ერიდება.

## II. საქართველოში ოსთა ავტოქთონობის საკითხი, როგორც ეთნოპოლიტიკური დაპირისპირების წყარო

ისტორიული ლიტერატურის შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ეთნოსთაშორის ურთიერთობაზე, აჩენს ცდუნებას „პატრიოტული„ საფანელით გაღვივდეს ეთნოცენტრისტული მისწრაფებანი. სურვილიც რომ არ ჰქონდეთ, მეცნიერები განიცდინიან საზოგადოების ღია თუ ფარულ გავლენას, რაც ობიექტურად აისახება მათ შემოქმედებაზე. ეს კარგად იყო ცნობილი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელიც პროცესების სასურველი მიმართულებით მართვის მიზნით საკმაოდ ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა ისტორიული ხასიათის ლიტერატურაზე. ოფიციალური ცენზურის გარდა, ხელნაწერი გამოქვეყნებამდე გადიოდა სამეცნიერო განხილვას,

ხოლო ავტორი მუდმივად განიცდიდა კოლეგების ზეწოლას და თვითცენზურას (შნილერმანი 2003: 20).

კომუნისტური სისტემის მოშლის შემდეგ მეცნიერებას საშუალება მიეცა, ხსენებული კონტროლისაგან განთავისუფლებულიყო, მაგრამ გაჩნდა საშიშროება, რომ სრული უკონტროლობის პირობებში გახშირდებოდა არაპროფესიონალ პოპულისტთა პუბლიკაციები, ხოლო აკადემიური წრეები პატრიოტული და კონიუნქტურული ვითარების ზეგავლენით ვერ შეძლებდნენ ტენდენციური მიდგომების აშორებას, რაც კიდევ უფრო დაძაბავდა სიტუაციას. უფრო მეტიც, ღია კონფრონტაციის დროს არსებობს რისკი, რომ რომელიმე მხარის დაკვეთით მოხდეს ისტორიული ფაქტების ფაბრიკაცია-გაყალბება. თანამედროვე ოსურ-ქართული ურთიერთობის კველვის დროს ამას ემატება რეალურად არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და ჩამოყალიბებული სტერეოტიპები მეორე მხარის შესახებ.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ოსური მხარის წარმოდგენა ქართულ-ოსური ურთიერთობის პერსპექტივის შესახებ ასეთია: საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობას თავს ახვევს დესპოტურ თავადურ იდეოლოგიას, ხოლო ხელმძღვანელ ელიტას – ღირებულებით ორიენტაციას ნატოზე (დასავლეთ ევროპა, აშშ). სამხრეთ ოსეთს სრულიად განსხვავებული ღირებულებითი ორიენტაცია აქვს, ესაა ორიენტაცია ოსი ხალხის გაერთიანებაზე, რუსეთზე, მასთან დაკავშირებულ მოდერნიზაციაზე და მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში ჩართვაზე. (ძუგაევი, პლიევი; ბლიევი 2006).

განსხვავებულია ქართული მხარის წარმოდგენა ამ საკითხებზე. ევროატლანტიკური არჩევანი უკავშირდება პირველ რიგში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და ადამიანის უფლებების განმტკიცებას. ეროვნული პოლიტიკის არსი კი ასეთია: ქართული საზოგადოების კონსოლიდაცია და განსხვავებული ჯგუფების ერთიან სახელმწიფო ორგანიზმში ინტეგრაცია. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით, როდესაც ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ხაზად აღიარა არა ეთნიკური, არამედ სამოქალაქო იდენტიფიკაცია. ასეთი მიდგომით ქართველია ყველა საქართველოს მოქალაქე, მიუხედავად მისი წარმომავლობისა.

ავტოქთონობა-არაავტოქთონობა, კულტურული მსგავსება-განსხვავებები და ისტორიული დისკურსი მნიშვნელოვანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აქვს შემდეგი ფუნქციები: შემეცნებითი (აღრმავებს ცოდნას წარსულის შესახებ), დიდაქტიკური (ასწავლის დადებითი და უარყოფითი მაგალითების საშუალებით), ეთნოკულტურული (აძლიერებს ადამიანის მენტალურ კავშირს წინაპრებსა და ტრადიციულ კულტურასთან) და მსოფლაღქმითი (თითოეული ადამიანის, ჯგუფის და საერთოდ კაცობრიობის თვითშემეცნებისათვის იძლევა საზრდოს) (შლინერმანი 2003: 12).

ისტორიული ხასიათის არგუმენტების მოხმობა ძალზე გავრცელებულია როგორც პოლიტიკური ქმედებების ასახსნელად, ისე ცალკეული გადაწყვეტილებების გასამართლებლად. ფრაგმენტი 2008 წელს ვ. პუტინის ინტერვიუდან ამის ტიპური მაგალითია. ლოკალურ დონეზე შეიძლება განვიხილოთ 2012 წ. ოსურ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაცია, რომლის ავტორიც ეხმიანებოდა გავრცელებულ ცნობას, ოსურ-რუსული ხელისუფლების მიერ ცხინვალის მიმდებარე ქართული სოფლების დანგრევის შესახებ და ამტკიცებდა, რომ ლიახვის ხეობაში ქართული სოფლები



საეთოდ არ არსებობდა (კოცტი 2012).

ოსების ეთნიკური კონსოლიდაციის, პატრიოტული გრძნობებისა და ეროვნული სიამაყის გაღვივებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათი ავტოქტონობის, ოსურ-ქართული სოციალური ურთიერთობების და ოსთა პოლიტიკური ორიენტაციის ისტორიულ კვლევებს. ქართულ და რუსულენოვან საისტორიო საზოგადოებებში ოსთა ეთნოგენეზის, მათი პოლიტიკური ისტორიისა და მიგრაციების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მწვავე პოლემიკის საგანია ოსთა საქართველოში ჩამოსახლებისა და დამკვიდრების ეტაპები. XX საუკუნეში ოს მკვლევართა ნაწილი მათი მიგრაციის „უძველეს დროდ", III-IV ან VI-VII სს. მიიჩნევდა, სხვანი საქართველოში ოსთა ინფილტრაციის პირველ პერიოდს ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა გაბატონებას უკავშირებენ. იყო ცდა, ოსური გვარების გენეალოგიებზე დაყრდნობით მათი მიგრაცია XV-XVI სს-ით განესაზღვრათ. ქართველი და რუსი მეცნიერების ნაწილის კვლევათა შედეგები მიუთითებენ, რომ ქართლის მთიანეთში ოსების დასახლება ძირითადად XVII ს-ში მოხდა, ხოლო დას. საქართველოში მიგრაცია მიმდინარეობდა XVIII ს-ში. თანდათანობით კომპაქტური დასახლებები გაჩნდა შიდა ქართლის ჩრდ. ნაწილში, მდ. ლიახვისა და ქსნის ხეობებში, თუმცა ოსების დიდი ნაწილი დისპერსულად განსახლდა მთელ საქართველოში.

აზრთა სხვადასხვაობაა საქართველოში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულის წარმოშობის ისტორიაზეც. უნდა ითქვას, რომ XIX ს-მდე, წერილობით წყაროებში ოსეთთან დაკავშირებით განსაზღვრება „სამხრეთი" ან „ჩრდილოეთ" არ ფიქსირდება. ეს ტერმინი მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაჩნდა. იმპერატორისადმი გაგზავნილ რაპორტებში რუსი სამხედროები – მდ. ლიახვის მთიანი რეგიონების ოსებით დასახლებულ ტერიტორიას უწოდებდნენ „ოსეთს", „Грузинская Осетия"-ას, „Карталинская Осетия"-ს (1812-1837 წწ.). შემდეგ გაჩნდა ოპოზიციური წყვილი – „Южная Осетия–Северная Осетия". XIX ს-ის 30-40-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე „Осетинский округ"-ი დაწესდა. სწორედ ეს დაედო საფუძვლად შიდა ქართლში ბოლშევიკების მიერ შექმნილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაყოფისათვის სახელის მინიჭების წინაპირობად (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) (ლეკიშვილი 1996:261).

ოსთა საქართველოში მიგრაციების თაობაზე წერილობითი წყაროების სიმწირის გამო ძირითადი ყურადღება არქეოლოგიურ მასალას ექცევა. საბჭოთა მეცნიერებაში დამკვიდრებული იყო თვალსაზრისი, რომ ირანულენოვანი ოსები ჩრდილოკავკასიური ველებიდან გამოაძევეს თავდაპირველად ხაზარებმა, ხოლო შემდგომ თურქებმა. გადავიდნენ რა კავკასიის ქედზე, ოსები ხვდებოდნენ ნახური და ქართველური მოდგმის ხალხებს, რომელთან შერევის შედეგადაც სათავე დაედო „სამხრეთელი ოსი" ხალხის ჩამოყალიბებას (პჩელინა 1925: 237-238).

ოსური წარმომავლობის მეცნიერთაგან ოსთა ეთნოგენეზისა და მათი სამხრეთული მიგრაციების შესწავლის პირველი ცდა ზ. ვანეევის სახელს უკავშირდება. სწორედ ვანეევის მოსაზრებები იქცა დღევანდელი ოსური ისტორიოგრაფიის ამოსავალ პრინციპად, თუმცა თავად ვანეევის კონცეფციამ ამ საკითხებთან დაკავშირებით რამდენჯერმე განიცადა ცვლილება.

ზ. ვანეევი კრიტიკის გარეშე ღებულობდა სენ მარტენის მოსზრებას ოსთა სამხრეთ

კავკასიაში ქრისტეს შობამდე III საუკუნეში შემოსვლის შესახებ. იგი მიუთითებდა დვალების და ოსების იგივეობაზე. მართალია, მას საქართველოში ოსების მასობრივი ჩამოსახლების პერიოდად XV-XVI სს მიაჩნდა, მაგრამ მათი და დვალების გაიგივება საშუალებას აძლევდა ემტკიცებინა, რომ ეთნიკური სურათი შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში ამ მიგრაციის შედეგად არ შეცვლილა და დვალეთს ოსთა უძველეს საცხოვრისად აცხადებდა (ვანეევი 1936: 270-278). ვანეევი თავის პირველ შრომებში ვერ უარყოფდა, რომ ოსთა გადაადგილება კავკასიის ქედს გადმოღმა თათარ-მონღოლთა შემოსევებს უკავშირდება. მოგვიანებით იგი შეეცადა კავკასიაში ირანულენოვანი მოსახლეობის ისტორიის დაძველებას, რაც საშუალებას მისცემდა, გამოეცხდაებინა ოსები მათ ენობრივ-კულტურულ მემკვიდრეებად. ვანეევის აზრით, ოსთა ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ყობანურ კულტურას, რომელიც კავკასიის ქედის ორივე მხარეს იყო გავრცელებული. იგი ასევე ცდილობდა, ოსების მიგრაციებთან დაეკავშირებინა სკვითებისა და კიმერიელების შემოსევები სამხრეთ კავკასიაში. ვანეევი ირანულენოვან ტომებს კავკასიაში ეთნიკურად გაბატონებულად წარმოადგენდა. იგი მიიჩნევდა, რომ ძველმა ირანელებმა კავკასიაში მოიტანეს მაღალგანვითარებული კულტურა და კავკასიელები მეტალურგიას აზიარეს. ქართული საკუთარი სახელების თავისუფალი ინტერპრეტირებით კი ამტკიცებდა, რომ ოსები წარმოადგენდნენ ქართული არისტოკრატიის ნაღებს. რაც შეეხება თათარ მონღოლების და თემურ-ლენგის მიერ შევიწროებული ოსების სამხრეთისაკენ მიგრირებას და საქართველოში შემოსვლას, ეს იყო უძველეს დროში დაწყებული პროცესის გაგრძელება, კიდევ ერთი ახალი ტალღა. ეთნონიმ ოსის გაჩენა სრულიადაც არ მოასწავებდა აქ მცხოვრებთა ეთნიკურ ცვლილებას, ესენი იგივე ძველი ალანები იყვნენ, რომელთაც უცხოტომელები უბრალოდ ახალი სახელით მოიხსენიებდნენ. ამასთანავე, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, ვანეევი ჩრდილოკავკასიელ მთიელებს აკუთვნებდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობას (ხევსურებს, ფშაველებს თუშებს და სხვა) (ვანეევი 1989: 335-364).

ზ. ვანეევის აზრით, ირანულენოვანი ალან-ოსურ-სკვითურ-სარმატული სამყარო იმდენად მძლავრი და აგრესიული იყო, რომ მათ ჯერ კიდევ ძველი და ახალი საუკუნეების მიჯნაზე შეძლეს ჩრდილო კავკასიის ცენტრალური ნაწილის ასიმილირება (ვანეევი 1989: 335-364). როგორც ვ. შნილერმანი აღნიშნავს, ოსი ავტორებისათვის საერთოდ დამახასიათებელია სამხრეთ კავკასიაში თავიანთი ხალხის ისტორიის დაძველება და იმის მტკიცება, რომ ოსთა გამოჩენამდე საქართველოს ჩრდილოეთ რეგიონში ქართველები არ ცხოვრობდნენ (შნილერმანი 2003: 476).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ოსთა საქართველოში ჩამოსახლების პროცესის შესწავლა ბევრად უფრო ადრე დაიწყო. რომ არაფერი ითქვას XVIII სუკუნის ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლზე ამ საკითხების შესწავლაში, მოგვიანებით ოსთა საქართველოში მიგრაციის საკითხებს ყურადღება მიაქციეს სხვა მკვლევარებმაც (ხიზანიშვილი 1889; ზ. ჭიჭინაძე 1916 და სხვები). ზ. ჭიჭინაძე შემდეგნაირად აღწერს გიორგი ბრწყინვალის მიერ ოსების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებას – „მოხდა მალე ის, რომ ქართლში ოსებს კარგი დღე არ დაუდგათ, მთელის ქართლის სოფლებიდან ოსები აჰყარა, ქართველთაგან წართმეული სახლები წაართვა, ყველა ეს სახლები თავიანთ ძველ სახლის პატრონებს დაუბრუნდა, მთელი აყრილი ოსები ერთ ალაგას შეყარა. მერე მიჰყვა ქართლის დიდი ჯარით და ყველა ეს მცარცველნი ისე გადარეკა ოსეთში, რომ ქართლში ერთი ოსი აღარ დასტოვა. ამ გვარათ გიორგი ბრწყინვალემ დაამშვიდა ქართლი. გიორგი ბრწყინვალე მარტოთ ამ გაძევებას არ დასჯერდა, იფიქრა: ვაი თუ კიდევ მერე შემოესიონ ქართველსაო, ამიტომ იგი ქართველის ჯარით შუა გულ ოსეთამდის მიჰყვა, იქ ჩარეკა და მასთან პირობა ჩამოართვა, რომ დღეის შემდეგ თქვენ აღარ გაბედოთ და ქართლს აღარ შემოესიოთ, თორემ მე სასტიკაც დაგსჯით. ამის პირობა ოსებმა დიდის სიხარულით მისცეს და სთქვეს, რომ დღეიდან ჩვენი ფეხი ქართლში აღარ შემოვაო. მხოლოდ ოსებმა სთხოვეს გიორგი ბრწყინვალეს, რომ ჩვენ თქვენს ბრძანებას შევასრულებთ, თქვენც ერთი სიკეთე გვიყავითო, ჩვენს ქვეყანაში, ოსებს არა გვყავს არც ხაბაზები, არც მეჩუსტე, მეწუღე, მექალამანე, არც ჭონი, არც თერძი, ფეიქარი, არა გვყავს და დალაქი და სხვაც ასეთი საჭირო ხელოსნები, ეგება გვიშველოთ თქვენა, თფილისიდამ გვიბოძოთ სამ-სამი კაცით თითო ხელობის, რომ მათ დაიწყონ აქ მუშაობა და ჩვენც გვექმნეს ყველა საჭირო სახმარებლიო. გონიერმა გიორგი ბრწყინვალემ ამ დავალებას თავისებურის კეთილის თვალით შეხედა, იგი მალე ჩამოვიდა ოსეთიდან თფილისში, შეკრიბა ყველა ხელოსნები, ყველა მათ მისცა დახმარება, ულუფა და მალე გაბრუნდა ოსეთში და ყველა ეს ხელოსნებიც თან წაიყვანა, მალე ჩავიდა ოსეთში, ყველა ესენი დაამკვიდრა იქ, ამათ გაუხსნა სახელოსნოები და ამ გვარით შემოსა ტიტლიკანა და ფეხშიშველი ოსები" (ჭიჭინაძე 1916: 6-7) ზ. ჭიჭინაძეს აზრით ოსების ჩამოსახლება მე-16 საუკუნის ბოლოს დაიწყო, როდესაც რამდენიმე მოუსავლიანი წელი ზედიზედ დაემთხვა და შიმშილობისა და მოუსავლიანობისთვის თავის არიდების მიზნით მათი ერთი ნაწილი საქართველოს (ქართლს) შემოეხიზნა.

XII საუკუნის ბოლოს ქართლში ოსთა ჩამოსახლების საკითხს ნ. ბერძენიშვილიც შეეხო. „ოსთა ჩამოსახლება, ბუნებრივია, სასტიკ და დაუნდობელ სამამულო ბრძოლის ხასიათს იღებს. ოსთა მთავარი „აოხრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განასხამდა მამულისგან აზნაურთა" და აზნაურებიც რა თქმა უნდა თავს არ ზოგავენ.. მონღოლები ამ ბრძოლისას გარკვევით ოსებს უჭერენ მხარს. აჯანყებულ ქართლში ოსების მომძლავრება მათ პოლიტიკურ ანგარიშში შედის. ისინი მფარველობენ გადმოსახლებულთ და ქართველ ფეოდალთა მიერ განადგურებისაგან იცავენ მათ" (ბერძენიშვილი 1965: 60-61).

გ. თოგოშვილი ქართული საისტორიო წყაროების ანალიზის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ XIII საუკუნემდე, ალან ოსებთან საქართველოს ურთიერთობას ძირითადად სამხედრო-პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, რაც ერთობლივ ლაშქრობებში ან პირიქით სამხედრო დაპირისპირებაში იყო გამოხატული. მდგომარეობა შეიცვალა დავით აღმაშენებლის, განსაკუთრებით კი გიორგი III-ის მეფობის პერიოდიდან, როდესაც ოვსები საქართველოს ყმადნაფიცები უნდა გამხდარიყვნენ. იყო ასევე დინასტიური ქორწინებებიც, რაც ხელს უწყობდა ქართულ-ოსური ურთიერთობების განმტკიცებას, მაგრამ მასობრივი ოსური მიგრაციები წყაროებში არ ფიქსირდება (თოგოშვილი 1977: 65-84). ქართული წყაროების თანახმად, ოსების პირველი მასობრივი შემოსვლა დავით ულუს მეფობის პერიოდში მომხდარა, როდესაც ბექა ყაენისაგან ლტოლვილი ოსები, ქართულ სამეფო კარს საქართველოში დმანისისა და ჟინვანის მიდამოებში დაუსახლებია. 1293 წ., როდესაც დავით მეფე ქეღათუ ყაენს ბიზანტიაში ლაშქრობაში ეხმარებოდა, ოსებს დაუწყიათ ქართლის აოხრება და რბევა, გორი აუღიათ და იქ დამსხდარან. ქართულ-ოსური დაპირისპირების ახსნას მკვლევარი კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლას უკავშირებს.

ქართული ფეოდალური საზოგადოების თითოეული კლასი თუ ფენა თავისი ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა პოზიციებიდან უდგებოდა ოსთა გადმოსახლების საკითხს. მეფეს მათი საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა, თუ ისინი მას ,,კეთილად ემსახურებოდნენ,'' მონღოლთა შემოსევებმა ქვეყნის მოსახლეობა საგრძნობლად შეათხელა. მეფეს შეეძლო ოსები თავისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის გამოეყენებინა, დაეპირისპირებინა ისინი მსხვილი ფეოდალების სეპარატისტული ტენდენციებისათვის. ოსები ამ მხრივ მეფისათვის საიმედო დასაყრდენი შეიძლება ყოფილიყვნენ, რადგანაც თავადაც საჭიროებდნენ მფარველს. ასეთი მფარველი კი შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ სამეფო ხელისუფლება უნდა ყოფილიყო (მონღოლებიც გარკვეული აზრით მფარველობდნენ ოსებს –გავიხსენოთ მათი შუამდგომლობა და გორის კონფლიქტთან დაკავშირებული ოს-ქართველთა შერიგების ფაქტი). რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, რომ ქართლში გადმოსახლებული ოსებიც სხვადასხვა ინტერესების მქონე საზოგადოებრივი ფენისაგან შედგებოდნენ. მოკავშირეთა არჩევისას კი ეს ინტერესები აუცილებლად იჩენდა თავს. ამასთანავე, ორივე მხრიდან ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის ან კლასის ინტერესებიც იცვლებოდა სხვადასხვა ფაქტორთან მიმართებაში. მაგ. თუ საქართველოში გადმოსახლებული ფარეჯან ოვსთა მთავარი დავით მეფეს ერთგულებდა, მისი ძმა ბაყათარი XIII საუკუნის მიწურულს და XIV-ს დამდეგს აქტიურ საქმიანობას აჩაღებდა ქართლში ოსთა სამოქმედო არეალის გასაფართოებლად. იგი მოხერხებულად სარგებლობდა ერთის მხრივ, მონღოლებსა და დავით მეფეს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობით, მეორე მხრივ კი ქართულ ფეოდალურ წრეებს შორის არსებული წინააღმდეგობით (თოგოშვილი, 1977: 87). ნ. ბერძენიშვილი ხსენებული მომენტის აღწერისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოსების მომძლავრება ქართლში თათარ-მონღოლთა ხელშეწყობით მომხდარა (ბერძენიშვილი, 1979:249).

რ. თოფჩიშვილის მოსაზრებით, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ოსური ეთნოსი საკმაოდ გვიან, XVII საუკუნის შუა ხანებიდან განსახლდა. ისინი აქ ჩრდილოეთ კავკასიის მთებიდან გადმოსახლდნენ. დადგენილია, რომ ირანულენოვანი ოსები კავკასიის ოდინდელი მკვიდრნი არ არიან; ისევე როგორც თურქულენოვანი ხალხები, ოსებიც კავკასიაში მოსული არიან. ოსთა წინაპარი ალანების კავკასიელებად ქცევა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დაძრული ჰუნების თარეშებთან იყო დაკავშირებული. თანამედროვე ოსეთის ოთხი საზოგადებიდან (ხეობიდან) ადრე შუა საუკუნეებში ალან-ოსები მხოლოდ დიგორიაში ცხოვრობდნენ. მართალია, ალან-ოსების განსახლების არეალი ახლანდელი ბალყარეთი და ყარაჩაიც იყო, მაგრამ იალბუზის ირგვლივ, ანუ ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ალან-ოსები მონღოლთა შემოსევების დროს კავკასიის ბარიდან და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან მიგრირებული თურქულენოვანი ყივჩაყების მიერ იქნენ ასიმილირებულნი. ასიმილაციას დიგორელები გადაურჩნენ, თუმცა თურქული მინარევი მათშიც საკმაოდ არის წარმოდგენილი. თანამედროვე ყარაჩაის და ბალყარეთის ტერიტორიაზე (დასავლეთ კავკასიაში) ალან-ოსების ცხოვრების ფაქტი ქართული საისტორიო წყაროებითაც დასტურდება. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, დასავლეთ კავკასიის მთიანეთში ალან-ოსების დასახლკარება ჰუნთა შემოსევების დროს მოხდა, ე. ი. ახ. წ. IV საუკუნის 70-იან წლების შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში ალან-ოსები ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში სახლდებიან, მაგრამ მათი ნაწილი მთაში, იალბუზის მიდამოებშიც დასახლდა თუ არა – ამის დამადასტურებელი წერილობითი მონაცემები არ არსებობს.



ავტორის ვარაუდით, აქ მათი შემოსვლა ოდნავ მოგვიანებით, VI-VII საუკუნეებში უნდა მომხდარიყო (თოფჩიშვილი 2008: 4)

ოსთა ჩამოსახლების პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ნარ-მამისონის ქვაბულის დვალეთის მოსახლეობის ,,დვალთა ეთნიკური ვინაობის'' საკითხს. თუ დვალებს ოსებად მივიჩნევთ, ბუნებრივად უნდა ვაღიაროთ, რომ ოსები ძველთაგანვე ცხოვრობდნენ კავკასიის მთავარი ქედის პირიქითა კალთებზე. ხოლო თუ დამტკიცდება, რომ დვალები და ოსები სხვადასხვანი არიან, მაშინ ოსთა ჩამოსახლების საკითხებიც სხვანაირ გადაწყვეტას მოითხოვს, წერდა დ. გვრიტიშვილი (გვრიტიშვილი 1949: 115) დვალეთი საქართველოს ისტორიული პროვინცია იყო. XVIII ს-დან მისი დიდი ნაწილი შედიოდა ქართლ-კახეთის სამეფოში, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ XIX საუკუნის შუა ხანებამდე - ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში. დვალეთის დასავლეთი ნაწილი მამისონის ხეობა ჯერ რაჭის ერისთავებს ემორჩილებოდა, მოგვიანებით კი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა. XIX საუკუნის შუა ხანებში რუსებმა დვალეთი ადმინისტრაციულად ჩამოაშორეს საქართველოს, ამჟამად კი ჩრდილო ოსეთის (ალანიის) შემადგენლობაშია. აკად. ივ. ჯავახიშვილი 1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ,,საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით'' საგანგებოდ შეჩერდა დვალეთზე. იგი წერდა: ,,დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ, მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული... ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთის მონაპირე ქვეყანა იყო. ძველთაგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა მაგრამ ამ სამზღვარს განსაკუთრებული ყურადღება XII საუკუნითგან მიექცა... თვით საქართველოს დაუძლურების დროსაც მე–XVIII ს-ის დამდეგსაც დვალეთი ქართველთა ხელში იყო, ვახტანგ VI-მ კვალვინდებყრად მტკიცედ დაიპყრა დვალეთი და დასდვნა ხარკნი საუკუნეთა განმავლობაში... საქართველოს მთავრობა ამ კუთხეს (დვალეთს) საქართველოსათვის ფრიად მნიშვნელოვან კარად სთვლიდა და მის გამო მას ფხიზელ დარაჯად უდგა, საგანგებოდ არდონის გასავალთან ზღუდეც კი ააგო, რომ თუ საჭირო იქნებოდა მტრის შემოსვლის მხრივ ამ სახიფათო კარის დახშვა ადვილად შეძლებოდა'' (ჯავახიშვილი 1989: 10-12).

კ. კეკელიძემ დვალები ოსებად მიიჩნია. მისი აზრით, ,,ნიკოლოზი (XIV-ს) იყო დვალი... ე.ი. გვალეთიდან, ან ჯავის ხეობის, დიდი ლიახვის, ოსეთიდან, ცხინვალის ზემოთ... ეს ძეგლი (,,ცხოვრებაი წმინდისა ნიკოლოზ დვალისაი) საინტერესოა მით რომ ცნობებს გვაწვდის ოსების ქრისტიანიზაციისა და ქართიზაციის შესახებ.'' (კეკელიძე 1980: 542)

ქართველ მკვლევართაგან გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დვალეთის პრობლემას შეეხო: ვახ. ითონიშვილი, ბ. გამყრელიძე, რ. თოფჩიშვილი. ქართველ მეცნიერთა აზრით დვალეთში ოსთა დასახლება XV ს-ის ბოლოს დაიწყო და ის ძირითადად XVI ს-ში დასრულდა. XVII ს-ში დვალეთში მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება უკვე განხორციელებულია. მაგრამ როგორც ჩანს, ამ საუკუნეში ბევრ დვალს ეთნიკური თავისთავადობა კვლავ შენარჩუნებული აქვს, რადგან, მთის პირობებში კულტურულ-ეთნიკური ასიმილაცია, ბარისაგან განსხვავებით, ერთობ გაძნელებულია. ოსები დვალეთში ალაგირის ხეობიდან გადმოსახლდნენ და მათი აქ (აგრეთვე შიდა ქართლის მთიანეთში) მიგრაცია XVIII ს-ის 70-80-იან წლებამდე გრძელდებოდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოსურმა ეთნოსმა ადგილობრივთა ეთნონიმი –

დვალი (ოსურად „თუალი") საკუთარ ეთნონიმად აქცია. ასეთი შემთხვევა მსოფლიოს ეთნოისტორიიდან არაერთია ცნობილი (თოფჩიშვილი 2005: 92). რ თოფჩიშვლი განიხილავს დვალების ეთნიკური ვინაობის შესახებ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს და პირველ რიგში აღიშნავს ვახუშტი ბაგრატიონის ცნობილ ფრაზას, რომ მათ "ენა აქუთ ძუელი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად". ავტორის აზრით, ვ. გამრეკელის საენციკლოპედიო სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებას დვალთა ზანური წარმომავლობის შესახებ რეალური საფუძველი ჰქონდა. თუმცა ფიქრობს, რომ დვალები არ იყვნენ ზანების იდენტურნი. ისინი ერთ-ერთი ქართველური ენის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ლაპარაკობდნენ ზანურსა და სვანურს შორის მდგომ ენაზე. ამავე დროს, დვალური ენა უფრო ახლოს იდგა ზანურთან.

ვ. გამრეკელს დვალები თავდაპირველად ვაინახებად, უფრო სწორად, ქართიზებულ ვაინახებად მიაჩნდა. მისი აზრით, დვალთა ქართიზაცია VII ს-ში უნდა მომხდარიყო, როდესაც, არაბების გამო შეწუხებული ქართლის მოსახლეობა სხვადასხვა მიმართულებით მიგრირდებოდა (გამრეკელი 1968). როგორც ზემოთ ითქვა მან ბოლოს ეს შეხედულება შეიცვალა და დვალები, ქართველურ ტომად, ზანებად მიიჩნია.

ძველი დვალების ეთნიკურ ოსებად გამოცხადება საკმაოდ რთული აღმოჩნდა, ამიტომ ზ. ვანეევი წერდა, რომ დვალეთი მხოლოდ გეოგრაფიული ცნება იყო და არავითარი კავშირი არ ჰქონდა ეთნო-კულტურულ მიკუთვნებულობასთან, იმავდროულად კი, როდესაც ზოგიერთი მკვლევარი იგივე პრინციპის ალანებთან დაკავშირებით გამოყენებას ცდილობდა, იგი ერთმნიშვნელოვნად აცხადებდა, რომ ალანები მკაფიოდ გამოხატულ კულტურულ-ენობრივ ერთობას წარმოადგენდნენ (ვანეევი 1989: 130-134). ქართველ ავტორთაგან დვალთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხს შეეხო ბ. გამყრელიძე. მას მიჩნდა, რომ, დვალეთი "ძველთაგანვე ეთნიკურად, კულტურულად, ადმინისტრაციულად ქართული სამყაროს შემადგენელი ნაწილი იყო". მან დვალეთში დააფიქსირა საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალა ოსთა მიგრაცია-განსახლებისა და ადგილობრივი გვარების შესახებ (გამყრელიძე 1998; გამყრელიძე 2003; გამყრელიძე 1994).

კ. ხარაძე შიდა ქართლის ჩრდილო რეგიონის ტოპონიმების კვლევისას აღნიშნავდა რა, რომ ტოპონიმი დვალეთი ქართული წარმოშობისაა, ფუძეს დართული ქართული სუფიქსი -ეთ, ხოლო ანთროპონიმები – დვალი და დვალიშვილი ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, ასევე მიიჩნევს რო თრუსო და დვალეთი გვიან საუკუნეებში დაასახლეს ჩრდილოეთიდან მიგრირებულმა ოსებმა (ხარაძე 1995: 159).

გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ოსი ავტორები იძულებული იყვნენ ელიარებინათ, რომ შიდა ქართლი წინამონღოლურ ხანაში დასახლებული იყო ქართველებით და დვალებით. პირველი ოსური დასახლებები იქ მხოლოდ XIV საუკუნეში გაჩნდა, შემდგომ კი მრავალჯერ შემოდიოდნენ ახალი ოსური ტალღები. ამასთან, ხაზი ჰქონდა გასმული, რომ ეს რეგიონი ყოველთვის ქართველ მმართველთა კონტროლს ექვემდებარებოდნენ (ტეხოვი 1985: 68-100).

რ. თოფჩიშვილმა ოსთა საქართველოში ჩამოსახლების შემდეგი სქემა ჩამოაყალიბა – ოსები ქართველთა უშუალო მეზობლებად XIII-XIV საუკუნეებიდან გვევლინებიან. XIV ს-ში ოსების ერთმა ჯგუფმა ისრგებლა საქართველოს დასუსტებით და მონღოლთა მხარდაჭერით სცადა საქართველოს შიდა ქართლის მხარეში დასახლება.



ოსების ეს ჯგუფი გიორგი V ბრწყინვალის მიერ განადგურებული და გაძევებულ იქნა საქართველოდან. ოსეთიდან საქართველოში შემოსასვლელი ორივე კარი (დარიალი, კასრისკარი) მტკიცედ ჩაკეტეს ამიტომ კარგა ხნით შეაჩერდა ოსთა საქართველოში მიგრაცია. კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე საქართველოს ისტორიულ პროვინციაში – დვალეთში, ოსების შემოსახლება კანტიკუნტად იწყება XV ს-ის ბოლოს. ეს პროცესი აქ ძირითადად განხორციელდა XVI ს-ში. XVII ს-ში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივი ქართველური ტომის – დვალების ასიმილაცია ოსების მიერ. დვალეთში მოსახლეობის ეთნიკურ-ენობრივ ცვლილებას ამ პროვინციის საქართველოდან ჩამოცილება არ მოჰყოლია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მთელ მანძილზე და რუსეთის კოლონიად გადაქცევის შემდეგაც დვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო (1859 წლამდე).

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდ. თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთში (მდ. დიდი ლიახვის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან XVII ს-ის შუა ხანებში განხორციელდა. მთელი რიგი საისტორიო მონაცემებით, XVII ს-ის პირველ ნახევარში შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. აქედან აყრილი ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ბარში იყო საცხოვრებლად წასული. შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ, მდინარეების: დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემო წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII ს-ის მეორე ნახევრიდან. ისინი თანდათან მოიწევენ სამხრეთისაკენ და XVIII ს-ის 30-იანი წლებისათვის ითვისებენ დასახელებული ორი ხეობის მთიან ნაწილს მთლიანად. აქ, დასახელებულ პერიოდში, ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები ცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართულ მოსახლეობასთან ერთად.

XVIII ს-ის მთელ მანძილზე ოსები შიდა ქართლის მთისწინეთში ფაქტობრივად არ ცხოვრობდნენ. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთისწინეთის სოფლებში (უფრო ხშირად ნასოფლარებში) ჩასახლება იწყება XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დასაწყისში. XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში ოსები იკავებენ პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამ პერიოდიდან და განსაკუთრებით XIX ს-ის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაჟონვითი ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში (თოფჩიშვილი 2005: 113-114). ვასილ აბაევი წერდა, რომ ოსები ქსნის ხეობაში ბოლო 200 წლის განმავლობაში არიან ჩამოსახლებული (აბაევი 1959:501)

ოსი ავტორები, კავკასიაში ოსთა ისტორიის დაძველების მიზნით, ირანული მოდგმის ხალხების კავკასიის მთებში ინფილტრაციის პერიოდად ადრე რკინის ხანას მიიჩნევენ (გაგლოითი 1994: 4-20). ამგვარი მოსაზრებების დასამტკიცებლად ისინი ეყრდნობიან ძირითადად არქეოლოგიურ მასალას და ლინგვისტურ მონაცემებს. ასე მაგალითად, ი. გაგლოითის ჰიპოთეზის თანახმად, სარმატები კავკასიის ქედის სამხრეთით ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე განსახლდნენ ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიელ მთიელთა უმეტესობას სწორედ სარმატები შეადგენდნენ. ამ დებულების განმტკიცებას იგი სტრაბონის ცნობით ცდილობს (გაგლოითი 1994: 44-46). თეორიული მონახაზის განმტკიცებას არქეოლოგიური და ლინგვისტური საფუძველიც ესაჭირეობოდა. ამიტომ, მეორე ოსმა მეცნიერმა ი. ძიძოითმა გადაწყვიტა სკვითების ენა ე.წ. ჯავის დიალექტთან დაეკავშირებინა, ხოლო ირონული დიალექტი – სარმატების

ენისათვის. აქედან უკვე ერთი ნაბიჯი რჩება მტკიცებამდე, რომ ჯავური დიალექტის მატარებელი სკვითები შიდა ქართლის ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში გამოჩნდნენ, ხოლო შემდგომში მათ შეუერთდა მონათესავე ირონული დიალექტის მატარებელი თუალების (დვალების) და ჩისანების სამხრეთელი ოსების ჯგუფები (ძიძოითი 1994: 58-59).

დასავლეთ საქართველოში ოსური მოსახლეობის ინფილტრაციის საკითხებს შეეხო ქართველი ეთნოლოგი, გ. ჩიქოვანი (ჩიქოვანი 2003). იგი საველე ეთნოგრაფიული მასალის, სპეციალური ლიტერატურისა და საარქივო მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეეცადა გარკვეული წარემოდგენა შეექმნა რაჭაში ოსების ჩამოსახლების პერიოდის, მარშრუტების, მათი საზოგადოებრივი ცხოვრების და ქართულ-ოსური ურთიერთობის ასპექტებზე. გ. ჩიქოვანი ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით დაასკვნის,რომ საქართველოში ოსთა ჩამოსახლების სამი გზა არსებობდა: ერთი, როდესაც იმიერკავკასიიდან წამოსული ოსები საქართველოს მთიანეთში თვითნებურად, ძალით იკავებდნენ ადგილს (ამის ხშირი მაგალითებია დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის, ლეხურის და სხვ. ხეობები); მეორე – როცა ქართველი მეფე ან თავადი თვითონ ასახლებდა ოსებს, მესამე – როცა ეკონომიკური პირობებით შეწუხებული ოსი გლეხი ნებით ეყმობოდა ქართველ თავადს (ჩიქოვანი 2003: 167). რაც შეეხება ზემო რაჭის ტერიტორიას, აქ მკვლევარმა ოსთა ჩამოსახლების ორი გზა და მეთოდი დაადგინა – 1. თვითნებური, როდესაც ჩრდ. ოსეთის მამისონის ხეობიდან, ასევე დასავლეთ საქართველოს კუდაროს მხრიდან გადმოსულმა ოსებმა, ქართველებისაგან დაუკითხავად აითვისეს მდ. ჭანჭახისა და ღარულას სათავეები და დაარსეს სოფლები ღურშევი (დაახლოებით მე-19 ს. 20-იან წლებში) და კვაჟა// კოზი (მე-20 საუკუნის დასაწყისში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველების მხრივ ოსები წინააღმდეგობას არ წაწყდომიან. 2. კუდაროელი ოსები ივჯარით იღებდნენ მიწას ქართველი აზნაურებისაგან; თანდათანობით ფეხს იკიდებდნენ მდ. სონტარულის ხეობის სათავეებში, რის შედეგადაც დაარსდა ორი ოსური სოფელი – გადამში და ჭვებერი (მე-20 ს-ის დასაწყისი) (ჩიქოვანი 2003: 167)

ოსური მოსახლეობის საქართველოს მთიანეთში დამკვიდრების პროცესი, ზოგჯერ ერთგვარ შუალედურ ეტაპადაც გვევლინება, მათი საქართველოს ბარის რეგიონებში შემდგომი სვლისათვის. ბ. გამყრელიძე დააკვირდა ოსთა მიგრაციის თავისებურებებს და შეამჩნია, რომ 1886 წ. კუდაროს ხეობაში აღრიცხული იყო 281 ოჯახი, თუმცა აქ ოსური ოჯახების რიცხვი ძალიან ცვალებადი იყო, მათი ერთი ნაწილი მალევე ტოვებდა ამ ადგილებს და მიდიოდა საქართველოს სხვა კუთხეში, ხოლო ოსური მოსახლეობა ივსებოდა ჩრდილოეთიდან მიგრირებულთა ხარჯზე. ე. ვაშაკიძის აზრით, ამ ხშირი მიგარციების მიზეზი ის იყო, რომ ოსები ტრადიციულად მიწაზე არ იყვნენ მიჯაჭვული, ამიტომ ცდილობდნენ მისთვის რაც შეიძლება სწრაფად და მეტი გამოეწოვათ, გამოფიტულ მიწებს კი ტოვებდნენ და სხვაგან გადადიოდნენ (გამყრელიძე 2003: 155). ამ დებულებას არ ეთანხმება ლ. ჩიბიროვი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ოსების გადასახლების მიზეზი მცირემიწიანობა და მძიმე სამეურნეო ეკოლოგიური პირობები იყო (ჩიბიროვი 1987: 415).

წერილობითი წყაროები ოსი მკვლევარებისათვის სასურველი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლეოდა, ამიტომ, როგორც აღინიშნა, წინა პლანზე წამოსწიეს მატერიალური კულტურის, კერძოდ კი, არქეოლოგიური მასალის



გამოყენების მცდელობები. ამ მიმართულებით პირველი სიტყვა ეკუთვნის ყობანური სიძველეების მკვლევარს ბ. ტეხოვს, რომლის სახელსაც უკავშირდება თლიის სამაროვანის აღმოჩენა. აღსანიშნავია,რომ თავის პირველ ნაშრომებში ტეხოვი გვერდს ვერ უვლიდა ყობანურ და კოლხურ კულტურას შორის არსებულ პარალელებს. იგი ცდილობდა არ შეხებოდა ხსენებულ კულტურათა მატარებელი ერთობების ეთნიკურ ნათესაობს და ამჯობინებდა საუბარს კულტურულ კონტაქტებზე. ერთხანს ტეხოვი ყობანურ კულტურას სამხრეთიდან წამოსულ ქართველურ ტომებსაც უკავშირებდა, რომლებიც თანდათანობით აირივნენ ადგილობრივ ჩრდილოკავკასიელებთან. რაც შეეხება ირანულენოვან მოსახლეობას, ისინი აქ მოგვიანებით გამოჩნდნენ (ტეხოვი 1977: 190-215). თლიის სამაროვანზე საუბრისას იგი აღნიშნავდა,რომ ამ კულტურის წარმომადგენლები იყვნენ კავკასიელი აბორიგენები, რომელთაც განიცადეს ინდოევროპული კულტურის გავლენა (ტეხოვი 1987: 29).

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის ტეხოვმა შეცვალა დამოკიდებულება კავკასიის ირანულენოვანი ხალხების წარმომავლობაზე და გამოაცხადა, რომ ირანელები წარმოადგენენ კავკასიის ავტოქთონებს. ამ დებულების დასამტკიცებლად მოგვიანებით მან წინ წამოსწია ჰიპოთეზა ხეთების თავდაპირველად კავკასიაში ცხოვრებისა და აქედან მცირე აზიაში გადასახლების თაობაზე – მოგვიანებით კი კავკასიაში ინდოევროპელთა წამყვანი როლის შესახებ. იგი წერდა - ათასწლეულების მანძილზე არ ყოფილა პერიოდი კავკასიაში, განსაკუთრებით კი მის ცენტრალურ ნაწილში, რომ აქ ინდოევროპული და ირანული მოდგმის ხალხებს არ ეცხოვრათ. მართალია, მიგრაციული პროცესების შედეგად ბევრი მაცხოვრებელი ტოვებდა სამკვიდროს,მაგრამ ირანულენოვანი ტომები მუდამ აქ რჩებოდნენ და ასე თუ ისე ინარჩუნებდნენ ეთნიკურ იერსახეს (ტეხოვი 1994: 8-14). ყობანური კულტურის კუთვნილებას ენდოევროპული, კერძოდ კი ირანულენოვანი მოდგმის ხალხებისადმი, რომლებიც დღევანდელი ოსების უშუალო წინაპრებად გვევლინებიან, იზიარებს ბევრი ოსი მკვლევარი – მაგ. რ. გაგლოითი, ა. ჩოჩიევი და სხვები.

ქართველი არქეოლოგები სრულიად განსხვავებულ დასკვნებს აკეთებენ. ადრეული ბრინჯაოს ეპოქაში, საქართველოს ტერიტორიაზე და კერძოდ XX საუკუნეში წარმოქმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოდგენილია არქეოლოგიურ კომპლექსთა ჯგუფი, არქეოლოგიური კულტურის წრე, ეთნიკური ატრიბუციისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. იგი მტკვარ-არაქსის კულტურის სახელითაა ცნობილი. ეს კულტურა,რომელიც ძვ. წ. აღ IV ათასწლეულის მე-2 ნახევრიდან III ათასწლეულის მე-2 ნახევრამდე გრძელდება. შიდა ქართლის ტერიტორიაზეც მნიშვნელოვანი ძეგლებითაა წარმოდგენილი და გარკვეულ გენეტიკურ კავშირშია უფრო ადრე არსებულ არქეოლოგიურ კულტურასთან (ჯაფარიძე 1991: 243-245). ამ კულტურის შემქმნელთა ეთნიკური ვინაობის შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობს: მკვლევართა ნაწილი მაგ. ე. კრუპნოვი ამ კულტურის შემოქმედებს კავკასიურ იბერიულ სამყაროსთან აკავშირებს, სხვები (გ. მელიქიშვილი, გ. მაჭავარიანი) არ გამორიცხავენ მტკვარ-არაქსის კულტურაში ინდოევროპული ელემენტის მონაწილეობას. ო. ჯაფარიძის აზრით კი,ამ კულტურის შექმნაში კავკასიის მკვიდრი ქართული და ხურიტული ტომები მონაწილეობდნენ (აფხაზავა 1995: 48).

ქართველ მკვლევართა თავალსაზრისით, ასევე გენეტიკურად კავშირშია შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს არქეოლოგიური

კულტურები (აფხაზავა 1995: 49-51). ნ. აფხაზავა სამეცნიერო ლიტერატურის, ლინგვისტური და არქეოლოგიური მასალის ანალიზისის საფუძველზე ასკვნის, რომ შიდა ქართლი (თავის მთიანეთიანად) ადრე და შუაბრინჯაოს პერიოდებში სრულიად ერთგვაროვანი მატერიალური კულტურით ხასიათდება და ეთნიკური სიტუაციაც აქ შედარებით სტაბილური უნდა ყოფილიყო (აფხაზავა 1995: 56).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მკვლევარები არ უარყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული ინდოევროპული წარმომავლობის (სკვითების,კიმერიელების) მომთაბარე ხალხების ინფილტარციას, მიაჩნიათ, რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენიათ საქართველოსა და, კერძოდ, შიდა ქართლში ეთნიკური სიტუაციის კონსტრუირებაში. ო. ჯაფარიძის დაკვირვებით,გვიანბრინჯაოს ხანიდან შიდა ქართლის მთისწინეთის ტერიტორიაზე „სამთავრული" კულტურის მომძლავრება შეინიშნება (ჯაფარიძე 1966: 26-27). ქართველ მკვლევართა უმეტესობა, არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალის, წერილობითი და ეპიგრაფიკული ისტორიული წყაროების შეჯერების გზით მივიდა დასკვნამდე,რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ. XV საუკუნიდან IV საუკუნემდე, და უფრო მოგვიანებითაც, ძირითადად ეთნიკურად ერთი წარმომავლობის ხალხი, იბერები, ანუ ქართველები ცხოვრობდნენ (მუსხელიშვილი 1977: 70). უფრო მეტიც, არქეოლოგ ნ. აფხაზავას აზრით, უძველესი დროიდან (ადრებრინჯაოს ხანა) შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (სამხრეთ ოსეთი) კულტურულ-ეთნიკური პროცესები არქეოლოგიური მასალის მიხედვით უმთავრესად ადგილობრივი, შინაგანი, განვითარების გზით მიმდინარეობდა. ყოველგვარი ცვლილება აქ საერთოქართველურ-კავკასიური „სცენარის" მიხედვით ხდებოდა (აფხაზავა 1995: 87). ამასვე ადასტურებს ფიზიკური ანთროპოლოგიის მონაცემები, რომელთა თანახმადაც თანამედროვე ოსების ანთროპოლოგიური ტიპს ფორმირებაში აგადამწყვეტი როლი იქონია ადგილობრივმა, კავკასიურმა სუბსტრატმა (ბითაძე 2010: 73).

ქართველ მეცნიერთა ზემოხსენებულ დებულებებს ამყარებს შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული ეპიგრაფიკული მასალა. ამ საკითხებს პუბლიკაციები მიუძღვნეს: მარი ბროსემ, პ. უვაროვამ, ე. თაყაიშვილმა, რ. მეფისაშვილმა, ვ. ცინცაძემ, ი. მეგრელიძემ, ნ. შოშიაშვილმა, გ. ოთხმეზურმა. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გვხვდება მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა, რომელშიც დაფიქსირებულია ქართული დამწერლობის ყველა ტიპი და ქართული წელთაღრიცხვისათვის დამახასიათებელი ყველა წესი (ოთხმეზური 1995: 126-156).

კ. ხარაძე ხაზს უსვამს ოსთა საქართველოში ინფილტრაციის ძალადობრივ ხასიათს მიგრაციის პირველივე ეტაპზე. იგი მიიჩნევს, რომ XIII საუკუნიდან XVII საუკუნის ბოლომდე ამ მიგრაციებს ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და XVIII საუკუნის დასაწისში ოსები თვით ზემო ჯავაშიც არ ყოფილან (ხარაძე 1995: 162).

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან რადიკალურად შეიცვალა ოსი ავტორების დამოკიდებულება საქართველოში მათი წინაპრების მიგრაციის შესახებ. ახალი ჰიპოთეზის დასამტკიცებელი წერილობითი წყაროების სიმწირიდან გამომდინარე,ისინი იძულებული იყვნენ არქეოლოგიური მასალის თავისებური გააზრება მოეხდინათ და ოსთა ავტოქთონობის სამტკიცებლად ხელახალი კონცეპტუალური საფუძვლები გამოეძებნათ. ამისათვის მათ სრულიად აწყობდათ ტეხოვის ახალი



თეორია ოსების ავტოქთონობისა და ირანულენოვანობის შეთავსების შესახებ. ამდენად, ოსები გამოცხადდნენ კავკასიის უძველეს ხალხად, ადგილობრივი ყობანური კულტურის შემოქმედებად (ჩიბიროვი 1994). თუმცა, ოსი ავტორების ნაწილი იმ ხანებშიც რჩებოდა შედარებით ზომიერ პოზიციებზე და სამხრეთ ოსეთს ალანთა სამეფოს იმ ნაწილად მიიჩნევდა, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში ალანთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ გადავიდა. (შნილერმანი 2003: 494).

გასული საუკუნის ბოლო ხანებში შეიმჩნევა ახალი მითოლოგემების შექმნის პროცესი ოსი ავტორების მიერ. ძალიან რთულია ბოლო ხანების რუსულენოვან გამოცემებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ისტორიის შესახებ მეცნიერება ეწოდოს, რადგან უარყოფილია მეცნიერული არგუმენტაციის და ლოგიკური აზროვნების ელემენტარული ნორმები. ამგვარ „კვლევათა" ნიმუშს წარმოადგენს ყოფილი ეთნოგრაფის ა. ჩოჩიევის ნაშრომები. ჩოჩიევმა მიზნად დაისახა შეექმნა არგუმენტები ოსთა კავკასიასა და საქართველოში ავტოქთონობის დასამტკიცებლად და უზრუნველეყო ამ თეორიისადმი რუსეთის ნაციონალისტურ-რადიკალური წრეების მხარდაჭერა. ამ მიზანით მან შექმნა „ას-ალანების არიული იდეოლოგიის" პოსტულატები, რომელთა მიხედვით, ოსები უძველესი „არიელების" შთამომავლები არიან. სწორედ ამ „არიელ ქურუმთა" წრიდან იყო გამოსული კიევის რუსეთის დამაარსებელი ოლეგ რიურიკი. უფრო მეტიც, სწორედ ას-ალანებმა დაარსეს ქალაქები კიევი და მოსკოვი, ე.ი ფაქტიურად შექმნეს რუსული სახელმწიფო (შნილერმანი 2003: 495).

სამხრეთ ოსეთის როლის განდიდების მიზნით ცხინვალი გამოცხადდა არა მარტო არიელების უძველეს საკულტო ქალაქად, არამედ უძველესი რელიგიური პროცესების ეპიცენტრად. სწორედ ოსეთის მთებში იყო განმარტოებული იესო ქრისტე, ოსების წინაპრები იყვნენ პირველი მონოთეისტები, ხოლო ნართიადა, „ას-ალანების ბიბლია", არის უძველესი ნაწარმოები, რომლისთვისაც ავესტა მხოლოდ „უმცროსი დაა". ას-ალანები, რა თქმა უნდა, წარმოგვიდგებიან ცივილიზაციის საფუძვლისჩამყრელად და ლეგენდარული ატლანტიდის დამფუძნებლებად. ბუნებრივია, ასეთი გაქანების ხალხი მხოლოდ ცხინვალის რეგიონში ვერ მოთავსდებოდა და ამიტომ ჩოჩიევსა და მის მიმდევრებს ას-ალანების სამშობლო საქართველოში ეგულებათ. საქართველოს სწორედ ას-ალანების დინასტია მართავდა, საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება უამრავი „არიული" სახელწოდება,ხოლო ქართული ისტორიული წყაროები ნართიადის გვიანდელ გადამღერებას წარმოადგენენ. ამ ტერიტორიის გაქართველება მოგვიანებით IV-XIII საუკუნეებში მოხდა (შნილერმანი 2003: 497-498).

ამ ფონზე თითქოს უფრო ზომიერი ჩანს რუსულენოვან სამეცნიერო სივრცეში ძალზე პოპულარული მკვლევარი მარკ ბლიევი, რომელიც იზიარებს ყობანური კულტურის ეპოქაში კავკასიაში ინდოევროპელთა, კერძოდ კი, სკვითების საყოველთაო ბატონობის თეორიას. იგი ოსებს და მათ შორის, სამხრეთელ ოსებსაც სწორედ ამ სკვითების შთამომავლებად მიიჩნევს (ბლიევი 2006: 18). ანტიკურ ხანაში ქართულ-სკვითური გაერთიანებების განხილვისას მ. ბლიევი იმოწმებს სტრაბონის ცნობას და აცხადებს, რომ ქართველ წარჩინებულთა უმეტესობას ოსური წარმომავლობა ჰქონდა; ოსთა დახმარებით გაიმარჯვეს ფარნავაზმა და ქუჯიმ; ოსები ბატონობდნენ საქართველოში ვახტანგ გორგასლის გამეფებამდე; იგი საუბრობს ქსნის ერისთავების ოსურ წარმომავლობაზე, დავით სოსლანის მიერ ფაქტობრივად ოსური სახელმწიფოს შექმნაზე და ა.შ. ერთი სიტყვით, ოსური ეთნიკური ელემენტი აღმოსავლეთ

საქართველოში ყოველთის არსებობდა და ისტორიის გადამწყვეტ მომენტებში წამყვან როლსაც ასრულებდა. მოგვიანებით, ბლიევის თეორიით, აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ირანული ტიპის ფეოდალიზმი, რომელიც თავისი დესპოტური ხასიათის გამო მიუღებელი აღმოჩნდა მეზობლად მცხოვრები სამხრეთელი ოსებისათვის. ამიერიდან, ქართველი წარმომავლობის ფეოდალები მუდმივად ცდილობდნენ ოსი ხალხის დაკაბალებას (ბლიევი 2006:19-25). საინტერესოა რა არგუმენტაცია გააჩნია ოს მეცნიერს ზემოხსენებული დებულებების დასამტკიცებლად?! ბლიევი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თემის პოლიტიკური სიმწვავის, საქართველოში არასტაბილური მდგომარეობისა და ექსტრემიზმის გავრცელების საფრთხის გამო, შიშობს არ განადგურდეს საქართველოში დაცული ისტორიული წყაროები და ამის გამო უარს ამბობს ზუსტ ციტირებაზე, მოაქვს მხოლოდ იმ წყაროებისა და ლიტერატურის სია, რომელებზე დაყრდნობითაც შექმნა ნაშრომი (ბლიევი 2006: 12).

ხსენებულ ნაშრომებს, როგორც წესი, სხვა ოსი ავტორები იმოწმებენ და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ახალ ნაშრომს სოლიდური სამეცნიერო აპარატი გააჩნია. მაგალითად 2007 წ. გამოცემული წიგნის, „სამხრეთ ოსეთი ქართულ-ოსური ურთიერთობების პერსპექტივაში", რეცენზირებისას რ. ძიძიათი წერს – „Особым достоинством работы следует считать обширный научный аппарат, выгодно выделяющий её из изданий подобного рода" (ძიძოევი 2008). ხსენებული წიგნის ავტორებს კი ამბიციური პრეტენზია აქვთ, –გაასწორონ საუკუნეების მანძილზე ქართველ მეცნიერთა მიერ გაყალბებული ისტორია – „Оказывается, редкие грузинские историки не подверглись искушению переиначить факты и события из истории Южной Осетии. Ладно, можно еще как-то по-своему интерпретировать не совсем ясные письменные свидетельства древних авторов, ссылаться на неточность переводов и прочее, но если уж и археологический материал фальсифицированно переиначивать, то это уже дело не исторической науки, а человеческой, связанной со здоровьем." ავტორები ეყრდნობიან რა, ყობანური და თლიის კულტურების იდენტურობას, ალან-ოსების კავკასიური ავტოქთონობის საკითხს გადაწყვეტილად თვლიან. შესაბამისად, შიდა მიგრციის შესახებ მხოლოდ ერთი ქვეყნის, ოსეთის, შიგნით საუბრობენ. ქვეყნის გარეთ მიგრაცია კი მიმდინარეობდა საქართველოში, ოსები აღორძინებდნენ გაუკაცრილებული კახეთისა და ქართლის სოფლებს. ქართველი ავტორები კი სამხრეთ ოსეთის შიგნით მიმდინარე მიგრაციაზე აპელირებენ „мигрантов (подчеркнем — внутренних) была наиболее массовой и запомнившейся, и на эту миграцию и ссылаются чаще всего грузинские историки, вот, мол, когда появились на юге осетины, причем, одни говорят о XIII-XIV вв., а другие — о XVII-XVIII вв., а вглубь веков смотреть не хотят, не считают нужным" – წერს წიგნის რეცენზენტი (ძიძოევი 2008). ამგვარი დამოკიდებულება არცაა საკვირველი, თუ გავითვალისწინებთ ოსური ისტორიოგრაფიის წიაღსვლების ევოლუციას ბოლო ოცწლეულში და გავიხსენებთ, რომ ხსენებული წიგნი ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ე. კოკოითმა დაუკვეთა.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება პროცესების სასურველი მიმართულებით მართვის მიზნით საკმაოდ ეფექტურ კონტროლის ახორციელებდა ისტორიული ხასიათის ლიტერატურაზე. კომინისტური სისტემის მოშლის შემდეგ მეცნიერებას საშუალება მიეცა ხსენებული კონტროლისაგან განთავისუფლებულიყო, მაგრამ სრული უკონტროლობის პირობებში გახშირდებოდა არაპროფესიონალ პოპულისტთა



პუბლიკაციები და ტენდენციური ნაშრომები.

ქართულ და რუსულენოვან საისტორიო საზოგადოებებში ოსთა ეთნოგენეზის, მათი პოლიტიკური ისტორიისა და მიგრაციების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. განსაკუთრებით მწვავე პოლემიკის საგანია ოსთა საქართველოში ჩამოსახლებისა და დამკვიდრების ეტაპები. XX საუკუნეში ოს მკვლევართა ნაწილი მათი მიგრაციის „უძველეს დროდ", III-IV ან VI-VII სს. მიიჩნევდა, სხვანი საქართველოში ოსთა ინფილტრაციის პირველ პერიოდს ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა გაბატონებას უკავშირებენ. იყო ცდა, ოსური გვარების გენეალოგიებზე დაყრდნობით მათი მიგრაცია XV-XVI სს-ით განესაზღვრათ. ქართველი და რუსი მეცნიერების ნაწილის კვლევათა შედეგები მიუთითებენ, რომ ქართლის მთიანეთში ოსების დასახლება ძირითადად XVII ს-ში მოხდა, ხოლო დას. საქართველოში მიგრაცია მიმდინარეობდა XVIII ს-ში. თანდათანობით კომპაქტური დასახლებები გაჩნდა შიდა ქართლის ჩრდ. ნაწილში, მდ. ლიახვისა და ქსნის ხეობებში, თუმცა ოსების დიდი ნაწილი დისპერსულად განსახლდა მთელ საქართველოში.

აზრთა სხვადასხვაობაა საქართველოში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულის წარმოშობის ისტორიაზეც. XIX ს-მდე, წერილობით წყაროებში ოსეთთან დაკავშირებით განსაზღვრება „სამხრეთი" ან „ჩრდილოეთი" არ ფიქსირდება. ეს ტერმინი მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაჩნდა.

ამრიგად, ოსთა საქართველოში მიგრაციების თაობაზე წერილობითი წყაროების სიმწირის გამო, ოსი მეცნიერები ცდილობენ არქეოლოგიური მასალის, ფოლკლორული და ლინგვისტური მონაცემების გამოყენებით, შეცვალონ საბჭოთა მეცნიერებაში დამკვიდრებული იყო თვალსაზრისი, რომ ირანულენოვანი ოსები ჩრდილოკავკასიური ველებიდან გამოაძევეს თავდაპირველად ხაზარებმა, ხოლო შემდგომ თურქებმა. ისინი გადავიდნენ კავკასიის ქედზე, სადაც ხვდებოდნენ ნახური და ქართველური მოდგმის ხალხებს, რომელთან შერევის შედეგადაც სათავე დაედო ე. წ. სამხრეთელი ოსი ხალხის ჩამოყალიბებას. სადავოდ ითვლება ნარ-მამისონის ქვაბულის, დვალეთის მოსახლეობის, ეთნიკური ვინაობის საკითხი. ქართული წყაროებით დგინდება, რომ დვალეთი საქართველოს ისტორიული პროვინცია იყო. XVIII ს-დან მისი დიდი ნაწილი შედიოდა ქართლ-კახეთის სამეფოში, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ XIX საუკუნის შუა ხანებამდე - ტფილისის გუბერნიის გორის მაზრაში. დვალეთის დასავლეთი ნაწილი მამისონის ხეობა ჯერ რაჭის ერისთავებს ემორჩილებოდა, XIX საუკუნის შუა ხანებში რუსებმა დვალეთი ადმინისტრაციულად ჩამოაშორეს საქართველოს, ამჟამად კი ჩრდილო ოსეთის (ალანიის) შემადგენლობაშია. ქართველ მეცნიერთა აზრით, დვალეთში ოსთა დასახლება XV ს-ის ბოლოს დაიწყო და ის ძირითადად XVI ს-ში დასრულდა. გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ოსი ავტორები იძულებული იყვნენ ეღიარებიანათ, რომ შიდა ქართლი წინამონღოლურ ხანაში დასახლებული იყო ქართველებით და დვალებით. პირველი ოსური დასახლებები იქ მხოლოდ XIV საუკუნეში გაჩნდა, და ეს რეგიონი ყოველთვის ქართველ მმართველთა კონტროლს ექვემდებარებოდა.

შიდა ქართლის მთისწინეთში ოსთა ჩასახლება კიდევ უფრო გვიან XVIII ს-ის ბოლოდან დაიწყო. XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში მათ დაიკავეს პატარა ლიახვის ხეობის მთისწინეთის ერთი მონაკვეთი. ამ პერიოდიდან

და განსაკუთრებით XIX ს-ის პირველ ათეულ წელს ხდება ოსთა გაჟონვითი, ანუ ინდივიდუალური განთესვა შიდა ქართლის მთიანეთიდან შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლებში.

ოსი ავტორები, კავკასიაში ოსთა ისტორიის დაძველების მიზნით, ირანული მოდგმის ხალხების კავკასიის მთებში ინფილტრაციის პერიოდად ადრე რკინის ხანას მიიჩნევენ. ამგვარი მოსაზრებების დასამტკიცებლად ისინი ეყრდნობიან ძირითადად არქეოლოგიურ მასალას და ლინგვისტურ მონაცემებს. მართალია, თლიის სამაროვანის აღმომჩენი ბ. ტეხოვი, თავის პირველ ნაშრომებში გვერდს ვერ უვლიდა ყობანურ და კოლხურ კულტურას შორის არსებულ პარალელებს, მაგრამ ცდილობდა არ შეხებოდა ხსენებულ კულტურათა მატარებელი ერთობების ეთნიკურ ნათესაობას და ამჯობინებდა საუბარს კულტურულ კონტაქტებზე. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის მან შეიცვალა თვალსაზრისი და წინ წამოსწია ჰიპოთეზა ყობანური კულტურის ენდოევროპული, კერძოდ კი ირანულენოვანი მოდგმის ხალხების კუთვნილების შესახებ, რომლებიც დღევანდელი ოსების უშუალო წინაპრებად გვევლინებიან. ამ ჰიპოთეზას ამჟამად ბევრი ოსი მკვლევარი იზიარებს. ქართველი არქეოლოგები სრულიად განსხვავებულ დასკვნებს აკეთებენ. მიუხედავად იმისა, რომ არ უარყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული ინდოევროპული წარმომავლობის (სკვითების, კიმერიელების) მომთაბარე ხალხების ინფილტრაციას, მიაჩნიათ,რომ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენიათ საქართველოსა და კერძოდ, შიდა ქართლში ეთნიკური სიტუაციის კონსტრუირებაში. ქართველ მეცნიერთა ზემოხსენებულ დებულებებს ამყარებს შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული ეპიგრაფიკული მასალა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან ოსი ავტორების ნაწილი საქართველოში ოსთა წინაპრების მიგრაციის შესახებ ახალი მოსარების დამკვიდრებას ცდილობს. მათ ძირითადში გაიზიარეს ტეხოვის ახალი თეორია ოსების ავტოქთონობისა და ირანულენოვანობის შეთავსების შესახებ. ოსები გამოცხადდნენ კავკასიის უძველეს ხალხად, ადგილობრივი ყობანური კულტურის შემოქმედებად. შეიმჩნევა ოსი ავტორების მიერ ახალი მითოლოგემების შექმნის პროცესი. შედარებით ზომიერ ისტორიკოსებიც კი ზუსტ ციტირებას არ ახდენენ, რასაც საქართველოში დაცული ისტორიული წყაროების განადგურების შიშით ხსნიან. ხსენებულ ნაშრომებს, როგორც წესი, სხვები იმოწმებენ. ასე იქნება შთაბეჭდილება, რომ ახალ ნაშრომს სოლიდური სამეცნიერო აპარატი გააჩნია. ამ ტიპის პუბლიკაციები მტკივნეულად აღიქმება ქართულ საზოგადოებაში და ნეგატიური განწყობებს კიდევ უფრო ამწვავებს. ოსების ერთ ნაწილში კი ეროვნული სიამაყის და ისტორიული გამორჩეულობის შეგრძნებას აცხოველებს და ქართველების მიმართ ყოველგვარი კომპრომისის სურვილს კლავს.

## III. კონფლიქტის ინსპირირების კულტურულ-ისტორიული ასპექტები

საბჭოთა პერიოდის ისტორიულ ნაშრომებში ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ძირითადად ხალხთაშორის მეგობრობისა და ხანგრძლივი თანაცხოვრების ჭრილში იკვლევდნენ. 1990-იან წლებიდან მიდგომები შეიცვალა და წინა პლანზე წამოიწია ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიულად არსებული კულტურული და ეთნოსოციალური წინააღმდეგობების, მათ მიერ რუსული სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის განსხვებულად აღქმის და სხვა ტიპის დაპირისპირებათა ცალკეული



ასპექტების კვლევამ. ამგვარ ცვლილებას ზოგი ავტორი იმით ხსნის, რომ რადგან საქმე ეხება კონფლიქტის პოტენციურ კულტუროლოგიურ შინაარსს აუცილებელია, იგი სათანადო (ე.ი კულტურულ-ისტორიული ლ.ჯ.) მეთოდებით ვიკვლიოთ (ძუგაევი, პლიევი).

ოსი ავტორები, კულტურულ-ისტორიული ხასიათის შემდეგ პრობლემებს გამოყოფენ.

**კლასობრივი ხასიათის დაპირისპირება**. ბოლო ხანებში გამოცემულ ნაშრომებში გაანალიზებულია ქართველი ფეოდალების და საქართველოში მცხოვრები ოსების დაპირისპირების ფაქტები. ზოგიერთი ოსი ავტორი მიიჩნევს, რომ ირანელთა სამასწლოვანი ბატონობის გამო სპარსეთში გავრცელებული ქსენოფობია საქართველოს ფეოდალურ ფენას და სამეფო კარსაც გადაედო. ქსენოფობია ქართული ზედაფენის იდეოლოგიურ სისტემად იქცა. მისთვის დამახასიათებელი გახდა კაცთმოძულე ფსიქოლოგია, სისასტიკე და უცხოელთა ძალადობრივი დისკრიმინაცია (ბლიევი 2006; ძუგაევი, პლიევი) შაჰის სპარსეთში აღმოსავლეთქართული საზოგადოების ხანრძლივი ცხოვრების შედეგი იყო ის, რომ საქრთველოში ჩამოყალიბდა სპარსული ფეოდალიზმის მსგავი სოციალური ორგანიზაცია. ფეოდალიზმის ამგვარმა მოდელმა შვა ტირანია, როგორც სახელმწიფოებრიობის და იდეოლოგიის ღრმად კონსერვატიული ფორმა. ამას ვერც რუსეთის იმპერიაში შესვლამ უშველა. ცხადი იყო, რომ ერთმორწმუნოების მიუხედავად, ქართულ ფეოდალურ ზედაფენაში გაბატონებულ იდეოლოგიად დარჩა აღმოსავლური დესპოტიზმი. ოსეთში,და უპირველესად მის მთიან ნაწილში, კი საზოგადოებრივი მოწყობის სრულიად განსხვავებული იდეოლოგიური მექანიზმები მოქმედებდა. ,,სამხრეთ ოსური'' საზოგადოება ვერ ურიგდებოდა ფეოდალთა მისწრაფებას, ემართათ თავისუფალი თემი. ამის დასტურად მოჰყავთ ქსნის ერისთავთა ამბავი, რომელიც აღწერილია ,,ქსნის ერისთავთა ქრონიკებში''. აი როგორაა ინტერპრეტირებული გვიან შუა საუკუნეების ქსნის საერისთავოს ისტორია – ჩრდილოეთის დაბლობის ოსეთში ხელისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლაში სამეფო საგვარეულოს დამარცხებულმა შტოს სამმა წარმომადგენელმა (როსტომმა, ბიბილამ და წითლოსმა შვილებთან და მსახურებთან ერთად) დატოვა სატახტო ოლქი და გადასახლდა მთიან ოსეთში – თუალგომში (ქართული მატიანეების მიხედვით დვალეთი). თუალებმა მიიღეს ისინი,მაგრამ როდესაც როსტომმა მეფედ (მმართველად) გახდომის სურვილი გაამჟღავნა,ოსმა მთიელებმა მას თუალგომის დატოვება აიძულეს. როსტომი ძმებთან ერთად გადავიდა ქსნის ხეობაში. აქ იგი მმართველი გახდა, ხოლო მოგვიანებით გაავრცელა გავლენა არაგვის ხეობასა და სხვა მიწებზე ქალაქ გორამდე, მიიღო ერისთავის წოდება (ქართული ,,ერისთავიდან'' – მმართველი) და შევიდა ქართულ ზედაფენაში. ოსური გადმოცემით, ისინი მიეკუთვნებოდნენ ოსური ხუთი მთავარი გვარიდან ერთ-ერთს – სიდამონებს. გახდნენ რა ქართული ელიტის წევრები, იწოდებოდნენ სიდამონის შთამომავლებად, სიდამონ-ერისთავებად. ქსნის ერისთავები თაობიდან თაობამდე თუალგომ-დვალეთს თავიანთ კანონიერ სამფლობელოდ მიიჩნევდნენ და მის დაპყრობას ცდილობდნენ. მოგვიანებით, ამგვარი მცდელობები ჰქონდათ ქართული საგვარეულოს, მაჩაბლების, წარმომადგენლებსაც. ცხინვალის მიდამოებში მთისწინეთის დაბლობების დამორჩილება მაჩაბლებმა შეძლეს, თუმცა საბოლოო მიზანს ვერ მიაღწიეს. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის მთას, აქ მცხოვრები მთიელები სამხედრო-გვაროვნული დემოკრატიის პირობებში ცხოვრობდნენ, დამპყრობლებს გააფრთებულ წინააღმდეგობას უწევდნენ და არასოდეს დამორჩილებიან უცხოელთა

ბატონობას. ამრიგად, ჩვენ უფლება გვაქვს გავაკეთოთ ისტორიული არგუმენტებით კარგად გამყარებული დასკვნა თავისუფლების გაგების შესახებ ქართველი და ოსი საზოგადოებების მსოფლმხედველობების კარდინალური განსხვავებულობის შესახებ – წერენ ოსი ავტორები – ქართველ თავად-ფეოდალს გულწრფელად სწამდა, რომ ოსები, რომლებზეც მისი ძალაუფლება ვრცელდებოდა, ვალდებული იყვნენ, ეხადათ ხარკი; ოსებს კი, ასევე გულწრფელად, ვერ გაეგოთ, რატომ უნდა მიეცათ თავისი ნაწარმი პროდუქტი და ემუშავათ მოსული ადამიანისათვის, რომელიც თავს მათ პატრონად აცხადებდა. ეს იყო განსხვავება მსოფლაღქმაში და საზოგადებრივ წყობილებაში – ქართული საზოგადოება მოწყობილი იყო აღმოსავლური დესპოტური ფეოდალიზმის ტიპით, ხოლო ოსური (მთური) სამხედრო გვაროვნული წყობის ტიპით. ოსები ქართველებს არასდროს ემორჩილებოდნენ, ოსეთის მაგალითზე ქართველი ღარიბებიც იბრძოდნენ მემამულეების წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ (ძუგაევი, პლიევი; ბლიევი 2006 ).

ქართულ-ოსური ურთიერთობის მტკივნეული ეპიზოდების კლასობრივი კონფლიქტის ჭრილში განხილვის ტრადიცია ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრდა. როგორც ვახ. ითონიშვილი აღნიშნავს, ქართველებისა და ოსები დაპირისპირების ყველა ფაქტს 1918-1920 წწ. კონფლიქტის ჩათვლით ქართველი თავადების და მათგან ჩაგრული ოსი გლეხების დაპირისპირებად ნათლავდნენ, ზოგ შემთხვევაში კი ოსთა ფართო მასების ბრძოლად სამშობლოსა და ბოლშევიკური იდეალებისათვის, ქართველი ფეოდალების ძალმომრეობისა და ქართველ შოვინისტ ნაციონალისტთა ექსპანსიის წინააღმდეგ (ითონიშვილი 1996: 228). კლასობრივი და სოციალური ურთიერთობის ჭრილში მნიშვნელოვნად მიიჩნევა „ხიზნობის" საკითხი, რაც მჭიდროდ უკავშირდება საქართველოში ოსთა ინფილტრაციის ეტაპებსა და დინამიკას. ისტორიული წყაროების მიხედვით დგინდება, რომ ოსები საქართველოში ძირითადად ხიზნებად ესახლებოდნენ. ხიზანი იყო ადამიანი, რომელიც ვინმეს საკუთარი ნებით დროებით ან სამუდამოთ ეყმობოდა. მებატონესთან მის ურთიერთობას, რაც ძირითადად საკომლო ბეგარის გადახდაში ვლინდებოდა, დაკავებული მიწის ხარისხიანობა და ოდენობა განსაზღვრავდა. ხიზანს შეეძლო, დროზე ადრე გასცლოდა მებატონეს, თავის მხრივ, ამ უკანასკნელსაც შეეძლო გაეძევებინა იგი (გამყრელიძე 1996: 192). ასე რომ, ხიზანს და მებატონეს გარკვეულ შეთანხმებასა და თავისუფალ ნებაზე დამყარებული ურთიერთობა ჰქონდათ.

**კულტურულ-რელიგიური განსხვავების ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირება.** ეთნოკულტურული დაპირისპირების ინსპირაციის თავისებურ მეთოდს წარმოადგენს რეალური ფაქტების იმგვარად ინტერპრეტირება, რომ ადამიანებს ნაციონალური თავმოყვარეობა შეელახოთ. ამ მიმართებით ძალზე საყურადღებოა კულტურულ-რელიგიური მსგავსება-განსხვავებების კვლევა ოსურ და ქართულ ისტორიოგრაფიაში. ოსი ავტორების თანახმად, შეუძლებელია კულტუროლოგიურ განსხვავებებში სრულყოფილად გარკვევა, თუ სულიერ რელიგიურ განსხვავებებს არ გამოვიკვლევთ. თითოეული კულტურის ბირთვს წარმოადგენს რელიგიური კულტი, მისი ძირითადი ელემენტების ერთიანობით. აქ ყურადღებას ამახვილებენ ორ გარემოებაზე, პირველი ეხება ოსების მრავალსაუკუნოვან წარმართობას და ქრისტიანობის ზედაპირულად ათვისებას, რაც მათი თეორიით რეალობას არ შეეფერება. ოსმა ხალხმა ათეულობით



თაობაში შემოინახა რწმენა ერთიანი უხილავი ღმერთის, შემოქმედი ყოვლისმპყრობელის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც კანონიკური საეკლესიო ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ არსებობდა. მაშინაც კი როდესაც კომუნისტური ხელისუფლება ეკლესიებს ავიწრობდა და სასტიკად დევნიდა ხმადაბლა, მაგრამ დარწმუნებით ამბობდნენ „Хуыцау, бæсты сфæлдисаг" ქვეყნის შემოქმედი ღმერთის სადღეგრძელოს. ხშირად გაგვიგონია გამოთქმა, რომ ასწლეულობის განმავლობაში ოსები არ ასრულებდნენ ღვთისმსახურების კანონს და ქრისტიანული სარწმუნეობის სხვა ფორმალურ-კანონიკურ რიტუალებს. მაგრამ თავს უფლებას მივცემთ, ავღნიშნოთ, რომ არა ადამიანია შაბათისათვის, არამედ შაბათია ადამიანისათვის და მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ მიღებული დადგენილებები, მათი უდავო მნიშვნელობის მიუხედავად, არ დგას უფრო მაღლა, ვიდრე თაობების მიერ შენახული ღმერთის რწმენა, რომელსაც ხალხი ისტორიულად იძულებით ჩამოყალიბებული ფორმით გამოხატავს. მეორე მხრივ, გამორიცხული არაა, რომ გარკვეულად გადაჭარბებული იყოს მოსაზრება ქართველთა საუკუნოვანი, ყოვლისმომცველი და განუყოფლად გაბატონებულ მართლმადიდებლურ რწმენაზე. ამის შესახებ წერდნენ ავტორები, რომლებიც ქართული სულიერი ცხოვრების გულში გაიზარდნენ. ასე მაგალითად, ქართველი „საკულტო" მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ბრწყინვალე ლიტერატურული ნიჭიერებით აკეთებს საინტერესო დასკვნას რომან „ჯაყოს ხიზნების" პერსონაჟის, გაკრეჭილი მღვდლის, ივანეს პირით. ამ დასკვნის ანალიზი მოცემული აქვს პუბლიცისტ ა. ჯიოევს. როგორ მორალურ საფუძვლებზე, ისტორიულ არჩევანში ხედავს ივანე საქართველოს და ქართველების, როგორც ნაციის გადარჩენას? ჩვენ წარმართები ვართ, წარმართები ვიყავით და წარმართებად დავრჩით ამბობს იგი თეიმურაზ ხევისთავთან საუბარში. ქართველების მიერ ოსთა წინააღდეგ ჩადენილი მხეცობები, რომლის შესახებაც დოკუმენტურად დასაბუთებული ათეულობით ტომი არსებობს, უნებურად გარწმუნებს ამ დასკვნის სინამდვილეში. რაც შეეხება, ქრისტიანული რწმენისათვის თავდადებულ მილიონობით ქართველს, რწმენა ქრისტეს შესახებ იყო მხოლოდ ფარი, რომელითაც ქართველები ნაციონალურ დამოუკიდებლობას იცავდნენ, ქართველები სემიტები არიან და და მათთან უფრო ახლოა მუსულმანური ან იუდეური რელიგია. ამიტომაც ასე ადვილად გამუსულმანდა ქართველების თითქმის მესამედი (ძუგაევი, პლიევი).

ისტორიული დოკუმენტების თავისუფალი ინტერპრეტაციის მაგალითია 1782 წელს არაგვის საერისთავოს მცხოვრებთათვის მიღებული განჩინებაზე მსჯელობა. განჩინების მესამე თავში წერია „თუ რომელიმე ქრისტიანე კაცი ოსს ქალს მიცემს და დაუმოყვრდება, იმას ჩვენ მუხანათობისათვის მოვკითხავთ და დიდადაც გადავახდევინებთ. და თუ ოსმა ქალი მოგცეს, ის კი ითხოვეთ, მაგრამ უნდა მონათლოთ, მოუნათლაობა არ იქნება" (სონღულაშვილი 2009: 179). აშკარაა, აქ საუბარია ქრისტიანის განსხვავებულ კონფესიის წარმომადგენელთან ქორწინებაზე. ოსი ავტორები კი წერენ: ბოლო სამ-ოთხ თაობაში საქართველოში არ ახსნებდნენ, რომ 1782 წ. მიიღეს საგანგებო კანონმდებლობა, რომელიც ქართველებსა და ოსებს შორის ქორწინებას კრძალავდა. რა თქმა უნდა, პირველი, რაც თავში მოგივა, ესაა ანალოგია რომელიც ფაშისტურ გერმანიაში მიიღეს და გერმანელებს ებრაელებთან დაქორწინებას უკრძალავდა (ძუგაევი, პლიევი ).

ქართველი ავტორები მიუთითებენ, რომ ოსთა და სხვა კავკასიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში უდიდესი ღვაწლი ქართულ სახელმწიფოს და მოღვაწეებს მიუძღვით. ოსურ ენაში თითქმის მთელი ქრისტიანული ტერმინოლოგია

ქართულიდანაა შესული (დზუარ-ჯვარი, კულირი-კვირა, მორხო-მარხვა, ბარასკა–პარასკევი,მიჯელოზ-მთავარანგელოზი,მიკალგაბრიე-მიქელგაბრიელი,ჩირისტი-ქრისტე, დეკამოზ-დეკანოზი, მაირამ-მარიამობა, სანიბა-სამება, ალარდი-ალავერდი, ჯეორგუბა-გიორგობა და ა.შ) (ითონიშვილი 2010: 245). ამასთანავე დიდძალი ფაქტობრივი მასალით მტკიცდება, რომ მათ ყოფაში მე-19 საუკუნის ბოლომდე შემორჩენილი იყო წარმართული ელემენტები. ქართული კულტურის ცხოველმყოფელი გავლენა დიდი იყო ასევე განათლების კერების დაფუძნების, წერა-კითხვის გავრცელების, დამწერლობის შექმნის და სხვა მიმართულებითაც. თუმცა, მოსკოვის პოლიტიკური ნებით კულტურული გარემო თანდათანობით ტრანსფორმირდა, რაც ქართული გავლენების რუსულით ჩანაცვლებაში გამოიხატა .

- **ოსურ-ქართული ურთიერთობების შეფასება რუსეთის იმპერიის პოლიტიკის შუქზე,**

ოს ავტორებს მიაჩნიათ, რომ როდესაც სულთმობრძავი საქართველო რუსეთის იმპერიის მხსნელი სკიპტრის ქვეშ გაერთიანდა, მისი ხსნისათვის ბრძოლამ რუსეთი ჩაითრია ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებში. ამ დროს კი ქართველი თავადები, რუსული სამხედრო ძალის დახმარებით ცდილობდნენ დაეძლიათ ოსების გააფრთებული ბრძოლა თავისუფლებისათვის. 1802 წ. სამხრეთ ოსეთში მეფის ჯარების პირველი ექსპედიიას შემდეგ მოჰყვა 18043,1807-1808,1809 ,1810,1812-1813,1817,1820-1821,1830, 1836, 1838, 1839 -1840, 1841-1841, 1848, 1850 წლის სადამსჯელო ექსპედიციები, ვიდრე 1852 წ,ბოლოსდაბოლოს სამხრეთ ოსეთის გლეხები სახაზინო გლეხების კატეგორიაში არ გადაიყვანეს და ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობისაგან არ იხსნეს. არსებითად სამხრეთელი ოსები 50 წლის განმავლობაში აწარმოებდნენ გამათავისუფლებელ ბრძოლას ქართულ პოლიტიკურ ზედაფენასა და მის მხარდამჭერ კლასობრივ მოკავშირესთან, რუსეთთან. თუმცა ბრძოლა ამით არ დასრულებულა და ზოგჯრ შეიარაღებულ ხასიათსაც იღებდა, მაგალითად 1883-1884 წწ სამხედრო ეგზეკუცია იდგა სამხრეთ ოსეთის 125 სოფელში (ძუგაევი, პლიევი).

მათივე მოსაზრებით, ოსების გენოციდი და დეპორტაციის მცდელობა, ქართველი არისტოკრატიის გულის მოსაგებად, რუსეთის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. „სამხრეთელი ოსები" გადაასახლეს ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ სტავროპოლის გუბერნიაში, ჩერქეზების მსგავსად მათ დაემუქრათ ისტორიული სამშობლოდან საბოლოოდ განდევნა (ბლიევი 2006: 7). როგორც მ. ბლიევი წერს „ოსები არასდროს ღალატობდნენ რუსულ მმართველობას. ხოლო ქართველები პირიქით, ქართულ-რუსული ურთიერთობის ისტორიაში ქართული პოლიტიკური ელიტა ყოველთვის დეკლარირებდა მეგობრობის ჰუმანიტარული ღირებულებებით, სამხედრო თანამშრმლობით და მართლმადიდებლური ნათესაობით, თან კი შეთქმულებას აწყობდა და რუსულ ინტერესებს ჰყიდდა. ამგვარი პოლიტიკური ამპლიტუდის ნეგატიური გამოვლინებები, როგორც წესი, გამოიხატებოდა თავადური „ფანაბერიით" რომელიც ხშირად ქსენოფობიის და რუსოფობიის ფორმებს იღებდა." ამ ჭრილში განიხილება 1917-1920 წლების მოვლენებიც (ძუგაევი, პლიევი ).

ქართველ ავტორებს მიაჩნიათ, რომ ე.წ. სამხრეთელ ოსებს საკუთარი არისტოკრატია არ გააჩნდათ და ქართველი ფეოდალების მორჩილებაში იყვნენ. ეს ბუნებრივია, რადგან გადმოსახლების შემდეგ ისინი ქართულ სახელმწიფო-



პოლიტიკური სისტემის სტრუქტურაში ინტეგრირდებოდნენ. შემთხვევითი არაა, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის წინააღმდეგ მომხდარ აჯანყებებში ოსები აქტიურად იბრძოდნენ ქართველების მხარდამხარ. სწორედ ოსებით დასახლებულ ადგილებში პულობდნენ თავშესაფარს რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებული ქართველი ბატონიშვილები (ტყავაშვილი 2010 : 218-251).

1918-1920 წლის მოვლენებს კი მოკლედ ასე ახასიათებენ – ამ დროს „სამხრეთ ოსეთში" ძირითადად ოს ექსტრემისტთა პოლიტიკური ავანტურიზმის შედეგად მოეწყო აჯანყებები საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რომლის მთავარი მიზანი იყო საქართველოდან ქართული ტერიტორიების გამოყოფა. ამიერკავკასიის კომისარიატმა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დაიცვეს თავიანთი კანონიერი უფლებები. ამის შედეგად „ოსთა მიერ დაღვრილ ქართულ სისხლს, ქართველთა მიერ დაღვრილი ოსური სისხლიც დაემატა" (თოთაძე 1996: 218).

- **ეთნოფსიქოლოგიური ხასიათის დაპირისპირება** ოსი ავტორების თანახმად ქართულ-ოსური განსხვავება კიდევ უფრო ღრმა იყო ყოფით დონეზე და გამოიხატებოდა ოსების მეომრულ და ქართველთა არამეომრულ ბუნებაში. ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა გამოავლინა სამხრეთელ ოსებში შემონახული სამხედრო-გვაროვნული რეაქცია სამხედრო საფრთხეზე. პირველსავე შეტაკებებში ოსებმა გამოამჟღავნეს თვითორგანიზების ფენომენალური უნარი და მყისვე შექმნეს ქმედითუნარიანი სტრუქტურები ქართველთა ნაციონალ-ექსტრემისტული ფორმირებების საწინააღმდეგოდ. როგორ შემოინახა ეს თვისებები საბჭოთა წყობილების პირობებში? ოსებს პირველი ადგილი ეჭირათ დიდი სამამულო ომის დროს საბჭოთა კავშირის გმირთა პროცენტული ოდენობით, ეს ცნობილია თოთოეული ოსისათვის და დღემდე ზემოქმედებას ახდენს ნაციონალურ თვითშეგნებაზე. ოსთა მეომრული ხასიათის შესახებ მრავალჯერ აღუნიშნავთ ქართულ ისტორიულ ქრონიკებში და სხვა მეზობელი ხალხების გადმოცემებსა და მატიანეებში. მაგ. 1851 წ. ოსეთის მონახულების შემდეგ ნ. ბერძენოვი აღნიშნავდა, რომ ოსები თავს ქართველებზე კარგ მეომრებად თვლიან და დაცინვით მოიხსენებენ მათ. ოსების მეომრული სული გამოიხატებოდა ოსური მენტალიტეტის თავისებურებებითაც: გულადობა, თვითშეწირვის უნარი, სიმტკიცე, ერთგულება და ა.შ. „საკუთარი ეთნიკური არსებობისათვის ბრძოლაში ალან-ოსებს წარსულში უზარმაზრი სირთულეების გადატანა და ურიცხვი მსხვერპლის გაღება მოუხდათ.ისინი გადარჩნენ მათ მიერ შექმნილი ძლიერი სამხედრო ორგანიზაციის, შეძენილი მეომრული ვაჟკაცობით და თავადაცვის უნარით. დამოუკიდებლობისათვის მუდმივი ბრძოლების შედეგად ჩამოყალიბდა იარაღთან ურთიერთობის სათანადო ეთიკა. ხანჯალი იყო ოსი მამაკაცის განუყრელი ნაწილი. სიტყვიერი კამათის დროს, როდესაც ვინმე ხაჯალზე ხელს იტაცებდა, მიუხედავად იმისა, რომ იარაღი ჯერ კიდევ ვადაში იყო, ეს წარმოადგენდა კონფლიქტის სიტყვიერი ფაზიდან შეიარაღებულ სტადიაში გადასვლის ნიშანს. ჯერ ცარისტული, შემდგომში კი საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ოსთა განიარაღებას, მაგრამ მნიშვნელოვან წარმატებას ვერც ერთმა ვერ მიაღწია. სამხრეთ ოსეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივის პოლიტიკურ განყოფილებაში ინახება 1925 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული დოკუმენტი, რომლითაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს სამხრეთ

ოსეთის კომუნისტური პარტიის წევრებისაგან ჩააბარონ შაშხანები. 1925 წლის 3 ოქტომბრის სხდომაზე სამხრეთ ოსეთის ოლქკომის პრეზიდიუმმა განიხილა ეს საკითხი და დაადგინა „ეთხოვოს საქართველოს კპ. ცენტრალურ კომიტეტს დაუტოვონ იარაღი სამხრეთ ოსეთის კომპარტიის წევრებს, რადგან იარაღი საუკეთესოდაა მოვლილი და აუცილებელია მთაში ნადირისაგან თავდაცვისთვის. მტაცებელი ნადირი ყოველწლიურად დიდ ზარალს აყენებს პირუტყვს.” მტაცებელი ცხოველები მხოლოდ საბაბი იყო, წერენ ოსი ავტორები, სინამდვილეში ოსებს რამდენიმე წლისწინანდელი გენოციდი ახსოვდათ და იარაღი ამიტომ უნდოდათ, თანაც ქართველი ბოლშევიკების ნაციონალ-უკლონისტური განწყობები ოსი ლიდერებისათვის პირადი პოლიტიკური გამოცდილებით ცნობილი. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ოსები ქართველებისაგან განსხვებით არამოვაჭრე ხალხია. ოსურ ენაზე სიტყვა მოღალატე და ვაჭარი (გამყიდველი) ერთიდაიგივენაირად გამოითქმის,რაც აირეკლება და წარმოშობს აზროვნების სათანადო სტერეოტიპს. ოსურ მოსახლეობაში დიდი გაჭირვებით ვითარდებოდა საცალო ვაჭრობის სისტემა და სამომხმარებლო კოოპერაცია. ამგვარი საქმიანობა მამაკაცისათვის სათაკილოდ ითვლებოდა – ვიდრე მენშევიკები გაანადგურებდნენ, ჯავის მსგავს დიდი სოფლებში იყო სავჭროები (დუქნები), მაგრამ ამის შემდეგ დაბრუნებულ ოსებს არსად ერთი სავაჭროც არ გაუხსნიათ. აქაური მოსახლე ასანთის კოლოფის ან სიგარეტისათვის იძულებულია ცხინვალში ჩავიდეს,წერს ჩურსინი. დღეისათვის სამხრეთელი ოსების ნაწილი ვაჭრობს, იმიტომ, რომ ცხოვრება აიძულებს, მაგრამ ამ საქმიანობის სათანადო იდეოლოგია და ფსიქოლოგია, რომ არაფერი ითქვას მსოფლმხედოებრივ დომინანტებზე, საზოგადოებაში ნაკლებადაა (ძუგაევი, პლიევი).

ოსურ და ქართულ საზოგადოებებს შორის ისტორიულ განსხვავებაზე მიუთითებენ ქართველი ავტორებიც. ისინი მიიჩნევენ, რომ რადგან ოსთა წინაპრები მომთაბარეები იყვნენ, ომი, მეკობრეობა, ყაჩაღური თავდასხმები მათთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, ამიტომ მათი ცხოვრების წესი განსხვავდებოდა ინტენსიური ცხოვრების მიმდევარი ქართველების ცხოვრების წესისაგან (თოფჩიშვილი 2005:1). ოსთა მიერ განხორციელებული ძარცვა-რბევა და მწარმოებელი მოსახლეობის აწიოკება შენარჩუნებულია ტერმინებში „ოსობა”, „ოვსობა”, „ოსიანობა”, „ოსობია” (ითონიშვილი 1996: 229). ოსების თარეშით არა მარტო ქართველები, მშვიდობიანი ოსური მოსახლეობაც ძალზე ზარალდებოდა, ისინიც უმოწყალოდ იძარცვებოდნენ, ხშირი იყო ბანდების ურთიერთავდასხმები, ზოგჯერ სისხლით თავდებოდა ნაძრცვის გაყოფაც. ამის გამო გამწარებული ოსური მოსახლეობის ნაწილი ხელისუფლებას სთხოვდა, ბოლო მოეღო მათი თანამემამულეების თავაშვებული ქმედებისათვის (გამყრელიძე 1996: 191). ეს მოვლენები რუსეთის მიერ საქრთველოს დაპყრობის შემდეგაც გრძელდებოდა. რუსულ წყაროებში საუბარია ოსების მიერ ქართული სოფლების ძარცვაზე და უიარაღო მოსახლეობის აწიოკებაზე. 1809 წელს გენერალმა ტორმასოვმა ავაზაკობისათვის ჩამოხრჩობა მიუსაჯა 5 ოსს. მოგვიანებით, გენერალმა ხონევმა უპატაკა გენერალ ერმოლოვს, რომ უპრიანი იყო ქართლის მოსახლეობისათვის დაერიგებინათ იარაღი, რათა მათ ისევე დაეცვათ თავი მოთარაშე ოსებისაგან, როგორც კახეთის მოსახლეობა იცავდა თავს ლეკებისაგან. ჩავაგონოთ, როგორც მემამულეებს ისე გლეხებს, რომ ისინი პასუხს არ აგებენ ბოროტმოქმედთა და ავაზაკთა მკვლელობისათვის, მხოლოდ მათ უნდა დავაკისროთ ვალდებულება, რომ



ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესახებ აცნობონ ადგილობრივ ხელისუფლებას (თოთაძე 1996: 215).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ზემოხსენებული მიდგომებისადმი შემდეგი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა – ოსურმა პატრიოტიზმა დეფორმაცია განიცადა. ეროვნული ქედმაღლობისა და უპირატესობის შესახებ მითებით გაივსო ოსური პრესა. ლამის ყველა ქართული გვარი ოსურად მონათლეს, ბევრი ქართველი მოღვაწე ოსად გამოაცხადეს, თვით გიორგი სააკაძეც კი წარმოშობით ოსად მიიჩნიეს. აღნიშნავენ რომ, ოს ხალხს აქვს უძველესი და ბევრად მდიდარი ისტორია, ვიდრე მეზობელ ან ევროპელ ხალხსებს. ამის დასასაბუთებლად მიმართავენ დემოგრაფიულ, ტოპონიმიკურ, ანთროპონიმურ, არქეოლოგიურ და სხვა სახის ისტორიულ ინსინუაციებს (თოთაძე, თოფჩიშვილი, აფხაზავა, ოთხმეზური, ხარაძე და სხვა).

ამრიგად, 1990-იან წლებიდან შეიცვალა საბჭოთა პერიოდში გაბატონებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ძირითადად ხალხთაშორის მეგობრობისა და ხანგრძლივი თანაცხოვრების ჭრილში იკვლევდნენ. წინა პლანზე წამოიწია ქართველებსა და ოსებს შორის გვიან შუა საუკუნეებში არსებული კულტურული და ეთნოსოციალური წინააღმდეგობების, ქართველებისა და ოსების მიერ რუსული სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის განსხვებულად აღქმის და ქართულ-ოსური ისტორიული დაპირისპირების ცალკეული ასპექტების კვლევა. ოსი ავტორები შემდეგ კულტურულ-ისტორიული პრობლემებს გამოყოფენ: **სოციალური ხასიათის ისტორიული დაპირისპირება, რელიგიური განსხვავების ნიადაგზე წარმოქმნილი გაუცხოება, ოსურ-ქართული ურთიერთობების შეფასება რუსეთის იმპერიის პოლიტიკის შუქზე, ასიმილაცია და სოციალ-ეკონომიკური ჩაგვრა**. ქართულ-ოსური ურთიერთობის მტკივნეული ეპიზოდების კლასობრივი კონფლიქტის ჭრილში განხილვის ტრადიცია ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრდა. ოსები დაპირისპირების ყველა ფაქტს 1918-1920 წწ. კონფლიქტის ჩათვლით ქართველი თავადების და მათგან ჩაგრული ოსი გლეხების დაპირისპირებად ნათლავენ, ზოგ შემთხვევაში კი ოსთა ფართო მასების ბრძოლად სამშობლოსათვის და ბოლშევიკური იდეალებისათვის, ქართველი ფეოდალების ძალმომრეობისა და ქართველ შოვინისტ ნაციონალისტთა ექსპანსიის წინააღმდეგ. ოსები არასდროს ღალატობდნენ რუსულ მმართველობას, ქართული პოლიტიკური ელიტა კი დეკლარირებდა სამხედრო თანამშრომლობით და მართლმადიდებლური ნათესაობით, იმავდროულად შეთქმულებას აწყობდა და რუსულ ინტერესებს ჰყიდდა. საბჭოთა პერიოდშიც ქართველებმა მოსკოვში დაწინაურებული თანამემამულეების სტალინისა და ორჯონიკიძის მხარდაჭერით, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ბერკეტების გამოყენებით განაგრძეს ოსების შევიწროება-ასიმილაციის პოლიტიკა. ამ ჭრილში განიხილება ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურულ-რელიგიური განსხვავებაც. ზოგი მეცნიერი უარყოფს აზრს, რომ ოსები მრავალი საუკუნის განმავლობაში წარმართები იყვნენ და მიაჩნიათ, რომ ქრისტიანული ღმერთის სწამდათ მაშინაც, როდესაც კანონიკური საეკლესიო ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ არსებობდა და მაშინაც, როდესაც კომუნისტური ხელისუფლება ეკლესიებს ავიწრობდა და სასტიკად დევნიდა. მეორე მხრივ, გადაჭარბებულად მიაჩნიათ მოსაზრება ქართველთა მართლმადიდებლური რწმენის შესახებ. თვლიან, რომ სინამდვილეში, რწმენა ქრისტეს შესახებ იყო მხოლოდ ფარი, რომელიც ქართველთა ნაციონალურ დამოუკიდებლობას იცავდა.

ქართველი ავტორები კი მიიჩნევენ, რომ ცალკეული ავტორები ეროვნული ქედმაღლობისა და უპირატესობის შესახებ მითებით ტირაჟირებით ცდილობენ ოსთა პატრიოტული გრძნობების გაღვივებას. მიმართავენ ტოპონიმიკურ, ონომასტიკურ და სხვა ტიპის ინსინუაციებს. ხოლო ცნობებში,რომელიც მათ ოსთა სასიქადულო წარსულის დასასაბუთებლად მოაქვთ,სინამდვილეში აღწერილია ყაჩაღობის,მეკობრეობის,ქართული სოფლების ძარცვის და უიარაღო მოსახლეობის აწიოკების ამბები. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ე.წ. სამხრეთელ ოსებს საკუთარი არისტოკრატია არ გააჩნდათ და ქართველი ფეოდალების მორჩილებაში იყვნენ, ეს ბუნებრივია, რადგან გადმოსახლების შემდეგ ისინი ქართულ სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის სტრუქტურაში ინტეგრირდებოდნენ. რუსული იმპერიული პოლიტიკის მხარდაჭერა ოსთა შორის მოგვიანებით დაიწყო და განსაკუთრებით 1918-20 წწ. სეპარატისტულ ამბოხებაში გამოვლინდა. ამ დროს ,,სამხრეთ ოსეთში'' ძირითადად ოს ექსტრემისტთა პოლიტიკური ავანტურიზმის შედეგად მოეწყო აჯანყებები საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რომლის რესპუბლიკის მთავრობამ დაიცვეს თავიანთი კანონიერი უფლებები. საბჭოთა ხელისუფლებამ ოსებს ხელოვნურად შეუკოწიწა ავტონომიური ოლქი,არად ჩააგდო ამ მხარის ქართული მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება და ოლქში იძულებით შეიყვანა მთლიანად ქართველებით დასახლებული სოფლები და ა.შ. კულტურულ-რელიგიური დისკურსის განხილვისას ქართველი ავტორები მიუთითებენ ქართველი მოღვაწეებისა და სახელმწიფოს გავლენაზე ოსთა და სხვა კავკასიელეთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში.

კულტურულ-ისტორიულ ანალიზზე დაყრდნობით ოსი ავტორები საკმაოდ პესიმისტურ პროგნოზს აკეთებენ. ისინი წერენ, რომ ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული სიძულვილის გადასალახავად, რომელიც ეთნიკური სტერეოტიპებითაა გამყარებული და ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში მდგრადი ეგზისტენციური განწყობის ფორმა აქვს, აუცილებელია დრო და პოზიტიური ურთიერთობა. რეალურად კი ამგვარი ურთიერთობა არ არსებობს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ხსენებული ეგზისტენციური განწყობის გაჩენის ძირითადი წყარო ცალკეული ისტორიული ხასიათის ნაშრომებია. შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოარული ხმები და მედიაში ტირაჟირებული რეალური ამბები თუ ჭორი დაპირისპირებულ ჯგუფებში ერთმანეთის შესახებ ნეგატიური სტერეოტიპების ფორმირებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ამ ტიპის ცნობები ადამიანებში მეყსეულ რეაქციას იწვევს, მაგრამ, როგორც წესი, მეხსიერებას დიდი ხნით არ შემორჩება ხოლმე. უფრო ხანგრძლივი და სერიოზული ზემოქმედების უნარი აქვს ისტორიულ ლიტერატურას (ისევე როგორც მხატვრულს). ამ გზით შექმნილი მტრის ხატი უფრო მონუმენტურია. ცალკეული ისტორიული პასაჟების ტენდენციური აღწერა, ხალხთა ურთიერთობის უარყოფითი პრიზმაში გაშუქება, საკუთარი ხალხის როლის გაზვიადება და ა.შ. ძლიერ გავლენას ახდენს დაპირისპირებული ჯგუფების ურთიერთგანწყობებზე და ხელს უშლის მათ შერიგებას.



## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა


1. აფხაზავა ნ.,კულტურულ-ეთნიკური პროცესები შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), კრებ. ოსთა საკითხი, თბ.,1995
2. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები ტ.II, თბ.,1965
3. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.IX, თბ., 1979
4. გამყრელიძე ბ., კუდაროს ხეობა, კეკ, VIII, თბ.,2003
5. გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან (ეთნონომების ''ოსი'' და ''დვალი''-ს მიმართების საკითხისათვის). – ''საისტორიო ძიებანი'', I,თბ., 1998
6. გამყრელიძე ბ., ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში, კრ., ოსთა საკითხი, თბ., 1996
7. გვასალია ჯ., შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, კრ. ოსტა საკითხი, თბ., 1996
8. გვრიტიშვილი დ., დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმომხილველი, I, თბ.,1949
9. ზაქარაია პ., შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის, კრ. ოსთა საკითხი, თბ., 1996
10. თოგოშვილი გ., ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბილისი, მეცნიერება, თბ.,1977
11. თოიძე ლ., ოსთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა საქართველოში, კრ. ოსთა საკითხი, თბ., 1996
12. თოთაძე ა., ოსები ქართულ მიწა-წყალზე, კრ. ოსთა საკითხი, თბ., 1996
13. თოფჩიშვილი რ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბილისი, 1997
14. თოფჩიშვილი რ. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ.,2008
15. რ. თოფჩიშვილი, კვლავ დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის, ისტორიული ეტიუდები, ტ. 1. თბ.,2005
16. თოფჩიშვილი რ., ქართულ - ოსური ენობრივ - ეთნიკური ურთიერთობა და ენობრივი სიტუაცია საქართველოში მცხოვრებ ოსებში, ისტორიული ეტიუდები, ტ. 1. თბ.,2005
17. ითონიშვილი ვახ., დვალებისა და დვალეთის შესახებ, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბილისი, 1995
18. ითონიშვილი ვახ. ოსიანობა, კრ. ოსთა საკითხი, თბ. 1996
19. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1980

20. ლეკიშვილი (1996ა) ს., როდის გაჩნდა ტერმინი "სამხრეთ ოსეთი?", კრებ. ოსთა საკითხი, თბ., 1996

21. ლეკიშვილი ს. ფაქტები, მხოლოდ ფაქტები, კრ. ოსთა საკითხი, თბ.,1996

22. მაისაია ვ., შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები, პარიზი, 2003

23. მენთეშაშვილი ა., ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრ. ოსთა საკითხი, თბ., 1996

24. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1, თბ., 1977

25. ოთხმეზური გ., შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრ. ოსთა საკითხი, თბილისი, 1995

26. საითიძე გ., ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917, თბილისი 2005)

27. სმითი ენტონი დ., ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია, თბ., 2004

28. სონღულაშვილი ა., "სამხრეთ ოსეთი" საქართველოში?!, თბილისი, 2009

29. ურბნელი (ხიზანიშვილი) ნ., გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი, ტფილისი, 1889

30. ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 2007

31. ყიფიანი პ., ეთნოლოგიური მეცნიერების მეთოდოლოგიისათვის, ქართული ეთნოლოგია I, თბ., 2005

32. ჩიქოვანი გ., დასავლეთ საქართველოში ოსთა ჩასახლების საკითხისათვის (რაჭა), კეკ. 2003

33. წერეთელი, მ., ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტთა ინტერკულტურული სენსიტიურობა საქართველოში, თბილისი, 2015

34. ხარაძე კ., შიდა ქართლის ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ, კრებ. ოსთა საკითხი, თბ.1996

35. ხარაძე კ., როდის ან ვისთვის აშენდა ცხინვალ-ალაგირის საავტომობილო ავტომაგისტრალი?!, კრ. ოსთა საკითხი, თბ., 1996

36. ხარებოვი ბ., სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური რეაბილიტაცია: არსებული ამოცანები და განვითარების სტრატეგია, ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზების ძიება, თბ.,2011

37. ჯავახიშვილი ი., საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ისტორიული რარიტეტები, თბ.,1989

38. ჯაფარიძე ო., საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა), თბ., 1991



39. ჭიჭინაძე ზ., ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ღვაწლი და ამაგი მათზე, ტფილისი, 1916 (თბ.,1990)

40. Абаев В.И. Осетинский язык и фольклор, М., 1959

41. Алемань А. Аланы в древних и средневековых пысьменных источниках. – М., 2003.

42. Барт Ф, 2006, Введение, Этнические группы и социальные границы, под редакцией Фредерика Барта, Новое издательство, 2006

43. **Битадзе Л., Антропологическая характеристика осетин в сравнительном освящении,** Некоторые вопросы истории осетин Шида картли Тбилиси, 2010

44. Блиев М., Южная Осетия в колизиях Росийско-Грузинских отношений, М.2006 http://www.e-reading.club/bookreader.php/88840/Bliev_-_Yuzhnaya_Osetiya_v_kolliziyah_rossiiisko-gruzinskih_otnosheniii.html

45. Ванети З.Н., К вопросу времени заселения Юго-ОсетииИзв. Юго-Осет. НИИ АН Грузии, 1936, вып 3

46. Ванеев З.Н., Избранные работы по истории осетинского народа, Цхинвали, 1989

47. **Верещагин** М., 2015, Пять главных Советских мифов о Второй Мировой Войне, internet versia, http://fakeoff.org/history/pyat-glavnykh-sovetskikh-mifov-o-vtoroy-mirovoy-voyne

48. Волкова Н.Г., Миграции и этнокультурная адаптация горцев в условиях равнинного Кавказа ( XIX-XX вв.) – «Расы и народы», №18

49. Гамрекели В.Н., Двалы и Двалетия в I-XV вв. н.э., Тб., 1968

50. Гаглоити Ю.С., Сарматы и Центральный Кавказ , С.44-46// Техов Б.В. этнической принадлежности создателей кобанской культуры Центрального Кавказа, от скифов до осетин Материалы по осетиноведению, М 1994

51. Гамкрелидзе Б., К вопросу о расселении осетин в Грузии, Осетинский вопрос, Тб., 1994

52. Дзиццойты Ю. А., Диалектология и древная история Южных Осетин, Гаглоити Ю.С., Сарматы и Центральный Кавказ , Тезиси докладов на конференцию по осетиноведению, под редакции Магомедова А.А., Владикавказ, 1994

53. Дзаттиаты Р. Г. , «Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений» (отклик), Республиканская общественно-политическая газета «Южная Осетия»3 мая 2008 г

54. **Дзугаев К., Плиев А.,** Культурологические особенности грузино-осетинских отношений. internet versia, http://do.gendocs.ru/docs/index-128984.html#3787057

55. **Дзугаев К**., Южная Осетия и прецедент Крыма**,** 2015 , http://iarir.ru/node/138

56. Дзидзоев В. и Дзугаев К., «Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений», Цх., 2008

57. Джуссоев Р. И., **К вопросу национальной идентификации осетин (к итогам Всероссийской переписи населения 2002 . WWW.etnonet.ru 2004-12-10**

58. Дугин А., (2008) Российский националист выступает за евразийский альянс против США («Los Angeles Times», США) http://inosmi.ru/world/20080904/243792.html

59. Дугин А., (1999) Предисловие к грузинскому изданию ,,Основ геополитики" internet vesia**:** Sep. 09,1999,04:41

60. Фукуяма Ф., Конец истории? М.,1992

61. История Северо Осетинской АССР 1, Орджоникидзе, 1987

**62. Итонишвили В., осетины (краткий историко-этнографический очерк),** Некоторые вопросы истории осетин Шида картли Тбилиси 2010

**63. Итонишвили В., Сведения и. Гюльденштедта о «лекианоба» и «осианоба», осетины (краткий историко-этнографический очерк),** Некоторые вопросы истории осетин Шида картли Тбилиси 2010

**64. Итонишвили В., «Осианоба» в интерпретации коста хетагурова,** Некоторые вопросы истории осетин Шида картли Тбилиси 2010

**65. Коцты Х.,** Грузинских сёл в Лиахвском ущелье нет и никогда не было, **Юго-Осетинская газета «Республика», 2012** internet versia, http://cominf.org/node/1166494486

66. Лордкипанидзе М., Мусхелишвили Д., Открытое письмо премьер-министру российской федерации в. Путину, Некоторые вопросы истории осетин Шида картли, Тбилиси, 2010

67. Маргиев А., Кочиева И., День катастрофы -888**,** http://knigosite.ru/read/48470-gruziya-etnicheskie-chistki-v-otnoshenii-osetin-margiev-aleksej-kochieva-inga.html

68. *Некрасов А., 2015,* Russia looks to its history in search for a new ideology http://inosmi.ru/russia/20150330/227196328.html

69. Нухаев Х., Чечния и Россия: одно ценностное пространство _ две общественные системы, Россия и Чечня Поиски выхода, Санкт-Петербург, 2003.

70. Пчелина Е.Г., Краткый историко-археологический очерк страны Ирон-Хусар // Материалы по изучению Грузии: Юго-Осетия, Тф., 1925

71. Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, Сост. Л. Чибиров, Цхинвали, 1987, т. 3

**72. Путин В., Интервью Председателя Правительства Российской Федерации В.В.Путина американской телекомпании «Си-Эн-Эн»** *Сочи, 28 августа 2008 г., http://www.polemics.ru/articles/?articleID=12234&hideText=0&itemPage=1*

73. Техов Б.В., Центральный Кавказ вXVI_X вв.до н.э. М., 1977

74. Техов Б.В., (ред), Очерки истории Юго-Осетинской автономной области, Тб., 1985

75. Техов Б.В., К Этнической принадлежности создателей кобанской культуры Центрального Кавказа// От скифов до осетин: Материалы по осетиноведению, М., 1994

**76. Тишков В., Что есть „национальные меньшинства»? (Меняющийся мир и меняющиеся рамки конвенции) //Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N46, 2002**

77. Тишков В., Как обновить концепцию национальной политики? //Бюллетень Сети этнологического мониторинга и раннего предупреждения конфликтов, N48, 2003

**78. Ткавашвили М., Русско-осетинское противостояние в грузии в начале** XIX **века,** Некоторые вопросы истории осетин Шида картли, Тб., 2010

79. Топчишвили Р., Об осетинской мифологеме истории, Тб., 5005

80. Чибиров Л.А., (составитель) Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, «ИРЫСТОН» (г. Цхинвал), 1981

81. Чибиров Л.А., ред. Осетия и осетины, Владикавказ 1994

82. Чеславский О., Почему россияне не русские, а Киевская Русь, не Россия, 2015, http://fakeoff.org/history/pochemu-rossiyane-ne-russkie-a-kievskaya-rus-ne-rossiya

83. Чочиев А., Нарты-арии и арийская идеология, М., Акалис, 1996 г.

84. Чочиев А., Нарты-арии и арийская идеология, Кн. 2, М., Акалис, 2000

85. Шнилерман В.А., Войни Памяти, М., 2003

ნათია ჯალაბაძე

## ქართულ-ოსური ურთიერთობის თავისებურებანი ახალგორის რაიონში

### *I. ახალგორის რაიონი ქართულ-ოსური კონფლიქტის კონტექსტში*

მეცნიერებს შორის კავკასიის კონფლიქტებში ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორების როლისა და მნიშვნელობის საკითხი დღემდე კამათის ობიექტია; მათი ბუნება და ხასიათი საბოლოოდ ჯერაც არ არის გარკვეული. სპეციალისტების აზრით, საქართველოს კონფლიქტების შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი ეთნიკურმა სხვაობამ ითამაშა; ერთი შეხედვით, ქართულ-ოსური (ასევე, ქართულ-აფხაზური) კონფლიქტი ეთნოსთაშორისი დაპირისპირების აშკარა მაგალითია (მაცაბერიძე 2006:16); როგორც ვიცით, ეთნოკონფლიქტად მიჩნეულია კონფლიქტი სხვადასხვა ეთნიკური იდენტობის მქონე ადამიანთა ჯგუფებს შორის, სადაც დაპირისპირებული ჯგუფები იყოფიან ეთნიკური ნიშნის მიხედვით. მაგრამ რეალურად, ეს კონფლიქტები არ დაწყებულა ქართველებსა და ოს/აფხაზებს შორის ეთნიკური ნიშნით დაპირისპირების ფონზე. როგორც დღეს მიჩნეულია, საქართველოში ჩამოყალიბებული კონფლიქტები ეთნიკურობის პოლიტიზაციის ტიპური შედეგია, რაც წარმატებით იქნა გამოყენებული გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი დაძაბულობებისა და ეთნიკური უმცირესობების დეზორიენტაციის ვითარებაში (მაცაბერიძე 2006:19). დ. სმითის შეხედულებით, ის, რასაც ჩვეულებრივ ეთნიკურ კონფლიქტს უწოდებენ, საბოლოო ჯამში არის კონფლიქტი ძალაუფლებისა და ეკონომიკური რესურსების ხელში ჩასაგდებად (მათ შორის ბუნებრივი რესურსებისაც) და ატარებს ეთნიკურ ნიღაბს. შეიარაღებულ კონფლიქტში ეთნიკური განსხვავება გადამწყვეტი არაა, იგი უფრო მეტად პოლიტიკური ლიდერების მობილიზაციის ინსტრუმენტია (Smith 2004:12).

ქართულ-ოსურ კონფლიქტში ახალგორის რაიონი, შეიძლება ითქვას, სრულიად განსხვავებული ფენომენია. იგი არ ესადაგება ეთნოკონფლიქტის უნივერსალურად აღიარებულ კრიტერიუმებს და ქართულ-ოსური კონფლიქტის ერთ-ერთ ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს. რუსეთის საგარეო საქმეთა საბჭოს ექსპერტის, პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის საერთშორისო ურთიერთობის პრობლემათა განყოფილების ხელმძღვანელის ს.მარკედონოვის შეფასებით: *„საქართველოსთვის ახალგორის რაიონი არის დელიკატური დამარცხება, გამოხატული არა მარტო ამ ტერიტორიაზე კონტროლის დაკარგვით, არამედ საკუთარი მოქალაქეებისთვის აუცილებელი უსაფრთხოების დონის უზრუნველყოფის შეუძლებლობით. სამხრეთ ოსეთისთვის ახალგორი (ლენინგორი) არის საქართველოსთან დაპირისპირებაში მისი სამხედრო წარმატების, ხოლო რუსეთისათვის – მთელ სამხრეთ კავკასიაში მისი გამყარების მტკიცებულება”*(Markedonov 2010).

2010 წელს ოკუპირებულ ახალგორში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის – პატრუშევის ვიზიტზე გაზეთი რეზონანსი წერდა: *„პატრუშევის ჩამოსვლა აქ შემთხვევითი არ ყოფილა. ახალგორი ცხინვალისგან გამოყვეს და უკვე მთლიანად მოსკოვის ბიუჯეტს დაუქვემდებარეს. სამხრეთ ოსეთის მთელი ტერიტორია რუსეთს ამ ერთ ახალგორად ულირს და ამიტომაც ახალ-ახალი დაფინანსების გამოყოფას არ იშურებს.”*



მაშინვე გამოითქვა ვარაუდი, რომ ახალგორს კრემლი კიდევ 3-ჯერ გაუზრდიდა დაფინანსებას (ოთარაშვილი 2010).

კონფლიქტოლოგ გ.ხუციშვილის აზრით, *„ახალგორს რუსეთისთვის აქვს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა გამომდინარე იქიდან, რომ ის ძალიან ახლოა თბილისთან. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მოსკოვი საგანგებოდ ცალკე აფინანსებს და პირდაპირ, ცხინვალისგან გამოცალკევებით მოსკოვს უქვემდებარებს. არ გამიკვირდება თუ, რუსეთი იქ დამატებით სამხედრო ძალებსაც შეიყვანს”* (ოთარაშვილი 2010).

ახალგორელი დევნილების აზრით, ის, რაც ახალორში მოხდა სრულიად მოულოდნელი იყო მოსახლეობისთვის. ერთი ტყვია არ გავარდილა, ისე მოახდინეს რაიონის ოკუპაცია: *„ მე ვარ გაოცებული, რანაირად აღმოჩნდა ახალგორში ეს რუსობა და ოსობა. ხო ბოლო წუთამდე იქ ვიყავით?! ცხინვალში კი ხდებოდა, იყო დაძაბულობა, მაგრამ ჩვენთან?! ამ კონფლიქტისთვის ახალგორში არანაირი წინაპირობა არ არსებობდა! ”* (ფრეზეთი 2014)

ახალგორი, ცხინვალის რაიონთან შედარებით, ყოველთვის გამოირჩეოდა ქართულ–ოსური მოსახლეობის ინტეგრაციის მაღალი დონით; ეს კი გამოწვეული იყო ძირითადად იმით, რომ რაიონის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში რაოდენობრივი უპირატესობა ქართველებს ჰქონდათ და ოსური ეთნიკური ერთეულით რაიონის ინტენსიური დასახლება შედარებით მოგვიანებით მოხდა (იხ. მ. ბურდული თავი I). იმის გამო, რომ ქსნის ხეობის სოფლებში ოსური მოსახლეობა ქართულთან შედარებით ყოველთვის ცოტა იყო, ახალგორის რაიონში ქართული სკოლები ფუნქციონირებდა, რუსული და ოსური სკოლები კი თითო-თითო იყო, ისიც, რაიონულ ცენტრში. რაიონის მოსახლეობის დიდი უმეტესობა (მათ შორის ოსებიც) განათლებას ქართულად იღებდა და საუბრობდა ქართულად, საკომუნიკაციო ენა ქართული იყო. თუმცა, ეს არ გამორიცხავდა იმას, რომ ქართულ მოსახლეობასაც სცოდნოდა ოსური. ამავდროულად, ბევრი იყო შერეული ოჯახი, რაც, ბუნებრივია, დიდად უწყობდა ხელს ინტეგრაციას. ოსურ ოჯახებშიც კი ქართულად საუბრობდნენ; უფრო მეტიც, ზვიად გამსახურდიას დროს აქედან ჩრდილოეთ ოსეთში საცხოვრებლად წასულ ოსურ ოჯახებში, არც თუ იშვიათად, სასაუბრო ენა ქართული იყო.

ეთნიკური იდენტობის გამო დაპირისპირება რაიონში არასდროს ყოფილა. ომი ახალგორელი ოსების უმრავლესობისთვისაც ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც იქ მცხოვრები ქართველებისთვის. ომის შემდგომ ახალგორის რაიონის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, როგორც ქართველმა, ისე ოსმა, ხეობა დატოვა. როგორც დევნილები აღნიშნავენ, ისე არ მომხდარა, რომ *„თუ ქართველი იყავი, გამოხვიდოდი და თუ ოსი, დარჩებოდი”*. აქ ადგილი არ ჰქონია, ცხინვალის მსგავსად, წინასწარი შერჩევით ომამდე ოსი იდენტობის ქალებისა და ბავშვების ქალაქიდან გაყვანას[4]. ადგილზე დარჩნენ როგორც ოსები, ისე ქართველები. ანუ ორივე მხარე, ახალგორში დარჩენილი და დევნილი კონტინგენტი, ეთნიკურად შერეული მოსახლეობით არის წარმოდგენილი.

რაიონიდან გამოსვლა, ფატობრივად, სპონტანურად მოხდა; ამის ძირითად

4 2008 წლის აგვიტოს ომის დაწყებამდე ცხინვალიდან მასიურად გაიყვანეს ქალები და ბავშვები ავტობუსებით, ვითომდა მათი დასასვენების საბაბით.

მიზეზად რესპონდენტები შიშის ფაქტორს ასახელებენ. მთხრობელთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ისინი აიძულეს, რეგიონი დაეტოვებინათ და ამას დღეს ძალიან ნანობენ:

*„ომი რო დაიწყო, იმიტო წამოვედით, რო შეგვეშინდა, ყოველდღე ამოდიოდა ტანკები, სამხედროები და გვეშინოდა. იქ დარჩენა ბარემ გვერჩივნა, ეხლა რო ვუკვირდები, მაგრამ ჩვენ რა ვიცოდით, მერე რა იქნებოდა."*

*„ჩვენ იმიტომ გამოვედით, რო შიში გვქონდა, არავის კი არ გამოვუყრივართ იქიდან. შეგვეშინდა – რა იქნებოდა, და თანაც ბავშვები გვყავდა. ოსები ბევრი იყო, შერეული ოჯახები – ისინიც გამოვიდნენ."* (წეროვანი 2013)

ახალგორის რაიონში ადგილზე ქართული მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილი დარჩა, ძირითადად ასაკოვანი ხალხი. გამოსული კონტინგენტი, რომელთაც დევნილის სტატუსი მიენიჭათ, სახელმწიფოს მიერ კომპაქტურად იქნა შესახლებული შიდა ქართლში სპეციალურად მათთვის აშენებულ კოტეჯებში – წეროვანში, წილკანში და ფრეზეთში. მცირე ნაწილი კი ქართლის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ინდივიდუალურად სახლობს (მაგ. თბილისში, საგურამოში, კასპში, რუსთავში და სხვ.). ახალგორის დიდმა ნაწილმა 2008 წლის ბოლოს დატოვა რაიონი, როდესაც კოტეჯებისა და კომპენსაციების გაცემა დაიწყო. გაზეთ „რეზონანსის" ინფორმაციით:

*„მიუხედავად იმისა, რომ ახალგორის რაიონზე ქართული სახელმწიფო იურისდიქცია ვეღარ ვრცელდება, აქ მოსახლეობის 80% ქართველია. დე ფაქტო ხელისუფლებამ თავიდანვე მოუწოდა ახალგორელებს, დარჩენილიყვნენ და მშვიდობიანად ეცხოვრათ (გამონაკლისს წარმოადგენდნენ ის პირები, რომლებსაც 90-იანი წლების ეთნოკონფლიქტისას გარკვეული „წვლილი" გაიღეს, ასევე ის პირებიც, რომლებიც ძალოვან სტრუქტურებში მუშაობენ). მიუხედავად ამისა, ახალგორელების უმეტესობამ საკუთარ სახლ-კარს დევნილობაში ცხოვრება წეროვანში, წილკანსა თუ ფრეზეთში არჩია. ასეთები დროდადრო, თვეში ერთხელ, ან უფრო იშვიათად ჩამოაკითხავენ ხოლმე მშობლიურ სახლს."*(ოთარაშვილი 2014)

ახალგორის დევნილებთან დაკავშირებით ცხინვალის ხელისუფლებას საკუთარი პოზიცია აქვს. როგორც დე ფაქტო ოსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ბ.ჩოჩიევმა განაცხადა: *„ლენინგორის რაიონის ქართული ოკუპაციისგან განთავისუფლების მერე ქართულმა მთავრობამ „ლენინგორის დევნილებთან" დაკავშირებით ფაქტობრივად ხელოვნურად შექმნა სიტუაცია. რაიონის ბევრი მცხოვრები, წინაგარის ზონის სოფლების გამოკლებით, საქართველოს მთავრობის ანკესზე წამოეგო და საქართველოში დევნილებად გაფორმდა. პოლიტიკური მიზნებისთვის რამოდენიმე ადგილას მათთვის დასავლეთის ფულით გაშენდა ე.წ. დევნილთა დასახლებები 5000-ზე მეტი კოტეჯით. აქ ჩამოდიან უცხოური დელეგაციები, რომლებიც აქტიურად შეჰყავთ შეცდომაში და არწმუნებენ, თითქოს მშვიდობიანი ქართული მოსახლეობა რაიონიდან გამოყრილია."* (http://cominf.org/node/1166503084)

ოკუპაციის შემდეგ ახალგორი და ქსნის ხეობის სოფლები რეალურად დე ფაქტო ოსეთის რესპუბლიკის დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ და აქ ოსების/რუსების მიერ დანიშნულმა ადმინისტრაციამ დაიწყო მოქმედება. ახალგორის ადმინისტრაციის ფორმირებას თავად კოკოითი ხელმძღვანელობდა. ადმინისტრაციაში თავდაპირველად



ახალგორელი ოსები მიიწვიეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ისინი უკეთ იცნობდნენ რაიონის სპეციფიკას და ადგილობრივი ქართველებისთვისაც უფრო მისაღები იქნებოდნენ. თუმცა, მოგვიანებით მათი ნაწილი ცხინვალელი და ჯაველი ოსებით ჩაანაცვლეს. ჩვენი რესპონდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ახალგორში ქართველები მხოლოდ მეორეხარისხოვან სამუშაოს ასრულებენ და თანამდებობაზე მათ არავინ არ ნიშნავს.

*„თანამდებობაზე ძირითადად ჩამოსული ხალხია, ქართველს არ ენდობიან, არც ადგილობრივ ოსებს. მანამდე, 2008 წლამდე, სხვა მხრის ოსები ერთეულები თუ მუშაობდნენ ახალგორში. იყო აქა-იქ თითო-ოროლა, ჩათესილები ჰყავდათ, აღმასკომში ერთი ვიღაცა, განათლების განყოფილებაში ერთი ვიღაცა, მაგრამ ზოგადად, სულ ადგილობრივი კადრები მუშაობდნენ ადმინისტრაციაში. ოღონდაც, თუ რაიკომის მდივანი ქართველი იყო, აღმასკომის თავმჯდომარე აუცილებლად ოსი იყო, ან პირიქით"* (წეროვანი 2015).

*„ახალგორში მუშაობენ ქართველები, ოღონდ ძალიან დაბალ თანამდებობაზე. ხელმძღვანელზე არა, და მაღალზე არა. თვითონ კადრიც არ არი. დიდ თანამდებობაზე უფრო ჩამოსული ოსები არიან. ადგილობრივ ოსებსაც აქვთ, აქეთ-იქით პატარა რაღაცეები, ბუღალტრებად არიან, ისე ძველი ურთიერთობები მაინც ჭრის, ოღონდ პატარა სამსახურებზე, დიდ თანამდებობას არავინ არ მოგცემს! ახლა, თუ ქუჩა დაგაგვეინეს, დიდ რამეს არა ნიშნავს ეგა"* (წეროვანი 2014).

კოკოითის მთავრობამ იმთავითვე დაიწყო მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, რომ ახალგორის რაიონი რეალურად მოექცია თავისი მმართველობის ქვეშ. პირველი, რაც მან მაშინათვე მოიმოქმედა, რაიონისთვის ძველი, კომუნისტებისდროინდელი სახელწოდების აღდგენა იყო. ახალგორს ლენინგორი გადაარქვეს და მისი ახალგორად მოხსენების შემთხვევაში საყვედურს გამოთქვამენ. მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის კურტ ვოლებეკისადმი მიწერილ ღია წერილში კოკოითის რწმუნებული პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ბ. ჩოჩიევი მას „მატყუარობში"ადანაშულებს, ტერმინებს უსწორებს და აუწყებს, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველო არაა, ხოლო ახალგორის რაიონს ლენინგორის რაიონი ჰქვია. (http://www.ghn.ge/com/news/view/28621)

დე ფაქტო ხელისუფლების მიერ 2013 წლის ზაფხულში ახალგორის მიმართულებით ტრანსპორტისა და ტვირთების გადაადგილების აკრძალვის თაობაზე ახალი რეგულაციების გამო ერგნეთში შედგა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელიც 6 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ქართული დელეგაციის წარმომადგენლების განცხადებით, ეს შეხვედრა „ყველაზე ხანგრძლივი და დაძაბული აღმოჩნდა, რადგან ოსურმა მხარემ ტერმინებისა და გეოგრაფიული სახელების შესახებ კამათი გამართა. მაშინ, როდესაც ქართული მხარე ახალგორთან ეგრეთ წოდებულ სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე დაგეგმილი რეგულაციების შესახებ განმარტებებს ითხოვდა, ოსური მხარე აცხადებდა, რომ საკითხს ვერ განიხილავდა, რადგან ასეთი დასახელების ტერიტორიას არ ცნობდა და მოითხოვდა, რომ ახალგორი ქართველებსაც ლენინგორად მოეხსენიებინათ"(აფციაური 2013).

თავდაპირველად ახალგორის რაიონში მოსახლეობის შედინება და გამოდინება ე.წ. საზღვართან არსებულ ქართულ, ოსურ და რუსულ საკონტროლო გამშვებ

პუნქტებში კონტროლდებოდა (2015 წლიდან დე ფაქტო ოსეთის პრეზიდენტმა ოსური საკონტროლო პუნქტი გააუქმა). ოკუპაციის შემდგომ პერიოდში,ვიდრე 2011 წლის ნოემბრამდე ახალგორიდან დევნილ მოსახლეობას და მათაც, ვისაც კავშირი ჰქონდა რაიონთან (არ იყო ჩაწერილი, მაგრამ იქ მუშაობდა ან იქ იყო დაბადებული, ჰქონდა მამა-პაპისეული სახლი და მიწა) შეეძლო რეგიონში შესვლა; საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლით ატარებდნენ. შემდეგ რეჟიმი გაამკაცრეს და 2011 წლის შემოდგომიდან ძალაში შევიდა ე.წ. ფორმა №9,რომელიც ეძლეოდა მხოლოდ ახალგორის რაიონში ჩაწერის მქონე პირებს და მას ოსური მილიცია გასცემდა. ახალგორელების დიდი ნაწილი რაიონში ჩაწერილი არ არის, ამიტომ მათ ადმინისტრაციული საზღვრის გადალახვის და საკუთარ სახლებში შესვლის პრობლემა შეექმნათ. რაიონში ჩაწერის მოსაპოვებლად რამოდენიმე უწყების ნებართვა იყო საჭირო, ეს კი მთელ რიგ წინააღმდეგობებს უკავშირდებოდა. როგორც ჩვენი ახალგორელი რესპონდენტები 2013 წლის მიწურულისთვის ამ პრობლემასთად დაკავშირებულ ვითარებაზე გვეუბნებოდნენ:

*„ვისაც იქაური ჩაწერა არ აქვს, ფორმა 9-ს არ მისცემენ, წინათ თარგმანითაც შევდიოდით, ახლა აღარ იძლევიან, სხვა პრობლემები გაუჩნდათ. ამბობენ, იმ პირებს, ვინც იქ 2-3 თვე არ გამოცხადდება, იმათ ჩამოერთმევათ იქ შესვლის უფლებაო. ეხლა ასეთი ლაპარაკი მიდის, რო ვისაც ფორმა 9 აქვს, თვეში ერთხელ მაინც უნდა დაფიქსირდეს ტეკზე. მე ეხლა პრობლემა არა მაქვს, თვეში ერთხელ აუცილებლივ შევდივარ ხოლმე და გამოვდივარ. ეგრე იქნებაო, ამბობენ, ტეკზეც და იქაც ლაპარაკი ეგრეა; ეხლა მიდის აღწერები ახალგორში; იძახიან რო ვინც არ შედის, იმას დადის და ამოწმებს უშიშროებაო. ამოწმებენ – შენ ნამდვილად ცხოვრობ თუ არა იქა. ანუ, უარესობისკენ წავიდა ყველაფერი. ეხლა ვისაც ფორმა 9 აქვს, იმან იმისი ასლი უნდა მიიტანოს საბჭოში, რო აღრიცხვაზე აიყვანონ, რო ჩაწერილი ჰყავს ამდენი ხალხი ამ ბინაში და ცხოვრობს. ამ დროს გამოწმებენ კიდევაც, ნამდვილად ცხოვრობ თუ არა. მეც კი შემეკითხეს, შენ აქ ცხოვრობო? მე ვუთხარი, შეშა არა მაქ, ვერ ვიქნები ამ ზამთარ-მეთქი; ზაფხულში კი ვარ-მეთქი. ზამთარში პრობლემა ეგ არი, რო საწვავი არ არი, ვერ გავთბები”* (წეროვანი 2013).

2014 წლის 1 მაისიდან ფორმა 9 გაუქმდა და მის ნაცვლად ძალაში შევიდა ახალი საბუთი – საშვი, ე.წ. „პროპუსკი”. სავარაუდოდ, საშვი იმ ხალხის ნახევარმაც კი ვერ აიღო, ვისაც ფორმა 9 აქვს, იმის გამო, რომ რაიონის ტერიტორიაზე მუდმივად არ ცხოვრობს. მათ რიცხვში, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებიც მოხვდნენ. დე ფაქტო სასაზღვრო სამსახურის უფროსის განცხადებით, ლენინგორში, სადაც მუდმივად ცხოვრობს 4000-მდე ადამიანი, ახალ რეგულაციებამდე გაცემულ იქნა 6 500 საშვი. (http://cominf.org/node/1166503084)

აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორიდან ცხინვალში მიმოსვლა გორის მიმართულებით ხდებოდა; რაიონი ყოველთვის თბილისიდან მარაგდებოდა, ყველანაირი პროდუქცია ახალგორში შედიოდა ქართული ბაზრიდან და იქედანაც ქართულ ბაზარზე შემოდიოდა. ამდენად, ახალგორის ეკონომიკური ვექტორი თბილისი-გორზე გადიოდა და რაიონი, ფაქტობრივად, იზოლირებული იყო ცხინვალისაგან. გარდა იმისა, რომ, ზოგადად, ორიენტაცია იყო ქართული და თბილისისაკენ, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ცხინვალზე პირდაპირი გზა არ არსებობდა. კოკოითის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო თანდათანობით მოეხერხებინა, რომ ახალგორი თბილისზე



ეკონომიკურად დამოკიდებული აღარ ყოფილიყო და ეს ეკონომიკური კავშირები ოსურ-რუსულით ჩაენაცვლებინა (რაიონში მიეწოდებინათ – ე.წ. სამხრეთ ოსური ან რუსული პროდუქცია). ბუნებრივია, ახალგორის ეკონომიკური დამოკიდებულება ცხინვალზე პირველ რიგში მასთან პირდაპირი დამაკავშირებელი გზის არსებობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომ, ამ კავშირის უზრუნველსაყოფად ცხინვალის გზის მშენებლობა დაიწყო. კოკოითის მთავრობა, რუსი სამხედრო მშენებლების მეშვეობით, დაჩქარებული ტემპებით შეუდგა ცხინვალი-ახალგორის მაგისტრალის შენებას, რომელიც სოფ. ყანჩავეთის გავლით მიდის. უმაღლესი სტანდარტების დაცვით მიმდინარე მშენებლობას რუსული „სპეცსტროი” ასრულებდა. რუსეთიდან მობილიზებული იყო 200 ერთეულზე მეტი სპეცტექნიკა. გეგმით გათვალისწინებული 4-5 მეტრის სიგანის მაგისტრალი სამხედრო მშენებლებმა კიდევ ერთი მეტრით გაზარდეს და მეტი სიმტკიცისათვის საგანგებო სამუშაოები ჩაატარეს. ადგილობრივთა ვარაუდით, დე ფაქტო ხელისუფლება ამას სამხედრო ტექნიკის გადასაადგილებლად ამზადებდა. გზის მშენებლობას შეეწირა ზოგიერთი ადგილობრივი მოსახლის ნაკვეთები და ბაღ-ვენახები (15 მოსახლეს ჩამოართვეს საკარმიდამო ნაკვეთი), რის სანაცვლოდაც მათ ფულადი კომპენსაცია მიიღეს. 78 კილომეტიანი მაგისტრალის მშენებლობა 2012 წლის ბოლოსთვის დასრულდა. (ოთარაშვილი 2012). წეროვანელი დევნილი ქალბატონის თქმით:

*„გზა კი გააკეთეს, ყანჩევეთზე გააკეთეს. ახლა, მე იქ არა ვყოფილვარ! ამბობენ იმისთანა გზა გაკეთდაო! ექთანი ქალია, ქართველი და იქ ექთნად მუშაობს, იმანა თქვა, ჩვენ მთავარ ექიმს დედა მოუკვდაო, თუ მამაო, და გასვენებაში ვიყავითო. ვაიმეო, რა გზა გაუკეთებიათ, პირი ღია დამრჩაო!... ცხინვალში გზა კი გაიყვანეს, მაგრამ იქ უფრო თანამდებობის პირები და ვაჭრები დადიან ცხინვალიდან. ქართველები უფრო თბილისში ჩამოდიან სავაჭროდ”*(წეროვანი 2013).

გზის გაყვანამდე და განსაკუთრებით ახალგორის ოკუპაციის პირველ წლებში რაიონი ეკონომიკურად დიდწილად კვლავ თბილისზე იყო დამოკიდებული. ამას ხელს უწყობდა ახალგორელთა შეუფერხებელი მიმოსვლა,რაც 2010 წელს შეიზღუდა ფორმა №9-ის შემოღებით. ჯერ კიდევ 2009 წელს ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლება იუწყებოდა,რომ სამხრეთ ოსეთის ლენინგორის რაიონი საქართველოზე ეკონომიკური დამოკიდებულებისგან ეტაპობრივად გამოდიოდა და ამისთვის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დიდ ძალისხმევას იჩენდა. ხოლო სამხრეთ ოსური პროდუქციის ლენინგორის რაიონისთვის მიწოდება უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკური ნაბიჯად მიაჩნდა. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის თ. ჩოჩიევის განცხადებით:

*„ჩვენ უნდა განვვითარდეთ, საკუთარი პროდუქციის რეალიზება განვახორციელოთ და უნდა გავაძევოთ ის პირველადი მოხმარების პროდუქტები,რომლებიც საქართველოდან შემოაქვთ. უნდა ვაჩვენოთ მსოფლიოს,რომ ჩვენ შეგვიძლია წარმოება და ამ პროდუქტის ხარისხი მაღალი და მოთხოვნადია. ჩვენ ჩვენი გავლენის ზონის გაფართოებას ვიწყებთ”.* მისივე თქმით, ახალგორში გახსნილ პირველ სახელმწიფო სასურსათო მაღაზიაში წარმოდგენილი იყო ცხინვალის ბეწვეულის ქარხნის, ლუდის ქარხნისა და სასმელი ქარხნის „ბაგიათის” პროდუქცია, ასევე, ცხინვალის პურის საცხობის 11 დასახელების პურ-ფუნთუშეული (http://www.internet.ge ).

თუმცა გზის გაყვანამ შესაძლებელი გახადა ახალგორის პირდაპირი მომარაგება ცხინვალიდან და შედარებით ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობის დამყარება, საგრძნობლად გაიზარდა ცხინვალის/რუსეთის ეკონომიკური წილი (მაღაზიებში იმატა რუსული წარმოების პროდუქციამ),ახალგორის რაიონი დღემდე ინარჩუნებს კავშირებს თბილისის ბაზართან. ახალგორში მცხოვრებ ქართველებს თბილისიდან პროდუქცია ოკუპირებულ დაბაში ძველებურად შეჰქონდათ და საკუთარი სახლების ეზოებში ყიდდნენ, მათთგან საქონლის შესაძენად ცხინვალელი მოვაჭრეებიც ჩადიოდნენ, და შემდეგ იგივე პროდუქცია სარეალიზაციოდ ცხინვალში გადაჰქონდათ. 2013 წლის ივლისის დასაწყისისთვის ახალგორელი მოვაჭრეები დათანხმდნენ საოკუპაციო რეჟიმის გამგებლის წინადადებას ვაჭრობა მხოლოდ მის მიერ გახსნილ ბაზარში ეწარმოებინათ და მანქანით ბაზარში შესვლისთვის დღეში 100 ლარს იხდიდნენ. თითქმის ყველა ახალგორელი პროდუქტებს, ტანსაცმელს და წამლებს თბილისში ყიდულობდა, სადაც ფასები მნიშვნლოვნად დაბალია და მგზავრობაც უფრო მოსახერხებელი (http://pirveliradio.ge).

დასახული ამოცანის – „საქართველოდან შეტანილი პროდუქტის გაძევების" მიზნით ცხინვალის მთავრობამ 2013 წლის გაზაფხულზე დააანონსა გადაწყვეტილება თბილისიდან ახალგორში პროდუქტის შეტანის შეზღუდვის თაობაზე. ახალგორის მიმართულებით ტრანსპორტისა და ტვირთების გადაადგილება იკრძალებოდა და ადგილობრივი მოსახლეობა ფეხით უნდა გადასულიყო სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე. ეს გადაწყვეტილება „რუს მესაზღვრეებს" 18 სექტემბრიდან უნდა აემოქმედებინათ; ამის შესახებ მათ ადგილობრივებიც გააფრთხილეს. მაგრამ, ოსურმა ომონმა 20 ივლისს პროდუქტით დატვირთული მიკორავოტბუსები ახალგორისკენ არ გაატარა და უკან გააბრუნა. გადმოცემით, იმ პერიოდისათვის მაღაზიებში მხოლოდ სამი-ოთხი დღის მარაგი იყო დარჩენილი. დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებას, როგორც დაბის მოსახლეობის, ასევე საქართველოს ხელისუფლების პროტესტი მოჰყვა. დაბის მოსახლეობაში 18 სექტემბრის მოახლოებასთან ერთად პანიკა ატყდა და იქ მცხოვრებთა ნაწილმა რაიონიდან გამოსვლა არჩია, მათ ახალგორიდან თან გაჰქონდათ ავეჯი, საოჯახო ნივთები და მანქანები. სექტემბრის დასაწყისში ახალგორელებმა ხელმოწერები შეაგროვეს – დაახლოებით 1000 ხელმოწერა შეგროვდა. ოსები და ქართველები დე ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლებას ამ რეგულაციების გაუქმებას სთხოვდნენ, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ საკითხის შესახებ ჟენევის დისკუსიის თანათავმჯდომარეებიც ესაუბრნენ.

ვინაიდან იმ პერიოდისათვის ახალგორი და,იქედან კი, ცხინვალიც პროდუქტებით ძირითადად თბილისიდან მარაგდებოდა (პროდუქცია დაბაში თბილისიდან ქართველების გარდა, ოსებსაც ჩაჰქონდათ) ეს შეზღუდვა ეთნიკურად ოსურ მოსახლეობასაც აზარალებდა და ცხინვალზედაც უარყოფითად იმოქმედებდა. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ეს აკრძალვა,პირველ რიგში,ფასების ზრდას გამოიწვევდა და ოსურ მოსახლეობას დაარტყამდა. გარდა ამისა, ეს იმ ოსი ჩინოვნიკების ჯიბეზეც აისახებოდა, ვინც, გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ, ქართულ ხილ-ბოსტნეულით დატვირთულ მანქანებს ეგრეთ წოდებულ საზღვარზე ატარებდა (http://pirveliradio.ge) .

თიბილოვის მთავრობამ 2013 წლის სექტემბერში,სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე ავტოტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვის გადადების გადაწყვეტილება მიიღო.



სპეციალურ სამუშაო ჯგუფს კი 1 დეკემბრამდე ახალგორის პროდუქტებით მომარაგების საკითხების მოგვარება დაევალა. დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტმა მხოლოდ ის გადაწყვიტა, რომ სატვირთო მანქანების გადაადგილებაზე კონტროლი უნდა გამკაცრებულიყო.

კიდევ ერთი მტკივნეული პრობლემა, რომლის წინაშეც ოკუპირებული ახალგორის რაიონის ქართველი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აღმოჩნდა, საბინაო საკითხია, რომელიც კოკოითის პრეზიდენტობის პერიოდში წამოიჭრა. კოკოითის მთავრობამ მიზნად ახალგორის რაიონში „ქართული ოკუპაციის"დროს დევნილი ოსი მოსახლეობის დაბრუნება და საცხოვრებელი დავების გადაჭრა დაისახა. გამსახურდიას დროს ჩრდილოეთ ოსეთში საცხოვრებლად გადასულმა ახალგორელმა ოსებმა ბინები გაყიდეს და ისინი ქართველებმა შეიძინეს. უმრავლესობას ნასყიდობის სბუთი ნოტარიალურად გაფორმებული არ ჰქონდა, ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვიერ შეთანხმებას ჰქონდა ადგილი. ამიტომ ბინის ქართველი მეპატრონეების გარკვეულ ნაწილს იურიდიული სბუთის არქონის გამო პრობლემები შეექმნა. საცხოვრებელი ფართის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით,ახალგორის რაიონში ის 90 ოსური დევნილი ოჯახი დაბრუნდება,რომლებიც 1990-იან წლებში საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი სახლებიდან გამოყარა და ახალგორის რაიონიდან გააძევა, შემდეგ კი მათი სახლები ქართველებმა უკანონოდ გადაიფორმეს:

*„მას შემდეგ, რაც ლენინგორის რაიონს ისევ სამხრეთ ოსეთი აკონტროლებს, გაძევებული ხალხი ელოდება იმ დღეს, როცა რესპუბლიკა სახლების დაბრუნების საშუალებას მისცემს. ახლო მომავალში ოს დევნილებს შევხვდებით და მათი დაბრუნების საკითხებს გადავწყვეტთ. ჯანსაღი ძალის, ოსური ინტელიგენციის დაბრუნება რაიონის და მთლიანად ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცხოვრებაზე დადებითად აისახება. აქ საჭიროა ოსური და რუსული ენების მცოდნე ხალხი. მასწავლებლებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა – 90-იან წლებში ეს რაიონი ყველამ დატოვა. ისინი მზად არიან, დაბრუნდნენ და სოფლის მეურნეობა, კულტურის სფერო და განათლება ააღორძინონ"* (http://cominf.org/node/1166503084).

კოკოითის ბრძანებით, ახალგორის რაიონის დე-ფაქტო ადმინისტრაციას საცხოვრებელი ფონდის, საცხოვრებელი შენობების და სათავსოების, ასევე მიწის ნაკვეთების ინვენტარიზაცია დაევალა. მას ასევე დაევალა იმ მოქალაქეების აღწერა, რომლებიც ცხინვალის რეჟიმის მტკიცებით,რაიონიდან საქართველოს ხელისუფლებამ განდევნა; „განდევნილი" ოსებისთვის კი ე.წ. სამხრეთ ოსეთის სასამართლოებში განცხადებების შესატანად პირობების შექმნა, მათი საცხოვრებელი ფართებიდან „უკანონოდ" შესახლებული მოქალაქეების გამოსასახლებლად. დე ფაქტო პრეზიდენტის ბრძანებით,ბათილად გამოცხადდა 1991 წლიდან 2008 წლამდე ქართული ადმინისტრაციის მიერ გაცემული ყველა დოკუმენტი საცხოვრებელი ფართისა და მიწის ნაკვეთის ფლობის შესახებ. საცხოვრებელი ფართები სახელმწიფო ქონებად გამოაცხადეს,ამის შემდეგ დაიწყო ბინების უკან დაბრუნების პროცესიც. მათი არგუმენტი ისიც იყო, რომ წეროვანში ვისაც ჰქონდა კოტეჯი, იმათი ბინა ახალგორში უკვე ყოფილი ოსი მეპატრონისა გახდებოდა. ქართველებს ბინების დასაცლელად ვადა დაუთქვეს, ვინც სახლში არ იყო, ზოგს კარი შეუმტვრიეს და საკეტი შეუცვალეს. კოკოითის მთავრობამ ახალგორის რაიონის მოსახლეობას საცხოვრებელი ფართი და მიწის ნაკვეთები ჩამოართვა. ასეთად დაახლოებით 32 ოჯახი სახელდება.

საპირპირო ინფორმაციაა დაბეჭდილი დე ფაქტო რესპუბლიკის პრესაში. საბინაო საკითხთან დაკავშირებით ბ. ჩოჩიევი აცხადებს:

*„რანაირი არჩევანიც არ უნდა გააკეთოს ამ ხალხმა, მათ სახლებზე პრეტენზიას არავინ არ აცხადებს. განვლილი 6 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა ლენინგორის რაიონში უზრუნველყვეს ყოველმხრივი კანონიერება და წესრიგი, რამაც ხელუხლებლად შეინარჩუნა მათი სამოსახლო და თუ ვიღაცამ საცხოვრებლად წეროვანი აირჩია, მას უნდა მივცეთ უფლება, საგულდაგულოდ დაშალოს თავისი სახლი ლენინგორის რაიონში და დადგას ის წეროვანში თავიანთი სახლის გვერდით”*(http://cominf.org/node/1166503084).

წეროვანელი დევნილების ინფორმაციით:

*„კერძო ბინებში არ შევიდნენ, ვისაც ჰქონდა კერძო ბინები. აი, ჩემ ბინაში რომ შევიდნენ, მე მქონდა კორპუსის ბინა. შევიდნენ კომუნალურ ბინებში, ვისაც სახელმწიფოსგან ჰქონდა, კერძო სახლებში არ შესულან. რას ამბობენ ისენი კიდევ, იცით? თუ თქვენ მოხვალთ, ჩვენ დაგითმობთო; ესენი არიან ჩამოსული ოსები. აქედან წასულები ზოგი, ზოგი იქედან ჩამოსულები, მგრამ ძირითადად ახალგორთან ასოცირდებიან. ამიტომ, იმათი მხრიდან არგუმენტი ის არის, რომ ეს ბინა არის მთავრობის და ამიტომ, შევიდნენ. ეს ბინები რა თქმა უნდა პრივატიზებული იყო, ყველაფერი დაკანონებული, კანონიერად, და არავითარი უფლება იმათ არა აქვთ, მაგრამ, მაინც ეს არსებობს. კერძო ბინებში არ შევიდნენ.*

*ჩამოდიან ხოლმე გაეროს წარმომადგენლები, აქაც მოდიან ხოლმე ხშირად, ხან გამგეობაში, ხან მოსახლეობაში. მეკითხებიან, აიო, შევიდნენო ქართველების სახლებშიო? მე ვეუბნები კი, მეთქი, აი, ჩემ სახლში ცხოვრობს-მეთქი ოსი. აი, თქვენ რამე შეგიძლიათ მეთქი? არაო, ჩვენ შეგვიძლიაო ანგარიშში ავსახოთ ესაო, და მერე გავგზავნოთო. არაფერი, არაფერი! სასამართლოზე ზემოქმედებას ვერ მოახდენენ, იქ ვერ შედიან და ვერაფერი. აი, მე თქვენ ეხლა გეტყვით ფაქტებს, ქართველებმა, რომელმაც დაკარგეს ბინები, შეიტანეს სასამართლოში სარჩელი. ეს გრძელდება ზოგისა ერთი წელი, ორი წელი, ხან ცხინვალში, ხან ახალგორში. მაგრამ, იქ ხო სამართლიანობა და კანონი არა კანონობს არა?! იქ მაინც ქართველებს არ ამართლებენ, არც გაამართლებენ. ახალგორში ახლა მოსამართლე დაინიშნა, ვითომ სასამართლოც არი ახალგორში, მაგრამ ვერც ერთმა ქართველმა ვერ მიაღწია სამართალს”* (წეროვანი 2013).

რეალურად კი ეს საკითხი, რომელიც ქართველთა სახლებში 90-იანი წლების კონფლიქტის შედეგად ჩრდილოეთ ოსეთში წასული ოსების შესახლებას ითვალისწინებს, ერთგვარად რევანშისტულ აქტს ჰგავს და ქართველების ოსებით ჩანაცვლებას მოიაზრებს.

რაიონის ოკუპაციის პირველ პერიოდში სოციალური პირობები განსაკუთრებით რთული იყო – ძალზე შეზღუდული იყო ელექტროენერგიის მიწოდება, არ იყო გაზი. დენი რაიონს თავიდანვე ქართული მხრიდან მიეწოდებოდა და ისიც შეფერხებებით. გაზეთ „რეზონანსის” ცნობით:

*„ოკუპაციის დღიდან ახალგორისთვის ელექტროენერგიის მომარაგება პრობლემატური გახდა. ადგილობრივები, როგორც თავად აცხადებდნენ, შუქის გრაფიკის არარსებობით გაწამებულები იყვნენ. გასაკუთრებით უშუქობა კი მაშინ აწუხებდათ, როცა ცხინვალიდან ან მოსკოვიდან ახალგორს ვინმე ჩინოსანი სტუმრობდა. უფრო მეტიც, ახალგორელები ამბობენ, რომ რაიონში უცხო სტუმრის ჩამოსვლას სინათლის გათიშვით ხვდებოდნენ ”*(ოთარაშვილი 2009).

ცხინვალის მთავრობამ 2009 წლის ნოემბრის დასასრულიდან საკუთარი ელექტროენერგია მიაწოდა რაიონს. მათი დანაპირებით, ცხინვალური შუქი ერთი წლის მანძილზე უფასო იქნებოდა, შემდეგ კი 1 კვტ. 4 თეთრი ეღირებოდა. ცხინვალი ახალგორს უახლეს დროში გაზმომარაგებასაც შეჰპირდა. თავიდან დენი უწყვეტად იყო, შემდეგ კი კვლავ დაიწყო შეფერხებები. ადგილობრივი მთავრობა ამას ქართულ მხარეს მიაწერდა. ამიტომ მოსახლეობა ითხოვდა, რომ ახალგორის რაიონს დენის ალტერნატიული წყარო ჰქონოდა „ქართული დენის“ სახით.

ადგილობრივების თქმით, ცხინვალის დენის ჩართვის დღიდან საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ ახალგორს დენის გადამცემები ჩაუჭრა. ქართული მხარე ამას კატეგორიულად უარყოფდა და დენის არმიწოდების მიზეზად ასახელებდა იმას, რომ ოსურმა მხარემ თავად ჩაჭრა მოწინააღმდეგე მხარის ელექტროგადამცემი ხაზები და ახალგორისთვის თბილისიდან დენის მიწოდების არანაირი საშუალება უკვე აღარ იყო. ისეთი მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო პირობებით მანიპულირება, როგორიცაა დენი, წყალი და გაზი, თითქოსდა წესად იქცა ორივე მხარისთვის. მაგალითად უშუქობის გამო, ახალგორის ოსურმა ადმინისტრაციამ პირობითი საზღვრის მეორე მხარეზე არსებულ ქართულ სოფლებს, რომლებიც წყლით ახალგორიდან მარაგდებიან, წყალი დაუბლოკა. ამავე მიზეზით ახალგორის ოსურმა გამგებლობამ ქართული მხარის ჯიბრზე თბილისში ღონისძიებაზე მომავალ ახალგორელ ბავშვებს რუსულ ბლოკ-საგუშაგოსთან გზის გარძელების საშუალება არ მისცა და ა. შ.

მიუხედავად ცხინვალის მთავრობის მცდელობისა, ახალგორში ინფრასტრუქტურული საკითხები დღეს კვლავ მოუგვარებელია, ჯერ კიდევ არ არის გაზი, უშუქობის და წყლის პრობლემა კვლავ მოუწესრიგებელია უგაზობის გამო ზამთარში შეშით თბებიან და გათბობის უზრუნველყოფა რაიონში მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ახალგორში ადგილზე დარჩენილი ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი ზამთრის პერიოდში რაიონდან გამოდის. რესპონდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ რაიონში თითქმის არაფერი არ კეთდებოდა და თანხები ძირითადად სამხედრო დანიშნულების შენობა-ნაგებობებს ხმარდებოდა. რუსეთის სამხედრო ქალაქის მშენებლობა მართლაც მიმდინარეობს რაიონის ცენტრში. შენდება საცხოვრებელი კორპუსები რუსი სამხედროებისა და მათი ოჯახებისთვის.

2014 წლის იანვარში ახალგორის ბავშვთა კულტურის სახლის დირექტორი ოს კორეპონდენტთან ინტერვიუში ამბობდა:

*„მასწავლებლები კი გვყავს, მაგრამ ყველა საგნისა არა. . .გვაქვს კულტურული სამუშაოს გეგმა, ოღონდ ჩვენ არ გვაქვს არც სპორტი, არც კულტურა, არც ცივილიზაცია, მაგალითად, თუნდაც კვირაში ერთხელ კინოჩვენება რომ მოაწყონ. ჩვენ არც საქართველოში ვცხოვრობთ, არც სამხრეთ ოსეთში, თითქოს ცალკე პლანეტა ვართ!“ მე და ჩემი დაქალები ვხუმრობდით, “მოდით, ლენინგორის დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ-თქო”. ჯერ-ჯერობით აქ არავინაა – არც მთავრობა და არც მოსახლეობა” (Гукемухов 2014).*

*ქართულ-ოსური ანტაგონიზმი – მითი თუ რეალობა?*

წეროვანის დასახლებაში დევნილებთან მუშაობის დროს ერთ-ერთმა ახალგორელმა რესპონდენტმა გვითხრა: „იცით რატომ არიან ცხინვალელი ოსები ჩვენზე გაბრაზებულები? იმიტომ, რომ ახალგორში მათ ვერ მოახერხეს ქართველებისა და აქაური ოსების დატაკება!" იგი ერთგვარად ამაყიც იყო, იმის გამო, რომ გარეშე ძალამ ვერ შეძლო ნეგატიური მიმართულება მიეცა ქართველთა და ოსთა შორის ამ რაიონში ტრადიციულად არსებული პოზიტიური ურთიერთობისთვის.

საქართველოში მცხოვრები უმცირესობებიდან, ოსები ერთ-ერთი ყველაზე მეტად ინტეგრირებული ჯგუფი იყო, განსაკუთრებით იმ არეალში, სადაც ქართველებსა და ოსებს უშუალო სამეზობლო და ინტენსიური ყოფითი ურთიერთობა ჰქონდათ. თუმცა, თავად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ინტეგრაციის ხარისხის თვალსაზრისით, რაიონები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მაგალითად, ცხინვალისა და ჯავის რაიონებთან შედარებით ახალგორში ოსური მოსახლეობა გაცილებით უფრო ინტეგრირებული იყო ქართულ საზოგადოებასთან; გარდა ამ მიმართულებით მეცნიერებაში არსებული მოსაზრებებისა (გ.ჯალაბაძე, მ. ბურდული) ამ ფაქტს ცხინვალის ხელისუფლების იდეოლოგიის მხარდამჭერი მედიაც გვერდს ვერ უვლის. მართალია, გაზეთ "სამხრეთ ოსეთის" ანალიტიკური ცენტრის პოზიცია ტენდენციურია, და რიგ შეფასებებში ჩვენთვის მიუღებელი, მაგრამ ინტეგრაციასთან მიმართებაში შემდეგს წერს:

*„ლენინგორის სიტუაცია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სხვა კუთხეებისგან ერთგვარად განსხვავებული იყო. საბჭოთა პერიოდშიც კი, ეს ზონა უფრო მეტად საქართველოსთან იყო ინტეგრირებული, ვიდრე სამხრეთ ოსეთის კულტურულ და ეკონომიკურ სივრცეში. მარტო ის, რომ რაიონის ცენტრში სამანქანო გზით მხოლოდ საქართველოს ტერიტორიიდან იყო შესაძლებელი მისვლა, ამაზე მეტყველებს.*

*90-იანი წლების მერე, როცა ქართველმა ნაციონალისტებმა რაიონიდან გაყარეს ოსების უმეტესობა და მოახდინეს მათი ქონების რეკვიზიცია, "ოსური თემა" ადგილობრივი საზოგადოებისთვის დაიხურა.*

*სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან კავშირზე აქ მხოლოდ ერთხელ გაიხსენეს, მაშინ, როცა ლენინგორში კოლაბორაციონალისტი დიმიტრი სანაკოევი მისი სამხრეთ ოსეთის ფსევდო-პრეზიდენტობის „წინასაარჩევნო კამპანიის" დროს გამოჩნდა". ადგილობრივები იხსენებენ, რომ მათთვის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა ერთ დღეში მოხდა. ჯერ კიდევ საღამოს საქართველოს ნაწილი ვიყავით, დილას კი გამოგვიცხადეს, რომ ახლა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ცხოვრობთო... მართლაც, თუ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სხვა მხარის ქართული სოფლების მცხოვრებნი ოსეთის ნაწილად აღიქვამდნენ თავს, ლენინგორის მცხოვრებთ ეს განცდა არ ჰქონდათ. რეგიონის მცხოვრებთა ორაზროვანი სტატუსის არსებობის საფუძველს პირველ რიგში ქმნის შეუფერხებელი მიმოსვლა ლენინგორსა და საქართველოს შორის. და ამის შესაძლებლობა მათ ჩვენ თვითონვე მივეცით. რა თქმა უნდა ეს ჰუმანური ნაბიჯი იყო, რომ რეგიონის მცხოვრებლებს საქართველოში თავიანთ ნათესავებთან ურთიერთობა შეენერჩუნებინათ, საქართველოში წასულიყვნენ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ ეს იყო დროებითი ღონისძიება, რათა ერთ საათში არ გაწყვეტილიყო ის კავშირები რაც ამ ხალხს ჩამოუყალიბდა რაიონის ნაწილის ქართული ოკუპაციის შემდეგ."* (http://cominf.org/node/1166503084)



ახალგორიდან დევნილთა საუბრებში ქსნის ხეობის ქართველთა და ოსთა მჭიდრო ინტეგრაცია ნათლად ჩანს:

*„ჩვენ, ოსებსა და ქართველებს შორის განსხვავებას ვერ ვხედავდით. ენა კი სხვადასხვა ჰქონდათ, მაგრამ ერთნაირი წესები აქვთ. ქორწინება, ნათელ მირონობა გვქონდა ერთმანეთში. ქართველობისა და ოსების გარჩევა არ იყო. პრობლემა ოსებთან საერთოდ არა გვქონია. ეხლა, პრობლემა მეზობელთან შეიძლება ზოგადად გქონდეს, ქართველს შეიძლება ქართველთანაც ჰქონოდა და უფრო ხშირადაც; მაგრამ პრობლემა იმიტომ კი არ იყო, რომ ერთი ქართველი იყო და მეორე ოსი "* (წეროვანი 2013).

*„ჩვენი ოსობა, საცა ვართ გაზრდილები და ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთსა, როგორც ერთი ოჯახი ისე ვართ. არც ერთი ოჯახი არ არის, რომ ოსი რძალი არა ჰყავდეთ. ერთმანეთისთვის არ გვითქვია, შენ ოსი ხარ – შენ ქართველიო. ახალგორში არავის არ უთქვია, ეს ქვეყანა ჩემია და ის ქვეყანა თქვენიაო. ახლაც, როგორც ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთში ისევ ისე არიან "*(წილკანი 2014).

ან კიდევ: *„უკანამხარში იცი რა კარგი ოსები გვყავდა? არასოდეს სპორი არ მოგსვლია. ბიტაროვები და ხინჩაგოვები. ხინჩაგაანს ეძახდნენ მაგათ სოფელსა. ძალიან კარგა ვიყავით, არ ვანსხვავებდით, რო მე ქართველი ვარ! არც ვიცოდი თუ ისინი ოსები იყვნენ, შვილო. მაგათ ჩემი ძმაი ჰყვანდათ მეჯვარეთ ბიტაროვებსა. ისე კარგათ ვიყავით გოგოები, როოო, ვერა ვგრძნობდით, რო მე ქართველი ვიყავი და ის ოსი "*(წილკანი 2013).

ჩემმა შეკითხვამ კი ქართველებისა და ოსების დაპირისპირების თაობაზე ოსი ეროვნების ქალბატონის აღშფოთება გამოიწვია: *„რასაც მეკითხებით, მე მაგალითად, ამ შეკითხვისაც მცხვენია! მე არასოდეს გამირჩევია ოსი და ქართველი; ჩემი დაბადების დღიდან, რაც ჩემი თავი შევიცანი, ჩვენ სუ ერთად ვიყავით ქართველები და ოსები"*(ფრეზეთი 2014).

ახალგორის რაიონში ქართველთა და ოსთა ინტეგრაციის მაღალი ხარისხს მათი ურთიერთობის სპეციფიკა განაპირობებდა. როგორც ცნობილია, ინტეგრაცია გულისხმობს იდენტიფიკაციას, როგორც საკუთარ, ისე სხვა კულტურასთან, როდესაც ინდივიდი ან ჯგუფი მიისწრაფის შეინარჩუნოს თავისი ორიგინალური კულტურა და, ამავე დროს, ყოველდღიურ ურთიერთობაში ფეხი აუწყოს დომინანტ კულტურას (Berry 1996:296). ინტეგრაციის პროცესში წამყვანი დომინანტი ეთნოსის კულტურაა. დომინანტი ეთნოსი კი 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონში ქართველები იყვნენ. ამასგარდა, ეს რაიონი 1993 წლიდან 2007 წლამდე ადმინისტრაციულად მცხეთა-მთიანეთის შემადგენლობაში შედიოდა და, თავისთვად, კულტურული ორიეტაციაც ქართული იყო. მჭიდრო ინტერკულტურული კომუნიკაცია იყო ის საფუძველი, რომელიც ყოველგვარი იძულებისა და პოლიტიკის გარეშე ქსნის ხეობის ოსების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას განაპირობდა. ინტერკულტურული კომუნიკაცია სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობდა. პირველ რიგში ეს იყო ვერბალური კომუნიკაცია, რასაც უმთავრესი როლი აკისრია ინდივიდუალური და

საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესში (Esser 2006:i). ახალგორში კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ყველამ იცოდა ქართული. ამას ხელს უწყობდა, პირველ რიგში, ქართული მოსახლეობის სიმრავლით განპირობებული ქართულენოვანი სკოლების არსებობა. ოსი ახალგაზრდების დიდი უმეტესობა ქართულ სკოლებში სწავლობდა. ამასგარდა, ძალიან ბევრი იყო ეთნიკურად შერეული ოჯახები. ოჯახში სალაპარაკო ენა ქართველი დედის ყოლის შემთხვევაში თავისთავად ქართული იყო, ხოლო ოსი დედის შემთხვევაში ოსურიც და ქართულიც. ასე რომ, ქართული სკოლების, ქართული გარემოს და ქართულ-ოსური შერეული ოჯახების წყალობით ახალგორის რაიონში ყველა ოსმა იცოდა ქართული და ხშირად ოსურ ოჯახშიც ქართულად ლაპარაკობდნენ. ამდენად, ქართული არა მარტო ეთნიკურ ჯგუფებს შორის საკონტაქტო, არამედ შიდაჯგუფური სალაპარაკო ენაც იყო:

*„იქ ჩვენთან სუ შერეული ოჯახები იყო მეტი წილი. იქ ვინც დარჩა ეგენიც შერეული ოჯახებია. შერეულ ოჯახებში ქართულად ლაპარაკობდნენ ძირითადად, ოსური არ იცოდნენ, უფრო დედა როცა ქართველი ჰყავდათ. ჩვენ ოსებთან აქაც ჩვეულებრივი ნორმალური ურთიერთობა გვაქვს.“*

*„ჩვენ ერთი ძმა და ექვსი და ვართ, ექვსივე დას ქართველი ქმრები გვყავდა. მამაჩემის დედმამიშვილებიც იყვნენ ბევრნი, ცამეტნი, 5 ძმა და 8 და, ჰოდა იმ ჩემ 8 ოს მამიდას ჰყავს სუ ქართველი ქმარ-შვილი ”*(ფრეზეთი 2014).

რიგი მეცნიერული პოზიციის თანახმად, ენა ეთნიკურობის ერთ-ერთ მარკერად განიხილება (Fishman 2001,Jenkins 1994, Edwards1984, Schmidt 2008). თუმცა არის ისეთი გარემოებაც,როდესაც ენას ეს ფუნქცია ეკარგება,და ერთ ენაზე მეტყველება, ანუ ლინგვისტური კომპეტენცია, როგორ ამას ლიბკინდთან ვხვდებით[5](Liebkind 1999: 144), ეთნიკურ იდენტობას არ განსაზღვრავს. ამის ბევრი მაგალითი მარტო საქართველოშიც შეიძლება ვნახოთ, ქართულად მოლაპარაკე საქართველოს ებრაელების, თურქულად მოლაპარაკე ბერძნების – ურუმების, ნახურ დიალექტზე მოლაპარაკე წოვათუშების სახით. კ.ისტმანის კონცეფციის თანახმად, ენის გამოყენება ეთნიკური იდენტობის ზედაპირული ნიშანია და, ამდენად, სხვა ენის შეთვისება გავლენას ახდენს ჩვენი იდენტობის მხოლოდ ლინგვისტურ ასპექტზე და არა თვით ეთნიკურ იდენტობაზე (Eastman 1984: 275). ახალგორის რაიონში ქართული სალაპარაკო ენის უპირატესობა არანაირად არ ახდენდა გავლენას ოსთა ეთნიკურ ორიენტაციაზე. გადმოცემით, რაიონში რომ შეხვიდოდი, სულ ქართული ლაპარაკი ისმოდა და ზოგმა ოსი ეროვნების მოქალაქემ ოსური არც კი იცოდა,მაგრამ ეთნიკური იდენტობა ოსური ჰქონდა. ახალგორელი რესპონდენტები იხსენებენ:

*„ორჯონიკიძეში ბევრი ოსი, აქედან წასული, დღესაც ქართულად ლაპარაკობს. და აქედან წაღებულ წეს-ტრადიციას აგრძელებს. სუფთა ოსებიც კი, და არა მარტო შერეული ოჯახები. აი მაგალითად ერთია, ვეფხისტყაოსანი ჩემზე უკეთ იცის, მე ისე აღარც მახსოვს”*(წეროვანი 2013).

*„მე მყავს მეზობელი ოჯახი, სადაც ორივე მშობელი ოსია, ქართული კარგად იცოდნენ. განსაკუთრებით, აი კარგის თქმა რო უნდოდათ, თბილისა, ან სასიყვარულოსი, ან, როცა ჩხუბობდნენ, ქართულად იტყოდნენ, ჩხუბი ქართულად მიდიოდა. ძალიან კარგსაც და ძალიან ცუდსაც ქართულად იტყოდნენ, ყოვლთვის ეგ გვიკვირდა ხოლმე”*(ახალგორი 2014).

5 კლიბქინდს პოზიციით, აუცილებელია გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ცნებები – ენის გამოყენება ან ლინგვისტური კომპეტენცია და ლინგვისტური იდენტობა.



თუმცა, 2008 წლის ოკუპაციის შემდეგ, როდესაც დე ფაქტო ცხინვალის მთავრობამ თავის კონტროლი დააწესა ახალგორის რაიონზე, უდავოდ ენისა და ეთნიკური იდენტობის ურთიერთმიმართების კონტექსტში, ოსური ენა აუცილებელ სასწავლო საგნად შემოიღო, არა მარტო რუსულენოვან, არამედ ქართულენოვან სკოლებშიც. წეროვანელი დევნილები იმასაც ამბობენ, რომ წეროვანში ერთ-ერთმა ოსი ეროვნების მასწავლებელმა მოითხოვა ოსური ენის შემსწავლელი ჯგუფის გახსნა სკოლაში, რაზედაც უარი მიიღო (წეროვანი 2015).

დღეს ახალგორის რაიონში, სადაც მნიშვნელოვნად შემცირდა ქართული მოსახლეობა, ვითარება მკვეთრად შეცვლილია,რაიონში ხშირად აღარ ისმის ქართული ლაპარაკი. დევნილთა ცნობით:

*„ამბობენ ახალგორში, ძაღლსაც კი აღარ ეძახიან ქართულადო. იქ ბევრი ოსი ჩამოვიდა; არის კატეგორია ხალხისა, ვისაც ეს უხარია, არის, ვისაც არ უხარია. ქართველებისთვის, ვისაც შვილები, შვილიშვილები, ოჯახობა აქეთა ყავთ, იმათთვის ეს შემაწუხებელია. ვინც ოსურად ლაპარაკი დაიწყო, ისინი ადგილობრივი ოსები არიან. ისინი ქათულად ლაპარაკობდნენ, ქართულ სკოლებში სწავლობდნენ, იმათი შვილებიც ქართულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ დღეს, ასე არიან. ჩანს, მოსწონთ ეს სიტუაცია. ქართულ სკოლებშიც სავალდებულო გხდა ოსურის სწავლება ”* (წეროვანი 2015).

*„ახალგორში ეხლა სულ სხვა ხალხია, ოსებია, რუსებია, რა ვიცი რა ეროვნების ხალხია, ლეკები...რო შევდივარ ახლა ახალგორში, ჩემი ბიძაშვილი (ვლადიკავკაზში ცხოვრობდა და ეხლა ჩამოვიდა) მუშაობს ემვედეში, სადაც ვიზებს აგრძელებენ და ისიც კი ამბობს, სუ შემოსული ხალხიაო. მე რო ახალგორში ჩავდივარ, ასე მგონია, სადღაცა ვარ-თქო. სოფლებშიც სუ იმათ დაიკავეს ყველაფერი! ქართველების სახლებში შევიდნენ, მაგრამ უხდიან ქირას. ეს ქართველები ხო აქ ცხოვრობენ და იქ აქირავებენ. ოსები არიან, რუსები თუ რა ეროვნებები, ქირას უხდიან.”* (ფრეზეთი 2014)

ახალგორიდან დევნილ მოსახლეობას, რომელიც ქსნის ხეობში დღეს ამა თუ იმ მიზეზით ველარ შედის, არა მარტო თავისი რაიონი ენატრება, არამედ კომუნისტებისდროინელი ურთიერთობა, როდესაც:

„ცხინვალისკენ სუ თავისუფლად მივდიოდით და მოვდიოდით. ექსკურსია, თუ სემინარები, თუ კურსები...კარგ დროს ვატარებდით, ისეთ პატივსა გვცემდნენ, რო მეტი არ შეიძლება, მე ძაან სტუმრიანი ოჯახი მქონდა, ჩამოვიდოდნენ ისინი, რაიკომის მდივანი, ეს, ობკომის მდივანი მოდიოდნენ ჩემ ოჯახში – ქეიფობდნენ და ესე მიდიოდა ცხოვრება. ძალიან ვნანობთ, რო ის დრო უნდა ყოფილიყო. არ ვიყავით ცუდათ, ნამდვილად! როგორ ვიყავით, კაცო?! რძლები ოსები მოგვყავდა, მივდიოდით და მოვდიოდით! ნეტა, როგორც მაშინა, დაქალობაც იყო და როგორც ერთი ოჯახი ისე ვიყავით, ეხლაც ისე იყოს! მისვლა მოსვლა იყო, ერთმანეთში თხოვდებოდნენ კიდეცა, ქორწინდებოდნენ კიდეცა”(ფრეზეთი 2013).

რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ქართველებსა და ოსებს შორის 90-იან წლებში მომხდარ დაპირისპირებაში ქართველებიც ტყუოდნენ, ზოგ

შემთხვევაში ქართველები და ოსები ერთად იყვნენ იმ შავ საქმეებში, რაც მაშინდელ არეულობას თან ახლდა, აღიარებენ, რომ არასწორი იყო მაშინდელი დამოკიდებულება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალგორში ეს არ გამხდარა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტის მიზეზი. ფრეზეთიდან დევნილის თქმით:

*„ჩვენ ერთმანეთში ისე ვიყავით, რომ მე არ ვარჩევდი და არც ეხლა ვარჩევ ოსებს ქართველებისაგან, აი ამ ჩხუბების მერე, მაინც ვერ განვასხვავე ეროვნება. გამსახურდიას დროს ხომ ჩემი თვალით ვუყურები ყველაფერს, გადმოცემით კი არა! ახალგორში არც ერთი ოსი არ დარჩა. მიუხედავად ამისა, არაფერი არ შემეცვალა, არასდროს არაფერი არ შემცვლია, აი, არასდროს“!* (ოსი ქალბატონი ფრეზეთი 2014)

ტრადიციულად იმდენად მყარი იყო მათი კავშირები რომ დღესაც კი ოსების ძვირს ძალიან იშვიათად გაიგებ ქსნისხეობელ ქართველებში: *„ოსები ძაან კარგებია, დახმარებაც იციან და ყველაფერი. ჭირში ძაან იციან მხარში დადგომა”*(წილკანი 2014).

ქვემოთ მოვიყვან ახალგორელი ქართველი ქალბატონის მონათხრობ ისტორიას, რომელიც იმ არეულობის პერიოდს ეხება:

*„მე ჩემი ეროვნება მიყვარს, მარა, მაგაზე ძალიან პატივსა ვცემ ოსობასა და რატო? ძაან გაჭირვება რო იყო, ლობიოზე რო ვიყავით მთელი ხალხი ის დრო იყო. კაჩუბეიში ვიყავი ჩემ ნათესავებთანა. გამომატანეს, მარა რა გამომატანეს იქედანა! ვერ ვერეოდი სუმკებსა. ერთი ქართველი ბიჭი მოვიდა და მითხრა, დეიდაო, მომეცი მოგეხმარები აგატანინებ სუმკებსაო, და გამეხარდა, ხო იცი, შენ ენაზე რო სხვა ქვეყანაში ვინმე დაგელაპარაკება! გამეხარდა და მივაწოდე ეს მძიმე სუმკა, რო ავდივართ მატარებელში. ავედით. მივიხედე მოვიხედე, სად არის ის ჩემი წითელი სუმკა და სად არის ის ბიჭი? არ არის! ვაიმე, დავიწყე ტირილი! რასა ვტირივაარ! მთელი ვაგონი მე შემომყურებს! რა და რა–აი ესე იყო, ესე, ესე, ვამბობ, ვიკლავ თავს ტირილითა! მერე შევეგუე. მერე მოვიდა ერთი, და უფრო ოსი იქნებოდა, დამტვრეულათ მეუბნება ქართულათა, რაზე ტირიხარო? მე უთხარი, განა სუმკის დაკარგვაზე ვტირივარ მეთქი, იმაზე ვტირივარ, ქართველმა რო გამიკეთა-მეთქი. იმ ქართველმა რომ მიღალატა-მეთქი. იმ ბიჭმა მითხრა, ვაგონიდან თუ ჩასული არ არისო, ის შენი სუმკა აქ იქნებაო, თუ ჩასულიაო, მაგაზე ვერ შეგპირდებიო. თან მერე ოსურად დაილაპარაკა რაღაცა და წავიდა. ცოტა ხანში მოიტანა სუმკა და დამიდო წინ. გამიხსნა – აბა რამე აკლიაო? არაფერი არ ეკლდა. ამოვიღე და ფულს ვაძლევ, და არ მინდაო, დაიდაო, შენ ისეთი სიტყვა სთქვიო, რო ის ჩამრჩა გულშიო, არ გამომართვა.*

*ამის მერე, ერთხელ ავტობუსში მომივიდა ერთ ქართველთან ჩხუბი. ოსებსა ძრახავდა და მე ის ამბავი უკვე გადახდენილი მქონდა. შენ შემოგევლე, ოსმა მე ეს გამიკეთა და ქართველმა ეს მეთქი. ოსებმა რო პატივისცემა იციან, ქართველი სადა გცემს ეგრე პატივსა, არ არსებობს! ეხლა, თუ ცუდს გაუკეთებ, უბოროტებ, ვინ დაგინდობს? არც ოსი დაგინდობს და არც ქართველი. ეხლა სულ შეიცვალა ურთიერთობა. ველარც ქართველს იცნობ, ველარც ოსსა”*(ფრეზეთი 2013).

გამოკითხულ ახალგორელ დევნილთა ინფორმაციით, ეთნიკური მიკუთვნილობის გამო რაიმე პრობლემა ქართველებსა და ოსებს შორის არც რაიონის ოკუპაციისა და დევნილობის შემდეგ არ წარმოქმნილა:



*„ომის მერე ოსები და ჩვენა ისივ ერთი ვართ, ერთიმეორეში არც ცუდობა, არც ბოროტობა, არაფერი! არა ის ოსია, არა ის ქართველი–არა, არაფერი ეგეთი! ეგეთი რამე ჯერ ჩვენთვინ არავის არ უთქვია და ისე დიდი რაიონია და სხვაგან რა ხდება, რა ვიცი!”*(ფრეზეთი 2014).

*„ეგ ოსები არასოდეს არაფერს არ გვიშავებდნენ. ეხლაც რო ჩავდივართ, არც ეხლა გვიშავებენ. ყოფილ მეზობლებს, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა ძალიან კარგია. მე მეგობარი ოსები მყავს, მივდივარ, გაუხარდებათ ხოლმე, ხან დავპატიჟებ, ხან დამპატიჟებენ ”*(წეროვანი 2013).

*„იქ რო ვიყავით, გარჩევა არ იყო ერთმანეთისა. ეს ომის მერე მოხდა. ეხლა ვინც აქ არიან, ადგილობრივი მაცხოვრებლები ვინც არიან იმათში ეგ არაა. ემ წუთშიც არ არიან ეგეთები. ჩვენაო ერთად ვიყავით და ეხლაც ერთად უნდა ვიყვეთო”*(წეროვანი 2013).

*„ჩვენ დამოკიდებულებაში არაფერი არ შეცვლილა. არც იმათი მხრიდან, ჩემი სახლი, მაგალითად ოს მეზობელს აქვს ჩაბარებული. მე პირადად ივნისში ოსი რძალი მოვიყვანე, აგვისტოში ომი დაიწყო. რძალს დედა ქართველი ყავს. აქ არიან ეხლა ”*(წილკანი 2013).

ახალგორელი დევნილებისგან გაიგებთ ამბებს, თუ როგორ მიხედეს უპატრონოდ გარდაცვილ ქართველ მიცვალებულს ოსმა მეზობლებმა, როდესაც ჭირისუფლები რაიონში მხოლოდ ერთი დღით შეუშვეს, როგორ დაიცვეს თავიანთი მეზობელი ქართველი ახალგაზრდა ადგილობრივმა ოსის ბიჭებმა, რომელსაც ოსი სამხედროები სცემდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამით თვითონაც საფრთხეში იგდებდნენ თავს, რომ ჯერ კიდევ არსებობს ის ძაფები ქართველებსა და ოსებს შორის, რომლებმაც პოლიტიკურ პროვოკაციებს გაუძლო და, თუმც შესუსტდა, მაგრამ მაინც სახეზეა. თუნდაც ეს მაგალითი:

*„ჩემი ქმარი ადრე ცხინვალში მუშაობდა, სანამ ესენი გადმოვიდოდნენ. ქსელებში მუშაობდა. რამდენიმე თვისა ხელფასი მისცეს, მაგრამ მერე ასეთი არევ-დარევ რო იყო, წამოვიდა. მერე ერთი წელი აძლიეს ხელფასი ჩვენებმაცა და იმათაცა, მერე გაანება თავი, მე მაგათთან არ ვიმუშავებო. რამდენიმე თვისა ხელფასი ასაღები ჰქონდა. მერე აღწერებზე რო დადიოდნენ აქა, იმას უთხრა, შვილო, იქა ვმუშაობდიო და რამდენიმე თვისა ხელფასი არ მომცესო. იმ ბიჭმა უთხრა, მილიციაში ვმუშაობ თვითონ მეო, ცხინვალშიო. ზედმეტი თუ ვინმემ გაკადროსო, დამირეკე და 5 წუთში აქა ვარო. წამოდი ძიაო და აგაღებინებ მე იმ შენ ხელფასსაო. წამოდიო, შენი ხმის გამცემი არავინ არ არისო. კაი დედ-მამისშვილი იქნება თუ ვინმე ხმას გაგცემსო ”* (წილკანი 2014).

თუმცა ქართველ დევნილებში აქა-იქ არის ერთგვარი უკმაყოფილება, რასაც ოსი ეროვნების დევნილებისადმი საქართველოს მთავრობის ზედმეტი გულისხმიერება იწვევს. მათი თქმით, სწორედ ასეთმა არასწორმა დამოკიდებულებამ შეიძლება დაპირისპირების საფუძველი შექმნას. მაგალითად, 2012 წლის ზაფხულში ოსი ეროვნების დედები მთავრობამ დასასვენებლად სანატორიუმში ზღვაზე გაუშვა, რამაც, ქართველ დევნილ ქალთა ბუნებრივი აღშფოთება გამოიწვია:

*„მე შარშან ისე გავბრაზდი, ბოღმისგან გულგასიებული ვიყავი, რო ჩვენმა მთავრობამ*

*ოსი დედები რო ამოარჩიეს და დასასვენებლად სანატორიუმში გაუშვეს. დაასვენეს! წარმოგიდგენიათ?! ოსი ქალები დაასვენა და ქართველები არა! რატომ? არ ვიცი რატომ! იმდენი რამე ხდება რო არ ვეთანხმები, რო, რა გითხრა! აქ, ამ დასახლებიდან, ოსი ქალები, უნდა წაეყვანათ ზღვაზე?! აი, ამიტომ შეიძლება დაპირისპირება შეიქმნას, აქამდე ხო არ იყო, და ახლა!..”*(წეროვანი 2013)

თავად ახალგორში კი სიტუაცია საწინააღმდეგოა, უმცირესობაში აღმოჩენილი ქართველები ერთგვარ დისკრიმინაციას განიცდიან – მათ თანამდებობაზე არავინ არ ნიშნავს, მეორეხარისხოვან სამუშაოს ასრულებენ, არის თითო ოროლა გამონაკლისი.

ახალგორელების გადმოცემით:

*„თუ ახალგორში რამე საბუთი გინდა ან საქმეზე რიგში დგახარ და დგას 9 ქართველი, მოვიდა ოსი, აი ამას გაუშვებენ, შენ გალოდინებენ. ელემენტარულად პასუხსაც კი არ გაგცემენ წესიერად, უნდა გალოდინონ. ან უნდა მიიყვანო ვინმე, ნაცნობი, რომ მოგცენ ის საბუთი, რაც გეკუთვნის, ან სხვა რამე, რაც გინდა. თუ იქაური ოსია და რაღაცა დაგჭირდა, ის კიდე დაგეხმარება. იქაური ოსები მაინც რაღაცა კონტაქტში შემოდიან ჩვენთან და პასუხს მაინც სცემენ წესიერად. პრიორიტეტი იმათკენაა. და ზუსტად, სანამ შემეძლო შესვლა იმიტომ არ შევდიოდი, რომ იგნორს ვგრძნობდი იმათგან და ამას არ ავიტანდი”*(წეროვანი 2015).

სხვათა შორის, ამ მხრივ დიდად არც ადგილობრივი ოსებს არ წყალობენ, რადგან მათ, ქართველებთან კარგი ურთიერთობის გამო ნაკლებად ენდობიან. გადმოცემით, ადმინისტრაციაში, მილიციაში, უშიშროებაში უმთავრესად ცხინვალელი და ჯაველი ოსები მუშაობენ.

*„ თანამდებობებზე ძირითადად ჯაველები და ცხინვალელები არიან დანიშნულები, ისინი თავიდან ძალიან აგრესიულები იყვნენ როგორც ჩვენ ქართველებზედა, ისე ადგილობრივ ოსებზედა. ეხლა და ეხლა ისე აღარ არიან. მაგათ რუსები ანეიტრალებენ. თითონ ახალგორელი ოსები არიან უკმაყოფილონი იმათი ოსებით. ზღუდავენ ადგილობრივებსა. ისე, ახალგორელი ოსები ზოგი ტეკებზე დგასო, ამბობენ ”*(ფრეზეთი 2013).

*„იმ ოსებს და ამ ოსებს მაინცდამაინც არ უყვარდათ ერთმანეთი, ეტყობა იმიტო, რომ ჩვენ ტრადიციებზე იყვნენ, ქართული განათლება ჰქონდათ მიღებული, ერთი სკოლა გვქონდა დამთავრებული, ერთი ბავშვობა გვქონდა გავლილი. ჩვენებურ ოსებს ქართველ ოსებს ეძახდნენ “*(წეროვანი 2015).

არ შეიძლება არ აღინიშნოს დევნილ მოსახლეობაში გამოვლენილი განსხვავებული განწყობები ახალგორელი და ცხინვალის/ჯავის ოსების მიმართ. ქართველი რესპონდენტები ჯავისა და ცხინვალის ოსებს უარყოფითად ახასიათებენ და აღნიშნავენ მათ მეტად აგრესიულობას.

*„ზაყორის ოსები და ჩვენი ოსები ვერა ხდებიან ერთმანეთსა. პირველათ რო გადმოვიდნენ მაშინ ძალიან აგრესიულები იყვნენ. ეგენი როგორც ჯარი ისე შემოვიდნენ ”*(წეროვანი 2014).

*„ აი, ჯავის ოსები, ეგენი არიან ძაან ცუდები. აი, თვითონ რუსებიც ხო ამბობდნენ, როგორ აქეზებდენ ქართველების წინააღმდეგ. მერე ამ რუსებმა ურთიერთობა რო*



*დაიჭირეს, თვითონვე თქვეს, ვინა ყოფილან ესენიო? ქართველები პურმარილიანი ხალხი ხართ და პატივმცემელი ხალხიო, თბილი ხალხიო; ოსები გვეუბნებოდნენო, ქართველები თავებს დაგაჭრიანო; მილიციაში რომ მუშაობენ ოსები, თვითონვე არიან შიგნით გაყოფილი. თვითონ ხალხი ლაპარკობს. აი, ადრე რო იყო, მაგალითად, მთაში რო ჰყავთ საქონელი, ცხვარი, იმას რო წამოასხამდენ, იმაზე იყო თურმე ლაპარაკი – შემოვაშვებინოთ რაიონში თუ არაო. ჯავის ოსები ამბობდნენ თურმე, არაო, არ შემოაშვებინოთო. მერე ამათ უთქვამთ (ახალგორელ ოსებს ნ.ჯ.), როგორ არ უნდა შემოაშვებინოთ, თქვენო მშივრები გასწყდებითო. ოსები თვითონ ერთმანეთში ვერა რიგდებიან. ვერა ხდებიან ერთმანეთში და უყურებენ რუსები ამას ყველაფერსა. დაჟე ორჯონიკიძის ოსებსა ეს აქაური, ცხინვალის ოსები, ჭირივით ეჯავრებათ ”*(ფრეზეთი 2013).

წეროვანელი რესპონდენტი საუბრობს მათ ურთიერთობაზე ცხინვალელ ოსებთან მისი სკოლაში სწავლის პერიოდში და იხსენებს, რომ ცხინვალში ტარდებოდა ოლიმპიადები, სპორტული შეჯიბრებები, სადაც მაშინ ავტონომიური რესპუბლიკის შემდგენლობაში მყოფი ყველა რაიონის სკოლებიდან მოსწავლეები მიჰყავდათ. ცხინვალელები სულ რაღაც ეშმაკობებს მიმართავდნენ, სპეციალურად უქმნიდნენ წინააღმდეგობებს, რომ მათ არ გაემარჯვათ, თვით ახალგორელი ოსი მასწავლებლებიც ბრაზობდნენ იმათ მასწავლებლებზე, წინასწარ იცოდნენ, რომ ახალგორელებს არ მოაგებინებდნენ:

*„ იქ იყო დიდი ქიშპი. აუცილებლად იმარჯვებდნენ ისინი – ცხინვალელები. ჩვენი ოსები და ქართველები ერთად იყვნენ, და ის ოსები ხედავდნენ მათ ერთიანობს, რაც მათ ყოველთვის აღიზიანებდათ. ახლაც ასეა, ამ და იმ ოსებს შორის განწყობა, იმიტომ არ არის კარგი, რომ ამათ არ დაარტყეს თავიანთ მეზობელ ქართველს.”*

*„ ერთხელ ჩემი ოსი მეზობელი ისეთი გამწარებული იყო ჯაველ ოსებზე, ამათი გაწყვეტა იყოსო. უშიშროებაში და მილიციაში სულ ცხინვალელი და ჯაველი ოსები მუშაობენ და იმათ მიმართ ამბობდა, გაწყვიტა ჭირმაო, მაგათი შემომშვებიო. მთელი ზაფხულიო, ბავშვები არ შემომაყვანინესო ”*(წეროვანი 2015).

სწორედ ასეთი გარემოების გამო დღეს ქართველების მიმართ ადგილობრივი ოსების მხრიდან მოზომილი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რაც იმაში ვლინდება, რომ ისინი უკვე ერიდებიან თავიანთი დადებითი განწყობა სახალხოდ თავისუფლად გამოხატონ. ცალკე შეხვედრისას თუ ახალგორელი ოსი თავისი გრძნობას, სითბოს და სიხარულს არ მალავს, სხვისი თანდასწრებით იგი ამის აფიშირებას უკვე არ ახდენს. ქართველი რესპონდენტების აზრით, ისინი ფრთხილობენ ქართველებთან მათი კეთილგანწყობის გამო ჩამოსული ოსების გულისწყრომა არ დაიმსახურონ.

პოლიტიკა, რომელიც დე ფაქტო რესპუბლიკაში „ოსური სახელმწიფოს" დე იურე არსებობისათვის აუცილებელ პირობებს ქმნის (განსაკუთრებით კი ჯერ კიდევ პროქართულ ახალგორში რაიონში), წინააღმდეგობაში ვარდება ტრადიციულად არსებულ ინტერკულტურულ და ინტერპიროვნულ ურთიერთობებთან და სამოქალაქო ორიენტაციის არჩევანის, ტრადიციული ურთიერთობის და ნათესაური კავშირების შენარჩუნების შინაგანი ჭიდილის მდგომარეობაში ამყოფებს უკანონო საზღვრის აქეთ და აქეთ მყოფ ახალგორელებს.

### *გაორებული ცხოვრება, ორმაგი სტანდარტი და ახალგორელები დილემის წინაშე*

ოკუპირებულ ახალგორში წეროვანიდან მიმავალი სარეისო ტაქსის მძღოლი ქართული საგუშაგოს გავლის მერე ტრაფარეტს, რომელზედაც ქართულად „ახალგორი" აწერია, რუსულენოვანი „ლენინგორით" ცვლის. ახალგორის შესასვლელში რუსული წარწერა მოჩანს :„Цвети Осетия моя!" პოლიტიკოსებისთვის ეს მხარე განხეთქილების ვაშლად იქცა, ერთი და იგივე ტერიტორია ვისთვის ოსეთია და ვისთვის საქართველო, ვისთვის ქართველი ოკუპანტებისგან განთავისუფლებული მხარე, ვისთვის ოსების/რუსების მიერ ოკუპირებილი ტერიტორია ...

ახალგორის ოკუპაციის შემდეგ საზოგადოებაში სრული განუკითხაობა შეიქმნა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველიცა და ოსიც რაიონიდან გამოვიდა, დევნილის სტატუსი მიიღო და დევნილთათვის განკუთვნილ კოტეჯებში დასახლდა, ზოგმა კოტეჯს ფულადი კომპენსაცია არჩია, დევნილთა ნაწილს ახალგორის რაიონში შესვლის უფლება აქვს, ნაწილი ვერ შედის, ნაწილი ორივეგან მუშაობს, ნაწილს არც დევნილის სტატუსი აქვს და არც რაიონში შესვლის უფლება...

ცხინვალის ხელისუფლება, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში ფაქტობრივად მთლიანად მოაქცია რაიონი თავის იურისდიქციაში, ქართულ კულტურასთან ასოცირებული ნიშნების თანდათან გაქრობის პოლიტიკას ახორციელებს, დაწყებული ტოპონიმებისა და ოსების ქართულდაბოლოებიანი გვარების ოსურ ყაიდაზე გაფორმებით, ქართული სალოცავების და სიწმინდეების ოსური წარმომავლობის ძეგლებად გამოცხადებით, გაყალბებული ისტორიის სწავლებით და სხვა, რომ არაფერი ვთქვათ "საქართველოსთან" კავშირების გაწყვეტაზე და ამ მიზნით ახალ-ახალი რეგულაციების შემოღებაზე. რეგიონის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა ერთი მხრივ ქართული და მერე მხრივ ოსური საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩარჩოებშია მოქცეული. ქართულ სკოლებში, სადაც სწავლება საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს, ისწავლება ოსეთის გაყალბებული ისტორია, ხოლო სახელმძღვანელო ე.წ. სამხრეთ



ოსეთის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშია შექმნილი. ყველა ქართულ სკოლაში ასწავლიან ოსურ ენას, არა მარტო დაბალ, არამედ მაღალ კლასებშიც. როგორც რესპონდენტი გადმოგვცემს:

*„აბა დაინტერესდნენ ისტორიკოსები, რა ისტორიას ასწავლიან იქ, ყველა სკოლაში? ოსეთის ისტორიას ასწავლიან. რა ოსეთის ისტორიას ასწავლიან? ეს ხო წამლავენ ბავშვებს! არი იქ სკოლები, სადაც შევიდნენ და ქართველი მწერლების პორტრეტები ჩამოხიეს, რუსთაველისაც კი . . .მეტსაც გეტყვით, ახალგორში ვრცელდება ცხინვალში დაბეჭდილი პრესა, ორი გაზეთი გამოდის*

*„იუჟნაია ასეტია"და „რესპუბლიკა" და რა წერილები იბეჭდება იქა! და ის ყველა ოჯახში მიდის. ეს ყველა ოჯახს გამოაწერინეს, აიძულეს რო გამოეწერათ. ის გაზეთი რო მოვა, გინდა თუ არ გინდა, ერთხელ მინც ხომ გადახედავ, არა? იმას რო წერენ იქ, რო ეს იყო ოსური ხეობა, ქსნის ერისთავები ოსები იყვნენ და ეს ოსებით დასახლებული . . . ამით ხო უწამლავენ არა, გონებას ემ ბავშვებს?! ეს მიზნმიმართულად მიმდინარეობს ეს დეზინფორმაცია. ეს რუსულ სკოლებშიც და ქართულშიც ასეა. განა საქართველოს ისტორიას ასწავლიან, ოსეთის ისტორიას ასწავლიან, ის უკვე თვითონ აქვთ დაწერილი!"* (წეროვანი 2013).

რაიონში არსებული იდეოლოგიურ-პოლიტიკური ჭიდილის ფონზე მოსახლეობა, რომელსაც ორმაგი სტანდარტით უწევს ცხოვრება, დეზორიენტირებულია. ორმაგი სტანდარტის არსებობა ხან ერთ მხარეს აძლევს ხელს და ხან მეორეს, ორივე კი თვითოეული მათგანისთვის საკუთარი უპირატესობის მოპოვების იარაღია. რეალობა კი ასეთია: ახალგორში მცხოვრები და იქ შესვლის უფლების მქონე დევნილის სტატუსის მატარებელი მოსახლეობა უნდა დაემორჩილოს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის იურისდიქციას, ამასთანავე, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თავს ქართული სახელმწიფოს მოქალაქედ თვლის. ცხოვრების ორმაგი სტანდარტი ვლინდება არა მარტო მოქალაქეობის საკითხში, არამედ ეკონომიკის, სოციალური, განათლების და სამედიცინო სისტემის სპეციფიკაშიც.

თავდაპირველი ეიფორია, რაც რაიონის ოკუპაციის საწყის პერიოდში ამ პროცესს თან ახლდა, დროთა განმავლობაში ჩაწყნარდა, ვინაიდან დღეს უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ახალგორის რაიონში დაბრუნების და არ-დაბრუნების მსურველთა კონტინგენტი. გამოიკვეთა ის „პრიორიტეტებიც" რაც საზღვარს იქეთ და აქეთ ცხოვრებას შეიძლება ახლდეს.

ახალგორში მომოქცევაშია ორი ქვეყნის ვალუტა – რუსული რუბლი და ქართული ლარი. ჯერ კიდევ 2011 წლის 10 იანვრიდან დე ფაქტო მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე ლარის მიმოქცევის აკრძალვა. ექსპერტები იმთავითვე ხედავდნენ ამ გადაწყვეტილების უპერპექტივობას, რადგანაც, რეალურად, მოსახლეობის დიდ ნაწილს ორიენტაცია საქართველოსკენ ჰქონდა, პროდუქტების უმეტესობა შედიოდა ქართული მხრიდან და, რუბლის ძალიან დაბალია კურსის გამო, არა მარტო ოსები, არამედ რუსი სამხედროებიც კი ლარზე ვაჭრობას ამჯობინებდნენ. ასე რომ აღნიშნული გადაწყვეტილების უპერსპექტივობა დრომ დაამტკიცა.

რაიონში სავაჭრო ობიექტები მარაგდება, როგორც თბილისიდან შესული

პროდუქტით, ისე ცხინვალიდან (მათ შორის პურითაც). ერთ-ერთი ინფორმაციით თვით ახალგორში არსებული 10-მდე მაღაზიიდან სამი მაღაზია მხოლოდ რუსული პროდუქტით მარაგდება. რეპონდენტთა ინფორმაციით:

*„ახალგორში მომარაგება ორივე მხრიდან არის. პური აქედან შედის,ქართველებმა რო არ შეიტანონ პური, მშივრები დაწყდებიან. იქაც კი არის საცხობები ცხინვალში, იქედანაც შეაქვთ, მაგრამ პური უფრო აქედან შედის მარშრუტკებით. რუსული საქონელიც შემოდის ცხინვალიდან ”*(წეროვანი 2013).

რაიონის ოკუპაციის შემდეგ თანდათან ჩამოყალიბდა პრობლემები ქსნის ხეობაში მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის საზაფხულო საძოვრებზე შეყვანასთან დაკავშირებით. დე ფაქტო ოსეთის ხელისუფლება პერიოდულად ცდილობს ამ მიმართულებით დააწესოს შეზღუდვები ან აკრძალვები. თუმცა, ეს რაიონის ეკონომიკას ისეთ უარყოფით შედეგებს უქადის, რომ იძულებულია უარი თქვას ახალ რეგულაციებზე. რესპონდენტთა ინფორმაციით, სათანადო ორგანოებში იყო დავა, მიეცათ თუ არა დევნილებისათვის რაიონში ცხვრის შემოყვანის უფლება. უფრო რეაქციული ფრთა (რომელშიც ჩემი მთხრობლები ჯავის ოსებს მოიაზრებენ), წინააღმდეგი ყოფილა, ადგილობრივი ოსები კი პირიქით, მომხრენი იყვნენ, იმ მოსაზრებით, რომ ახალგორის და ცხინვალის ბაზარი მეტწილად ადგილობრივ წარმოებული მესაქონლეობის პროდუქტებით მარაგდება და უმტკიცებდნენ *„როგორ არ უნდა შემოაშვებინოთ, თქვენ მაშინ ხო მშივრები გაწყდებითო”*(ახალგორი 2014).

დღეისათვის კვლავ ჩამოუყალიბებელია ახალგორის რაიონში საქონლის შეყვანის პირობები, დაწესებულია გაარკვეული გადასახადი, რომლის გაზრდაც სავარაუდოდ იგეგმება; ასეთ შემთხვევაში, საქონლის ხეობაში შეყვანა სათუო გახდება, ვინაიდან, საერთო ჯამში, დევნილის სტატუსის მქონე ახალგორელს ამ თანხის გადახდა ძალიან გაუჭირდება. მთხრობელთა გადმოცემით, იმდენად გართულდა ქსნის ხეობაში საქონლის შეყვანის პირობები, რომ ახალგორელი დევნილები ალტერნატიულ საძოვრებს ეძებენ. რეალობა კი პარადოქსულია – ერთი მხრივ, ახალგორის რაიონში შესვლის უფლების ქონა, მეორე მხრივ კი ამ უფლების გამოყენების შეუძლებლობა: მე შენ რაიონში გიშვებ, მაგრამ თან ისეთ წინააღმდეგობებს გიქმნი, იქ რომ ვერ შეხვიდე.

გაორებული ცხოვრების წესისა და ორმაგი სტანდარტის კონტექსტში პენსიების და ხელფასების საკითხიც შეიძლება განვიხილოთ. ახალგორის რაიონში მოღვაწე მასწავლებლები იღებენ როგორც ქართულ,ისე ოსურ ხელფასს,ასევე ორივე ხელფასს იღებენ ექიმებიც,რომლებიც მუშაობენ ახალგორშიც და წეროვანშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ცხინვალის მთავრობა ახალგორის მოსამსახურეს გაცილებით მეტ ხელფასს უხდის,ვიდრე ისეთსავე მოსამსახურეს საქართველოს მთავრობა; ასევეა პენსიონერებთან მიმართებაშიც. ექიმის და პედაგოგის ხელფასი ახალგორში ბევრად აღემატება აქაური ექიმების ხელფასს. რესპონდენტთა ინფორმაციით, ქართული პენსია თუ 150 ლარია, ცხინვალის პენსია ორჯერ მეტი –300 ლარის ეკვივალენტი, მასწავლებლის ხელფასი თუ აქ 200-400 ლარია, იქ 800-დან 1200-მდე მერყეობს. ახალგორის ხელფასების სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი უპირატესობა ახალგორელ დევნილთა „ცდუნებაზეა” გაანგარიშებული, რამაც დილემის წინაშე დამდგარი დევნილისთვის სასწორი ახალგორისკენ უნდა გადაწონოს და, საბოლოოდ, სამხრეთ ოსეთის



პასპორტის აღებით, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ათქმევინოს. ეს ერთგვარი ხიბლია,რასაც ცხინვალის მთავრობა დევნილი მოსახლეობის გადასაბირებლად იყენებს. რაც შეეხება პენსიას,ახალგორში დარჩენილი მოხუცები საქართველოს პენსიას იღებენ, მაგრამ მათ დე ფაქტო ოსეთის პენსიაც აქვთ. ზოგიერთი ახალგორელი რუსულ, ანუ ვლადიკავკაზის პენსიასაც კი იღებს. თუ წეროვანელ დევნილებს დავიმოწმებთ:

*„ახალგორში ქართული პენსიაცა აქვთ,ოსურიცა და რუსულიცა. ორჯონიკიძიდან რუსულ პენსიას იღებენ. 6000 რუბლია ცხინვალის პენსია–ეს არის 300 ლარი, აქ არი 150 ლარი. ეხლა ქართველებმა დაიწყეს იქაური პასპორტების მიღება. მე ვიცი რამდენიმე ადამიანი, რომელმაც არ ჩააბარა ძველი პასპორტი. ასეთი ქართველი აქაც იღებს პენსიას და იქაც. იშვიათია ახლა ახალგორელი, ვინც იქ პენსიას არ იღებს... იქ ეხლა ეგ უკვე მაღარიჩის დონეზე კეთდება. აი, მაგალითად, მე ამდენს დავდებ და შენ გამიკეთე ესა და დამინიშნე პენსია. კი ბატონო... აი ესეა, რა! სუფთა კორუფციაა! ”*(წეროვანი 2013).

ფაქტობრივად, ორმაგი პენსიის მიღება ფინანსურად ძალიან მომგებიანია მოსახლეობისთვის; ამიტომ, როგორც ამბობენ ინფორმანტები, *„ორივე მხარემ მშვენივრად იცის, რაც ხდება, მაგრამ, თან არ იცის,თვალს უხუჭავს”* (წეროვანი 2014).

ცხინვალის პოლიტიკაზე საუბრობს რესპონდენტი წეროვანიდან:

*„ წახალისება ხდება ძალიან იქ. აი როგორა ხდება, ეკონომიურ მდგომარეობას, ხო აქვს მნიშვნელობა. იმ სკოლაში, იმ, საავადმყოფოში, ადამიანს რომელსაც 10-ჯერ მეტ ხელფასს აძლევ, ვიდრე აქ, ეგ უწყობს ხელს მერე გადაბირებას. აი, ახალგორში ჩემი მეზობელია, იმის ცოლი არი ექთანი, აბა მიდი და კითხე, რა აქვს ხელფასი? აქა ქონდა 80 ლარი, წავიდა და პარალელურად იქა მუშაობს და აქვს 800 ლარი. სირცხვილი არაა? გეფიცები, ექთანს რო 800 ლარს დაუნიშნავ, ის იქით გადავა, აბა რა! ოსმალეთის დროს რო იყო, ისეთი რამე ხდება, გადაბირება ხდება პირდაპირ, რა! მასწავლებლებმა აქ სერტიფიკატი რო ვერ აიღეს, სამსახური დაკარგეს, წავიდნენ ახლა იქა. 200 აქა ქონდა, იქ გაუხდა 900 და 1000, დაჟე მეტი 1200.აი, იმ მასწავლებელმა, ვინც აქ ვერ გაიარა ატესტაცია, იმათი გადაბირება მიდის ”*(წეროვანი 2014).

2014 წელს დაანონსდა ახალგორში არსებული საბიუჯეტო ინსტიტუციების მუშაკებისთვის 40 %-იანი ხელფასის მატება (ახალგორი № 24, 12.26.2013)

ორმაგი სტანდარტის კონტექსტში ყურადსაღებია პიონერხელმძღვანელის ინსტიტუტის აღდგენის პერსპექტივა ახალგორის ქართულ სკოლებში:

*„ რამდენიმე დღის წინ სკოლაში ბავშვებს ერთ-ერთ პირი წარუდგინეს და უთხრეს, რომ მათი პიონერხელმძღვანელი იქნება. მართალია, ბავშვები პიონერები არ არიან, მაგრამ მასწავლებლებმა უთხრეს, რომ მალე პიონერთა რიგებშიც მიიღებენ”. მათივე ინფორმაციით, პიონერხელმძღვანელის ფუნქციები ზუსტად ცნობილი არ არის, თუმცა, სავარაუდოდ, იგი ბავშვების სწავლას და ინტერესებს გააკონტროლებს. ხოლო ბავშვების სკოლის გარეთ საქმიანობისა და სწავლის გასაკონტროლებლად სკოლებში კიდევ სხვა დამატებითი კადრები ჰყავთ”* (http://www.interpressnews.ge/ge/index.php/...l&hd_line=1).

ქართულ სკოლებში, რომლებიც ძირითადად საქართველოს განათლების სამინისტროს პროგრამით სარგებლობს, *„ სუ ძველი კომუნისტური წესით მიდის მაგათთან ბავშვების სკოლაში სიარული, ყველაფერი,ანუ სწავლა იწყება 1 სექტემბერს, არდადეგები,როგორც წინათ იყო,პრაზდნიკებია თუ რამე ეგეთი,კომუნისტების დროს რო იყო,სუ თავიანთი ძველი წყობისაა ”*(წეროვანი 2013).

კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც დე ფაქტო მთავრობის თუ რუსეთის „დიპლომატიურ” სვლად შეიძლება ჩაითვალოს, ახალგორის რუსული სკოლადამთავრებულებისთვის მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ლიმიტია,რომლითაც რამოდენიმე ახალგორელმა ახალგაზრდამ უკვე ისარგებლა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, 2014 წლის მაისიდან დე ფაქტო მთავრობამ საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებით ახალი რეგულაციები შემოიღო; გაუქმდა მანამდე მოქმედი ფორმა 9 და ის ახალმა საშვმა ჩაანაცვლა, რომელიც ახალგორში ჩაწერილ და იქ მუდმივად მცხოვრებ პირებს მიეცა. ეს რეგულაცია,რის საფუძველზედაც ათასობით დევნილს რაიონში შესვლაზე უარი ეთქვა, ცხინვალის მთავრობის ერთ-ერთი მორიგი სვლა იყო,რამაც დილემის წინაშე დააყენა ახალგორის რაიონის დევნილი მოსახლეობა. მათთვის ვინც ფორმა 9-ის საფუძველზე „პროპუსკი” ვერ მიიღო,ატერნატიული გზა – ოსური პასპორტის აღება დაისახა.

ჯერ კიდევ 2010 წელს დე ფაქტო ოსურმა მთავრობამ გაავრცელა ინფორმაცია მოსალოდნელი რეგულაციის შესახებ, რომელიც, დევნილებს, სავარაუდოდ, ოსური პასპორტის აღების ინტერესს გაუჩენდა. იგეგმებოდა უცხოეთის მოქალაქეებზე ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისთვის გადასახადის დაწესება, ხოლო ახალგორის მოსახლეობა, ვისაც საქართველოს მოქალაქის პასპორტი ჰქონდა, ძალაუნებურად ამ სიაში მოხვდებოდა; მას, ვისაც სამხრეთ ოსეთის პასპორტი არ ექნებოდა, სცნობდნენ სხვა ქვეყნის მოქალაქედ და რაიონში ყოველ შესვლა-გასვლაზე ფიქსირებული თანხის გადახდა მოუწევდა. ოსურმა ადმინისტრაციამ რაიონში შესვლაზე ერთხანს მართლაც დააწესა გადასახადი,მაგრამ რუსული მხარის მოთხოვნით იგი მალე გააუქმეს.

გარდა იმისა,რომ ოსური პასპორტი ე.წ. საზღვარზე შეუფერხებელი გადაადგილების გარანტიას იძლევა,ის ახალგორელთათვის გარკვეული უპირტესობის მომტანიცაა. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის პასპორტის აღების შემთხვევაში,ახალგორელ ქართველებს უფლებას მისცემენ,ერთი მხრივ, დაიწყონ მუშაობა საჯარო სამსახურში,შეიძინონ და გაყიდონ ქონება,უვიზოდ გადავიდნენ რუსეთის ტერიტორიაზე,მონაწილეობა მიიღონ სამხრეთ ოსეთის არჩევნებში და, მეორე მხრივ კი, როგორც კონფლიქტოლოგ (ახლა შრიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საქართველოს სახელმწიფო მინისტრს) პაატა ზაქარეიშვილს მიაჩნდა, *„პასპორტების აღებით ქართველები ამ რეგიონის სრულფასოვანი „მოქალაქეები” ხდებიან და საქართველოს ხელისუფლებას მათი საშუალებით რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევა შეეძლება ”* ( http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/102961/).

საველე მასალის თანახმად:

*„ ქართველებმა დაიწყეს იქაური პასპორტების მიღება. იქა წერია, პირდაპირ*



*გრაფაა ეგეთი - მე ვარ თანახმა უარი ვთქვა საქართველოს მოქალაქეობაზე და ჩემი ნებით შევდივარ იმ დამოუკიდებელ ოსეთში. მერე ესენი,ეს ოსური ხელისუფლება ევროკავშირს პირდაპირ დაუდებს,რო ესენი,ეს ქართველები,თავის ნებით გადმოდიან ჩვენთან. ეს პირადობის აღება იმას ნიშნავს რომ ქართველები ნებაყოფლობით იღებენ იმათ მოქალაქეობას. სინამდვილეში ეს ქართველი კი არ ტოვებს საქართველოს მოქალაქეობას, ფორმალურად წერს, აიძულებენ (მაგრამ მაინც ხო დაწერა!)ამათ ხო გულით უნდათ,რო საქართველოს მოქალაქეები იყვნენ,მაგრამ იქ ხო დაწერა, რო უარს ამბობს საქართველოს მოქალაქეობაზე. აქ უკვე შეუთავსებლობაა. მაგრამ,სხვა გამოსავალი არა აქვთ. ოღონდაც,ერთი ის არი,რო ჯერ არ ართმევდნენ ქართულ პირადობას, როგორც ვიცი,აქამდე არ ართმევდნენ და ისიც ხო რჩებათ”*(წეროვანი 2914).

პუბლიკაციაში „ახალგორში ოსური პასპორტის მსურველთა რიცხვი დღითიდღე იზრდება”(ოთარაშვილი 2013) ნათქვამია,რომ აღნიშნული დოკუმენტის აღების მსურველთა რაოდენობა იმდენად გაიზარდა,რომ ნაცნობობა და სპეციალური ჩაწყობაც კი სჭირდება. ოსური პასპორტი ვისაც აქვს,მათ „პრივილეგირებულებსაც” კი უწოდებენ,რადგან მათ სრულიად მარტივად შეუძლიათ სამუშაო ადგილის პოვნა, როგორც თვითონ ახალგორში, ასევე ცხინვალსა თუ ვლადიკავკაზში. ახალგორში ოსური პასპორტის აღების მსურველები არც იმას ერიდებიან, რომ სანაცვლოდ ქართული პირადობის მოწმობა ჩააბარონ და ზეპირი,ზოგჯერ კი წერილობითი ფორმით უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე. „კავკასიური სახლის” აღმასრულებელი დირექტორი გ.კანაშვილის აზრით: *„მაშინ,როცა საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა იყო იმის თაობაზე,რომ ახალგორის რაიონში ძალდატანებითი ოსური პასპორტიზაცია უნდა მომხდარიყო,ახლა ეს იმდენად სასურველი გახდა ადგილობრივებისთვის,რომ თავად იხვეწებიან. ეს პასპორტიზაცია ადგილობრივი მოსახლეობისთვის არის კომფორტული იმიტომ,რომ ქართული პასპორტით იღებს ყველანაირ სარგებელს საქართველოს სახელმწიფოსგან, ოსური პასპორტითა და რუსულით – რუსულ-ოსური მხარეებისგან პენსიას,სოცდახმარებას,ხელფასს,თუკი სადმე მუშაობს. ოსური პასპორტი მათ, რაც მთავარია, გადაადგილებაში ეხმარება. რუსული პასპორტის შემთხვევაში კი – მითუმეტეს,რადგან მათთვის იხსნება რუსული ბაზარი, უკეთესი სამსახურის შოვნის შესაძლებლობა. დღეს,როგორც ჩანს,ყველა ადგილობრივი უკვე გრძნობს,რომ კონფლიქტი,სამწუხაროდ,დღეს და ხვალ არ გადაწყდება და ამიტომაც, ურჩევნიათ,ადგილზე გააგრძელონ ცხოვრება და მოერგონ ადგილობრივ რეალობას. ამ ხალხს სხვა არჩევანი არ აქვს. ან უნდა დატოვონ იქაურობა და გადმოვიდნენ აქეთ,ან აიღონ ეს პასპორტი,რაც მათ მნიშვნელოვნად უადვილებს იქ ცხოვრებას ”* (http://resonancedaily.com/ ;http://www.labour.ge ).

ახალგორის დევნილ მოსახლეობას ორივე პასპორტის საჭიროება აქვს,ფიქრობენ, რომ ადმინისტრაციულ საზღვარს იქით ოსური პასპორტით შევლენ და აქეთ კი ქართულით ისარგებლებენ. მაგრამ რამდენად მოახერხებს ქართული პასპორტის დანარჩუნებას ეს კონტინგენტი,ჯერ საკითხავია. როგორც ახალგორელები ამბობენ, ახალი ოსური პასპორტების სანაცვლოდ, ოსური ადმინისტრაცია ქართული პირადობის მოწმობების ჩაბარებას მოითხოვს. ახალგორის ოსური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, ახალგორელებისთვის ცხინვალის ხელისუფლება ორმაგ მოქალაქეობას ვერ დაუშვებს,რადგან ამით,შესაძლოა,მეგობარი რუსეთი გაანაწყენოს: *„რუსულმა მხარემ გვაღიარა და სამხრეთ ოსური პასპორტებით რუსეთში შესვლის*

*უფლება მოგვცა. ჩვენ იგივე პრივილეგიას ქართველებს ვერ მივანიჭებთ, რადგან პარტნიორის მიმართ გარკვეული პასუხისმგებლობა გვაქვს".*

ორივე პასპორტის მოსურნენი იმასაც კი უშვებენ,რომ ოსური მხარე მოატყუონ, თითქოს ქართული პასპორტი დაეკარგათ. რასაკვირველია ასეთი ეშმაკობა ოსურ მხარეს არ გამოეპარება,მაგრამ როგორც კულუარულად ამბობენ, მსგავს დარღვევებზე თვალს დახუჭავენ და ოსურ პასპორტს მათაც მისცემენ, ვინც განაცხადებს, რომ ქართული პირადობის მოწმობა დაკარგული აქვს.

დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტოს ვებგვერდზე დაიბეჭდა წერილი „ლენინგორის რაიონი. გარდაუვალი არჩევანის სირთულე"(http://cominf.org/node/1166503084), რომელიც ეხება ოსური პაპორტების თემას. წერილში ნათქვამია,რომ სამხრეთ ოსეთი არ ცნობს ქართულ პასპორტებს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტად სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოსთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის არქონის გამო და მათ სათანადო დოკუმენტის სამხრეთ ოსეთში აღებას სთავაზობს. როგორც სააგენტო იტყობინება, ასეთი დოკუმენტი უკვე გაიცა 2000 პირზე. ხოლო, მეორე 2000 პირს, ვინც მუდმივად ცხოვრობს და მუშაობს საქართველოში და, ამავდროულად, იმავე საქართველოში ითვლება სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკიდან დევნილად, უარი ეთქვა. საგულდაგულო შემოწმების შემდეგ დოკუმენტი მიეცემა მხოლოდ მას, ვინც სამხრეთ ოსეთში რეალურად ცხოვრობს. ოსური მხარის შეფასებით, რაიონის წინა ხელისუფლება 2014 წლამდე შემოწმებებით თავს არ იკლავდა და რაიონში მცხოვრებთა რაოდენობაზე 2-ჯერ მეტი საშვი გასცა. როგორც ამბობენ, წარმოუდგენელია სამხრეთ ოსეთში სამუშაოდ წახვიდე, ღირსეული ხელფასი მიიღო და, ამავე დროს, ცხოვრობდე საქართველოში და შემწეობას იქ იღებდე, და თანაც, სამხრეთ ოსეთის წინაშე არანაირი ვალდებულება არ გქონდეს. ბ. ჩოჩიევი ამ ვითარებას აბსურდულს, უწოდებს და აღნიშნავს, რომ ამავე დროს ამ ხალხს შეუძლია თავისუფლად გადაკვეთოს სამხრეთ ოსეთის საზღვარი ლენინგორის რაიონში, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში საკუთარ სახლებში იცხოვროს და საკუთარი მეურნეობით დაკავდეს. მაგრამ *„თუ ადამიანს შეუძლია თავის სახლში მისვლა და იქ ცხოვრება,მაშინ ის დევნილად ვერ ჩაითვლება და ასეთი ხალხის მიერ საშვის მოთხოვნა არის სრულიად უსაფუძვლო. რაიონის იმ მცხოვრებთ, რომელთაც დღეს აქვთ საქართველოს მოქალაქეობა, სამხრეთ ოსეთიდან დევნილის სტატუსი და საცხოვრებელი დევნილთა დასახლებაში, არ აქვთ უფლება მოითხოვონ ჩვენგან საშვი. მაშინ გამოდის – ვაღიარებთ, რომ ჩვენ გავყარეთ ისინი და ამავე დროს ვაძლევთ საშვს საზღვრის ორივე მხარეზე გადაკვეთის უფლებით. უკვე 6 წელი გავიდა და დროა ხალხი ჩამოყალიბდეს – რა უნდა: იყოს საქართველოში დევნილის სტატუსით, თუ წყნარად იცხოვროს თავის სახლში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ლნინგორის რაიონში. მე, დაჟინებით მოვითხოვ, სანამ ლენინგორის რაიონის მცხოვრები არ მოიტანს ცნობას, ეგრეთ წოდებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან, რომ ის უარს ამბობს დევნილის სტატუსზე, სანამ არ ჩააბარებს თავის სახლს წეროვანში, მას არანაირი საშვი არ მიეცემა."* ამავე აზრისაა პარლამენტის თავმჯდომარე დ. თასოევი,რომელიც ამბობს,რომ *„ლენინგორის რაიონის მცხოვრებლებმა ბოლოს და ბოლოს უნდა აღიარონ შეცვლილი გეოპოლიტიკური რეალიები, უნდა ოფიციალურად თქვან უარი საქართველოს მოქალაქეობაზე და მიიღონ რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი"*(http://cominf.org/node/1166503084).



ამავე წყაროდან ვიგებთ,თუ როგორ ცდილობს ცხინვალის მთავრობა საინფორმაციო და იდეოლოგიური მუშაობის, მიმზიდველი სოციალ-ეკონომიკური პირობების შექმნის გზით რაიონის მოსახლეობის რეინტეგრეციის პროცესებში ჩაბმას. ლენინგორის რაონის მცხოვრებთა თვითგამორკვევის საკითხთან დაკავშირებით ოსური მხარის ერთიანი პოზიციაა – „ან საზღვრის აქეთ ხართ,ან იქეთ." *„ახლა დადგა სიმართლის დრო. მართალია, ეს სკითხი შეეხება პირადულ მომენტებს, შესაძლოა დასავლეთის პროტესტს, მაგრამ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს, რომ ლენინგორის მცხოვრებლმა ერთი სახელმწიფო აირჩიონ"*(http://cominf.org/node/1166503084).

საგულისხმოა, რომ ოსური პასპორტის აღების მსურველთა რიცხვი ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა. თუკი ადრე ეს პასპორტი იმ ახალგორელებს უნდოდათ, ვისთვისაც ოსურ-რუსული პენსია ან ხელფასი მიმზიდველი აღმოჩნდა და ამისათვის ოსური მილიციის საპასპორტო განყოფილებას ქართული პირადობის დამადასტურებელი მოწმობაც ჩააბარეს საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის განცხადებით, ახლა აქ ყოველი მეორე არც ხელფასზე ფიქრობს და არც მაღალ პენსიაზე - „ოღონდ გზაზე აღარ გავწვალდე და ჩავაბარებ პირადობის მოწმობას". უკვე იმისთვის ზრუნავენ,ოსური პასპორტისთვის საჭირო საბუთებს თავი მოუყარონ. (ოთარაშვილი 2013) ოსური პასპორტი ამ დროისთვის ახალგორელთა დაახლოებით 30-40%-ს აქვს აღებული.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ოსური მხარის მიერ განხორციელებული ზემოხსენებული „რეინტეგრაციის პოლიტიკა" დე ფაქტო საზღვრის იქეთ ცხოვრებას გარკვეულ მომხიბვლელობას და შესაბამისად,უპირატესობას ანიჭებს. ახალგორიდან დევნილები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ საქართველოს მთავრობამ სათანადო პირობებით ვერ უზრუნველყო იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა, რომ ახალგორში მოსამსახურის ყოფა უფრო მომგებიანია, ვიდრე აქ, და იქ სამუშაოდ წასვლაზე უარს არ იტყოდნენ. დევნილებთან საუბრისას არცთუ იშვიათად მოისმენ იქაური ყოფის უპირატეს შეფასებას:

*„იქ უკეთ ვიყავით. ქვაბებითა მე ერბო მედგა. აქ კიდე რძე ენატრებათ. ეხლა რო ხედავენ ბავშვები,უცხო ხილი ჰგონიათ. ავადმყოფობა მე არ ვიცოდი. აქ კიდევა, სულ ავათ მყვანან ბავშვები. ჭაობები დგება და სულ ნესტია,სახლში წყალი ამოვიდა"* (წეროვანი 2013).

*„ვფიქრობთ,აქ უფრო გვაქ სანანებელი და არა იქ. პროდუქტსაც ურიგებენ კაცო იქა, ფქვილს, შაქარს; ახლა მეზობლის ქალმა ჩამოიტანა ტუშონკები ისეთი,რო აქაც კი არ მინახია გაყიდვაში. რაღაც სასწაული! რუსები ურიგებენ, შემოაქვთ, სგუშონები და რა ვიცი. იქაურებს პენსიები აქვთ იმათი,ოღონდ მეტია უფრო. რუსების პენსიები აქვთ, ძირითადად დამფინანსებელი რუსეთია."*

*„იმათთვის (გულისხმობს ახალგორის სკოლის მოსწავლეებს ნ.ჯ.) იმდენი რამე გადმოაქვთ სკოლაში, სულ ტკბილეულს და რამეებს ურიგებენ, ჩვენ ბავშვებს იმას ვინ მისცემს? პრაზდნიკები როცა არი, ბავშვებს სკოლისასა, ურიგებენ ეგეთ რამეებს"* (წილკანი 2013).

*„ის, რომ ქართველებს ვინმე ეუბნებოდეს, რომ შენ ქართველი ხარ და აქედან წადიო, ეგეთი რამე იქ არ არის. ეხლა, ვინც იქ არის და აქ რო ჩამოდიან, თავიანთ კოტეჯებთან, დაგვცინია ნ ხოლმე, ნეტა რას გამორბოდითო"*(წეროვანი 2014).

*„ახალგორის საავადმყოფოში მკურნალობა უფასოა. საჭმელი, რამე, იქ არის, მიტანა არ გჭირდება. ჩვენ რო იქ ვცხოვრობდით, სანამ გამოვიდოდით, საჭმელი მიგვქონდა საავადმყოფოში ავადმყოფთან. იქ, რა ტკბილეული გინდა, თევზი გინდა, ქათმის ბარკალი, სუ ძვირფასი საჭმელი.ხ ლხი კმაყოფილია. მოხუცები,უფრო. იმათ შეიძლება პატარა რაღაცაც აწუხებს, მაგრამ მიდიან და წვებიან და გადიან იოლათა. მთის ხალხი უფრო "*(წეროვანი 2013).

საყვედურებს არსებული სიტუაციის გამო ადმინისტრაციული საზღვრის იქითა მხარესაც გაიგონებთ. მოსახლეობა ყოფითი პირობებით უკმაყოფილოა–ახალგორში არ არის გაზი, არის არის მოგვარებული წყლის და დენის პრობლემა, მოსახლეობის მიმოსვლა გართულებულია... 2014 წლის საველე მასალის თანახმად, ზაფხულში ახალგორში ჩატარებულ კრებაზე ოსები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას თავიანთი მთავრობის მიმართ, რომელმაც არ შეუქმნა მათ არსებობის ნორმალური პირობები, რაშიც მიმოსვლის შეზღუდვაც იგულისხმებოდა. ისინი აღნიშნავდნენ – *„თუ ვითარება არ შეიცვლება, მაშინ ისევ საქართველოსთან ყოფნა გვინდაო".* ეს გზავნილი არის გაჟღერებული ჟურნალისტურ პუბლიკაცაში – „სიმტკიცის გამოცდა", სადაც ავტორი წერს, რომ ახალგორის რაიონში დარჩენილი მოსახლეობა სულ უფრო ხშირად საყვედურობს თავის თავს 2008 წელს გაკეთებული არჩევნის გამო: „ჩვენ არც საქართველოში არ წავედით და არც სამხრეთ ოსეთში არ აღმოვჩნდით" (Гукемухов 2014).

ასე რომ გაორებული ცხოვრების წესი, ორმაგი სტანდარტის პირობები გაურკვევლობას და დაბნეულობს იწვევს საზოგადოებაში. ეს მოსახლეობის განწყობის ცვალებადობაზედაც მოქმედებს. საქართველოსა და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთს შორის არჩევანთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა: ზოგისთვის ასეთი კატეგორიულობა მიუღებელია, ზოგი კი არსებული ორმაგი სტანდარტის სიტუაციიდან სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. რაიონის მცხოვრებლები ამ ეტაპზე უფრო საშვების აღებაზე ღელავენ, ვიდრე დევნილის სტატუსზე.

თუმცა,ისიც უნდა ითქვას,რომ განათლების და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებული პრობლემების, სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის აღიარების იძულების, ადამიანთა დისკრიმინაციის და მსგავსი შემთხვევები ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილის რაიონიდან მიგრაციის საშიშროებას ქმნის.

### *რელიგია ინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის მიჯნაზე*

როგორც წინა პარაგრფებში დავინახეთ,ახალგორის ოკუპაციის შემდეგ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ საკუთარი იურისდიქციის გამყარების მიზნით რაიონში განხორციელებულმა პერტრუბაციებმა მოსახლეობის დეზორიენტაცია გამოიწვია; ამ პროცესებში რელიგიურ ფაქტორსაც მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა – ოფიციალურმა ცხინვალმა რელიგიის თემა პოლიტიკური მანიპულაციების ობიექტად აქცია. მანამდე კი ქართველებსა და ოსებს შორის რელიგიური ურთიერთობის თვალსაზრისით გასაოცარი ჰარმონიულობა სუფევდა, რასაც, უპირველეს ყოვლისა,



მათი რელიგიური იდენტობა – მართლმადიდებელი ქრისტიანობა განაპირობებს. ამ ორი ხალხის თანაარსებობის პერიოდში ახალგორის რაიონის ქართველები და ოსები, ძალზე ინტეგრირებული იყვნენ რელიგიური ასპექტითაც,რასაც ერთმანეთის რელიგიურ კონტექსტებში ჩართულობა, საერთო სალოცავების და ერთობლივი საკულტო პრაქტიკის ქონა ადასტურებს. ამგვარ პრაქტიკას საფუძველს უმაგრებდა ქართველთა და ოსთა სამეზობლო ურთიერთობები და შერეული ქორწინების ინტენსიური ხასიათი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს,რომ ორივე ხალხის რელიგიური ყოფა მათი ტრადიციული რელიგიის ელემენტებითაა გაჯერებული.

ლომისის ნიში ოძისთან

ქსნის ხეობის ოსურ და ქართულ მოსახლეობას თავ-თავიანთი ტრადიციული სამლოცველოები და ინდივიდუალური საკულტო პრაქტიკა ჰქონდა, აღნიშნავდნენ სხვადასხვა დღეობებს – გიორგობას,მარიამობას,აღდგომას,ამაღლებას და სხვ. თუმცა ეს დღეობები ერთმანეთის გარეშე არ ჩაივლიდა - პატიჟებდნენ და სათანადოდ უმასპინძლდებოდნენ ერთიმეორეს. ახალგორის რაიონიდან დევნილები გადმოგვცემენ:

*„ ჩემი სოფელი არის მუჯუხი. იქ იცოდნენ ოსებმა წითელი ხატის დღეობა. ეს არის ახალგორის მხრიდან მლეთის ძირში.ქსნის ხეობაში.ეს იყო ხატი, ნიში იყო. ეს არის მთის წვერზე, ლომისასთან მოპირდაპირედ"*(ფრეზეთი 2014).

*„ ოსებს ცალკე ჰქონდათ სალოცავი, წითელ ხატს ეძახდნენ, თითონ ეძახდენ წითელხატობასა. იქ მიდიან წელიწადში ორჯერ. მიდიან, ქეიფობენ და დროს ატარებენ; ცხვარსაც კლავდნენ. ქადა, საკლავი, როგორც ჩვენ ვიცით, იმათაც ეგრე იციან. დეკანოზებს ეძახიან, ისინი ყავდათ ხატში, ეს დეკანოზი არ იყო აუცილებელი რო ოსი ყოფილიყო, ქართველიც შეიძლებოდა. იმ სოფლისა უნდა ყოფილიყო. ეხლაც მიდიან. გამსახურდიას დროს ვინც წავიდა ოსი, ახალგორიდან, ორჯონიკიძეში ისინიც ჩამოდიან ხოლმე წითელხატობაზე, იქა, იქ ჩვენთან ჩამოდიან. ჩვენც გვპატიჟობდნენ"*(წილკანი 2014)

*„პირველ ივლისს არი ოსების დღეობა – გიორგის დღეობა. ჩვენებიც (გულიხმობს ქართველებს ნ.ჯ.) მიდიოდნენ, ოსებთან ოჯახებში, ოსებმა კარგი მასპინძლობა*

*იციან. მე ჩემ დასთან კი ვყოფილვარ. ხატში არა და სახლში მივდიოდით ხოლმე. ოჯახში სუფრებს მართავდნენ. ცხვარსაცა კლამდნენ, ხბოსაცა. ”*(ფრეზეთი2014)

ამასგარდა, ქსნის ხეობის ოსური და ქართული მოსახლეობისთვის უცხო არ იყო საერთო რელიგიური კულტმსახურების ტრადიციაც. მათი მთავარი საერთო სალოცავი ლომისის წმინდა გიორგი იყო; შესაბამისად, ლომისობაზე ყველა მიდიოდა, ქართველიცა და ოსიც. სწირავდნენ საკლავს (ცხვარი, კურატი, ოსები კი მამალსაც), მიჰქონდათ ქადები, ხაბიზგინები, სანთელი, ლუდი, არაყი, მართავდნენ სუფრებს და ერთად აღნიშნავდნენ ამ დღესასწაულს.

*,, ჩვენ მივდიოდით ხოლმე დიდი ლომისა როა, მლეთასთან. ლომისაზე ოსებიც ადიოდნენ; ჩვენ საერთოდ გაყოფილი სალოცავი არა გვქონდა არასოდეს (ლომისის წმინდა გიორგის გულისხმობს. ნ.ჯ.), საერთო იყო, სუფრებსაც ერთად ვაკეთებდით. მამაჩემი ყოველ წელს ხარს კლავდა ხოლმე. ლომისა ახალგორიდან უფრო ახლოს არი, ვიდრე მლეთიდან. ჩემი სოფლიდან იქვეა. ახალგორიდან გამოსვლის მერე, მე ისევ იმ მხარეს დავდივარ, მლეთის მხარეს. ვინც ახალგორში ცხოვრობს, ისინი ზაფხულში ისედაც იქ არიან. მთაში დადიან, მეურნეობა აქვთ, თესავენ, ან საქონელი ყავთ, ჰოდა, ვინც იქ იმ მხარეს არის, ის მიდის. აქეთ არი პატარა ლომისა ოძისთან და დიდ ლომისაზე რო ვერ მიდის ხალხი, მანდ გადადიან. ვინც ვერ შედის, ამ მხარეს მიდიან. ”* (წილკანი 2013)

2008 წლის აგვისტოს ომის მერე, გამოგონილი საზღვრის და რუსი სამხედროების მიერ შექმნილი ბარიერების მიუხედავად, რაიონში დარჩენილი ოსები მაინც შედიან ახალგორიდან დუშეთის რაიონში ლომისაში მოსალოცად. ამას ისინი ხშირად მესაზღვრეების მოქრთამვის ხარჯზე ახერხებენ. იმდენად ძლიერია ეს ტრადიცია, რომ ისინი თავიანთი თავისუფლების საფრთხეში ჩაგდების ფასად, თუნდაც რამოდენიმე საათით, ხდებიან რელიგიური იდენტობის ნიშნით გაერთიანული იმ სოციუმის ნაწილი, რომლისთვისაც ურთიერთობაში ეთნიკური განსხვავება არასდროს ყოფილა განმსაზღვრელი. სამწუხაროდ, ქნის ხეობის ოკუპაციის შემდეგ, ‘‘საზღვრის დარღვევას’’ ოსების მხრიდან არაერთხელ მოჰყოლია ძალადობის ფაქტები, ამიტომ ახალგორის მხრიდან ამოსული მომლოცველები სიფრთხილეს იჩენენ და ძველებურად ბოლომდე ვეღარ ებმებიან საერთო ლხინში.

დევნილობაში ყოფნისას ახალგორელები უკვე სახლებში აღნიშნავენ თავიანთ ხალხურ დღეობებს, ვინაიდან ქსნის ხეობაში შესვლის უფლების მქონეთა რაოდენობა სწრაფი ტემპებით მცირდება. დავიწყებას ეცემა ისეთი ძველი ტრადიცია, როგორიცაა ჩიტიფაფობა, ჩირჩილის უქმე და ა.შ.

დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის დევნილი მოსახლეობისთვის (როგორც ქსნის ისე ლიახვის ხეობიდან), მათთვის, ვინც ფაქტობრივად მოწყდა თავიანთ ტრადიციულ რელიგიურ ყოფას, წეროვანში აშენდა ეკლესია. მისი მრევლი, არა მარტო წეროვანის, არამედ წილკნის და ფრეზეთის დევნილებიც არიან. მანამდე კი, ვინაიდან მცხეთის გარდა ახლო-მახლო ეკლესია აქ არ ჰქონდათ, როგორ მოძღვართან, ისე მიდიოდნენ დევნილები ნიქოზის ეპარქიის ერთ-ერთ ღვთისმსახურთა სახლში, რომელიც დევნილებს გამოჰყვა ახალგორიდან და წეროვანში კოტეჯში დასახლდა. ამიტომ, დავნილების სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი შეიქნა ამ ტაძრის აშენება; სავარაუდოდ, ჩოჩელის (იმ დროს მცხეთა-მთიანეთის გამგებელი)



ფინანსური დახმარებით აშენდა ეკლესია, რომელიც მცხეთის ეპარქიას ეკუთვნის. ამდენად, აქ მცხეთის ეპარქიის მღვდლები მოღვაწეობენ, ხოლო ახალგორიდან დევნილი მღვდელი კი კვირაში ერთხელ ატარებს ღვთისმსახურებას. მთხრობელთა გადმოცემით:

*,,მრევლი სულიერად ძლიერია, აქტიურია, მარხვას ინახავს, მამაკაცები უფრო მეტნი დადიან ეკლესიაში, ვიდრე ქალები. დღესასწაულზე ეკლესია სავსეა, ზოგადად, ეკლესიაში წასვლის, ლოცვის და მარხვის შენახვის ტრადიცია თუ არ გაძლიერდა, ნადვილად არ შესუსტებულა, მაგრამ, ის სახე დაიკარგა, ახალგორში რომ ჰქონდა. ის ტრადიცია აღარ არის, ამის შემდეგ რომ მივდიოდით ოჯახებში და ქეიფს ვაგრძელებდით. იმ დღეობებმა, რომლებიც იქ ტარდებოდა სადღესასწაულოდ, აქ შეიძლება ჩვეულებრივად ჩაიაროს. აქ არც ხალისი არის და არც შესაძლებლობა, არც ადგილია, არც წასასვლელი. ძალიან ბევრი რამე დაიკარგა, ის, რაც იყო ახალგორში, აქ ნაკლებად არის. ბევრი რამ ტრადიციული რელიგიური წესები და ჩვეულებები მოიშალა. ”*(წეროვანი 2015)

ისევე, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ახალგორის რაიონშიც ხალხური ტრადიციული რელიგიური პრაქტიკის გვერდით ოფიციალური საეკლესიო პრაქტიკა თანაარსებობს. 1980-იანი წლებიდან ქართული ეკლესიის ოდინდელი რენომეს აღდგენას, გარდა ამ მიმართულებით გატარებული მთელი რიგი სამუშაოებისა, მართლმადიდებლური პრაქტიკის ინტენსიური აღორძინება მოჰყვა. 1995 წლიდან ახალგორი ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქის შემადგენლობაში შევიდა და რაიონში საეკლესიო მსახურების რევიტალიზაცია დაიწყო. 2008 წლის შემდეგ ცხინვალისგან განსხვავებით, სადაც უძველეს ქართულ სალოცავთა დიდი ნაწილი დანგრეული ან მთლიანად განადგურებულია და ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვა აღარ აღესრულება, ახალგორში მრთლმდიდებელ ეკლესიას დღემდე ჰყავს მრევლი. სოფელ იკოთში მოქმედებს დედათა მონასტერი, მოქმედი ტაძრებია ლარგვისში, წირქოლში და თვით ახალგორში.

არატრადიციული რელიგიის მიმდევრებიდან ახალგორის დევნილ მოსახლეობაში მცირე ჯგუფის სახით არიან იეღოველები. ამ ჯგუფის საქმიანობა დევნილობის პერიოდში არ დაწყებულა. იეღოველები ახალგორშიც იყვნენ და წეროვანშიც აგრძელებენ თავიანთ მოღვაწეობას. რესპონდენტთა ინფორმაციით, იეღოველები დევნილთა სხვა დასახლებებშიც ეწევიან პროზელიტიზმს, თუმცა ადგილობრივთა მხრიდან მკაცრ წინააღმდეგობას ხვდებიან. იეღოველთა რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ დევნილი მოსახლეობის რელიგიურ ინფრასტრუქტურაში მათ ძალზე უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ.

რაც შეეხება ოფიციალური ცხინვალის მიერ რელიგიის თემის პოლიტიკური მანიპულირების ობიექტად ქცევის ზემოხსნებულ ფაქტს, ცხინვალის ხელისუფლებამ ქართული ეკლესიის მოღვაწეობა ქსნის ხეობაში უკანონო ქმედებად შერაცხა. ე.წ.სამხრეთ ოსეთში გამომავალ გაზეთ რესპუბლიკაში დაიბეჭდა ჟურნალისტ მ. კოტაევას წერილი (Котаева 2015), რომელიც ახალგორის რაიონში არსებულ რელიგიურ სიტუაციას ეხება. სტატიის სათაური – ,,სამხრეთ ოსეთის ლენინგორის რაიონის ტაძრებში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლები მსახურობენ’’, იმთავითვე პროვოკაციულ ხასიათს ატარებს. ავტორი სათაურში გამოტანილ პრობლემას პირდაპირ უკავშირებს ქვეყნის უსაფრთხოებას. ოსურ მხარეს მიაჩნია

და ღიად აცხადებს, რომ ახალგორი (ლენინგორი) არ უნდა შედიოდეს საქართველოს საპატრიარქოს გამგებლობაში, ვინაიდან ის ალანიის ეპარქიის შემადგენლობაშია. იგი ხაზს უსვამს, რომ სამხრეთ ოსეთის ლენინგორის რაიონის ტაძრებში ქართველი მღვდლები მსახურობენ, რომლებიც ქართულ მართლმადებელ ეკლესიას ემორჩილებიან და სამხრეთ ოსეთის ალანიის ეპარქიასთან არანაირი კავშირი არ აქვთ. ოსურ მხარეს ეს გაუგებრობად მიაჩნია და შეშფოთებულია იმის გამო, რომ მათი ეპარქიის წარმომადგენლები ვერც ეკლესიებში შედიან და ვერც წირვა-ლოცვებს ატარებენ. მათ არ მოსწონთ ისიც, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიების დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი სასულიერო პირები საკვირაო წირვების დროს ახსენებენ მორწმუნეებს, რომ მათ ღვთისმსახურება რუსული ოკუპაციის პირობებში უწევთ. კოტაევას მოჰყავს რელიგიის საკითხებში სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის უფლებამოსილი პირის ს.ხუბაევას აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით:

*„ეს საკითხი პრეზიდენტის დონეზე არაერთხელ განვიხილეთ. ბუნებრივია, ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები წირვებს ატარებენ, მაშინ, როცა ეკლესია იუსტიციის სამინისტროში დარეგისტრირებული არ არის და ამის გაკეთებას არც აპირებს“* მისივე თქმით, ლენინგორის რაიონში სასულიერო პირების ყოფნის საკითხზე არაერთხელ გაიმართა სპეციალური სხდომები, რა დროსაც გადაწყდა, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს იუსტიციის სამინისტროში დარეგისტრირებას და ალანიის ეპარქიის იურისდიქციის ქვეშ გადასვლას შესთავაზებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამხრეთ ოსეთის ტერიტორია მშვიდად უნდა დატოვონ. ხუბაევა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ოსების წინააღმდეგ აგრესიაში ადანაშაულებს:

*„ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ქართული ფაშიზმის იდეოლოგიაა. ჩვენ ყველას გვახსოვს ილია II-ს გამოსვლა 90-იანი წლების შეიარაღებული კონფლიქტის დროს. გარდა ამისა, საქართველო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან მიმართებაში ცეცხლის გამოუყენებლობის შესახებ აქტის ხელმოწერას არ აპირებს. ამასთანავე, ერთ-ერთი მღვდელი, რომელიც ლენინგორში წირვებს ატარებს, თბილისში ცხინვალი-ნიქოზის ეპისკოპოსად არის დარეგისტრირებული. ეს უკანონო ქმედებაა და ამ საკითხში პრინციპული პოზიცია უნდა დავიკავოთ“.*

აღნიშნულ წერილში კოტაევა ჩამოთვლის იმ მონასტრებს, რომელშიც ქრთული წირვა-ლოცვა მიმდინარეობს და ოსური სამსახურების წარმომადგენელთა და ქართული ეკლესიის მსახურთა ურთიერთობის სპეციფიკას უსვამს ხაზს:

*„ ლენინგორის რაიონის სოფელ იკოტაში (იგულისხმება იკოთი ნ.ჯ.) ქალთა მონასტერი მოქმედებს, რომლის წინამძღვარიც იღუმენი სალომეა. ლენინგორიდან 14 კილომეტრში მდებარე ლარგვისის დასახლებულ პუნქტში კიდევ ერთი მართლმადიდებელი ტაძარი მოქმედებს, რომლის წინამძღვარიც მეუფე ისაიაა. მესამე, მე-9 საუკუნის ტაძარი მდებარეობს ლენინგორის რაიონის სოფელ წირქოლში, სადაც წირვა-ლოცვებს მამა თეოდორე აღავლენს. ლენინგორის რაიონულ ცენტრში კი ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი მოქმედებს, სადაც წირვებს მამა ანტონი აღავლენს.”*

გაზეთ „რესპუბლიკის” კორესპონდენტთან საუბარში ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელი ყვება, რომ ქართველ სასულიერო პირთან, მეუფე ისაიასთან საუბარი



სცადა, თუმცა მან მას „ოკუპანტი“ უწოდა და ტაძრის კარი დაუხურა. კორესპონდენტი ქართული მართმადიდებელი ეკლესიის ქალთა მონასტერს ეწვია სოფელ იკოთში, სადაც მას ასევე არამეგობრულად მოექცნენ. მონაზვნებთან დალაპარაკების მცდელობისას ერთ-ერთმა განაცხადა, რომ ქართულის გარდა, არც ერთი ენა არ იცის და კორესპონდენტს საკმაოდ უხეში ფორმით ტაძრის ტერიტორიის დატოვება სთხოვა. როცა ჟურნალისტმა ტაძარში თარჯიმნის მოყვანა შესთავაზა, უარი უთხრა. როგორც კოტაევა წერს, ლენინგორის ადმინისტრაციაში მას აუხსნეს, რომ იღუმენია სალომეს რუსები, ოსებთან შედარებით, უფრო მეტად არასასურველად მიაჩნია, რამეთუ რუსები რომ არ ჩარეულიყვნენ ქართულ-ოსურ კონფლიქტში, ქართველები უფრო თავისუფლად იპოვნიდნენ სერთო ენას ოსებთან და შემდგომი მშვიდობიანი თანაარსებობის გზებს მოძებნიდნენო. (http://www.frontnews.ge/)

ცხინვალში გამომავალი გაზეთ „რესპუბლიკის“ კორესპონდენტთან საუბარში ცხინვალის ეკლესიების წინამძღვარმა მამა იაკობმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთი ალანიის ეპარქიის კანონიკური ტერიტორიაა და ამიტომ ქართველ სასულიერო პირებს საკუთარ საქმიანობაზე ალანიის ეპარქიისთვის უნდა ეცნობებინათ. შესაბამისად, აქ უნდა მოღვაწეობდნენ არა ქართველი მღვდლები და მღვდელმთავრები, არამედ, ალანიის ეპარქიის მამები. ალანიის ეპარქიის სასულიერო პირებმა იციან, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართველი მღვდლები მსახურობენ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ეს საკითხი სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს. ოფიციალური მონაცემებით, ამ საქმეში ჯერ-ჯერობით არ ერევა რუსეთის პატრიარქი. იგი, მიიჩნევდა რა სამხრეთ ოსეთს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიად, თვლიდა რომ ეს საკითხი მის კომპეტენციაში არ შედიოდა და მისი მოგვარება მთავრობის პრეროგატივა იყო.

ოსური საინფორმაციო წყაროს მონაცემით, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა ამ საკითხის ფორსირებას არ ახდენს, მაგრამ მაინც აკონტროლებს ვითარებას. მაგალითად, იმ პირთა სიაში, რომლებსაც საქართველოს საზღვრის გადაკვეთისთვის ახალი საშვები მისცეს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები ვერ მოხვდნენ იმ საბაბით, რომ რაიონის ტერიტორიაზე მუდმივად არ ცხოვრობენ.

2014 წლის მაისიდან ქართველმა მღვდელმსახურებმა საქართველოში ვიზიტები გადადეს და წირვების ჩატარებას განაგრძობენ. ოსური მხარის განმარტებით, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები, რომლებიც ლენინგორში წირვებს ატარებენ, საქართველოში ჩასვლას შეძლებენ, თუმცა საშვების არქონის გამო უკან დაბრუნებას ვეღარ მოახერხებენ. მათი გამოსვლა პოზიციების დაკარგვის ტოლფასია, ამიტომაც არც ერთი სასულიერო პირი არ აპირებს გამოსვლას საბუთების აღებამდე. მათ გაძევებას ჯერ–ჯერობით არავინ აპირებს, რადგან უცხოური სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. ამასთანავე, სანამ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურები ლენინგორის რაიონში იმყოფებიან, იქამდე ალანიის ეპარქიის სასულიერო პირები რაიონში მცხოვრები ოსებისთვის წირვებს ვერ ჩააატარებენ.

ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი მეუფე ისაია შარშან მაისში შევიდა ახალგორში მოქმედი ეკლესია-მონასტრების მოსანახულებლად, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა. მეუფე ისაიას უკან ვერდაბრუნების მიზეზი დე-ფაქტო ცხინვალის

მიერ დაწესებული შეზღუდვებია, რომელიც ახალგორის ტერიტორიაზე შესვლასა და გამოსვლაზე ვრცელდება. მისი ნიქოზელი მრევლის ცნობით, მეუფეს ჰქონდა ფორმა ცხრა, რომელსაც ვადა გაუვიდა და ახალი საშვის მიღებას ელოდება. თუმცა ნიქოზელების გარკვეულ ნაწილს მეუფე ისაიას ადგილსამყოფელთან დაკავშირებით განსხვავებული ინფორმაცია აქვს. ერთ-ერთი ვერსიით, მეუფე ოკუპანტებმა დააკავეს და ცხინვალში გადაიყვანეს. (შუშანია 2015)

წეროვანელი რესპონდენტი ახალგორის რაიონში არსებული ვითარების შესახებ მოგვითხრობს:

*„ მეუფე ისაიაც იქ არი და მამა ანტონიც. ყველა ეკლესია ფუნქციონირებს და სამონაზვნო სახლია იმისთანა ძლიერი, რო ყველა უბედურის პატრონები არიან და ძალიან ბევრს განაპირობებენ ახალგორში. ამ არეულობის შემდეგ ეკლესია ძალიან გაძლიერდა ახალგორში. განსაკუთრებით ჩვენი წამოსვლის მერე. ლარგვისის ეკლესია 24 საათი მოქმედებს. ისინი მარტო ერთ ადგილზე არ არიან, სუ დადიან ეგენი, შიგნით გადაადგილების უფლება აქვთ, მთავარია საზღვარზე არ გადმოხვიდე. ერისთავების სასახლე რო იყო, იკოთში ძველი სკოლა რო იყო, ის ხომ მონასტერს გადასცეს. ისეთი კარგადა აქვთ გაკეთებული და ისეთი მოწესრიგებული და ისეთი რამეები ჩაიდინეს დედებმა – გასაოცარი! ოსები ავიწროვებენ ჩვენი ეკლესიის მსახურებს, დედებს განსაკუთრებით. ეუბნებოდნენ-თურმე, უნდა შემოგვიშვათო, ვითომ რაღაცა ჰქონდათ გასაკეთებელი! ისე კი, მიზეზიც არ ჰქონდათ, აი, უნდოდათ და უნდა შესულიყვნენ! ძალა კი არ უხმარიათ; მაგრამ დედებმა არ შეუშვეს. ესა ალანიის ეპარქიაარ-ოსებმა და არა ნიქოზისაო და სულ უნდათ რო გამოუშვან! მე არ ვიცი რა იქნება! მეუფე უსაბუთოდ არ გამოვა, იმიტომ რომ იციან, რომ მერე აღარ შეუშვებენ. საბუთს თუ მისცემენ, ეგ უკვე შესვლის უფლებაა. ოსები სავარაუდოდ მათ გამოძევებას თხოულობენ თავიანთი მთავრობისგან.”* (წეროვანი2015)

2008 წლის ომის შემდეგ ქართველთა ლექსიკონში „ოკუპირებული საფლავების” უჩვეულო ცნება დამკვიდრდა. ეს ის საფლავებია, რომლებიც დღეს საქართველოს ოკუპირეულ ტერიტორიებზე იმყოფება და აღდგომის დღესასწაულზე მიცვალებულის პატრონებს მათი მონახულების უფლება არ ეძლევათ. უფრო ზუსტად კი იმ ოკუპირებულ რაიონებს ეხება, სადაც ქართველები საერთოდ ვეღარ შედიან. ტრადიციულად მართლმადიდებლები აღდგომის ორშაბათს თავიანთი მიცვალებულების საფლავებზე გადიან. წელს სასაზღვრო გამშვები პუნქტი ახალგორის რაიონთან 2 დღით დაიკეტა და წინასწარ გაჟღერდა, რომ აღდგომაზე გზა არ გაიხსნებოდა. მაგრამ 13-ში დილიდან გზა გახსნეს და შეუშვეს მარტო ის პირები, ვისაც საშვი ჰქონდა. საქმე რთულადაა ცხინვალის რაიონიდან დევნილებთან მიმართებაში. რამდენიმე წელია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები რელიგიური დღესასწაულების წინ ამ პრობლემის გადაჭრას მოითხოვენ, მაგრამ ოსური და რუსული მხარეები ოკუპირებულ ტერიტორიაზე დევნილთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას საკუთარ თავზე ვერ იღებენ. (აფციაური 2015) ახალგორელებისთვის ეს შეზღუდვა შედარებით ახალია. ბუნებრივია, აღნიშული ვითარება უკმაყოფილებას იწვევს დევნილთა საზოგადოებაში, რაც მოწინააღმდეგე ბანაკის წისქვილზე ასხამს წყალს. თუ ერთი მხრივ, ჩვენი ეკლესიის მამები თავგამოდებით იცავენ და ინარჩუნებენ ჩვენს ეკლესიებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მეორე მხრივ, „ოკუპირებული საფლავების” ფაქტორმა დევნილები შესაძლებელია კვლავ დილემის წინაშე დააყენოს.

წეროვანის დევნილთა დასახლების სასაფლაო სოფ. ქანდასთან

***დასკვნა***

ქართულ-ოსური კონფლიქტის კონტექსტში ახალგორის ფაქტორი სრულიად განყენებულად დგას. ის არ თავსდება ინტერეთნიკური კონფლიქტის პარამეტრებში და, თითქოს, ქართულ-ოსურ კონფლიქტზე ხელოვნურად არის მიბმული, ისევე ხელოვნურად, როგორც ეს ქართული რაიონი ბოლშევიკებმა თავის დროზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიის შემადგენლობაში შეიყვანეს. რიონში არ მომხდარა ეთნიკური ნიშნით დაპირისპირება, არ გავარდნილა იარაღი, საზოგადოება არ გაყოფილა ოსებად და ქართველებად. ეს არ იყო ეთნიკური დაპირისპირება, ეს იყო აგვისტოს ომის შედეგი და რუსეთის მიერ ამ სტრატეგიული ობიქტის ხელში ჩაგდების ინტერესის რეალიზაცია.

ახალგორის რაიონი გამოირჩეოდა ქართველთა და ოსთა ინტეგრაციის მაღალი მაჩვენებლით. მის ხარისხს განაპირობებდა ინტერკულტურული კომუნიკაციის ინტენსიური ხასიათი. ინტეგრაცია მიმდინარეობდა ორივე მიმართულებით, თუმცა უმთავრესად დომინანტი ეთნოსისკენ, ანუ ქართული ორიენტაციით. ინტეგრაციისთვის ხელსაყრელ ფონს ქმნიდა ე.წ. ლინგვისტური კომპეტენცია, ანუ ენის გამოყენება (ჩვენ შემთხვევაში ქართული ენის), სწორედ ამ ნიშნის გამო ახალგორელ ოსებს ქართველ ან ჩვენ/ჩვენებურ ოსებსაც ეძახდნენ. ლინგვისტური კომპეტენციის საფუძველზე მარტივად ხდებოდა ჩართვა ერთმანეთის სოციო-კულტურულ კონტექსტებში. 2008 წლის შემდეგ, როდესაც ქართველთა უდიდესი ნაწილი რაიონიდან გამოვიდა, რაიონს ეთნიკური და ლინგვისტური ინფრასტრუქტურა თანდათანობით შეიცვალა ოსური ელემენტის სასარგებლოდ.

ახალგორის რაიონში ქართველთა და ოსთა თანაარსებობის პერიოდში ეს ეთნიკური ჯგუფები ძალზე ინტეგრირებული იყვნენ რელიგიური ასპექტითაც, რასაც ერთმანეთის რელიგიურ კონტექსტებში ჩართულობა, საერთო სალოცავების და

ერთობლივი საკულტო პრაქტიკის ქონა ადასტურებს. ამგვარ პრაქტიკას საფუძველს უმაგრებდა ქართველთა და ოსთა სამეზობლო ურთიერთობები და შერეული ქორწინების ინტენსიური ხასიათი. რაიონის ოკუპაციის შემდგომ რელიგიურ ფაქტორსაც მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა – ოფიციალურმა ცხინვალმა რელიგიის თემა პოლიტიკური მანიპულაციების ობიექტად აქცია.

ოკუპაციის შედეგად რაიონში დარჩენილ და ადგილნაცვალ მოსახლეობას, განურჩევლად ეთნიკური მიკუთვნილობისა,ორმაგი სტანდარტის პირობებში გაორებული ცხოვრება უწევს. ერთ მხარეს დე ფაქტო ოსეთია, „რუსეთის" მხარდაჭერით, რუსული დაფინანსებით, სამუშაო ადგილებით, კარგი ხელფასებით და პენსიებით, რუსეთზე ორიენტირებული საზოგადოების ნაწილისათვის უფრო უკეთესი მომავლის პერსპექტივით, მეორე მხრივ – საქართველო, მათი სამშობლო, დღედღეობით ბევრად უკეთესი ინფრასტრუქტურით და ახალგაზრდებისათვის არანაკლებ პერსპექტიული პირობებით, ოღონდ მათთვის, ვისაც თვითგანვითარების რესურსები არ გააჩნია - ნაკლებად იმედისმომცემი.

ახალგორის ქართველები (და მათთან ერთად ოსების ნაწილიც) ძალაუნებურად დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, მათ წინ სასწორის თეფშებზე „დაწყობილი" განსხვავებული პირობებია. ხოლო, ის ცდუნებები, რაც ამ პირობებს თან ახლავს, საზოგადოებისა თუ ინდივიდის ორიენტაციის, სამოქალაქო იდენტობის არჩევანის განმსაზღვრელი უნდა გახდეს. გათვლაც ორივე მხარის მიერ ამაზეა გაკეთებული – რომელი აჯობებს, სად უკეთესია ცხოვრება? რომელი გადაწონის? დღევანელი ტენდენცია მაინცდამაინც სახარბიელო არ ჩანს საქართველოსთვის, ვინაიდან ტერიტორიის (სამშობლოს) დაკარგვის შიშით თუ უკეთესი მომავლის იმედით, მოქალაქეები დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობას იღებენ.

მიუხედავად დე ფაქტო მთავრობის მცდელობებისა, ახალგორის რაიონში ქართული მოსახლეობა (თუმცა გაცილებით მცირე ნაწილი) ადგილზეა, დევნილ მოსახლეობას (შეზღუდვებს თუ არ ჩავთვლით) რეგიონში ჯერ-ჯერობით კვლავ შეუძლია შესვლა, რეგიონში ჯერ ისევ ფუნქციონირებს ქართული სკოლები, მოქმედებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია,არ არის გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირები თბილისთან.

ცხინვალის რაიონთან შედარებით ახალგორის რაიონში ჯერჯერობით ვითარება არც ისე სავალალოა:

| ქართულ-ოსური კონფლიქტი(ლიახვის ხეობა) | ქართულ-ოსური კონფლიქტი ახალგორის რაიონი |
|---|---|
| ქართული მოსახლეობისგან დაიცალა | ქართული მოსახლეობისგან არ დაცლილა |
| ქართული მოსახლეობა ვერ შედის | ქართული მოსახლეობა შედის |
| ქართული სკოლები არ მოქმედებს | ქართული სკოლები მოქმედებს |
| ქართული ეკლესია არ მოქმედებს | ქართული ეკლესია მოქმედებს |
| ქართულ-ოსური კავშირები რაიონში გაწყდა | ქართულ-ოსური კავშირები რაიონში შენარჩუნებულია |

მართალია,იდეოლოგიური მანქანა რუსეთის /ოსეთის მხრიდან აქტიურად მუშაობს, ახალგორელ ქართველთა და ოსთა განწყობის შეცვლას, მაინც ჯერ–ჯერობით



ვერ ახერხებს. ცხინვალის მთავრობის შეფარვითი ანტიქართული პოლიტიკის მიუხედავად, ტრადიციულად არსებული ქართულ-ოსური ურთიერთობა ჯერ კვლავ შენარჩუნებულია.

ლიტერატურა:


1. ამბები ახალგორიდან, გაზეთი ახალგორი № 24, დეკემბერი 26, 2013
2. აფციაური გ., დევნილები ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილ ნათესავების საფლავებს წელსაც ვერ მოინახულებენ 2015, რადიო თავისუფლება http://www.radiotavisupleba.ge
3. აფციაური გ., ხანგრძლივი და დაძაბული შეხვედრა ერგნეთში და პანიკა ახალგორში 2013, რადიო თავისუფლება http://www.radiotavisupleba.ge
4. მაცაბერიძე დ., ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორების თანაფარდობა კავკასიის კონფლიქტებში კონფლიქტებში (პოსტსაბჭოთა პერიოდი) ცივილიზაციური ძიებანი Civilization Researches № 4, თბ.,,2006
5. ოთარაშვილი მ.,დე ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორი-ცხინვალის ალტერნატიული გზის მშენებლობა დაასრულა 2012, მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი. http://www.icmm.ge
6. ოთარაშვილი მ., კრემლი ახალგორს პირდაპირ მოსკოვს უქვემდებარებს. 2010.04.09 http://www.resonancedaily.com/
7. ოთარაშვილი მ., შუქი ქსნის ხეობას უკვე ცხინვალიდან მიეწოდება
8. ოთარაშვილი მ.,საშვების ისტერი ახალგორში,უარი საქართველოს მოქალაქეობაზე ოსური პასპორტის მისაღებად 2014, მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი http://www.icmm.ge/
9. ოსური პასპორტი ახალგორში http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/102961/
10. შუშანია პ., ოკუპირებულ ცხინვალში მოსალოცად გადასული ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია გაუჩინარდა 2015 http://www.frontnews.ge/
11. *Гукемухов М.,* **Тамара Меаракишвили: «Мы живем ни в Грузии, ни в Южной Осетии»** 2014 http://www.ekhokavkaza.mobi/a/25220633.html
12. *Гукемухов М.*, Испытание на прочность 2014 http://www.ekhokavkaza.mobi
13. Грузинские священнослужители могут быть выдворены из «Ленингори» http://www.frontnews.ge/
14. Ленингорский район. Сложность неизбежного выбора 2014 http://cominf.org/node/1166503084
15. Berry J.W., Handbook of Cross-cultural Psychology: Social behavior and applications, vol.3.Boston 1996
16. Edwards, J., Language, diversity and identity. In John Edwards (ed), Linguistic Minorities, Policies and Pluralism. 1984. London: Academic Press.pg. 277-310.
17. Esser, H., Migration, Language and Integration. Aki Research Review 4. 2006

18. Fishmann, J.,(ed.), Handbook of Language and Ethnic Identity (Oxford University Press, Oxford, 1999

19. Jenkins, R., Rethinking ethnicity: identity, categorisation and power. Ethnic and Racial Studies 1994.17(2): 197-203.

20. Markedonov, S., Problems of Georgia-Ossetia "bordering http://www.eurodialogue.eu/osce/Problems-of-Georgia-Ossetia-Bordering

21. Schmidt U. Language Loss and the Ethnic Identity of Minorities ECMI Issue Brief #18 2008

22. Smith D., Trends and Causes of Armed Conflict, Berghof handbook for Coflict transformation2004http://www.berghof-oundation.org/fileadmin/redaktion/Publications)

23. http://humanrights.ge/blue/index.php?a=text&pid=17693&lang=geo



მ. ბურდული; ლ. მღებრიშვილი.

## განათლებისა და ჯანდაცვის პრობლემები 2008 წლის ომის შემდეგ ქსნის ხეობის მოსახლეობაში

### I სასწავლო პროცესი ოკუპირებულ ახალგორსა და ადგილნაცვალ მოსახლეობაში

ქსნის ხეობა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში" გამონაკლისია იმით, რომ მისი მოსახლეობის ნაწილს ჯერ–ჯერობით ძველ და ახალ საცხოვრებელ ადგილებს შორის გადაადგილება შეუძლია, მაგრამ ამას როდემდე შეძლებენ არავინ იცის, მდგომარეობა სტაბილური არ არის და მოსახლეობა მუდმივ სტრესულ მდგომარეობაშია.

2008 წლის ომამდე ახალგორის რაიონში (ქსნის ხეობაში) იყო 30 სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა,ბავშვთა სახლი, 12 ბიბლიოთეკა,1 თეატრი,1 მუზეუმი. 2008-2013 წლის მონაცემებით კი მხოლოდ რვა სკოლაა დარჩენილი: ახმაჯის, ბოლის, კორინთის, ბალაანის არასრული საშუალო, და ლარგვისის, იკოთის ქართული და ახალგორის ქართული და რუსული საშუალო სკოლები. ბოლო მონაცემებით, ბალაანში და ლარგვისში მოსწავლეთა არარსებობის გამო სკოლები დაიხურა. ქსნის ხეობაში მუდმივმაცხოვრებლად დარჩენილი ქართული მოსახლეობა კი ძირითადად ასაკოვანია, ამიტომ სასკოლო ასაკის ბავშვები ზოგიერთ სოფლებში საერთოდ არ არიან. მაგ; სოფელ ახმაჯში, სადაც რუსების სამხედრო ბაზაა აშენებული, 20014-2015 სასწავლო წელს *„სკოლაში 4 ბავშვია ჩვენი სოფლისა, სამი რუსებისა, ამბობენ კიდევ უნდა დაამატონ 4 ბავშვი რუსების და რუსული სკოლაც უნდა იყოსო. სკოლა გაარემონტეს, ერთი-ორი ბავშვიც რომ იყოს სკოლა არ დაიხურებაო" (სოფ. ახმაჯი 2013).*

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომის შემდეგ თავდაპირველად ხეობა დატოვეს ოსებმაც და ქართველებთან ერთად ჩამოსახლდნენ ახალ საცხოვრებელ ადგილებში: წეროვანში, წილკანში ფრეზეთში. მაგრამ დღეს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაბრუნდა ახალგორში. ქართველებთან შედარებით აქვთ თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, მათ უმრავლესობას აქვს ე.წ. ფორმა №9, ამიტომ არც დევნილთა დასახლებები მიუტოვებიათ. ზოგადად საოკუპაციო რეჟიმის დინამიკა ასე გამოიყურება: 2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის გაზაფხულამდე ახალგორში შესვლა მხოლოდ ქართული პირადობის მოწმობით იყო შესაძლებელი; 2009 წლის მეორე ნახევრიდან მოითხოვეს პირადობის მოწმობის რუსული თარგმანი დამოწმებული ნოტარიუსის მიერ; 2010 წლიდან მოითხოვეს უკვე საკუთრების დამადასტურებელი ცნობის რუსული თარგმანიც; 2012 წელს სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენჯერმე ჩაკეტეს ახალგორის ადმინისტრაციული საზღვარი, იმავე წლის შემოდგომიდან ე.წ. ფორმა №9 გარეშე უკვე აღარავის უშვებდნენ; 2014 წლიდან ახალი საბუთების აღება კიდევ უფრო გართულდა და ახალგორში შესვლის უფლების მქონე მოსახლეობის რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდა. თუ სტატისტიკურ მონაცემებს მოვიშველიებთ დავინახავთ, რომ მდგომარეობა საგანგაშოა. ახალგორში, ქსნის ხეობაში, 2006 წლის აღწერის მონაცემებით 7600 ადამიანი ცხოვრობდა. ამათგან ქართველი – 85%; ოსი – 14,3%; რუსი – 0,2%; სომეხი – 0,2%. ახალგორის მუნიციპალიტეტიდან,2013 წლის ივნისში მიღებული მონაცემებით

წეროვნის, წილკნის და ფრეზეთის დასახლებაში ახალგორიდან დევნილთა რაოდენობა შეადგენს 6712 ადმიანს, ამათგან წეროვანში ცხოვრობს – 4700, წილკანში –1100, ფრეზეთში –912. (აღნიშნული მონაცემები მხოლოდ ქსნის ხეობას მოსახლეობას ეხება. ახალგორის რაიონში შედის მდინარე ლეხურის ხეობის ოსური სოფლებიც, სადაც 1992 წლიდან იდგნენ იქ ე.წ. რუსი სამშვიდობოები).

სკოლის მასწავლებლებს, ბიბლიოთეკარებს, ბაღის მასწავლებლებს, მუზეუმის თანამშრომლებს, ექიმებს, ქართული მხარე ჩვეულებრივ უხდის ხელფასს. საბავშვო სახლის ბავშვები 2011 წლიდან გამოიყვანეს ახალგორიდან. ოსურმა მხარემ აღადგინა დახურული საბავშვო სახლი, ქვაისიდან ჩამოიყვანა ბავშვები, მაგრამ მის მასწავლებელებს მხოლოდ ოსური მხარე უხდის ხელფასს.

ბუნებრივია კეთილმეზობლური ქართულ – ოსური ურთიერთობების გაგრძელება, ყოველშემთხვევაში ქსნის ხეობის მოსახლეობაში მაინც, ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოში არსებულ საგანმანათლებლო სისტემაზე. განსაკუთრებით კი ნამდვილ, დოკუმენტებზე დამყარებულ და არა ნაყალბევი ისტორიის სწავლებაზე. ამის იმედი კი დღეს შექმნილ სიტუაციიდან გამომდინარე არ უნდა გვქონდეს (იხ. ლ.ჯანიაშვილი თავი II). ოსი პარტოკრატებისა და „ისტორიკოსების“ ხანგრძლივ იდეოლოგიურ მოღვაწეობას უკვე აქვს გარკვეული შედეგი. თუ მეცხრამეტე საუკუნეში, როგორც პროფესორი პფაფი აღნიშნავდა „ყველა ამიერკავკასიელ ოსს ახსოვს რომ გადმოსახლდა ჩრდილოეთიდან“ (კვირიკაშვილი Expertclub.ge/portal/…default.aspx) დღეს ისინი აცხადებენ, რომ: „მე ვარ ეროვნებით ოსი. ოცი წლის წინ ჩვენ თავს მოგვახვიეს გვარების ქართული „შვილი“ და „ძე“ დაბოლოებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ვიშოვიდით კარგ სამსახურს, ვერც სწავლას შევძლებდით. ეხლა ყველაფერი შეიცვალა. თუ მე ოსი ვარ და ოსეთში ვცხოვრობ, რატომ უნდა მედოს ჯიბეში ქართული პასპორტი? მე გამოვცვალე პასპორტი, მართალია ჯერ მაქვს ფორმა №9. მაგრამ მითხრეს, რომ პასპორტის ბლანკს მომიტანენ მოგვიანებით“, (Котаева 2011: 58). როგორც მარია კოტაევა წერს აღნიშნული ინტერვიუ მან ჩაიწერა ახალგორში მცხოვრებ პენსიონერ ს. მარგიევისაგან.

ავტორის განზრახვა ნათელია, აჩვენოს როგორი მოძალადეები არიან ქართველები. არადა ახალგორში მრავალ თანამდებობაზე მუშაობდნენ ოსები გვარის გადაუკეთებლად. პენსიონერ მარგიევის მოგვარე ზ. მარგიევი ათწლეულების განმავლობაში იყო რაიონის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ხოლო მისი ძმა აღმასკომის თავმჯდომარე. ეს საკითხი ახალგორში კარგად იყო დარეგულირებული – ხელმძღვანელ თანამდებობებზე პარიტეტი იყო დაცული, თუ რაიკომის მდივანი იყო ქართველი, აღმასკომის თავმჯდომარე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ოსი, ან პირიქით. ასევე ყველა მეტნაკლებად ღირებულ თანამდებობაზე დანიშვნაც ბალანსის დაცვით ხდებოდა.

როგორც ზოგადი სიტუაცია, ისე განათლებასთან დაკავშირებული მოვლენებიც ძალიან ცვალებადია. ეს განსაკუთრებით ითქმის ხეობაში დარჩენილ ბავშვთა რაოდენობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი სკოლა მიზანმიმართულად არ დაუხურავთ. მაგ: ქსნის ხეობის ზედა ზონის მხოლოდ ორ სოფელში, ლარგვისში და ბალაანში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2013 წლამდე ფუნქციონირებდა სკოლა, თითოეულში 2–2 მოსწავლით. ბოლო მონაცემებით (2014 წლის), მოსწავლეები



აღარ დარჩნენ და თავისთავად გაუქმდა ეს სკოლები. მთხრობელთა გადმოცემით, ცხინვალის (თუ მოსკოვის?) ხელისუფალთა მოთხოვნით,,,*სოფელში ერთი მოსწავლეც რომ იყოს სკოლა არ უნდა დაიხუროს“. (ახალგორის 2013)*

როგორც ცნობილია საომარ მოქმედებებს ქსნის ხეობაში ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად არც სკოლის შენობები დანგრეულა, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით რუსები რომ შემოვიდნენ სოფ. ყანჩევეთის ახალაშენებული სკოლის შენობა საცხოვრებლად აქციეს, სანამ ყანჩევეთში სამხედრო ბაზის პერსონალისთვის საცხოვრებელ კორპუსს ააშენებდნენ. დღეს სკოლა აღარ ფუნქციონირებს, ბავშვები აღარ არიან სოფელში. სამხედრო ბაზა სოფლის შესასვლელში ააგეს. „*ჩვენს უბანში სულ სამი ოჯახია დარჩენილი, დანარჩენები წამოსულები არიან. სკოლა აღარ მუშაობს, ახალგაზრდები აღარ არიან სოფელში, მარტო მოხუცები არიან“; „პირველად რომ შემოვიდნენ სულ გაძარცვეს სკოლები, დაწესებულებები, წაიღეს კომპიუტერები, ტელევიზორები, თუ რამე ღირებული იყო (ოსებმა).. სახლები რუსებმა მასალად დანგრიეს და წაიღეს. რუსი ჯარისკაცები პირველად „პალატკებში“ ცხოვრობდნენ და სციოდათ, ჩვენი სახლებიდან წაიღეს გადასახურავი მასალა, რომ შემოვიდნენ დაცლილი იყო სოფელი და იმიტომ”. (სოფ. ყანჩავეთი 2012)*

ახალგორის სკოლებში შექმნილ მდგომარეობაზე და მოსწავლეთა რაოდენობაზე წეროვანის დასახლების საშუალო სკოლის დირექტორი (2013 წ.) გადმოგვცემს: „*ახალგორში არის 2 სკოლა-ქართული და რუსული და კიდევ რამდენიმე სოფელშია (ახმაჯი, იკოთი ბოლი ძალიან მცირე მოსწავლეთა კონტინგენტით), მათ ინტერესებშია (ოსების/რუსების) რომ იფუნქციონიროს იქ სკოლამ, თორემ რაც სკოლის წინაშე ამოცანები დგას, მას ის სკოლები ვერ ანხორციელებს. ახალგორის სკოლებში 50-დე ბავშვი იქნება ორივე სკოლაში.*

*ახალგორის ქართული და რუსული სკოლები დღეს ერთ შენობაშია. ახალგორის რუსულ სკოლაში სწავლება - „იმათი“ (რუსების) პროგრამით მიმდინარეობს, ქართულში, –ჩვენით. ისტორიის პროგრამა მათი შედგენილია, სწავლობენ ოსეთის ისტორიას. იქ სკოლა დამთავრებული მოსწავლის ატესტატს ჩვენი სამინისტრო აღიარებს, ქართულ სკოლა დამთავრებულები სწავლას ძირითადად საქართველოში აგრძელებენ, რუსულ სკოლადამთავრებული - რუსეთში. წეროვანის სკოლადამთავრებულს სახელმწიფო აფინანსებს იმ შემთხვევაში, თუ ომამდე ბოლო ორი წელი ახალგორში სწავლობდა. კურსდამთავრებულთა 70% აბარებს უმაღლესში.“ (წეროვანი 2013)*

როგორც მ.კოტაევა გადმოგვცემს: „ლენინგორში ყველა მოსწავლე, ეროვნების მიუხედავად, ფლობს ქართულ ენას, მაგრამ რუსული სკოლის პედაგოგები იმას კი არ ჩივიან, რომ ოსის ბავშვები ქართულად ლაპარაკობენ, არამედ იმას, რომ ისინი თანდათან ივიწყებენ ოსურ ენას, რომ ლენინგორის რუსული სკოლის ოსური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა არაერთხელ მიმართეს რესპუბლიკის განათლების ხელმძღვანელობას, რომ მეტი ყურადღება დაეთმოს ოსურ ენაზე სახელმძღვანელოების მომზადებას .. და ა. შ.“ (Котаева 2011:57).

ოსი ბავშვების რუსულ და არაოსურ სკოლებში სწავლა ქართველების ბრალი ნამდვილად არ არის. როდესაც 1936 წელს მიმდინარეობდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა, ცხინვალის სახელმწიფო თეატრში გამართული დისკუსიისას ზოგიერთმა მონაწილემ კვლავ დასვა „ორი ოსეთის“ გაერთიანების საკითხი,

რაც თურმე ოსური ნაციონალური კულტურის განვითარებისთვის იყო აუცილებელი, რადგან „სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა მოკლებული იყო შესაძლებლობას გაცნობოდა ჩრდილოეთ ოსეთის კულტურას იმ მიზეზით, რომ იქ წერა-კითხვა მიმდინარეობდა არა მშობლიურ ოსურ, არამედ რუსულ ენაზე, იმ ენაზე რომელზედაც თავის ნაწარმოებებს ქმნიდა კოსტა ხეთაგუროვი. ამიტომ მათი აზრით, სამხრეთ ოსეთში ძირითად ენად, ნაცვლად ქართული ენისა, უნდა დამკვიდრებულიყო რუსული და კიდევ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ორი რეგიონის გაერთიანება (სონღულაშვილი 2009: 126-127).

საქართველოში მაცხოვრებელ ოსებს, ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზეც და მის ფარგლებს გარეთაც ყოველგვარი პირობა ჰქონდათ შექმნილი ოსური ენისა და კულტურის გასავითარებლად. ადრე ეს პრობლემა (საკუთარი ენის დავიწყების) არ იდგა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ მცხოვრები ოსების წინაშე. საქართველოში 97 სკოლაში მიმდინარეობდა ოსურ ენაზე სწავლება. ავტონომიური ოლქების პასუხისმგებელი მუშაკები კი ხელს უწყობდნენ რუსული ენის პოზიციების გაძლიერებას ქართული ენის დაკნინების ხარჯზე, ავტონომიური ოლქის სკოლებში კონსტიტუციით აღიარებული საქართველოს სახელმწიფო ენა არ ისწავლებოდა ( ბუნებრივია ეს ხდებოდა ოსურ სკოლებში). მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შეიქმნა 1923 წლის სამხრეთ ოსეთის ცაკის გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობას ავტონომიურ ოლქთან ურთიერთობა რუსულ ენაზე უნდა დაემყარებინა.

2014 წლის მონაცემებით (მასალა ჩაწერილია ახალგორსა და იკოთში) მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობაზე ოდნავ შეცვლილია. ახალგორის რუსულ სკოლაში მხოლოდ ერთი ბავშვია რუსების, დანარჩენი ოსები არიან, როგორც ადგილობრივები, ისე ცხინვალიდან – ქვაისის საბავშვო სახლის აღსაზრდელები.

*„ახალგორის რუსული სკოლის ყველა კლასში 5–6 მოსწავლეა; ქართული სკოლის თითოეულ კლასში 4–5 მოსწავლე მაინცაა, ქართველებთან ერთად ქართულ სკოლაში ოსებიც სწავლობენ. იკოთის საშუალო სკოლაშიც ყველა კლასში არის 3–4 მოსწავლე. მასწავლებლებს თავიანთი ბავშვები ამ სკოლებში ჰყავთ. ხელფასს რუსეთის/ოსების მთავრობა უხდის, ხელფასს ქართული მთავრობაც აძლევს, მაგრამ მას რატომღაც ხელფასს კი არა კომპენსაციას ეძახიან. სრული შტატი 15 საათია, – რვა საათი მაქვს იკოთში და 500 ლარზე ცოტა მეტი გამოდის, კურსს გააჩნია, ადრე უფრო მეტი გამოდიოდა, 600 ლარამდე“. (სკოლის პედაგოგი, ახალგორი 2014)*

ამ მონაცემების მიხედვით იკოთის (ყველაზე დიდი სოფელია ახალგორის რაიონში) საშუალო სკოლაში 30–40 მოსწავლე ირიცხება, ახალგორის რუსულ სკოლაში –50–60, ქართულში კი 30–40. შხვა სოფლებში კი ძლიან მცირეა მათი რიცხვი, რაც ნათლად მეტყველებს ხეობის მაცხოვრებელთა რაოდენობასა და ასაკზე.

ახალგორში *„სკოლას ამოწმებენ განათლების განყოფილებიდან, მისი ხელმძღვანელი რა თქმა უნდა ოსია. ახალგორიდან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით წასული ზოგიერთი ოსი ვლადიკავკაზიდან დაბრუნდა, უმეტესად ისინი მუშაობენ. მე რაც სკოლაში ვმუშაობ (38 წელი) სულ ერთი და იგივე კოლექტივია, ცუდი ურთიერთობა ნამდვილად არ გვაქვს“. (სკოლის პედაგოგი, ახალგორი 2014)*



ოსური მხარის მონაცემებით კიდევ უფრო მცირეა მოსწავლეთა რაოდენობა. 2010-2011 წლებში ახალგორის რუსულ საშუალო სკოლაში იყო 33, ხოლო ქართულში 48 მოსწავლე (Котаева 2011:57) დავამატებ, რომ ქართულ სკოლაში სწავლობენ ოსი ეროვნების ბავშვებიც.

ახალგორში ქართული და რუსული სკოლები ერთ შენობაშია. *„ახალგორში რომ მუშაობ რუსული უნდა იცოდე კარგად, ოსურსაც უნდა ფლობდე. ზეიმი რომ ტარდება ბავშვები ლექსებს სამივე ენაზე (რუსულ, ოსურ, ქართულ) ენაზე ამბობენ, ქართულ ცეკვებსაც ცეკვავენ. ქვაისიდან ჩამოსულმა ოსის ბავშვებმა ერთი სიტყვა არ იცოდნენ ქართული, ეხლა მშვენივრად ლაპარაკობენ, იქ აღმზრდელები და მასწავლებლები ქართველები ჰყავთ და ისწავლეს“ (სკოლის პედაგოგი, ახალგორი 2014)*

ახალგორის სკოლებში სწავლება წარმოებს საბჭოური სისტემით, როგორც ეს საბჭოთა კავშირის დროს იყო – სასწავლო წელი დაყოფილია მეოთხედებად, შაბათს სწავლობენ, სრული საშუალო განათლება თერტმეტწლიანია. სკოლებს ხელმძღვანელობს განათლების რაიონული განყოფილება, ტარდება მასწავლებელთა თათბირები. ლაპარაკია მოსწავლეთა ისეთ ორგანიზაციებში გაერთიანებაზე, როგორიცაა მაგ; პიონერია და ა.შ. ახალგორში ჯერ არ განხორციელებულა, ცხინვალის №5 საჯარო სკოლაში კი პიონერთა და კომკავშირელთა ორგანიზაცია მართლაც არსებობს; ტარდება საგნობრივი სარაიონო ოლიმპიადები, გამარჯვებულები მიჰყავთ ცხინვალში „რესპუბლიკურ“ ოლიმპიადაზე.

2013 წლის მონაცემებით, წეროვნისა და წილკნის დასახლებაში, სადაც ლიახვისხეობელებიც ცხოვრობენ, მარტო ერთი სკოლაა. სკოლაში 900 ბავშვი სწავლობს, რომელთა 2/3 (თითქმის 600) ახალგორელია, 1/3 ლიახვისხეობელი. სკოლას ემსახურება ორი ავტობუსი და წილკნის და წეროვნის შორი უბნებიდან გადმოჰყავს მოსწავლეები სკოლაში. სკოლაში მომუშავე მასწავლებლების რაოდენობაც, შესაბამისად, ასევეა დაბალანსებული, 2/3 მასწავლებლებისა ახალგორელები არიან. სკოლის მასწავლებლები კონკურსის წესით დევნილი მასწავლებლების რიგებიდან შეირჩა, რომელთა რიცხვი 200-დე იყო, მათგან 55 მაღალკვალიფიციური (მაღალქულიანი) პედაგოგი დასაქმდა. უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ენის პედაგოგები ძირითადად თბილისელები არიან. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, სპორტული სექციები, ცეკვის ანსამბლები და სხვ. ინგლისურს გაძლიერებულად ასწავლიან, აქვთ კომპიუტერული კლასები. სახელმძღვანელოებს ბავშვები უფასოდ ღებულობენ.

წეროვანის საჯარო სკოლა

წეროვანის სპორტული სკოლა

ლარგვისისა და ზემო სოფლებიდან დევნილები ფრეზეთში არიან დასახლებული, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა სხვადასხვა წელს სხვადასხვაა, მერყეობს დაახლოებით 88-100-ის ფარგლებში. მოსახლეობა უკმაყოფილოა სკოლის შენობით, მათი გადმოცემით: *„აქ სოფლის დაბლა იყო კაზარმა და ის გაურემონტეს ბავშვებს სკოლად. დაუშვებელია, ბავშვები არ უნდა შეეყვანათ იქ. სკოლის სარდაფში დარჩენილია რაღაც სამხედრო ნარჩენები, რა არის არ ვიცი, მაგრამ ერთი ბავშვი ძალიან ცუდად გახდა. ამ ქუჩაზე ცხოვრობს ბოლოში, მე-9, მე-10 კლასელია. ბავშვის გადარჩენა აღარავის ეგონა, დიაგნოზიც ვერ დაუდგინეს. ხერხემლიდან და ფეხის ძვლებიდან სითხე აუღეს და მერე დაუდგინეს ძლიერი ტოქსიკური მოწამვლა. ეხლა დადის ის ბიჭი, მაგრამ უჭირს სიარული. არა მგონია წყლისგან ყოფილიყო. წყალი კი არ ვარგა, მაგრამ ამ წყალს ხომ ყველა ვსვამთ. მთელმა სოფელმა გამოვიგლოვეთ ის ბავშვი. მერე უკვე ჩვენ ვადგენთ, რომ იმ რაღაცით უნდა მოწამლულიყო, მა სხვა რითი უნდა მოწამლულიყო?“ (ფრეზეთი 2014).*

ნუგზარ ფსუტურის სახელობის ახალგორის კულტურის სახლი



როგორც უკვე აღვნიშნეთ, წეროვანის სკოლის კურსდამთავრებულს სახელმწიფო აფინანსებს იმ შემთხვევაში, თუ 2008 წლამდე ბოლო ორი წელი სწავლობდა ახალგორში, ხოლო, რადგან საქართველოს განათლების სამინისტრო აღიარებს ახალგორის რაიონის სკოლადამთავრებულის ატესტატს, ისინი ღებულობენ სრულ საგრანტო დაფინანსებას. ქართულ სკოლადამთავრებულები სწავლას ძირითადად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებენ, რუსულ სკოლადამთავრებულები კი რუსეთში მიდიან.

ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ახალგაზრდები არ აპირებენ სწავლის დამთავრების შემდეგ ახალგორში დაბრუნებას, *„იმ პირობებს თუ გავითვალისწინებთ, რაც იქ არის, დაბრუნება შეუძლებელია, ახალგაზრდები არ დაბრუნდებიან. ხეობას ქართული მოსახლეობისაგან დაცლა ემუქრება. თუ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და ვინც იქ დგას დღეს, წავა იქიდან, მოსახლეობის ნაწილი დაბრუნდება ხეობაში, თუ არა და თავისთავად ვერ დავბრუნდებით“,- გადმოგვცემენ დევნილები.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ ახალგორის რაიონის სკოლის მასწავლებლები ხელფასს ორივე მხრიდან იღებენ. მასწავლებლის ხელფასი რუსეთში და, შესაბამისად, ახალგორშიც მაღალია, ამიტომ დასაქმების გარეშე დარჩენილი პედაგოგების ნაწილი დაბრუნდა თავის სოფელში შვილებითურთ და იქ დასაქმდა, ზოგ სოფელში სკოლა მხოლოდ ამიტომ არსებობს.

2013-2014 სასწავლო წლიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ საქართველოს ისტორიის სწავლება ამოიღო ქართული სკოლების სასწავლო პროგრამიდან და ჩაანაცვლა ოსური ენის სწავლებით. 2014-2015 სასწავლო წლიდან კი საქარტველოს ისტორიის ნაცვლად ისწავლება „ოსეთის“ ისტორია.

რატომ თვლიან სეპარატისტები დაუშვებლად ახალგორის ქართულ სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლებას?, გაზეთ “Кавказский узел”-ის კორესპოდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკის განათლების მინისტრი მ. ჩიბიროვა ათნიშნავს, რომ:

„ლენინგორის ქართულ სკოლებში ისტორია საქართველოდან შეტანილი სახელმძღვანელოებით ისწავლება. სამინისტროს განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს უახლესი ისტორიის საკითხები. ქართული გამოცემის წიგნებში რუსეთი გამოყვანილია აგრესორად და ოკუპანტად, საქართველო კი მსხვერპლის როლშია“.

განათლების სამინისტრომ დაავალა რაიონის განათლების განყოფილებას მეხუთე, მერვე, მეცხრე და მეთერთმეტე კლასების ისტორიის სახელმძღვანელოდან ამოეღო ცალკეული თავები, სადაც ისტორიული ფაქტები და მოვლენები „ქართველების თვალთახედვით“ იყო წარმოდგენილი.

მინისტრი კმაყოფილებას გამოთქვამს რაიონის განათლების განყოფილების ახალ ხელმძღვანელის, ლასკო გუსოევის მიმართ, რომელმაც თანამდებობაზე დანიშვნიდან მოკლე დროში „გამოასწორა“ მდგომარეობა. შესწავლა ქართულ სკოლებში ისტორიის სწავლება და მოკლე დროში წარუდგინა სამინისტროს შესაბამისი მოხსენება, „ლენინგორის რაიონის ქართულ სკოლებში ისტორიის სწავლების შესახებ“.

ლენინგორის განათლების განყოფილების გამგის მოხსენებაზე დაყრდნობით, 2013

წლის დეკემბერში სამხრეთ ოსეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება: ქართული სკოლების მეხუთე, მერვე, მეცხრე და მეტერთმეტე კლასებიდან ამოეღო ისტორიის სწავლება.

მინისტრს მიაჩნია, რომ რადგან მეექვსე, მეშვიდე და მეათე კლასის სახელმძღვანელოებში შესასწავლი მასალა ეხება ძველ მსოფლიოს და შუასაუკუნეებს მისი სწავლება ბავშვების ცნობიერებისთვის საშიში არ არის, რადგან მასში არ ვხვდებით არც ქართულ-ოსურ და არც ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, მათში ყველაფერი დაბალანსებულია.

,,რაც შეეხება მეხუთე, მერვე, მეცხრე და მეთერთმეტე კლასებს, ჩვენ მივეცით რეკომენდაცია, რომ ისტორიის მაგივრად ჩაატარონ ოსური ენის გაკვეთილები. ბუნებრივია, განათლების სისტემის თვალთახედვით, ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ერთი საგნის ჩანაცვლება მეორე საგნით არასწორია,მაგრამ ეს იყო ერთადერთი შესაძლებლობა, დავიცვათ ჩვენი მოსწავლეები გაყალბებული ისტორიის სწავლებისაგან''-აღნიშნავს მინისტრი.

ამდენ ხანს თურმე მხოლოდ იმიტომ ვერ განახორციელეს აღნიშნული მიზანი, რომ ვერ თარგმნეს ქართულად ,,ოსეთის ისტორია''. რესპუბლიკაში ქართულ ენაზე პროფესიული მთარგმნელი სანთლით საძებარია, ვერ ფლობენ პროფესიულად კომპიურს და ა.შ. და ა.შ.

ბოლოსდაბოლოს, პროფესიულად და ,,ოპერატიულად'' სამხრეთ ოსეთის ისტორიის ქართულად თარგმნას თავი გაართვა თურმე ლენინგორის ქართული სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ქეთევან იკოევამ, რომელიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. მას აგრეთვე დაევალა მომავალი წლისთვის თარგმნოს ქართულად რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელო.

თუ გავითვალისწინებთ ოსი ისტორიკოსების ,,თვალთახედვას'' და მათ დამოკიდებულებას ისტორიული ფაქტების მიმართ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, ისტორიის როგორ სახელმძღვანელოები შესთავაზეს ქსნის ხეობაში დარჩენილ მოსწავლეებს. სახელმძღვანელოები დაიბეჭდა ჩრდილოეთ ოსეთში.

იმავე ინტერვიუში ვკითხულობთ, რომ ლენინგორის სკოლის დირექტორი ნინო ამირანაშვილი კმაყოფილებას გამოთქვამს დარგის ხელმძღვანელთა მიმართ: - ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ყურადღებას. ქართულ სკოლაში 50 ბავშვი სწავლობს,გაკვეთილები მიმდინარეობს ქართულ ენაზე. დანარჩენი, – ოსური, რუსული, ინგლისური ისწავლება როგორც უცხო ენა. სახელმძღვანელოები ქართული სკოლისთვის შემოდის თბილისიდან, რადგან ცხინვალის მაღაზიებში ქართული სახელმძღვანელოები არ იყიდება.

,,სწავლება წარმოებს ქართულ ენაზე, ჩვენთან კადრების პრობლემა არ არის, ყველა საგანში გვყავს მასწავლებელი. ჩვენ მუდამ ვგრძნობთ რაიონის განათლების განყოფილების მხრიდან ყურადღებას''. https://www.kavkaz-uzel.ru/articles/249716/

აღნიშნულ სტატიას ინტერნეტში ეხმაურებიან ექსპერტები, ზოგიერთი მინისტრს ურჩევს განათლების მინისტრს საერთოდ ამოიღოს ისტორიის სწავლება პროგრამიდან და მისი საათები დაუთმოს ოსური ენის შესწავლას, რადგან მათი აზრით, დღევანდელ



დღეს ისტორიის შესწავლა კონფლიქტურ რეგიონში კიდევ უფრო გააღრმავებს წინააღმდეგობას.

საგანგაშო ფაქტია, როდესაც ოკუპირებული ახალგორის ქართული სკოლის დირექტორი კმაყოფილებას გამოთქვამს იმ ყურადღების გამო რასაც თურმე ,,რესპუბლიკის'' განათლების სამინისტრო იჩენს ქართული სკოლების გამო. თავისთავად ჩნდება აზრი იმის შესახებ, რომ იგი ეთანხმება საქართველოს ისტორიის ,,ოსეთის ისტორიით'' ჩანაცვლებას. ,,განათლების განყოფილება გადამეტებულ ყურადღებას'' ხომ იმის გამო იჩენს ქართული სკოლის სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების მიმართ,რომ ქართველ ბავშვებს სამშობლოს ისტორია დაავიწყოს, და უცხო მიწაზე აგრძნობინოს თავი. განათლების განყოფილების ყურადღება იმაშიც გამოიხატება, რომ ქართულ სკოლებში პედსაბჭოს რუსულ ენაზე ატარებენ. (იკოთის ეთნოგრაფიული მასალა)

ოსების ხელისუფალთა განზრახვა ცხადია. მომავალმა თაობამ არ უნდა იცოდეს ჭეშმარიტი ისტორია, ისინი ისეთი იდეოლოგიით უნდა აღიზარდონ, რომ ,,სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვან'' სამშობლო. ოსურ ჟურნალ-გაზეთებში მრავლად იბეჭდება ასეთი სტატიები,ისინი თვლიან,რომ დადგა ,,ჟამი ქვათა შეგროვებისა'',ასეთი სათაურით გამოქვეყნებული სტატიის ავტორი, პირდაპირ ძალადობისკენ მოუწოდებს ოსებს,მისი თქმითით ოსი ხალხი ადვილად ასიმილირებადია,ამიტომ ქართველთა მიერ მოხდა მათი ასიმილირება და რომ ,,ოსთა ნაციონალური მიდრეკილებაა ასიმილირდეს სხვა ხალხებთან'' უნდა დამთავრდეს და დაიწყოს უკუპროცესი, და რომ ოსეთი დიდი ხნის განმავლობაში ,,არიგებდა თავის ტერიტორიებს,რომლის ბოლო მკაფიო შემთხვევა გახლდათ 1997 წელს საქართველოსთვის გადაცემული ლარსის ხეობა საქართველო-რუსეთის საზღვარზე'', რომ ,,თანამედროვე გორის ტერიტორიაზე XIV საუკუნეში არსებობდა ამიერკავკასიის ალანთა ცენტრი,რომლის საზღვრებიც მცხეთამდე აღწევდა..'' და ა.შ. და ა.შ. და რომ ნაციონალური ტერიტორიების დაბრუნება მნიშვნელოვანი მომენტია ნაციონალური მსოფლმხედველობის განმტკიცებისათვის. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ მართალია ეს ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ მთავარია ,,ჩვენ ვიცოდეთ რომ ჩვენი სამშობლოს ნაწილი ჯერ კიდევ იმყოფება ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ და ვიფიქროთ მის დაბრუნებაზე. რომ ყველა ოსურ ოჯახში ისმოდეს სადღეგრძელო: რათა მომავალ წელს ჩვენ შევსვათ თრუსოს ხეობის წყალი, ან იმისთვის რომ მომავალ წელს ჩვენ ბოლოს და ბოლოს ვილოცოთ თარანჯელოს (Таранджелос) სალოცავში. არაფერი ირეალური ამაში არ არის. ჯერ ხომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, მიუხედავად თავგანწირული ბრძოლისა, ჩვენ თვითონაც არ გვჯეროდა, რომ მოვიპოვებდით აბსოლუტურ გამარჯვებას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და რესპუბლიკის აღიარებაში. ახლა ჩვენს ყულაბაში, გარდა რუსეთისა არის ნიკარაგუას, ვენესუელას და ნაურუს აღიარებაც და ეს მხოლოდ ნაწილია დიდი ალანიის აღორძინების საქმეში. დადგა ჟამი ქვათა შეგროვებისა. და დაე ეს მოხდეს ათეული წლების შემდეგ. ამის შესახებ ლაპარაკი უკვე დღეს არის საჭირო''. ( Кулумбегов 2011). კულუმბეგოვი მოუწოდებს ოს ხალხს,რომ ,,ოსების ნაციონალურ იდეად უნდა იქცეს ოსთა ეთნიკური ტერიტორიების, მიწების დაბრუნება და გაერთიანება'', ეს მიწები კი ქართველებს აქვთ მიტაცებული. მაშასადამე ოსთა მომავალი თაობა (რომელთა წინაპრები საქართველოს მიწაზე ხიზნებად შემოვიდნენ), ქართველების სიძულვილით უნდა იზრდებოდნენ. ასეთი ისტორია უნდა ასწავლონ ახალგორის ქართულ სკოლებშიც; ასეთია დღეს სამწუხარო რეალობა.

ახალგორიდან დევნილთა გაზეთში ვკითხულობთ: ..როგორც გვითხრეს, არცერთ ქართულ სკოლაში ქართულ წარწერას ვერ ნახავთ, თვით სკოლის სახელწოდებაც კი – აბრევიატურაც რუსულია. არადა ახალგორში ყოველთვის იყო რუსული სკოლა, სადაც რუსულ ენაზე არსებული წარწერების აკრძალვას ადგილობრივი ქართული ხელისუფლება არათუ არასოდეს გააკეთებდა, ფიქრადაც კი არ გაივლებდა.“ („ახალგორი“ 2013).

ახალგორის რუსულ სკოლაში 2008 წლიდან ასწავლიან „ოსეთის ისტორიას“. ეს წიგნი, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ მოვიპოვეთ, რადგან როგორც გადმოგვცემენ ის მხოლოდ მასწავლებელს აქვს, ბავშვებს კი აწერინებს.

ვფიქრობთ, ისტორიის სწავლება საქართველოს სკოლებში მოითხოვს გაუმჯობესებას. ჩვენს მომავალ თაობას სამშობლოს ისტორია ისე უნდა ვასწავლოთ, რომ მათ შეეძლოთ პასუხი გასცენ საქართველოს ისტორიის გამყალბებლებს. თორემ რა გამოდის, როდესაც დამკვიდრდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ ეს ალბათ ნაკლებ ბოროტებად ჩაითვალა, არა და ამ ტერმინმა არა მარტო ოსების, არამედ, როგორც ჩანს, ქართველთა შეგნებაზეც „იმუშავა“. 2008 წლის ომის შემდეგ, იმავე წელს ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა, 18 წლის ახალგაზრდამ (ე.ი. თითქმის კონფლიქტის დასაწყისის ასაკის) ასეთი რამ მითხრა, „თუ სამხრეთ ოსეთია, ე.ი. ოსეთი ყოფილა და რას ვერჩით იმ ხალხს, თავიანთ ქვეყანაში არიან და დავანებოთ თავიო“. ამით კარგად ჩანს თუ როგორ მოქმედებს ტერმინები ადამიანის შემეცნებაზე და, ბუნებრივია, ვინც ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ დაამკვიდრა ეს ძალიან კარგად იცოდა, აქვე მივუთითებთ, რომ ეს ტერმინი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩნდება (ამის შესახებ იხ. „ქსნის ხეობის ისტორიულ-ეთნოლოგიური მიმოხილვა).

ცხინვალში კი მშვენივრად იციან როგორც ტოპონიმების, ისე ისტორიის მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი საკუთარი ქვეყნის ისტორიის როლი მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. დღეს ახალგორის ქართული სოფლების ისეთ სახელებს შევხვდებით ოსურ/რუსულ გამოცემებში, რომ ზოგჯერ ძნელი გასაგებია რომელ სოფელზეა საუბარი. ქსნის ხეობის სოფლებისთვის სახელების გადარქმევა მათ უკვე 2008 წლიდან დაიწყეს, ასე მაგ: ახალგორს რომ დაუბრუნეს საბჭოური სახელი ლენინგორი, სოფელი მოსაბრუნს დაარქვეს – რაზდახან (Раздахан); ნაგომევსაც – ტიდჟიტა (Тыджыта); ჟამურს – ძიმირ (Дзимыр); ქარჩოხს – კარცუხ (Карцух); ალევს – Алеу; და ა.შ.

ზემოაღნიშნული მიზანმიმართული ქმედება ოსური მხარისა, რომ უფრო ნათელი გახდეს რამდენიმე მაგალითს მოვიტან. 2015 წლის 3 მარტს, ცხინვალის №5 სკოლაში ჩაატარეს ე.წ. „ვაჟკაცობის გაკვეთილი“, რომელიც „სამხრეთ ოსეთის“ რესპუბლიკის საგანმანათლებლო დაწესებულებებში მამულის დამცველთა დღეს მიეძღვნა, მას რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე იგორ ალბოროვი და მაიორი ალექსანდრე ალბოროვი ესწრებოდნენ. სკოლის დირექტორის მოადგილემ (სასწავლო ნაწილმა) დამსწრეებს გაახსენა 2008 წლის მძიმე დღეები და აღნიშნა: „როცა ომის შემდეგ სკოლაში მოვიდნენ ბავშვები, ჩვენ გამოვაცხადეთ კონკურსი თემაზე „ომი ბავშვის თვალებით“, და დღეს მე მინდა გაგაცნოთ ერთი თხზულება, რომლის ავტორი მაშინ მეხუთე კლასში იყო, ეხლა კი მე-11 კლასის მოსწავლეა, მისი თხზულების სათაურია – „ომი ჩემს ოჯახში“. „დარბაზში ყველას მოერია ცრემლი, როდესაც მოისმინეს სულისშემძვრელი ისტორია. გოგონა წერდა, როგორ გადაიტანა მისმა ოჯახმა ეს ომი, რომელმაც ბევრის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის მისი 12 წლის ძმისაც, რომელიც მეშვიდე კლასის მოსწავლე იყო, მას საქონელი ჰყავდა საძოვარზე გარეკილი (ომის შემდეგ), როდესაც ომის დროს დარჩენილ ნაღმზე აფეთქდა. თხზულება ასე მთავრდება: „დიახ მე არ მინახავს ომის ის საშინელი დღეები (ის გაგზავნილი იყო რესპუბლიკის გარეთ), მაგრამ ყოველ დღე ვხედავ დარდისგან მოკლულ დედას, დაბერებულ მამას და მომღიმარი ძმის ფოტოსურათს, რომელიც მუდამ 12 წლის იქნება“.

ამ სკოლაში ჩატარებული ღონისძიებას წითელ ხაზად გასდევს ქართველი დამპყრობლების მიმართ სიძულვილის გაღვივება, ცნობილია, რომ 2008 წლის ომის დაწყებას ოსური და რუსული მხარე საქართველოს აბრალებს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროდ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება წამოეგო პროვოკაციას, რომელსაც რუსული მხარე დიდხანს და მონდომებით ამზადებდა. „2008 წლის მაისში რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა იური ბალუევსკიმ ნატო-რუსეთის თანამშრომლობის ფარგლებში მოსკოვში გამართულ მორიგ კონსულტაციებზე ჩასულ ნატოელ კოლეგებს სალდაფონური პირდაპირობით უთხრა – ამ ზაფხულს საქართველოში შეიძლება ომი ატყდეს, ამიტომ გირჩევთ იქ დაგეგმილი ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნები გადადოთო“. (ბლუაშვილი 2014: 17) შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ რუსი გენერალი არ ხუმრობდა. ვფიქრობთ ზემოთქმული პასუხობს კითხვას – ვის ინტერესებში შედიოდა და ვინ დაიწყო ომი.

№5 საჯარო სკოლაში „რესპუბლიკის“ თავდაცვის მინისტრის მოადგილე იგორ ალბოროვი მადლობას უხდის სკოლის დირექციას ბავშვთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის და ბავშვებს მიმართავს: „თქვენ ბავშვებო,– სამშობლოს მომავალო დამცველოებო ..“ და ვისგან უნდა დაიცვან სამშობლო ქართველებისგან, „ისინი ამ მიწის დამპყრობლები არიან“, და ა.შ. და ა.შ. სამწუხაროდ ასეთია დღეს რეალური სურათი ე.წ. სამხრეთ ოსეთში ბავშვთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისა. დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში კი ქართველი და ოსი ბავშვები ერთად იზრდებიან, ერთად სწავლობენ იმ ქვეყნის იტორიას რომლის შვილებიც არიან.

ვფიქრობ საჭიროა თვალი გადავავლოთ ქართველი ბავშვების ანალოგიურ თხზულებებსაც, რომლებიც ასევე დაიწერა კონკურსისთვის - „ცხოვრება ომის შემდეგ“, 2009 წლის აგვისტოში, ომიდან ერთი წლის შემდეგ, რომლებმაც წართმეული აქვთ უფლება საკუთარ სახლში დაბრუნებისა. ამ თხზულებათა ავტორებიც 10-17 წლის მოზარდები არიან, ცხინვალელი ბავშვებისაგან განსხვავებით (რომლებიც წინასწარ გახიზნეს ალანიაში), მათ თავიანთ თავზე გადაიტანეს აგვისტოში რუსეთის აგრესიის ყველაზე ცხელი დღეები „ბრძოლის ველად ქცეულ საკუთარ სახლებში

ახალგორიდან დევნილი თამარის თხზულებიდან: „2008 წლის აგვისტოში მე ახმაჯში ვიყავი. სოფელი ჟრიამულს მოეცვა. 7 აგვისტოს დილით შემზარავი ამბავი გავიგეთ. საქართველოში ომი დაიწყო!“„.. ..ომიდან ორი თვის შემდეგ შევედი ჩემს სოფელში. ქუჩებში ხალხი არ დადიოდა. სამარისებული სიჩუმე სუფევდა. აქა-იქ რუსული ლაპარაკი ისმოდა“ „.. მენატრება ჩემი სოფელი. მდინარე ქსანში ბანაობა,

ახლა იქ რუსი ჯარისკაცები ბანაობენ“..ამ გოგონას 2011 წლიდან უკვე აღარ უშვებენ საკუთარ სახლში. (ბუთხუზი 2002:4-6)

ბექა 17 წლის, ახალგორის რ-ნი სოფ. წირქოლი: „როგორია ცხოვრება ომის შემდეგ? – ალბათ, არც ღირს მოყოლა, თუ გავიხსენებთ და შევადარებთ იმ პერიოდს, როდესაც ჩვენს მშბლიურ და უსაყვარლეს მხარეში ვცხოვრობდით. უფრო სწორად სიცოცხლით ვტკბებოდით“, „ვცხოვრობთ იმ იმედით, რომ ძალიან მალე შევძლებთ სანატრელ ხეობაში დაბრუნებას“.. ..(ხალიბეგაშვილი 2009:30-31).

სამწუხარო ტრადიციად ჩამოყალიბდა, რომ ქსნის ხეობიდან დევნილი ბავშვების, წეროვანის საშუალო სკოლის მე-12 კლასელების „ბოლო ზარი“ სოფელ ახმაჯთან, ქართველთა საგუშაგოსთან „ირეკება“,ეს ერთადერთი სოფელია,რომელიც საგუშაგოდან ჩანს. ბოლო გაკვეთილის შემდეგ მიდიან აღნიშნულ საგუშაგოსთან,უმღერიან დაკარგულ სახლ-კარს, მშობლიურ ხეობას, იცეკვებენ, იტირებენ და გულმოკლულები ბრუნდებიან წეროვანში.

ქსნის ხეობის ბავშვებისაგან განსხვავებით ლიახვის ხეობის ბავშვები ყოველ დღე უყურებდნენ ომის სურათებს, ვითომ რატომ არ იყო ომი, როდესაც ცხინვალის მხრიდან ხდებოდა ქართული სოფლების ყოველდღიური დაბომბვა? და რატომაა ომი ცხინვალის დაბომბვა? იქნებ ახსნას ვინმემ. კეხვიდან დევნილი ლაზარეს თხზულებიდან: „დროდადრო ჩემს მშობლიურ სოფელ კეხვში სროლები ისმოდა. შევეჩვიეთ და არავის ეშინოდა. არც აგვისტოში შეშინდნენ, მორიგი დაძაბულობა ეგონათ. მშობლიური კერის მიტოვება არავის უფიქრია“, „..შემდეგ უკვე ყველამ გაიგო, რომ ოსი ხალხის გადარჩენის საბაბით, რუსეთის არმია შემოვიდა გვირაბიდანო. თვითმფრინავებიც მომრავლდა ცაში და ჯოჯოხეთიც დაიწყო“, „.. ღმერთო რატომ დაუშვი, რომ ადამიანს ასეთი საბაბის მოგონება დასჭირებოდა: ერთის ვითომდა გადასარჩენად მეორეს მოვკლავ, მესამეს სახლს დავუწვავ, მეოთხეს –დავაობლებო“. „ოს ხალხს ვიცავდიო, რუსს რომ ჰკითხო – ვისგან იცავდა და რაც მთავარია, როგორ დაიცვა? უდანაშაულო ადამიანების სისხლის ფასად, ასეულობით სახლიდან აყრილ ადამიანთა ცრემლისა და ტანჯვის ფასად?! ისიც საკითხავია, საერთოდ დაცვა უნდოდათ?! ნუთუ ოსი ხალხის დაცვის გამო შეესივნენ ჩვენს სახლებსა და ბაღებს, ჯერ რომ გაძარცვეს და მერე დაწვეს?! ჩემი სახლი იყო ოსი ხალხის თვითმყოფადობის ხელისშემშლელი, მიწასთან რომ გაასწორეს?!“(ზანგალაძე 2009:10-12).

ზნაურის რ-ნი სოფ. ახალშენი, 10 წლის სოფია: „რომ მახსენდება ჩემი სკოლა დაწვეს ოსებმა, სიბრაზისაგან ვტირი“.

13 წლის მარიამი, სოფელ ხეითიდან: „რაც საკუთარი არსებობა შევიცან, სულ ომია, გაუთავებელი ომი, შუღლი, მტრობა და ქიშპობა. ბავშვობიდანვე ვგრძნობდი მტერთაგან შევიწროებას, ვხედავდი, როგორ გვიხდებოდა დიდსა და პატარას დიდი ლიახვის დაცვა“, „..მაინც რა მუხთალი ყოფილა წუთისოფელი, საკუთარ სამშობლოში დევნილად რომ იქცევი!!! როგორი გულსატკენია ყველაფერი ვერც კი წარმოიდგენთ“, „..ბედნიერი ვიქნებოდი, ეს თემა ჩემს სოფელში, ჩემს სკოლის მერხზე დამეწერა“... (კვარიანთაშვილი 2009:16.).

შორენა, 14 წლის სოფ. ვანათი, პატარა ლიახვის ხეობა: „ჯერ მხოლოდ 14 წლის ვარ და რაც დავიბადე, დაუსრულებელი ომია.. ჩემს ძმებთან ერთად გამოვიქეცი



სამშვიდობოს, თავი ნათესავს შევაფარეთ.. .. ძალიან ძნელი აღმოჩნდა იმ აზრთან შეგუება, რომ სხვა ათასობით ადამიანთან ერთად, მეც უსახლკარო და ლტოლვილი მერქვა.. .. ეს სტატუსი ერთბაშად მძიმე და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა.. ..აქ წეროვანში, ამ ცხელ ზაფხულში საოცარ დეფიციტს ვგრძნობდით ხმაურიანი, ამაყი ლიახვის..“

„მე მენატრება ჩემი სოფელი,

ჩემი სახლი და ჩემი მამული.

მე მინდა მისვლა პაპის საფლავზე

კიდევ აუნთო წმინდა სანთელი“.. (ჯოჯიშვილი 2009:36-38), შორენას მსგავსად ყველა ლტოლვილს ენატრება და პასუხისმგებლობას გრძნობს წინაპართა საფლავებზე დაუნთებელი სანთლის გამო.

მარიამი 12 წლის, სოფელ ერედვიდან, პატარა ლიახვის ხეობა: „ამ ომმა ჩემს ცხოვრებას დიდი დაღი დაასვა. ეს იყო ჩემთვის და ჩემი თანატოლებისათვის ყველაზე დიდი ტრაგედია.. ზარბაზნების ხმა, აფეთქებები. ჩვენ ამ საშინელი სროლების დროს, უფროსებმა მეზობლის სარდაფში ჩაგვიყვანეს, სადაც სიცივე და სიბნელე იყო. გვენთო მხოლოდ სანთელი. თოთო ბავშვებიც იქ იყვნენ. შიშით დედას ვეკვროდი და ყოველ გასროლაზე ვტიროდი..“. (ბერუაშვილი 2009:42-43).

ეს ბავშვები იმ ხეობებისა და სოფლების შვილები არიან, რომლებიც 1922 წელს მიუხედავად პროტესტისა ძალით შეიყვანეს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“, გამოგონილი „ეთნოგრაფიული“ მიზეზებით, ოსი ბოლშევიკები ქართველ და რუს თანაპარტიელებს სთხოვდნენ, „იმისათვის რომ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ“ იფუნქციონიროს სრულყოფილად საჭიროა ქართული ქალაქი ცხინვალი და მიმდებარე 40 ქართული სოფელი შევიდეს მის შემადგენლობაში“. (იხ. .ბურდული, თავი I)

ქართულ-ოსურ ურთიერთობაზე მსჯელობისას, ერთიმეორისაგან უნდა გავმიჯნოთ ყოფით დონეზე, მეზობლებს შორის ურთიერთობა, სადაც ჯერ-ჯერობით მართლა არაფერია შეცვლილი ქსნის ხეობის ქართველ და ოს ხალხს შორის, ისინი კვლავ იზიარებენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს, და მეორე, როცა ამ ხალხების პოლიტიკურ ხელმძღვანელთა დამოკიდებულებაზეა საუბარი.

მაგ; ზემოთნახსენებ მე-5 სკოლის ღონისძიებაზე მისული თავდაცვის მინისტრის მოადგილე იგორ ალბოროვი ბავშვებს ესაუბრება „რესპუბლიკის“ თავდაცვის ძალების ისტორიაზე, აღნიშნავს: რომ „ იგი ჩამოყალიბდა 1993 წელს, როცა სასტიკი მმტერი ემუქრებოდა მათ სამშობლოს, ამ წელს თავდაცვის სამინისტროს შეუსრულდა 22 წელი. ახალგაზრდა არმიას არ ჰქონდა საკმარისი ძალა და საშუალებები, რომ წინაღდგომოდა სასტიკ მტერს, რომელიც რიცხობრივად აღემატებოდა ჩვენს ძალებს, აგრეთვე არ გვქონდა იარაღი, ბიჭები სანადირო თოფებით იყვნენ შეიარაღებულები, ავტომატი იშვიათობა იყო. იქმნებოდა პატარა ჯგუფები, შემდეგ გამოჩნდა იარაღიც, საკუთარი ხარჯებით შეძენილი. თქვენი მომავლისათვის ჩვენ იძულებული ვიყავით სამშობლოს სადარაჯოზე დავმდგარიყავით“.

ასეთი მილიტარისტული სულისკვეთებით ზრდიან ახალგაზრდებს, მაგრამ

საინტერესოა, როგორ მოხდა, რომ რიცხობროვად და შეიარაღებით ბევრად ჭარბ, „სასტიკ მტერს“ (როგორც ისინი სახავენ საქართველოს ჯარს და ქართველებს,თუ მათ მართლაც ოსების დარბევა-გადაშენება სურდათ) სანადირო თოფებით შეიარაღებულმა მცირერიცხოვანმა ოსმა ახალგაზრდებმა როგორ გაუწიეს წინააღმდეგობა. მის პასუხსაც ვიპოვით მათ დღევანდელ პერიოდულ პრესაში დაბეჭდილ მრავალრიცხოვან სტატიებში, სადაც, რა თქმა უნდა ოსი ხალხის „მტერზე და გადაშენების მოსურნე ქართველებზე“ ავტორები „ტკბილ“ სიტყვებს არ იშურებენ. გაზეთ „Республика“-ს 2012 წლის 29 მარტის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „Музей войн новейшего времени:создать, нельзя откладивать“ ინალ ტიბილოვი წერს, რომ საჭიროა ცხინვალში შეიქმნას 1989-2008 წლის მოვლენების ამსახველი მუზეუმი, რადგამ მსოფლიოს ყველა ქვეყანას აქვს საბრძოლო დიდების მუზეუმი და ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, „რომელთა წინაპრები მთელ მსოფლიოში ითვლებოდნენ და ითვლებიან დღესაც, ელიტარულ მეომრებად, (воинской элитой) ხალხი, რომელიც თითქმის უიარაღოდ ვიდექით ტყვიმფრქვევების, „გრადების“, მძიმე არტილერიის ავიაციისა და ტანკების წინაშე და არ გავტყდით, სირცხვილია არ გვქონდეს ადგილი, სადაც ჩვენი ბავშვები გაიგებენ და დააფასებენ მამებისა და პაპების გმირობას..“ „...ჩვენმა მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს როგორ და ვინ მოუტანა ჩვენს მიწას დამოუკიდებლობა და თავისუფლება“.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ადვილი გასაგები უნდა იყოს ისტორის როგორი სახელმძღვანელოთი სწავლობენ ახალგორის ქართულ სკოლებში.

ზემოთ წარმოდგენილი, №5 სკოლაში ჩატარებული ღონისძიებისა და იქ გამეფებული განწყობის სრული ალტერნატივაა,საქართველოში შექმნილი „საქართველო ფინეთის მეგობრობის ასოციაცია, თბილისი – ჰელსინკი და ევროპული ალიანსი საქართველოსთვის“ საქმიანობა. ასოციაცია და მისი პრეზიდენტი მანანა მაჭავარიანი ქართველი და ოსი, ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების დაახლოების, მათ შორის ნდობის გაჩენის საქმეს ემსახურება. პროგრამის ფარგლებში, როგორც ქალბატონი მანანა გადმოგვცემს, 500 ახალგაზრდაა უკვე ცხინვალიდან და სოხუმიდან თბილისში ჩამოსული. „ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რომ აქ მათი მტრები არ არიან“. ჩამოსული ახალგაზრდებისთვის ეწყობა ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ტარდება შემეცნებით გასარტობი ტურები, უტარდებათ ლექციები და სხვ.

პირველი ორი-სამი დღე ჩამოსული და ქართველი ახალგაზრდები (იმავე რეგიონებიდან დევნილები) ერთმანეთთან მორიდებულები არიან, შემდეგ კი მათ შორის ნორმალური ურთიერთობა მყარდება. პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდები წარმოადგენენ თავიანთი ერის კულტურას, ხელოვნებას რაც კიდევ უფრო აახლოებს მათ.

ცხინვალში გამეფებული ანტიქართული განწყობილება თბილისშიც მოჰყვებათ ცხინვალელ ახალგაზრდებს, კერძოდ 2011 წელს ცხინვალიდან ჩამოვიდა 14-15 ბავშვი. „შემოქმედი ახალგაზრდები მოდიან, რომ აჩვენონ თავიანთი ტრადიციული კულტურა. მათ მოჰყვებიან თავიანთი პედაგოგები. ამ ბავშვებს ვთხოვეთ წარმოეჩინათ თავიანთი თავი,ჩამოიტანეს ჩანაწერი. გამოდის სამი გოგო (გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ) სცენაზე და იწყებენ სიმღერას, „ცხინვალო ჩემო გმირო ქალაქო“, რომლის შინაარსიც ასეთია, - როგორ შემოგესივნენ საშინელი ქართველები, როგორ მოიგერიეს ოსებმა ეს



დამპყრობლები, როგორ დაიღვარა სისხლი და ა.შ. დარბაზში ესწრებიან ცხინვალიდან ლტოლვილი ქართველი ბავშვებიც. მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ეს მომღერლები, ქართველი ბავშვების სახლებში ცხოვრობენ. სიტუაცია ცოტა დაიძაბა. ერთი ოთხი დღე ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. შემდეგ პედაგოგი, ფსიქოლოგი დაელაპარაკა, აუხსნა თბილად სიტუაცია, შემდეგ ცხინვალელმა ბავშვებმა ბოდიში მოიხადეს „ჩვენ ასე გვასწავლიანო“. (მაჭავარიანის მასალა)

მიუხედავად 2008 წლის ომის შედეგებისა, მიუხედავად იმისა რომ საკუთარ სახლებში შესვლას სხვა უწესებს, ახალგორიდან დევნილმა საბავშვო ბაღის ქართველმა დირექტორმა გაოცება ვერ დამალა, როდესაც ვთხოვეთ ბავშვების ეროვნული სტატისტიკური მონაცემი მოეცა. *„ახალგორიდან წამოვიდნენ ოსებიც და ქართველებიც. ნამდვილად არ ვიცით საბავშვო ბაღში რამდენი ქართველი და რამდენი ოსი ბავშვია, ამაზე არასოდეს არ დავფიქრებულვართ. 475 ბავშვი გვყავს, წილკნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებთა ბავშვებიც ჩვენთან დადიან, ფრეზეთშიც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი”. (წილკანი 2013).*

წეროვანის საბავშო ბაღში ყველა პირობაა შექმნილი ბავშვების ნორმალური აღზრდისათვის, საბავშვო ბაღის შენობა სრულად აკმაყოფილებს ასეთი დაწესებულებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. შერჩეულია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივი დევნილი პედაგოგების რიგებიდან.

**წეროვანის საბავშო ბაღის შენობა**

წილკანის დასახლების ბავშვებიც წეროვანის საბავშვო ბაღში დაჰყავთ ავტობუსით. აღსანიშნავიაია, რომ 2015 წლის 25 თებერვალს წილკანის დევნილთა დასახლებაში ეკურთხა მშენებარე საბავშვო სახლის საძირკველი და პატარა ბავშვებს თავიანთ სოფელშივე ექნებათ შესაბამისი დაწესებულება. როგორც გადმოგვცეს წილკანში საბავშვო ბაღი ახალგორის ოთხი ბაღის გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა. პედაგოგებიც ძირითადად ახალგორელები არიან, ფრეზეთშიც მოქმედებს საბავშვო ბაღში,რომელიც ჯერჯერობით კოტეჯშია განთავსებული,2015 წელს ამ დასახლებაშიც დაიწყო საბავშვო ბაღისთვის შესაბამისი შენობის მშენებლობა.

მცირე რაოდენობა საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვებისა ახალგორშიც არიან. იქ ორი საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. „ბაღის მასწავლებლებს იქ ბევრად მეტი

ხელფასი აქვთ, 700- 800 ლარი აქვთ ხელფასი, როცა ჩემთან 240 ლარია, ვინც აქ ვერ დასაქმდა დაბრუნდნენ და იქ მუშაობენ. ხელფასს რუსები უხდიან“ (წეროვანის მასალა).

ახალგორში ქსნის ერისთავთა სასახლეში იყო განთავსებული და საბედნიეროდ დღემდე მოქმედებს ,,ქსნის ხეობის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტორის მუზეუმ–ნაკრძალი“. თანამშრომლების უმეტესობა მუზეუმში ომამდეც მუშაობდა, ძველი თანამშრომლებიდან რამდენიმე გაათავისუფლეს,როგორც აგვიხსნეს ,,თანხებზეა ყველაფერი დამოკიდებული“,,,იმათ“ (ოსებმა) დაამატეს ორი თანამშრომელი. ,,იმათი მხრიდან გავხდით რვანი და ქართული მხრიდან ვართ ცამეტი, (ე.ი. ოსების მიერ გათავისუფლებული თანამშრომლების ჩათვლით) ორივე მხარე გვაძლევს ხელფასს“. ხელფასების დონე მუზეუმში დაბალია და როგორც ამბობენ შეურაცხმყოფელი, მაგ; დირექტორის ხელფასი არის 8400 რუბლი, ხოლო ქუჩის მეეზოვე 14000 რუბლს იღებს.

როგორც ინფორმატორი აცხადებს:,,სამეცნიერო მუშაობებს ჩვენ აღარ ვაწარმოებთ, ჩვენი ძირითადი სამუშაო ეხლა არის შევინარჩუნოთ და გადავარჩინოთ ის რაც გვაქვს. ჩვენ ვფიქრობთ რომ ვუწევთ ქართულ კულტურას აგიტაცია-პროპაგანდას, არც ერთი რუსი მაღალჩინოსანი არ წასულა ახალგორიდან ისე, რომ მუზეუმი არ დაეთვალიერებინა,ეხლა იყო ჩამოსული პუტინის მრჩეველი ამიეკავკასიის საკითხებში სურკოვი და თავად ითხოვა, რომ მოეყვანათ მუზეუმში. ეს იმას ნიშნავს, რომ მასთან არის მისული მუზეუმის შესახებ დადებითი ხმები და სურდა თვითონ ენახა. ბუნებრივია მას თავისი ინტერესები ჰქონდა. გამოიკითხა ექპონატების შესახებ, რაღაც-რაღაცეები აინტერესებდა, როგორც ჩანს მას ინფორმაცია ჰქონდა და ამ ინფორმაციის გადამოწმება უნდოდა. ქსნის ხეობის კუთვნილებაზე არ ვლაპარაკობთ, რომ მოდიან გვეუბნებიან, რომ ჩვენ სხვა სახელმწიფოში აღმოვჩნდითო. ზოგიერთი აპროტესტებს, რომ ,,ყველაფერი ქართულიაო“, ,,რათ არის ქართულიო“, ,,აქ რათ მოვედი რა მინდოდაო“,– თავისთავზე ბრაზდება ხოლმე ზოგიერთი, და ა.შ. მუზეუმის ექსპოზიცია არ შეცვლილა, ყველაფერი ისეა, როგორც იყო. ერთადერთი ქართული წარწერების გვერდით გაკეთდა რუსული წარწერებიც. მუზეუმის საქმიანობაში ჯერჯერობით არ ჩარეულან. ჩვენი ფუნქცია დღეს გარდა იმისა რომ შევინარჩუნოთ რაც გვაქვს, არის ისიც, რომ მივიღოთ და დავიცვათ განადგურებისაგან ახალი, შემთხვევით აღმოჩენილი და ჩვენს ხელთ მოხვედრილი ექსპონატები“ (ახალგორის მასალა).

ყველა რესპოდენტი, ქართველიც და ოსიც, ერთხმად აღიარებს რომ ახალგორში, ქსნის ხეობაში მძიმე დემოგრაფიული და ეკონომიური მდგომარეობაა: ,, საერთოდ ძალიან რთული სიტუაციაა და ვცდილობთ ერთმანეთს პრობლემები არ შევუქმნათ, უამრავი აგენტია ჩამოსული. ასევეა უშიშროებაშიც, სადაც ძირითადად ჩამოსული ოსები მუშაობენ“. ალბათ ამიტომ ერთგვარი გაუცხოების დასაწყისის საშიში ნიშნები ჩანს ახალგორელი ქართველი რესპოდენტის გულისტკივილით ნათქვამ სიტყვებში: ,,გარეგნულად ქართველებსა და ოსებს შორის არაფერი შეცვლილა, გულში რას ფიქრობენ (ოსები) არავინ იცის. ქუჩაში რომ მიდიხარ და შეგხვდება ერთი ოსი შენზე უკეთესი არავინ არ ჰყავს ისე მოგეფერება და ინატრებს ძველ დროს, როდის დაბრუნდება ის ,,ძველი დრო“ ის უნდა, მაგრამ თუ ორი ოსი მოდის (მათ შორის ის ვისზედაც ზემოთ ვსაუბრობდი) ისე ჩაგივლის თითქოს არ გიცნობდეს. არ ვიცი ეს



რისი ბრალია, ერთიმეორის ეშინიათ, უშიშროებაში დაბეზღების თუ სხვა რამ მიზეზია ძნელი სათქმელია“ (ახალგორის მასალა).

რესპოდენტების თქმით 2008 წლის და დღევანდელი სიტუაცია განსხვავდება, მაშინ ,,ოსები რაღაც ეიფორიაში იყვნენ, მერე თანდათან მიხვდნენ, რომ საშინელება გაუკეთეს საკუთარ თავს, რომ ყველაფერი ისე არ მოხდა როგორც მოელოდნენ. XX ს-ის 90-იან წლებში წასული ოსები ვერ ჩამოიყვანეს არ უნდათ დაბრუნება ერთი ორის გარდა.

როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან გამოჩნდა, სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, ქსნის ხეობაში დემოგრაფიული მდგომარეობა საგანგაშოა, ეს განსაკუთრებით ქართველების რაოდენობაზე ითქმის,თორემ ცხინვალის ხელისუფლება ცდილობს მოსახლეობის ეთნიკური სურათი შეცვალოს, ამის ნათელი მაგალითია, ბავშვთა სახლის ქვაისიდან ახალგორში გადმოყვანა. ქართულ სკოლაში სასწავლო პროგრამის ცვლილება, საქართველოს ისტორიის ამოღება, მომავალი თაობის ცნობიერების შეცვლას ისახავს მიზნად, რათა ,,ისტორიული ფაქტები და მოვლენები ოსი ისტორიკოსების თვალთახედვით იყოს წარმოდგენილი“. სამწუხარო კი ის არის, რომ ამის შეჩერების მექანიზმი არ ჩანს.

### II. ჯანმრთელობის პრობლემები ქსნის ხეობაში დარჩენილ და იქიდან დევნილ მოსახლეობაში

ცნობილია,რომ საომარ მოქმედებაში მოხვედრილ ადამიანებს გახანგრძლივებული სტრესი ახასიათებთ,რასაც ემატება საცხოვრებელი ადგილის შეცვლითა და ცხოვრების ახალი წესებით გამოწვეული ხანგრძლივი ემოციური დაძაბვა უკვე დევნილობაში, რაც ამძიმებს ფსიქო-ნევროლოგიურ ფონს,ეს კი დევნილთა ჯანმრთელობის მდგომარეობას აუარესებს.

როგორც ეთნოგრაფიული მასალის, ისე სამედიცინო დაწესებულებიდან აღებული მონაცემებიდან ჩანს,რომ დევნილ მოსახლეობაში მომატებული ფსიქო-ნევროლოგიური ფონის გამო გახშირებულია ისეთი დაავადებების რიცხვი, როგორიცაა: ნევროზი და დეპრესია. ზემოაღნიშნული დაავადებები უფრო მეტად აწუხებთ 30-50 წლამდე ასაკის ადამიანებს, სავარაუდოდ 10 ადამიანიდან, რომელთაც ეს დიაგნოზი დაუსვეს 8 არის ამ ასაკის და მათ შორის უმეტესობა მამაკაცია. აღსანიშნავია, რომ ამ მიზეზით დაფიქსირებულია სამი სუიციდის შემთხვევა. ჯანმრთელობის თვალსაზრისით უკეთესი მდგომარეობა არც ხეობაში დარჩენილ მოსახლეობაშია.

დრო გადის ფსიქო-ნევროლოგიური ფონი კი არ კლებულობს. ბოლო გამოკვლევების მიხედვით მომატებულიც კია, ამისთვის მრავალი მიზეზი არსებობს, მაგ; *პირველად ყველას მიანიჭეს დევნილის სტატუსი, ეხლა ხდება ამ სტატუსის გადამოწმება. საკმარისაია 2008 წლის აგვისტოს თვეში სადმე მუშაობა ან ყოფნა დაუფიქსირონ, რომ უხსნიან დევნილის სტატუსს. მაგ; ჩაწერილია ახალგორში, აქვს ახალგორის პირადობა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში არ იმყოფებოდა ახალგორში, უხსნიან დევნილის სტატუსს. იქ დარჩენილებს კი ,,ულაპარაკოდ აძლევენ დევნილის სტატუსს“,– წუხან წეროვანში ჩასახლებული დევნილები.* მათი შეშფოთება გასაგებია, ვინაიდან დევნილის სტატუსზეა მიბმული ყველაფერი:ბინა,სოციალური თუ დევნილის დახმარება და ა.შ. ცხინვალის მხარეც აღარ აძლევს ყველას შესასვლელ საბუთს.

ადრე უფრო ბევრი შედიოდა ბევრს ჰქონდა საბუთი, ეხლა ნახევარსაც აღარ აქვს. ადრე უფრო იმედი ჰქონდათ მდგომარეობის გამოსწორების, რაც დრო გადის ეს იმედიც ეწურებათ. მას ემატება უმუშევრობა და სხვ.

როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, პირველ წლებში დევნილთა ჯანმრთელობაზე უფრო მეტად ზრუნავდნენ, ბევრი პროგრამა მუშაობდა. ერთხელ იტალიის საელჩომ დააფინანსა, რვათვიანი პროექტი იყო და შემოჰქონდათ წამლები, მერე ჩეხეთის სამწლიანი პროგრამა იყო, პერიოდულად ჩადიოდნენ ექიმები და ჩაჰქონდათ წამლები. მამოლოგიურ გამოკვლევების პროგრამა იყო. გარკვეული დახმარებები ეხლაც ხდება. დღესდღეობით ტარდება ერთჯერადი აქციები, სხვადასხვა დარგის ექიმთა ბრიგადები ჩადიან დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და მოსახლეობას უტარებენ გამოკვლევებს. ამ ღონისძიებებს ატარებს, როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები. სამედიცინო ბრიგადების დასახლებებში ვიზიტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ხდება წინასწარ. წლების მიხედვით ჯანმრთელობის სამინისტროსა და სხვადასხვა არასამთავრობოთა მიერ განხორციელებული მუშაობის ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

„დევნილთა ერთჯერადი სამედიცინო გამოკვლევა და დახმარება დააფინანსა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლის განხორციელებისათვის ექიმთა კვალიფიკაციური ბრიგადა ეწვია წეროვანს. მათ გამგეობის შენობაში მიიღეს სხვადასხვა პროფილის 100-დე პაციენტი, რომელთაც წამლები გამოუწერეს და გადასცეს“. („ახალგორი“ 2013.)

მაგ; 2013 წლის 7 ივნისს სხვადასხვა დარგის ექიმთა ბრიგადებმა გამოიკვლიეს დევნილთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. 2015 წლის 19 იანვარს ახალგორის მუნიციპალიტეტის შენობაში, დევნილ მოსახლეობას ჯავრიშვილის თვალის კლინიკის სპეციალისტების მიერ 150 ადამიანს ჩაუტარდა თვალის ფსკერის სიღრმისეული გამოკვლევა, რის შედეგადაც რამდენიმე ადამიანს სჭირდება თვალის ოპერაცია, რომელსაც სახელმწიფო დააფინანსებს. უნდა ათინიშნოს, რომ დევნილთა ჯანმრთელობის გამოსაკვლევად ჩასულ ექიმებს პაციენტების გამოკვლევა გამგეობის შენობაში უწევთ. ჭეროვანის პოლიკლინიკა ჩვეულებრივ კოტეჯშია განთავსებული.

2014 წლის 9 ოქტომბერს ჯანდაცვის სისტემის გამართული მუშაობისათვის ახალგორის მუნიციპალიტეტს ევროპული სარდლობის (შეიარაღებული ძალების) და აშშ საელჩოს ერთობლივი საჩუქარი – რეანიმობილი გადაეცა.

2014 წლის 23 დეკემბერს ახალგორის რ-ის განყოფილებას ჯანდაცვის სამინისტრომ გადასცა ორი სასწრაფო დახმარების მანქანა.

დევნილების და შესაბამისად სამედიცინო დაწესებულების ყველაზე დიდი გასაჭირია წამლები. როგორც გადმოგვცემენ ადრე, დევნილობის პირველ წლებში, პოლიკლინიკას ჰქონდა პირველადი დანიშნულების წამლები და ავადმყოფებს უფასოდ აძლევდნენ, დღეს უკვე ეს შესაძლებლობა აღარ არის.

„ეხლა პირველადი დახმარების წამლები აღარ გვაქვს. ავადმყოფი რომ შემოვიდეს და ავად გახდეს მე ნიშადურის სპირტიც არა მაქვს (თუ მე არ ვიყიდე) რომ მოვასულიერო. ჩვენ შევდივართ სპეცდაფინანსებაში, სხვა არანაირი ხელფასის მომატებაზე ლაპარაკი არ არის. ზოგადად არა ვჭირდებით, გვეუბნებიან, ორ ნაბიჯზეა მცხეთა ჩაბრძანდით და იმკურნალეთ იქო. არც ჩვენი პოლიკლინიკა და არც ქურთის საავადმყოფო, და სასწრაფო არ სჭირდებათ. იმ დაფინანსებით გვინახავენ რაც არის. მოჭრილი ხელფასია, რომელსაც არაფერი არ ეხება არც მომატება, არც დაკლება“. (წეროვანის ამბულატორიის ექიმის ნაამბობი)

„ლტოლვილის სტატუსი გვაქვს, მაგრამ წამლები უფასო არ გვაქვს, ახალჩამოსულები რომ ვიყავით მაშინ გვაძლევდნენ, ეხლა აღარ“. „იქ ავადმყოფობა არ იცოდნენ ჩემმა შვილებმა, ეხლა კი სულ ავად მყავს. აქ ჭაობია, სულ წყალი დგება, ყოველ წვიმაზე იტბორება“. (ყანჩევეთიდან დევნილები)

ფსიქო-ნევროლოგიური ფონის გამო მომატებულია დიაბეტის შემთხვევებიც. ამ დაავადების რიცხვის მომატება გამოწვეულია სახვადასხვა ფაქტორით: სტრესით, გადაღლილობით, კვებისა და ძილის რეჟიმის დარღვევით და სხვ. მაგ: შიშის ფაქტორი, იყო შემთხვევა, როდესაც ერთ მეზობელს შეუვარდნენ შეიარაღებული ადამიანები (ახალგორში) და მეზობლის ბავშვს დაემართა დიაბეტი.

იმის გამო რომ ახალგორის რაიონში არ იყო ასეთი მრავალრიცხოვანი დასახლებები, როგორც დევნილთა დასახლებებია, – წეროვანში, წილკნში და ფრეზეთში, მომატებულია ბავშვთა ინფექციური დაავადებები, - წითელა, ჩუტყვავილა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წეროვანის საბავშვო ბაღში დადის ოთხასზე მეტი ბავშვი და ბუნებრივია ამ დაავადებათა გადამდებლური ხასიათის გამო იგი ბავშვებში სწარაფად ვრცელდება

მომატებულია ონკოლოგიური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა. შესაბამისად გაზრდილია ონკოლოგიური პაციენტების რიცხვი. ახალგორში ასე გავრცელებული არ იყო, ქალებში მკერდის, კაცებში კი ფილტვების სიმსივნეა ყველაზე მეტად. ქალთა მამოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ყოველი გამოკვლეული ათი ქალიდან 2-3 სჭირდებოდა ქირურგიული ჩარევა. წეროვანში ძალიან არის გავრცელებულია ჩიყვი. ახალგორში, როგორც მაღალმთიან რეგიონში წელიწადში ერთხელ ტარდებოდა ჩიყვის სამკურნალო უფასო წამლების დარიგება. იოდის ტაბლეტები იყო, რომელიც ბავშვებს აუცილებლად უნდა დაელიათ. აქ ეს ღონისძიებები აღარ ტარდება და დაავადებულია თითქმის ყველა.

ლტოლვილებს დღეს აქვთ საყოველთაო დაზღვევა, ისევე, როგორც საქართველოს ყველა მოქალაქეს, ჩვეულებრივი, არაფერი განსხვავებული არ არის. აქ ნევროზი და სტრესი ჩვეულებრივი მოვლენაა, ამის მკურნალობის ანაზღაურება კი არ შედის

პოლისში. „ჩვენთვის არჩევანიც არ არის დაშვებული, აუცილებლად მცხეთაში უნდა ჩახვიდე. მცხეთაში პირდაპირი რეისი არ არის წეროვნიდან ან უნდა თბილისში ჩახვიდე და იქიდან წამოხვიდე უკან, ან თბილისის ტრასაზე უნდა ჩამოხვიდე, ახვიდე ზემოთ, მცხეთის გზაზე ფეხით, იქ დაელოდო სხვა ტრანსპორტს, ე.ი. ძალიან მოუხერხებელია ეს ყველაფერი. ბოლო დროს მცხეთის რამდენიმე კლინიკაში შეგვიძლია მკურნალობა“. (წეროვანის მასალა)

მომატებულია ალერგიული დერმატიტი და ალერგიული ბრონქიტი, განსაკუთრებით ბავშვებში და ახალგაზრდა ასაკის ადამიანებში. გარდა მომატებული ფსიქო-ნევროლოგიური ფონისა, ახალი კომპაქტური დასახლებების განსხვავებული გეო-კლიმატური გარემო და საცხოვრებელი პირობები გარკვეულ დაღს ასვამს მათ ჯანმრთელობას. იმატა კარდიოლოგიური ხასიათის დაავადებებმაც და ამ მიზეზით გამოწვეული სიკვდილიანობის რიცხვმა.

მოიკლო ზოონოზური დაავადებების რაოდენობამ (ბრუცელოზი, ჯილეხი), რაც ბუნებრივია გამოწვეულია იმით, რომ დევნილ მოსახლეობას არა აქვს საშუალება მისდიოს თავის ერთ-ერთ ძირითად სამეურნეო საქმიანობას, - მესაქონლეობას.

ახალგორში დარჩენილი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სურათი 2008-2014 წლებში ასეთია: ახალგორში ფუნქციონირებდა და დღესაც მოქმედებს რაიონული პოლიკლინიკა და საავადმყოფო. საავადმყოფოს მთავარი ექიმი ზ. მარგიევი ასე ახასიათებს ახალგორში არსებულ ჯანმრთელობის დაცვის სისტემას (2011 წ.). საავადმყოფოს ესაჭიროება კაპიტალური რემონტი, არ არის სამუშაო პირობები, არ ჰყოფნით ექიმები: პედიატრები, სტომატოლოგები. სტომატოლოგი ცხოვრობს წეროვანში და კვირაში მხოლოდ ორი დღე ჩამოდის, რაც საკმარისი არ არის. ექიმები „ვემსახურებით ყველას, ეროვნების მიუხედავად, ბოლო ცხრა თვეში მოვემსახურეთ 193 პაციენტს. მედიკამენტების მხრივ პრობლემა არ არის, გვაქვს ყველა საჭირო მედიკამენტი“.

2011 წლისათვის ახალგორში გაარემონტეს საავადმყოფოს შენობა. შენობის რემონტი ჩაატარა რუსეთს დაქვემდებარებულმა საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციამ „Дагстрой”-მ, ძირითადი სპეციალისტები ჩამოსული იყვნენ დაღესტნიდან, აქვე აღვნიშნავთ, რომ ოკუპაციის წლებში ყველა სამშენებლო სამუშაოებს, რაც კი ახალგორში მიმდინარეობდა, ძირითადად ეს იყო სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობები, ძირითადად მუშაობდნენ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოყვანილი სამშენებლო ბრიგადები.

2012 წლის 19 ივნისს ახალგორის საავადმყოფოს რემონტის მიმდინარეობა შეამოწმა რუსეთის უშიშროების საბჭოს დელეგაციამ. დელეგაციას ხელმძღვანელობდა საბჭოს მდივნის მოადგილის ნურგალიევი. მთავარმა ექიმმა მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ სარემონტო სამუშაოები გარკვეულწილად უხარისხოდ მიმდინარეობს, ასევე აღნიშნა, რომ საავადმყოფო კადრების უკმარისობასა და საოპერაციო ბლოკში სამედიცინო აღჭურვილობის დეფიციტს განიცდის. (Internet.ge)

2012 წლის 6 ივლისს რუსეთის დელეგაცია, - რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რაშიდ ნურგალიევი და პუტინის თანაშემწე ოკუპირებული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებში ტატიანა გოლიკოვა კვლავ ეწვივნენ ახალგორს და დაათვალიერეს ახალგარემონტებული შენობა.



საავადმყოფოს დირექტორმა კმაყოფილება გამოთქვა ჩატარებული სამუშაოების გამო და პრობლემად მხოლოდ შესაბამისი აპარატურის არქონა დაასახელა. მოსკოველმა მაკონტროლებლებმა კი ახალგარემონტებული საოპერაციო განყოფილება დაიწუნეს და განაცხადეს, რომ „ის, ტექნიკური პარამეტრებით, დასახული მიზნებისათვის უვარგისია“. (Internet.ge).

ახალგორში კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღება რომ შეუძლებელია არც ოსური მხარე უარყოფს: როცა ვსაუბრობთ სამედიცინო მომსახურების ხარისხზე საქართველოში, არ შეიძლება არ შევაფასოთ ქართველი ექიმების დამსახურება. დღესდღეობით პაციენტებს მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღება შეუძლიათ როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ლენინგორში კი ამ მხრივ მძიმე სიტუაციაა. რასაც ადასტურებს პაციენტების ხშირი გამგზავრება თბილისის მიმართულებით. ზოგიერთი დაავადების მკურნალობა კი არათუ ლენინგორში (მაგ. შაქრიანი დიაბეტის) ცხინვალშიც შეუძლებელია. (Котаева 2011:59).

რაიონში მუშაობს სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ყოფილი მთავარი ექიმი ზ. მარგიევი მუშაობს სასწრაფოს ექიმად, მისი თქმით დღეში ათამდე გამოძახებაზე უწევთ გასვლა. აგრეთვე, იმ სოფლებში სადაც დარჩენილია მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა, გახსნეს სამედიცინო სასოფლო ამბულატორიები, დაუშვეს ექთნის შტატი და მოამარაგეს პირველადი საჭიროების მედიკამენტებით. მაგ; ასეთი სამედიცინო დაწესებულება მოქმედებს სოფელ ახმაჯში. შესაბამისად არსებობს ბაზა ადამიანების მკურნალობისა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მძიმე და ქრონიკული დაავადების პაციენტი გადმოჰყავთ თბილისში ან მცხეთაში სამკურნალოდ. ასევე აქეთ გადმოჰყავთ ყველა სახის ქირურგიული პაციენტი –უფრო ხშირად სასწრაფო დანიშნულების ტრანსპორტით, ან თავად მოდიან ავადმყოფები. ადრე ასე იყო,– ქართულ საგუშაგომდე მოჰყავდა ახალგორის სასწრაფოს, იქ დახვდებოდა ჩვენი (წეროვანის) სასწრაფო და ასე გადმოგვყავდა, ეხლაც გადმოჰყავთ, მაგრამ ერთი პერიოდი ძალიან გაამკაცრეს ავადმყოფების გადმოყვანა, ბოლო დროს რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა ავადმყოფის ცხინვალში გადაყვანისა. მაგრამ იქაურებს, ახალგორელებს, არც ოსებს არ უნდათ ცხინვალში წასვლა სამკურნალოდ. ყველა გართულებული შემთხვევაში, ოსიც და ქართველიც, გადმოდის თბილისში სამკურნალოდ..

*„ყველანაირი ავადმყოფები გადმოჰყავთ, მაგ; წითელებით დაავადებული ბავშვი,; გულის უკმარისობით ავადმყოფი; კუჭის ტკივილით, მოტეხილობით, ყველანაირი პრობლემატური ავადმყოფი გადმოჰყავთ. ალბათ თავს იზღვევენ, რომ არ გაურთულდეთ. საავადმყოფო გაარემონტეს, პირობები აქვთ, თუ იქ დაწვება ავადმყოფი წამალსაც უფასოდ აძლევენ და კვებაც უფასოა, უვლიან, კარგი პირობები აქვთ, მოხუცები სპეციალურად წვებიან. იმიტომ, რომ ძირითადად ჩვენი ექიმებია, ვინც იყვნენ ომამდე, ქართველებიც და ოსებიც ისევ ისენი არიან. ერთი ოთხი ექიმი შეიცვალა მარტო. ამიტომ უფრო ენდობიან, თორემ ჩამოსული, ახალი ექიმები რომ იყვნენ შეიძლება აღარ მისულიყვნენ“-ო (წეროვანი 2014))*

ზოგიერთი ექიმი აგრძელებს მუშაობას ახალგორშიც და წეროვანის პოლიკლინიკაშიც. როგორც გადმოგვცეს ბოლო დროს ადგილობრივი (ქართული) ხელისუფლება უყენებს მოთხოვნას აირჩიოს ერთერთი ადგილი, ან „აქეთ“ ან „იქეთ“, ჩვენის აზრით საკითხის ასე დასმა არასწორია დღევანდელ შექმნილ სიტუაციაში,

*თორემ „ზოგადად ალბათ არ უნდა იყოს იქაც და აქაც. ახლა ჩემი გადასახედიდან რომ დედა მყავს იქ მინდა რომ იქაც იყოს,იქ ძირითადად ასაკიანი ხალხია დარჩენილი და ავად რომ ხდებიან ამათ გადმოჰყავთ სასწრაფოთი, ყველა უპატრონო მოხუცი ამათ იმედზეა ესენი (ექიმები მ.ბ.) არიან პატრონები,აბა პატრონები ახალგორში ვერ შედიან“. (წეროვანი 2014)*

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ახალგორში დარჩენილი მოსახლეობა ძალიან ემადლიერებიან ექიმებს, ქართველებსაც და ოსებსაც, მათი საქმიანობა ნამდვილად დასაფასებელია: *„ საავადმყოფო კარგად გაარემონტეს, მთავარი ექიმი ცხინვალელია, ძალიან კარგი ქალია ლიდა ჰქვია არ არჩევს ავადმყოფი ქართველია, ოსია,მკურნალობა უფასოა, ასევე საჭმელიც. აქ ხომ ეგრე არ არის. სულ ძველი წესით მიდის მაგათთან ყველაფერი, კომუნისტების დროს რომ იყო ისე. საავადმყოფოში კარგი კვებაა ვისაც ცოტა რამე წამოსტკივა მიდიან და წვებიან საავადმყოფოში, გადიან იოლას“. (ახალგორი 2013)*

*„ავად გავხდი სასწრაფო გამოვიძახეთ ახალგორიდან, წნევა მქონდა ძალიან მაღალი, მაშინვე ნემსები გამიკეთეს. წამიყვანეს ახალგორის საავადმყოფოში, მე უარზე ვიყავი, იქიდან თბილისში როგორ წავიდე-მეთქი. ნუ გეშინიაო, მითხრა ექიმმა, ამაღამ საავადმყოფოში მეყოლები, ხვალ დილას დავურეკავ შენ პატრონებს, ჩაგიყვან ქართველების პოსტამდე და იქიდან წაგიყვანენო. ძალიან კარგად მექცეოდნენ, ოსებიც მუშაობენ და ქართველებიც საავადმყოფოში. პალატა ძალიან სუფთად არის მოწყობილი,საავადმყოფო გაარემონტეს. ექიმმა უთხრა ექთნებს რა უნდა გაეკეთებინათ, საპირფარეშოშიც ვერ გავდიოდი დამოუკიდებლად. ერთი საათის შემდეგ მოვიდა კიდევ ექიმი და გამსინჯა. ოსური მხარის ადმინისტრაცია ამკაცრებს ავადმყოფების გადმოყვანას... .ავადმყოფის ფურცელზე მთავარმა ექიმმა უნდა დაარტყას ბეჭედი,რომ მას სჭირდება ჰოსპიტალიზაცია,და ვინაიდან იმ დღეს მთავარი ექიმი ცხინვალში იყო, სასწრაფოს ექიმი მივიდა რუსების სამხედროების ბაზაში და სთხოვა ნებართვა რომ ასეთი მძიმე ავადმყოფია და აუცილებლად უნდა გადავიყვანოთო“ (ახმაჯი 2013).* აღნიშნული ნებართვა აუცილებელია ნებისმიერი პაციენტის გადმოსაყვანად.

*„როცა კი გამოიძახებენ სასწრაფო დახმარება მოდის, მაგრამ სასწრაფო დახმარების მხოლოდ ერთი მანქანა ემსახურება მთელ ხეობას,და ამიტომ შეიძლება დააგვიანოს. ხდება ისიც,რომ ადგილზე სამედიცინო დახმარების გაწევა ვერ ხერხდება და ვერც სასწრაფო დახმარების მანქანით გადმოიყვანენ საბუთის არარსებობის გამო. მაგ; ახმაჯში მოხდა ასეთი შემთხვევა, ქალი ჩამოვარდა ხიდან და ბეჭის ძვალი გაუტყდა, სასწრაფო გამოიძახეს, ჩავიდა მაგრამ საავადმყოფოში არ წაიყვანეს, იმ მიზეზით, რომ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ შენ ახალგორში გიმკურნალოთო. ქართველების პოსტამდე ვერ მიგიყვანოთ რადგან საბუთი არა გაქვს და საზღვარზე ისე ვერ გადაგიყვანთო. ქალის პატრონებმა ღამით, ჩუმად საკაცით გადმოიყვანეს ე.წ. საზღვარზე“. (ახმაჯი 2013)*

ახლგორის რაიონის ყველა მოსახლეს, ლეხურის ხეობის ოსური სოფლების ჩათვლით საქართველოს მთავრობამ მისცა ჯანმრთელობის დაცვის პოლისი. „ ასევე ყველა იმ (ოკუპირებულ ტერიტორიაზე) ოსური სოფლების მაცხოვრებლებს, რომლებსაც არაფერი შეჰხებიათ სასწრაფო წესით შეგვავსებინეს პოლისები და გაგვაგზავნინეს,რომ იმათ უნდა ჰქონდეთ პოლისიო. ჩვენ შევავსეთ და გავუგზავნეთ.“



*ამიტომ ოსური მოსახლეობა სარგებლობს ამ შეთავაზებით –„მე მქონდა ასეთი შემთხვევა, სამსახურში პოლისებს განვკარგავ, ჩემთან მოვიდა კაცი ქართული არ იცოდა,ნათესავი მოჰყვა,იმიტომ რომ ის ოდესღაც ლენინგორში ცხოვრობდა პოლისი მისცეს. არავინ დაუტოვებიათ პოლისის გარეშე ვინც ოდესღაც ახალგორში ცხოვრობდა და წასულია ჩრდ. ოსეთში“, (წეროვანი 2014).*

როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ მათთვის (არა მარტო ახალგორის რაიონში დარჩენილი ოსებისთვის,არამედ ზოგადად,ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლებისათვის) შედარებით გაიოლებულია სამედიცინო მომსახურების მიღება,ვიდრე ლტოლვილთათვის: *„ცხინვალიდან რომ ჩამოდიან უპრობლემოდ მაშინვე უფინანსებენ მკურნალობის ხარჯებს, ოპერაციას, მაგრამ მე (ლიახვის ხეობიდანაა დევნილი) დამჭირდა ცხვირზე ოპერაცია და „რკინის ქალამნები“ ჩავიცვი, რომ დაფინანსება მიმეღოო. ყველაფერს ხომ პოლისი არ აფინანსებს“. (წეროვანის 2014)*

ასეთი ფაქტები ძალიან აღიზიანებს მოსახლეობას, *„მაშინ როდესაც ცხინვალიდან ჩამოსულს ყველაფერი გამზადებული ხვდება, მე გამიჭირდაო“.* ასეთი მიდგომა მკურნალობის დროს, რბილად რომ ვთქვათ,არასწორია და ქართულ-ოსური ურთიერთობის ნორმალიზებას ხელს ვერ შეუწყობს. ბუნებრივია, ცხინვალის და ახალგორის მაცხოვრებლები საქართველოს მოქალაქეები არიან და მათაც ისევე უნდა ისარგებლონ საყოველთაო დაზღვევის პროგრამით, როგორც ყველა ლტოლვილმა, მაგრამ ყველამ თანაბრად. ზოგადად კი, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობის მიმართ, რა თქმა უნდა გამართლებულია, *„ეს, როგორც ჩვენი მთავრობა ამბობს ოსებსა და ჩვენს შორის ნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს. შედეგი ალბათ ერთადერთი შეიძლება იყოს, ის, რომ ახალგორში არ მომხდარა ქართველებსა და ოსების წაჩხუბება. ვერ აჩხუბეს და ვერ გამოაყრევინეს სამსახურიდან ქართველები ოსებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩემი მეზობლის სახლში აპირებდნენ ჩამოსული ოსები შესვლას; შევიდა ოსის ქალი და უთხრა,რომ ჩემია ეს სახლი და ვერ შეგიშვებთო“. (წეროვანი 2014)*

როგორც აღვნიშნეთ, ცხინვალიდან და ვლადიკავკაზიდანაც ჩამოდიან ძალიან ბევრი სამკურნალოდ. „პირველად თბილისში სამკურნალოდ შარშან ჩამოვედი. კუჭის ოპერაცია მქონდა გასაკეთებელი. არადა მშობლებს წინააღმდეგობას ვუწევდი. მეშინოდა ქართველების, მეგონა, გაიგებდნენ, რომ ოსი ვარ და, სულ მცირე, შეურაცხყოფას მომაყენებდნენ, თუმცა გამაოცა თბილმა დახვედრამ და იმან, რომ პირიქით განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ჩვენ მიმართ. მას შემდეგ თბილისში ხშირი სტუმარი ვარ“. (ვალიევა 2015).

ოფიციალური ინფოემაციით „ცხინვალელთა დიდი ნაწილი სამკურნალოდ თბილისში ჩამოდის. მათ ვლადიკავკაზშიც შეუძლიათ წასვლა, თუმცა, თბილისს ორი მიზეზის გამო არჩევენ: ჯერ ერთი, თბილისში უფრო კვალიფიციური დახმარების იმედი აქვთ, და მეორე – ისინი, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი, შეღავათებით სარგებლობენ. 2014 წელს ცხინვალიდან თბილისში სამკურნალოდ 400 კაცი ჩამოვიდა.

ფაქტია, რომ ოკუპირებული ტერიტორიის მოქალაქეებს აქვთ თბილისში მკურნალობის სურვილი, ამას ქართული მხარე ვერ აიძულებს, ძალით ხომ ვერ

ჩამოიყვანს სამკურნალოდ.

ბუნებრივია, რომ ცხინვალის ხელისუფლებას არ მოსწონს, ოკუპირებული ტერიტორიიდან ავადმყოფების სამკურნალოს თბილისში ჩამოსვლა. ე .წ. ,,სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" დე ფაქტო პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი თვლის, რომ ამის საჭიროება არ არსებობს და მათ (ავადმყოფებს) ადგილზეც შეუძლიათ კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღება.

2015 წლის 4 მარტის რადიო ,,თავისუფლების" გადაცემაში მოყვანილი იყო ცხინვალის დე ფაქტო პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვი შეშფოთება ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით. ძალოვან სამინისტროებსა და უწყებების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ ,,არც იქ არიან ღმერთები, არ შეიძლება უკაცრავად და ნაწლავური ინფექციებით დაავადებული ხალხის გაგზავნა, თითქოს ეს მოურჩენელი იყოს".

მაგრამ ცხინვალში ჯანდაცვის საქმე რომ არ დგას სათანადო სიმაღლეზე, აღნიშნულ ინტერვიუში მინისტრის შემდეგი სიტყვები მეტყველებს: ,,აუცილებელია, რომ ჩვენ განვავითაროთ საკუთარი მედიცინა, ავაშენოთ ცენტრები, მოვიზიდოთ სპეციალისტები. ჩვენ უკვე აქტიურად ვაკეთებთ ამას – იწყება თანამედროვე ცენტრის მშენებლობა,შესაბამისი აღჭურვილობით,გაგრძელდება მუშაობა სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების მოზიდვისა და გადამზადების მიმართულებით". (კუნჭულია 2015) მაგრამ სანამ ეს მოხდება ადამიანები ავად ხდებიან და მათ დახმარება დღეს სჭირდება.

რადიო ,,თავისუფლებას" ინტერვიუ მისცა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამაზ ბესტაევმა, რომელმაც აღნიშნა, რომ შარშან, 2014 წელს, 400-დე პაციენტი იქნა გადმოყვანილი, როგორც ,,წითელი ჯვრის" მიერ, ასევე თვითდინებით. ზოგი გეგმიური და ზოგიც გადაუდებელი შემთხვევები იყო. ბევრი შემთხვევა იყო არასწორად ნამკურნალევი ადამიანისა, იქ დასმული არასწორი დიაგნოზებით და ა.შ. თუმცა მასშტაბური დახმარებით სარგებლობა ყველას არ შეუძლია. ოკუპირებული ტერიტორიის ე.წ. ხელისუფლება ყველას არ უშვებს თბილისისკენ და ნებართვის გაცემა ადგილობრივი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ძირითადად ,,ნაცნობობითა და მეგობრობით" ხდება, რაც ხშირად ადგილობრივთა უკმაყოფილებას იწვევს. შესაბამისად, ვისაც რუსეთის მოქალაქეობა აქვს, საქართველოში ყაზბეგი-ლარსის გამშვები პუნქტის გავლით შემოდის.

სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ვებსაიტის თანახმად, თუკი დაფინანსების მოთხოვნაზე, სათანადო განხილვის შემდეგ დასკვნა დადებითი იქნება, ჯანდაცვის სამინისტრო რთავს პაციენტს რეფერალურ პროგრამაში, რომელიც გულისხმობს დაფინანსებას 15000 ლარის ოდენობით. საჭიროების შემთხვევაში, პაციენტი სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამითაც. ეს პროგრამა ვრცელდება საქართველოს ორივე ოკუპირებულ რეგიონზე. სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის წლიური ანგარიშის თანახმად, 2013-2014 წლებში სახელმწიფომ ორივე მიმართულებით 5 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. (კუნჭულია 2015:03.04.).



ჩამოსულებს თბილისში მცხოვრები ნათესავები მასპინძლობენ. – ,,ხშირად ვმასპინძლობ ცხინვალიდან ჩამოსულ ავადმყოფ ნათესავებს. შარშან ერთი დეიდაშვილი იყო ჩამოსული, ორი კვირის წინ კი, მეორე. სიმსივნე აღმოაჩნდა, მარდალეიშვილის კლინიკაში გაუკეთდა ოპერაცია, დაფინანსება სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციიდან მიიღო. მე ვისაც ვიცნობ, ჩემი ნათესავები, ყველა ცდილობს, რომ, კბილების პრობლემაა, თუ სხვა სახის პრობლემა, თუ არის საშუალება აუცილებლად ჩამოვიდნენ". (კუნჭულია 2015).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობის მიდგომა, რომ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობაზეც ვრცელდებოდეს, ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამა, მისასალმებელია. აღსანიშნავია, რომ როგორც ქართველი, ისე ოსი ექიმების მიმართ მოსახლეობა მადლიერებას გამოთქვამს, ისინი არ არჩევენ ავადმყოფს ეროვნების მიხედვით, ეს არც არასოდეს შეინიშნებოდა ახალგორში. ვფიქრობთ, ოსების სამკურნალოდ თბილისში ჩამოსვლას ქართველებისადმი ნდობა განაპირობებს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბურდული მ., მღებრიშვილი ლ., 2008-2014 წლების საველე ეთნოგრაფიული მასალა (ქსნის ხეობაში: ახალგორი; ახმაჯი; ბოლი; ერედა, იკოთი; დევნილთა კომპაქტური დასახლებები: წეროვანი, წილკანი, ფრეზეთი).
2. ბლუაშვილი უ.,როგორ მზადდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი,კრებ. ,,ანალები", №10, 2014.
3. Кулумбегов Р. , Время собирать камни, газета ,,Республика" №41-42 (571-572) июль 2011 год.
4. Котаева М., ,, Южная Осетия" 04.08.2014г.
5. Котаева М., Ленингорский район: политические особенности, демографические харастеристики, экономика, пограничные проблемы, Грузино-осетинский конфликт в поисках мира, сб,статей югоосетинских авторов, 2011г.
6. თიბილოვი ი., Музей войн новейшего времени: создать, нельзя откладывать" გაზეთი ,,Республика" 29. 03. 2012.
7. კრებ. ,,ცხოვრება ომის შემდეგ", თბ., 2009.
8. ,,ახალგორი", ახალგორიდან დევნილი მოსახლეობის გაზეთი, №10 10. 06. 2013.
9. ვალიევა ი., 17 წლის, გაზეთი ,,კვირის პალიტრა", 16-22 მარტი, 2015 წელი.
10. კვირიკაშვილი ვ., ,,როდის და ვისთვის შეიქმნა ტერმინი ,,სამხრეთ ოსეთი"? Expertclub.ge/portal/…default.aspx;
11. https://Internet.ge 19.06.2012; (ცხინვალში კრემლის კურატორების ვიზიტი გახშირდა )
12. https://Internet.ge 06.07.2012; (რუსეთის დელეგაციამ ახალგორში თათბირი ჩაატარა )
13. კუნჭულია ლ., ცხინვალის შეშფოთება: ხალხი სამკურნალოდ თბილისში მიდის, ,,radiotavisupleba.ge" 2015, 03.04.
14. https://www.kavkaz-uzel.ru/articles/249716/




ლავრენტი ჯანიაშვილი

## 2008 წლის რუსულ-ქართული ომი და სამეურნეო ყოფის თავისებურებები ახალგორის რაიონში

### I. ტრადიციული სამეურნეო ურთიერთობა და მისი განვითარების დინამიკა 2008 წლის კონფლიქტამდე

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში განვითარებულმა სოციოპოლიტიკურმა კატაკლიზმებმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ყოფაში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ახალგორის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს. არასტაბილური სოციალ-პოლიტიკური გარემო სათანადოდ აისახა მოსახლეობის ცხოვრებაზე. მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც რუსებმა ამ რეგიონის ოკუპაცია განახორციელეს. ადგილობრივთა ერთმა ნაწილმა საცხოვრებელი ადგილები მიატოვა და მცხეთის მუნიციპალიტეტში საგანგებოდ შექმნილ დასახლებებში გადმოვიდა. თითქმის მთლიანად დაიცალა სოფლები, დაირღვა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სამეურნეო კავშირები, მოიშალა ტრადიციული მეურნეობის დარგები, შეიცვალა ბევრი ოჯახის შემოსავლის წყარო.

შექმნილი სიტუაცია მეტად საყურადღებოა როგორც სამეცნიერო,ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. დაპირისპირებული ეთნოკულტურული ჯგუფების წარმომადგენლების თანაცხოვრების პერსპექტივის კვლევა ინდივიდების და ეთნოსოციალური ერთეულების მაგალითზესაზოგადოების ურთიერთსოლიდარობისა და თანამშრომლობის ტრადიციული და ახლადშექმნილი სოციოკულტურული ინსტიტუტების ეკონომიკურ ჭრილში შესწავლა, ქართულ-ოსური ერთობების ურთიერთობათა მატერიალური ასპექტების გამოვლენა – ხელს შეუწყობს ამ ეთნიკური სეგმენტების დაახლოებას და გარე საფრთხეებისგან თავის არიდებას, რაც ქვეყანისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა.

ახალგორის რეგიონის მოსახლეობის ამჟამინდელი სამეურნეო ყოფა გარკვეულ კავშირშია ოსების ჩამოსახლებისა და ტრადიციული მეურნეობის განვითარების ისტორიასთან. მკვლევრები იმთავითვე აღნიშნავდნენ, რომ რაიონი ბუნებრივ-გეოგრაფიული და ზონალური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მეურნეობის ზონალური განვითარების პრინციპს ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა მიაქცია ყურადღება. გ. ჩიტაია ქსნის ხეობას სამეურნეო თვალსაზრისით პირობითად სამ ზონად ყოფს: ბარის –ახალგორამდე, მთის ძირის ლარგვისამდე და მთის ზოლის – ლარგვისის ზემოთ (ჩიტაია, 1940: 486). ლანდშაფტურ-ზონალური, ეკოლოგიური და ეთნიკური ფაქტორების გარდა რეგიონის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ სიტუაციაზე გავლენას ახდენდა სოციალ-პოლიტიკური კონიუნქტურაც. ჯერ კიდევ საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის შედეგად ტრადიციული სამეურნეო ურთიერთობების მოშლამ და რეგიონის მაღალმთიანი ადგილების მთლიანად მეცხოველეობაზე გადაყვანამ, ძლიერი მიგრაციული პროცესი და მთის სოფლების თანდათანობით დაცლა გამოიწვია (ჯალაბაძე, 1973: 17-23).

რაიონის სამეურნეო სპეციფიკას ეთნიკური ფაქტორიც განსაზღვრავდა, კერძოდ,

ქართული და ოსური ტრადიციული სამეურნეო ურთიერთობები. ოსების სამეურნეო ყოფა არაერთხელ მოქცეულა ცალკეულ მკვლევართა ყურადღების არეალში. შეიძლება ითქვას რომ, ემპირიული მონაცემები XX საუკუნის 90-იან წლებამდე საკმაოდ კარგადაა დაფიქსირებული და გაანალიზებული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის წარმომადგენლების მიერ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან განვითარებულმა სოციოპოლიტიკურმა კატაკლიზმებმა გარკვეულწილად შეაფერხა ამ მიმართულებით კვლევა. იმავდროულად კი, არასტაბილური გარემო სათანადოდ აისახა ტრადიციული ყოფის ყველა კომპონენტზე. მდგომარეობას ართულებს ის რომ, ოკუპაციის პირობებში სრულფასოვანი საველე-ეთნოგრაფიული კვლევა საკმაოდ რთულია. თუმცა, გარკვეული მასალის შეკრება მაინც მოხერხდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ახალგორის მუნიციპალიტეტიდან დევნილი მოსახლეობის ჩასახლების ადგილებში (წეროვანის დევნილთა დასახლება, წილკანი,ფრეზეთი)[6]. ამას გარდა ქვემოთ გამოყენებულია სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნებული, ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის მონაცემები.

ოსების სამეურნეო ყოფის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. XVI-XVII სს-მდე ოსთა მატერიალური კულტურისა და მეურნეობის შესახებ ინფორმაცია მიმოფანტულია ძირითადად ქართულ წყაროებსა და ნაწილობრივ ევროპელ მოგზაურთა ცნობებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი, რომელის "ოსეთის აღწერაში" სათანადო ადგილი აქვს დათმობილი მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მონადირეობას, მეფუტკრეობას, მეთევზეობას, ხელოსნობასა და შინამრეწველობას, მჭედლობასა და ზეინკლობას, ვაჭრობასა და გაცვლა-გამოცვლას (თოგოშვილი, 1977: 44-56). დასავლეთ ევროპული და რუსული წყაროები ოსთა ყოფასა და კულტურას ძირითადად XVIII საუკუნიდან აღწერენ. სამეურნეო ყოფის შესახებ ცნობები გვხვდება შტედერის, გიულდენშტედტის, რეიგენსის, პალასის, ჰაკსტჰაუზენის, კლაპროტის, კოხის და სხვა მოგზაურთა ნაშრომებში. ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით უმნიშნელოვანესია კატალონიელი ისტორიკოსის აუგუსტ ალემანის მიერ მოიძიებული, თარგმნილი და სათანადო კომენტარებით გამოცემული ნაშრომი. ამ მონოგრაფიაში თავმოყრილია ალანებისა და მათი მონათესავე ტომების შესახებ სხვადასხვა ენაზე არსებული წყაროები. კავკასიაში გაბატონების შემდეგ რუსეთის იმპერია უფრო სისტემურ და ინტესიურ კვლევა-ძიებას ატარებდა, რაც აისახა კიდეც XIX საუკუნის რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში (კოსვენი, 1955; ჟუკაევი 1855; პფაფი, 1870-71; კოვალევსკი, 1886; ლავროვი, 1880 და სხვა). ზემოხსენებული მიმართულებით კვლევა არც საბჭოთა პერიოდში შენელებულა. პირიქით, ოსების ეთნოგრაფიით დაინტერესებული იყო რამოდენიმე სამეცნიერო ცენტრი. სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი საველე-ეთნოგრაფიული მასალის შეკრება და ანალიზი.

ოსთა სამეურნეო ყოფის ხასიათზე არაერთგვაროვანი შეხედულებები არსებობს. თავად ოსი ავტორების აზრით ოსების ძირითად საქმიანობას უძველესი დროიდან მიწათმოქმედება წარმოადგენდა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოაქვთ არქეოლოგიური მონაცემები,კერძოდ,ოსეთის მთისა და დაბლობ რაიონებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამიწათმოქმედო იარაღები, რომლებიც ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულით თარიღდება. სკვითებთან გენეტიკური ნათესაობის თეორიიდან გამომდინარე, ოსებს

6 ნაშრომის ამ ნაწილში გამოყენებული მაქვს ჩემი კოლეგების, ნ. ჯალაბძის, მ. ბურდულის და რ. ციხელაშვილის მიერ შეკრებილი მასალა. ასევე თსუ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის არქივში დაუნჯებული ქ-ნ მედეა ქანთარიას მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მონაცემები.



მიაწერენ სკვითების სამეურნეო ყოფის დამადასტურებელ არტეფაქტებსაც. ადრეული მიწათმოქმედების დასაბუთებას ცდილობენ ფოლკლორული თქმულებებისა და რწმენა-წარმოდგენების საშუალებით. მიაჩნიათ, რომ ამ დარგის სიძველეზე მიუთითებს ნართების თქმულებებში სამიწათმოქმედო კულტურების ხსენება, მიწათმოქმედებასთნ დაკავშირებული რიტუალების არსებობა და ის, რომ მეხორბლეობის ღვთაებას – უაცილას – ოსები განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ (კალოევი 1967: 65). ეს საკამათო დებულებაა. ალანებში, რომლებსაც ოსები უშუალო წინაპრებად მიიჩნევენ მიწათმოქმედების მაღალი კულტურის შესახებ პირდაპირი წერილობითი საბუთები არ არსებობს, არქეოლოგიურ არგუმენტაციაზე დამყარებული მსჯელობა კი უსაფუძვლოა, ვიდრე საბოლოოდ არ გარკვეულა ოსთა ეთნოგენეზის საკითხი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლად გვხვდება ზემოხსენებული მოსაზრების საწინააღმდეგო ცნობები. ამიანე მარცელინის თანახმად,ალანები ვრცელ ტერიტორიაზე მომთაბარეობდნენ. მინდვრები გაველურებული იყო, რადგან მიწას არ ამუშავებდნენ. მათი ნაწილი შემგროვებლობას მისდევდა, ნაწილი მინდვრის ნაყოფით იკვებებოდა, არ იცოდნენ კავი (სახვნელი),არ იცოდნენ თესვა (ალემანი 2003:68). ამიანე მარცელინის ცნობებზე დაყრდნობით რ. თოფჩიშვილი დაასკვნის, რომ IV საუკუნის ბოლოსათვის ალანები (ოსთა წინაპრები) კავკასიის არც ერთ რეგიონში არ ცხოვრობდნენ; ამ დროისათვის ისინი მხოლოდ მომთაბარე მეურნეობას ეწეოდნენ და რჩენის ერთ-ერთი საშუალება ლაშქრობა, ბინადარი ხალხების ძარცვა იყო (თოფჩიშვილი, 2008). ზ. ჭიჭინაძის ცნობითაც, მას შემდეგ რაც მეფე გიორგი ბრწყინვალემ ოსები შიდა ქართლიდან განდევნა, მათ სთხოვეს მეფეს ხელოსნობის ცალკეული დარგების შესასწავლად ოსტატები მიეცა "თფილისიდამ გვიბოძეთ სამ-სამი კაცით თითო ხელობის, რომ მათ დაიწყონ აქ მუშაობა და ჩვენც გვექმნეს ყველა საჭირო სახმარებლიო. გონიერმა გიორგი ბრწყინვალემ .. ყველა ეს ხელოსნებიც თან წაიყვანა, მალე ჩავიდა ოსეთში, ყველა ესენი დაამკვიდრა იქ, ამათ გაუხსნა სახელოსნოები და ამ გვარად შემოსა ტიტილიკანა და ფეხშიშველა ოსები" (ჭიჭინაძე 1916: 6-7).

მოგვიანებით, ოსები თანდათანობით გადავიდნენ ინტენსიურ მეურნეობაზე რასაც ქართული საისტორიო წყაროებიც ადასტურებენ. ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში საუბარია, რომ ოსები მისდევდნენ მესაქონლეობას, მონადირეობას, მეფუტკრეობას, მეთევზეობას, ხელოსნობასა და შინამრეწველობას, მჭედლობასა და ზეინკლობას, ვაჭრობასა და გაცვლა-გამოცვლას (თოგოშვილი, 1977: 44-56). დასაბუთებულად შეიძლება ვისაუბროთ, რომ სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ოსთა სამეურნეო ცხოვრებაში მიწათმოქმედებას უკვე წამყვანი ადგილი ეჭირა, მისი როლი იზრდებოდა დაბლობ რეგიონებში, ხოლო მთაში, პირიქით, მცირდებოდა მესაქონლეობის სასარგებლოდ.

ოსები სახლდებოდნენ ქართველ ფეოდალთა მიწებზე,მათი სოფლები ჩვეულებრივ მაღალმთიან და ტყიან ადგილებში მდებარეობდა. როგორც ბ. კალოევი აღნიშნავს "ვერც უგზოობა, ვერც შვიდთვიანი ზამთარი, ვერ აჩერებდა ოსების გადმოსახლებას, რომელიც ყოველწლიურად იზრდებოდა (კალოევი 1967: 61). ოსური მოსახლეობის მოძრაობას ქართული მთიანეთის გავლით ბარის სოფლებისაკენ გარკვეული პოლიტიკური და სამეურნეო-ეკოლოგიური მიზეზები განაპირობებდა, სადაც მთიანეთი ერთგვარ შუალედურ ეტაპს წარმოადგენდა. ბ. გამყრელიძე დააკვირდა ოსთა მიგრაციის თავისებურებებს და შეამჩნია, რომ 1886 წ. კუდაროს ხეობაში აღრიცხული იყო 281

ოჯახი. ოსური ოჯახების რიცხვი ძალიან ცვალებადი იყო, მათი ერთი ნაწილი მალევე ტოვებდა ამ ადგილებს და მიდიოდა საქართველოს სხვა ადგილებში, ხოლო სოფლები კვლავ ივსებოდა ჩრდილოეთიდან მიგრირებული ოსების ხარჯზე. ე. ვაშაკიძის აზრით, ამ ხშირი მიგარციების მიზეზი ის იყო, რომ ოსები ტრადიციულად მიწაზე არ იყვნენ მიჯაჭვული, ამიტომ ცდილობდნენ, მისთვის რაც შეიძლება სწრაფად და მეტი გამოეწოვათ, გამოფიტულ მიწებს ტოვებდნენ და სხვაგან გადადიოდნენ (გამყრელიძე 2003: 155). ამ დებულებას არ ეთანხმება ლ. ჩიბიროვი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ოსების გადასახლების მიზეზი მცირემიწიანობა და მძიმე სამეურნეო ეკოლოგიური პირობები იყო (ჩიბიროვი 1987: 415).

საქართველოში გადმოსული ოსები ჩვეულებრივ ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაცარიელებულ მაღალმთიან ან ტყიან ადგილებში სახლდებოდნენ, სადაც მეურნეობის წარმოება საკმაოდ ძნელი იყო. პარალელურად მიმდინარეობდა ოსების ინფილტრაცია შიდა ქართლის სამხრეთ რაიონებში და სქართველოს სხვა რეგიონებში (კალოევი, 1967:66) მაგ. პანკისის ხეობაში. მ. ქანთარიას მიერ ჩაწერილი მასალის თანახმად კახეთში, სოფ. ხალაწანში (პანკისი) ოსები სოფ. წონიდან, კუდაროს ხეობიდან გადმოსულან. როგორც მთხრობელი იხსენებს იქ დიდი თოვლი მოდიოდა და მხოლოდ ქერი ხარობდა. ამიტომ ოჯახში ყოველთვის გვყავდა ერთი კაცი, რომელიც ცხენით ბარიდან საზამთროდ ეზიდებოდა პროდუქტს. იქედან 1901 წელს წამოვედით. ჯერ ერთი კაცი ჩამოვიდა და ხალაწანის ნაყოფიერი მიწა მოეწონა. აქ სულ ტყეები იყო, 5-6 ჰექტარი თუ იქნებოდა ველი. შეუთვალა ამ კაცმა ჩამოდითაო. ვიყიდეთ ეს ადგილები, ჩამოვიდნენ სოფლის თავკაცები, ნახეს სად წყალი იყო, სად მინდორი და იყიდეს კობიაშვილისაგან, რომელსაც ეს ადგილები თავადებისათვის კარტში მოუგია. მართალია 12-მა კომლმა იყიდა, მაგრამ თავიდან მხოლოდ 8 კომლი ცხოვრობდა, ოთხი მერე გადმოვიდა. მიწას საბელით ზომავდნენ. იღებდნენ ერთი გარკვეული ზომის საბელს (ბარან-ბადინ ოს –საზომი საბელი) გადაზომავდნენ მთელ მიწას და დაყოფდნენ ნაკვეთებად მოწილეების ოდენობის მიხედვით, შემდეგ კი კენჭისყრით ანაწილებდნენ.

აღწერილი შემთხვევა კარგად ასახავს ოსთა გადაადგილების თავისებურებებს. ახალ საცხოვრისს ირჩევდნენ იქ სადაც წყალიც იყო, გზაც და წისქვილის გაკეთებაც შეიძლებოდა. ტყეებს კაფავდნენ (ახოშაღდენ – ახოს მოჭრა) (ქანთარია, არქივი). ამ ადგილს თოხით ამუშავებდნენ, და როდესაც ფესვები ჩალპებოდა შეიძლებოდა მოხვნა. ახოს აღება მხოლოდ მოზომილ ადგილას შეიძლებოდა. რადგან სოფელს მიწის საერთო ფონდი არ ჰქონდა ოჯახის გაყოფის შემთხვევაში საკუთარ მიწას ყოფდნენ, მიჯნას წერაქვებით აკეთებდნენ და მასში რამდენიმე მწკრივად ქვებს ჩააყოლებდნენ. საახო სისტემა ქსნის მთიან ზოლში ქართულ მოსახლეობაშიც გვიანდლობამდე იყო მოქმედებაში. ამ სისტემასთან დაკავშირებით გამოიყენებოდა ხელით შრომის ისეთი იარაღები, რომლიც ბარში არ გვხვდება (კედელაძე 1973: 71).

სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, რომ კავკასიის სამხრეთ ფერდზე საქართველოში (ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები) დამკვიდრებული ოსების ყოფაში XIX საუკუნეში მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეჭირა, მემარცვლეობა უკვე ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა. სამიწათმოქმედო იარაღების უმეტესობა ქართულის ანალოგიური იყო და ტერმინებიც ქართულთან მსგავსებას ამჟღავნებდა (რობაქიძე 1985:131-132; ქანთარია 1980:100-154), მაშინ როდესაც მესაქონლეობასთან



დაკავშირებული ტერმინების ეტიმოლოგია ირანული იყო (კალოევი 1967:75).

ეთნოდემოგრაფიული ტრანსფორმაცია საბჭოთა პერიოდშიც გაგრძელდა. წეროვანში ჩასახლებულ დევნილებს კარგად ახსოვთ ქსნის ხეობის ზემო სოფლების ოსებისაგან ათვისებისა და შემდეგ დაცლის პროცესი.

*„ახალგორის რაიონი ყოველთვის იყო ტოლერანტული, სადაც ყველას დიდი სტუმართმოყვარეობით ღებულობდნენ. ოსები სულ რამდენიმე დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ. ახალგორის ზევით მთელი ქსნის ხეობა, ლომისის სალოცავამდე მთლიანად ქართული იყო. სულ ორიოდე ოსური ოჯახი იქნებოდა, თუმცა ოსის რძლები კი ჰყავდათ ხოლმე. მე-18 საუკუნეში ყელის ტბიდან ლომისის სალოცავამდე გაჩნდა ოსური სოფლები: ზემო ბაგი, ქვემო ბაგი, გორგა, ჩიგოიანი, ნავისხევი. ეს მცირე მოსახლეობიანი სოფლები იყო. ჟამურიც კი ქართული იყო, რაზეც მისი სახელიც მიგვითითებს. მე ვფიქრობ ეს სოფლები ქართველებისაგან ლეკიანობის დროს ცარიელდებოდა. ოსები ალბათ შეკრული იყვნენ ლეკებთან და ნასოფლარებს იკავებდნენ. ჩამოსახლებული ოსები გაუმეზობლდნენ ქართველებს. სოფლების უმეტესობაში მათი სახელწოდების მსგავსი გვარები ცხოვრობდნენ (რამდენიმე ასეთი პუნქტი, დღემდეა შემორჩენილი – ჩიტიანში ცხოვრობენ ჩიტიშვილები, ბალაანში – ბალაშვილები, პავლიანში – პავლიაშვილები და ა.შ.). იმდენად კარგი დამოკიდებულება გვქონდა ჩამოსახლებულ ოსებთან, რომ ხშირი იყო გათხოვება-გამოთხოვება. 75-იან წლებამდე მეც იქ ვცხოვრობდი და ვხედავდი. არ არსებობდა დღეობა, რომ ჩვენი ხალხი არ დაეპატიჟებინათ. ავიდოდნენ, გამოხდიდნენ ლუდს, არაყს, დაკლავდნენ ხარს და ხომ არ გონია რაიმე ჩხუბი მოხდებოდა?! მერე ქართველები გადმოიპატიჟებდნენ ოსებს და ცხოვრობდნენ მეგობრულად. 70-იანი წლებიდან ოსურ ზონაში, ჟამურს რომ ვეძახით 2-3 მეტრიანი თოვლი მოვიდა, ადამიანები ჩაიკეტნენ, ერთმანეთში გვირაბებით დადიოდნენ. პირველადი დახმარების ნივთები ვერტმფრენებით მიაწოდეს. ხალხი ისე დაშინდა, რომ იქედან გადასახლდა, და ეს ადგილი გაუკაცრიელდა"* (საშუალო ასაკის მამაკაცი – წეროვანის დასახლება).

*„20-იან წლებში სულ 20 ოსური ოჯახი ცხოვრობდა ახალგორში. პოლიტიკა იყო ასეთი, რაიკომის მდივანი თუ ქართველი იყო, აღმასკომის თავმჯდომარე ოსი უნდა ყოფილიყო. ისე ხდებოდა, რომ ჩვენი ბედოვლათი რაიკომის მდივნები ვერაფერს აწყობდნენ, ხოლო ცხინვალიდან დავალება ჰქონდათ, რომ ოსები, ახალგორში ჩამოესახლებინათ. ეს ოსები მწყემსები იყვნენ, აძლევდნენ ბინებს, მაგრამ მათ ნაკლებად აინტერესებდათ ქალაქი, თუმცა შვილებს აგზავნიდნენ საცხოვრებლად. მე 1980 წელს მივიღე ბინა ახალგორში. ჩვენს კორპუსში 12 ოსური ოჯახი ჩამოასახლეს. ადრე ახმაჯში (სოფელია ლ.ჯ.) არც ერთი ოსური ოჯახი არ იყო. 50-იან წლებში თანდათან დაიწყეს ჩამოსვლა და ახლა ნახევარი სოფელი ოსებია"* (ხანდაზმული მამაკაცი, წეროვანის დასახლება).

ახალგორის რაიონის (ქსნის ხეობის) ტრადიციულ მეურნეობაში განსკუთრებული როლი მიწათმოქმედებას ეკუთვნის. ხეობის მთიან ნაწილში, მიუხედავად იმისა რომ, მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეჭირა, XIX ს-ში მემარცვლეობა ასევე ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა. მიწათმოქმედება ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში ხასიათდებოდა ინტენსიურობით, რაც მის მაქსიმალურ ეფექტიურობას განაპირობებდა (რობაქიძე 1985: 129-131; კედელაძე 1973: 71-76; გელაძე 1973: 78-97; ქანთარია 1980: 92-174).

მიწათმოქმედების და, განსაკუთრებულად, მემინდვრეობა ოსებში შედარებით გვიან, კავკასიის მთიანეთში გადმოსახლების შემდეგ განვითარებულა, ამის თაობაზე მათში ასეთი გადმოცემაც არსებობს: "ძველ დროში ხალხი მხოლოდ ხორცს ჭამდა, პური სულ არ იყო. ერთხელ მოხუცებულები ისხდნენ და ქეიფობდნენ, დაინახეს, რომ მათ ახლოს არწივი დაფრინდა. არწივმა მოფუნა რამდენჯერმე, გაქექა მიწა და ნისკარტით რაღაც ჩააგდო. მოხუცები დაინტერესდნენ და შემოღობეს, რომ ადგილი არ დაეკარგათ ან საქონელს არ გაეთელა. ცოტა ხნის შემდეგ ამოვიდა პურის შესანიშნავი თავთავები. მოხუცებმა შეინახეს თესლად და მეორე წელს მიწა დაამუშავეს რათა ეს თესლი დაეთესათ. მიხვდნენ, რომ არწივმა მათ თესლი მოუტანა და ამიერიდან არწივს დიდ პატივს სცემენ. ყველას აქვს სასტუმრო ოთახში არწივის სურათი" (ქანთარია, არქივი).

მცირემიწიანობა მთაში მიწის შედარებით მაღალ ღირებულებას განაპირობებდა. ი. ზეიდლიცი წერს, რომ ოსები ძალზე ნაკლებად აფასებენ თავიანთ დროს და მაღალ ფასს ადებენ სახნავ მიწებს (ზოგჯერ დესეტინა თითქმის 1000 მანეთანდე ღირს). ის ბედნიერი ადამიანები ვინც დაბლობებზე გადასახლდებიან, მამაპაპეულ მიწებს, როგორც წესი, არ თმობენ და გარკვეული პირობებით უტოვებენ იქ დარჩენილ ღარიბებს (ზეიდლიცი 1873-1874: 106-111).

ოჯახის ბარში გადასახლების შემთხვევაში მას უფლება ჰქონდა საკარმიდამო თანამოგვარისთვის მიეყიდა, raTaა გვარს ეს ქონება არ დაჰკარგვოდა. ასევე შეეძლო მიწა თავისთვის დაეტოვებინა, ამოსულიყო და დაემუშავებინა, ან თანამოგვარისათვის სანახევროდ მიეცა. ლიახვისა და ქსნის ხეობაში მიწები ძირითადად ქართველ მემამულეებს ეკუთნოდა, ამიტომ საქართველოში ოსების მნიშვნელოვანი ნაწილი სოციალურად ე.წ. ხიზნის კატეგორიაში შედიოდა.

ოსებით დასახლებულ სოფელში ახალმოსახლეს სამი წლის განმავლობაში ადგილობრივად არ თვლიდნენ. მას თავისთვის მიწის ყიდვაც არ შეეძლო. სამი წლის მერე იკრიბებოდნენ ნიხასზე და ამ ახალმოსახლეს ნაკვეთს გამოუყოფდნენ იქ, სადაც საძოვარი შედარებით სწორი და ადვილად დასამუშავებელი იყო. ამ ადგილს ახალმოსახლე სახნავ მიწად გადააქცევდა. ფერდობზე წერაქვითა და ნიჩბებით გამოთხრიდა სწორ ფართობს ისე, რომ ვაკე ადგილი შექმნილიყო, რომ დამუშავება ყოფილიყო შესაძლებელი. ამ ნაკვეთებს ყორეებს უკეთებდნენ. ამგვარი ნაკვეთები კარგი იყო, ტენს კარგად ინახავდა, რადგან მთიდან ჩამოდენილ წყალს ყორე აკავებდა, თან მიჯნაც აღარ სჭირდებოდა, თუმცა, თანდათანობით და ძალიან ნელა იქმნებოდა, სამუშაო ძნელი და შრომატევადი იყო. მეორე წელს მისი დამუშავება უკვე შეიძლებოდა. ამგვარ მიწას ერთ ჰექტარზე 100 ურემი ნაკელი სჭირდებოდა. პირველ წელი ნაკვეთის ქვა-ღორღისაგან განთავისუფლებას უნდებოდა, მეორე წელს კი უკვე "ძივირით" ხნავდნენ. არსებობდა სახნავი მიწების ორი კატეგორია: "ხუგომ" და *"კარან ზახიმა"* განსაკუთრებით ძვირად ფასობდა "ხუგომი", რომელიც უფრო ნოყიერ მიწებზე მდებარეობდა და მოსავალსაც მეტს იძლეოდა. ფიგურალური გამოთქმით ადგილი, რომელზეც ხარი დაეტევა ერთი ხარის ფასი ღირდა (კალოევი 1967: 66).

XIX საუკუნის ბოლოს სახნავ-სათესი და სათიბი მიწები მთაში ცალკეულ გლეხებს ეკუთნოდათ, და მემკვიდრეობით გადადიოდა. მხოლოდ საძოვარი და ტყეები იმყოფებოდა სოფლის თემის საკუთრებაში. ბარად კი XX საუკუნის 20-იან



წლებამდე, მიწა მთლიანად თემის საკუთრება იყო და ყოველწლიურ გადანაწილებას ექვემდებარებოდა. ხვნის დასაწყიში თემის კრება სოფლის ყოველი უბანში ირჩევდა 1-2 კაცს *(захуарджыта),* რომლებიც კენჭისყრით ანაწილებდნენ სახნავ მიწას, შემდგომ კი ამ ნაკვეთებს ოჯახებზე ანაწილებდნენ (კალოევი 1967: 66-68).

საველე მასალების თანახმად, მიწის განოყიერება ხდებოდა გაზაფხულობით, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. ოსი მოსახლეობა ყველაზე კარგ სასუქად ცხვრის ნაკელს მიიჩნევდა, ქართველებში კი სახნავ-სათესი ნაკვეთის გაპატივების სამი წესი არსებობდა: ნაკელის გატანა, მონეხვწყლა და საქონლის მოძრავი ბაკების მოწყობა. საქონლისა და ცხვრის ნაკელს ქართველები ერთმანეთში ურევდნენ.

ქსნის ხეობაში მარცვლეული კულტურებიდან ითესებოდა: ხორბალი, ქერი შვრია, ცერცვი, სიმინდი და ა.შ. საშემოდგომო ხორბალი ოქტომბერში ითესებოდა, გაზაფხულზე კი თესდნენ ქერს, ცერცვსა და შვრიას. ქერის აღების შემდეგ მიწა მაშინვე იხვნებოდა, რათა შემდეგ პური დაეთესათ. ქვა-ღორღიანი მიწა ჯერ უნდა გაწმენდილიყო, ხოლო შემდეგ ნაკელი გაჰქონდათ და ხნავდნენ. ახალგორის რაიონში ძველად მთიან ზოლში ქსნური მთის გუთანი, მთისძირში ორხელა გუთანი, დაბლობში კი კომპლექსური ბარული გუთანი იყო ხმარებაში (გელაძე 1973: 61). ოსები მთაში მეტწილად ხის კავს "ძუირს//ძივირს" იყენებდნენ, რადგან მსუბუქი მიწაა და ღრმად მოხვანა არ სჭირდება. დიდი გუთანი იქ არ გამოდგება, შეიძლება ქვას გამოედოს და გატყდეს. თანაც ბარული გუთანი უფრო მეტ გამწევ პირუტყვს მოითხოვდა. ძივირი თან მიწას შლიდა და აფხვიერებდა, გუთანი კი მხოლოდ ერთ გვერდზე აბრუნებდა და მზე რომ დააცხუნებდა, ბელტები ქვასავით მაგარი ხდებოდა (ქანთარია, არქივი).

ნაკელიან მიწაზე პირველ წელს ქერი, მომდევნო ორ წელს – ხორბალი ითესებოდა. მესამე წელიწადს მიწას მოხნავდნენ, ზამთარში ნაკელს დააყრიდნენ, გაზაფხულზე კვლავ გადახნავდნენ და ისევ ქერს დათესავდნენ. შედარებით კარგ მინდვრებზე ქერი და პური ითესებოდა, შედარებით მწირზე კი ცერცვი და შვრია.

ოსურ დასახლებებში ღარიბი და თვით საშუალო გლეხებიც კი მიწებს მეზობელთა გაერთიანებული უღლეულებით ამუშავებდნენ. ამგვარ გაერთიანებებს სხვადასხვა პირობით ადგენდნენ, ითვალისწინებდნენ რამდენი გამწევი პირუტყვი ეკუთნოდა ამა თუ იმ პირს, ვისი იყო უღელი და ა.შ. ფართოდ იყო გავრცელებული ძველი ოსური ურთიერთდახმარების ფორმა "ზიუ". ურთიერთდახმარების წესი, "იზიუ" ან "ზიუ" ახოს აღების დროსაც იცოდნენ. შეყრიდნენ ხალხს, საჭმელს გააკეთებდნენ და ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ეს ერთგვარ ვალს წარმოადგენდა "დღეს მე დამეხმარები, ხოლო ხვალ შენ უნდა დაგეხმარო". ოსებმა იცოდნენ შეერთებული – უმაბახომკაპაშ – ერთდებოდნენ თითო ხარით და ძივირით და ყველა ხნავდა, რამდენიც სჭირდებოდა.

ახოს აღების დროს კოლექტიური შრომის გავრცელებულ ფორმას ქსნის ხეობის ქართულ მოსახლეობაში წარმოადგენდა ნაცვალგარდობა – სანაცვლოდ შრომის ანაზღაურებაზე აგებული შრომის გაერთიანება. ამ შემთხვევაში სამაგიეროს გადახდა შეიძლებოდა სხვა სახის სამუშაოს შესრულებით (მკა, თიბვა და ა.შ.) პირობა, ჩვეულებრივ ასეთი იყო – "დღეში დღე" ამას დანაცვლებას ეძახდნენ. ქართველებმა იცოდნენ, ასევე დაძახილი მუშა, მამითადი და ულამი (გელაძე 1973: 80, 89).

აღსანიშნავია,რომ ქსნის ხეობის ოსები მიწათმოქმედების დარგებიდან მისდევდნენ მხოლოდ მემარცვლეობას, ისინი ნაკლებად იცნობდნენ მევენახეობას, მებაღეობას და მებახჩეობას.

ოსებში გავრცელებული ძირითადი სახვნელი იარაღი ძივირი ქართული ჩუთისა და კავის ანალოგიური იყო, იგი კონსტრუქციის უბრალოებით გამოირჩეოდა და მხოლოდ ერთი უღელი ხარი და ერთი მუშა სჭირდებოდა; სახვნელის ეს ტიპი ჩრდილო კავკასიის ხალხებშიც გვხვდებოდა. წინამთიანეთსა და დაბლობ ადგილებში ხვნა წარმოებდა ძირითადად ხის გუთნით (хъадын гутон). მას 2-3 -დან 4 უღელ ხარამდე ესაჭიროებოდა. დაბლობ რაიონში ამასთან ერთად გამოიყენებოდა დიდი ქართული გუთანი, რომელიც რთული კონსტრუქციით გამოირჩეოდა და მუშახელისა და გამწევი პირიტყვის მეტ ოდენობას მოითხოვდა. ქართულის ანალოგიური იყო სამკალი იარაღებიც. სამკალი იარაღებიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთში იცოდნენ ცელი (цаваг) და ნამგალი (ахсырф). იყო ნამგლის მეორე სახეობაც (ламган) რომელსაც შედარებით გრძელი სახელური ჰქონდა. მომკალი რომელიც ნამგლით მუშაობდა იყენებდა საგანგებო თხელი ტყავის ხელთათმანს, ამასთანავე მარცხენა ხელის სამ თითზე ნეკის ჩათვლით თითების გაფრთხილების მიზნით იკეთებდნენ ხის საგანგებო სათითურს. (რობაქიძე 1985: 131-132)

მთის ზონაში მნიშვნელოვანი დგილი ეჭირა მესაქონლეობას, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უპირატესობით, მისდევდნენ მეცხვარეობასაც. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით მსხვილფეხა საქონელი გავრცელებული იყო ყველგან,როგორც მეწველი, ისე გამწევი ძალის სახით. მეცხვარეობას მისდევდნენ უფრო ქსნის ხეობის შუა და ზემო ნაწილში, რადგან მის ქვემო წელზე განვითარებული ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში ცხვრის ფარისა და თხის მოშენება ნაკლებად იყო შესაძლებელი (მაკალათია 1973: 56). ქსნის ხეობის მსხვილფეხა პირუტყვთან დაკავშირებულ სქესობრივ-ასაკობრივი თუ სხვა სახის ქართული ტერმინოლოგია მთლიანად ემთხვევა საქართველოში სხვაგან არსებულ მონაცემებს (მაკალათია 1973: 58), მაშინ როდესაც, აბაევის თანახმად თითქმის ყველა ოსური სიტყვა რომელიც მესაქონლეობას უკავშირდება, ძველირანული წარმოშობისაა. ოსებში, როგორც ეტყობა, მეცხვარეობა ყოველთვის იყო მეტ-ნაკლებად განვითარებული მეურნეობის დარგი, რაც მოწმდება არა მარტო არქეოლოგიური მასალით, არამედ ფოლკლორული და მითოლოგიური მონაცემებით. ოსურ პანთეონში არის საგანგებო ღვთაება ფალვარა, რომელიც უძველესი დროიდან წარმოადგენდა მეცხვარეობის მფარველ ღვთაებას. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ ასევე იმასაც, რომ მეცხვარეობა შედარებით გვიანდელ ეპოქაშიც საკმაოდ პოპულარული იყო. მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ გადარეკვითი მეცხვარეობა,რომელიც ცენტრალურ კავკასიაში III ათასწლეულში ჩამოყალიბდა, ოსებშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ცალკეული ცნობებიც ადასტურებს, რომ ალანებს ჰყავდათ ცხვარიც, რომელსაც ზაფხულობით მთებში ინახავდნენ, ხოლო ზამთრობით – კუმიკების მცირეთოვლიან სტეპებზე. ნართების ეპოსში ხშირადაა ნახსენები შავი ცხვრის ფარები. მას შემდეგ, რაც ალან-ოსები კავკასიონისაკენ შეავიწროეს მათი მესაქონლეობის მასშტაბები ბუნებრივად შეიზღუდა, გაქრა გადარეკვითი მეცხვარეობისა და მეცხენეობის წარმოების საშუალება. თუმცა, ცალკეულ მკვლევართა დაკვირვებით, მთებში ბოლომდე შემორჩა ცხვრის თუ მსხვილფეხა საქონლის ცალკეული ძველი ჯიშები (კალოევი 1967: 75).



საქონლის სადგომად ზაფხულობით ოსები გამოიყენებდნენ საგანგებოდ შეღობილ ნაკვეთებს (“ქართი”). წვრილფეხა რქოსანი საქონლისათვის აშენებდნენ მოწნულ, მსხვილფეხასათვის კი ქვის სადგომებს. სიცივეების დადგომასთან ერთად საქონელი შეჰყავდათ ბოსლებში. უნდა ითქვას, რომ ტერმინი “ქართი” იგივე მნიშვნელობით ქართველებშიც გვხვდება და ჩრდილო კავკასიელებშიც. ზამთრობით საქონელი გადადიოდა ბაგურ კვებაზე,აძლევდნენ სიმინდის ჩალას,თივას და ბზეს,ხოლო ცხენებს უმატებდნენ ქერსაც. სოფლების მახლობლად განლაგებული საძოვრები განკუთვნილი იყო მსხვილფეხა პირუტყვისათვის, ხოლო სათიბები უფრო მოშორებით, მაღალ და ძნელადმისადგომ ადგილებში მდებარეობდა, საიდანაც თივა ძირითადად თოვლის შემდეგ მოჰქონდათ. ადგილობრივი ტრადიციიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო ის, რომ ქსნის ხეობის ოსები აქაური ქართველების მსგავსად გადარეკვით მესაქონლეობას მისდევდნენ (კალოევი 1967: 129; გამყრელიძე 1996: 196).

საქონელს, ან თავად პატრონები, ან დაქირავებული მწყემსები მწყემსავდნენ. ხშირად მწყემსს მთელი სოფელი ქირაობდა, კვებავდნენ და ღამეს რიგ-რიგობით ათევინებდნენ. ამასთანავე, თითოეული საქონლის მეპატრონე ვალდებული იყო “ფალვარას” დღესაწაულზე მწყემსისთვის მიეტანა საგანგებოდ გამომცხვარი ყველიანი ნამცხვარი (ასხირდიანი), ამ ჩვეულებას “კუსხასანს” უწოდებდნენ. მდიდარი გლეხები მწყემსებს დამოუკიდებლად ქირაობდნენ. მწყემსს კვებდა და აცმევდა საქონლის პატრონი, ხოლო სამი წლის სამსახურის შემდეგ აძლევდა გარკვეული რაოდენობის ცხვარს ნამატიანად.

განსხვავებული იყო მსხვილფეხა საქონლის მწყემსებთან გარიგების პირობები. მეპატრონე ღარიბ თანასოფლელს ან საგანგებოდ დაქირავებულ მწყემსს ერთი სეზონის მანძილზე აძლევდა საპატრონოდ პირუტყვს.

პირუტყვის მოვლა-პატრონობა მთასა და დაბლობებზე მნიშვნელოვნად განსხვადებოდა. თუ მთისწინეთსა და დაბლობში მსხვილფეხა პირუტყვის მწყემსვა მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა,მაღალმთიან რაიონებში პირიქით წელიწადში თითქმის 7 თვე პირუტყვი ბაგურ კვებაზე იმყოფებოდა. აქედან გამომდინარეობდა განსხვავება სკვების დამზადებაში, მწყემსების დაქირავებასა და მოვლა-პატრონობაში. მთის თემებში მწყემსს ქირაობდნენ მხოლოდ ზაფხულობით, ხოლო დაბლობებში მთელი წლის მანძილზე. სათიბები საერთო სათემო საკუთებას წარმოადგენდა, ამიტომ იყო გარკვეულ თიბვის დსაწყისი გარკვეულ წესს ექვემდებარებოდა (ანონიმი ავტორი 1930: წერ. 4).

როგორც ითქვა, ქსნის ხეობის მოსახლეობაში ძირითადად გავრცელებული იყო გადარეკვითი მეცხვარეობა (რობაქიძე 1985: 129; მაკალათია 1973: 62-65). ცხვარი “დიდ მთებზე” თიბათვის პირველ რიცხვებში უნდა წაეყვანათ. მეცხვარეები თავს იყრიდნენ წითელ ხატთან (ჟამურის ხეობა) დვრიტეულში და “სამხთოს” იხდიდნენ. წითელ ხატს მხოლოდ წითელ ბატკნებს სწირავდნენ. “სახმთოს” იხდიდნენ მარიამობის თვეშიც,როდესაც ცხვარ-მეცხვარე უკან ბრუნდებოდა ცხვრის საზამთრო საძოვრებად კი ძირითადად ქსნის ხეობის ბარი (ძეგლევი, ქსოვრისი, მუხრანი, აღაიანი, წეროვანი, ქანდა, ოკამი, ციხისძირი, წილკანი, ჩობალაური და ა.შ) გამოიყენებოდა. ცხვარი მიჰყავდათ ასევე ტირიფონის ველსა და გორიჯვარზე (მაკალათია 1973: 63-66).

სამეურნეო ყოფაში გარკვეული როლი ენიჭებოდა შინამრეწველობასაც,

განსაკუთრებით იმ დარგებს, რომლებსაც ნედლეულის ბაზა ადგილზე ჰქონდა, ან რომელიც მეურნეობის ძირითად დარგებს უკავშირდებოდა. მაგ. მესაქონლეობის ბაზაზე განვითარებული იყო რძის პროდუქტებისა და შალის ნაკეთობების წარმოება. ოსური შალის ნაწარმი დიდი პოპულარობით სარგებლობდა კავკასიის ხალხებში. ამზადებდნენ ნაბდებს, ქუდებს და ა.შ. საკმაოდ განვითარებული იყო ტყავის ნაკეთობათა შინაურ პირობებში დამზადება (რობაქიძე 1985: 133; მაგომეტოვი 1963: 49). ოსები ასევე ამზადებდნენ თექის ნაწარმსაც, რომელიც მცენარეული საღებავებით იღებებოდა და ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. ხშირად მას საქართველოს ბაზრებში ჰყიდდნენ და სანაცვლოდ ქარხნული წარმოების ქსოვილებს, მარილს და სპილენძის ქვაბებს ყიდულობდნენ. თექის დამზადების. დამუშავებული ტყავისაგან მზადდებოდა უხეში ფეხსაცმელი (არჩი), თოკები და ა.შ. თითქმის ყველა სოფელს ოსეთში თავისი ხელოსნები ჰყავდა, რომლებიც ამზადებდნენ უნაგირებს, უზანგებს, კავებს და ა.შ. (სკიტსკი 1956: 145).

ოსები მეურნეობის ხსენებული დარგების გარდა დადიოდნენ გარე სამუშაოებზე, ჰქონდა ხელოსნების სხვადასხვა დარგები,იცნობდნენ საჭაპანო და სააღლო ტვირთმზიდი ტრანსპორტის დამზადებას და ა.შ. (კალოევი 1980: 62-83). მე-19 საუკუნის ბოლოს ქსნის ხეობის ოსთა შორის ფართოდ გავრცელდა ქალების სამუშაოზე გასვლა. ჯანმრთელი ახალგაზრდა დედები მიდიოდნენ თბილისში და იქ შეძლებულ ოჯახებში ძიძად მსახურობდნენ. ეს ძიძები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ,რადგან მიაჩნდათ, რომ მათ განსაკუთრებით მსუყე და ჯანმრთელი რძე ჰქონდათ (სონღულაშვილი 2009: 173-174)

მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების გარდა, გარკვეული მნიშვნელობა ქსნის ხეობის ტრადიციულ მეურნეობაში ჰქონდა მეფუტკრეობას, შინამრეწველობას, ნადირობას დ ა.შ. შინამრეწველობაში დიდი ადგილი ეჭირა ხის ნაკეთობათა დამზადებას, სატრანსპორტო საშუალებების კეთებას, ფეიქრობას, მეთუნეობას, რადგან გლეხები იძულებული იყვნენ თავიანთი მეურნეობისათვის აუცილებელი ინვენტარი ოჯახებში დაემზადებიანათ. ურმებისა და სხვა სამუშაო იარაღების გარდა ამზადებდნენ ხის საწოლებს ჭურჭელს და ა.შ (ყარაულაშვილი 1973: 99-118; გასიტაშვილი 1973: 133-152; ბედუკიძე 1973: 156-167; ზანდუკელი 1973: 169-188).

სოფლის პირობებში უხდებოდათ ზოგჯერ მეტალის ნაკეთობათა დამზადებაც, ამიტომ, საკმაოდ განვითარებული იყო სამჭედლო საქმე. ქსნის ეთნოგრაფიული მასალის მონაცემებით ირკვევა,რომ ქსნის ხეობა,როგორც ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეურნეო ნაწილი, ხასიათდებოდა დაწინაურებული რკინის სახელოსნო და სამეურნეო იარაღების წარმობით. ამ შემთხვევაში ქართული მჭედლობა თავს იჩენს როგორც უწყვეტი კულტურული ტრადიცია (რეხვიაშვილი 1973: 191-205). ბიზანტიური წყაროების ცნობით მეტალურგია საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა ალანებში. თუმცა, მონღოლების შემოსევის შემდეგ მთლიანად აღმოიფხვრა საიუველერიო ნაკეთობათა დამზადების ტრადიცია და მეტალურგია მხოლოდ მჭედლობით შემოიფარგლებოდა. მჭედლობის ცოდნა სოფლად მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ამის გამო ხშირად ცნობილ მჭედელთა გვარებიც გვხვდება. საქართველოში მცხოვრები ოსები მისდევდნენ ასევე მეთუნეობას; ამზადებდნენ, დოქებს, თეფშებს, კეცებს და თონეებსაც (რობაქიძე 1985: 133).



მე-20 საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული კოლექტივიზაციის შედეგად რადიკალურად შეიცვალა ახალგორის რაიონის სამეურნეო გარემო. აქამდე ცხვრის ფარები და მსხვილფეხა საქონელი ძირითადად კერძო საკუთრებაში იყო. კოლექტივიზაციის შემდეგ მოახდინეს საქონლის დიდი ნაწილის ნაციონალიზაცია და ისინი საკოლმეურნეო ფერმებში გააერთიანეს. შედეგად მოახერხდა მეურნეობის ამ დარგის რენტაბელობის გაზრდა (მაგომედოვი 1968: 197-200), თუმცა შემცირდა ამ სფეროში დასაქმებულთა ოდენობა და მოტივაცია. ამასთან, გეგმაზომიერად ხდებოდა ქართული მეურნეობის სიმპიოზური ფორმის ტრანსფორმირება, რაც მთის ზონაში მიწათმოქმედების ხვედრითი წილის შემცირებაში და საოჯახო მეურნეობებისათვის სავარგულებისა და სათიბი მიწების შეზღუდვაში მდგომარეობდა. შრომის ორგანიზაციის საბჭოური ფორმების პირობებში დავიწყებას ეძლეოდა ურთიერდახმარების საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ფორმები: მამითადი, ზიუ და ა.შ.. მექანიზაციის ხვედრითი წილის გაზრდის შედეგად იზღუდებოდა ყოფაში ძველი სამიწათმოქმედო იარაღების გამოყენება. თითქმის მთლიანად ამოვარდა ხმარებიდან ადგილობრივი სახვნელის ტიპები. მკვიდრდებოდა ახალი სამიწათმოქმედო კულტურები და ქრებოდა ძველი.

კოლექტივიზაციის და მრეწველობის განვითარების პირობებში ირღვეოდა ტრადიციული ურთიერთობები. ყოველივე ეს ხდებოდა ძლიერი მიგრაციული და ურბანული პროცესების ფონზე. თუმცა ამასთანავე უფრო ინტენსიური ხდებოდა ახალგორის მოსახლეობის კომუნიკაცია შიდა ქართლის სხვა რეგიონებთან. იზრდებოდა ქსნის ხეობის კულტურულ-სამეურნეო და გეოეკოლოგიური ინტეგაცია დანარჩენ ქართულ რაიონებთან. ჩამოყალიბდა საკმაოდ მტკიცე ოსურ-ქართული სამეურნეო და სოციალ-კულტურული კავშირები.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში, ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარებიდან გამომდინარე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა. საქართველოში ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ ჩამორჩენილი იყო (თოთაძე 1996:223; ხარებოვი 2011: 6-7). ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ეკონომიკის განვითარების მიმართულებებს საკავშირი ცენტრი აკონტროლებდა (თუმცა ცალკეული ავტორები თვლიან რომ დირექტივები თბილისიდან მოდიოდა ლ.ჯ.). სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკის ძირითად მიმართულებად მესაქონლეობა და მიწათმოქმედება რჩებოდა, ამიტომ ერთ სულ მოსახლეობაზე იქ 42 %-ით ნაკლებ პროდუქციას აწარმოებდნენ, ვიდრე საშუალოდ საქართველოს რესპუბლიკაში (ხარებოვი, 2011: 7).

ქსნის ხეობას 1990-იან წლებში მომხდარი სამხედრო დაპირისპირება ნაკლებად შეეხო, თუმცა საერთო ეკონომიკური სტაგნაცია მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე მაინც აისახა: მოიშალა კოლმეურნეობები და მეცხოველეობის ბაზები, გაჩერდა საბჭოთა პერიოდში მოქმედი მცირე სამრეწველო ობიექტები და ა.შ. თუმცა, მეორეს მხრივ, ლიახვის ხეობის სოფლებისაგან განსხვავებით, ახალგორის რაიონის კულტურული ადა სამეურნეო-ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი დანარჩენ საქართველოსთან არ შემცირებულა.[7]

ამრიგად, ახალგორის რეგიონის მოსახლეობის ამჟამინდელი სამეურნეო ყოფა გარკვეულ კავშირშია ოსების ჩამოსახლებისა და სამეურნეო ყოფის განვითარების ისტორიასთან. რაიონი ზონალური ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებით

7 ლიახვის ხეობის ქართულ-ოსური და დანარჩენი საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური ურთიერთობის ძირითად პუნქტს იმ ხანებში წარმოადგენდა ერგნეთის ბაზრობა.

გამოირჩევა,რაც სამეურნეო მრავალფეროვნებას განაპირობებს. ქსნის ხეობას სამეურნეო თვალსაზრისით პირობითად სამ ზონად ყოფენ: ბარის –ახალგორამდე, მთის ძირის – ლარგვისამდე და მთის ზოლის – ლარგვისის ზემოთ. ახალგორის რეგიონის (ქსნის ხეობის) ტრადიციული მეურნეობაში განსკუთრებული როლი მიწათმოქმედებას ეკუთვნის. ხეობის მთიან ნაწილში, მიუხედავად იმისა რომ, მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეჭირა, XIX ს-ში მემარცვლეობა ასევე ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა. მიწათმოქმედება ადგილობრივ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებში ხასიათდებოდა ინტენსიურობით, რაც მის მაქსიმალურ ეფექტიურობას განაპირობებდა.

საკვლევ რეგიონში გავრცელებული სამიწათმოქმედო იარაღების უმეტესობა, სამეურნეო კულტურები და მათი მოვლის წესები ადგილობრივი ქართულის ანალოგიურია. ოსური სამეცნიერო წევრების წარმომადგენლები ტრადიციულად მიიჩნევენ, რომ მიწათმოქმედება ოსეთის უძველესი მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოაქვთ არქეოლოგიური მონაცემები, კერძოდ, ოსეთის მთისა და დაბლობ რაიონებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სამიწათმოქმედებო იარაღები, რომლებიც ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულით თარიღდება. ოსებისა და სკვითთა გენეტიკური ნათესაობის თეორიიდან გამომდინარე ოსებს მიაწერენ სკვითების სამეურნეო ყოფის დამადასტურებელ არგუმენტებსაც. ადრეული მიწათმოქმედების დასაბუთებას ეძებენ ასევე ფოლკლორულ თქმულებებისა და რწმენა-წარმოდგენების საშუალებით. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ზემოხსენებულის საწინააღმდეგო მონაცემებიც. ამიანე მარცელინის თანახმად ალანები ვრცელ ტერიტორიაზე მომთაბარეობდნენ. მათი მინდვრები გაველურებული იყო რადგან მიწას არ ამუშავებდნენ. მათი ნაწილი შემგროვებლობით ცხოვრობდა, ნაწილი მინდვრის ნაყოფით იკვებებოდა, არ იცოდნენ კავი (სახვნელი), არ იცოდნენ თესვა.

მთის ზონაში მნიშვნელოვანი ადგილი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას,მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უპირატესობით, მისდევდნენ მეცხვარეობასაც. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით მსხვილფეხა საქონელი გავრცელებული იყო ყველგან,როგორც მეწველი,ისე გამწევი ძალის სახით,მეცხვარეობას მისდევდნენ იყო უფრო ქსნის ხეობის შუა და ზემო ნაწილში, ძირითადად გავრცელებული იყო გადარეკვითი მეცხვარეობა. ქსნის ქვემო წელზე განვითარებული ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში ცხვრის ფარისა და თხის მოშენება ნაკლებად იყო შესაძლებელი. მსხვილფეხა პირუტყვთან დაკავშირებული სქესობრივ-ასაკობრივი თუ სხვა სახის ქართული ტერმინოლოგია მთლიანად ემთხვევა სხვა ქართულ მონაცემებს, მაშინ თითქმის ყველა ოსური სიტყვა რომელიც მესაქონლეობას უკავშირდება ძველირანული წარმოშობისაა.

მე-20 საუკუნეში საბჭოთა წყობილების პირობებში მოხდა ქსნის ხეობის სამეურნეო სიტუაციის რადიკალური ცვლილება. ადგილობრივი სამეურნეო გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო დარგების (მევენახეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა) ხვედრითი წილის ზრდას თან სდევდა ქართული ტრადიციული მეურნეობის სიმბიოზური ფორმის ტრანსფორმირება, რაც მთის ზონაში მიწათმოქმედების ხვედრითი წილის შემცირებაში და საოჯახო მეურნეობებისათვის სავარგულებისა და სათიბი მიწების შეზღუდვაში მდგომარეობდა. შესაბამისად,ირღვეოდა ტრადიციული ურთიერთობები და ძლიერდებოდა მიგრაციული და ურბანული პროცესები. თუმცა ამასთანავე,იზრდებოდა ქსნის ხეობის კულტურულ-სამეურნეო და გეოეკოლოგიური ინტეგრაცია დანარჩენ ქართულ რაიონებთან.



ფაქტია რომ, 2008 წლის კონფლიქტის წინა ხანებში ახალგორის რაიონში მცხოვრები ოსები მთლიანად იყვნენ ადაპტირებული ადგილობრივ ეთნოეკოლოგიურ გარემოში. ამასთან, რეგიონის მოსახლეობის (როგორც ქართველების, ისე ოსების) სავაჭრო-ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სოციალური თუ სამედიცინო ვექტორი მიმართული იყო არა ცხინვალ-ვლადიკავკაზის,არამედ თბილისისაკენ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჯგუფის ადაპტაცია განსხვავებულ ეთნიკურ, სოციალურ და გეოგრაფიულ გარემოსთან მეტად რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელშიც მონაწილეობს მატერიალური და სულიერი კულტურის თითქმის ყველა ელემენტი (შუბითიძე 1998: 163-171). ქსნის ხეობა კი ეკონომიური და კულტურულ-სამეურნეო თვალსაზრისით მჭიდროდ იყო ინტეგრირებული შიდა ქართლის დანარჩენ რაიონებთან. ოსურ-ქართული სამეურნეო და სოციალ-კულტურული კავშირები იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, რომ გაუძლო 1990-იანი წლების კრიზისს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს და ბოლო ხანებამდეა შენარჩუნებული.

## II. სამეურნეო ყოფის ტარნსფორმაცია ახალგორის მოსახლეობაში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ

ომის შემდეგ ახალგორის რაიონი, ე.წ. დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დაქვემდებარებაში გადავიდა. ადამიანური რესურსებისაგან დაცლილ რეგიონში ეკონომიკური სტაგნაცია დაიწყო. ცხინვალის ხელისუფლება შეეცადა არაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში ახალგორის ინტეგრაციისათვის ღონისძიებების გატარებას. რაიონის ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული სივრციდან მთლიანად ჩამოშორების მიზნით გაატარეს რამდენიმე ღონისძიება – სახელი შეუცვალეს ახალგორს და საბჭოთა პერიოდის სახელწოდება ლენინგორი დაუბრუნეს; იგეგმება ეთნიკური ქართველებისათვის 1990-იანი წლების შემდეგ მიღებული "უკანონო" საცხოვრებელი ფართების და მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა (სავარაუდოდ, 90-იან წლებში რეგიონიდან წასული ოსების შესასახლებლად); ცდილობენ, რაიონი საქართველოსგან ეკონომიკურად დამოუკიდებელი გახადონ, ზრდიან ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან პროდუქციის მიწოდებას. გაიხსნა ცხინვალისა და ახალგორის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, რათა ხელმისაწვდომი გახდეს გასაღების ბაზარი როგორც ცხინვალის,ისე რუსეთის მიმართულებით (ძაგოევა 2013). თუმცა, უნდა ითქვას რომ, "ოსური ხელისუფლების" გეგმები საკმაოდ ძნელად განსახორციელებელი აღმოჩნდა, რადგან არ ითვალისწინებს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ტრადიციას.

ახალგორის რაიონი შეუერთდა ეკენომიკური თვალსაზრისით გაპარტახებულ არაღიარებულ რესპუბლიკას, სადაც უამრავი ეკონომიკური ხასიათის პრობლემაა. მოშლილი ინფრასტრუქტურა (დანგრეული საწარმოები, საცხოვრებლები და ა.შ), რეგიონიდან გასული შრომითი რესურსები, მუშაობს საწარმოთა მხოლოდ 5-10 პროცენტი (ისიც მოძველებული და ზარალიანი), საბაზრო ურთიერთობები ან განუვითარებელია ან არ არსებობს, თავისუფალი ეკონომიკის კანონები არ მოქმედებს, არაა გასაღების ბაზრები,სოფლის ,,საზოგადოებრივი მეურნეობა" დაბალპროდუქტიულია (თანაც მოძველებული ტექნიკით და მექანიზმებით აღჭურვილი), მცირე ოდენობითაა კერძო საწარმოები, მიმდინარეობს დარჩენილი კადრების დეკვალიფიკაცია, შეინიშნება დეპოპულაციის პროცესი,რეგიონი საინვესტიციო თვალსაზრისით ნაკლებმიმზიდველია, საკუთარი ენერგიის წყაროები არ აქვს,არაეფექტურია საბაკო სისტემა და ა.შ (ხარებოვი

2011: 17-19). ამ ტიპის პრობლემების მქონე ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან შეერთებამ ახალგორის რაიონი მსგავსი პრობლემების წინაშე დააყენა. აი როგორ აღწერს "სამშვიდობო გაზეთის" კორესპოდენტი 2009 წლის გაზაფხულისათვის რეგიონში შექმნილ ვითარებას "როგორც სტიქიური უბედურების დროს ხდება, რომ ადამიანები გარბიან თავიანთი საცხოვრებლიდან და ტოვებენ ყველაფერს, ისე დატოვა ახალგორის მკვიდრმა ქართველობამ ქსნის ხეობა "(ქრისტესიაშვილი 2009: 1). აღარც მიწათმოქმედება, არც მესაქონლეობა და მეცხვარეობა, აღარც ბაზარი და წარმოება-დაწესებულებები, სავაჭრო ობიექტები, რომლებიც ქართული მხრიდან იღებს შევსებას... სეპარატისტებმა დაანგრიეს ყველაფერი, რაც მუშაობდა. არ იციან, რას მართავენ და არ იციან, როგორ მართონ. ყველა კომპიუტერი წყობიდან არის გამოყვანილი, არც მისი მოხმარება იციან და საანგარიშო "ჩოთქებზე გადავიდნენ (კორ. 2009: 2).

*„აღარაფერია გასატანი, სახლებიდან (ყანჩევეთში) უკვე, რაც გასატანი იყო გაიტანეს ადგილზე დარჩენილებიც სარგებლობენ, გამდიდრდნენ, ასე ოსიც იქცევა და ქართველიც. ამ მთავრობაზე გამწარებულები მეზობელ- ნათესავებზე იყრიან ჯავრს"* (ახალგორიდან დევნილი შუახნის ქალი).

*„ჩვენ უბანში სულ სამი ოჯახია დარჩენილი,დანარჩენი წამოსულია. სკოლა აღარ მუშაობს, ახალგაზრდები აღარ არიან, მარტო მოხუცები დარჩნენ"* (ახალგორიდან დევნილი შუახნის ქალი).

მეურნეობის გაჩანაგების საფრთხის წინაშე მდგომმა მოსახლეობამ მასობრივად დატოვა ქსნის ხეობის ოკუპირებული ნაწილი. სხვადასხვა მონაცემებით ამჟამად ახალგორის რაიონში 1000-დან 2500 ადამიანამდეა დარჩენილი. განადგურდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება,მოიშალა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული მესაქონლეობის მთა-ბარული სისტემა, ცხვარ-ძროხისაგან დაიცალა ქსნის ხეობის იალაღები, რადგან ახალგორის მთებში საზაფხულო იალაღებზე წასვლა საშიში გახდა. მართალია ე.წ. ოსურ ხელისუფლებას სურს, კვლავ განავითაროს გადარეკვითი მესაქონლეობა, მაგრამ მთაში უამრავი "ავაზაკი და თოფიანი დაეხეტება და მათ არა აქვთ უსაფრთხოების იმედი" (ქენქაძე 2009:3). შედეგად, კატასტროფულად გაძვირდა პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.

*„საქონელი რო გყავდეს, აქ ყოფნას, იქ ყოფნა სჯობია. ძალიან მაგარ ფასებს აძლევენ საქონელში და ყიდულობენ. ისეთ კაი ფასს იძლევიან ეგენი, ოსები! სკოლა რო ყოფილიყო და საქონელი, არ წამოვიდოდი. საქონელი რომ მყავდეს იქა. ხალხი რო არ წამოსულიყო! ბავშვები რო ყოფილიყვნენ იქა! დაცლილი იყო უკვე სოფელი. ბევრმა გაყიდა საქონელი, სუ, სუ, მთელმა სოფელმა. თან სულ იაფად გადავყარეთ!:"* (დევნილი ქარჩოხის ხეობიდან)

ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს მოქალაქეების გამოსაყვანად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ღონისძიებები გაატარა ქართულმა ხელისუფლებამ. ახალგორის მუნიციპალიტეტიდან დევნილი მოსახლეობისათვის წეროვნის, წილკნისა და ფრეზეთის ტერიტორიაზე ააგეს სტანდარტული ტიპის საცხოვრებლები ე.წ. კოტეჯები. კოტეჯი წარმოადგენს სამოთახიან შენობას (საერთო ფართით 58 მ2.) ფრეზეთსა და წილკანში ეზოებში დგას ხის ფიცრული ტუალეტები, წეროვანის დასახლებაში კი ტუალეტი და აბაზანა საცხოვრებლის შიგნითაა მოთავსებული. ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემების თანახმად,



განსხვავებულია კოტეჯებზე მიმაგრებული მიწის ფართობები: წეროვანში – 400 მ2, წილკანში – 1000მ2, ფრეზეთში – 1000 ან 2000 მ2. წეროვანის დასახლებაში 2002 კოტეჯია (ახალგორის მუნიციპალიტეტიდან დევნილ მოსახლეობას უჭირავს 1352 შენობა – ცხოვრობს 4700 ადამიანი). წილკანის დევნილთა დასახლებაში – 400 კოტეჯია (ახალგორელებს უჭირავთ 354 შენობა – 1100 ადამიანი), ფრეზეთში 300 კოტეჯია (ახალგორელები ცხოვრობენ 265-ში – 912 ადამიანი). სულ ახალგორიდან დევნილებს ეკუთვნით 1971 კოტეჯი (6712 ადამიანი). დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 70% (500 ადამიანი სახელმწიფო სექტორში, 1500 – კერძო სექტორში).

დევნილის სატატუსის მინიჭებისათვის არც თუ ისე რთული პროცედურაა გასავლელი. როგორც 2013 წ. ახალგორის გამგებელი გადმოგვცემს:

*"როდესაც დგება დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი, მიმართავს სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. სამინისტრო გვიგზავნის ჩვენ წერილს, რომელშიც გვთხოვს დავუდასტუროთ ესა თუ ის ადამიანი 2008 წლის ომისათვის მუდმივად ცხოვრობდა თუ არა ახალგორის რაიონში და გააჩნდა თუ არა საცხოვრებელი სახლი. შეიძლება ადამიანი აკმაყოფილებდეს მეორე მოთხოვნას, ჰქონდეს მამა-პაპისეული სახლი,მაგრამ მუდმივად არ ცხოვრობდეს ესეთი ხალხისათვის სტატუსის მინიჭებაზე თავს იკავებს სამინისტრო. ახლა,ჩვენ რის მიხედვით ვარკვევთ, შეუძლებელია გამგებელი ყველას იცნობდეს (7 თუ 10 ათასი მოსახლეა). ამიტომ ჩვენ გვყავს ჩვენი ტერიტორიული რწმუნებულები და ის უკვე ვალდებულია თავად იცნობდეს ყველას და ჩვენი რწმუნებულების ინფორმაციაზე დაყრდნობით ვიძლევით ინფორმაციას, გააჩნია სახლი და ცხოვრობს და ა.შ.*

დევნილთა "კოტეჯი" (წეროვანის დევნილთა დასახლებაში)

უნდა აღინიშნოს, რომ წეროვანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრებთა მონათხრობის თანახმად, ძალიან ბევრმა ისეთმა ადამიანმა მიიღო "კოტეჯი", რომელიც ფაქტიურად ახალგორში ცხოვრობს და იშვიათად თუ სტუმრობს საკუთარ სახლს წეროვანში. ამავე ინფორმაციას ოსური წყაროებიც ადასტურებენ (კოტაევა 2011: 61).

მართალია ახალგორის რაიონს საომარი მოქმედებები უშუალოდ არ შეხებია,მაგრამ

ტრადიციული საკომუნიკაციო ვექტორის იძულებით შეცვლამ და რაიონის დანარჩენ საქართველოსთან მოწყვეტამ უამრავი კულტურული და სოციალ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემა წარმოქმნა. თუმცა, სოფლის მეურნეობის პოტენციალს ოსური მხარე საკმაოდ პერსპექტიულად მიიჩნევს – "განსაკუთრებით მდიდრად და ნაყოფიერად ითვლება წინაგარის ზონის მიწები, სადაც კომპაქტურად განლაგებულ 1200 ჰექტარ მიწაზე საქართველოში მოყვანილი ბოსტნეულის 35% მოდიოდა" (ძაგოევა 2013).

დიდ იმედებს ამყარებენ რფსრ-სთან "საგანგებო სავაჭრო რეჟიმის" ამოქმედებაზე, რომელიც 2012 წელს ე.წ. სამთავრობათშორისო შეთანხმების სახით მიიღეს რუსეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა. ფიქრობენ, რომ იგი ბიძგს მისცემს სამომხმარებლო ფასების შემცირებას. 2014 წლისათვის ვარაუდობენ საინვესტიციო პროგრამით განსაზღვრული ობიექტების მშენებლობების დასრულებას. მაღალმთიანი და საოკუპაციო ზოლთან ახლო მდებარე სოფლებში სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შემოაქვთ ე.წ. საფელდშერო-საბებიაქალო პუნქტები (ФАП - Фельдшерско-акушерские пункты), სადაც შესაძლებელი იქნება პირველადი დახმარების გაწევა. რუსული სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფენ საპენსიო ასაკის ძალოვანი ორგანოების ყოფილ თანამშრომლებს და ა.შ. (შეთანხმება 2013), ამავე ხასიათი ღონისძიებებს მიეკუთვნება ზემოხსენებული ცხინვალი-ახალგორის ავტომაგისტრალი, ძირკაუ ცხინვალის გაზსადენზე რაიონის გაზმომარაგების სისტემის მიერთება, ცხინვალი-ახალგორის რაიონის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ა.შ. ახალგორის რაიონის ხელოვნურად მიბმა ცხინვალთან საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ადამიანებს უჭირთ პროდუქტის გასაყიდად ცხინვალში სიარული და ამიტომ ან კვლავ თბილისში მოდიან ან ადგილზევე ცდილობენ მოახდინონ რეალიზაცია. ოსური საინფორმაციო საშუალებები ვერ მალავენ, რომ ახალგორელები სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისით ძირითადად თბილისთან არიან დაკავშირებული. ისინი ამ კავშირების გასაწყვეტად ოსურ ადმინისტრაციას შემდეგ რეკომენდაციებს აძლევენ: დაიწყონ მოსახლეობისაგან ხელსაყრელ ფასებად პროდუქციის შეძენა, გაადვილონ მოქალაქეობის მინიჭების გზით რუსეთში გასვლა (ე. ი. ირიბად აღიარებენ, რომ აქ უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეა ლ.ჯ.), გაართულონ საოკუპაციო ხაზის გადაკვეთა (2014 წლამდე საოკუპაციო ხაზის გადაკვეთისას დევნილები სარგებლობდნენ "ფორმა №9-ით",რომელიც წარმოადგენს ცნობას,რომ ისინი ცხოვრობენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე (ძაგოევა 2013).

*„პროდუქტს ადგილზე ჰყიდიან ვისაც რამე აქვს, ვაჭრები ადიან და ისინი ყიდულობენ. კილოგრამი ყველი ეხლა ადგილზე ღირს ხუთი ლარი ამიტომ აქეთ აღარ გამოაქვთ. ომამდეც მოდიოდნენ ვაჭრები და იქ ვყიდდით უფრო. აქ კარტოფილი, სიმინდი, ლობიო კარგი მოდის, მაგრამ სათავსი, შესანახი არ გვაქვს" (აღწერილია 2013 წლის მდგომარეობა, როდესაც პროდუქტი თბილსში ბევრად იაფი ღირდა ლ.ჯ.)*

სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ტრადიციას და ოდესღაც აყვავებულ სოფლების მდგომარეობას მეორე ჩვენი მთხრობელი ასე აღწერს:

*„ახალგორის მოსახლეობა პროდუქტის გასაყიდად ომამდე თბილისში დადიოდა, რადგან ცხინვალამდე ორჯერ მეტი დრო უნდოდა. ომის შემდეგ კი წინაგრის მხარე ფაქტიურად უსიცოცხლო ზონად იქცა. ადრე აქაურებს მთელი პროდუქტი გორში დაჰქონდათ გასაყიდად. ახლა ჯერ ახალგორში უნდა ჩაიტანონ,მერე იქედან თბილისში უნდა წაიღონ. ამას დიდი დრო უნდა. ცხინვალში წაღებას აზრი არა აქვს, ეს არის "მკვდარი ქალაქი," თითქმის აღარავინ ცხოვრობს. ახალგაზრდობა საერთოდ აღარ დარჩა, სულ რუსეთში წავიდა"* (ხანდაზმული მამაკაცი – წეროვანის დასახლება).



ექსპერტი ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკიდან აღნიშნავს, რომ ომის შემდეგ პერიოდში დაირღვა ქართველებსა და ოსებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები. უმეტესად მთაში მცხოვრები ოსები და დაბლობში მცხოვრები ქართველები წინათ ურთიერთსასარგებლო ვაჭრობას ეწეოდნენ,ერთმანეთში საწარმო პროდუქციას ცვლიდნენ. ბაზარზე ოსებს ხორცი,ყველი,მატყლი,კარტოფილი, ხის ნაკეთობები ჩამოჰქონდათ, ქართველებს – კი ხილი, ბოსტნეული, მარცვლეული, სამრეწველო საქონელი. ცხინვალს პროდუქტით ამარაგებდნენ ძირითადად ქალაქის ირგვლივ სოფლებში მცხოვრები ქართველები (ხარებოვი 2011:10).

რუსულ-ოსური საოკუპაციო ხელისუფლება თანდათანობით ზღუდავს ახლგორიდან დევნილთა მშობლიური ადგილებისაკენ მოძრაობას. ოფიციალურად დაწესებული სახვადასხვა ტიპის დოკუმენტების გარდა, მავთულხლართებით შეღობეს ე. წ. საზღვარი. ემზადებიან ე.წ. საბაჟო გადასახადის დაწესებისათვის. ახალგორში შესული ქართული პასპორტის მქონე პირები უცხო ქვეყნის მოქალაქეებად მიიჩნევიან და ბაჟის სახით 320 რუბლი დაუწესდებათ (კოტაევა, 2011: 63)

*„იქ (ახალგორში ლ.ჯ.) ვინც ცხოვრობს ძირითადად ქართული პასპორტი აქვს. არის ასევე რუსული დოკუმენტი, "ფორმა 9", რომელიც გადაადგილების უფლებას იძლევა. არის შემთხვევები, როდესაც ოსებთან პირადი კავშირის წყალობით შედიან ახალგორის რეგიონში. მთავარია შეაღწიო, მერე კი 10 დღის, ორი კვირის შემდეგ, აიღებ საბუთს. ახალგორში იძულების წესით ოსური პასპორტის აღების შემთხვევები არ გამიგია, ცხინვალში კი ასეთი შემთხვევები ბევრია, რადგან იქედან გასაქცევიც არსადაა. თანაც ვინღა დარჩა იქ ქართველი? ახალგორში კი თუ არჩევნის წინაშე დააყენებენ ხალხს, ბევრმა შეიძლება გაცლა არჩიოს, ისედაც დაცლილია რაიონი და დარჩებათ ცარიელი სახლები, რაც მაგათ ინტერესში არ შედის. ოსები ახალგორში საცხოვრებლად არ ჩამოდიან. მოდიან უფრო რუსი სამხედრო მოსამსახურეები, თავიანთი ოჯახებით. მათთვის ახალგორში ააშენეს სახლები. ქართველები მაღაზიებშიც კი ჩვეულებრივად აგრძელებენ მუშაობს და არავინ ზღუდავს. მიმოქცევაშია, ლარიც, რუბლიც და დოლარიც"* (ახალგაზრდა მამაკაცი – წეროვანის დასახლება).

*„ვისაც საბუთები გვაქვს შევდივართ, ვისაც არა, არ უშვებენ. თუ აქამდე ორი ლარი მჭირდებოდა თბილისში ჩამოსასვლელად ეხლა 12 ლარი მჭირდება: ჯერ ახმაჯიდან უნდა ავიდე ახალგორში და გადავიხადო ორი ლარი, მერე იქიდან თბილისში, გაიზარდა მგზავრობის ფული და ა.შ. ჩვენ ეხლა გაღმიდან დავდივართ, შემოვლით გზით ვსარგებლობთ გზა თითქმის 20 კმ–ით გაიზარდა თბილისამდე, თან ძალიან ცუდი გზაა, წვიმიან ამინდში მანქანა ვერ დადის, ვწვალობთ ძალიან. გამგებელი ჩამოდის ხოლმე კრებებს ატარებს რომ ყველაფერი კარგად იქნება, უკეთესი ცხოვრება გექნებათო, მაგრამ არაფერი იცვლება. პენსია ჯერ არ გამიკეთებია იქაური. ჯერ ახმაჯელს არავის აუღია თავს ვიკავებთ. იქაური პენსია რომ ავიღოთ, იმათი მოქალაქე უნდა ვიყოთ, მერე ჩვენ აღარ გვექნება აქეთ ჩამოსვლის უფლება"* (შუა ხნის ოსი ეროვნების ქალბატონი).

ახალგორში დარჩენილ და დევნილ მოსახლეობაში მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა. ახალგორში სამრეწველო ობიექტები არ არსებობს. ერთადერთი საწარმო ლუდსახარში "ალუთონი", რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ ამუშავდა, მალევე

დააყადაღეს რუსული საგადასახადო კოდექსის დარღვევის გამო (კოტაევა 2011: 67). დევნილთა უმრავლესობა კი სახელმწიფოს დახმარებებით ცხოვრობს. კერძო საუბარში ახალგორის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ სამხარეო ადმინისტრაციის არაოფიციალური მითითებით, ახლომახლო ყველა ახლადგახსნილმა საწარმომ მუშათა 40-50 პროცენტი დევნილებიდან უნდა აიყვანოს სამუშაოდ. თუმცა, ზოგჯერ თავად დევნილები არიდებენ თავს ამგვარ სამსახურს.

*„ნორმალური კერძო მეწარმე კვალიფიციურ მუშახელს ეძებს. ბუნებრივია, საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალად ყველას ვერ დაასაქმებს. ახალგორელები კი ხშირად ელემენტარული წესების იგნორირებას ახდენენ და გაუმართლებელ მოთხოვნებს აყენებენ – სიგარეტის ფულს, პრივილეგიებს და ა.შ დამსაქმებელს თავისი ინტერესი აქვს, მაგრამ ხშირად დასაქმებულიც ტყუის, ხუთი-ექვსი ობიექტი შეიცვალა და მოსაწონი ვერ ნახა. ჩამოყალიბდა კატეგორია, რომელსაც არაფრის გაკეთება არ სურს, პირი უნდა გააღოს და დაღეჭილი ლუკმა უნდა ჩაუვარდეს პირში, იმიტომ რომ დევნილია. ეს ხალხი დახმარებებმა და პრივილეგიებმა გააფუჭა. 2010 წლამდე დახმარებები, შემოდიოდა, ისე რომ, ადამიანებს სურსათსა და საკვებზე ფული საერთოდ არ ეხარჯებოდათ. უდიდესი შეღავათი ჰქონდათ. დღეს კი ოჯახის შემოსავალი ძირითადად კვებაზე იხარჯება. 2010 წლის მაისამდე გადასახადს არ იხდიდნენ. მაგრამ ეს პროგრამა დამთავრდა, ვერცერთმა ორგანიზაციამ ვერ აიღო ასე მასშტაბური პროექტი საკუთარ თავზე. საუბარია 8 ათასი ადამიანის კვებაზე. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით, მოდის ადამიანი, 50 ლარი აქვს შუქისა და გაზის გადასახადი. ამბობს, მეტი საქმე რა მაქვს ეგ გადავიხადოო. შემოსავალი 400 ლარი აქვს, (ზამთარში ასევე დარიგდა დახმარება, ყველა ოჯახზე 200 ლარი). 400 ლარს იღებს ადამიანი და 50 ლარის გადახდა არ უნდა. გამგეობამ გადამიხადოსო. ახალგორში, როცა ცხოვრობდა, იცოდა რასაც მოიხმარდა უნდა გადაეხადა. 2011 წლიდან კოტეჯების კერძო საკუთრებაში გადაცემა დაიწყო და რადგან ეს არის კერძო საკუთრება, მესაკუთრე იხდის ყველა გადასახადს. დევნილთა ძირითადი შემოსავალი დევნილის შემწეობებია, სულზე 28 ლარი. მოსახლეობა თვლის, რომ აუცილებლად უნდა გაორმაგდეს. ბოლო ხანში სერიოზულად გადამოწმდა სიღარიბის ზღვარს დაბლა მდგომ მოსახლეობის პროგრამა. ვფიქრობ, ბევრი დარჩება ამ პროგრამის მიღმა"* (ხნიერი მამაკაცი – ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი).

ზემოხსენებული რესპონდენტი ახალგორის მუნიციპალიტეტში მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, ამიტომ ვერ გამოვრიცხავთ, რომ დევნილთა სიზარმაცეზე ყურადღების გამახვილებას ჩინოვნიკების უუნარობის გასამართლებლად ცდილობდა. თუმცა, რამდენიმე ინტერვიუმ დამარწმუნა, რომ ზოგი დევნილი მიიჩნევს, რადგან მათ გამოძევებაში ხელისუფლებას გარკვეული ბრალი მიუძღოდა, მთავრობა ვალდებულია კარგი სამსახურით უზრუნველყოს ისინი. ნაკლებადანაზღაურებად სამუშაოზე კი ხშირად უარს ამბობენ

*„თბილისში ვმუშაობდი, 400 ლარი მქონდა. მაგრამ მჭირდებოდა გზის ფული დღეში 2 – ლარი, სიგარეტისა და საჭმლის ფული და ბევრი არაფერი არ მრჩებოდა. ამიტომ სამსახურს თავი დავანებე"* (ახალგაზრდა მამაკაცი – წეროვანის დევნილთა დასახლება).

რიგი დევნილთა შემწეობაზე (წეროვანის დევნილთა დასახლება)

*„ჩვენ იმედი გვაქვს ახალი მთავრობის, ეგებ კარგი სამსახურები მოგვცეს"* (ასაკოვანი მამაკაცი – წილკანი).

*„მე მარტოხელა კაცი ვარ. დედა მყავდა, ისიც გარდამეცვალა. ომამდე გარდაიცვალა და იქ (ლიახვის ხეობაში ლ.ჯ.) არის დასაფლავებული. ახლა ფრეზეთში ვცხოვრობ, არავითარი შემოსავალი არ მაქვს, თუ ვინმეს გამოუჩნდება ან სათოხნი, ან საბარი, ან ნახირზე წასვლა უნდა, გადამიხდის ათ ლარს და მივეხმარები. „სოციალურსაც" აღარ მაძლევენ. აქამდე 15 წელი დედაჩემის სახელზე სოციალურ დახმარებას ვიღებდი და თავი იმით გამქონდა"* (ახალგაზრდა მამაკაცი – ფრეზეთის დევნილთა დასახლება).

ამგვარი განწყობა მაინც გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს და დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ ყველა ადამიანს არ ახასიათებს. ბევრი დასაქმებულია მახლობლად გახსნილ საწარმოებში ("ბარამბო", "ნატახტარი", ქაღალდის კომბინატი, სათბურები და ა.შ.), ზოგიერთმა თვითდასაქმებას მიმართა – მუშაობენ ტაქსისტებად, ბაზრობებზე, მშენებლობებზე (ძირითადად თბილისში) და ა.შ, ზოგი საბიუჯეტო ორგანიზაციებში მუშაობს (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია, საგანამანათლებლო დაწესებულებები, სამედიცინო პუნქტები). ზოგი ახერხებს მუშაობა გააგრძელოს საოკუპაციო ხაზს მიღმა (ექიმი, ექთანი), გარკვეულ შემოსავალს ღებულობენ მათთვის გადაცემულ ნაკვეთებზე მოწეული პროდუქტით.

ახალგორიდან დევნილთა უმეტესობა ინარჩუნებს სამეურნეო კავშირს მშობლიურ სოფლებთან და იქ მოწეულ პროდუქციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ოჯახის შემოსავალში. ახალგორელმა გლეხმა დევნილობის, მცირემიწიანობის, უპერსპექტივობის, სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობის და სხვა უამრავი გასაჭირის მიუხედავად, ახალ ადგილას ხეხილი ჩაყარა, ვაზი და ბოსტანი გააშენა. ზოგან ხელისგულისტოლა ადგილას პატარა სიმინდის ყანასაც შეამჩნევთ და "კოტეჯზე" ახლადმიშენებულ ნაგებობასაც. მაგრამ, ეზოებში საქმიანად მოფუსფუსე ახალგაზრდას თუ მოხუცს ერთი სატკივარი აქვს, როდის დაუბრუნდება მშობლიურ კერას.

ხეხილის ბაღი (წილკნის დევნილთა დასახლება)

დევნილთა დახმარების პროგრამას ახორციელებენ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებიც. წილკანის დევნილთა დასახლებაში ამგვარი პროგრამის ფარგლებში დარგებული მინისათბურები ძალზე პოპულარულია. მართალია დიდი ოდენობის მწვანილსა და ბოსტნეულს ამგვარ სათბურში ვერ მოიწევენ მაგრამ საოჯახო საჭიროებისათვის საკმაოდ ეფექტურია.

საგრანტო პროექტით დაფინანსებული მინი სათბური (წილკანი)

დევნილთა ჩასახლებისას ნაწილობრივ გაითვალისწინეს მათი ტრადიციული ეკო-სამეურნეო კულტურა და ის ადამიანები რომლებიც მესაქონლეობა-მეცხვარეობას მისდევდნენ (ქარჩოხისა და უკანამხარის ხეობის სოფლები) ფრეზეთში ჩაასახლეს. გადმოსახლებულთა ერთმა ნაწილმა საქონელი თან წამოიყვანა და გაყიდა. მეორე ნაწილი ცდილობს ტრადიციულად ამთაბაროს მაგრამ სასაზღვრო შეზღუდვების გამო თანდათან ძნელდება და ძვირდება საოკუპაციო ზონაში საქონლით შესვლა. თანაც ადამიანებს მუდმივად აქვთ საფრთხის შეგრძნება, რომ სარჩო-საბადებელს მთლიანად



დაკარგავენ. ამიტომ იძულებული ხდებიან შეცვალონ მოძრაობის ტრადიციული მარშრუტები. ქსნის ხეობის იალაღების ნაცვლად ცხვარი არაგვის ხეობაში მიჰყავთ.

დევნილთა დასახლება (ფრეზეთი)

*„რამდენიმე ადამიანს პრობლემა გაუჩნდა და აღარ შეჰყავთ. არაგვის ხეობაზე მიყავთ ვიდრე იქ. მე ვიცი, მგალითად, მეცხვარე, იმას ხომ შემოდგომაზე უნდა წმოეყვანა ცხვარი, რო გადაეყვნა კახეთში. გაუხდა პრობლემა, აღარ უშვებდნენ, რო წამოეყვანა აქეთ. მე მგონი რაღაც ფული გადაახდეინეს რო გამოეშვათ. იქითაც არ უშვებდენ, აი არაგვის მხარეს, იმიტომ რომ უკვე მესაზღვრეები დადიან იქო და ეშინიათ გამოპარვით წამოსვლა. იქ კაცმა მესაქონლეობით უნდა იცხოვროს, არაფრით სხვით. ან ძროხა უნდა იყოლიო ან სხვა რაღაცა. პროდუქტი ძირითადად ახალგორში საღდება, მაგრამ ახალგორელებს ვინ დაანახებს!. მთიდან რო ჩამოიტანენ ყველს, კარტოფილს, ერბოს, ეგრე ეცემიან პიდაპირ მიდის ცხინვალში.*

*ზოგი იქაა, ზოგი მიდის ისევა, ზაფხულობით, საქონელს აზამთრებენ ხოლმე, საქონელი ზამთარში აქა ყავთ ხოლმე, მერე ზფხულში მიჰყავთ ხოლმე იქა მერე ნოემბერში ისევა. ან უნდა გათიბო, საიდანღაც მოიტანო ბალახი, ან უნდა იყიდო. აქ მეცა მყავს საქონელი, გომურები ავიშენეთ და იქა გვყავს.აქ ძნელია, ძალიან ძნელია, საძოვარი არ არი, სად უნდა წავიდეს საქონელი?თითონ ამათ დასახლებულ სოფლებსა მოვწონვართ, აქ რო ვართ? აქ ადგილობრივ დასახლებებს შუა ვართ. აგე, იქითკენ არი, ახალდაბას ეძახიან, შუაში ვართ მოყოლილი".*

როგორც ითქვა, მშობლიურ სოფლებთან კავშირის შენარჩუნებას ახალგორიდან დევნილები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. დევნილთა დასახლებებში მცხოვრები ქართველებიც და ოსებიც დადიან თვიანთ სოფლებში ეხმარებიან იქ დარჩენილ ოჯახის წევრებს სასოფლო სამუშაოებში, ჩამოაქვთ იქიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, აგრძელებენ ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობებს რეგიონში დარჩენილ ხალხთან.

*„ოსი ნათესავები მყავს ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა და ახლაც გვაქვს. ახალგორში შესვლაზე ვინც იქაა ჩაწერილი, პრობლემა არ გვაქვს. დაახლოებით ერთ საათში უკვე ჩვენს სოფელში ვართ. იქ ძირითადად ხანდაზმული ხალხი დარჩა. ზოგი მოძრაობს, ჩამოდიან მიდიან, ჩამოდიან მიდიან. ჩვენც დავდივართ ხოლმე, როდესაც*

*მისახმარებელია. მოგვყავს ბოსტნეული – პამიდორი, კიტრი, ბადრიჯანი. საქონელი ჩვენ არ გვყავს, სხვებს – კი. მოწეული პროდუქტი ძირითადად აქეთ გამოგვაქვს. გამოტანაზე პრობლემას არ გვიქმნიან, უბრალოდ ცნობაა საჭირო ახალგორიდან, რომ დიდი რაოდენობის პროდუქტი გამოიტანო. ისე, თბილისიდან მარშუტკებიც დადიან"*(ახალგაზრდა მამაკაცი სოფელ ზემო ბოლიდან).

*„ახალგორელები უკეთ ცხოვრობენ, საქონელიც კი ყავთ /ახალგორში/ 200-300 სული. მე კი რომ გამოვედი მარტო ტანზე რაც მეცვა ის გამოვიტანე. 7 აგვისტოს ომიანობა დაიწყო და 14-ში გამოვედი. მანამდე ხევში ვიმალებოდი ეგრე ვუყურებდი სახლი რომ იწვოდა"* (ახალგაზრდა მამაკაცი, ცხინვალის რაიონის სოფ. კეხვიდან).

ბევრი სატკივარი ახალგორში დარჩენილსა და დევნილობაში მყოფ მოსახლეობას იდენტური აქვს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების გაუმართავი მუშაობა. ოსური ინტერნეტსაიტების მიხედვით წყლის მილების გარკვეული ნაწილი მოექცა ქართული სახელმწიფოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ქართველები კეტავენ სარწყავი და სასმელი წყლის მილებს, რათა მდგომარეობა უფრო გამწვავდეს. 2010 წელს მოიწვიეს პიატიგორსკიდან გეოდეზები რომელთაც დაასკვნეს, რომ რეგიონში დამატებითი წყლის რესურსები თითქმის არაა. ამიტომ ყველა სოფელი ცდილობს სხვადასხვაგვარად გადაწყვიტოს ეს პრობლემა. მაგ. სოფ. ორჭოსანში არის ჭები, ხოლო წინაგარის ზონის სოფლებში ისიც არაა და მოსახლეობას სასმელი წყალიც უჭირს (ძაგოევა 2013). ქართული საინფორმაციო წყაროები საპირისპირო ინფორმაციას ავრცელებენ. საოკუპაციო ხაზის მეზობლად მცხოვრები მოსახლეობა, რომელთა სარწყავი არხები ოსების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადის, გვალვიან პერიოდში მოსვლის განადგურების საფრთხის წინაშეა. სარწყავი და სასმელი წყლის პრობლემა ძალზე მწვავედ დგას ახალგორელი დევნილების სამივე დასახლებაშიც.

დევნილების სასმელი წყლის ავზები (ფრეზეთი)

*„აქ ისეთი ქარი იცის, რო, უბედურობაა!მიწა შარშან მოვახვნევინე.აქ ისეთი მიწაა, რო არაფერი არ მოდის, მაგრამ ჩვენ ჩვენსას მაინც ვეძალებით.სარწყავი არ არი და რა უნდა მოვიდეს?სასმელი წყალი ძლივს გვაქ, იმას ვჩქარობთ, რო ის ავიღოთ, რო მოვასწროთ, ან დასარეცხი გვაქვს, ან დასაბანი ვართ, აბანო აქ არაა და არაფერი. ჩვენ აქ სველი წერტილები შიგნით არა გვაქ, წეროვანში შიგნით არი, აქ არა."*

- *„სასმელ წყალს, რომ ჩაასხამ ჭიქაში, ცხიმივით მოიდებს ზემოდან ჭუჭყს. აუზს, საიდანაც წყალი მოდის, ფილტრები აქვს მაგრამ, არ მუშაობს. წყლის სათავეს მიწა პირდაპირ მიაყარეს და მოზღვავდა. წვიმიან ამინდში მიწა ჩადის და ტალახიანი წყალი მოდის ონკანში. ჩაიდანში წყალს აადუღებ და გვერდებზე თეთრად რჩება. ადრე ნავთობისათვის დაბურღეს, ზემოთ და წყალი ამოსულა, ამბობენ ახლა უნდა გამოუშვან მანდედან წყალიო"* (მამაკაცების ჯგუფი – ფრეზეთი).

- წილკანის დასახლებაში ამ საკითხის ნაწილობრივ გადაჭრა თავად დევნილთა აქტიურობით მოხერხდა.

- *„ახლა სარწყავი წყალიც გააკეთეს. ჩემმა ქმარმა მუშები არ მოაყვანინა, ადგილობრივები დაასაქმებინა. კარგი ფული გააკეთა ხალხმა. ზოგს დაეზარა, ეს მორიგი აფიორა არისო, ფულს არ მოგვცემონო მერე კი გული დაწყდათ. ახლა სარწყავი*



*წყალი არის, მაგრამ მეორე პრობლემაა, ფულს არ იხდიან, 7 ლარია გადასახდელი წელიწადში, მაგრამ გორში უნდა ჩავიდნენ და იქ გადაიხადონ. ჩემმა ქმარმა უთხრა – გამოვყოთ ერთი კაცი, რომელსაც გზის ფულს ავუნაზღაურებთ და ყველას გადასახადს ის ჩაიტანს გორშიო, გადასახადის მოკრება მაინც ვერ ხერხდება. სასმელი წყალი დიდი პრობლემაა, წეროვანიდან მოდის, მაგრამ ახლა ზაფხულის თვეებში საერთოდ არა გვაქვს. ჩვენ ჭა ამოვიღეთ. კარგი წყალია, თუმცა ვერ შევამოწმეთ. ახლა მთელი სამეზობლო მაგ წყალს ხმარობს. აპირებდნენ ჭაბურღილის გაკეთებას, მაგრამ წაიღეს შეამოწმეს და უვარგისი აღმოჩნდა. ზამთარში და გაზაფხულზე კიდევ არის, სასმელი წყალი, ზაფხულში კი უჭირს, რადგან ზოგი სარწყავად იყენებს"* (ასაკოვანი ქალი – წილკანის დევნილთა დასხლება).

ახალგორის რაიონის სამეურნეო-ეკონომიური პერსპექტივები მეტწილად მაინც ადამიანური რესურსების მობილიზებასთან და დანარჩენ საქართველოსთან ტრადიციული კავშირურთიერთობის აღდგენასთან არის დაკავშირებული. ადგილობრივი ადამიანური და სხვა ტიპის რესურსების სიმწირე, ჩინოვნიკური აპარატის არაკომპენტენტურობა, კორუფციის მაღალი დონე, ახალგორის რაიონის განვითარების პერპექტივას კლავს. საერთაშორისო ორგანიზაციები იძულებული არიან უარი თქვან ტვირთების შეტანაზე არაღიარებულ რესპუბლიკაში,რადგან ლეგალურად ეს მხოლოდ საქართველოს მხრიდან შეუძლიათ, საიდანაც ე.წ. საზღვრის გადაკვეთა მეტად გართულებულია. ოსური მხარე ამას იმით ხსნის, რომ საქრთველოდან ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად შეიძლება შევიდეს ნარკოტიკები, კოტრაბანდა, ყალბი ფული, ასევე პროვოკატორები, დივერსანტები, სპეცსამსახურების თანამშრომლები (ხარებოვი 2011: 14).

რესპონდენტების ნაწილი საკმაოდ პესიმისტურად უყურებს ახალგორში დაბრუნების პერსპექტივას. დრო უარყოფით გავლენას ახდენს დაბრუნების მსურველთა ოდენობაზე. ახალგაზრდობა თანდათან ეჩვევა ახალ ადგილს, პოულობს სამსახურს, ქორწინდება, აბამს ახალ ურთიერთობებს. რსულ-ოსური მხარე კი თანდათან ზღუდავს მიმოსვლას და ახალგორში დარჩენილებს ალტერნატივის წინაშე აყენებს, ან საბოლოდ დატოვონ მამაპაპისეული ადგილები, ან ოსური პოასპორტი აიღოს და საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვას. თუმცა დევნილთა ნაწილი იმედიანად არი განწყობილი:

*„იმედი მაქვს მალე ყველაფრერს სახელი დაერქმვა,რუსები წავლიან და გარკვეული კატეგორია დაბრუნდება, ჩემი ასაკისა და ჩემზე უფროსი ხალხი დაბრუნდება. თუ არა და მაშინ ალბათ იქ დარჩენილებიც წამოვლენ"* (შუახნის დევნილი მამაკაცი).

მართალია, ოსური მხარე იმედს არ კარგავს და ფიქრობს, რომ სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია (რძისა და ხორცის პროდუქტები, ღვინო, ხილის წვენები, ბოსტნეული, თაფლი) თავისი ეკოლოგიური სისუფთავის, და დაბალი დანახარჯების გამო, გამოშ ეიძლება იყოს კონკურენტული საერთაშორისო ბაზრებზე (ხარებოვი 2011:19) მაგრამ ზემომოტანიული ანალიზი და რუსული პოლიტიკის გავლენით შექმნილი მდგომარეობა ამგვარი პერსპექტივის ნაკლებ შესაძლებლობას ტოვებს.

ამრიგად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ახალგორის მოსახლეობის მეურნეობის რადიკალური ტრანსფორმაცია მოახდინა. ადამიანური რესურსებისაგან დაცლილ რეგიონში ეკონომიკური სტაგნაცია დაიწყო. ცხინვალის ხელისუფლება ამაოდ ცდილობს ამ კუთხის არაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში

ინტეგრაციისათვის ღონისძიებების გატარებას. თავის მხრივ დევნილობაში მყოფი ადამიანები იძულებული არიან შეიცვალონ საქმიანობის სფერო, დაკმაყოფილდნენ მცირედანაზღაურებადი სამსახურებით, ან იცხოვრონ დევნილთა შემწეობის ხარჯზე. ამასთანავე, არ წყდება დევნილების სამეურნეო კონტაქტები მშობლიურ სოფლებთან. არსებული ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ დევნილთა მიმართ სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა


1 ბაგრატიონი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტ. 4, ტექსტი გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1973

2 ბედუკიძე ლ., ქსნური ხის ავეჯი, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973

3 გამყრელიძე ბ., კუდაროს ხეობა, კეკ, VIII, 2003

4 გასიტაშვილი გ. ხის დამუშავების ხალხური წესები და სატრანსპორტო საშუალებები, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973

5 გელაძე თ., მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973

6 ზანგურაშვილი ვ. ქსნის ხეობის წარსული და აწმყო, თბ., 2005

7 ზანდუკელი მ., ქსნის ხეობის კერამიკა, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973

8 თოგოშვილი გ., ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბილისი, მეცნიერება, 1977

9 თოთაძე ა., ოსები ქართულ მიწა-წყალზე, კრ. ოსთა საკითხი, თბ., 1996

10 თოფჩიშვილი რ. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი, თბ., 2008

11 თოფჩიშვილი რ., კვლავ დვალთა ეთნიკური ვინაობისათვის, ისტორიული ეტიუდები, ტ. 1. თბ.,2005

12 კედელაძე მ., მოსავლის აღებასთან დაკავშირებული სამეურნეო იარაღები, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973

13 კოტაევა მ., ლენინგორის რაიონი: პოლიტიკური თავისებურებანი, დემოგრაფიული მახასიათებლები, ეკონომიკა, სასაზღვრო პრობლემები, კრ. ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზების ძიება, ჟორჟ მეისონის უნივერსიტეტი, 2011

14 მაკალათია მ. მეცხოველეობა, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973

15 რეხვიაშვილი ნ., მჭედლობა ქსნის ხეობაში, , მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ. 1973





16 სონღულაშვილი ა., "სამხრეთ ოსეთი" საქართველოში?!, თბილისი, 2009

17 ყარაულაშვილი ც., ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში, , მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973

18 შუბითიძე ვ., ადაპტაციური პროცესები პოლიეთნიკურ რეგიონში, კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1998

19 ჩიტაია გ., ქსნური მთის გუთანი, ენიმკის მოამბე, V-VI, 1940

20 ჩვენი კორესპოდენტი (კორ),ნფორმაციები ახალგორიდან,გაზ. ამშვიდობო გაზეთი, 25 აპრილი, 2009

21 ჭიჭინაძე ზ., ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ღვაწლი და ამაგი მათზე, ტფილისი, 1916 (თბ., 1990)

22 ხარებოვი ბ., სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური რეაბილიტაცია: არსებული ამოცანები და განვითარების სტრატეგია, კრ. ქართულ-ოსური კონფლიქტი: სამშვიდობო გზების ძიება, ჟორჟ მეისონის უნივერსიტეტი, 2011

23 ქანთარია მ. (არქივი) ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, საველე მასალა, ქურთათის ხეობა, სოფ. ბარიზიყაუ

24 ქენქაძე ვ., ფოტოები, სამშვიდობო გაზეთი, 15 მაისი, 2009

25 ქრისტესიაშვილი ნ., ოქროპირიძე მ., გვრიტიშვილი ლ., ეთნოწმენდის და სპეცარჩევნების ორი ხერხი რუსულად, გაზ. სამსვიდობო გაზეთი, 25 აპრილი, 2009

26 ჯალაბაძე გ.,ქსნის ხეობის მოსახლეობა, მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1973

27 Абаев В.И. Осетинский язык и фольклор, М., 1959

28 Алемань А., Аланы в древних и средневековых письменных источниках. – М: Издательство Менеджер. М., 2003

29 Анонимный автор, Вероисповедание, суеверия, обряды, правление, обычай и нравы осетин? Газ. Тифлиские ведомости, 1930 г., 84 Письмо VI

30 Дзагоева Р. Ленингорский район: смутные перспективы и реалии стагнации, http://respublikarso.org/analytics/341-leningorskiy-rayon-smutnye-perspektivy-i-realii-stagnacii.html

31 Зейдлиц Н. К. Поездка в нагорную Осетию. Известия Кавказского отделения Императорского русского географическрго общества Т. 2 Тифлис, 1873-1874

32 Калоев Б.А. Осетины, (историко-этнографическое исследование), М., 1967.

33 Калоев А. Земловедение и землеползование у моздокских осетин, Советская Этнография #1 1952 Издательство академии наук СССР

34 Калоев Б.А. Моздокские осетины, Хозяиство и хозяйственный быт Кавказский Этнографический Сборник VII Академия наук СССР Институт Этнографии им. Н.Н. Миклухо-Маклая, М., 1980

35 Кантария М. Некоторые вопросы земледелческого быта в горной Осетии, Кавказский Этнографический Сборник,V, 1980

36 Ковалевский М. Современный обычай и древный закон, обычное право осетин в историко-сравнительном освещении, Т. 2, М. 1886;

37 Косвен М. О. Материалы по истории этнографического изучения Кавказа в русской науке, КЭС, вып 1, 1955

38 Лавров Д , Заметка об Осетии и осетинах, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып 3, Тифлис,1880

39 Пфаф В.Б. Материалы для истории осетин, Сборник сведении о Кавказских горцах, -4-5, 1870-1871; Этнографические исследования об осетинах, Сборник сведении о Кавказе, 2

40 Магометов А., Культура и Быт осетинского крестьянства., Орджоникидзе, 1963

41 Магометов А., Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968

42 Робакидзе А.б (ред.), Очерки Юго-осетинской автономной области, Еб., 1985

43 Соглашение о режиме торговли, «военные» пенсии, новый генподрядчик, «синдром Чехоева» и новости партийной жизни Республики http://respublikarso.org/analytics/586-soglashenie-o-rezhime-torgovli-voennye-pensii-novyy-genpodryadchik-sindrom-chehoeva-i-novosti-partiynoy ml

44 Жукаев С. Атинаг, праздник у осетин перед началом сенакоса и жатвы, _ «Закавказский вестник»1855

45 Скитский Б.В, Хрестометия по истории Осетии, Часть 1, Орджоникидзе,1956

46 Чибиров Л.А. Народный земладельческий календарь осетин, Автореферат диссертации на соискание ученной степени доктора исторических наук, Тбилиси, 1977

47 Чибиров Л.А. (составитель)Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, «ИРЫСТОН» ( Цхинвал), 1987

48 Техов Ф., Охотничий язык у осетин, ИЮОНИИ АН ГССР, вып. XXIII, Цхинвали, 1972



ეკატერინე ფირცხალავა:

## ახალგორიდან დევნილი მოსახელობის სოციალური განწყობები, ნდობა და მომავლის იმედი

### 1. შესავალი

2013 წლის ბოლოსთვის UNHCR ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში 51. 2 მილიონი ადამიანი მოცილებულია საკუთარ საცხოვრებელ ადგილს, აქედან 11,7 მილიონი ლტოლვილია და 33.3 დევნილი (IDP). უცხო ქვეყანაში ცხოვრება არ არის ადვილი, ახალ გარემოში ადამიანებს უხდებათ განსხვავებულ გარემოსთან ადაპტაცია (შეგუება) და ზოგჯერ ასიმილაციაც. ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების განმარტებით, ლტოლვილობა, ადგილმონაცვლეობა, (Displacement) ტრავმატული პროცესია (Marcella,Borneman, Ekbland & Orlay 1994) ადგილნაცვალობა მოქმედებს ადმიანის ფსიქიკურ პროცესებზე, კოგნიციაზე, კონაციასა და ემოციაზე, და, შესაბამისად, აისახება ამ ადმიანების ცხოვრებაზე.

„ადამიანის მეხსიერება ინახავს მოვლენებს; მოვლენა, რომელიც საქართველოში ადამიანთა დიდმა რაოდენობამ განიცადა მოცემულ ადგილას და მოცემულ დროს, იყო 2008 წლის აგვისტოს ომი. მან დიდი ზეგავლენა იქონია საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანზე, მაგრამ მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია მათთვის, ვინც უშუალოდ განიცადა დაბომბვა და სიცოცხლის გადასარჩენად იძულებული იყო დაეტოვებინა მშობლიური ადგილები, სახლ-კარი, ბაღები, ცხოველები და საქონელი, ტყეები, საფლავები, წყაროები და ეკლესიები. ხუთდღიანმა ომმა მთლიანად შეცვალა ათასობით ადამიანის ცხოვრება, დააყენა ისინი ცხოვრების ახლიდან დაწყების აუცილებლობის, ახალ პირობებთან, სხვა ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან შეგუების აუცილებლობის წინაშე.

ომის დღეებმა და გაქცევის თავგადასავალმა მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა მათ მეხსიერებაში და დღესაც ზემოქმედებს მათზე, მჟღავნდება რა შიშებსა თუ იმედში, უძილობასა, კოშმარებსა თუ ავადმყოფობაში, უსუსურობის გრძნობაში, თუ იმის შეგრძნებაში, რომ ყველაფრის გაძლება და გადალახვაა შესაძლებელი “ ( სუმბაძე 2011).

ომის დროს ადამიანები გასაკუთრებული გამძლეობით გამოირჩევიან,მაგრამ გადის დრო და მოგვიანებით პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობიდან გამომდინარე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებიც შეახსენებს თავს. ოჯახი, რომელმაც წევრი დაკარგა, ომის შემდგომ თავის პირად ტკივილთან პირისპირ რჩება. როგორი კომპენსაციაც არ უნდა გადაუხადოს სახელმწიფომ ამ ადამიანებს, ოჯახებს, ეს ვერ აანაზღაურებს გაწეულ დანაკლისს. ომის შემდგომ იძულებით გადაადგილება,საკუთარი საცხოვრებელი ადგილების დატოვება, ცალკე ტრაგედიაა ადამიანებისთვის, როგორც ცნობილია, იძულებითი გადაადგილების შემდეგ იცვლება ადამიანების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, გარემოს ცვალებადობა, რომლიც მოიცავს ეკონომიკურ სიდუხჭირეს, შეზღუდულ შესაძლებლობებს, იზოლაციას, ადგილმონაცველობასთან დაკავშირებულ დეპრესიასთან და სხვა სახის ფსიქოლოგიურ დისტრესთან, განსაკუთრებით ეს ჩანს ასაკოვან ადამიანებთან (Alexopoulos 2005) დაბალი

სოციოეკონომიკური სტატუსი იწვევს დეპრესიის სიმპტომებს, სწრაფი და იძულებითი გადაადგილება, ოჯახის წევრებისა და მეწყვილის დაკარგვა დაკავშრებულია ასევე დეპრესიასთან, ასაკოვან ადამიანებთან (Courtland Robinson at al. 2012).

ჩვენი კვლევის მონაწილეები არიან 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც ახლა ცხოვრობენ სახელმწიფოს მიერ აშენებულ დასახლებებში. ეს ხალხი განსხვავდება ლტოლვილებისგან,რადაგანაც ისინი ქვეყნის შიგნით ტერიტორიაზე არიან გადაადგილებულნი; მაგრამ ომის შედეგად გადაადგილება სხვადასხვა ტიპის პრობლემებს იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთ კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ სივრცეში არიან, ეს პრობლემები სხვადასხვანაირად აისახება ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან, ჩვენ შემთხვევაში, ახალგორის რაიონიდან დევნილი მოსახლეობის ფსიქიკაზე. ისტორიულად ქართველები და ოსები საუკუნეების განმავლობაში გვერიდგვერდ ცხოვრობდნენ, სამხრეთ ოსეთში ძალიან ბევრი იყო შერეული ოჯახები, სოფლები სადაც ქართველები და ოსები ერთად სახლობდნენ, დაპირისპირებამ და ომმა შეცვალა ურთიერთოებები, ჩვენი მიზანი იყო გვენახა დევნილი მოსახლეობის განწყობების ცვალებადობა, სხვადასხვა საკითხების მიმართ.

## 2. კვლევის დიზაინი

ჩატარებული აღწერითი კვლევა შედგებოდა - სიღრმისეული ინტერვიუებისგან, არაფორმალური ჯგუფური საუბრებისაგან და ფსიქოლოგიური ტესტებისგან.

კვლევის პროცესში ვიხელმძღვანელე იმიგრაციის მკვლევრების რჩევით (Kim at al. 2001), რომლებიც თვლიან, რომ იმიგრაციის პროცესის შესწავლისას უფროსი სიღრმისეული პრობლემების გაანალიზებითვის უკეთესია თვისობრივი მეთოდების გამოყენება. ზოგიერთი მკვლევრის (Creswell 2014) მიხედვით თვისობრივი კვლევისთვის 15-20 სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზიც საკმარისია.

კვლევა ჩატარდა 2013-2014 წლებში საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს იძულებით გადადგილებული პირებით დასახლებულ სოფლებში. ნაწილი ინტერვიუებისა ჩაიწერა 2013 წლის ზაფხულში, ხოლო ნაწილი 2014 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე.

მოცემულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 84-მა ადამიანმა. აქედან, სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა 20 რესპონდენტთან. შერჩევა მოხდა თოვლის გუნდის მეთოდით (რამე განსაკუთრებული მოთხოვნა შერჩევის დროს არ გვქონია), ვესაუბრებოდით აგვისტოს ომის დროს იძულებით გადაადგილებულ პირებს, ვინც ჩვენთან საუბარზე თანახმა იყო.

სიღრმისეულ ინტერვიუსთან ერთად ჩაუტარდათ ფსიქოლოგიურ ტესტები მათი სოციალური განწყობების, დამოკიდებულებების დასადგენად.

კითხვები ეხებოდა სხვადასხვა საკითხს: საზოგადოების მიმართ მათ ნდობას, ცხოვრებაში წარმატების მიღწევის მიზეზებს, შერეული ქორწინებების და ოსებთან უერთიერთობებისადმი მათ დამოკიდებულებებს, ასევე, სოციალურ დისტანციას.

მოცემულ კვლევაში გამოყენებულ იქნა:Ø



- ბედნიერების საზომი სკალა "The Oxford Happiness Questionnaire (Hills and Argyle), რომელიც გამოიყენება რესპონდენტთა მიერ ბედნიერების აღქმის გასაზომად.

- ბოგარდუსის სოციალური დისტანციის საზომი სკლა (Bogardus Social Distance Scale)-რომელიც გამოიყენება რესპონდენტთა სხვადასხვა სიახლოვის სოციალური კონტაქტების მზაობის გასაზომად სხვადასხვა ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების და რასის წარმოამდგენლებთან (კითხვები და ტესტები მოცემულია დანართში იხ. დანართი 1).

## 3. თვისობრივ მონაცემთა ანალიზი

კვლევის პროცესში სიღრმისეული ინტერვიუები ჩაიწერა, კონფლიქტური ზონის სხვადასხვა სოფლებიდან დევნილი მოსახლეობისგან. ზოგიერთი მათგანი დევნილია ისეთი სოფლებიდან, სადაც შესვლა საშვის საშუალებითაც ძალიან რთულია, ხოლო ზოგიერთი გადმოსულია ბუფერული ზონიდან. თვისობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტ დევნილ მოსახლეობას შორის არიან ეთ ქართველები და ეთნიკური ოსები.

### *3.1 დამოკიდებულებები: საცხოვრებელი პირობების მიმართ*

საერთო შეფასებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ადამიანების უმრავლეობა სოციალურად დაუცველად ეკონომიურად შეჭირვებულ მდგომარეობაში ცხოვრობს, და უკიდურესად განიცდის ამას. მიუხედავად იმისა, რომ აქვთ „თავზე ჭერი". მათი ჩვეული ცხოვრების წესი შეცვლილია, კერძო სახლებში ცხოვრებას შეჩვეული ადამიანები, რომელთა ძირითადი სამუშაო მიწის დამუშვება და ხეხილის მოვლა იყო, მათი ყოველდღიურობა საქონლის და ფრინველების მოვლისგან და ბოსტნის მიხედვისგან შედგებოდა, შემოსავალიც აქედან ქონდათ და ცდილობდნენ დღითიდღე გაეუმჯობესებინათ ოჯახის კეთილდღეობა. დღეს ისინი სხვა პირობებში აღმოჩნდნენ, მათი გადმოცემით,ახლა ამ პირობებთან შეუსაბამო მდგომარებში არიან,რაც თავისთავად გავლენას ახდენს მათ ფსიქიკურ და, შესაბამისად, ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ყოველდღიურ გუნება-განწყობილებაზე.

> *„ეს კეთილმოწყობა (ცხელ წყალს და გზას, აბაზანა-ტუალეტს (შიდა კომუნიკაციებს) გულისხმობს, რაც მათ ახალ სახლებში შიგნით აქვთ შეყვანილი) ვერ შეედრება ჩემი სახლის ფართო ოთახებს და მაღალ ჭერს; მართალია,იქ ასეთი კეთილმოწყობა ბევრს კი ჰქონდა,მაგალითად, მე არ მქონდა,მაგრამ თავისუფლად ვსუნთქავდი,გავიდოდი ეზოში, წამოვწვებოდი ჩემს აივანზე, აქ რა უნდა გავაკეთო, 2 ოთახში მომწყვდეულები ვართ მთელი ოჯახი, მივჩერებივართ ამ ტელევიზორს, სიცხეში გარეთაც ვერ დაჯდები,მეზობლებთან, ხე არაა რომ მოიჩრდილო,და ეს როგორ შევადარო ჩემს სახლს, მე ჩემი დღევანდელი ნასახლარი მირჩვენია ჩემს ხეობაში ამ ყველაფერს"* (58 წლის ქალი).

იძულებით გადაადგილებულ პირებთან საუბრის დროს განსაკუთრებით მტკივნეულად გამოჩნდა მათი დამოკიდებულებები გარემოს მიმართ, ისინი გარიყულად გრძნობენ თავს, უყურადღებოდ მიტოვებულებად, მოწყვეტილები არიან გარემოს და

შესაბამისად დათრგუნულები. მათი აზრით, რაც კარგი ჰქონდათ წარსულში დარჩა და მომავლისკენ დიდი იმედებით არ არიან მომართულები, თუმცა განსხვავებები თაობებს შორის შეინიშნება ჩვენს რესპონდენტებში, სხვადასხვა თაობის წამრომადგენლები სხვადასხვანარიად აღიქვამენ მომავალს. შუა ხნის და ასაკოვანი ადამიანებისთვის უიმედობის და გამოუვალი მდგომარეობის აღქმა ჭარბობს მომავალში, ხოლო ახლაგზარდა თაობა ასე არ უყურებს მომავალს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილი მათგანი მომავალს სხვაგან ხედავენ, არა აქ, ამ დასახლებაში.

*„ყველაფერი უნდა გავაკეთო, რომ წავიდე აქედან და კარგადაც ვიცხოვრებ. სად წავიდე? სადმე შორს აქედან . . .“,*( 17 წლის ვაჟი).

### *3.2 დამოკიდებულებები: მთავრობის მიმართ*

დევნილი მოსახლეობისთვის დამოკიდებულება მთავრობის მიმართ უარყოფითია საქართველოს მთავრობამ სათანადოდ ვერ უზრუნველყო იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა შესაბამისი პირობებით, თავიდან, ომის შემდგომ პერიოდში ადამიანები კმაყოფილები იყვნენ იმით, რომ გადარჩნენ და *„საღსალამათებმა გამოაღწიეს ომის ქარცეცხლიდან„* (27 წლის ქალი).

*„ვინ რას ვიტყოდით? ყველანი ცოცხლები გადავრჩით, ისეთი სიტუაციიდან დავაღწიეთ თავი, სხვაზე არაფერზე არც კი გვიფიქრია, დღეს კი რა? მე მგონი ვინც იქ დარჩა, ან შემდეგ გადავიდა უკეთესად არიან ვიდრე ჩვენ“* (60 წლის ქალი).

*„იქ უკეთ ვიყავით. ქვაბებითა მე ერბო მედგა. აქ კიდე რძე ენატრებათ. ეხლა რო ხედავენ ბავშვები, უცხო ხილი ჰგონიათ. ავადმყოფობა მე არ ვიცოდი. აქ კიდევა, სულ ავათ მყვანან ბავშვები. ჭაობები დგება და სულ ნესტია სახლში წყალი ამოვიდა. მოვიდნენ, ლამინატს გამოვცვლითო და მორჩა მაგით, ყურადღება არავის არ მოუქცევია, არანაირი დახმარება არ გაუწევია“* (45 წლის ქალი).

როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ ბუფერულ ზონაში დარჩენილი მოსახლეობა იყენებს თავის მდგომარეობას, ორმაგი პენსია და დახმარება ბევრი დევნილისთვის სასურველია, რადაგან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დახმარება მათთვის მხოლოდ თავის გასატანად არის საკმარისი.

*„ახალგორში ქართული პენსიაცა აქვთ, ოსურიცა და რუსულიცა. ორჯონიკიძიდან რუსულ პენსიას იღებენ.... ცხინვალის პენსია 300 ლარია... აქ არი 150 ლარი. 6000-ია ცხინვალის პენსია - ეს არის 300 ლარი. ეხლა ქართველებმა დაიწყეს იქაური პასპორტების მიღება. მე ვიცი რამდენიმე ადამიანი, რომელმაც არ ჩააბარა ძველი პასპორტი. ასეთი ქართველი აქაც იღებს პენსიას და იქაც. იშვიათია ახლა ახალგორელი, ვინც იქ პენსიას არ იღებს ...“* (59 წლის ქალი).

დევნილ მოსახლეობაში ჭარბობს უკმაყოფილება და უარყოფითი განწყობა იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო მათთვის ღირსეული პირობების შექმნა, რომ ახალგორში მოსამსახურის ყოფა უფრო მომგებიანია, ვიდრე საზღვარს აქეთ და, მიუხედავად იმისა, რომ იქაური საცხოვრებელი პირობები ბევრად უარესია,



ვიდრე აქეთ, მაინც საშუალება რომ ჰქონდეთ დიდი სიამოვნებით წავიდოდნენ იქ სამუშაოდ, რადგანაც როგორც თვითონ ამბობენ სამუშაოს გარეშე ოჯახის შენახვა მხოლოდ დახმარების იმედად, ძალიან რთულია და თანაც განვითარება და გაზრდა უნდა ახლაგზარდობას, ეს კი სამუშოს და გარკვეული ფინანსური საშუალებების გარეშე მათთვის წარმოუდგენელია.

*“როგორ იქნება ცხოვრება მთავრობის ხელებში შემყურე, ან იქნება ეს დახმარება, ანა არა, ჩვენ სამუშაო გვჭრდება სტაბილური და ნორმალური ანაზღაურებით, მშრომელი ხალხი ვართ, და ვიშრომებდით, რომ შვილებისთვის ხელი შეგვეწყო, მაგრამ, აბა, აქ რა უნდა ქნა .. “* (48 წლის მამკაცი).

### *3.3 დამოკიდებულებები: ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობებისა და შერეული ქორწინებების მიმართ*

ოსებისა და ქართველების დამოკიდებულებას რაც შეეხება, ჩვენი რესპონდენტები ცუდად არ მოიხსენიებენ ოსებს.

*„ჩვენ ერთმანეთში ისე ვიყავით, რომ მე არ ვარჩევდი და არც ეხლა ვარჩევ ოსებს ქართველებისაგან, აი ამ ჩხუბების მერე, მინც ვერ განვასხვავე ეროვნება“*(42 წლის ქალი).

როგორც ცნობილია, ქართულ-ოსური შერეული ოჯახები საქართვლოში 1994 წლის ომამადეც იყო და, როგორც კვლევები ადასტურებენ, თუ 1994 წლიდან 2003 წლამდე იკლებდა, 2009 წლიდან 2013 წლამდე ქორწინება ქართველებსა და ოსებს შორის არ შემცირებულა, (Oganesyan 2014). შესაძლებელია დავეყრდნოთ კვლევების მონაცემებს, რომლიც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ არის მოცემული, რადაგანაც მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შემდეგ საქართვლოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა არ ჩატარებულა. როგორც ჩვენს რესპონდენტებთან საუბრისას ირკვევა, ეს ტენდენცია ქართველებსა და ოსებს შორის ქორწინების უცვლელობისა დღესაც გრძელდება.

*„ეს ურთიერთობა ომამდე ხშირი იყო. ახლა არ ვიცი, ალბათ, შესუსტდა, ქართველები გამოვიდნენ, და ჩვენებური ოსები ზოგი წამოსულია აქ, კოტეჯები აიღეს. ზოგი აქ არი, ზოგი - იქ, ზოგმა კომპენსაცია აიღო, ურთიერთობა ძველებურად გვაქვს, მეზობლური. აქ ომის შემდეგ ოსურ-ქართული ქორწინება აქაც ხდება. იქაც ალბათ. მაგრამ არ არის დაძაბულობა, შენ ოსი ხარ და შენ ქართველიო“* (45 წლის ქალი).

ახალი ოჯახები, ძირითადად, უკვე დევნილების საცხოვრებლებში იქმნება, რადგანაც ჩვენი კვლევის მონაწილეების უმრავლეობას ან დედა ან ბებია ან ბაბუა ოსი ყავთ, და არ მიაჩნიათ, რომ შერეული ოჯახების შექმნა მომავალში პრობლემა იყოს.

*„არაფერი არ იყო ჩვენთან ეგეთი. ნათელ-მირონობა კი ჰქონდათ, აი ჩემი ქმარი მცხეთაშია მონათლული, ოსი ნათლი ჰყავდა, ბიტაროვი. ნათელ-მირონობა ისე იცოდნენ, როგორც ჩვენ“* (48 წლის ქალი).

*„ჩვენ რამ გაგვყო, გაყოფა პოლიტიკოსებმა მოახერხეს, მე დედა მყავს*

*ოსი, ჩემს მეზობელს ბებია აბა, რა ვქნათ ახლა, ბიძების, დეიდებს და ნათესავებს ხომ არ დავკარგავთ, მითუმეტეს, ჩვენი ნათესავების უმრავლესობა საზღვარს აქეთ ცხოვრობს“* (40 წლის ქალი).

*„ჩენ საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ გავიგეთ, რომ სხვადასხვანი ვიყავით, წესები და ადათი ერთნაირი გვქონდა, წლები ერთმაენთის გვერდზე ვცხოვრობდით სოფელში, ჭირსა და ლხინს ვიზიარებდით, გასაყოფი აბა რა გვქონდა, ახლა ამ ომის შემდეგ ასე დავრჩით განზე, რა ვიცი რა იქნება“* ( 55 წლის ქალი).

კითხვაზე, ჩამოთვალონ თვისებები, რითაც ოსები და ქართველები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, მონაწილეები პასუხობდნენ:

*„ოსებთან ურთიერთობა გვქონდა ნორმალური. ქართველსა და ოსს შორის ვერ ვხედავ განსხვავებას. ენა კი ხვადსხვა ჰქონდათ. ნათელ-მირონობა ჰქონდათ ერთმანეთში“* (34 წლის ქალი).

*„ცუდი და კარგი ყველაგან არის, რა ქართველებს შორის არ იცით ცუდი ადამიანი?, ასევეა იქაც, ვერ ვიტყვი, რომ რაიმე განსაკუთრებული აქვს რომელიმეს„* (52 წლის მამაკაცი).

*„რა ვიცი შვილო, ამდენი წელი გვერდიგვერდ ვცხოვრობდით ჭირსა და ლხინს ვიზიარებდით ამ ომის შემდეგ გავეშებულები არიან ყველანი, ქართველებიც და ოსებიც“* (72 წლის ქალი).

თუმცა, ჩვენს რესპონდენტებს შორის არიან მონაწილეები, რომლებიც უარყოფითი დამოკიდებულებებით გამოირჩევიან, ეს ადამიანები ორმაგ ლტოლვილებად თვლიან თავს, მათ ჯერ კიდევ 90-იან წლებში მოუწიათ ლტოლვილობა და ახლა 2008 წელს, მეორეჯერ მოუწიათ საცხოვრებლის დატოვება.

*„კარგი რა უნდა ვიფიქრო, მეორეჯერ ვარ ლტოლვილი, ძლივს რაღაცა ავაწყვეთ, მიწა ვიყიდეთ და ვცდილობდით ფეხზე დადგომას და ეს მოგვწია, კარგი რა უნდა ვთქვა, მაშინაც და ახლაც რუსეთის მარიონეტებად იქცნენ და ჩვენ გამოგვყარეს . .“* (50 წლის მამაკაცი).

*„შერეული ოჯახები იყო, ახლა რაც დარჩენილებია იქ, უმეტესობა ოსებია. შერეულ ოჯახებში ქართულადაც ლაპარკობდნენ და ოსურადაც. არ იყო მანდ დაძაბული ურთიერთობა. ქართველებისა და ოსების გარჩევა არ იყო. 2008-ში ქართველებიცა და ოსებიც ჩვეულებრივ გამოვიდნენ. ..აქ (დევნილთა დასახლებაში) ოსები ცხოვრობენ. ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა ომის მერე. დამოკიდებულება ისევ ისეთი დარჩა“* (34 წლის ქალი).

უნდა აღინიშოს, რომ ზოგიეთი მათგანი დღეს შიშით უყურებს ასეთ ქორწინებას.

*„–მე ჩემ შვილს ოსს ემწუთში არ მივათხოვებდი, არც მოვაყვანინებდი. ემ წუთში კი არა, მე ადრეც არ მინდოდა. იმიტო, რო ესე არევ-დარეულები რო ვართ! ოსებმა მოიყვანეს ეგენი აქა, თორე ეგენი აქ შემომსვლელები არ იყვნენ“* (35 წლის ქალი).



დევნილები თვლიან, რომ პრობლემების მოგვარება ხალხებს შორის უფრო ადვილია ვიდრე პოლიტიკოსებს შორის და მათი უარყოფითი დამოკიდებულბები, ძირითადად, რუსეთის და ბოევიკების მიმართ არის, ვიდრე ოსი ხალხის მიმართ.

*“ჩვენ ერთმანეთში ისე ვიყავით, რომ მე არ ვარჩევდი და არც ეხლა ვარჩევ ოსებს ქართველებისაგან, აი ამ ჩხუბების მერე, მინც ვერ განვასხვავე ეროვნება. გამსახურდიას დროს ხომ ჩემი თვალით ვუყურებდი ყველაფერს, გადმოცემით კი არა! ახალგორში არც ერთი ოსი არ დარჩა. მიუხედავად ამისა, არაფერი არ შემეცვალა, არასდროს არაფერი არ შემცვლია, აი, არასდროს“*( 45 წლის ქალი)

გვეუბნება ბუფერულ ზონაში მცხოვრები ჩვენი რეპონდენტი

### *3.4 ფსიქოსოციალური პრობლემები, დისტრესი*

როგორც ფსიქოლოგი ჯანა ჯავახიშვილი ამბობს: „ყველაზე პრობლემური, რაც აგვისტოს ომმა დაგვიტოვა - ეს გაუზიარებელი და არაღიარებული ადამიანური ტრაგედიები, ასევე გამოუგლოვებელი დანაკლისია“, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ხანდაზმული დევნილები არიან, რადგანაც მათი ცხოვრების საუკეთესო წლები მათ საცხოვრებლებთან არის დაკავშირებული და ახლა ამ ახლა გარემოში და ახალ პირობებში ძლაიან უჭირთ ცხოვრება.

ხანშიშესულთა უმრავლსობა უჩივის გულსისხლძარღვთა სისტემის ავადყოფობას, დეპრესიისკენ მიდრეკილებას, როგორც 2012 წლის კვლევა აჩვენებს, რომელიც ხანშიშესულ იძულებით გადაადგილებული ადამიანების ფსიქოლოგიური მგდომარეობის შესწავლას ეხებოდა და ამერიკის ჯონ ჰოპკინსის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ბლუმბერგის სკოლისა (Johns Hopkins Bloomberg School of Public Health and Institute for Policy Studies) და საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ იყო ჩატარებული (Robinson at al. 2012) აჩვენა, რომ ენზაიტი, დეპრესიულობა, ტრამვატული მოვლენები რომლებიც გადაადგილებით არის გამოწვეული საკმაოდ მაღალია. შიდა ქართლში მცხოვრები დევნილები აღნიშნავენ, რომ არაფერი აბედნიერებთ, საქმე არაფერი აქვთ, პასიურად არიან, მზრუნველობის საგანს მოკლებულები არიან, და ამას ყველაფერს ახლავს ნევროტული ფონი. პრობლემები, რომლებიც ყოფითია და, ჯერჯერობით, ისევ პრობლემად რჩება, კიდევ უფრო ძაბავს ამ ადამიანებს, დაბალი პენსია, მედიკამენტების სიძვირე, დაუსაქმებლობა, უფულობა, ინდიფერენტულობა სხვა ადამიანებისგან და მათ მიმართ, სახლში დაბრუნების იმედის ნელ-ნელა განლევა, ოჯახის წევრების ჯანრმთელობისა და უმუშევრობის პრობლემები - ეს ყველაფერი ცვლის მათი ცხოვრების მიმართ დადებით განწყობას, ეს ყველაფერი უფრო მძაფრად ხანდაზმულ დევნილებში იგრძნობა.

*„ჩვენი შემწეობით აბა რას გავაკეთებთ? პური და შაქარი - ჩაი რომ დავალევინოთ მოხუცებს და ბავშვებს ესაა და მეტი არაფერი, გადასახადები ჩვენც ისევე უნდა გადავიხადოთ როგორც ყველამ. თავიდან, ახალი გადმოსულები რომ ვიყავით, იმ პერიოდში გქვონდა უფასოდ დენი და გაზი ახლა ესეც ლიმიტირებულად უნდა ვიხმაროთ რომ ბევრი გადასახადი არ მოვიდეს, დუხჭირი ცხოვრება გაქვს, კი რაღაცა ნაწილმა ისწავლა, როგორ რა უნდა აკეთოს, ზოგიერთმა მაღაზია გააკეტა და ამუშავებს, ამგრამ უმრავლეობა ჩვენს დღეშია“* (62 წლის ქალთ).

*„წამლების ფასი ისეთია, რა დაზღვევა უნდა გქონდეს, ექიმთან მიხვალ დაზღვევით, ის  რომ წამლებს გამოგიწერს, იმას რას უზამ? ვერ იყიდი და ხარ ასე“* (55 წლის მამაკაცი).

უფრო ყოჩაღად ეგუებოდნენ ყველაფერს და იმედი ჰქონდათ უკან დაბრუნების. არსებულმა პოლიტიკამ და უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა მეტი უიმედობა დათესა დევნილებში; დაძაბულობა, დეპრესია თან ახლავს ამ პროცესს.

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ არაფერი შეცვლილა დევნილებისთვის იგივე პრობლემებია, რაც მათ აქამდე ჰქონდათ, „სამართლიანობის აღდგენა“  მათთვის თავიანთ სახლებში დაბრუნებაა, რომელსაც ჯერ პირი არ უჩანს და ეს არ აუმჯობესებს მომავლის მოლოდინისადმი დადებით დამოკიდებულებას.

## 4. **რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი**

### *4.1 დემოგრაფიული მონაცემები*

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 17-დან 84 წლამდე 81 ადამიანმა, კვლევაში მონაწილეთა საშუალო ასაკი 31 წელია. მონაწილეთაგან 33 მამაკაცია და 48 ქალი. 49 ადამიანი იმყოფება ქორწინებაში, 26 - განქორწინებული, ხოლო 5 ქვრივია. 92%- ისთვის ქართული  ენა არის მშობლიური ენა.

ნახ. 1 განათლების მიხედვით, უმრავლესობა მონაწილეებისა საშუალო განათ-ლებისაა (44%),  დაახლოებით ერთნაირი რაოდენობის ადამიანებს ჰქონდათ პროფესიული (ტექნიკუმი) და უმაღლესი განათლება (20% და 21%).




ნახ.1 მონაწილეთა მონაცემების განაწილება განათლების მიხედვით.

კვლევაში მონაწილე დევნილები, ძირითადად  საკუთარი ოჯახის წევრებთან ცხოვრობენ,  ოჯახის წევრი მათ გარდა სახლში 3 ან 4 ადამიანია. კვლევაში მონაწილე დევნილების 86% მიიჩნევს თავს მორწმუნე ადამიანად, ხოლო  7% ღმერთს მხოლოდ გაჭირვების დროს მიმართვას, ხოლო 5% ათეისტია.

კვლევაში მონაწილეთა 94% თავს ეროვნებით ქართველად თვლის, ხოლო 6% - ოსად. კვლევაში მონაწილეთა 83%-ს ყავს დედა ქართველი, რესპონდენტთა 15%-ს - ოსი, ხოლო 2%-ს - რუსი. მონაწილეთა 94%-ის მამა არის ქართველი, ხოლო 6%-ისა - ოსი.

შევეცადეთ გაგვერკვია მათი განწყობები  სხვადასხვა საკითხების მიმართ, კითხვებისა და ტესტის საშუალებით, კერძოდ, მათი დამოკიდებულებები  რელიგიის მიმართ და ეთნიკურად განსხვავებული ადამინებთან თანაცხოვრებისა და



ქორწინებისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქორწინების თვალზარისით მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა 91 % საერთო სარწმუნობის ადამიანებთან (ქრისტიანებთან) ქორწინებას ანიჭებს უპირატრესობას, ხოლო 8%-სთვის ქორწინების დროს სარწმუნოებას არა აქვს მნიშვნელობა, მხოლოდ 1%-ს ანიჭებს უპირატესობას ათეისტ ადამიანს.

შერეული ქორწინებები სხვადასხვა ეროვნების ადმიანებს შორის: ჩვენი კვლევის მონაწილეების მხოლოდ  37%-ს არ ყავს ნათესავები და ახლობელები, რომლებიც იმყოფებიან შერეულ ქორწინებაში,  უმრავლეობას კი შერეულ ქორწინებაში მყოფი ნათესავები მრავლად ყავთ; 44% რამდენიმე ახლო ნათესავი ყავს ასეთ ქორწინებაში, ხოლო 19% ბევრი ნათესავი.

პასუხად კითხვაზე, როგორ შეაფასებდით ქართველებსა და ოსებს შორის არსებულ ურთიერთობებს - კვლევაში მონაწილე სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობის 22% თვლის, რომ ადრე უკეთესი ურთიერთობები ჰქონდათ, 48% ამბობს, რომ რიგით ადამიანებს შორის ურთიერთობები არ შეცვლილა, 30% თვლის, რომ ურთიერთობები  აშკარად გაუარესდა, რაც იმას მოწმობს, რომ ჩვეულებრივი ადმიანებისთვის, ურთერთობები  უცველელია, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთიდან დევნილებისთვის, რადგადანც  იქ მაცხოვრებელი ოჯახები ნათესაური კავშირებით იყვნენ დაკავიშრებულნი ოსი ეროვნების ადგილობრივ მოსახლეებთან და დღემდე აქვთ  ურთიერთობები.

### *4.2 ბედნიერების სკალა*

შევეცადეთ (Hills and Argyle) ბედნიერების საზომი სკალის გამოყენებით განგვესაზღვრა  მათი ბედნიერების აღქმა დღევანდელ დღეს.

როგორც ნახ. 2-ზეა ნაჩვენები ჩვენი კვლევაში მონაწილეების უმრავლესობა არ გრძნობს თავს უბედურად. ძალიან ბედნიერად მონაწილეთა მხოლოდ 5% მიიჩნევს თავს, ხოლო ძალიან უბედურად  - 1%.

ნახ.2  სახეები






ბედნიერების ამსახველი სახეების ტესტის მიხედვით აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილე ახალგორიდან დევნილი მოსახლეობის უმრავლესობა უფრო ბედნიერად გრძნობს თავს.

### *4.3 სოციალური დისტანციის სკალა*

როგორც ზემოთ იყო მოხსენიებული, გვინდოდა დევნილთა მათი განწყობები სხვადასხვა ეროვნების ადმიანების მიმართ,რის საზომადაც გამოვიყენეთ ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალა. სკალა, რომელიც გამოიყენება რესპონდენტთა სხვადასხვა სიახლოვის სოციალური კონტაქტების მზაობის გასაზომად სხვადასხვა ეთნიკური,სოციალური კუთვნილების და რასის წარმომადგენლებთან. ჩვენ შემთხვევაში შერჩეული ეროვნებები იყვნენ საქართვლოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური კუთვნილების ადამიანები: ქართველი, რუსი, ოსი, აფხაზი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ებრაელი. ტესტის შესაბამისად რესპონდენტებს უნდა აღენიშნათ ამ ეროვნების ადამიანებიდან ვისთან ექნებოდათ შემდეგი ურთიერთობები: არ შემოუშვებდა ქვეყანაში (1), დაუშვებდა როგორც დროებით სტუმარს (2), ეყოლებოდა როგორც ნაცნობი (3), იქნებოდა თანამშრომელი (იმუშვებდა ერთ ორგანიზაციაში) (4); იყოლებოდა კარის მეზობლად (5); ეყოლებოდა ახლო მეგობრად (6) და მზად იქნებოდა ახლობელი რომ დაქორწინებულიყო (6).

ნახ. 3 – რუსი




ნახ. 3-ზე ნაჩვენებია კვლევაში მონაწილე იძულებით გადაადგილებული ადამიანების დამოკიდებულება რუსი ეროვნების ადამიანების მიმართ. ტესტის მონაცემების მიხედვით გამოკითხულთა 5% რუსი ეროვნების ადამიანებს არ შემოუშვებდა საქართველოში, 17% მიიღებდა მათ როგორც სტუმარს, იყოლიებდა როგორც ნაცნობს მონაწილეთა 5%, რუსთან ერთად იმუშავებდა ერთ ორგანიზაციაში 7%, მათთან კარის მეზობლობაზე თანახმა იყო 4%, ახლო მეგობრად იყოლიებდა 17%, ხოლო 44% თანახმაა მასთან, მისი ახლობლის ან ოჯახის წევრის მიერ ოჯახის შექმნაზე. ვფიქრობთ, რომ ეს მაჩვენებელი ეხმიანება ზემოთ აღნიშულ იმ მონაცემსაც, რომლის მიხედვით, მონაწილეთა უმრავლესობას(91%) შერეულ ქორწინებაში ყველაზე მნიშვნელოვნად ერთმორწმუნეობა მიაჩნია.

ოსი ეროვნების ადამიანების მიმართ სოციალური დისტანციის მონაცემები ნაჩვენებია ნახ. 4-ზე. ამ მონაცემების მიხედვით, მათთან ახლო მეგობრობაზე 20% და ქორწინებაზე56% მეტი ადამიანია თანახმა. სხვა მონაცემებთან შედარებით საკმაოდ მაღალია ეს მაჩვენებელი და ვვარაუდობ, რომ გარდა ერთმორწმუნეობისა, ამაზე ისტორიული მეხსიერებაც ახდენს გავლენას, რადგანაც ოდიდგანვე ოსებსა



და ქართველებს შორის არსებობს შერეული ქორწინება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ჩვენს კვლევაში მონაწილეების 63% შერეულ ქორწინებაში ყავთ ნათესავები, და, ჩემი აზრით, ერთ-ერთი მიზეზი ასეთი მონაცემისა ესეც შეიძლება იყოს. ისინი დღესაც ღია არიან ოსი ეროვნების ადამიანების მიმართ, მიუხედავად კონფლიქტური პირობებისა.

ნახ. 4 ოსი




შედარებისათვის ჩვენ, ასევე, გამოვიყენეთ დამოკიდებულებების შეფასება სხვა ეროვნების ადამიანების მიმართ, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, რამაც აჩვენა, რომ ჩვენი მონაწილეები საკმაოდ ღია და გასხნილი ადამიანები არიან საქართვლოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მიმართ,მაგრამ ოსების მიმართ დამოკიდებულება ბევრად მეტად ლოიალური აღმოჩნდა, რაც ჩვენი მონაცემების მიხედვით ქორწინების მაჩვენებლში აისახა.

აფხაზების მიმართ დამოკიდებულებაშიც ჩანს,რომ კვლევაში მონაწილე ადამიანები აფხაზებთან ახლობლობისთვის მზად არიან, თუმცა მათ ახლო მეგობრებად 27% იყოლიებდა და მათთან ოჯახის შექმნაზე ახლობლებთან 35% ექნებოდა თანხმობა.

ნახ. 6 აფხაზი




რაც შეეხება სომხებთან უერთიერთობას, აქ უმრავლესობა თანხმდება მათ კარის მეზობლობაზე , ახლო მეგობრობაზე, ხოლო ქორწინების მაჩვენებელი 26% ჩამოდის

ჩვენი რესპონდეტების სოციალური დისტანცია ჩვენი გეოგრაფიული მეზობლების სომხებისა და აზერბაიჯანელების მიმართ შემდეგი სახისაა: სომხებთან ჩვენი გამოკითხული რესპონდეტების 56% იმეზობლებდა; 24% იმეგობრებდა, ხოლო ქორწინებაზე 26% იქნებოდა თანახმა.

ნახ. 7 სომეხი




ხოლო აზერბაიჯანელებთან იმეზობლებდა 56%,იმეგობრებდა 40%,ხოლო ქორწინებაზე თანხმობას მხოლოდ 24% აცხადებს.

ნახ. 8 აზერბაიჯანელი




ნახ. 9 ებრაელი




ებრაელების მიმართ ჩვენი რესპონდენტების დამოკიდებულება შემდეგია იმეგობდებდა 28% ხოლო ქორწინებაზე 31 % თანახმა.

### *4.4 ნდობა საზოგადოების მიმართ, ოპტიმიზმი და მომავლის იმედი*

კვლევაში გამოყენებული იყო კითხვები, რომლებიც ადამიანების საზოგადო ნდობას, მათ დამოკიდებულებას მომავლის მიმართ, მათ ოპტიმიზმზე და ცხოვრებაში წარმატების მიღწევის მიზეზებზე იყო ორიენტირებული.



ის, თუ რას მიაღწევს ადამიანი ცხოვრებაში ჩვენი რესპონდენტების 79% თვლის, რომ თვითონ პიროვნებაზე, მასზეა დამოკიდებული ხოლო 22 %-ის აზრით სხვებზე და სიტუაციაზე.

კითხვაზე,რომელიც საზოგადოდ,ნდობას ზომავს,და ასეთი სახისაა: თქვენი აზრით, ადამიანების უმრავლესობა ნდობას იმსახურებს თუ - არა,დევნილ გამოკითხულთა 26% თვლის, რომ არ იმსახურებს, ხოლო 74% კი თვლის, რომ ადამიანების უმრავლესობა ნდობის ღირსია.

ოპტიმიზმის გასაზომდ გამოყენებულ კითხვაზე, როგორ უყურებთ მომავალს მონაწილეთა 88 % იმედით უყურებს, ხოლო 12 % ყოველგვარი იმედის გარეშე, ხოლო კითხვაზე: და რას უფრო ელით, რომ ცხვრებაში ყველაფერი ისე წაგივათ როგორც თქვენ გინდათ თუ, რაც თქვენ გსურთ ის უფრო არ მოხდება,

79% ოპტიმისტურად არის განყობილი და მიიჩნევს, რომ როგორც მათ სურთ ისე იქნება, ხოლო 21 % თვლის, რომ რაც მას უნდა ის უფრო არ მოხდება.

ოპტიმიზმის მაღალი ხარისხი დევნილებში იმედის მომცემია,ისინი ნიჰილისტურად არ არიან განწყობილები მომავლის მიმართ და იმედის თვალით უყურებენ მათ ჩართულობას მათი ბედის შემდგომ განსაზღვრაში, რაც შეიძლება ითქვას მძიმე ფსიქოლოგიური სტრესული სიტუაციიდან გამოსავლის ძებნის ერთ-ერთი ხერხია.v

პატიოსანი შრომით საქართველოში ნორმალური ცხოვრების შესაძლებლის მიმართ მათი დამოკიდებულება შემდეგნაირად გამოვლინდა ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობის კვლევაში მონაწილე რესპონდენტების:

59% თვლის რომ შესაძლებელია,

14% უჭირს პასუხის გაცემა ამ კითხვაზე,

27 % კი თვლის, რომ ეს საქართვლოში შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა დევნილთა მცირე რაოდენობის შერჩევაზე ჩატარდა და არ იძლევა საშუალებას,ამ მონაცემების მთლიანად დევნილ მოსახლეობაზე განზოგადებისა, ტენდენციები სახეზეა და შეიძლება ყურადღების გამახვილება.

## 5. დასკვნა

ფსიქოლოგიური კვლევის მიზანი იყო გვენახა დევნილი მოსახლეობის განწყობების ცვალებადობა,სხვადასხვა საკითხების მიმართ.

ფსიქოლოგიური კვლევის შედეგად, რომელიც პირისპირ სიღრმისეული ინტერვიუების და ტესტების შდეგებს ეფუძვნება, გამოვლინდა:

- სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები პოსტტრავმული სტრესიდან გამომდინარე;

- შემწყნარებლური დამოკიდებულებები და დადებითი სოციალური განწყობები, სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობისა მეზობელი ოსი ეროვნების ადამიანების

მიმართ,რასაც ადასტურებს სიღრმისეული ინტერვიუების და ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალის მონაცემები;

- დადებითი და შეუცვლელი განწყობა ქართველ და ოს მოსახლეობას შორის უერთიერთობების მიმართ,რომლიც პირისპირ სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოჩნდა;

- ქართველ და ოს მოსახლეობას შორის მეგობრობისა და ქორწინებისადმი დადებიტი დამოკიდებულების მაღალი მაჩვენებელი ბოგარდუსის სოციალური დისტანციის სკალის მონაცემების მიხედვით, რაც ოსი და ქართველი ეროვნების ადამიანებს შორის მეგობრული ურთიერთობების და შერეული ქორწინებების და გაგრძელების სურვილს ნიშნავს;

- მაღალი ნდობა დევნილი მოსახლეობისა საზოგადოების მიმართ;

- სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობის მაღალი ოპტიმიზმი და დადებითი მოლოდინი მომავლის მიმართ.

პოსტსტრესული სიტუაციიდან გამოსავალი სწორედ მომავლის მიმართ იმედიანი განწყობა,ამ წარმატების მიღწევის საკუთარ თავზე ორიენტირი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჩვენს კვლევაში მონაწილე სამხრეთ ოსეთიდან დევნილი საზოგადოება, ებძრვის ომის დროს მიღებულ სტრესს, ცდილობს ფსიქოლოგიური დასაყრდენი იპოვოს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა საშუალება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა არ ამოწურულა, გზებიც არსებობს და მნიშველოვანია სწორი ჩართულობა საზოგადოების და პოლიტიკური ელიტის მხრიდან.

**გამოყენებული ლიტერატურა :**


**Alexopoulos, G. S. (2005).** Depression in the Elderly. *Lancet,* 365(9475), 1961-7.

**Creswell, J. (2014).** Research Design: Qualitative, Quantitative and Mixed Methods

Approaches. 4th Ed. Thousand Oak.London, New Delhi: Sage Publication

**Kim, B. S. K., Yang, P. H., Atkinson, D. R., Wolfe, M. M, & Hong, S. (2001).** Cultural Valuesimilarities and Differences among Asian American Ethnic Groups. *Cultural Diversity and*

*Ethnic Minority Psychology,* 7, 343-361;

**Oganesyan, M.** Missoula **(2014**). “Mixed Marriages In Georgia: Trends And Implications”,

Caucasus Analytical Digest No. 64, 9 July 2014- Pp 17

**Robinson**, **C at all (2012**).”Aging in Displacement: Assessing Health Status of Displaced Older Adults in the Republic of Georgia”. US Department of State, Bureau of Population, Refugees and Migration, published April 21, 2012.

**Marcella A.J., Bornermann T., Ekblad, S., & Orley, K. (1994)**. Amidst Peril and Pain: The Mental Health and Well-being of the World’s refugees. Washington DC: American Psychological Association.

**UNHCR** Mid –Year Trends 2014. The UN Refugee Agency. October.2014. http://unhcr.org/54aa91d89.html#_ga=1.211418908.801498211.1430314117

UNHCR Report Shows Further Growth in Forced Displacement In First Half 2014. **Press Releases**, 7 January 2015. http://www.unhcr.org/54abe0e66.html

**ნ.სუმბაძე (2011).** იძულებითი მიგრანტები კონფლიქტის შემდგომ სიტუაციაში: სოციალური ბადეები და სასიცოცხლო სტრატეგიები“ (2006–2010).

**ჯ.ჯავახიშილი** (2014). «აგვისტოს ომმა გაუზიარებელი და არაღიარებული ადამიანური ტრაგედიები დაგვიტოვა» LIBERALI 17.08.2014

**http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/119533/**




**დანართი 1**

**კითხვარი**

1. **თქვენიასაკი:**
2. **სქესი**

   ☐1. მამრ ☐2. მდედრ
3. **იმყოფებითთუარაქორწინებაში:**

   ☐1. ვიმყოფები ☐2. არ ვყოფილვარ დაქორწინებული ☐3. ვარ გაცილებული
4. **თქვენი მშობლიურიენა** (დაასახელეთ) ქართული
5. **განათლება** -
6. **რამდენი ადამიანი ცხოვრობს აქ თქვენთან ერთად:**
7. **რომელი რელიგიის წარმომადგენელთან ქორწინებას ანიჭებთ უპირატესობას?**
8. **თქვენ ეროვნებით ხართ** -
9. **მშობლების ეროვნება** **დედა** 1. ქართველი 2. ოსი 3. რუსი 4. სხვა

   **მამა** 1. ქართველი 2. ოსი 3. რუსი 4. სხვ
10. **თუ გყავთ ოჯახისწევრები ან ნათესავები, რომლებიც ქორწინებაში იმყოფებიან სხვა ეროვნების ადამიანებთან?** (შემოხაზეთ)

    1. დიახ, ბევრი 2. რამდენიმე 3. არა

10. **როგორ უყურებთ შერეულ ქორწინებებს?** (შემოხაზეთ)

1. რელიგიას მნიშვნელობა არაქვს.
2. წინააღმდეგი არ ვარ
3. წინააღმდეგი ვარ

11. **გვიპასუხეთ თუ შეიძლება მიიჩნევთ თავს მორწმუნედ?**

1. დიახ 2. ღმერთი მხოლოდ გაჭირვებისას მახსენდება 3. ათეისტი ვარ

12. **როგორ შეაფასებდით ქართველებსა და ოსებს შორისარსებულ ურთიერთობებს?**

1. ადრე უკეთესი ურთიერთობები გვქონდა
2. რიგით ადამიანებს შორის ურთიერთობა არ შეცვლილა
3. ურთიერთობები აშკარად გაუარესდა

13. **ქვემოთ წარმოდგენილ სურათებზე გამოსახულია სახეები, რომლებიც განსხვავებულ ემოციებს გამოხატავენ. რომელი მათგანი გამოხატავს ყველაზე ზუსტად იმას, თუ საერთო ჯამში როგორ გრძნობთ თქვენ თავს?**

**ჩ**

14. **ბოგარდუსის სოციალური დისტანციის შკალა(** ოგარდუს)

| № | ჯგუფი | არ შემოვუშვებდი ქვეყანაში | დავუშვებდი, როგროცდროებითსტუმარსჩემსქვეყანაში | მეყოლებოდა ნაცნობად | ვიმუშავებდი ერთ ორგანიზაციაში | მეყოლებოდა კარის მეზობლად | მეყოლებოდა ახლო მეგობრად | მზად ვიქნე ბოდიახლობელი რომ დაქორწინებულიყო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1 | რუსი | | | | | | | |
| 2 | ქართველი | | | | | | | |
| 3 | ოსი | | | | | | | |
| 4 | აფხაზი | | | | | | | |
| 5 | სომეხი | | | | | | | |
| 6 | აზერბაიჯანელი | | | | | | | |
| 7 | ებრაელი | | | | | | | |

28. **თქვენი აზრით ის, თუ რას მიაღწევს ადამიანი ცხოვრებაში, უფრო**



**მასზეა დამოკიდებული თუ სხვებზე და სიტუაციაზე?**

☐1. უფრო მასზეა დამოკიდებული

☐2. უფრო სხვებზე და სიტუაციაზეა დამოკიდებული

29. **თქვენი აზრით ადამიანების უმრავლესობა ნდობას იმსახურებს თუ არა?**

☐1. იმსახურებს

☐2. არ იმსახურებს

30. **მომავალს თქვენ უყურებთ უფრო?**

☐1. იმედით თუ

☐2. ყოველგვარიიმედისგარეშე

31. **რას უფრო ელით, რომ**

☐1. ცხოვრებაში ყველაფერი ძირითადად ისე წაგივათ,როგორც თქვენ გინდათ თუ

☐2. რაც თქვენ გსურთ ის უფრო არ მოხდება

32. **როგორ ფიქრობთ, საქართველოში პატიოსანი შრომით შესაძლებელია თუ არა ნორმალური ცხოვრების მიღწევა**

☐1. შესაძლებელია ☐2. არ არის შესაძლებელი ☐3. მიჭირს პასუხის გაცემა

**დასკვნა**

მსოფლიოში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური და სოციოკულტურული პროცესები თავისებურად აისახა ე.წ. რუსული გავლენის სფეროში მოქცეულ ქვეყნებზე. პერსპექტივა, რომ დიდი სახელმწიფოების ინტერესთა პრიორიტეტულობა და შესაბამისად სერიოზული კონფლიქტები წარსულს ჩაბარდებოდა, 2008 წლის მოვლენების შემდეგ საბოლოოდ დასამარდა. მოსკოვმა საკუთარი აგრესიის შელამაზების მიზნით აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, ხოლო საკუთარი ქმედება აქ მცხოვრები აფხაზი და ოსი ხალხის დახმარების აქტად მონათლა, მაგრამ შექმნილი ვითარება მრავალასპექტიან წინააღმდეგობრივ დილემად იქცა. რუსულ ნაციონალურ პოლიტიკაში ეს ''აღიარება'' ახალ ფენომენს წარმოადგენს, მოსკოვმა ერთგვარი რუბიკონი გადალახა და მსოფლიოს მომავალში სხვა რადიკალური ქმედებებისათვის შეამზადა.

ქართულ-ოსურ/რუსულ კონფლიქტში ახალგორის რაიონი, განსაკუთრებული ფენომენია. იგი არ ესადაგება ეთნოკონფლიქტის უნივერსალურად აღიარებულ კრიტერიუმებს და ქართულ-ოსური/რუსული კონფლიქტის ერთ-ერთ ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს. სადავო აღარაა, რომ დაპირისპირების ინსპირირებაში ლომის წილი რუსეთს მიუძღვის. რუსული ინტელექტუალური ელიტა ორმაგი სტანდარტებით უდგება ეთნიკური ჯგუფების უფლებებს რუსეთსა და დასავლეთთან დაახლოების მსურველ მეზობელ ქვეყნებში. რუსული ნაციონალური კონცეფციის ძირითად მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ეთნიკური იდენტობის მქონე მოქალაქეთა ერთიან რუსულ სახელმწიფოში ინტეგრაცია. რუსული საგარეო პოლიტიკა, პირიქით, ცალკეული პოსტსაბჭოური სახელმწიფოების რეგიონებში სეპარატისტული მოძრაობების აქტიურ მხარდაჭერასა და კონფლიქტის ინსპირირებაში გამოიხატება. საქართველოსათვის

ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება რჩება რუსული ჰეგემონობისაგან თავის დაღწევის, მისი ინტერესების დაბალანსების და აღმოსავლეთიდან მომდინარე საფრთეხეებისაგან თავდაცვის ალტერნატივად,რასაც ხელს უწყობს "ცივილიზაციური", პოლიტიკური და ისტორიული ფაქტორებიც. ამ მიმართებით, რუსეთიც და საქართველოც დიდ როლს ანიჭებს ე.წ. სეპარატისტულ რეგიონებს. ქსნის ხეობა რომელიც რუსეთმა 2008 წლის ომის შემდეგ ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში შეიყვანა, გლობალური დაპირისპირების ლოკალურ ადგილად იქცა. ახალგორის რაიონი(ქსნის ხეობა) კი ამ არაღიარებულ რესპუბლიკაში ბევრი განსაკუთრებული ნიშნით ხასიათდება.

ისტორიულად ქსნის ხეობას,და იქ ჩამოყალიბებულ საერისთავოს, საქართველოს სახელმწიფოსათვის ყოველთვის განსაკუთრებული პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ყველა სახის ვაო ყოველთვის აქტიურად იყო ჩაბმული ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, იგი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ასპარეზი იყო უძველესი დროიდან. XV საუკუნიდან ქსნის საერისთავო ჩამოყალიბდა ქართული სათავადოსათვის დამახასიათებელი ციხე-დარბაზით, საძვალეთი, ვრცელი სამფლობელოთი და ყმა-მამულით.

ჩრდილო კავკასიიდან შემოსახლებული ოსები თავდაპირველად იკავებენ შიდა ქართლის მთიანეთს, ხოლო შემდეგ გამუდმებული ომების შედეგად შეთხელებული ქართული მოსახლეობის ნამოსახლარებს, და თანდათანობით მთისწინა ზოლშიც (XVII–XVIII სს-ში) მკვიდრდებიან. როგორც ქართული ისტორიული წყაროები, ისე უცხოელ მოგზაურთა და მკვლევართა დაკვირვებები ნათელყოფს, რომ ოსთა გამოჩენა ქსნის ხეობის ზედა ზოლში მომხდარა არაუადრეს XV საუკუნისა. XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები სახლდებიან ჯეჯორისა და ქსნის ხეობის (ჟამურის) სათავეებთან. ჟამურში ისინი გადმოსახლდნენ როგორც ჩრდილო კავკასიის მთიანი რეგიონიდან, ისე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ზონიდან, კუდაროში კი ძირითადად დვალეთიდან.

ოსების მიგრაციას საქართველოში ყოველთვის არ ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი, ეს ბუნებრივია, რადგან შემოსულ უცხო ეთნოსს დამკვიდრებისათვის თავისუფალი არეალი ყველგან არ ხვდებოდათ, ამიტომ ქართულ სოფლებზე ოსების თავდასხმები ისტორიულად დადასტურებულია.

ტერმინი „ოსეთი" პირველად XIX საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება, 1830 წლიდან კი თანდათანობით ფეხს იკიდებს ოპოზიციური ტოპონიმიური წყვილი –„Южная Осетия" და „ Северная Осетия". თუმცა გენერალი პასკევიჩის შემდეგ, რომელიც შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები ოსების მიმართ იყენებს ტერმინს, „ჩრდილოეთ ქართლის ოსები", XIX საუკუნის განმავლობაში „სამხრეთ ოსეთი" უკვე იშვიათად გვხვდება.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ფესვები XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იღებს სათავეს, ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგით მებრძოლი ბოლშევიკური პარტია საქართველოში მოხერხებულად იყენებდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ „ეროვნულ საბჭოებს" ხელისუფლებაში მოსასვლელად. საქართველოში შექმნილი ეროვნული საბჭოებიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობით გამოირჩეოდა ოსების „ეროვნული საბჭო".



XIX საუკუნის 30-იან წლებში წარმოშობილმა ტერმინებმა –„Южная Осетия", და „ Северная Осетия"-მ ოსებში „ორი ოსეთის" გაერთიანების იდეის ინსპირაცია მოახდინა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკებმა ოსებს დაუფასეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში საიმედო მოკავშირეობა და შიდა ქართლში სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" შეუქმნეს.

„სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის შექმნა და მასში წმინდა ქართული ქალაქის–ცხინვალის, 40 ქართული სოფლისა და ქსნის ხეობის (სადაც მოსახლეობის 80% ქართველი იყო), შეყვანა არც სამართლებრივი, არც ისტორიული და არც დემოგრაფიული თვალსაზრისით გამართლებული არ იყო. შიდა ქართლში მოსახლე ოსებს ისტორიული სამშობლო სხვაგან აქვთ, მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი რომ რომელიმე ქვეყანას,მის ტერიტორიაზე მცხოვრებ არადომინანტი მოსახლეობისათვის, ავტონომია შეექმნას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ოლქის შექმნის დროს დემოგრაფიული (სტატისტიკური) მონაცემების გაყალბება ოსური მოსახლეობის რიცხვის გაზრდის მიზნით. რომელიც განსაკუთრებით ქსნის ხეობაშია გაყალბებული, ქართული სოფლების დიდი ნაწილი საერთოდ არ იქნა აღწერილი, ხოლო ოსური მოსახლეობის რიცხვი ხელოვნურადაა გაზრდილი,ამის გამო კი ოლქის შექმნის დროს ქსნის ხეობა „ეთნოგრაფიული"//„ეთნიკური" ნიშნის მომიზეზებით მის საზღვრებში მოაქციეს.

მაგრამ XX საუკუნის 90–იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ოსები ოლქის სტატუსით კმაყოფილები არ იყვნენ. 1989 წელს „ადამონ ნიხასის" მიერ ორგანიზებულ, ცხინვალში მიმდინარე ანტიქართულ გამოსვლებში და ლოზუნგებში კვლავ დაფიქსირდა „ორი ოსეთის" გაერთიანებისა და დამოუკიდებელ რესპუბლიკად ჩამოყალიბების მოთხოვნა.

ცხინვალში ანტიქართული გამოსვლების პარალელურად, ქსნის ხეობაში მიმდინარე ქართველი მოსახლეობის პერმანენტული მიტინგების შედეგად 1992 წლიდან ახალგორის რაიონი ცალკე მუნიციპალიტეტად ჩამოყალიბდა. 1995 წლიდან 2007 წლამდე ახალგორის მუნიციპალიტეტი შედიოდა მცხეთა–მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში., ხოლო 2007 წლიდან მაშინდელი პრეზიდენტ სააკაშვილის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით დაექვემდებარა დროებით ადმინისტრაციულ მმართველობას.

2008 წლის ომის შემდგომ ახალგორის რაიონის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ხეობა დატოვა. რაიონიდან გამოსვლა სპონტანურად მოხდა, ადგილი არ ჰქონია მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით გარჩევას. ადგილზე დარჩნენ როგორც ოსები, ისე ქართველები. ორივე მხარე, ახალგორში დარჩენილი და დევნილი კონტინგენტი, ეთნიკურად შერეული მოსახლეობით არის წარმოდგენილი.

ახალგორის რაიონში ადგილზე ქართული მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილი დარჩა. გამოსული კონტინგენტი,რომელსაც დევნილის სტატუსი მიენიჭა,სახელმწიფოს მიერ კომპაქტურად იქნა შესახლებული შიდა ქართლში სპეციალურად მათთვის აშენებულ კოტეჯებში – წეროვანში, წილკანსა და ფრეზეთში, მცირე ნაწილი

კი ქართლის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ინდივიდუალურად სახლობს. დღეს ქსნის ხეობაში, სადაც ყოველთვის, ისტორიის ყოველ მონაკვეთზე ქართველები სჭარბობდნენ ოსებს, ქართველების მხოლოდ მცირე რაოდენობაა დარჩენილი, ხოლო დევნილი მოსახლეობის უმრავლესობას საოკუპაციო რეჟიმი და ცხინვალის მარიონეტული მთავრობა საკუთარ სახლებში შესვლას თანდათანობით უზღუდავს. ახალგორის რაიონი ფაქტობრივად დაცლილია ქართველებისაგან, ადგილზე ძირითადად ასაკოვანი ხალხი ცხოვრობს მუდმივად.

ახალგორი, ცხინვალის რაიონთან შედარებით, ყოველთვის გამოირჩეოდა ქართულ–ოსური მოსახლეობის ინტეგრაციის მაღალი მაჩვენებლით; ეს კი გამოწვეული იყო რაიონის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში ქართველების რაოდენობრივი უპირატესობით; ქსნის ხეობაში ოსური მოსახლეობა ქართულთან შედარებით ყოველთვის ცოტა იყო. ინტეგრაცია მიმდინარეობდა ორივე მიმართულებით, თუმცა უმთავრესად დომინანტი ეთნოსისკენ. საკომუნიკაციო ენა ქართული იყო (თუმცა, ქართულმა მოსახლეობის ნაწილმაც იცოდა ოსური), რაც ინტეგრაციისთვის ხელსაყრელ პირობას ქმნიდა. ოსურ ოჯახებშიც კი ქართულად საუბრობდნენ; ამდენად, ქართული არა მარტო ჯგუფთაშორისი, არამედ შიდაჯგუფური სალაპარაკო ენაც იყო. ახალგორის რაიონში (ქსნის ხეობაში) ქართული სკოლები ფუნქციონირებდა, ოსური//რუსული სკოლა რაიონულ ცენტრში იყო. რაიონის მოსახლეობის დიდი უმეტესობა (მათ შორის ოსებიც) განათლებას ქართულად იღებდა; ლინგვისტური კომპეტენციის საფუძველზე მარტივად ხდებოდა ჩართვა ერთმანეთის სოციო-კულტურულ კონტექსტებში, რაც ამ ჯგუფების კიდევ უფრო მეტად დაახლოებას იწვევდა. ამავდროულად, ბევრი იყო შერეული ოჯახი, რაც, დიდად უწყობდა ხელს ინტეგრაციას. ახალგორელ ოსებს ქართველ, ან ჩვენ ოსებსაც ეძახდნენ. ქართული სკოლების, ქართული გარემოს და ქართულ-ოსური შერეული ოჯახების წყალობით ახალგორის რაიონში ინტერკულტურული კომუნიკაციას ინტენსიური ხასიათი ჰქონდა.

ეთნიკური მიკუთვნილობის გამო დაპირისპირება რაიონში არასდროს ყოფილა – ისინი არ არჩევდნენ ერთმანეთისაგან ოსსა და ქართველს. ომი ახალგორელი ოსების აბსოლუტური უმრავლესობისთვისაც ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორ იქ მცხოვრები ქართველებისთვის.

ახალგორი და ქსნის ხეობის სოფლები ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ და აქ ოსების/რუსების მიერ დანიშნულმა ადმინისტრაციამ დაიწყო მოქმედება. რაიონს ძველი, კომუნისტებისდროინდელი სახელწოდება აღუდგინეს – ახალგორს ლენინგორი გადაარქვეს.

ახალგორიდან ცხინვალში მიმოსვლა გორის მიმართულებით ხდებოდა; რაიონი ყოველთვის თბილისიდან მარაგდებოდა, ყველანაირი პროდუქცია რეგიონში შედიოდა ქართული ბაზრიდან და იქედანაც შემოდიოდა ქართულ ბაზარზე. ამდენად, ახალგორის ეკონომიკური ვექტორი თბილისი-გორზე გადიოდა და რაიონი, ფაქტობრივად, იზოლირებული იყო ცხინვალისაგან. დე ფაქტო ცხინვალის მთავრობისთვის უპირველეს ამოცანად იქცა არსებული ეკონომიკური კავშირები ოსურ/რუსულით ჩაენაცვლებინა, და საოკუპაციო რეჟიმმა ახალგორის ცხინვალთან კავშირის უზრუნველსაყოფად ცხინვალის გზის მშენებლობა დაიწყო. გზის გაყვანამ ახალგორის რაიონის



ეკონომიკაში საგრძნობლად გაზარდა ცხინვალის//რუსეთის წილი და შესაძლებელი გახადა ახალგორის პირდაპირი მომარაგება ცხინვალიდან, თუმცა ახალგორის რაიონი დღემდე ინარჩუნებს კავშირებს თბილისის ბაზართან.

დე ფაქტო ოსეთის მთავრობა პერიოდულად ცვლის რეგულაციებს რაიონში შესვლასთან დაკავშირებით (დაბადების მოწმობა, ფორმა 9, "პროპუსკი"), რაც გამიზნულია ქართული მოსახლეობის ახალგორში შესვლის პირობების გართულებისკენ ან შეზღუდვისკენ. დაწესდა სხვა წესებიც, რაც ადამიანების გარდა, პროდუქტის, ავტოტრანსპორტის და საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს ეხება. ასეთი პოლიტიკა მიმართულია რაიონში ქართველი მოსახლეობის რაოდენობის მინიმალიზაციისაკენ ან ამ კონტინგენტის დე ფაქტო ოსეთში რეინტეგრაციისაკენ.

ქართული ერთეულის ოსურით ჩანაცვლების მიზანს ემსახურება საბინაო საკითხიც, რომელიც ახალგორელ ქართველთა სახლებში 90-იანი წლების კონფლიქტის შედეგად ჩრდილოეთ ოსეთში წასული და ახლა უკან დაბრუნებული ოსების შესახლებას ითვალისწინებს. აგრეთვე დე ფაქტო მთავრობის მიერ ბოლო დროს გაჟღერებული წეროვანში მცხოვრები დევნილებისთვის ახალგორში ბინის ჩამორთმევის გეგმა.

ეთნიკური მიკუთვნილობის გამო რაიმე პრობლემა ქართველებსა და ოსებს შორის არც რაიონის ოკუპაციამდე და არც ოკუპაციისა და დევნილობის შემდეგ არ წარმოქმნილა. თუმცა ქართველ დევნილებში დღეს აქა-იქ გაისმის ერთგვარი უკმაყოფილება, რასაც ოსი ეროვნების დევნილებისადმი საქართველოს მთავრობის ზედმეტი გულისხმიერება იწვევს. სავარაუდოდ, სწორედ ასეთმა არათანაბარმა დამოკიდებულებამ შეიძლება დაპირისპირებისთვის ნიადაგი შექმნას. ახალგორში სიტუაცია საწინააღმდეგოა, უმცირესობაში აღმოჩენილი ქართველები ერთგვარ დისკრიმინაციას განიცდიან, იქნება ეს სოციალურ, საგანმანათლებლო, სამართლებრივი თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები.

დღეს ახალგორელი მოსახლეობის ორივე – ქართულ და ოსურ ნაწილს გაორებული ცხოვრებით, ორმაგი სტანდარტის პირობებში უწევს არსებობა როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებით კი, ეს ახალგორში დარჩენილ ადგილობრივ მოსახლეობას (უმთავრესად ქართველებს) ეხება, რაც შესაბამისად აისახება მათ ფსიქოლოგიურ განწყობებზე და მოლოდინებზე. ადამიანები იძულებული არიან, დაემორჩილონ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის იურისდიქციას, ამასთანავე, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თავს ქართული სახელმწიფოს მოქალაქედ თვლის და საქართველოს მოქალაქის უფლება-მოვალეობებით სარგებლობს. ეს ფაქტორი თავს იჩენს განათლების სისტემაშიც. რეგიონის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა ერთი მხრივ, ქართული და მეორე მხრივ, ოსური//რუსული საგანმანათლებლო პოლიტიკის გავლენას განიცდის. ახალგორის ქართულ სკოლებში, სწავლება საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს, ისტორიის სახელმძღვანელო ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშია შექმნილი. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის განათლების სამინისტროს ცხინვალის ხელისუფლება გეგმაზომიერად ცვლის ქართული სკოლების სასწავლო პროგრამას. 2013 წლიდან ქართული სკოლების სასწავლო პროგრამიდან ამოიღეს საქართველოს ისტორიის სწავლება, იმ მიზეზით, რომ უახლესი ისტორიის საკითხები სახელმძღვანელოში

„ქართველების თვალთახედვით“ არის გაშუქებული. ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს ისტორიის ნაცვლად დაგეგმილია ოსეთის ისტორიის სწავლება. ქართულ სკოლაში სასწავლო პროგრამის ცვლილება, საქართველოს ისტორიის ამოღება, რაც მომავალი თაობის ცნობიერების შეცვლას ისახავს მიზნად,რათა „ისტორიული ფაქტები და მოვლენები ოსი ისტორიკოსების თვალთახედვით იყოს წარმოდგენილი.

სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობა ქსნის ხეობაში რაიონის ეთნოდემოგრაფიული მდგომარეობის უკიდურეს გაუარესებას მოწმობს. 2008 წლამდე ახალგორში იყო 30 სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 2008-2013 წლის მონაცემებით მხოლოდ რვა სკოლაა დარჩენილი მოსწავლეთა ძალიან შემცირებული კონტინგენტით.

ორმაგი სტანდარტის კონტექსტში ყურადსაღებია ახალგორის ქართულ სკოლებში პიონერხელმძღვანელის ინსტიტუტის აღდგენის განზრახვა, რაც დე ფაქტო ოსეთის განათლების მესვეურთა გადაწყვეტილებაა. საპენსიო სფერო იძლევა ორმაგი სტანდარტით ცხოვრებით შესაძლებლობას პენსიონერისთვს. დევნილების საკმაო ნაწილი პენსიებს იქაც იღებს და აქაც. იქაური პენსიები და ხელფასები, იმდენად მაღალია საქართველოს საბიუჯეტო ორგანიზაციის ხელფასებზე, რომ ცხინვალის მთავრობა თავისი გამიზნული პოლიტიკის განსახორციელებლად ამით მანიპულირებს. ეს ერთგვარი ხიბლია, რასაც ცხინვალის მთავრობა დევნილი მოსახლეობის გადასაბირებლად იყენებს.

ორმაგი სტანდარტის პოლიტიკამ, მოსახლეობის განწყობა და მოლოდინები მნიშვნელოვნად შეცვალა. რეალურად, ამის გამო სერიოზული გაურკვევლობა და გაორებაა საზოგადოებაში. ბევრმა ახალგორის მკვიდრმა ახალგაზრდამ პირობითი საზღვრის აქეთ არსებულ საშუალო სკოლებში არჩია განათლების გაგრძელება. განათლების და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებული პრობლემების, სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის აღიარების იძულების, ადამიანთა დისკრიმინაციის და მსგავსი შემთხვევები ქსნის ხეობას ქართული მოსახლეობისაგან დაცლის საშიშროებას ქმნის.

რელიგიური ურთიერთობის თვალსაზრისით ქართველებსა და ოსებს შორის არსებულ ჰარმონიულ ურთიერთობას, უპირველეს ყოვლისა, მათი რელიგიური იდენტობა – მართლმადიდებელი ქრისტიანობა განაპირობებს. ახალგორის რაიონის ქართველები და ოსები, ძალზე ინტეგრირებული იყვნენ რელიგიური ასპექტითაც, რასაც ერთმანეთის რელიგიურ კონტექსტებში ჩართულობა, საერთო სალოცავების და ერთობლივი საკულტო პრაქტიკის ქონა ადასტურებს. ამგვარ პრაქტიკას საფუძველს უმაგრებდა ქართველთა და ოსთა სამეზობლო ურთიერთობები და შერეული ქორწინების ინტენსიური ხასიათი. ახალგორის ოკუპაციის შემდეგ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ საკუთარი იურისდიქციის გამყარების კუთხით რაიონში მიმდინარე პროცესებში რელიგიურ ფაქტორსაც მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა – ოფიციალურმა ცხინვალმა რელიგიის თემა პოლიტიკური მანიპულაციების ობიექტად აქცია.

1995 წლიდან ახალგორი ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქის შემადგენლობაშია; ცხინვალისგან განსხვავებით, სადაც 2008 წლის შემდეგ უძველეს ქართულ სალოცავთა დიდი ნაწილი დანგრეული ან მთლიანად განადგურებულია და ეკლესია-



მონასტრებში წირვა-ლოცვა აღარ აღესრულება, საეკლესიო მსახურება ინტენსიურად მიმდინარეობს, ახალგორში მართლმდიდებელ ეკლესიას დღემდე ჰყავს მრევლი. სოფელ იკოთში მოქმედებს დედათა მონასტერი, მოქმედი ტაძრებია ლარგვისში, წირქოლში და ახალგორში. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა პროტესტს გამოთქვამს ახალგორის რაიონის ტაძრებში ქართველი მღვდლების მსახურების გამო და, რადგანაც ეს ტაძრები ალანიის ეპარქიის კუთვნილებად მიაჩნია, თვლის, რომ ისინი არ უნდა ემორჩილებოდეს ქართულ მართლმადებელ ეკლესიას, ხოლო ქართველ მღვდლებს სამხრეთ ოსეთის ალანიის ეპარქიასთან არანაირი კავშირი არ აქვთ, ამიტომ მათი იქ ყოფნა გაუმართლებელია. ოსური მხარე შეშფოთებულია იმის გამო, რომ მათი ეპარქიის წარმომადგენლები ვერც ეკლესიებში შედიან და ვერც წირვა-ლოცვებს ატარებენ. რუსეთის პატრიარქი ჯერ-ჯერობით არ ერევა ამ საკითხში.

მიუხედავად დე ფაქტო ოსეთის მთავრობის ძალისხმევისა, ახალგორში ინფრასტრუქტურული საკითხები კვლავ მოუგვარებელია, არ არის გაზი, უშუქობის და წყლის პრობლემა ჯერ-ჯერობით ისევ მოუწესრიგებელია. ზამთარში გათბობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მთელი რიგი სირთულეების გამო, ახალგორში ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი ზამთრის პერიოდში რაიონდან გამოდის.

ფსიქოლოგიური კვლევის საფუძველზე დადგინდა დევნილი მოსახლეობის განწყობების ცვალებადობა სხვადასხვა საკითხების მიმართ. დევნილი მოსახლეობის დღევანდელი სიტუაცია რთულია, რადგანაც მათი საცხოვრებლი გარემო და პირობები რეალური ძველი ცხოვრებისგან განსხვავებულია, რაც პოსტ-ტრავმული სტრესიდან გამომდინარე ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებში გამოიხატება. ამდენად, ჯანმრთელობის მდგომარეობა დევნილ მოსახლეობაში სახარბიელო არ არის, გახშირებულია ისეთი დაავადებები როგორიცაა: ნევროზი და დეპრესია; ასევე მომატებულია დიაბეტური და ონკოლოგიური დაავადებები, ალერგიული დერმატიტი და ალერგიული ბრონქიტი, კარდიოლოგიური ხასიათის დაავადებები

დევნილები სარგებლობენ ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევით, იგივე პროგრამა აფინანსებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ ყველა მაცხოვრებელს; უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ღებულობენ ამ შეთავაზებას, რაც ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების გაღიზიანებას იწვევს.

სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით, ახალგრის რაიონში დღეს ვითარება ჯანდაცვის კუთხით შედარებით გუმჯობესდა. ოკუპაციის პერიოდში ახალგორში არსებული სარაიონო საავადმყოფო გარემონტდა, ექიმების უმრავლესობა 2008 წლამდეც იქ მუშაობდა. რაიონში მოქმედებს სასწრაფო დახმარების ცენტრი და პირველადი დახმარების ცენტრები – მედპუნქტები, სოფლებშიც გაიხსნა. მიუხედავად ამისა, პატრონების ინიციატივით, თითქმის ყველა მძიმე და ქრონიკული პაციენტი გადმოჰყავთ თბილისში ან მცხეთაში სამკურნალოდ – უფრო ხშირად სასწრაფო დანიშნულების ტრანსპორტით, ან ინდივიდუალურად.

დევნილებს განსაკუთრებით უჭირთ საჭირო მედიკამენტების შეძენა. დევნილობის პირველ ხანებში დევნილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობისთვის ბევრი პროგრამა მუშაობდა. დღესდღეობით ტარდება ერთჯერადი აქციები,– სხვადასხვა დარგის სპეციალისტები (კარდიოლოგები, ოფთალმოლოგები, მამოლოგები და სხვ.)

დევნილებს უფასო სამედიცინო გამოკვლევებს უტარებენ.

საზოგადოების მიმართ დევნილი მოსახლეობის მაღალი ნდობის მაჩვენებელი, მათი ოპტიმიზმი, მომავლის მიმართ დადებითი მოლოდინი, წარმატების მიღწევის საკუთარ თავზე ორიენტირი, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დევნილი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც კვლევაში მონაწილობას იღებდა ებძრვის 2008 წლის ომის პოსტტრავმულ სტრესს, ცდილობს ფსიქოლოგიური დასაყრდენი იპოვოს და ამ სიტუაციიდან გამოსავალი სწორედ მომავლის მიმართ იმედიანი განწყობაა.

მიუხედავად სერიოზული პრობლემებისა, რომელიც ოკუპირებულ ახალგორის რაიონში ჩამოყალიბდა, სახეზეა ის ნიშნები, რაც ქართულ-ოსური ურთიერთობის ნორმალიზაციის პერსპექტივას სახავს: ახალგორის რაიონი ქართველებისაგან სრულად არ დაცლილა ომის პერიოდში და დღემდე ქართული მოსახლეობა (თუმცა მცირე ნაწილი) ადგილზეა, დევნილ მოსახლეობას (შეზღუდვებს თუ არ ჩავთვლით) რაიონში ჯერ-ჯერობით კვლავ შეუძლია შესვლა, რაიონში ჯერ ისევ ფუნქციონირებს ქართული სკოლები, მოქმედებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, არ არის გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირები თბილისთან, არსებობს ქართველთა და ოსთა ურთიერთობის პოზიტიური ნარატივები.

მართალია, იდეოლოგიური მანქანა რუსეთის /ოსეთის მხრიდან აქტიურად მუშაობს, ახალგორელ ქართველთა და ოსთა განწყობის შეცვლას, მაინც ჯერ–ჯერობით ვერ ახერხებს. ცხინვალის მთავრობის შეფარვითი ანტიქართული პოლიტიკის მიუხედავად, ტრადიციულად არსებული ქართულ-ოსური ურთიერთობა ჯერ კვლავ შენარჩუნებულია.



Оккупированный Ахалгорский район и динамика грузино-осетинских отношений

Историко-этнологический обзор Ксанского ущелья**.** Ксанское ущелье является одним из древнейших очагов грузинской культуры, где всегда превалировало грузинское население. Его хозяйственное и культурное выдвижение начинается с ранних эпох и в средние века увенчалось формированием ведущего эриставства.

Могущество политико-стратегического значения Ксанского ущелья вырисовывается с VII-IX вв. В XIII в. оно входило в Картлийское эриставство, а с XV в. в ущелье сформировалось Ксанское эриставство, как отдельная административно-политическая единица, и просуществовало до его упразднения. На рубеже XVI-XVII в. резиденция эриставов из Квенипневи переместилась в Ахалгори.

Ксанское ущелье относится к числу тех уголков Грузии, где осуществлялась миграция осетин с Северного Кавказа. Данный вопрос до сих пор является предметом спора среди ученых-историков. Несмотря на различное толкование вопроса, имеются данные о том, что осетины в горах Северного Кавказа появляются позднее, в частности, притесняемые монголами осетины в XIII-XIV вв. появляются в горах. В начале XV в. происходит их окончательное вытеснение с низин Северного Кавказа. С этого же периода начинается колонизация грузинской провинции Двалети, и осетины поселяются у истоков реки Ксани. Хотя процесс не носил интенсивного характера.

Все путешественники и исследователи (Вахушти, Гулденштедт и др.), передающие сведения об этническом составе Ксанского ущелья, отмечают, что к XVIII в. осетины проживают лишь у верхних истоков реки Ксани и у ее притоков.

По данным описи Ксанского эриставства в 1774-1781 гг., даже в местах расселения осетин основным населением все еще продолжают оставаться грузины. Т.е., хотя, на территориях Ксанского, Арагвского, Рачинского эристаства и на землях Сацеретело и Самачабло появляются компактные поселения осетин, их общая численность не превышает 5000 семей.

По переписи 1770 г., в Ксанском эриставстве (которое по площади во многом превосходило территорию Ксанского ущелья) насчитывалось до 2000 семей осетин.

Миграция инородных этносов с высокогорья Кавказа в Грузию была обусловлена разными причинами (экономическими, политическими и т.п.) и не представляла опасности. Что касается XIX-XX вв., когда Грузия потеряла политическую независимость и попала под влиянием Российской империи, то здесь уже имеет место целенаправленное, планомерное переселение инородных этнических групп на всю территорию Грузии.

Поселение осетин на грузинской земле происходило волнообразно: сначала в высокогорных местах занимали земли, потом постепенно спускались в низину.

Характерные для горной страны внутримиграционные процессы в Грузии продолжались на протяжении всей ее истории и происходят и теперь. Даже осетины не живут в Грузии на первоначальных местах расселения. Высокогорные деревни осетин в Ксанском ущелье давно опустели. По переписи 1989 г., из 164 000 осетин, проживающих в Грузии, лишь 64 000 продолжало проживать в пределах автономной области. Остальные 100 000 проживали и живут в различных городах и районах Грузии.

Что касается конфликта, анализ причин русско-грузинской войны 2008 г. невозможен без глубокого знания событий, происходящих в 20-е годы прошлого столетия; каким образом и за какие заслуги Советская власть (большевики) смогла «выкроить» осетинам территорию в т.н. «этнографических границах» и, нарушив все международные права, создала автономную область «южных осетин» в Грузии. Очевидно, что большевистское правительство советской России оценило ту подрывную деятельность осетин, которую они вели против демократической республики Грузия в 1918-1921 гг., и вознаградило их, создав автономную область в Шида Картли. Иначе для формирования подобного автономного образования не существовало ни исторических, ни правовых, ни демографических оснований.

Мировая практика не знает прецедента, чтобы какая-либо страна на своей территории допустила бы создание государственного образования недоминантного населения, имеющего историческую родину в другой стране.

Современный конфликт берет начало в 90-х годах XX в. В 1988 г. в Цхинвали была проведена первая массовая антигрузинская демонстрация под руководством «Адамон нихас». В 1989 г. в обращении «Трудящихся Осетии» и «Адамона Нихаса» уже было выдвинуто требование об объединении «двух Осетий». Возникает вопрос: где находились эти «две Осетии»? Существовали ли они когда-нибудь?

В русских официальных документах «две Осетии» нигде не были зафиксированы.

По данным энциклопедий советского периода, к середине XVIII в. «Осетия», как единая политическая единица или как географическое понятие, нигде не была упомянута. Речь идет, с одной стороны, об осетинском обществе в подчинении Кабарды на Северном Кавказе и, с другой стороны, об осетинских поселениях на южных высокогорных склонах Кавказа, которые подчинялись грузинским феодалам.

На приложенных к Георгиевскому трактату картах северная граница Грузии проходит по Кавказскому хребту, так что Шида Картли находится в составе Картл-Кахетинского царства.

Следует подчеркнуть, что подобное требование активно рассматривалось и в 20-х гг. XX в., особенно в период независимости Грузии. Разумеется, оно было инспирировано извне, но нужно отметить и «заслуги» грузинских большевиков, которые умело пользовались осложнениями грузинского демократического правительства с некоторыми национальными меньшинствами и в борьбе за власть щедро раздавали обещания вплоть до создания автономий в случае победы.

Созданный в Грузии «Осетинский национальный совет» (1917 г.) изначально поставил своей целью территориальное ущемление Грузии. Осетинские сепаратисты особенно активизировали свою подрывную деятельность в 1918-1920 гг. Сепаратистские мятежи осетин в те годы активно поддерживал деньгами и вооружением «Закавказский русский национальный совет».

После установления советской власти в Грузии вновь встал вопрос об автономии «Южной Осетии». Грузинские большевики, вопреки интересам грузинского государства, попирая права грузинского народа, выполнили свои обещания, данные осетинам.

В Государственном историческом архиве Грузии сохранились два интересных документа:



1. Объяснительная записка объединенного заседания революционного комитета, парткома и ответственных партийных работников Южной Осетии и 2. Приложение к проекту нового административного деления Грузии в 1927-1928 гг.

В первом документе осетинские сепаратисты подчеркивают свою лепту в победе советской власти в Грузии и требуют создания «Советской социалистической республики Южная Осетия в границах, определенных объединенным заседанием».

Данные переписи населения 1917 г. утверждают, что на востребованной ими территории проживает 93 000 осетин: в чисто осетинских деревнях 70 500, а в смешанных – 22 600. В указанном приложении вообще не упоминается, сколько грузин проживает на той же территории, зато, для полноценного функционирования республики, в качестве столицы требуют чисто грузинский город Цхинвали.

О том, что данные о численности осетин в переписи 1917 г. не вызывают доверия, свидетельствует приложение к проекту нового административного деления Грузии 1927-1928 гг., где выявлена именно целенаправленная фальсификация данных переписи 1917 г.

В Душетском уезде председателем комиссии по переписи населения был некий Джиоев. Это важно, поскольку именно по результатам данной переписи Ксанское ущелье было присоединено к автономной области.Авторы проекта требовали исправления указанной ошибки. Оказалось, что данные о национальном составе населения Ксанского ущелья были сфабрикованы, в частности, было пропущено большинство грузинских сел, а число осетинского населения увеличено.По данным переписи 1923-1924 гг. осетинское население не превышало 36-38%, а грузины составляли 58-59%, однако эти данные относились ко всему Ахалгорскому району, куда входили и осетинские села Лехурского ущелья. А в Ксанском ущелье 80% населения составляли грузины.

Население Ксанского ущелья обратилось с просьбой к правительству Грузии: оставить их в составе Душетского уезда, но просьба осталась без внимания.Автономная область Южной Осетии была создана 20 апреля 1922 г. Столицей был передан г.Цхинвали, где тогда проживало 20 000 грузин и всего 1 100 осетин, кроме того, к области присоединили 40 грузинских сел вокруг города и вдобавок еще и Ксанское ущелье.

Фундамент войны 2008 г. был заложен именно тогда. Поспешно созданная автономная область «Южной Осетии» на территории Грузии была искусственна и незаконна, поскольку: а) переселившиеся в Шида Картли осетины имеют историческую родину на Северном Кавказе; б) на территории Грузии (в Шида Картли) проживало не такое число осетин, чтобы предоставлять им право на создание территориальной автономии; в) автономной области осетин совершенно незаконно передали г.Цхинвали и прилегающие к нему грузинские села и Ксанское ущелье.

Чрезмерные уступки со стороны большевистского правительства Грузии не удовлетворили сепаратистские чаяния осетин. Наоборот, достигнутые успехи породили в них новые амбиции. В 90-х гг. XX в. вновь с новой силой вспыхнуло сепаратистское движение, антигрузинские выступления и т.д. Параллельно в ущелье Ксани-Ахалгори проводятся перманентные митинги грузинского населения. Они требовали отделения от цхинвальской области и создания отдельного самостоятельного района. На этот раз воля народа победила. С 1992 г. Ахалгорский район (за исключением осетинских сел в ущелье Лехура) сформировался как отдельный

муниципалитет.

До 2007 г. Ахалгори входил в состав Мцхетско-Мтианетского края. В 2007 г., по инициативе президента Грузии Саакашвили, на территории т.н. «Южной Осетии», которая контролировалась грузинским правительством (Ахалгорский район и грузинские села в ущельях Диди и Патара Лиахви), было создано временное административное правление во главе с Д.Санакоевым.

Исторические исследованя в роли инспираторов этноцентрических стеретипов**.** Происходящие в мире этнополитические и социокультурные процессы нашли своеобразное отражение в пространствах т.н. русского влияния. Перспектива того, что приоретитетность интересов великих держав и, соответственно, серьезные конфликты остались в прошлом, после событий 2008 г. окончательно канули в Лету. С целью скрасить собственную агрессию, Москва признала независимыми государствами Абхазию и т.н. Ю.О., а собственные деяния окрестила как акт помощи проживающим там абхазскому и осетинскому народам. Однако создавшиеся обстоятельства превратились в многоаспектную противоречивую дилемму. Это «признание» является новым феноменом в русской национальной политике. Москва преодолела своеобразный Рубикон и подготовила мир к другим радикальным деяниям в будущем. Своеобразной трансформации подверглась и Евроазиатская парадигма Дугина, которая, из-за явного конфликта интересов с предполагаемыми союзниками, в реальности внедряется довольно противоречиво и выражается в открытых военных действиях и в подстрекательстве сепаратистских движений в этих государствах.

Русская интеллигентная элита относится к правам т.н. этнических групп в России и в желающих сближения с Западом соседних странах по двойным стандартам. Основной целью русской национальной концепции является интеграция граждан с различной этнической идентичностью в общерусском государстве; российская внешняя политика, наоборот, выражается в активной поддержке сепаратистских движений и в инспирировании конфликта в регионах отдельных постсоветских государств.

Интеграция в евроатлантическом пространстве для Грузии остается альтернативой спасения от русской гегемонии, сбалансирования своих интересов и обороны от исходящей с Востока опасности, чему способствуют «цивилизационные» и политические факторы.

Оправдание политического радикализма часто происходит путем фальсификации исторических фактов. Одновременно разжигание этноцентрических установок путем исторических инсинуаций считается средством этнической мобилизации и консолидации. Поэтому участвующие в конфликте стороны часто прибегают к тиражированию негативных эпизодов из истории взаимоотношений, а некоторые ученые не пренебрегают и фальсификацией.

С целью направления процессов по желательному руслу, советская власть осуществляла довольно эффективный контроль над литературой исторического характера. После разрушения коммунистической системы наука получила возможность освободиться от упомянутого контроля, однако в условиях полного бесконтролья участились публикации популистов-непрофессионалов и тенденциозные работы.

В среде русскоязычных и грузинских историков существуют различные соображения насчет этногенеза осетин, их политической истории и миграции. Предметом особо острой полемики является вопрос переселения и оседания осетин в Грузии. В XX в. часть осетинских



исследователей «древнейшим временем» их эмиграции считала III-IV или VI-VII вв., другие, первый период инфильтрации осетин в Грузию связывали с установлением господства монголов на Северном Кавказе. Были попытки, опираясь на генеалогию осетинских фамилий, их миграцию отнести к XV-XVI вв. Результаты исследований части грузинских и русских ученых показывают, что переселение осетин в горные регионы Картли в основном произошло в XVII вв., а в Западной Грузии миграция протекала и в XVIII в. Постепенно компактные поселения появились в северной высокогорной части Шида Картли – у истоков рек Ксани и Лиахви, хотя большая часть осетин дисперсивно поселилась по всей Грузии.

Противоречивые мнения существуют и относительно истории появления юго-осетинской административной единицы в Грузии. В письменных источниках относительно Осетии определения «южная» или «северная» не зафиксированы. Такой термин появляется лишь после присоединения Грузии к России.

Из-за скудости письменных источников насчет миграции осетин в Грузию основное внимание переносится на археологический материал. В советской науке утверждалась точка зрения, что ирано-язычных осетин с северокавказских степей первоначально вытеснили хазары, а потом тюркские наплывы. Преодолев Кавказский хребет, осетины соприкасались с нахскими и картвельскими народами. В результате смешения осетин с ними берет начало образование «южных осетин».

Проблема переселения осетин тесно связана с вопросом «этнической принадлежности двалов», населения Нар-Мамисонской котловины – исторической Двалети. Двалети была исторической провинцией Грузии. Начиная с XVIII в. большая ее часть входила в Картл-Кахетинское царство, после присоединения Грузии к России, до середины XIX в. она входила в Горийский уезд Тифлисской губернии. Западная часть Двалети – Мамисонское ущелье – сначала подчинялась рачинским эриставам, а позже вошла в состав Кутаисской губернии. В середине XIX в. русские административно отделили ее от Грузии. Теперь же она находится в составе Северной Осетии (Алании).

По мнению грузинских ученых, поселение осетин в Двалети началось с конца XV в. и оно в основном завершилось в XVI в. До 80-х годов прошлого столетия осетинские авторы были вынуждены признавать, что Шида Картли в предмонгольский период была населена грузинами и двалами. Первые осетинские поселения там появляются лишь в XIV в., и этот регион всегда подчинялся грузинским правителям.

В течение всего XVIII в. осетины нигде в предгорьях Шида Картли фактически не проживали. Поселение осетин в селах (вернее, в сельбыщах) предгорья Шида Картли начинается с конца XVIII – в начале XIX в. В этот период осетины занимают значительный отрезок предгорья в ущелье Патара Лиахви. Тогда же, особенно в первое десятилетие XIX в., происходит индивидуальное просачивание осетин из горных регионов Шида Картли в села предгорья и низин.

С целью „устарить“ историю осетин на Кавказе, осетинские авторы предполагают, что периодом инфильтрации народов иранского происхождения в горах Кавказа является эпоха раннего металла. Для подтверждения подобных соображений они, в основном, опираются на археологические материалы и лингвистические данные. В этом отношении следует отметить

Б.Техова – открывателя тлийского захоронения. В своих первых работах он не мог обойти стороной существующие параллели между кобанской и колхской культурой и старался не касаться этнического родства носителей упомянутых культур и предпочитал говорить о культурных контактах. В течение определенного времени он даже связывал кобанскую культуру с пришедшимии с юга грузинскими племенами, которые постепенно смешались с местными северокавказскими народами. К концу 80-х годов прошлого столетия он изменил свое отношение и выдвинул гипотезу о принадлежности кобанской культуры к народам индоевропейского, в частности, ираноязычного происхождения, которые якобы являются непосредственными предками сегодняшних осетин. Эту гипотезу теперь разделяют многие осетинские исследователи.

Грузинские археологи делают совершенно другие выводы. Несмотря на то, что они не отрицают случаев инфильтрации отдельных кочующих народов (скифы, киммерийцы) индоевропейского происхождения, все же считают, что они не могли значительно повлиять на конструирование этнической ситуации в Грузии и, в частности, в Шида Картли.

С конца 80-х годов прошлого века отношение осетинских авторов к миграции их предков в Грузию радикально меняется Исходя из скудости письменных источников, подтверждающих новую гипотезу, они вынуждены были осуществить своеобразное осмысление археологического материала и для подтверждения автохтонности осетин найти новые концептуальные основы. Для этого их вполне устраивала новая теория Техова о совмещении автохтонности и ираноязычности осетин. Таким образом, осетины объявляются древнейшим народом, созидателем местной кобанской культуры Кавказа. Наблюдается процесс созидания осетинскими авторами новых мифологем.

Даже сравнительно уравновешенные историки делают неточное цитирование, что объясняют страхом уничтожения сохранившихся в Грузии источников. На упомянутые работы, как правило, потом опираются другие и, таким образом, создается впечатление, будто новая работа снабжена солидным научным аппаратом. Подобные публикации болезненно воспринимаются грузинским обществом, и негативные установки еще более заостряются. А в определенной части осетин вызывают оживление чувства национальной гордости и исторической избранности и убивают всякое желание компромисса по отношению к грузинам.

В советский период грузино-осетинские отношения в основном исследовали сквозь призму дружбы народов и продолжительного сосуществования. С 1990-х годов изменились подходы, и на передний план выдвинулось исследование культурных этносоциальных противоречий, существующих между грузинами и осетинами в позднем средневековье, отличающегося восприятия национальной политики русского государства и отдельных аспектов грузино-осетинского противостояния. Что некоторые авторы объясняют тем, что дело касается потенциально культурологического содержания конфликта, следовательно, необходимо его исследовать соответствующими (т.е. культурно-историческими – Л.Дж) методами (Дзугаев, Плиев).

Осетинские авторы выделяют следующие проблемы культурно-исторического характера: историческое противостояние социального характера, отчуждение, возникшее на почве религиозного отличия, оценка осетино-грузинских отношений в свете политики русской империи, ассимиляция и социально-экономическое угнетение. Традиция рассматривать болезненные



эпизоды грузино-осетинских отношений в разрезе классового конфликта утвердилась еще в советский период. Как отмечает Вахтанг Итонишвили, все факты противостояния грузин и осетин, включая конфликт 1919-1920 гг., окрещивались как противостояние грузинских князей (тавади) и угнетенных ими осетинских крестьян, а в ряде случаях, как борьбу широких масс осетин за родину и за большевистские идеалы, против насилия грузинских феодалов и против экспансии грузинских шовинист-националистов (Итонишвили, 1996:228). Осетинские ученые считают, что распространенная в Персии ксенофобия за триста лет господства охватила и грузинских феодалов и царский дом. Ксенофобия представляла идеологическую систему грузинского высшего сословия. Ее особенностью была человеконенавистническая психология, беспощадность и насильственная дискриминация «чужих». Кардинально отличается понимание свободы в мировоззрениях грузинского и осетинского обществ. Это было отличие в мировосприятии и в общественном строе – грузинское общество представляло собой тип восточного деспотического феодализма, а осетинское (горное) – тип военно-родового строя.

По мнению осетин, в Х1Х в., с целью умиления грузинской аристократии, правительство России начало геноцид южных осетин и их депортацию на Северный Кавказ, в частности, в Ставропольскую губернию. Подобно черкесам им угрожало окончательное изгнание из исторической родины. Несмотря на это, осетины никогда не предавали русское правление, а грузинская политическая элита декларировала военное сотрудничество и православное родство, но устраивала заговоры и предавала русские интересы. Таким актом было выделение грузинского государства из состава России в 1918-1921 гг., тогда как южные осетины сохранили верность русским, восстали против грузинского феодально-реакционного правительства, из-за чего грузинское меньшевистское правительство еще раз устроило геноцид. И в советский период грузины, при поддержке выдвинувшихся в Москве соотечественников Сталина, Орджоникидзе, применяя политические, экономические и культурные рычаги, продолжили политику притеснения-ассимиляции осетин.

Рассматриваются исторически сложившиеся культурно-религиозные отличия. Некоторые ученые отрицают мысль, что осетины в течение многих веков были язычниками и поверхностно следовали за христианством. Наоборот, они в десятках поколениях сохранили веру в единого, невиданного, творящего, бога. В этого бога верили и тогда, когда еще не существовала каноническая церковная организация и тогда, когда коммунистическая власть притесняла церковь и беспощадно преследовала ее. Правда, в течение веков осетины не выполняли канон богослужения и другие формально-канонические ритуалы христианской религии, но, однако, выше постановлений мировых церковных соборов стоит сохраненная поколениями вера в бога. С другой стороны, преувеличено мнение о многовековой, всеобъемлющей и нераздельно господствующей православной вере грузин. В действительности, вера в Христа была лишь щитом, который защищал национальную независимость грузин. На самом деле, они семиты, к которым более близка мусульманская или иудейская религия. Поэтому так легко омусульманилась почти третья часть грузин. Еще глубже отличие на бытовом уровне. Оно выражается в военной сущности осетин и в невоенной сущности грузин. Грузино-осетинский конфликт выявил сохранившуюся в южных осетинах военно-родовую реакцию на военную угрозу. О военном характере осетин не раз отмечалось в исторических хрониках и в преданиях и летописях соседних народов. Осетины как военные, в отличие от грузин, не торговцы. На осетинском языке предатель и торговец (продавец) произносятся одинаково, что порождает соответствующий тип мышления.

Грузинские авторы считают, что осетинский патриотизм подвергся деформации. Мифами о национальном превосходстве и о гордости переполнилась осетинская пресса. Почти все грузинские фамилии окрестили осетинскими, многих грузинских деятелей причислили к осетинам. Пишут, что осетинский народ имеет более древнеюю историю, чем другие соседствующие или европейские народы. Таким путем обращаются к топонимическим инсинуациям. А в сообщениях, которые они приводят в подтверждение славного прошлого осетин, в действительности говорится о грабежах и разбое безоружного населения.

Что касается того, что южные осетины не имели собственной аристократии, это естественно, поскольку после переселения они интегрировались в структуру грузинской государственно-политической системы. Не случайно, что в начале Х1Х в. в восстаниях против российской империи осетины активно воевали рядом с грузинами. Именно на местах расселения осетин находили прибежище восставшие против России грузинские царевичи (Ткавашвили, 2010:218-251). Поддержка русской имперской политики со стороны осетин началась позднее и особенно проявилась в сепаратистском мятеже 1918-20 гг. В это время в «Южной Осетии» выступления против демократической республики Грузии проводились в основном в результате политического авантюризма осетинских экстремистов, главной целью которых было отсечение от Грузии грузинских земель. Закавказский комиссариат и правительство демократической республики Грузия защитили свои законные права. Советская власть, пренебрегая отрицательным отношением проживающих в регионе грузин, искусственно скомкала автономию осетинам, и в состав области насильственно ввела чисто грузинские села и т.д. При рассмотрении культурно-религиозного дискурса грузинские авторы указывают на влияние грузинских деятелей и грузинского государства в деле распространения христианства среди осетин и других народов Кавказа. При этом приводят огромное количество фактического материала о сохранившихся в их быту до конца Х1Х в. элементах язычества.

Жизнедеятельное влияние грузинской культуры было также велико в сфере основания очагов просвещения, распространения грамотности, создания письменности и по другим направлениям. Однако, по политической воле Москвы, культурная среда постепенно трансформировалась, и грузинское влияние заменилось русским.

Опираясь на культурно-историческую общность, К.Дзугаев и А.Плиев делают достаточно пессимистический прогноз. Они пишут, что для преодоления исторически сложившейся ненависти между осетинами и грузинами, которая укрепляется этническими стереотипами и имеет форму устойчивого экзистенциального настроя в исторической памяти народа, необходимы время и позитивные отношения. А реально таких отношений нет. Справедливость требует отметить, что отдельные работы исторического характера являются основным источником появления упомянутого экзистенциального настроя.

Во время вооруженного конфликта, слухи и тиражированные в медии реальные случаи или сплетни создают плодотворную почву для формирования взаимных негативных стереотипов в противостоящих группах. Сообщения такого типа в людях вызывают мгновенную реакцию, но, как правило, в памяти остаются ненадолго. Более длительное и серьезное воздействие оказывает историческая литература (также, как и художественная). Созданный таким путем образ врага более монументален. Тенденциозное описание отдельных исторических пассажей, освещение в отрицательной призме отношений народов, преувеличение роли собственного народа и т.д. оказывают эффективное влияние на человеческие настрои и мешает их примирению .



Своеобразия грузино-осетинских отношений в Ахалгорском районе**.** В грузино-осетинском конфликте Ахалгорский район (можно сказать) – совершенно отличительный феномен. Он не соответствует признанным универсальным критериям этноконфликта, и выделяется своеобразными чертами.

Ахалгори, по сравнению с Цхинвальским районом, всегда отличался высоким показателем интеграции грузино-осетинского населения. Это было вызвано численным превосходством грузин в этническом составе населения района. Вследствие того, что в ущелье Ксани осетинское население всегда было меньше по сравнению с грузинским, в Ахалгорском районе (В Ксанском ущелье) функционировали грузинские школы, а русская/осетинская школа имелась лишь в районном центре. Большинство населения района (среди них и осетины) образование получало на грузинском языке. Смешанные семьи были очень распространены. Почти не было семьи, где бы ни было или невестки или зятя осетинской национальности. Поэтому такие семьи были бикультурными, т.е. почти равноценно следовали традициям обеих культур. Это, естественно, во многом способствовало интеграциии. Благодаря грузинским школам, грузинской среде и грузино-осетинским смешанным семьям, в Ахалгорском районе все осетины знали грузинский язык. Коммуникативным языком был грузинский ( хотя это не исключало того, что и грузинское население владело осетинским языком). Даже в осетинских семьях говорили по-грузински. Грузинский язык был не только межгрупповым языком, но также внутригрупповым разговорным языком. На основе лингвистической компентенции упрощалось включение (инклюзия) во взаимные социокультурные контексты, что еще сильнее сближало эти группы. Именно данное сближение обусловливало взаимное доброе отношение ахалгорских грузин и осетин, что продолжается и желательно для обеих сторон.

Взаимоотношения осетин и грузин Ахалгорского района определяли те условия, которые одновременно обуславливали их интеграци. Из-за этнической принадлежности в районе никогда не возникали конфликты. Они не различали друг от друга осетин и грузин. Война для ахалгорских осетин была такой же неожиданностью, как и для тамошних грузин. После войны абсолютное большинство населения Ахалгорского района (и грузины, и осетины) покинуло ушелье. На месте остались как грузины, так и осетины, т.е. обе стороны – оставшийся и вышедший контингент – представлены этнически смешанным населением. На месте в Ахалгорском районе осталась очень малая часть грузинского населения. Вышедший контингент, получивший статус беженцев, был расселен компактно в специально для них построенных коттеджах на территории Шида Картли – в Церовани, Цилкани и Фрезети. Незначительная часть в индивидуальном порядке расселилась в различных селах и городах Картли.

Ахалгори и села Ксанского ущелья оказались в подчинении «Осетинской республики», и там задействовала назначенная осетинами/русскими администрация. Формированием ахалгорской администрации руководил лично Кокоити. В администрацию сначала пригласили Ахалгорских осетин, позднее часть их была заменена осетинами из Джавы и Цхинвали. По нашим данным, в Ахалгори грузины выполняют лишь второсортную работу и на должность их никто не назначает.

После войны 2008 г.правительство Кокоити начало проводить ряд мероприятий для того, чтобы Ахалгорский район, который был переименован в Ленингор, реально подчинить правлению де-факто Южной Осетии. Де-факто правительство установило регуляции дающие право на пересечение грузино-осетинской «границы». Для Беженцев, которые пока что

сохраняют связи с Ахалгори, правила на въезд в район периодически меняется (свидетельство о рождении, форма 9, пропуск ), и оно полностью зависит от воли осетинской администрации. Они направлены на усложнение или ограничение условии въезда в район.

Экономический вектор Ахалгори был всегда ориентирован на Тбилиси-Гори, и район фактически был изолирован от Цхинвали. Сообщение из Ахалгори в Цхинвали осуществлялось через Гори. Район всегда снабжался из Тбилиси. Любая продукция в район доставлялась с грузинских рынков и там же происходила реализация местных товаров. Даже после оккупации жители Ахалгори доставляли продукцию из Тбилиси и продавали ее в своих дворах. Покупатели к ним приезжали из Цхинвали и увозили товар для реализации в Цхинвали и прилегающие к нему села. Продукты питания, одежду и медикаменты почти все ахалгорцы приобретали в Тбилиси, поскольку цены здесь сравнительно низкие и передвижение также удобнее.

Первейшей задачей правительства Кокоиты стала замена Тбилиси-Ахалгорских экономических отношений на осетино-русские. Еще в 2009 г. сепаратистское правительство Цхинвали сообщило, что Ленингорский район Южной Осетии поэтапно выходит из экономической зависимости Грузии и что к этому большие усилия прилагала республика Южная Осетия. А снабжение Ахалгори осетинской продукцией оно считало значительным политико-экономическим шагом. Осуществление данной задачи было возможно лишь при наличии прямого сообщения. И де-факто правительство Южной Осетии приступило к строительству Цхинвальской дороги. Строительство вел русский «Спецстрой». Из России было мобилизовано более 200 единиц спецтехники. В соответствии с планом, ширина магистрали составляла 4-5 м, но военные строители добавили еще один метр в ширину и построили шоссе, соответствующее высоким стандартам. Как предполагает местное население, русские это сделали для свободного перемещения военной техники. Строительство завершилось в 2012 г. Несмотря на то, что дорога значительно увеличила цхинвальско/российскую экономическую долю, Ахалгорский район по сегодняшний день сохраняет связь с тбилисским рынком.

С весны 2013 г. правительство Цхинвали анонсировало ограничение на ввоз продуктов из Тбилиси. Запрещалось передвижение транспорта и грузов в направлении Ахалгори. Разрешалось пересечение контрольно-пропускных пунктов в пешем порядке и т.п. Это вызвало панику среди жителей, и часть из них решила выехать из района. В начале сентября ахалгорцы собрали подписи и потребовали от де-факто правительства аннулировать эти регуляции. Многие эксперты считали, что ограничение грузов и транспортных средств отрицательно повлияло бы и на жителей Цхинвали; они, в первую очередь, вызвали бы повышение цен, что ударило бы и по этнически осетинам.Правительство Тибилова в сентябре 2013 г. приняло решение отложить ограничение на передвижение автотранспорта и потребовал усиление контроля над передвижением грузовых автомобилей.

Не менее болезненный вопрос для грузинского населения Ахалгори – это жилищная проблема, которая возникла еще при правлении Кокоити. Вопрос касается лиц, которые в 90-е годы уехали из Ахалгорского района. Уехав, они продали свое жилье, но теперь, вернувшиеся обратно после 2008 г., требуют возвращения проданного, но бесплатно.

По приказу де-факто президента все документы, выданные грузинской администрацией с 1991 по 2008 гг. о владении жильем и земельными участками, были анулированны. Жилые площади объявили государственным имуществом, и начали процесс возвращения их якобы



законным владельцам. Дело в том, что в большинстве случаях документы о купле-продаже не были нотариально оформлены, а в некоторых случаях продажа произошла на основании словесной договоренности.

По приказу Кокоити де-факто администрации Ахалгорского района поручили провести опись жилой площади и инвентаризацию земельных участков. Была поручена также опись тех граждан, которые, по утверждению цхинвальского режима, якобы были изгнаны правительством Грузии. А «изгнанным» осетинам должны создать условия, чтобы они внесли заявления в суд Южной Осетии о выселении из их жилых домов «незаконно» вселившихся грузин. Грузинам для освобождения жилья установили срок. Правительство Кокоити отобрало у жителей Ахалгори жилье и земельные участки. Таких семей 32. Данный вопрос – выселение грузин – смахивает на своеобразный реваншистский акт и в идее предполагает замену грузинского населения района осетинами.

Несмотря на усилия правительства Осетии, инфраструктурные вопросы в Ахалгори остаются нерешенными: нет газа, водоснабжение и подача электроэнергии не упорядочены. Отопление связано с целым рядом затруднений, что заставляет большинство оставшихся Ахалгорцев зимой покинуть регион. По информации местного населения, Ахалгорский район фактически остался без грузин. В районном центре их сравнительно мало, реже слышна грузинская речь, в селах в основном остались пожилые.

Как среди грузин, так и среди осетин существует мнение (хотя есть и исключения), что в грузино-осетинском противостоянии народ (простой люд) неповинен. Оно связано с игрой политиков. Именно в результате этих политических игр сегодня жителям обеих сторон приходится жить по двойным стандартам: в Ахалгори подчиняются цхинвальским правилам, а на другой стороне пользуются правами граждан Грузии. Разумеется, это отражается на психологическом настрое и ожиданиях населения (особенно грузинского). Люди вынуждены, с одной стороны, подчиняться юрисдикции т.н. Южно-Осетинской независимой республики, а с другой, значительная часть жителей считает себя гражданином грузинского государства .

Фактор двойных стандартов проявляется и в системе образования, поскольку инфраструктура просвещения региона помещается в рамках осетинской и грузинской просветительской политики. В школах, где обучение проводится по программе, утвержденной Министерством просвещения Грузии, учебник по истории и осетинского языка составлен по программе просвещения де-факто Южной Осетии. В контексте двойных стандартов заслуживает внимания намерение восстановления института пионервожатых в грузинских школах Ахалгори .

Оставшееся в Ахалгори население живет раздвоенной жизнью. Значительная часть беженцев пенсии получает и там и здесь, определенная часть педагогов и врачей работает и там и здесь и официально получает зарплату. Пенсия и зарплата в Ахалгори значительно превышают грузинские. Именно этим манипулирует цхинвальское правительство. Это своеобразная тактика – переманить беженцев на свою сторону.

С целью укрепления собственной юрисдикции, проводимые де-факто правительством т.н. Южной Осетии пертрубации вызвали дезориентацию населения в оккупированном Ахалгори. В этих процессах значительная роль легла и на религиозные факторы – официальный Цхинвали

религиозную тему превратил в объект политических манипуляций. А до этого, с точки зрения религиозных отношений, между осетинами и грузинами сложилась удивительная гармония, что, прежде всего, было обусловлено их религиозной идентичностью – православным христианством. В период сосуществования этих двух народов, грузины и осетины Ахалгорского района были очень интегрированы и в религиозном аспекте. Что подтверждают взаимное включение в религиозных контекстах, обладание общими молельнями и общей культовой практикой. Основа подобной практики укреплялась грузино-осетинскими соседскими отношениями и интенсивным характером смешанных бракосочетаний. Однако следует отметить и то, что религиозный быт обоих народов восполнен элементами их традиционной религии.

Грузинское и осетинское население Ксанского ущелья, помимо собственных традиционных святилищ и индивидуальной культовой практики имело и религиозную традицию общей культовой службы. Их главным общим святым был Святой Георгий Ломиси. Следовательно, на праздник «Ломисоба» ходили все, и грузины и осетины, устраивали застолье и вместе отмечали этот праздник.

После войны 2008 г., несмотря на созданные русскими барьеры и административную границу, осетины Ахалгорского района все-таки переходят в Душети и посещают святилище Ломиси. Данная традиция настолько сильна, что, рискуя собственной свободой, осетины, хотя бы на несколько часов, становятся составной частью объединенного знаком религиозной идентичности того социума, для которого этническое различие никогда не было определяющим. К сожалению, после оккупации Ксанского ущелья, за нарушение т.н. «границы» не раз имели место и продолжаются факты насилия с осетинской стороны, поэтому ахалгорские осетины проявляют определенную осторожность и по-старому свободно не включаются в общее веселье.

Как и везде в Грузии, и в Ахалгорском районе, наряду с народной традиционной религиозной практикой существует и официальная церковная практика. С восстановлением древнейшего реноме грузинской церкви в 1980-х гг. последовало и интенсивное возрождение православной практики. С 1995 г. Ахалгори вошел в состав Никозской-Цхинвальской епархии, и началась ревитализация церковной службы. После 2008 г., в отличие от Цхинвали, где большая часть древнейших грузинских святилищ разрушена или полностью уничтожена, а в монастырях и церквях богослужение не проводится, в Ахалгори православная церковь по сей день сохранила паству. В селе Икоти действует женский монастырь, действующие церкви имеются в Ларгвиси, Цирколи и в самом Ахалгори.

Деятельность грузинской церкви на территории оккупированного ущелья была объявлена незаконной со стороны официального Цхинвали. В газете «Республика Южная Осетия» была напечатана статья «В храмах Ленингорского района Южной Осетии служат священники грузинской православной церкви» (М.Котаева). Вынесенную в заглавие проблему автор прямо связывает с безопасностью страны. Осетинская сторона открыто заявляет, что Ахалгори (Ленингори) не должен входить в правление грузинского патриаршества, поскольку он подчиняется Аланской епархии. А грузинские священники подчиняются грузинской православной церкви и никакой связи с Аланской епархией не имеют. Осетинская сторона это считает недоразумением. Им не нравится и то, что духовные лица при богослужении напоминают пастве о том, что им приходится вести богослужение в условиях русской оккупации. Власти Южной Осетии не форсируют данный вопрос, однако контролируют ситуацию. Например, действующим духовным лицам не были выданы документы для пересечения границы по той



причине, что они постоянно не проживают на территории района.

Чем реально угрожает сложившееся положение традиционно сложившимся грузино-осетинским отношениям в регионе? Какую ориентацию выберет, в конце концов, осетинское население Ахалгорского района? Данный вопрос пока что остается открытым.

Остается фактом, что между грузинами и осетинами ни до, ни после оккупации района и в период беженства каких-либо проблем из-за этнической принадлежности не возникало.

Хотя из-за излишнего внимания со стороны грузинского правительства к беженцам-осетинам, кое-где слышно недовольство среди грузинских беженцев. По их мнению, именно такое неравноправное отношение может создать почву для противостояния.

А в самом Ахалгори ситуация противоположная: оставшиеся там грузины попали в своеобразную дискриминацию. Будь это социальные, образовательные, правовые или связанные с другими вопросами проблемы. Проблема здравоохранения и образования, принуждение к признанию гражданства Южной Осетии и случаи дискриминации создают опасность миграции грузинского населения из района.

Следовательно, не терпит отлагательств выработка правильной стратегии закрепления грузинского населения на оккупированной территории и развития позитивных грузино-осетинских отношений.

Проблемы образования и здравоохранения населения Ксанского ущелья после войны 2008 г. В Ахалгорском муниципалитете до 2008 г. функционировало 30 общеобразовательных школ. С августа этого года Ксанское ущелье почти обезлюдело. Во многих деревнях ущелья почти не осталось детей школьного возраста и, соответственно, школы были закрыты.

По данным 2012-2013 гг., число школ сократилось до восьми, в двух из них (Балаани, Ларгвиси) осталось по два ученика. В 2013-2014 гг. число школ сократилось до шести. Сравнительно большой контингент учащихся остался в средних школах Ахалгори (русская – 50-60 учеников, грузинская – 30-40, в Икотской средней школе – 30-40).

В поселениях беженцев Ксанского ущелья насчитывается до 1000 детей школьного возраста.

Как рассказывают жители, осетинские мародеры ограбили школы во многих селах и увезли все ценное, что там находилось (телевизоры, компьютеры, мебель и т.п.). А на первых порах оккупации новые здания школ в некоторых деревнях превратились в казармы для русских солдат (Канчавети).

Обучение проводится по старой советской системе. Учебный год делится на четверти, полное среднее образование длится 11 лет. Школами руководит районный отдел образования.

Выпускники ахалгорских школ, несмотря на национальность, в случае зачисления в грузинские вузы, получают полное грантовое финансирование. А выпускники школы поселения Церовани такое финансирование получают лишь в том случае, если они учились в школах Ахалгорского района в течение двух последних лет, до войны 2008 г.

Изучение истории Грузии в грузинских селах вызывает возмущение министра

просвещения т.н. Южно-Осетинской республики по той причине, что якобы «события и факты новейшей истории представлены с точки зрения грузин и что там русские представлены в качестве оккупантов, а осетины в качестве сепаратистов», что, по их мнению, не соответствует действительности.

Некоторые «эксперты» советуют министру вообще изъять изучение истории, ибо изучение ее еще более усугубит противоречие. К сожалению, действительность на сегодня такова, что сепаратисты именно искажением истории стараются отравить души осетинской молодежи. Представляя грузин в качестве иноземных «поработителей», наставляют молодежь защищать «собственную землю» от иноземных извергов и т.д. и т.п.

Просматривая издаваемую в Цхинвали периодику, читатель поневоле подумает, что эта земля испокон веков принадлежала осетинам и что грузины в Шида Картли никогда не проживали.

Ярким подтверждением просветительской политики «Республики Южная Осетия» могут послужить «уроки мужества», проводимые по всей «Республике» (т.е. и в школах Ахалгорского района) в честь защитников «отчизны». 3 марта 2015 г. в Цхинвальской 5-ой средней школе на уроке присутствовал заместитель министра обороны «Республики». Он поблагодарил школу за патриотическое воспитание подрастающего поколения и в беседе с учениками об истории оборонительных сил отметил, что «они были созданы в 1993 г., когда вероломный враг (Грузия – М.Б.) угрожал их отчизне», и этот лютый, многочисленный враг был разбит малочисленными, почти безоружными (имели лишь охотничьи ружья) отрядами осетин!?

Вот так, как говорится, комментарии излишни. Русская армия ни при чем. Они – осетины – без оружия победили вооруженных до зубов грузин. Вот такой истории должны обучать детей на оккупированной территории. Касаясь вопросов просвещения, следует отметить одну особенность. Оккупационная администрация уже с 2008 г. учителям и врачам разрешила свободно перемещаться по оккупированной территории и до сих пор способствует им в исполнении своих обязанностей.

Учителя сельских школ Ксанского ущелья оплату за труд получают как от грузинской, так и от осетинской администрации. В Ахалгори работают два детских сада, работники которых также финансируются обеими сторонами. В Церовани и в Фрезети тоже действуют детские учреждения, где воспитываются дети беженцев грузин и осетин – 475 малышей, однако они полностью находятся на грузинском обеспечении.

Долгое время в Ахалгори действовал и детский дом, где воспитывались беспризорные дети. В 2011 г. грузинская сторона вывезла оттуда детей, а финансирование прекратила.

Во дворце эриставов функционирует Музей-заповедник археологии и архитектуры Ксанского ущелья. Исследование здравоохранения по местам компактного расселения беженцев (Церовани, Цилкани, Фрезети) показало следующую картину: оказавшись в военном положении, люди получили глубокий стресс, что усугубилось изменением места жительства и привычного образа жизни, длительное эмоциональное напряжение усилило психоневрологический фон и ухудшило здоровье беженцев.

Данные этнографических материалов и медицинских учреждений показывают, что



участились такие заболевания, как невроз и депрессия. Ими чаще всего страдают люди от 30-ти до 35 лет, особенно мужчины. По этой причине зафиксировано три случая суицида.

Из-за психоневрологического фона увеличено и заболевание диабетом.

В поселениях Церовани, Цилкани и Фрезети возросло и число инфекционных заболеваний среди детей: корь. В детском саду Церовани насчитывается более 400 детей, следовательно, можно предположить, что такие заразные заболевания быстро и широко распространяются среди них.

Увеличилась и смертность по причине онкологических заболеваний, следовательно, увеличилось и число онкологических пациентов. Мамологическое исследование женщин показало, что из 10 обследованных, 2-3 нуждались в хирургическом вмешательстве.

Все это происходит, несмотря на то, что для охраны здоровья беженцев с самого начала было задействовано много программ: бесплатно выдавались лекарства первой помощи, проводились одноразовые периодические акции врачей при финансовой поддержке государства, какой-либо международной организации или же посольств тех или иных стран.

В Церовани работает амбулатория, беженцев обслуживают две машины скорой помощи и реаномобиль.

Беженцы и оставшееся в ущелье население включены в государственную программу всеобщего страхования здоровья. Однако следует отметить, что такие широко распространенные среди беженцев заболевания как невроз, стресс, не обеспечиваются полисом, что вызывает справедливое возмущение людей.

В годы оккупации в некоторых селах открыли медицинские пункты, где население может получить первичную медицинскую помощь и лекарства. В Ахалгори отремонтировали больницу, где продолжает работать старый медперсонал – осетины и грузины. В честь их будет сказано, что население очень довольно их работой. Можно сказать, что они – единственная надежда для пожилого населения ущелья. Строгий оккупационный режим не разрешает родным присматривать за ними. Бывают случаи, когда родные больного приезжают к грузинскому посту, куда больного доставляют на больничной машине скорой помощи в сопровождении врачей. В Ахалгорской больнице пациенты обеспечены бесплатным лечением и питанием. Но почти всех тяжелых и хронических больных перевозят в Тбилиси или во Мцхету.

В последнее время президент «Республики Южная Осетия» потребовал мобилизовать таких больных в Цхинвали, однако, по нашим данным, ни осетины, и тем более, грузины не хотят этого. Наоборот, из Цхинвали (и даже из Владикавказа) на лечение приезжают в Тбилиси. Тем более что они, как проживающие на оккупированной территории, пользуются льготами. Кроме того, почти все осетины имеют в Тбилиси родственников и ждут теплой встречи.

Подход грузинского правительства по распространению программы всеобщего страхования на жителей всей оккупированной территории, заслуживает одобрения.

Приезд осетин из Цхинвали на лечение обусловлено доверием к грузинам, чего, как видно, не смогли уничтожить сепаратисты (партократия).

Русско-грузинская война 2008 г. и своеобразия хозяйственного быта в Ахалгорском районе.Развившиеся в Грузии с 90-х годов прошлого века социополитические катаклизмы внесли значительные коррективы в быту. В этом отношении Ахалгорский муниципалитет тоже не является исключением. Нестабильная социально-политическая среда соответственно отразилась на жизни населения. Положение особенно усугубилось после русско-грузинской войны 2008 г., когда русские оккупировали этот регион. Часть местного населения покинула обжитые места и переехала в Мцхетский муниципалитет в специально созданные поселения. Села опустели, рухнули веками установившиеся хозяйственные отношения, нарушились традиционные хозяйственные отрасли, изменились источники доходов для многих семей.

Создавшаяся ситуация очень интересна как с научной, так и политической точек зрения. Исследование перспектив сосуществования представителей противостоящих этнокультурных групп на примере индивидов и этнонациональных единиц; изучение взаимной солидарности и сотрудничества обществ, традиционных и вновь созданных социокультурных институтов в экономическом разрезе; выявление материальных аспектов отношений грузино-осетинских общин будет способствовать сближению этих этнических сегментов, позволит избежать внешних опасностей. Исходя из экогеографической среды и этнокультурных традиций в целом, в хозяйстве региона ведущая роль отводилась земледелию или животноводству. Определенное место занимало пчеловодство, ремесленничество, охота и т.д.

С точки зрения хозяйствования, Ксанское ущелье делилось на три зоны: низина (до Ахалгори), подножия (до Ларгвиси) и высокогорье (выше Ларгвиси) (Г.Читая). Это деление отчетливо проявлялось в характере традиционных отраслей хозяйствования. Население низин в основном занималось земледелием, а в горной зоне постепенно росла доля животноводства.

Переселившиеся в Грузию осетины обычно селились в высокогорных местах, где довольно трудно было вести хозяйство. Земли принадлежали грузинским помещикам, поэтому значительная часть осетин в Грузии причислялась к категории «поселенцев» - безземельных крестьян.

Распространенное среди осетин основное пахотное орудие «дзивири» являлось аналогом грузинской сохи. Следует сказать, что в Северной Осетии орудия труда в большинстве случаев совпадали с орудиями труда других народов этого региона. Этот факт признают и осетинские авторы. Среди грузин была распространена традиция «мамитади», аналогом которого среди осетин считается «зиу». Как видно, для осетин этого региона характерны верования, похожие на грузинские верования, связанные с земледелием. Это признают и осетинские исследователи.

Другую картину наблюдаем в животноводстве, которое является древнейшим занятием осетин. Поэтому, согласно В.Абаеву, почти каждое осетинское слово, связанное со скотоводством является древнеиранского происхождения. Овцеводство для осетин, как видно, было значительной отраслью хозяйствования, что подтверждается как археологическими материалами, так и данными фольклора и мифологии (божество Фалвара и т.д.).

В XX в., в условиях советского строя произошли радикальные изменения в хозяйственной ситуации Ксанского ущелья.

С учетом местных географических условий развились виноградарство, овощеводство, животноводство. В горах большое место заняли коллективные животноводческие фермы.



В 90-х годах прошлого века, после упразднения колхозов, люди постепенно устраивали частные хозяйства, при этом продолжали традицию сложившейся экономической коммуникации. Жители гор и низин вели взаимовыгодную торговлю – меняли продукцию. Осетины в основном привозили мясо, шерсть, сыр, картофель, деревянные изделия, грузины – фрукты, овощи, зерно, промышленные товары. Несмотря на историю хозяйственного быта осетинского населения Ахалгорского района, остается фактом, что в предконфликтный период они полностью были адаптированы в местной этноэкологической среде. При этом, торгово-экономический, просветительский, социальный или здравоохранительный векторы населения (как грузин, так и осетин) региона были направлены не на Цхинвали-Владикавказ, а на Тбилиси. Это, естественно, ибо адаптация группы с отличающейся этнической, социальной и географической средой слишком сложный и многосторонний процесс, в котором участвуют почти все элементы материальной и духовной культуры. Осетино-грузинские хозяйственные и социально-культурные связи оказались настолько прочными, что выдержали кризис 1990-х гг. и до последних времен сохраняют актуальность.

После войны Ахалгорский район оказался в подчинении т.н. «Независимой республики Осетия». В опустевшем от человеческих ресурсов регионе началась экономическая стагнация. Цхинвальские власти попытались провести мероприятия с целью интеграции Ахалгори.

Изменили грузинское наименование Ахалгори и вернули название советской эпохи Ленингори; планируется отобрать у грузин полученные «незаконно» после 1990 г. жилища и земельные участки (предполагается вселение уехавших из региона в 90-е годы осетин), стараются превратить регион экономически независимым от Грузии, увеличивают снабжение продуктами из т.н. Южной Осетии. Ведут строительство дороги между Цхинвали и Ахалгори, чтобы сделать доступными рынки сбыта в направлении Цхинвали-Россия.

Планы осетинского правления оказались трудными для осуществления, поскольку не предусматривают традиций веками сложившихся торгово-экономических отношений.

После русско-грузинской войны 2008 г. грузинское правительство провело мероприятия для вывода грузинских граждан из оккупированной территории. Для беженцев из Ахалгори были построены «коттеджи» в Церовани, Цилкани, Фрезети.

Беженцы из Ахалгори большое значение придают сохранению связей с родными селами. Живущие в поселениях беженцы (и грузины, и осетины) ездят в свои села, помогают оставшимся там членам семьи по хозяйству, привозят им продукты питания и быта, вывозят сельскохозяйственную продукцию, продолжают родственные и соседские отношения.

Большинство проблем беженцев и оставшегося на местах населения идентичны. В первую очередь, следует отметить неслаженную работу систем оросительного и питьевого водоснабжения. Остро стоит проблема занятости. Большинство беженцев живет на государственной финансовой помощи. Беженцы вынуждены изменить сферу занятости, довольствоваться низкооплачиваемой работой или жить на соцобеспечение.

Анализ существующего положения показывает, что проводимая со стороны государства экономическая политика по отношению к беженцам требует определенной корректировки.

Социальные настрои беженцев, доверие и надежда. Цель психологического исследования

заключалась в наблюдении изменений установки беженцев по отношению к различным вопросам. Проведенное исследование состояло из глубинных интервью, неформальных групповых бесед и психологических тестов.

В процессе исследования руководствовали советами исследователей иммиграции (Kim at al 2001), которые считают, что при изучении процесса иммиграции для анализа более глубоких проблем лучше пользоваться качественными методами.

По данным проведенного исследования можно заключить, что ситуация беженцев из Южной Осетии на сегодняшний день сложная, поскольку их жилищные условия, несмотря на сравнительно упорядоченную инфраструктуру, отличаются от реальной прежней жизни, что, исходя из посттравматического стресса, выражается в проблемах психического и физического здоровья. Для человека, оказавшегося лицом к лицу с личной болью после войны, компенсация со стороны государства не смогла возместить понесенный ущерб.

Несмотря сложные жилищные условия, социальный настрой беженцев, отношения к соседям осетинской национальности остаются положительными, что находит отражение в их нарративе. Это подтверждается также данными шкалы социальной дистанции Богардуса, по которой высокий показатель дружбы и бракосочетания подтверждает желание продолжать дружественные отношения и смешанные браки с представителями осетинской национальности. Однако респонденты, с которыми проводилось глубинное интервью, отмечают положительный и неизменный настрой к таким отношениям, хотя есть и такие, которые подчеркивают свое волнение и страх насчет смешанных браков в будущем.

Высокий показатель доверия беженцев к общественности, их оптимизм, положительное ожидание будущего, ориентация на свое «я» в достижении успеха, позволяют предположить, что та часть беженцев , которая принимала участие в исследовании, борется с полученным во время войны стрессом, старается найти психологическую опору. Для них выход из постстрессовой ситуации состоит именно в обнадеживающем настрое на будущее.

Несмотря на серьезные проблемы, сложившиеся на оккупированной территории Ахалгорского района, налицо признаки, намечающие перспективу нормализации грузино-осетинских отношений: Ахалгорский район в период войны не опустел от грузинского населения, и оно по сей день остается там (хотя сравнительно малая часть); беженцы (не считая ограничений) пока еще могут посещать регион, там все еще функционируют грузинские школы, действуют грузинские православные церкви, сохранены экономические связи с Тбилиси, существуют позитивные нарративы взаимоотношений осетин и грузин.